ივანე ფოფანაძთელი

ოთხთავი

ოთ ტ ო ბ ა ე ლ

„ლიტერატურა და ხელოვნება“

თბილისი

ივანე ფოცხიშვილი

ორენული თხზულებანი

ტომი I

ფილოსოფიური ლიტერატურული ანალიზები

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

ივ. გომართელის ორტომეული შეადგინა. ნარკვევი „ივ. გომართელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ დაწერა და ბიბლიოგრაფია დაურთო ვ. ფ ო ფ ე ლ ი ა ვ

ივანე გომართელი

ოცი თუ ხუთი ათეული წლის წინ, საქართველოს რომელ სოფელშიც უნდა მისულიყავით, თუ მძიმე ავადმყოფს შეხვდებოდით — მისი სანატრელი მარტო ერთი რამ იყო — როგორმე თბილისამდე ჩაეღწია და გომართელთან მოხვედრილიყო. მოდიოდნენ დედაქალაქისაკენ, ვისაც როგორ შეეძლო — მატარებლებითა თუ ჩარდახიანი ურმებით, ცხენით თუ ქვეითად, მოდიოდნენ იმედითა და სასოებით და შინ ბრუნდებოდნენ, უმრავლეს შემთხვევაში განკურნებულნი, ფეხზე წამომდგარნი, გახარებულნი, ბრუნდებოდნენ, რომ უფრო შორს გაეტანათ გომართელის სახელი. ეს მარტო მის თბილისში ყოფნის წლებზე როდი ითქმის. ასე იყო ადრეც ივ. გომართელის პირველი ერცელი ბიოგრაფიის ავტორს, მკელეკარს ელ. ნორელას თავის ნარკვევში ასეთი ამბავი მოჰყავს: 1902 წელს, დიდ ჯიხაიშში ლეჩხუმიდან ურმით, რომ იტყვიან, გადადებული ავადმყოფი ჩამოიყვანეს და რაკიღა მას თავის წამოწევაც არ შეეძლო, ხელით ასწიეს და ისე შეიყვანეს გომართელის კაბინეტში. გავიდა ხანი და ლეჩხუმელი თავისი ფეხით დაბრუნდა შინ. აუარებელი ასეთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ. ზოგს იქნებ ეს გადაჭარბებად მოეჩვენოს, მაგრამ ეინც მოსწრებია, დამემოწმება, რომ ამ კაცის ირგვლივ ქალაქადაც და სოფლადაც პირდაპირ ლეგენდები იქმნებოდა. ამიტომ ასე დაულეველად მოდიოდა მისკენ ხალხი. 1908 წელს ერთ პირად წერილში ივი აღნიშნავს: „თბილისში ახლა ექიმები ბალიან ცოტანი არიან და მთელი ამოდენა ხალხი მე მომაწყდა... დილის შვიდი საათიდან საღამოს რვა საათამდე მოცლა არა მაქვს“. ხალხის ასეთი მოზღვავება მარტო ექიმების სიმცირით არ აიხსნებოდა, აქ მეორე მიზეზიც იყო — ხალხში გასული ხმა მის სასწაულებრივ მარჯვენაზე და შეუცდომელ თვალზე. საკმარისია ითქვას, რომ მისი სახელი ზოგად სახელადაც კი იქცა; გომართელი ნიშნავდა მხსნელს, ჭირისა და სატკივრის უებარ განმკურნებელს, ხშირად გომართელისა მარტო სახელი არჩენდა ადამიანს.

დღეს, როცა შთაგონებით მკურნალობა ესოდენ განვითარდა და წინ წავიდა, ეს აღარავის გაუკვირდება. გასულ წელს ჩვენს პრესაში ერთი საინტერესო წერილი დაიბეჭდა. მისი ავტორი, ექიმი ბაბო სვანი ასეთ ამბავს მოგვითხრობდა: ერთმა უტაქტოდ და უხეშად ნათქვამმა სიტყვამ ახალგაზრდა ქალი დააბრმავა, მთელი თვე ეწვალნენ და ვერაფერი უშველეს. ბოლოს ავადმყოფი გამოჩენილ ქართველ პროფესორთან მიიყვანეს და მან სწორედ მაშინ მიმართა ფსიქოთერაპიის ყველაზე მძლავრ იარაღს — სიტყვას, და დაბრმავებულს ამ ჯადოსნური მალამოთი

ეუხილა თვალები. ასეთ მაგალითებს, ვინ მოსთვლის, რამდენს წაიწყდებით ყოველ სტატიასა თუ წიგნში, რომლებიც ფსიქოთერაპიის საკითხებს ეხება. გომართელი თერაპევტიც იყო და ქირურგიც და, ამას გარდა, აფთიაქის წამლებთან და მალამოებთან ერთად. როგორც ამბობენ, ამ უებარ წამალსაც — სიტყვასაც ხშირად მიმართავდა: გარდა ამისა, აქ განუზომლად დიდ როლს თამაშობდა ავადმყოფის წინასწარი რწმენა, რომ ის მხსნელთან მიდიოდა, დიდ როლს თამაშობდა უსაზღვრო ნდობა მკურნალისადმი, მისი ყოველი ნუგეშისმომცემი, გამამხნევებელი, შთამაგონებელი სიტყვისადმი.

გომართელი, როგორც ექიმი, ჩვენი თემა არ არის. ამაზე სპეციალისტებს ბევრი რამ უთქვამთ და აღბათ კიდევ იტყვიან. აქ კი ჩვენს მთავარ საკითხზე გადავიდეთ. და თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს კარგი ექიმი, იმავე დროს, იყო ქართული სიტყვის ოსტატიც, იყო შესანიშნავი ლიტერატორი, გამოჩენილი პუბლიცისტი, რომელმაც ქართული აზროვნებისა და მწერლობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დასტოვა.

ივანე გომართელი ისეთ აღამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ქვეყანა შეეხარის, ვისი სახელითაც ამაყობენ, ვისაც მუდამ სიხარულით ხვდებიან. აი, თუნდაც მარტო ამ ამბავს დაეკვირდით. გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლის ქალიშვილმა ელენემ, პარიზში რომ იყო გათხოვილი, 1907 წელს გაიგო — გომართელი ქუთაისიდან თბილისში გადმოსულაო; ელენემ „ჯეჯილის" რედაქტორს ანასტასია თემანიშვილს თურმე მაშინვე მოსწერა:

„ივანო გომართელის თბილისში გადმოსვლამ და თქვენს ახლოს დასახლებამ ძალიან გამახარა შენთვის და ლევანისთვისაც. ლევანს კარგი მეგობარი დაუახლოვდა და შენ — „ჯეჯილის" საუკეთესო თანამშრომელი... ძიძაც გახარებული იქნება, ვინ იცის, რამდენჯერმე კიდეც იყო მასთან თავის გასასინჯავად".

გომართელის, როგორც მწერლისა და ადამიანის დასახასიათებლად ეს წერილი ბევრს ამბობს: ჩამოვიდა კაცი ქალაქში და ეს ამბავი ყველასათვის ზეიმად იქცა — ქართული ჟურნალის რედაქტორს უხარიან, რომ კარგი ნაწარმოებები აღარ მოაკლდება. მოსიყვარულე მეგობრებს — თავიანთი სულის სწორი გვერდით ეყოლებათ, და ყველაზე მეტად კი მოხუცი ძიძა ზეიმობს. მას თავისი სანატრელი გომართელი ახლა გვერდით ეგულება და აძიტომ სიკვდილისა აღარ შეეშინდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გომართელმა სამწერლო ასპარეზზე პირველი გამოსვლისთანავე მიიქცია საყოველთაო ყურადღება. მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალს, იხსენებს პროფ. ალ. ხახანაშვილი და საპატიო ადგილს უთმობს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეოთხე ტომში, სადაც ვკითხულობთ, რომ ივანე გომართელი „...უნაყოფიერესი ახალგაზრდა პუბლიცისტია... კრიტიკის სფეროში ეტილიტარულ თვალსაზრისზე დგას და უარყოფს „წმინდა ხელოვნების" მნიშვნელობას".

აქ, ძირითად კონტურებში უკვე ნაჩვენებია მთავარი იდეური გეზი, რომელსაც პირველივე დღეებიდან მტკიცედ დაადგა ივანე გომართელი. იგი, როგორც მოახროვნე, როგორც მებრძოლი პუბლიცისტი, განუხრელად მისდევს იმ დიდ გზას, რომელიც თერგდალეულებმა გაუკაფეს ჩვენს მწერლობას, როცა მის მთავარ ამოცანად ხალხის სამსახური გამოაცხადეს. კლასიკურმა რეალიზმმა თავიდანვე მძაფრი და შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო ე. წ. თვითმიზნურ, უიდეო ხელოვნებასთან. როცა ალ. ხახანაშვილმა ბაზგასმით აღნიშნა იკ. გომართელის მთავარი ღირსება — მისი შეურიგებელი ბრძოლა თვითმიზნური, უიდეო ხელოვნების წინააღმდეგ, აქვე ეს იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ივანე გომართელი აქ ერთგული მოწაფე და მიმდევარი იყო თერგდალეულებისა და, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძისა, რომელ-

მაც ჯერ კიდევ 1860 წელს, ოცდასამი წლის ჭაბუკმა განაცხადა, რომ პოეტმა არ შეიძლება იმღეროს „ვით ფრინველმა გარეგანმა", რომ ის ქვეყნად მოსულია „არა მარტო ტკბილ ხმათათვის", რომ ის მოვალეა „წარუძღვეს წინა ერსა", „ერისა მოძმედ იყოს ეშენვასა და სიხარულში", ერის წყლული თავის წყლულად მიიჩნიოს, მისი ტანჯვით სული ეწვოდეს, მისი უბედობით მტკიცე გული ედაგებოდეს.

და რა იყო მთელი ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა, თუ არა გაუთავებელი ბრძოლა, უკომპრომისო და შეურიგებელი ჭიდილი ავბედით სინამდვილესთან — მართლაც, მოწოდების ზარივით გუგუნებდა საქართველოში მისი ხმა და აფხიზლებდა გონებას, სწვავდა ადამიანის გულს საქეიფო დარდითა და ტკივილით. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს, სახელოვან თერგდალეულებს პოეტად არც მიიჩნდათ ის, ვინც ამავე დროს მებრძოლი არ იყო. ე. წ. „წმინდა პოეზია", ისეთი პოეზია, რომელიც გამოთიშული იქნებოდა ცხოვრებისაგან, რომელიც საზოგადოებრივი აზრის საერთილო მოძრაობას გზას არ აძლევდა, — სამოციანი წლების დიდი მოღვაწეების სასტიკი გაკიცხვის საგანი იყო. მომაკედინებელი განაჩენი გამოუტანა ილია ჭავჭავაძემ უიღეო პოეტებს, როცა ეს სტრიქონები დასწერა:

„მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვეუფურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების საჭელითა უკუარიდოს პირი თავის ბალის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს თავისი გაბეცებული თვალები და ბელბულსავით უაზრო სტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს, ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პერსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავისი გამოცნობილი კეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საკირო კითხვაზედა... ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავი კალმით ცხოველად იყოს წამომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეკასა და თვალების სრესას, ეგება ცრემლი მომივიდესო. დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის".

ასე მკაცრად ეგმობს ილია ჭავჭავაძე უიღეო, აპოლიტიკურ პოეზიას, ე. წ. „წმინდა" ხელოვნებას და სამაგიეროდ, დიდების ჰიმნს უძღვნის იმ პოეტებს, რომლებიც პირველნი გადაეშვებიან ბოლმე ცხოვრების მდეღარეში, აღვიძებენ ადამიანის აზრს, მხარდამხარ მისდევენ ცხოვრებას და მომავალსაც განსვერეტენ, შესწვდეს ალბა, რომ ამ მომავალ აწმყოშიც დაედოს მაგარი ფუძე.

აი, ყოველივე ამას გელისსმობდა ალ. ხახანაშვილი, როცა ივანე გომართელის პუბლიცისტიკის საბრძოლო პათოსსა და უტილიტარულ მიმართულებაზე ლაპარაკობდა. ივანე გომართელის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ნათელ ზოლად გასდევს ის კეთილშობილური ტრადიცია, ის მაღალი მიზანი, ის წმინდა იდეალები, რომლებიც ილიამ და აკაკიმ დაანათლეს ჩვენს მწერლობას.

ივანე გომართელი სამწერლო მოღვაწეობას იწყებს XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, ე. ი. სწორედ იმ ხანებში. როცა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში მარქსის დიადი მოძღვრება ფესვს მტკიცედ იკიდებს. ესაა დრო, როცა მოაზროვნეთა ახალ თაობას, გამსჭვალულს მარქსიზმის ყველაზე მოწინავე იდეებით, ახალ. უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს სამოციანელთა უძველესი და კეთილშობილური ტრადიციები — მაღალი ჰუმანიზმი, ეღრმესი პატრიოტიზმი, ბრძოლა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ბრძოლა დახავსებული მემამუ-

ღერ-კაპიტალისტური სამყაროს დასანგრევად და ახლის, ადამიანისადმი სიყვარულზე დაფუძნებული წყობილების ასაგებად. ეს იყო მძაფრი იდეური გარდატეხის, აზრთა შეხლა-შემოხლის ეპოქა და ივანე გომართელი, როგორც ახალგაზრდა მარქსისტი-ლიტერატორი, სწორედ ამ ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა, როგორც ახლისათვის მებრძოლი, ყოველივე დახავსებულისა და დრომოჭმულის შეურიგებელი მოძულე. ეს ნათლად ატყვია მის ყოველ სტატიას, ყოველ ნაშრომს.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და მაღალი, კეთილშობილური პუმანისტური იდეალებითაა გამსჭვალული ივანე გომართელის წერილები ნ. ბარათაშვილისა და ეახტანგ ორბელიანის, ილიასა და აკაკის, გიორგი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილისა და ირ. ევდოშვილის შემოქმედებაზე. აქ ის ყველგან გამოდის, როგორც გულმხურვალე პატრიოტი, როგორც ერთგული დამცველი ქართველი ხალხის ყველაზე უძვირფასესი საუნჯისა — მისი დიდებული სულიერი კულტურისა. მისი ყოველი წერილის მიზანი ის არის, რომ ეს მდიდარი საუნჯე ხალხში ფართოდ გაიტანოს, გააცრცელოს. ბარათაშვილის სულის ტკივილები თუ აკაკის წმინდა იდეალები ყოველი ქართველი მკითხველის გულში ღრმად ჩანერგოს და ყოველივე ამას რევოლუციური მიზანსწრაფვა მისცეს — ხალხის გული თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილით აღანთოს. ივანე გომართელმა ძალიან კარგად იცის, რომ ლიტერატურა — მაღალი ტრიბუნაა, ფართო ასპარეზია ადამიანის განთავისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლაში, და ამიტომ პუბლიცისტი თავის ყოველ წერილში იბრძვის. მუდამ იერიში მიაქვს ძველ სამყაროზე, ამხილებს მის უსამართლობას, მის გახრწნილებას, მის სიავეს და ბოროტებას და თანაც მკითხველს ნათლად უჩვენებს, რომ ამ დიდ ბრძოლაში ხალხს წინ მიეგებვიან მისივე საუკეთესო შვილები, მისი სასახელო პოეტები — მათი იდეალი ხომ ნათელი მომავალია, თავისუფლებაა. ამ პათოსით არის გამსჭვალული ყოველი წერილი ივანე გომართელისა, მწერლისა და პუბლიცისტისა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა გულდადინჯებულ მკვლევარსა და შეურიგებელ მებრძოლს, ლირიკული სულის ადამიანსა და ფხიზელ ანალიტიკოსს.

ასეთია საერთო ტენდენცია, ხასიათი და მიზანსწრაფვა, დედააზრი ივანე გომართელის იმ წერილებისა, რომლებშიც ქართული კლასიკური კულტურის ოსტატთა მემკვიდრეობაა განხილული. ამასთან ერთად, როგორც მებრძოლ პუბლიცისტს შეჰფერის, ივანე გომართელი გულდასმით ადევნებს თვალს ყოველი ახალი მწერლის გამოსვლას დიდ საკვეყნო ასპარეზზე, პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე ეხმაურება, და თუ ახალგაზრდა მწერალი ამის ღირსია, ივანე გომართელი მისი გულმხურვალე დამცველი და მეგობარია, მისი მეგზურია, მისი დამრიგებელი. ის პირველი ეხმაურება ირ. ევდოშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, ნოე ჩხიკვაძის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე, გზას ულოცავს, რათა შეუდრეკლად ემსახურონ სამშობლოს, ხალხს. რესეთის პირველი რევოლუციის წლებში, როცა ქართული მწერლობა მხარში ამოუდგა აჯანყებულ ხალხს, ივანე გომართელის წერილები ყღერენ, როგორც მგზნებარე მოწოდებანი, მიმართულნი მეფის საძულველი ტირანიის დასამხობად; ბნელ რეაქციის წლებში ის თავგამოდებით ებრძვის დეკადენტურ ლიტერატურას, შთაუნერგავს მკითხველს ნათელი მომავლის რწმენას და იმედს, რომ რეაქციის თარეში ხანმოკლეა და ძველი სამყარო განწირულია ისტორიის მიერ, მას აუცილებელი დაღუპვა მოელის. ლიტერატურა, როგორც უკვე ვთქვით, მას საბრძოლო ტრიბუნად უქცევია და მისი უბრალო, მართალი სიტყვა მუდამ აუცდენელად მიდის ხალხის გულამდე.

ამ წერილებს გარდა წინამდებარე ორტომეულში შეტანილია ივანე გომართელის ნაშრომები რუსულ და უცხოურ ლიტერატურაზე. აქაც ყველგან ჩანს მისი უჩვეულო ერუდიცია, პუბლიცისტური სიმძაფრე, შეერთებული ღრმა მეცნიერულ ანალიზთან; ის აქაც უმრავლეს შემთხვევებში მარჯვედ იყენებს მარქსისტული ესთეტიკის პრინციპებს და ამიტომ ამ ნაშრომებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთ კაცს მარტო ის ეყოფოდა შთამომავალთა შორის ხსოვნისა და პატივისცემისათვის, რომ ყოფილიყო ავტორი პირველი ქართული მონოგრაფიისა ფრიდრიხ შილერზე. ეს წიგნი დაიბეჭდა 1903 წელს და მომდევნო წელს ხელახლა გამოიცა. აქაც მთელი სისავსით ჩანს ივანე გომართელი. რათ აირჩია მან თავისი წიგნის თემად შილერი? წაიკითხავთ წიგნს და ეს სულ ადვილად მისახვედრი ხდება. ავტორი აქაც მებრძოლია, აქაც იარაღასხმულია ძველი სამყაროს წინააღმდეგ, და შილერიც მას ხიბლავს, როგორც პროტესტანტი, როგორც მეამბოხე, როგორც დიდი ტრიბუნი, მაუწყებელი კაცობრიობის მომავალი განთავისუფლებისა ტირანთა ბორკილებისაგან.

ეს მებრძოლი ტენდენცია თან გასდევს წიგნს და ეს ხელს კი არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს მკითხველს უფრო სრულად წარმოიდგინოს თავისუფლების ამ დიდი პოეტის შემოქმედება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გომართელია ავტორი პირველი სტატიისა გორკიზე საქართველოში და პირველი მონოგრაფიისა გორკის შესახებ ქართულ ენაზე.

მოცემულ შესავალ წერილში ძნელია სრულად დაახასიათო ივანე გომართელის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს — ივანე გომართელი მეტად ფართო ჰორიზონტის ადამიანი იყო, მას მარტო პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის სფერო არ აკმაყოფილებდა, ზშირად ეხებოდა ფილოსოფიის პრობლემებს და აქაც ერთგული დამცველი იყო მარქსისტული მსოფლმხედველობისა.

უაღრესად ხაყოფიერი იყო ივანე გომართელის მოღვაწეობა ჩვენს დროში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. 1927 წელს გამოქვეყნებულ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის „ერთადერთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს მყუდროებას, ჩვენს მშვიდობას, ვანვითარებას, დაწინაურებასა და მომავალს“.

და შემდეგ იქვე განაგრძობდა:

„ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს, რა დიდი საქმე კეთდება ჩვენში: ელექტრონის სადგურები, აბრეშუმის, ბამბის, მაუდის, გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკები, სამზადისი ქაღალდის ქარხნის ასაგებად, ჭარხლის მოსაყვანად, ჭაობების ამოშრობა ფოთსა და ქობულეთში სარწყავი არხების გაყვანა და სხვა.

ყოველივე ეს დიდი ეროვნული საქმეა თუ არა, დანარჩენს რომ თავი დავანებოთ!“

როგორც ვხედავთ, ივანე გომართელი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე (იგი გარდაიცვალა 1938 წელს) თავის ხალხთან იყო და მის დიდ მომავალს შესტრფოდა და შეჰხაროდა.

წინამდებარე ორტომეულში წარმოდგენილია ივანე გომართელის რჩეული ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები; აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლიტერატურული წლის მიმოხილვებს, რომელთა ტრადიცია ჩვენში ივანე გომართელმა დაამკვიდრა. აქ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ აქტიურად უნდა ჩაერიოს კრიტიკოსი ლიტერატურულ პროცესში და მას სწორი გეზი უნდა მისცეს.

შესაძლებელია, მკითხველს ზოგი რამ მოძველებულად მოეჩვენოს ივანე გო-

მართელის ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილებში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განვითარების აწმყო კი არ არის, ისტორიაა და ამ ლიტერატურულ დოკუმენტებს მტკიცედ უკირავთ თავიანთი ადგილი ქართული მწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე.

საერთოდ კი, ეს ორტომეული, რომელიც მოიცავს მხოლოდ ერთ ნაწილს ივანე გომართელის მდიდარი ლიტერატურული და პუბლიცისტური მემკვიდრეობისა, თვალწინ გადაგვიშლის ამ შესანიშნავი ადამიანის მდიდარ და კეთილშობილურ სულიერ სამყაროს, მის იდეალებს, მის ტკივილებსა და მის იმედებს ხალხის ნათელ მომავალზე. დიდია და ფასდაუდებელი ივანე გომართელის ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე — იგი ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების რიცხვს, რომელთაც მთელი სიცოცხლე ხალხზე ზრუნვაში გაატარეს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოს.

გიორგი ნატროშვილი

თხზულებანი მამია გურიელისა

დიდი დრო და ჟამი არ გასულა მას აქეთ, როცა ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოების დასაფასებლად ვიწრო და თავისებური შეხედულება არსებობდა. ყოველნაირ ლიტერატურულ შრომას ერთგვარი საზომით ზომავდნენ, ერთგვარ კანონებს უწერდნენ; თუ თხზულებაში ეს კანონები დაცული იყო, მაშინ ის საუკეთესო ნაწარმოებად ჩაითვლებოდა. ყველას, ვინც ბუალო იცოდა და რითმების მოგონებას მოახერხებდა, შეეძლო პატენტიანი არისტარხებისა და მეცენატებისაგან თავზე ხელის გადასმა დაემსახურებინა და საქმე გაჩარხული იყო: პოეტის სახელსა და დიდებას მოიხვეჭდა. მწერლის ფსიქოლოგიას, ზნეობრივ და გონებრივ ფიზიონომიას, საზოგადოებას, რომელშიაც ის ტრიალებდა და რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა, — ამგვარი არისტარხები მხედველობაში არ იღებდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ. ლიტერატურა ცხოვრებისათვის არ არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნეში მოწინავე ხალხთა ცხოვრება შეიცვალა, სოციალურმა და პოლიტიკურმა სახემ ფერი იცვალა და ეს ცვლილება იმდენად მძლავრი იყო, რომ ყოველისფერი თავისკენ გაიტაცა, ყოველისფერს დაღი დააჩნია. ლიტერატურაც ცხოვრებას დაუკავშირდა, მისი გამომხატველი, გამომრკვევი და, ხშირად, გზის მაჩვენებელიც გახდა. შეხედულებამ ლიტერატურაზე, მის დანიშნულებაზე, მისი ღირსების ახსნამ და დაფასებამ სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. დღეს უმრავლესობისათვის ცხადია, რომ მემკვიდრეობას, აღზრდას, საზოგადოებას და სხვა. ყოველ ადამიანზე დიდი გავლენა აქვს. მართლაცდა. ყოველი ჩვენგანი ციდან ხომ არ ცვივა ან დედის მუცლიდან გონებადამწიფებული და საბოლოოდ ხასიათგანმტკიცებული ხომ არ იბადება! მემკვიდრეობით ჩვენ თან დაგვყვება ერთგვარი ფიზიონომია: აღზრდა და იმ წრის გავლენა, რომელშიაც ვტრიალებთ, ამ თანდაყოლილ თვისებებს და მიდრეკილებას თავისებურ ელფერს აძლევენ და ავითარე-

ბენ კარგს, ან ცუდ მხარეებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ეს აღზრდა და აღმზრდელი საზოგადოება. ყველა ამ ფაქტორების გავლენის ქვეშ ყოველ ჩვენგანს ებადება თავისებური მსოფლშეხედულება, ერკვევა და უმტკიცდება ხასიათი. რასაკვირველია, სხვადასხვა პირობები, რომლებშიაც შემდეგში ადამიანი ვარდება, მის შეხედულებას და ხასიათს ცოტად თუ ბევრად ცვლის. ასწორებს, მაგრამ მაინც ზემოხსენებული ფაქტორების ზეგავლენა იმდენად მძლავრია, რომ მათი უნიშანწყლოდ არსებიდან ამოშლა არავითარ ძალას არ შეუძლია; მათი გავლენა ადამიანის ყოველგვარ მოქმედებაში გამოსჩვივის, ყოველ ჩვენგანს აქვს აგრეთვე თავისი ინდივიდუალური განსხვავება, მაგრამ ეს განსხვავება ზემონათქვამ ფაქტორებს არამც თუ არ ეწინააღმდეგება და არ მალავს მათს გავლენას. პირიქით, თვითონაც ამ ფაქტორების ნაყოფია. ამიტომ, სანამ მამიას თხზულებების გარჩევას შევუდგებოდეთ, საჭიროა, გავიცნოთ ის საზოგადოება, რომლის ზეგავლენის ქვეშაც იმყოფებოდა პოეტის ნორჩი ბუნება, მემკვიდრეობით გადმონაცემი სიმდიდრე და აღზრდა. რომელიც მან მიიღო, რადგანაც ყოველივე ეს გასაგები იქნება მისი პოეზიის ასახსნელად. ამით ჩვენ დავინახავთ, რა გავლენა იქონია მამიაზე ამ პირობებმა და რაში დაეტყო ეს გავლენა მის თხზულებას? თუმცა ვრცელი წყაროები არა გვაქვს იმ „დარბაზის ერის" დასახასიათებლად. რომელშიაც ნორჩი მამია ტრიალებდა, მაგრამ. თუ ჩავუკვირდებით ჩვენი დროის თავადობას, შეგვიძლია, მცირეოდენი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო მისი წინაპარი—მეორმოცე წლების თავადობა? თუ მოვიშველიებთ თვით მამიას და მის ბიოგრაფს, მაშინ დაახლოებით თვალწინ დაგვეხატება ეს წრე თავისი ღირსება-ნაკლოვანებით.

ჩვენი ერის დღევანდელი ცხოვრება ძალიან ბევრში განირჩევა მეორმოცე წლებისაგან. ისტორიული პროცესი სხვადასხვა ერში სხვადასხვაა, როგორც ამბობს პროფ. მილუკოვი, მაგრამ განვითარების ძირითადი მიმართულება კი ყველგან ერთგვარია. რაც შეეხება საქართველოს, შეიძლება მისი ისტორიული პროცესი სრულიად სხვა იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ამ საუკუნიდან ჩვენი ერი ბორძიკით მიისწრაფვის იმგვარი გზისაკენ, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა და მაშასადამე, ჩვენი ისტორიული განვითარება დასავლეთ ევროპის ისტორიულ მსვლელობას ემსგავსება. თუ მეორმოცე წლებში ამ მსგავსების შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი იყო, რადგანაც მას ვერავინ ხედავდა, ახლა გაჩუმება არის შეუძლებელი. რადგანაც მას დღეს ყველა კარგად ხედავს, ბრმის მეტი. მეორმოცე წლებიდან ლიტერატურა, თეატრი იფურჩქნება, ფეოდალური

წესწყობილება თანდათან სუსტდება, ხალხი სოფლებიდან ქალაქებისაკენ მიისწრაფვის და მოქალაქეობრივ ცხოვრებას იწყებს. მესამოცე წლებში ბატონყმობა ისპობა, ადამიანის შრომა თავისუფლდება, წოდებრივ ურთიერთობას ნიადაგი ეცლება, ეკონომიურ და სოციალურ ცვლილებას კი ნიადაგი უმზადდება... ზემო იმერეთში აქამდე გლეხობის უმეტესი ნაწილი ისევ ბატონის ხელშია და უწინდელი ყმისაგან მხოლოდ მით განირჩევა, რომ მას ბატონი ვეღარ გაყიდის, სხვა არაფრით; ზემო ქართლში ისეთივე სამსახური აწევს გლეხს კისერზე, როგორც ყოფილა ბატონყმობის დროში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ადამიანი განთავისუფლდა, თავისი თავის ბატონი გახდა და ვისაც შეეძლო, ამ თავისუფლებით კიდეც ისარგებლა და ახლაც სარგებლობს. მესამოცე წლებიდან მოკიდებული ჩვენ ცხოვრებას ცვლილება უფრო დაეტყო. ისტორიულმა მსვლელობამ ჩვენშიაც დაბადა ის ფერმენტები, რომლებმაც დასავლეთ ევროპის ცხოვრება სრულიად გადაატრიალეს, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ სფეროში გასაოცარი ცვლილება მოახდინეს, წოდებრივი დაყოფა მოსპეს და ხალხი ორ დიდ კლასად, ორ მოპირდაპირე ბანაკად გაანაწილეს. ეს ფერმენტები მრავლდებიან, ძლიერდებიან და ჩვენს ცხოვრებას თანდათან ადუღებენ. აზნაურობის უმეტესი ნაწილი გაღარიბდა, ქონებრივად გაგლეხკაცდა და გლეხკაცს გვერდში ამოუდგა. მას შეუერთდა, თუმცა ეს შეერთება ჯერ-ჯერობით ძალიან ეხამუშება და დაკარგული ღირსების წარმოდგენით ირთობს და ინუგეშებს თავს, გულს იქარვებს. თავადობის ერთი ნაწილი დღეს თანდათან ღარიბდება და საცაა, ისიც გაგლეხკაცდება ქონებრივად, გლეხკაცს შეუერთდება. აზნაურობისა და გლეხობის მცირეოდენი ნაწილი გამდიდრდა, ქონებრივად გათავადდა, შეერთდა და ადგენს ახლა მესამე წოდებას, მართალია, ეს ნაწილი ჯერ რევოლუციამდე არაფერი არ იყო, რევოლუციის შემდეგ ერთობ პატარა, და მიკროსკოპიული გახდა, მაგრამ მისი უარყოფა დღეს აღარ შეიძლება; დარჩა თავის ალაგას თავადობის მეორე ნაწილი, რომელიც შეგვიძლია, მეორმოცე წლების თავადობის ნამდვილ მემკვიდრედ ჩავთვალოთ, მხოლოდ იმ განმარტებით, რომ ახალ ცხოვრებას ამ მემკვიდრის გონებრივი და ზნეობრივი ფიზიონომიისათვის უსათუოდ თავისი დაღი უნდა დაეჩნია, ახლა გადაავლეთ მას თვალი და დაინახავთ, რას წარმოადგენს მისი ცხოვრება. თამამად ვიტყვი, რომ უმეტესი მათგანის ცხოვრება ცარიელია. უმიზნო, უიდეალო, უაზრო, შესაფერ განათლებას მოკლებულია და დაბადებიდან მოკიდებული სიკვდილამდე მათი ერთადერთი საფიქრებელი და საზრუნავი ის არის, როგორ ვიქეიფოთ, როგორ გავატაროთ სა-

უკეთესოდ დროო, თუკი ახლანდელმა ცხოვრებამ ამათ ბუნებაში ასეთი დამამცირებელი მიმართულება არათუ ვერ ამოშალა, ვერც კი დაასუსტა, მეორმოცე წლების თავადობა რაღად იქნებოდა ამგვარ გზას აცილებული, როდესაც მას ყოველისფერი ახლობელი ტრადიცია, ცხოვრება, მემკვიდრეობა, მდგომარეობა, სოციალური პირობები — ყოველისფერი ხელს უწყობდა, რომ ამგვარი შეხედულება ცხოვრებაზე ღირსეულ და უტყუარ მცნებად მიეჩნია?! ახლა თვით პოეტსა და ბიოგრაფს მივმართოთო; ვნახოთ, ისინი რაღას გვეტყვიან, პოეტის მამის, დავით გურიელის, სასახლეში განუწყვეტლივ თავმოყრილი იყო გურიის საუკეთესო თავადაზნაურობა; იქ მუდამ ლხინი, მუდამ დროსტარება იყო. მაგრამ ეს დაუსრულებელი ნადიმები, რასაკვირველია, ნორჩ მამიას სულსა და გულს ვერავითარ განმავითარებელ მასალას ვერ მიაწვდენდნენ. მამიას ლექსებიდან ჩანს, რომ მისი მშობლები სიმპათიური პირები იყვნენ; მამას მამია, რაშიდის პირით, „სამშობლოს სვეტსაც“ - კი უწოდებს, მაგრამ თვით მკითხველისათვის მიგვინდვია იმის გამოცნობა, ვის უფრო მეტი გავლენა ექნებოდა პოეტზე, მშობლებს, თუ გურიის საუკეთესო წარმომადგენელთა წრეს. მერე იმ დროს, როცა ჩვენში დედ-მამა შვილის აღზრდას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, სასახლეში შეგროვილი გურიის არისტოკრატია ბატონყმური იდეალების საუკეთესო წარმომადგენელი და განმაზორციელებელი იყო და ამ იდეალებს უნერგავდა ნორჩ არსებას, რომელზედაც აღზრდას და შთაგონებას ძალიან დიდი გავლენა აქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამგვარ აღზრდას პოეტის ბუნება ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, რადგანაც, ერთი მხრივ, ეს წრე თავისი ზნე-ჩვეულებითა და რწმენით მაშინდელი დროის საქართველოსათვის სრულიად ბუნებრივი იყო, და მეორე, თვით მამიას მემკვიდრეობით უნდა ჰქონოდა ამპარტავნობა. ბრძანებლობა, ვაჟკაცობისა და ფუქსავატი ცხოვრებისაკენ მიდრეკილება, ამგვარ შეხედულებას ითვისებდა ამ წრისაგან მომავალი პოეტი. პატარაობიდანვე მამია ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ მის არსებაში უთუოდ უნდა განვითარებულიყო მემკვიდრეობით გადმოცემული ამპარტავნობა, მედიდურობა, სხვისი პიროვნების დამცირება და ბევრი სხვა ბატონყმური პრინციპები. მას ჰქონდა საკუთარი დარბაზი, ჰყავდა საკუთარი ამალა, რომელიც მის ყოველგვარ ინსტინქტს გუნდრუკს უკმევდა, მის ყოველ სურვილს, ჭირვეულობას, ჟინიანობას, მორჩილად და მოწიწებით ასრულებდა. ბავშვი ხედავდა, რომ მამამისს ახლდნენ:

ასობით ვაჟნი, თავზე მდგომელნი,
მზად აღჭურვილნი, მლოდნი, მოსავე,
მის თვალთა ქნევას, უტყვად რომელნი
აღასრულებდნენ იმავ წამსავე.

და თავის თავსაც პატარა მეფედ წარმოიდგენდა თავის ამალაში, რადგანაც მიმბაძველობის ინსტინქტი ბავშვს ძალიან ძლიერი აქვს. გამოეღვიძებოდა თუ არა ბატონიშვილს, ერთ აზნაურს პირი უნდა დაებანიებია, მეორეს ტანისამოსი ჩაეცმია, მესამეს სუფრა გაეშალა და საუზმე მიერთმია, მეოთხე მერიქიფედ თავს დადგომოდა. შემდეგ ბატონიშვილი სასახლეში გამობრძანდებოდა, დედ-მამას და და-ძმებს ინახულებდა და გაერეოდა „დარბაზის ერში". გათენდებოდა თუ არა, დაიწყებოდა ბურთაობა, ჯირითი ან ნადირობა ქორმეძებრებით. საღამოც მუდამ ლხინში და დროსტარებაში მიდიოდა, ხანდახან თუ. —

ზმებს მოსწრებულსა, ლექსებსა,
ერთმანეთს სწრაფად ესროდენ,
რუსთველის ნაანდერძევსა
ზეპირად იმეორებდენ. —

ამასაც მხოლოდ დროს გატარებისათვის ჩადიოდნენ და არა ვონების ვარჯიშობა-განსავითარებლად. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი გამოშაირების სმენამ გაუღვიძა და განუვითარა მამიას ლექსების ოხზვის სურვილი და არა პოეტურმა ფანტაზიამ. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ მამიამ სულ პატარაობიდანვე დაიწყო ზმებით გამოშაირება; ამ გარემოებას დიდი ქებით და ზეიმით მიეგებებოდა, რასაკვირველია, ყველა მსმენელი და ამით ეს სურვილი მამიას უფრო გაუძლიერდებოდა; გარდა ამისა, ამასვე მოწმობს პოეტის მთელი თხზულება, რომლის პოეტურ ფანტაზიას სუსტი ფრთები ასხია.

როცა „დარბაზის ერი" შაირებით გაჯერდებოდა, ჩანგურითა და ქალების სიმღერით სმენას იტკბობდა, როდესაც ამითაც დაიქანცებოდა, ვახშმად დასხდებოდა, კიდეც იქეიფებდა, იმხიარულებდა და ბოლოს დაიძინებდა: მაგრამ გათენდებოდა თუ არა, მსახური ისევ ეახლებოდა:

სჭამეთ საუზმე, დარჩაო.

თუ როგორი იყო ეს საუზმე, იქიდან ჩანს, რომ ქათმები, შემწვარი კრავი, ხბო, ხაჭაპურები — თავზე საყრელად მოდიოდა. დასხდებოდნენ და გაიმართებოდა ღვინოში გამოჯიბრება. როცა ასეთი საუზმით გამოძღებოდნენ და გამოთვრებოდნენ, გაეშურებოდნენ მუხის ქვეშ და იქ თავს იყოლიებდნენ ჭადრაკის თამაშით. სანამ კიდევ

არ მოშივდებოდათ. ხშირად მოთამაშეებს ჩხუბი მოსდიოდათ და მარტო უშვერის სიტყვებით კი არა, ხმლებითაც კი მიიწევდნენ ერთმანეთზე, რაც მაყურებლებს უფრო ართობდა და მხიარულებას უმატებდა.

მზე გადვიდა შუადღეზე,
მოვიდა დრო სადილისა

თამაშით მოქანცულნი სადილის მისართმევად მიდიოდნენ. არც ერთ-ერთ მათგანს სმა და მოლხენა არ ძულს: ყველა თავის გულში ამბობს:

ნეტავ აქ ქეიფს და სმაში,
ვინ არ მოილხენს, განცხრება!

მიუხედავად იმისა, რომ ისეთი მადლიანი საუზმე მიირთვეს, სადილს ისე შეექცეოდნენ, თითქო საუზმე კი არა, წინა დღის მარხული ყოფილიყვნენ; სიმღერით თავს ირთობდნენ, ვაჟკაცობას ღვინოში ცდიდნენ, ამგვარად, სასახლის არისტოკრატიის ცხოვრება თავიდან ბოლომდე განუწყვეტელ ქეიფს წარმოადგენს; მისი ერთადერთი მცნება კუჭის მრწამსია. გასაოცარია სწორედ, როგორ შეუძლია ადამიანს მთელი თავისი სიცოცხლე ამგვარად გაატაროს? და თუ ატარებდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ გონებით ძალიან დაბალ საფეხურზე იდგნენ. ამგვარი ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯია იმ ველურის ცხოვრებამდე, რომელსაც ორი ცოლი აქეთ-იქით ესხდა და, რადგანაც თვითონ ჭამით დაღალული იყო, ისინი ძალით ტენიდნენ პირში ვეებერთელა ლუკმებს; როცა ქონი ლოყებზე გადმოდიოდა და მეტი სიმაძღრით ქშინავდა და ხვნეშდა, მის სახეზე ისეთი ნეტარება იხატებოდა, თვალები ისეთი სიამოვნებით და კმაყოფილებით გამოიყურებოდნენ, რომ თავისთანა ბედნიერი ქვეყანაზე აღარავინ მიაჩნდა. ამგვარი საზოგადოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მამია დაჭაბუკებამდე. ამ ხნის განმავლობაში ხუცური და ქართული წერა-კითხვა შეისწავლა. მისი გონების მთელ საზრდოსა და ავლადიდებას, რამდენიმე გაზეპირებული ლოცვა წარმოადგენდა. მის მომავალზე არავინ ზრუნავდა. ისიც დანავარდობდა სასახლის გოგოებში, რომლებიც ახალგაზრდა ბატონიშვილის ყოველგვარ სითამამეს დიდ წყალობად და ბედნიერებად მიიჩნევდნენ და, რა თქმა უნდა, მამიაც ძალიან ადრე აყვებოდა ვნებათაღელვას. შემდეგ მამიამ ისწავლა რუსული წერა-კითხვა. შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, ორი-სამი წელიწადი დაჰყო იქ. „სააზნაურო“ კლასამდისაც კი ვერ მიაღწია და გამოვიდა. აი მამიას მთელი სწავლა-განათლება.

რომლისთვისაც შემდეგში ბევრი აღარა მიუმატებია რა. აი, როგორი გონებრივი სიმდიდრით გამოვიდა ის ცხოვრების სარბიელზე!

*

მამია მოსცილდა შინაურობას 1853 წელს და ჩამოვიდა თფილისში. თფილისის საზოგადოება ამ დროს იღვიძებდა, ქართული თეატრის საძირკველი შენდებოდა. მწერლობა იბადებოდა, გლეხობის განთავისუფლების დრო ახლოვდებოდა, საზოგადოდ, ჩვენს ცხოვრებას ახალი მოძრაობა ეტყობოდა. — მამიამ გულში ღრმად ჩაიჭდია სამშობლო საქმეთა სიყვარული თფილისში ყოფნის დროსო, ამბობს მისი ბიოგრაფი. ეს რომ მართალი იყოს, როცა მამია მოშორდა „დარბაზის ერს“ და თფილისის საზოგადოება, ახალი მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლები გაიცნო, უსათუოდ შეადარებდა ერთმანეთს ამ საზოგადოების და იმ წრის ცხოვრება-მისწრაფებას, რომლის გავლენის ქვეშაც თვითონ აღიზარდა; უკანასკნელისადმი ზიზღი თუ არა, სიბრალული მაინც დაებადებოდა, ჩაებმოდა ამ ახალ საზოგადოებაში და მოქმედებას დაიწყებდა სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომლის საქმეთა სიყვარული თურმე „გულში ღრმად ჩაიჭდია“. მამიას კი ეს საზოგადოება თითქო არც კი შეუმჩნევია, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მალე სამსახურში შევიდა და იქ მუდამ ოხრავდა და იგონებდა თავის დროსტარებას. მოიგონეთ ცხრამეტი წლის ლერმონტოვი, რომელსაც ძულს და ეზიზღება ის საზოგადოება, რომელიც მას გარს არტყია. რუსეთის გამოჩენილ პოეტს ამ საზოგადოებამ ღრმა კვალი დააჩნია, მაგრამ მას ყოველთვის ძულდა ეს საზოგადოება, ფუქსავატი, გახრწნილი, უზნეო; მაშინ, როცა ლერმონტოვს წყურია მოშორდეს ამ საზოგადოებას, მამიას სული მიუდის, როდის იქნება ჩემი შინაური წრე ვიხილო და ძველი დროსტარება გავიხსენოო. იმ ცხოვრების გარეშე მას სიცოცხლე აღარ შეუძლია, თუ მოტყუებით, თუ მოხერხებით, ხშირხშირ „ოტპუსკებს“ იღებდა და მიეშურებოდა გურიის საუკეთესო არისტოკრატიისაკენ. მის თვალწინ მუდამ აჩრდილივით იხატებიან: მალთაყვა, იქაური დროსტარება, შველი, ირმები, მიმინოები, ხუმრობა, სიცილი, თამაში და მხიარულება: „დაფიქრებული ამაებზე არა ერთხელ ამოვიოხრებ ხოლმე მწარეთ, გარნა ის ოხვრა ბევრათ უტკბესია ზოგიერთ ძალით გამოძახებულ სიცილზე“. აი, მამიას ნამდვილი სიტყვები. ამას შემდეგ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ რომ, პოეტს მემკვიდრეობით გადმოცემული ჰქონდა ყველა ის თვისება და მიდრეკილება, რომლებიც შემდეგ „დარბაზის ერის“ გავლენამ გაუძლიერა და ურიგო აღზრდამ განუმტკიცა. მამია სისხლით სულით და გულით ნამდვილი შვილი

იყო იმ არისტოკრატიული წრისა, რომლის ზეგავლენის ქვეშ ის 1853 წლამდე და შემდეგაც იმყოფებოდა. სიკვდილამდე არაფერი არ იზიდავდა მას ისე, როგორც ამ საზოგადოებაში ტრიალი; გაატარა თავისი სიყმაწვილე ამ წრეში, რომლის ცხოვრებაც ფუქსავატობის მეტს არას წარმოადგენდა. ჯან-ღონით და სიცოცხლით აღვსილმა ახალგაზრდამ იხილა თფილისის საზოგადოება, რომელსაც ის იყო თვალი ოდნავ აეხილა და ადამიანურ ცხოვრებას ეპირებოდა. და მისი ხორცშესხმული პატრიოტიზმი, რომელსაც ძილში და ფხიზლად მხოლოდ სამშობლო აგონდება, მაინც იმ ფუჭ წრისაკენ მიისწრაფვის. იმ დროს, როცა თფილისის საზოგადოება შველას ითხოვდა, როცა მისთვის ჯან-ღონით სავსე ყოველი ყმაწვილი დაუფასებელი იყო, მამიამ თურმე შეიგნო ამ საზოგადოების სურვილი და საჭიროება, „სამშობლოს საქმეთა სიყვარული გულში ღრმად ნაიჭდია“, და გადგა განზე, ლოთობა-ქეიფზე ოხრავდა და თავის „კახაბერს სხვა კაცს“ იგონებდა. სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სამშობლოს სიყვარულია!

ამგვარად, თბილისის საზოგადოებამ მამიაზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია, მისი შეხედულება ცხოვრებაზე ვერ შესცვალა, ცხოვრების ახალი მოთხოვნილება ვერ დაანახვა, ვერ შეაგნებინა. ამის მიზეზი ცუდი აღზრდის და გავლენის გარდა, მამიას წლოვანებაც იყო; თვრამეტ-ცხრამეტი წლის ყმაწვილს მაინცდამაინც დიდ გამჭრიახობას და ხასიათის სიმტკიცეს ვერ მოვთხოვთ. მამია შეეიდა სამხედრო სამსახურში და ბევრ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. სამხედრო წრემ არამცთუ ვერ ამოშალა მასში წინანდელი გავლენა, კიდევ უფრო დაუმორჩილა პოეტი ამ გავლენას; შინ შეძენილი რწმენა და შეხედულობა აქ უფრო განუმტკიცდა, ძვალ-რბილში გაუჯდა და ჭეშმარიტ მცნებად გადაექცა. მესამოცე წლებში მამია რამდენსამე ხანს თავისუფალი იყო; შეეძლო საზოგადო ასპარეზზე გამოსულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ საზოგადო საქმეში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არაფერი გაუკეთებია. აქვე, რამდენადაც შემეძლო, უნდა აღმენიშნა ჩვენი ცხოვრების ტიპიური მხარეები მესამოცე წლებში, მაგრამ რადგანაც ამ ცხოვრების მიმდინარეობაში მამიას მონაწილეობა არ მიუღია, ეს ცხოვრება მას არ იზიდავდა და გავლენაც მაზე ვერ იქონია, ამიტომ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი მხარეების აღნუსხვა უფრო საფუძვლიანად მიმაჩნია შემდეგ, როცა მამიას პატრიოტულ „თემაზე“ მექნება მსჯელობა.

როგორც დავინახეთ, მემკვიდრეობით მამიას ჰქონდა მიდრეკილება ამპარტავნობა-ბრძანებლობისაკენ. უხეირო აღზრდამ და გავ-

ლენამ ამგვარი თვისებანი განუძლიერა, სასახლის არისტოკრატიამ მას შეაყვარა ფუქსავატი ცხოვრება. ჩაუნერგა ის შეხედულება, რომლებიც მამიას მთელ თავის თხზულებაში გაჰყავს. თუ მხედველობაში მივიღებთ, ამათ გარდა, იმ გარემოებას, რომ მამიას პოეტური ფანტაზია სუსტი აქვს და ბაირონისა და ლერმონტოვის წაბაძვა უყვარს, მამიას პოეზია და მისი მოტივები ჩვენთვის დაახლოებით ახსნილი იქნება, და თამამად ვიტყვით, რომ ამგვარი ფაქტორების ძალით მამია სწორედ ისეთი პოეტი უნდა გამოსულიყო, როგორიც დღეს არის.

მამიას ორიგინალურ ნაწარმოებში უმეტესი ნაწილი წვრილ ლექსებს უჭირავს. ერთ ნაწილს პოეტი მიუძღვნის ნაცნობებს და ნათესავებს, მეორე ნაწილი სხვადასხვა საგანზე არის დაწერილი. გარდა რამდენიმე ლექსისა, მათი წაკითხვით თქვენ სულს და გულს არაფერი ეძლევა, რადგანაც უმეტესის დედააზრი სუსტია, უმნიშვნელო. ზოგიერთი ლექსი თქვენ გონებაში სრულ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, რადგანაც შიგ რამდენიმე აზრია არეულ-დარეული: პოეტმა თუ პატარა ლექსში რამდენიმე აზრი გაატარა და ზოგს თავი წააგლიჯა, ზოგს ბოლო — რა უნდა გამოიტანოს იქიდან მკითხველმა? მაინც უმთავრესი საგანი ამ წვრილი ლექსებისა არის ქალი, მოტივი—სევდა. საჭიროა დავინახოთ, როგორ უყურებს მამია ქალს და რა სარჩული უდევს მის სიყვარულს ამ სქესისადმი? პოეტი არჩევს ქალში სულიერ და ფიზიკურ მხარეს. როგორც გონებრივ და ზნეობრივ არსებას, ქალს ის ძალიან დაბლა აყენებს; აღიარებს, რომ მას ზეცით უხვად ბოძებული აქვს „ღვთაებრივი ძვირფასი ნიჭები", მაგრამ ამ ნიჭს ის ვერ ცნობს, არ შეუძლია და არც უნდა მით ისარგებლოს. როგორც ჩიტი, ისიც არხეინად სუნთქავს, ფრინავს, ხან ერთ ყვავილს დასჭიკჭიკებს, ხან მეორეს, ყოველისფრით სარგებლობს, დარდი არაფრისა აქვს, მხოლოდ თავის სურვილებს მისდევს დაუღალავად; ამ სურვილების ერთადერთი შინაარსი ტრფობაა. მას არ ესმის „მოძმის ტანჯვა, სამშობლოს გასაჭირი, წინაპრების თავდადება", ის არ არის იმგვარ არსებად გაჩენილი, რომ, — მის სმენას

მაღლის სულის განრისხება,
მისი გულის ზღვებრივ გრგვინვა, —

შეეხოს; ყოველივე, რაც ტრფობას არ შეეხება, მისი „მოსაზრების გარეთ რჩება". მამიას არ სწამს „ქეკლუც ქალების მონდობა, განწირულება, დიაცთა სირცხვილ-ნამუსი". მისი მოწიფული ქალი მხიარულად გაიძახის:

საბრალოა ყველა ქმრები,
თუ ჩვენ ერთგულად დაგვსახა.

პოეტის თვალში ქალები ხარბები, სიმდიდრის მონები და, წარმოიდგინეთ, — კაცობრიობის დამცემნიც კი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ქალების სულიერი მხარე ამდენად დაცემული ყოფილა, მამიას ისინი არც ეზიზღება, არც ძულს, არც ებრალება; მათი სულიერი დაცემა მას გულს არ უმღვრევს; პირიქით, „თქვენ, მეტო ყოვლის ქებისა“-ო, ეუბნება მათ პოეტი და გამოუტყდება:

მეფე რომ ვიყო, ეუფლებდე
სრულიად ცისა ქვეშეთსა,
უსაზღვრო ნებით ვსუფევდე,
გიბატონებდი შენ ერთსა.
ღმერთი რომ ვიყო, ერთ წამზედ
სრულ ვყოფდი ყოველ შენს ნებას.
შენ გაუფლებდი ზეცაზედ
და თვით გიწყებდი ვედრებას.

ვინა ამდენად დაცემული არსება გაღმერთებისა და ვედრების ღირსიაო, გაიძახის გულმოსული მკითხველი. დიახაც არისო, გიპასუხებთ პოეტი: რადგანაც ქალი ლამაზია, თავისი სიმშვენიერით ყველას ხიბლავს, ყველას გულს უტოკებს, სვე-ცხოველებას იძლევა, მხატვრის მეჩანგის ნიჭის აღმაფრთოვანებელიო. მკითხველი მაინც თავისას არ იშლის: მჯერა, რომ სილამაზეც ღირსებაა, მარა ისეთი დიადი კი არა, რომ სულიერი სიმახინჯე სრულიად გამოიყიდოსო. თურმე მკითხველი შემცდარია, რადგანაც პოეტის აზრით, ქალი მხოლოდ ვნებისათვის, სქესობრივი ინსტინქტის დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი; მისი დანიშნულება მხოლოდ ეს არის და არა სულიერი ღირსებების გამოჩენა. ქალის სულიერი სიმახინჯე მხედველობაში არ უნდა მივიღოთ, გვეუბნება მამია, რადგანაც მისი დანიშნულება ვნებათა დაკმაყოფილებაა მხოლოდ: ის ამ დანიშნულებას კარგად ასრულებს, „ტრფიალთა ვნებით ადნობსო“. ყოველი ადამიანი, რომელიც სინდისიერად ასრულებს თავის უზენაეს მოწოდებას, დიდების ღირსია, ამიტომაც აღმერთებს ქალს მამია და—

თავის ლამაზი მტერისა
სამარადისოდ ერთგული არის.

სილამაზის გარდა ქალში სხვას არას ეძებს პოეტი; უყვარს ის და მისი სიყვარულიც წყურია მხოლოდ იმიტომ, რომ ის ლამაზია. ნეტარებით იგონებს, რაც მათი „ეშხით სიამოვნება გამოუცდია“, „კეკლუცთ ტრფობაში სურვილის მოკვლას“ არ გაურბის და ჩვენც გვირჩევს, ნურც თქვენ გაექცევითო. ამგვარად, მამიას სიყვარულიც ქალებისადმი მხოლოდ ფიზიკურ მხარეზეა აგებული და, მაშასადა-

მე, ეროტიულია, პირუტყვული. რამდენად მართალია აზრი და შეხედულება ქალის სულიერი თვისებისა და მისი დანიშნულების შესახებ, რამდენად სიმპათიურია მისი სიყვარული ამ სქესისადმი, მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მამიას ლექსების უმთავრესი კილო, სხვათა შორის, სევდაც არის. მამია ხშირად ოხრავს, მისი გული მწუხარებით და სევდით აღვსილია, მაგრამ მისი ამგვარი ლექსები თქვენ გულში შესამჩნევ თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს; მათ აკლიათ რაღაც, რაც სევდაზე აგებულ პოეზიის სულსა და გულს შეადგენს. პოეტის სევდა თითქო ბუნებრივი არ არის, ან ძალდატანებულია, ან გაზვიადებული და ამიტომ თქვენს გულს ვერა ხვდება და პოეტის ტანჯვას ვერ გაგრძნობინებთ. ხანდახან მამიას სულისკვეთება თითქო უკანასკნელ საზღვარს აღწევს, პოეტი სიკვდილსაც კი ნატრობს, მაგრამ ამგვარი წუთები მას მხოლოდ მგზავრულად თუ ესტუმრება, ისიც ძალიან ძვირად. ასეთი სულისკვეთება არ შეადგენს მის ორგანულ თვისებას, როგორც, მაგალითად, ეხედავთ ბარათაშვილში, რომლის ყოველი ლექსი სევდასა და მწუხარების კანვაზეა მოქარგული, მამიას შინაგანი არსება პესიმისტურად სრულიადაც არ ყოფილა მომართული. ის ტკბება გაფურჩქნული ვარდის ხილვით და ამავე დროს კარგად იცის, რომ ეს ვარდი მალე დაჭკნება, მოისპობა; შეჰხარის ლამაზ ქალს, თუმცა მშვენივრად იცის, რომ ისიც დაბერდება, და მის ალაგს სხვები დაიჭერენ; ამგვარი მოფიქრება მის მხიარულებას სევდის ბურუსით უბრალოდაც ვერ ჩრდილავს. პუშკინსაც კი, რომელიც სრულიად არ ყოფილა პესიმისტი, ასეთი ფიქრები გულს სევდით უვსებენ; თუმცა მისი სევდა გულგატეხილი, ყოველისფერზე იმედდაკარგული ადამიანის გულიდან ამონაკვნესი არ არის და მასში ნათლად გამოსჭვივის იმედი უკეთესი მომავლისა. მაგრამ რაც უნდა იყოს, სევდა სევდადვე რჩება. ბუნებით მამია მელანქოლიკი არ ყოფილა, რომ ყოველგვარ მოვლენაზე სევდის პრიზმით ეცქირა. იმ საზოგადოების ცხოვრებას, რომელშიაც პოეტი ტრიალებდა, ის ძალიან არ უკვირდებოდა, რომ შიგ რამე სევდის გამომწვევი დაენახა. თუ საქართველო დაცემული იყო, პოეტის აზრით, ეს მოფიქრება მხოლოდ წარსულის დიდებასა და აწმყოს გინებას იწვევდა მასში და არა იმ სევდას, რომელიც გულიდან წყნარად გამოდის. მთელ ტანს დაუელის და ნაზად ღრღნას დაუწყებს. ის არ იყო იმდენად განათლებული კოსმოპოლიტი, რომ მთელი კაცობრიობის ინტერესები და ცხოვრების მსვლელობა გათვალისწინებული ჰქონოდა და ამ ცხოვრების ბნელ მხარეებს მისი გული დაეწყლულებია. მის სევდას პირადი ნიადაგი აქვს. პოეტი

მეტისმეტად ამპარტავანი და თავმოყვარეა. უნდა, რომ მისი ცხოვრების გზა სულ ვარდით იყოს მოფენილი; უცებ ეწყინა რამე, დაიწყო გოდება და რაშიც წინათ სიტკბოებას ჰპოებდა, ახლა ძირმწარედ მიაჩნია. გაიარა ერთმა წამმა, პოეტი დამშვიდდა და ისევ მხიარულად მღერის: ხომ ვხედავთ, რომ ყოველივე წარმავალია, ვიქეიფოთ, ვიმხიარულოთ, დავტკბეთ, ამოვწოვოთ მას, რის ამოწოვაც კი შეიძლება, აქ ვცხონდეთ და იქ ცხოვრებას თავი დავანებოთო. ისეთი ელვასავით უცებ აფორიაქებული და უცებვე ჩამქრალი სევდა ჩვენ გულს ვერ ააღელვებს და შიგ თანაგრძნობას ვერ დაბადებს. გარყვნილ კაცებს ხშირად თავი მოუკლავთ მწუხარებით, როცა ყოველგვარი წყარო დაშრობიათ თავის დასატკბობად, მაგრამ თანაგრძნობას კი ვერავის გულში ვერ დაბადებენ ისინი. მართალია, უმეტეს ნაწილად, სევდა-პესიმიზმის მიზეზი პირადი უკმაყოფილებაა, კერძო უბედურებაა, მაგრამ ამგვარი ადამიანი მხოლოდ მაშინ აატოკებს ჩვენ გულს და გადასცემს მას თავის მწუხარებას, თუ ეს უბედურება საგრძნობელია მართლა და მის უკმაყოფილობასაც ღირსეული სარჩული უდევს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინ იმყოფება ადამიანი, რომელიც ჩაგრულთა და დავრდომილთა დაფარვისათვის სასიკვდილოდ დაჭრეს და ავაზაკი, რომელმაც სახლი გაცარცვა, შიგ მყოფი ხალხი დახოცა, მაგრამ მოასწრეს, გადმოხტა ფანჯრიდან და დაიმტვრა; როგორც უნდა გიმტკიცებდეთ საღი გონება, გაჭირვებაში ყველა ერთნაირად უნდა გებრალებოდესო, გრძნობისათვის ამგვარი მტკიცება სრულიად უმნიშვნელო იქნება: პირველი უბრალო თანაგრძნობას კი არა, ცრემლებსაც კი გამოიწვევს თქვენს თვალზე, მეორის შესახებ კი შეიძლება ასეც თქვათ: ახია შენზეო, თორემ სიბრალულს ვინღა ჩივის. მამიას სევდაც გამოიწვევდა ჩვენ თანაგრძნობას, რომ ამ სევდის გამომწვევი გარემოებანი ღირსეულნი იყვნენ. მაგრამ უმნიშვნელო მიზეზები მას უცებ გულს მწუხარებით უვსებენ, მეორე წამს ისევ მხიარულ კილოზე მღერის, როგორც მისი რაშიდი:

ბრძოლას, ტრფიალსა, ლოთობას, ლხენას
გადაუხადე საკმაოდ ვალიო.

და აქ რომ თანავუგრძნოთ, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ მამიას სულის ობლობას სულის ობლობა არ ეთქმის; მისი მიზეზია სრულიად უბრალო გარემოებანი, უცხოელი პოეტებისადმი მიბაძვა და კიდევ ის გარემოება, რომ ზოგიერთ მწერალს, ბრანდესის სიტყვით, საშინლად უყვარს, მკითხველს ისე კი არ გააცნოს თავი, როგორც ნამდვილად არის, არამედ ისე, როგორიც სურს რომ

იყოს: ან უფრო მგრძნობარედ და მელანქოლიკად, ძველებური მოდის მიხედვით, ან უფრო გამოცდილ, გულქვა და მიუკარებელ პირად, როგორც ახლა იქცევიან. მამია კი როგორც ყველაფერში, ისე აქაც ძველი მოდის მიმდევარია.

*

წვრილ ლექსებში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს „ადამიანი". ეს ლექსი საუკეთესოა, როგორც გარეგანი ფორმით, ისე შინაარსით. ერთ-ერთ ამ თვისებათაგან კი მამიას ლექსები ხშირად მოკლებული არიან. ამ ლექსის შინაარსი შემდეგია: რა ბედნიერებაში ან უბედურებაშიც უნდა ჩაგაყენოს ბედმა, ყველგან უნდა გახსოვდეს, რომ „შენ ხარ მხოლოდ ადამიანი"; ადამიანის სახელის ღირსეულად ტარებისათვის კი საჭიროა გწამდეს იდეალი სიმართლისა, მოძმეთა და სამშობლოს სიყვარულისა. აზრი ღრმა ფილოსოფიურია, რომელიც სტოიკების მოძღვრებას წააგავს. ამ ლექსში ნათლად არის გამოხატული მამიას ზნეობრივი შეხედულება ადამიანის დანიშნულებაზე. ამგვარი აზრი და ასე მკაფიოდ მას არც ერთ თავის ლექსში არ გამოუთქვამს:

ცხოვრების მიზნად სიმართლე გიჩნდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად:
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუკი გსურს გახდე ადამიანად.

რაც შეეხება „ქობულეთურ ყანის სიმღერას", რიგიანია, მაგრამ მის ლირიკას „ჩინებული ლირიკა" არ ეთქმის. ის თქვენი გულის სიღრმემდის ვერ წვდება, რადგანაც ამ სიტყვების თქმის დროს თვით ყანის მუშის გულიც არ ივსება სევდით: ის ყანას დამღერის თავს და ამ დროს სასიმღერო სიტყვები, ათასი მწარე და სევდიანიც რომ იყოს, მხოლოდ გარეგანი ფორმა იქნება, რომლის შინაარსსაც მომღერლის სულიერ მდგომარეობასთან საერთო ბევრი არა ექნება რა; მისი გული ამ დროს იმედითა და ნუგეშით იქნება აღვსილი. ამგვარია ყანის მუშის ფსიქოლოგია. რაშიაც დამეთანხმება ყველა. ვისაც ყანაში მუშების სიმღერა გაუგონია. რაგინდ ნაღვლიანიც იყოს სიტყვები, თვით სიმღერის კილოც, მომღერლების სახე ამ დროს ყოველთვის მხიარული და იმედის გამომხატველია. სხვა ალაგას რომ ამბობდეს ამ სიტყვებს გლეხი, მაშინ სხვა არის, მაგრამ ახლა როგორ გვაგრძნობიებს მას, რასაც თვითონ არა გრძნობს. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, შეადარეთ ეს ლექსი რაფიელის რომელსამე ლექსს, ამგვარი შინაარსისას, და დაინახავთ, ნამდვილი

ლირიკა, გლეხის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი როგორი უნდა.

მამიას ზოგიერთი პატრიოტული ნაწარმოები, როგორც, მაგ., „კარჩხალის მთები", „ალავერდი", წრფელის გულიდან არის აღმონაკვეთი, მძლავრი და ამიტომ გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე სხვა ლექსები: აქ არის მართლა პოეზია, მხოლოდ აქ არის მამია პოეტი, მამიას მთელი არსება სამშობლო სიყვარულით გამსჭვალულია, მისი მიზეზით „ადიდებს ღმერთს" და მისი აწმყოთი გულგატეხილს ყოველივე, რაც კი იმის წარსულ დიდებას მოაგონებს, მის გულში მეტ გრძნობას იწვევს, დიად შთაბეჭდილებას ახდენს, მის ძალას და ყურადღებას იპყრობს. ამიტომაც ზოგიერთ პატრიოტულ ლექსში, რომელშიაც მამია ამგვარ გრძნობას სრულიად ემორჩილება და მეტს არ ცდილობს, არ აზვიადებს, პოეტი მშვენიერია. მამიას პატრიოტული ლექსები და პოემები შინაარსის მხრივ ორ ნაწილად განიყოფებიან: პირველში ის გვიხატავს მამულის ახლანდელ დაცემას, დაუძლურებას, გვაგონებს წარსულ დიდებას, ძლიერებას (ბაირონის „გიაურიდან", „კარჩხალის მთები", „პოეტი და ჩვენება"). გადაავლებს თვალს საქართველოს და ყოველი კუთხე მოუთხრობს მის ძველ დიდებას; ჩაუკვირდება ახლანდელ საქართველოს და გულდამწვარი ამბობს:

მაგრამ, ვგრძნობ, ვინც მგრძნობელობს ცხოვრებას,
ჩემთანა ერთად დაღვრის მწარ ცრემლებს.

მის თვალში ერთი ნაწილი ქართველობისა „მატლჭიები დაგლახებულნი, ყმები, — არა ტყვენი ყმებისა, შემარცხვენელი თვისის ქვეყნისა" არიან. მას ვერც კი მოუნახავს შესაფერი სახელი ამ ადამიანების დამცირების გამოსახატავად. „კარჩხალის მთებში" პოეტი აგვიწერს საუცხოოდ და მართლა პოეტური ხელოვნებით უმაღლეს მწვერვალებს და ჩამოგვითვლის იმ საუკეთესო ხანას და გვირებს, რომელთა მოწამეც ეს მთები არიან.

საქართველოს აწმყო კი მათ
გულსა უძრავენ, აუტოკებენ.
და შავ ღრუბლებით შემოსილები
მგლოვიარენენ, წყევლიან ბედსა.
დღეს თავდახრილნი, შერცხვენილები,
ისევ ღრუბლებში იმალვენ ქედსა.

ამგვარად, პოეტი თავისი დროის საქართველოს ძალიან ემდურის. მამია თავისუფლებას ყოველისფერზე მაღლა აყენებს, ყოველისფერზე მეტად აფასებს:

მე სულ სხვა მინდა სანახავები,
მრავალი ხალხი ერთად ხარობდეს,
დაუწყობელი თუნდ იყოს ხმები,
მხოლოდ უფლებას თვისას ჰგალობდეს. —

ამბობს პოეტი ერთ თავის ლექსში და იქავე უმატებს:

...მეგობრობას, ძმობას, ერთობას
უშიშრად მაღლად განაცხადებდესო.

ის კი ავიწყდება, რომ, საცა თავისუფლების გალობაში ხმები ერთმანეთს არ ეწყობა, იქ მეგობრობის, ძმობის და ერთობის უშიშრად მაღლა განცხადება ყოვლად შეუძლებელია, რასაც თვით საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი დღეები მშვენიერად ამტკიცებენ. მეორე მიზეზი პოეტის უკმაყოფილობისა პირადი ნიადაგია. პოეტი სიყრმიდან „აღზრდილია ბრძანებლობაში“, „მამისაგან ნაანდერძევი“ აქვს თავისუფლების სიყვარული, „მტრის სიძულვილი“. კარგად ხედავს, რომ, —

ის სახელ-გვარად
ვინ იყო მთავრად
მპყრობის გურიის, ჩაქვ-აჭარისა,
ჰგავს იმას, მარა
არვინ ამთავრა
არც არის მეფე ზღვა ლაშქარისა.
არც აქვს ბათომი,
არც პალო რკინის.

ამიტომ თავმოყვარე და ამპარტავანმა პოეტმა საქართველოს აწმყოს დაფასებაში პირადი ინტერესები რომ არ გაურიოს, რომ არ ინატროს ის დრო, როცა ის „მპყრობელი გურიის, ჩაქვ-აჭარისა“ იყო, შეუძლებელია. ამ მიზეზმა შეაყვარა წარსული ამ საუკუნის ჩვენ თავადობას და გული ააყრევინა აწმყოზე, რადგანაც თავის მნიშვნელობის დაკარგვას ვერ შერიგებოდა: ჩვენი აზრით, ეს ორი მიზეზი, მამიას პატრიოტული ლექსების სათავეა. „ჩემი ალავერდისთანა“ ლექსებს დღეს ჩვენთვის მნიშვნელობა აღარა აქვს. მისი ბოსმენა აღტაცებაში მოგვიყვანს, მაგრამ ეს აღტაცება უცებვე გაგვიქრება. ჩვენი ცხოვრება გადასხვაფერდა, სხვანაირად დატრიალდა:

სადაც აქამდის ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მართავს აწ ხელი.

ქართველობამ მყუდრო ცხოვრება იგემა, განვითარების გზას დაადგა. გარემოებამ მოითხოვა ისეთი პოეტები და დამრიგებლები, რომლებმაც ჩვენ ახალი ცხოვრების კარგი და ცუდი მხარეები უნდა

გაგვითვალისწინონ, გასაკვლევი გზა დაგვანახონ, დროის შესაფერ იარაღზე მიგვითითონ და მისი ხმარება გვასწავლონ. მამიას გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს ჩვენი წარსულის შესახებ და აწმყოსაც ძალიან ამცირებს. ნამდვილად კი ჩვენ წარსულს არც ისეთი ბრწყინვალე გვირგვინი ადგა თავს, როგორც მამიას ჰგონია; აწმყოც არც ისე უნუგეშოა, როგორც მამია გვიხატავს. მეცხრამეტე საუკუნე პირდაპირი ნაყოფია მეთვრამეტესი; ამიტომ სამართლიანობა და ლოგიკა მოითხოვს: თუ გვინდა ჭეშმარიტი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი ახლანდელი ცხოვრების შესახებ, მეცხრამეტე საუკუნე თამარ მეფის ხანას კი არ უნდა შევუდაროთ, არამედ მეთვრამეტის გასულს; საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა საქართველო ამ დროს, როგორის ძალღონით, წესწყობილებითა და ქონებრივ-გონებრივი სიმდიდრით გადმოდგა ფეხი მეცხრამეტე საუკუნეში. როგორც სხვა დროს, ისე მეთვრამეტე საუკუნეშიაც საქართველოს ყოველ კუთხით ესია აუარებელი მტერი და ერთ წამსაც არ აძლევდა მას მოსვენებას. გარეშე მტერსაც რომ თავი დაენებებია, საქართველო მაინც ვერ მოისვენებდა, რადგანაც დინასტიური სისხლისღვრა, სასახლის ინტერესები, მოურავებისა და ნაცვლების ძარცვა-გლეჯა მას მუსრს ავლებდა და სამარეს უთხრიდა. თუ გარეშე მტერი ძლიერი იყო, ძლიერი იყო შინაური მტერიც, რომელსაც ქვეყნის სათავეში მდგომი პირები წარმოადგენდნენ. ერთ მხარეს რომ გარეშე მტრისაგან მოყენებული ზარალი დაედვათ და მას შინაური მტრის ნამოქმედარი ავუწონოთ, ძნელი სათქმელია, რომელი დასძლევს. მეფე გაჭირვებაში იყო და თავადაზნაურობას დახმარებას სთხოვდა; ისინიც ეხმარებოდნენ, მაგრამ, რასაც მეფეს აძლევდნენ, ორ იმდენს გლეხების კისრიდან იღებდნენ. როდესაც ირაკლი მოხუცდა და მამულის უბედურებამ სიცოცხლე მოუწამლა, ორგულთა მოქმედებამ ერთიორად იმატა და, რაც მტერს გადაურჩა მათ ირგეს; მტრისაგან გადამწყვარ მამულზე მათ ხელი მოითბეს. ამგვარ წყობილებაში ხალხის კეთილდღეობა შეუძლებელი იყო. მართალია, კანონები კარგი და სწრაფი იყო მაშინ, მაგრამ მათ აღარავინ ასრულებდა. ავიდა გიორგი ტახტზე. თუმცა მეტად კეთილი კაცი იყო, მაგრამ მას ბერის ტანისამოსი უფრო მოუხდებოდა ვიდრე მეფის გვირგვინი. ქვეყნის მართვა ნათესავებსა და კარისკაცებს მიანდო[1]. ისინიც სარგებლობდნენ მეფის სისუსტით, თამამად დანავარდობდნენ საქართველოში და მისი სახელით ყველას ტყავს აძრობდნენ.

გადმოდგა საქართველომ მეცხრამეტე საუკუნეში ფეხი, პო-

---

[1] ცხოვრება გიორგი XIII, პლ. იოსელიანისა.

ლიტიკურად მოკვდა, სამაგიეროდ გარეშე მტერი გაბრუნდა, დინასტიური ბრძოლა მოისპო, გადამტერებული ნაწილები დაშოშმინდნენ. გარეგანი და შინაური მყუდროება დამყარდა. გლეხი თავის ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგა. თავადაზნაურობამ კი ძველი მნიშვნელობა დაკარგა. ვინც ლუარსაბივით შინ ჯდომა არ ისურვა, სამხედრო და საერთო სამსახურს მიაშურა; სამსახურისათვის კი საჭირო იყო სწავლა, განათლება. ამიტომ ჯერ თავადაზნაურობაში დაიწყო მოძრაობა სასწავლებლისაკენ; თუმცა მაშინდელი განათლება მაღალი ღირსებისა არ ყოფილა, მაგრამ სულ არაობას ჯობდა! განათლების საჭიროება თანდათან ძლიერდებოდა, მსურველთა რიცხვიც მატულობდა. სკანდელს უკვირს, რომ მეორმოცდაათე წლების ახალგაზრდობამ მარტო გარეგნობას მიაქცია ყურადღება და ამიტომ ლანძღავს მას. დღევანდელი ახალგაზრდობაც თუ მხოლოდ გარეგნობით იკვებება, გასაკიცხია, მაგრამ მეორმოცდაათე წლების ახალგაზრდობა თუ მარტო გარეგნობის მეტს ჯერ ვერას ხედავდა, ამაში გასაოცარი არაფერი არის: პირიქით, სრულიად ბუნებრივი შედეგია ახალი ხანისა ქართველობის ცხოვრებაში.

მოწინავე პირები, რომლებიც მაშინ ჩვენი ცხოვრების სათავეში იდგნენ, კარგად ხედავდნენ, რომ ძველი, მამულის დამღუპველი ელემენტები თანდათან ისპობოდა, ისტორიული ევოლუცია ჩვეულებრივ გზას ადგებოდა; ქართველობა პროგრესიული ცხოვრებისაკენ მიიწევდა. მათ იფიქრეს: ჩვენ თუ ხალხს ხელი შევუწყვეთ ამ გზაზე სასიარულოდ, დავეხმარეთ, თავისი ინტერესები, უფლებანი შევაგნებიეთ, გაჩნდება ახალი საიმედო ელემენტები, საზრიანად და მტკიცედ მოვიხვეჭავთ კეთილდღეობას და დაცემულ მამულს აღვიდგენთო. გაჩნდნენ ჩვენში სხვა აზრის და მიმართულების მამულისშვილები, რომლებიც ხალხის ბედნიერებისა და ეროვნული იდეის შესისხლხორცებისათვის საუკეთესო საშუალებად სწავლა-განათლების გავრცელება, ბატონ-ყმობის მოსპობა, ეკონომიური წარმატება, ვაჭრობა-მრეწველობის ხელის შეწყობა და სხვ. მიაჩნდათ. რომ უკეთ შეეგნოთ, რა იყო ხალხისათვის დროის შესაფერად უფრო საჭირო, ისინი თვალყურს ადევნებდნენ რუსეთის ცხოვრებას და ყოველი პროფესიული მოძრაობა იქაური შეძლებისდაგვარად ჩვენში გადმოჰქონდათ, მცირეოდენი ცვლილებები, მაგრამ ცხოვრებაც იცვლება და დროის შესაფერი ცვლილება რწმენასა და შეხედულებაში საჭირო კი არა, აუცილებელიც არის. იმ დროიდან მოკიდებული ამგვარი იდეა ჩვენ მოღვაწეებს დღემდის ამოქმედებს. საქართვე-

ლოში არ იყო თეატრი. ჩვენმა მოღვაწეებმა დააარსეს თბილისში თეატრი და ახლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიაც კი იბადება სცენის-მოყვარეთა გუნდები, რომლებიც ხალხს წარმოდგენას უმართავენ. „ლიტერატურამ უნდა დაისახოს ცხოვრებასთან დაკავშირებული ლოგიკური მიზანიო“ ამბობს დანიის კრიტიკოსი ბრანდესი. ახალმა ხანამ წარმოშობა მწერლები, რომლებმაც შეიგნეს თავისი დანიშნულება, ლიტერატურა ცხოვრებას დაუკავშირეს, დაიწყეს ამ ცხოვრების ახსნა, სხვადასხვა პრაქტიკული კითხვების წამოყენება, გადაჭრა და დროის შესაფერი აზრების ცხოვრებაში გატარება. ჩვენმა ლიტერატურამ ამგვარი მიზანი დღემდის შეირჩინა და დღეს მას უფრო ვრცელი სარბიელი აქვს, ვიდრე აქამდის. დაიწყო რუსეთში მოძრაობა გლეხობის გასათავისუფლებლად. ამ მოძრაობამ ჩვენშიაც იჩინა თავი. ჩვენშიაც აღორძინდნენ დასები, თუ შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ იმ პატარა წრეებს, რომლებიც მაშინ საზოგადო ასპარეზზე გამოვიდნენ სამოღვაწეოდ და გლეხობის განთავისუფლებას ნიადაგის მომზადება დაუწყეს. ისინი ცდილობდნენ, ბატონყმობა მოესპოთ და „საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავადაზნაურობის წარმატების პრინციპი დაემკვიდრებიათ“[1].

ხელოვნურმა ლიტერატურამაც ხმა ამოიღო და სანტიმენტალურ-ტენდენციური გზა აირჩია. განთავისუფლდა გლეხობა და ამას თან მოჰყვა ხალხის გასანათლებლად ზრუნვა, ნელ-ნელა სასწავლებლების გახსნა სოფლებში. სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი მოძრაობა დაიწყო, რომელიც უარყოფდა წოდებათა განკერძოებით ყოფნას, მხოლოდ ერთი რომელისამე წოდებისათვის ზრუნვას და მისი სიმპათია ყველასათვის ერთნაირი უფლების მინიჭებისა და დემოკრატიული წეს-წყობილებისაკენ იყო. ხელოვნურმა ლიტერატურამაც მიმართულება იცვალა და რეალურ გზას დაადგა[2].

მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველობა სოფლის ხალხი იყო. დღეს კი ქართველობა თანდათან ტოვებს მამაპაპურ კერას და ქალაქებისაკენ მიეშურება, მოქალაქეობრივ ცხოვრებას ჰკიდებს ხელს. ეს მიმდინარეობა ქართველობისა, სოფლიდან ქალაქისაკენ, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მატულობს, იზრდება. თუ მეორმოცე წლებში საქართველოს დედაქალაქში ქართველობა მეხუთედი ძლივს იყო, დღეს თითქმის ნახევარია. საქართველოს ყოველ ქალაქში შედარებითი რაოდენობა ქართველთა და სხვა ტომთა შორის თანდათან კლებულობს ე. ი. ქართველობა მატულობს, რიცხვით

---

[1] იხ. „კვალი“ 97 წ. № 46

[2] ibid.

სხვა ტომს უთანასწორდება და შემდეგ, მგონი, კიდეც გადააჭარბოს. დღეს ქართველობა სამშობლოს ვიწრო ფარგალსაც გასცილდა და განჯაში, ერევანში, ბაქოში მიეშურება; ამასაც აღარ სჯერდება და ზღვას იქითაც მიდის ბედის საძებნელად.

მეცხრამეტე საუკუნემდე საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობა უცნობი ხილი იყო. თვით ის გარემოება, რომ ჩვენში მუდმივი ჯარი არ არსებობდა[1], ომის დროს ყველა, ვისაც კი შეეძლო, ჯარში უნდა გამოსულიყო, ყოველ გამოკვლევაზე ცხადად ამტკიცებდა, რომ ვაჭრობა მრეწველობა არათუ არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ამგვარ წესწყობილებაში. ეკონომიურად დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის ტენდენცია სამხედრო ცხოვრებისაკენ არის. ეს ტენდენცია ჩვენმა ერთმა დამოუკიდებლობის უკანასკნელ ჟამამდე შეინარჩინა.---ნებით თუ უნებურად, ეს. სულ ერთია. ფაქტი ფაქტად რჩება ორსავე შემთხვევაში; სანამ ეს ტენდენცია არ დასუსტდებოდა, ვაჭრობა ჩვენი ხალხის გულში არ დაიბადებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში ეს ტენდენცია თანდათან დასუსტდა, გლეხების განთავისუფლების შემდეგ თავის თავს ყველა თვითონ დაეპატრონა, ვაჭრობას და მრეწველობას ნიადაგი მოუმზადა; აღორძინდა, თანდათან ვითარდება, ძველ ცხოვრებას არღვევს, სხვადასხვა წოდებას ადნობს ერთად. რომ ჩამოასხას ის ელემენტები, რომლებიც ევროპამ დაბადა და ქართველობას აევროპიელებს. ეს გარემოებაც, სხვასთან ერთად, ნათლად ამტკიცებდა, რომ ჩვენი ცხოვრება უკან და უკან კი არა, თანდათან წინ მიდის. ერთობის იდეაც იბადება და ძლიერდება. დღეს გონებრივად და ქონებრივად ქართველობა დღითი-დღე წინ მიდის, გაევროპიელების გზას ადგას, რის შესახებაც ირაკლი II მხოლოდ ოცნებობდა: ჩვენს ეროვნებას ნიადაგი კი არ ეცლება, პირიქით, ასე მტკიცე, როგორც დღეს, სხვა დროს არც კი ჰქონია და, თუ ამ გზით ვიარეთ, რაშიც ეჭვი აღარ არის, ორგული, რამდენსაც უნდა ცდილობდეს დ, ლაპარაკობდეს, ამ ნიადაგს ვერ დაგვისუსტებს, რადგანაც მას ისტორიული პროცესი აშენებს და ამაგრებს. ახლა უკან მივიხედოთ და ჩვენ თავს დავეკითხოთ, როგორი ბიჯი წადგა წინ საქართველომ მეცხრამეტე საუკუნეში? პატარა, ევროპასთან შედარებით, რაც ის იყო მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში. ჩვენი დროის ქართველობა დღითიდღე მეტ იმედს იძლევა, დღითიდღე ემჩნევა, რომ მომავალი აქვს; მეცხრამეტე საუკუნის ქართველობამ საკუთარი ძალღონით მოირჩინა დასნეულებული ორგანიზმი, გადაარჩინა, თავი მოსპობას, გაქრობას და ახლა თანდათან წელში იმართება. მისი

---

[1] ირაკლი II დააარსა, მაგრამ მას შემდეგ ისევ დაიშალა.

ცხოვრება მოწინავე ერთა ცხოვრებას ემსგავსება, ქონებრივად და გონებრივად ევროპიელდება.

*

პირველი რიგის პატრიოტულ ლექსებს ეკუთვნის, სხვათა შორის, „პოეტი და ჩვენება". ბევრისაგან გამეგონა ამ პოემის ქება, მაგრამ პირველად რომ წავიკითხე, მოლოდინი არ გამიმართლდა. უსათუოდ ვცდები-მეთქი, ვიფიქრე და რამდენჯერმე გულდასმით გადავიკითხე, მაგრამ უფრო დავრწმუნდი, რომ მამიას დიდი პოემის შექმნის ნიჭი არა აქვს. ჩვენთვის ყოველ ეჭვსგარეშეა, რომ მამიას თავისი ფიცის იდეა დემონის ფიცმა შთააგონა, და, მხოლოდ ამ ფიცის შესახებ არის მართალი ბიოგრაფის სიტყვები: „ღვთაებრივი ძალა შეეხო მამიას მხოლოდ რამოდენისამე წამით, მაშინ როდესაც ქმნიდა იგი „პოეტსა და ჩვენებასო"; რადგანაც ცარიელი ფიცი პოეტს უთაოდ ეჩვენა, მოინდომა თავის მოკერება, შექმნა ნაძალადევად ფანტასტიური პოემა და ძალიან წააგო. პოემა განიყოფება ორ ნაწილად, პირველია პოეტისა და ჩვენების საუბარი, მეორე — ფიცი; პირველი ხელოვნებასა და პოეზიას მოკლებულია; შეხვდებით შიგ ისეთ უხეირო შედარებებს, როგორც, მაგალითად:

> როგორც რომ მთვარე ღამის მოგზაურს
> ბნელსა უნათებს, აჩვენებს გზასა,
>
> . . .
>
> როგორათაც მზე გაზაფხულისა
> ფაქიზსა სხივებს უხვებით აფრქვევს.
> ეგრეევ შენ უნდა ხალხისა ჭირი
> შემოიკრიბო, კისრათა იდო.

ფიცში კი მამია ნამდვილი პოეტია, მშვენიერი ხელოვანი: გვიხატავს ნათლად სურათს, გვიბადებს წრფელ და ჭეშმარიტ გრძნობას, გვინთებს გულში იმ ცეცხლს, რომელიც მის კალამს სულს უდგამდა. თვითონ ენაც იმდენად მძლავრია, ექსპანსიური და მხატვრული, რომ შთაბეჭდილებას გვიორკეცებს. მაგრამ რამდენადაც მძლავრია ფიცი ცალკე, იმდენად უალაგო და უფერულია მთელ პოემაში. ამგვარი პოემისათვის ასეთი ფიცი წასახდენი არ იყო. მოიგონეთ დემონი. ციდან დევნილი ობლად დადიოდა ქვეყანაზე და თავის გრძნობებს, „მსოფლიო ტანჯვებს" მით იოკებდა, რომ „განუცხრომელათ შურსა თესავდა", მაგრამ „ბოროტებაც ბოლოს შეძაგდა". თვალწინ განუშორებლად უდგა ნეტარი დრო, სამოთხეში გატარებული; ტანჯვა ვერაფრით დაეამებია, მწარე ფიქრებს ვერსად დამალვოდა, ამ დროს პირველმა სიყვარულმა გული გაუთბო, დაებადა

იმედი; თამარის ერთი სიტყვა მას „კეთილობას, თვით ზეცას ც“ დაუბრუნებდა, ოღონდ კი მან დაარწმუნოს თამარი თავისი გრძნობის სიწრფელესა და კეთილის მტრობის დაგდების სურვილში. ამის შემდეგ მისი ფიცი, რაც უნდა გადაჭარბებული იყოს, მაინც ბუნებრივი და წრფელის გულიდან წარმონადგენი იქნება: რაც უნდა გააზვიადოს, მაინც ვაპატივებთ, თუ მის მდგომარეობაში შევალთ. მამიას ფიცი კი პოემაში უალაგოდ მიგვაჩნია. გასაოცარია სწორედ, რისთვის დასჭირდა პოეტს ასეთი მრგვინავი სიტყვები: წინაპრების ძვლების საფლავებში შეშფოთება, როდესაც ჩვენება მისებური სიტყვის მეტს არაფერს ითხოვს? ჩვენება თვითონ მორბის მასთან და პოეტი მას სრულიადაც არ ეძებს; იმის მაგიერ, რომ ჩვენებას მიმართოს თხოვნით, პოეტი ეგება მას ფეხქვეშ და უშველებელ ფიცს აძლევს.

პოეტი ჩაფიქრებული ზის; გამოეცხადება ჩვენება და, აი, რა სიტყვებით გაუმასპინძლდება მას პოეტი:

ეშმაკის ელჩსა მიემსგავსები,

როცა ჰაერში მხიარულდები,
რა იცი მაშინ, მე აქ რა მჭირდა.
ეკვდებოდი, ვმღერდი, ან თუ მარჩობდენ, — ღ

შემდეგ ირონიულად დასძენს:

არ შეიძლება, გაგვაგებიოთ
იქ, თქვენსა, ღმერთნი რაზედ ჰფიქრობენ?

აშკარაა, პოეტს ჩვენების მოსვლა დიდად არაფრად ეამა. მაშ, არც მისი წასვლა უნდა წყენოდა. მაგრამ დააპირა თუ არა ჩვენებამ წასვლა, ამპარტავანი პოეტი ერთბაშად სრულიად გამოიცვალა, მორთო ყვირილი, „წინ უვარდება მუხლმოდრეკილი“ ჩვენებას და შებრალებას თხოვს. ასეთ მოულოდნელ და გასაოცარ ცვლილებას, აი, როგორ გვიხსნის პოეტი: „მწეს ვერ ვხედავდი ჩემს განკარგულებაში და მხოლოდ ხმიანი მჭირდა მგრძნობიო“. ეს რომ მართალი იყოს, „ზეცისა შვილათ დანასახავი“ ჩვენების მოვლენა ალიან უნდა გახარებოდა; ჩვენ კი ვნახეთ, როგორც მიიღო. ამგვარი თავისმართლება ტყუილია; პოეტი გულწრფელად არ მოიქცა. მიზეზი სულ სხვა იყო: მის გულში იმხელა ფიცი აღარ ეტეოდა და შემთხვევას ეძებდა, რომ ვისმეს წინაშე წარმოეთქვა, შემთხვევა გამოუჩნდა, მაგრამ მოუფიქრებლობით ხელიდან გაუშვა. რაღა ექნა? ერთი გზაღა დარჩენოდა უნდა მსახიობის ქურქში გახვეულიყო და სცენიურად თავი მოეკატუნებია. პოეტიც ასე მოიქცა და ჩვენება მოაბრუ-

ნა მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი ფიცი წარმოეთქვა მის წინაშე. ფიცი რომ ძალათი შეაჩეჩა პოეტმა ჩვენებას, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენება არავითარ ფიცს არ ითხოვდა; ის არ გაჯინიანებულა, ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, მალე შეურიგდა პოეტს, უმეგობრდება კიდეც და ეუბნება:

თუ სიტყვას შენებურს დადებ,
ნაჯს ღონიერსა უმცრად აშრომებ.

. .

ტანზედ საცმელად სახელოვნებას
შეგიკერვინებ თითონ სიბრძნესა;
ვანგითქვამ ცოდნას და ხელოვნებას,
შენს ბედს ვანატრებ მსოფლიო ერსა და სხვა.

აშკარაა, როცა ჩვენება ეუბნება, „თუ სიტყვას შენებურს დადებო", ამით აღიარებს, რომ ის პოეტს ძალიან კარგად იცნობს და მისი ერთი სიტყვა მისთვის სრულიად საკმარისია, რომ ის უკვდავი გახადოს. როცა პოეტმა აღუთქვა, ოღონდ მიბრძანე და ყველაფერში შენი მონა ვარო, ჩვენება თავის სიტყვას უარყოფს და ეუბნება:

...მაშ, შემომფიცე,
რაც სიცოცხლეზედ მეტად გიყვარდესო.

ყოველად შეუძლებელია, რომ ჩვენებამ ზემონათქვამს შემდეგ კიდევ ფიცი მოითხოვოს. ამ სიტყვებს ძალით ათქმევინებს პოეტი ჩვენებას, რადგანაც უსათუოდ უნდა, ფიცი გაასაღოს და მისი ჯავრი არა აქვს, თხოვენ თუ არა.

აქვე უნდა გამოვტყდეთ, რომ პოეტი ისე მოტყუვდა ჩვენებაში, როგორც დონ-კიხოტი, რომელმაც სოფლის გოგო პოდოსელ დულცინეად მიიღო. პოეტს ჩვენება „წმინდა, ზეცისა შვილათ დანასახავი, უმანკო სული ეგონა, ის კი, ჩვენი აზრით, უფრო „ქეკელა ქალს" წააგავს, რომელსაც პოეტთან დამეგობრების სურვილი აღარ აყენებს. ის მოვიდა, ეითომ პოეტის ნეგეშისსაცემად; როდესაც პოეტი ხელებ გატოტინებული არ დაუხვდა, გაბრუნდა, მაგრამ შემთხვევა მიეცა, მალე გამოტრიალდა და ვითომდა წყრომით უთხრა პოეტს:

...შეგირიგდები,
სულ დაივიწყებ, რაცა იყბედე.

დამიხედეთ „ზეცისა შვილათ დანასახავს!" ამგვარი ლაპარაკი ენაწაგდებულ დედაკაცს კი შეშვენის, მაგრამ ზეცის უმანკო არსებას კი არა. როცა პოეტი მის წინაშე ჯვარს ეცემოდა და გრგვინავდა, ჩვენებამ, არც აცივა, არც აცხელა, შემოხვია ყელზე ხელი და გული-

ანად შუბლი დაუკოცნა. სრული უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, ის მხოლოდ ამიტომ გამოუცხადა პოეტს და არა იმისათვის, რომ, —

ნუგეში ეცა,
გამოეყვანა ყოვლის საფრთხიდამ,
ტანჯულისათვის ხმა გამოეცა.

ამგვარად, პოეტიცა და ჩვენებაც ორივე ერთმანეთს ატყუებენ: პოეტმა ვითომ მისთვის მოაბრუნა ჩვენება, რომ მუდამ მისი სიტყვა აესრულებია, ნამდვილად კი — მარტო ფიცის წარმოთქმა უნდოდა; ჩვენება ვითომ მისთვის მოვიდა, რომ, —

გამოეყვანა ყოვლის საფრთხიდამ:

ნამდვილად კი მისი მიზანი სულ სხვა იყო. შეიძლება გვიპასუხონ: პოეტის ფიცმა ისეთი მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ აღტაცებაში მოსულმა თავი ვეღარ შეიკავაო. მაშინ კოცნა და გაქცევა რაღა იყო? თითქოს თავის საქციელისა თვითონვე შერცხვაო. თუ ჩვეულებრივი ზრდილობის კანონს არ ემორჩილებოდა, ადამიანის ცოდვილი ბუნება მაინც კარგად უნდა სცოდნოდა ღვთიურ არსებას; უნდა სცოდნოდა, რომ მისი კოცნა პოეტს „კი არ უშველიდა, მახვილს ახევდა“,და ასეთი დიადი მომენტი, როგორც ღვთიური ნიჭით უგნურებასთან პირობის დადებაა, პირუტყვულ გრძნობათა აშლით არ უნდა შეელახა; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს „უმანკო, ზეცისა შვილათ დანასახავი ჩვენება“ ის არ არის, რაც პოეტს ჰგონია, საეჭვო ფიზიონომიისაა და მისი საქციელიც საეჭვო არის. ჩვენების შესახებ თუ ასე გავაგრძელეთ სიტყვა, მხოლოდ მისთვის, რომ მკითხველისათვის შემდეგ გარემოებაზე მიგვეთითებია: მამიას არ ეხერხება მომქმედი პირების დახასიათება, ის არ არის ფსიქოლოგი, და თითქმის ყველა თავის მომქმედ პირში ხედავს იმ თვისებებსა და ღირსებას, რომლებსაც ისინი მოკლებული არიან.

*

მეორე რიგის პატრიოტულ ნაწარმოებს, რომელშიაც პოეტი ცდილობს გულგატეხილი პატრიოტის დახატვას, ეკუთვნის დიდი პოემა „რაშიდ ვარდან-ოღლი“. ზევით, როცა „პოეტი და ჩვენების“ შესახებ გვქონდა ლაპარაკი, ის აზრი გამოვთქვით, რომ მამიას პოეტური ფანტაზია სუსტია, მას დიდი პოემების შექმნის ნიჭი არა აქვსმეთქი, მთელი ეს მეორე პოემა ამ აზრის საუცხოო დამამტკიცებელია. შუბლშეჭმუხვნილი რაშიდი, იმგვარი გამომეტყველებით, რომელიც შინაგან ძრწოლას, დარდიანობას მოწმობს, ზღვას გადაჩეხებია და ელის: როდის იქნება, მკითხველმა დამინახოს, რომ დავიწყო

ბარემ ჩემი მონოლოგიო. დავინახეთ, იმანაც დაგვინახა და მოჰყვა თავის ლოცვას, რომელშიაც ლოცვის მეტი ყოველისფერია. გგონიათ, რომ მის სიტყვებშიაც იგივე სევდა იქნება ჩასკვნილი, რომელიც მის სახეზე არის აღბეჭდილი, მაგრამ ტყუვდებით:

სიამოვნებით მეტისმეტითა
სისხლი მიღელავს, გული მიხტება. —

გეუბნებათ რაშიდი. როცა ამგვარად დაგვამშვიდა, თუმცა სახე დაღვრემილი მაქვს, მაგრამ ჩემი ჯავრი ნუ გაქვსთ, ეს ისე მომდისო. ზღვას ეკითხება სამშობლოს ამბავს და, პასუხი რომ არ ესმის, მოახტება ცხენს, ქუდს გატყორცნის და ქოჩრის გლეჯით დაეშვება ძირს, შეცურდება ზღვაში და ისევ გამხიარულდება.

სიმღერას იწყებს, ხმა ყელში დგება
მხიარულობის აღსავსეობით.

ერთი მიბრძანეთ, ეს რომელი საგიჟეთის წევრია, რომ ერთ წამს ნაღვლიანად იბღვირება, მეორე წამს მღერის, მესამეს—ქოჩორს იგლეჯს? დაიღალა რაშიდი ცურვით, ღონე გამოელია. აქ პოეტი მალავს მას თქვენი მხედველობიდან და აფხაზეთის ბუნების მეტად სუსტი აღწერის შემდეგ, რომელიც სიტყვათა ცარიელ კრებას წარმოადგენს და აფხაზეთის ბუნების ნათელ წარმოდგენას არ გვაძლევს, პოეტი ჩვენ თვალწინ ფარდას ახდის და ერთ კოშკში ლამაზ ვისიასა და რაშიდს ერთად დაგვანახვებს. სრულიად გაუგებარია, რისთვის დასჭირდა პოეტს მთელი შვიდი წინა თავი? დანარჩენ პოემასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს, მასში არ არის კვანძი პოემისა, არ არის დახასიათებული უმთავრესი გმირი; მოგვაჩვენა პოეტმა სერზე მდგომარე, ჩაახტუნა ზღვაში და ისევ დამალა. ბარემ რაღაზე აჩენდა? ეს შვიდი თავი რომ არ ყოფილიყო, პოემას არა დააკლდებოდა რა, რაშიდიც უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზე. ახლა აი, სანამ კარგი მხრით გაგვეცნობოდა, თავისი ცუდი მხარეები დაგვანახვა, შეგვატყობია, რომ ცოტა ქარაფშუტა ყმაწვილია და ცდილობს, რაც არ არის, იმად შემოგვატყუოს თავი. მკითხველი, რომელიც ყოველ ნაწარმოებში ხელმძღვანელ იდეას ეძებს, ამაოდ დაიწყებდა თავისმტვრევას და, ვინ იცის, ამ პოემას რა იდეას არ დაამისებდა. ჩვენი აზრით, პოეტს არავითარი იდეის გატარება არ ჰქონდა სახეში; მას მხოლოდ უნდოდა დაეხატა გულგატეხილი პატრიოტის ტიპი, როგორსაც ის თანაუგრძნობდა. ახლა ეს ვიკითხოთ, როგორია მისი გმირი და როგორ შეასრულა პოეტმა თავისი მიზანი?

პოეტს რომ რაშიდი პატრიოტული გრძნობით არ დაეჯილდოებინა, იმ გრძნობით, რომელსაც მამია ძალიან მაღლა აყენებდა და ურომლისოდაც არავის ადამიანის სახელის ღირსად არ თვლიდა, პოემის ზოგიერთი ალაგები[1] რომ არ გვიმტკიცებენ, რომ მამია რაშიდში მცირეოდენადაც თავის თავს გულისხმობდა, მაშინ ყოველ ეჭვგარეშე იქნებოდა, რომ მამიას სურდა დაეხატა ქარაფშუტა, ამაო ოცნებებზე შეშლილი კაცის ტიპი. ზემოაღნიშნული მოსაზრება კი ყოველ ეჭვსგარეშე გვყოფს, რომ მამიას თავისი რაშიდი უყვარდა, მოსწონდა და, თუ დაგვიხატა, იმ მიზნით, რომ ჩვენც შეგვყვარებოდა და გვეხილა მასში ნამდვილი სიმპათიური მამულიშვილი. სამწუხაროდ, მამიამ თავის მიზანს ვერ მიაღწია: მისი რაშიდი ერთობ სუსტი და საბრალო გამოვიდა. გახვეულა ჩაილდ-ჰაროლდის ქურქში, რომ „დარბაისელს, ბრძენს, გამოცდილს“ დაემსგავსოს და ცდილობს, თავისი თავი სოფლისა და ბედის მომდურავად გვაჩვენოს. სარკეში რომ ჩაეხედა, უსათუოდ დაინახავდა, რომ ჩაილდ-ჰაროლდის ტანისამოსი მას სრულებით არ უხდებოდა. როდესაც ადამიანის გულში შინაგანი ძრწოლაა, სევდას დაუსადგურებია, მაშინ ამგვარი პირისახე და ენა ერთმანეთს თავისთავად ძალდაუტანებლად ეთანხმებიან. ამგვარი ადამიანი, ხშირად უნებურადაც, თავის ნალაპარაკევში თან ატანს ნაღველს და სევდა-ვარამს და მისი სიტყვებიც გიმტკიცებთ, რომ მისი სახის გამომეტყველება სცენიური, ხელოვნური კი არ არის, ბუნებრივი შედეგია მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა. რაშიდის ენა კი მისი სახის მტერია, ყოველ ნაბიჯზე მას ამტყუნებს. როცა რაშიდის სახე სოფლის მომდურაობას ჩემობს, ენა გვეუბნება: არ დაუჯეროთ, რაშიდს ძალიან მოწონს დროსტარება, ქეიფი და განცხრომა ხოლო თქვენი მოტყუება უნდაო. რაშიდი ცდილობს ამგვარი ხერხით მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე, მაგრამ ვისია პირველ შეხედვაზედვე ატყობს, რა გორის ნაცარიც არის, და ეუბნება:

სულ არ გეტყობა
შენ ამა ქვეყნის მომდურაობა.

რაშიდი ფიქრობს, ალბათ დამაკლდა, ცოტა რომ კიდევ მოვიჭმუხვნო წარბები და ცხვირი ჩამოვუშვა, მაშინ კი შემეტყობაო. ხმას გაიკმიდავს და „სევდის ჩრდილით“ სახეს მოიბურავს. როცა ხმითაც ვერას გახდა, გადაწყვიტა, მოდი ერთი ჩემს თავსაც ვუქებო,

---

1 XXXV თავი და რაშიდის სამართალში მიცემა, რომელიც პოეტის 1390 წ. სისხლის სამართალს მოგვაგონებს.

და, როგორც პოეტმა თითქმის ძალადობით გაასაღა ჩვენებასთან ფიცი, ისე რაშიდსაც სულმა ვეღარ მოუთმინა და, თუმცა ვისიას სრულებით არ უთხოვია, სიტყვაში გამოურია:

ვარ... მცოდნე ბევრის ამბების
და, თუ მიბრძანებ, გიამბობ რასმე.

ვისიას რომ თანხმობა არ გამოეცხადებია, მისი ცოდვით წაწყდებოდა. აუშვა რაშიდმა ენა, ხან ოსმალურად მოჰყვა, ხან ჩერქეზულად, აქაოდა, სხვადასხვა ენები ვიცი; მაცდურად და მოხერხებულად „თქმის საგნებსა ცვლის". ასე ილაპარაკა თუ არა რაშიდმა მთელ ერთ ღამეს, რა ვიცით, ხოლო მეორე დღეს ჩვენ ვხედავთ მას და ვისიას მუხის ქვეშ, სადაც რაშიდი მას თავის თავგადასავალს უამბობს და თავის თავს საარაკო დევგმირად უსახავს:

გატაცებული კაცსა და ცხენსა
ერთის შემოკვრით გავაორებდი.

ასე ხომ ტარიელიც არ კვეხულობდა, თუმცა მან ბევრგან საქმით დაგვიმტკიცა გასაოცარი ვაჟკაცობა, რაშიდი კი ცარიელის სიტყვაობით გვიმტკიცებს, შეგვატყობია მთელი თავისი წარსული, რომელიც ომისა და განუწყვეტელი ქეიფის მეტს არას წარმოადგენდა; დაგვარწმუნა, რომ ქეიფში მშვენიერი „ძმა-ბიჭი" იყო, ამა სოფლისა ცხოვრება და განცხრომა ძალიან მოსწონდა. უბრალოდაც არსად წამოცდენია, რომ „შავბედს ეწამებიოს"; გაათავა თუ არა მოთხრობა, გაახსენდა. რა როლსაც თამაშობდა და გაბა ღრიალი:

სიყრმიდან შავბედს ვუწამებივარ
და ვერ ვახერხებ, თავი წავაგო.

ახა. ღმერთო! ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ეს არის, თუ გნებავთ: რაც არ მომხდარა, იმას იგონებს, რომ თავი სხვანაირად გვაჩვენოს, თავის სევდიანობაში დაგვარწმუნოს; ფაქტები ხელთ ექნებოდა და ის დაავიწყდებოდა? შემოიგლიჯა ტანისამოსი, ალბათ მიტომ, რომ თავისი „გათლილი, სპილოს მსგავსი ნასხმებით" ვისია გაეოცებია, გადარეულსავით მოახტა ცხენს და ჰაიდა! რაშიდის ამგვარი მოქმედება სრულიად გაუგებარია და ამტკიცებს, რომ მან ყველაზე უმალ პოეტი მოატყუა: მამიას მართლა ჩაილ-ჰაროლდისებური ტიპის გამოყვანა უნდოდა, მაგრამ რა ვქნათ, რომ ბუნება მეტად უსამართლო და ახირებულია: დიდი პოეტის კალამი მის ნიჭზე მაღლა დგას, პატარა პოეტის კალამი კი დაბალ ნიჭზე დაბალია და მის ფანტაზიაში გამოხატული სუსტი გმირი ქაღალდზე ნამდვილი

მასხარა გამოდის. „დამოკიდებულება პოეტსა და მის გმირებს შორის ის პუნქტია, რომელზედაც უნდა გამოაშკარავდეს ყოველი მისი სუსტი მხარე, როგორც ადამიანის, ანუ როგორც ხელოვანისა“, ამბობს ბრანდესი. და მართლაც, ამგვარი პუნქტები ღალატობენ მამიას და გვიმტკიცებენ, რომ მისი ხელოვნება სუსტია; მას შეუძლია ხანდახან მშვენივრად აგვიწეროს ბუნება, როგორც. მაგ., „კარჩხალის მთები“, მაგრამ, რაც შეეხება გმირების დახასიათებას, აქ სრულიად უძლურია და ამიტომაც მისი პოემები ძალიან სუსტი და უფერული არიან. მთელი ეს უკანასკნელი პოემა და განსაკუთრებით XVIII თავი ამტკიცებს, რომ პოეტს რაშიდი მართლა „მძინარე ლომად“ მიაჩნია, მოწონს; მასში კი, როგორც დავინახეთ, მოსაწონი მცირეოდენიც არაფერია; ის სიბრალულს კი გამოიწვევს მკითხველში, მაგრამ თანაგრძნობას ნურავისაგან ნუ ელის. რა არის ამის მიზეზი? ერთი თვით ბუნება რაშიდის: ის არის უხასიათო, ქარაფშუტა, ჭკუამჩატე, თავისთავის შესახებ დიდ აზრის მექონე; რაშიდობას, მგონი ძალიან ცოტა ინატრებს; მკითხველს კი ყოველი გმირი მხოლოდ მაშინ მოწონს, თუ მასში ხედავს თავის მსგავსებას, ან ისეთ ადამიანს, რომლისთანაც უნდა რომ იყოს, რომელსაც ჰბაძავს, შენატრის. მეორე— რაშიდის პატრიოტიზმი დაობებულია, ძველი, და არა თანამედროვე ცხოვრებისაგან წარმოშობილი; თანამედროვე ცხოვრების მსვლელობა რაშიდს არ ესმის. როდესაც ჩვენი მეთაურები დიდი ხანია გვეუბნებიან: საქართველოში ამდენი საკეთებელი და მასთან ნაყოფიერი მადლიერის საქმე არაოდეს არ ყოფილა როგორც დღეს არის; მოდით და, თუ კეთება გინდათ, აი, ეს აკეთეთ. აი, ესო. რაშიდი გვარწმუნებს, სამშობლო უზომოდ მიყვარსო, ამავე დროს წუწუნებს „სამშობლოსაც არად ვარგივარ, მძლავრი მკლავები მის შესაწევნათ ვერ მიხმარიაო“ და გაიძახის: „სისხლი მწყურია შარბეთის ნაცვლადო“, ამით ის გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრების ვითარება მას არ ესმის, ვერ შეუგნია; ჰგონია, თუ ისევ ძველებურ, პატრიარქულ ხანაში დგას საქართველო. ახალ ცხოვრებაში მარტო რაშიდის მკლავები ვეღარაფერს ხდება; მას ამის მიზეზი არ ესმის, სასოწარკვეთილებაშია და უკვირს, წინათ თუ ვარგებდი სამშობლოს მძლავრი მკლავებით, ახლა რატომ აღარ ვარგივარო. ამისთანა კაცს ჩვენ ვერც უკან გავყვებით, ვერც თანაგრძნობას გამოვუცხადებთ, ვერც მოვიწონებთ, დარიგებით კი ასე დავარიგებთ: ჩემო რაშიდ, აქამდის საღათას ძილით გძინებია; თუ მამული გიყვარს და გინდა, მას ემსახურო, ჯერ კარგად შეიგენი, როგორი სამსახური ეჭირვება დღეს მამულს და შემდეგ საქმესაც იშოვნითო. ჩვენი ცხოვრება იმისთანა აღარ არის, როგორიც შენ გგონია; საკეთებელი ბევრია,

ხოლო სხვაგვარი საკეთებელი; შენი წუწუნის მიზეზი კი ის არის, რომ ჯერ ვერ გამოფხიზლებულხარ-თქო.

მამიას თანამედროვე ქართველ მწერლობაშიაც ბევრი მიმდევარი ჰყავს. საქართველოს ახლანდელ ცხოვრებაზე დამაპატარავებელი შუშით მზერა, აწმყოს კრულვა და ქოლვა, წარსულის ხვნეშით და ოხვრა-კვნესით მოგონება ჩვეულებრივი თემაა ზოგიერთი ჩვენი ხელმოკლე მოლექსეებისა, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებას ემდურიან და ამ ცხოვრებას კი იმდენად იცნობენ, რამდენადაც რაშიდი.

რომ ცილი არ დაგვწამონ, აქვე ვიტყვით, რომ სრულიადაც არ უარვყოფთ პატრიოტული ლექსების მნიშვნელობას. მაგრამ ისეთი პატრიოტული ლექსებისა, რომელიც წინ გვითითებს, მომავალს უგალობს და არა უკან იხედება და წარსულს შესტირის. მეორე მოქმედი პირი „რაშიდ ვარდან-ოღლში“ არის ვისია. თავიდან ბოლომდე ამ ქალის ხასიათი გასაოცარი და გაუგებარია. ერთ ალაგას რომ ერთნაირად დაგვიხასიათებს მას პოეტი, მეორე ალაგას სრულიად სხვანაირად; როგორც თვითონ ნებავს პოეტს, ისე ალაპარაკებს და ამოქმედებს, მაგრამ ვისიას მით შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ მამიას ყველა გმირი მასთან ერთ ტაფაში იწვის: როგორც მამიას ნებავს, ყველა ისე ირჯება. თავში ვისიას პოეტი ასე აგვიწერს:

ქალი წყეული,
იმის მსგავსი არრა არს ცაში,
არც ჯოჯოხეთში მისებრ გრძნეული.

მისი სილამაზის სახელი შორს იყო გავარდნილი.

ჩვეულნი ვაჟნი ქართლ-კახეთიდამ
იმერ-აფხაზთა გმირნი, მესხეთის, —

სუყველა მასთან მიისწრაფვოდა, ვისია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ისინი ტრფობის ალით დაეტანჯა და მათი გული სამუდამოდ დაემორჩილებია, მხოლოდ იმისათვის, რომ

ამით დროს კვლიდა, შეექცეოდა, —
თორემ გრძნობებით წმინდისა ტრფობის,
მის გულს ვერ ოდეს შეეხებოდა.

ამისთანა ადამიანს პოეტი მას შემდეგ „ჯერ განურყვნელ წმინდა სულს“ უწოდებს! ან მამიას დროს „განურყვნელი წმინდა სული“ სრულიად სხვა მცნებას აღნიშნავდა, ან არადა, ვისიას ხასიათი თვით პოეტმაც არ იცის კარგად, და ჩვენ როგორღა გაგვაგებიებს? წარმოიდგინეთ, ამდენ გამოჩენილ გმირებში ვერც ერთმა ვისიას

ვული უბრალოთაც ვერ გამოიხმაურა, თორემ სიკვარული — კიდევ მადლობა ღმერთს ვისიასათვის ყველა ერთი იყო, ყველას განურჩევლად უხვდებოდა, რადგანაც მხოლოდ დროს მოკვლა და შექცევა უნდოდა; მათი ტანჯვა სიცილადაც არ ჰყოფნიდა: რაშიდის მოსვლა რომ მას გოგომ შეატყობია, ვისიამ იფიქრა, შეიძლება რომელიმე სახელგანთქმული ჭაბუკი მოვიდა ჩემი გულის ტყვედ მოსატაცებლადო, და ხარხარით დასძინა:

ეს თუ ნამდვილად მან განიზრახა,
საბრალო, ოჰ, რა ტყვილად შეცდება!

ამის შემდეგ აშკარაა, რომ ვისია არათუ ახირებულად არავის შეიყვარებს, პირდაპირ—მის ბუნებას სიყვარული არ შეუძლია. როდესაც რაშიდს მიიღებს და ემუსაიფება, მის ლაპარაკში ნათლად გამოსჭვივის რაღაც დამცინავი კილო და თავისი უპირატესობის გრძნობა; ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ის გამჭრიახი გონების ქალი იყო, საუკეთესო ვაჟკაცობის ბუნება შესწავლილი ჰქონდა და მალე შეამჩნია, რომ დერვიშის ტანისამოსი, დაღვრემილი სახე, ვითომც ფილოსოფობის გამოსახატავად, სოფლის მომდურაობა,— რაშიდს არ უხერხდებოდა. რასაკვირველია, რაშიდი ვერავითარ შთაბეჭდილებას მოახდენდა იმისთანა ქალზე, რომელსაც მთელი საქართველო-აფხაზეთის საუკეთესო გმირები გულმოკლული გაუსტუმრებია. მიუხედავად ყოველივე ამისა, სწორედ სასწაული ხდება: ვისიას რაშიდი შეუყვარდება,

თავბრუ ესხმება;
ცოტა უკლია გულის წასვლამდის.

ეხა ებმება, ცალკ-ცალკე გადაუბმელად ლაპარაკს იწყებს, ხმა უსუსტდება, სრულიად იცვლება, გონებას ჰკარგავს!.. არა, პოეტს არ ესმის თავისი გმირების ხასიათი, იმორჩილებს მათ და, როგორც ენებება, ისე ამოქმედებს. მოინდომა პოეტმა, რომ ვისიამ რაშიდი შეიყვაროს და საბრალო ვისიაც იყვარებს. მამიას არ სწამს ის ჭეშმარიტება, რომელიც ყოველი მწერლისათვის მცნებას უნდა შეადგენდეს: მწერალი უნდა ემორჩილებოდეს მომქმედ პირებს და არა მომქმედი პირები მწერალს.

*

ჩვენი უპირველესი მიზანი იყო, აღგვენიშნა უმთავრესი თემები მამიას პოეზიისა და გაგვერჩია ის უფრო შინაარსის მხრივ; ენას, გარეგან ფორმას, აგრეთვე, თარგმანებს ჩვენ არ ვეხებით. როგორც დავინახეთ, ქალი და მამულის წარსულის დიდება მამიას უმთავრესი

თემაა, ჩვენ განვიხილეთ, როგორი შეხედულებისა იყო მამია ქალის დანიშნულებაზე, რას აფასებდა მასში. ჯერ მემკვიდრეობით მამიას ხასიათი იმგვარი უნდა გამოსულიყო, რომ მას თავდაპირველად ქალში გარეგნობა უნდა ეძია. გარდა ამისა, ამგვარი აზრით ზრდიდა მას გურიის არისტოკრატია, რომლის გავლენის ქვეშაც ის იმყოფებოდა; ამგვარ მაგალითებს უჩვენებდა, რადგანაც არათუ მაშინდელი, ახლანდელი არისტოკრატიაც ამგვარი შეხედულებისა არის ქალის დანიშნულების შესახებ. ამგვარი აზრივე განუმტკიცა მამიას სამხედრო წრის ზეგავლენამ; რიგიანი განათლება კი არ მიუღია, რომ ქალის სულიერი მხარისა და როლის შესახებ კაცობრიობის ცხოვრებაში ჰეშმარიტი შეხედულება გამოერკვია. ამგვარად, ეს პირველი თემა მამიას პოეზიისა პირდაპირი შედეგია ყველა იმ დასახელებული ფაქტორების ზეგავლენისა.

მთავრის ჩამომავალს უსათუოდ მემკვიდრეობით უნდა დაჰყოლოდა ვაჟკაცური სული, თავისუფლებისა და ბრძანებლობის სიყვარული; არისტოკრატია, რომლის გავლენის ქვეშაც მამია იზრდებოდა, წარმოადგენდა მხედრულ წოდებას, ის ყველაფერზე მაღლა აყენებდა ფეოდალურ თავისუფლებას; აწყმოში მას მნიშვნელობა დაეკარგა, წარსულში კი ის სრული ბატონი იყო თავის ქვეყანაში; ამიტომ მას აწმყო სძულდა, წარსულს ნეტარებით იგონებდა და რადგანაც, თვითონ წარსულში დიდებული იყო, მამულის მთელი წარსულიც დიდებულად მიაჩნდა. მამია იზრდებოდა ამ საზოგადოებაში და მის ამგვარ შეხედულებას სავსებით ითვისებდა. ამგვარად, ეს თემაც მამიას პოეზიისა ზემოხსენებული ფაქტორების ზეგავლენის ნაყოფია.

მკითხველი უსათუოდ იკითხავს, ორივე ეს უმთავრესი საგანი მამიას პოეზიისა მარტო მამიას საკუთრებაა, თუ ამგვარი მიმართულების პოეტები სხვებიც იყვნენ ჩვენშიო. აი, ჩვენი პასუხი: მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტეს დამდეგს ხელოვნური ლიტერატურა ჩვენში უმთავრესად პოეზიას წარმოადგენდა. პოეზიის უმთავრესი საგანი იყო ქალი, მისდამი ეროტიული სიყვარული, მისი ფიზიკური სილამაზის მკობა. ამგვარ მიმართულებას ჰქონდა აზრი თვით ცხოვრებაში? — უსათუოდ, რადგანაც მაშინდელი წარჩინებული წოდება ამგვარი შეხედულების იყო ქალის ღირსებადანიშნულებაზე და, რადგანაც ლიტერატურა თითქმის არისტოკრატიის მონოპოლიას შეადგენდა, ჩვენი პოეტებიც ამ არისტოკრატიის რწმენა-შეხედულებას ატარებდნენ. მეცხრამეტე საუკუნის, დასაწყისში საქართველომ დაჰკარგა თავისუფლება, საზოგადოება რამდენსამე ხანს გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩა, თითქოს ყოვე-

ლივე, რაც მის გარშემო მოხდა, ან კარგად არ ესმოდა, ან უფრო იმდენად იყო მოქანცული, რომ ყურადღებას აღარ აქცევდა. გაიარა ასე ოციოდე წელიწადმა. თავადობა ყველაზე უმალ გამოერკვა, რადგანაც მან ყველაზე მეტი იზარალა; მიიხედ-მოიხედა გარშემო, თვალსაჩინო ნაყოფი ახალი ცხოვრებისა ვერ დაინახა, თავისუფლება კი ხელიდან გამოსცლოდა. მიიხედა უკან და დაინახა, რომ წარსულში მას თავის ქვეყნის ცხოვრებაში დიდი ალაგი ეჭირა; შესამჩნევი მნიშვნელობა ჰქონდა; ქვეყნის მართვაში დიდ მონაწილეობას იღებდა, ისეთი ბატონი იყო, ურომლისოდაც არა კეთდებოდა რა; აწმყოს ჩაუკვირდა და დაინახა, რომ ყოველივე ეს — ძალა, მნიშვნელობა, სრული უფლება, ბატონობა დაუბრუნებლად დაჰკარგა; მას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მას აღარავინ რას ჰკითხავდა, — ყურმოჭრილ მონა-მორჩილად გადაიქცა. ამგვარი თვალის ახელის ბუნებრივი შედეგი იყო, რომ ჩვენმა არისტოკრატიამ აწმყოზე გული აიყარა, შეიყვარა წარსული, ადიდებდა და ნეტარებით იგონებდა იმ დროს, როცა ის სრული ბატონი იყო. ამ ძველი თაობის გავლენის ქვეშ აღზრდილმა ახალმა თაობამაც ამგვარადვე შეხედა ცხოვრებას, დაებადა წარსულის განუსაზღვრელი სიყვარული, მისი დაბრუნების სურვილი და 1832 წ. შეთქმულება მოახდინა; მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა, თავადობას მოლოდინი გაუცრუვდა; ძველი მნიშვნელობის დაბრუნების იმედი მან სამუდამოდ დაჰკარგა. ამ გარემოებამ უფრო გაუტეხა გული აწმყოზე, უფრო შეაყვარა წარსული.

ამგვარ მიმართულებას რომ ლიტერატურაშიაც არ ეჩინა თავი, შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, რომ მაშინდელი პოეტები თავადაზნაურობიდან გამოვიდნენ და არისტოკრატიის გლოვასა და წარსულის დიდებას ლიტერატურაში უსათუოდ გაატარებდნენ. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი ახალი ხანისა ჩვენ პოეზიაში არის ვახ. ორბელიანი, რომელსაც ილია სამართლიანად უწოდებს რომანტიკოსს. ეს მეტად სიმპატიური პოეტი ვულგატეხილია აწმყოზე, უნუგეშო ჭირისუფალია სამშობლოს წარსული დიდებისა, მაგრამ ჩვენი წარსულის ცრუ გამომხატველი რომ დია, თუ წარსულ დიდებას გვაგონებს, ამავე დროს პირდაპირ გვეუბნება:

ჩვენი ივერი მშვენიერი არს, სისხლის კალო,
გმირთა აკლდამა, გულსაკლავი და სავალალო,—

შიგვითითებს წმინდა ნინოს ჯვარზე და გვეუბნება:

სისხლის ცრემლითა მის ჯვარზედა არს წარწერილი
ჩვენის სამშობლოს ბნელის ეტლის მოსახრობა ბნელი.

ვახ. ორბელიანმა ძალიან კარგად იცის და არც სხვა უმალავს, რომ, —

ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი:
ჭალის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!

ეს იმედი მის სევდით მოცულ არსებას მუდამ თან დასდევს და ანუგეშებს:

თქვენი სამშობლო, დანგრეული, კვლაც აყვავდებაო.

ამგვარი მოტივი ჩვენმა პოეზიამ დღემდის შეინარჩუნა და შეიძლება, კიდევ დიდხანს შეირჩინოს, მაგრამ ლიტერატურის დედაძარღვს ის აღარ შეადგენს; უმთავრესი მნიშვნელობა სამუდამოდ დაჰკარგა და ჩვენს არისტოკრატიასთან თანდათან ისპობა, ქრება. ცხოვრებამ ახლა სხვა უფრო პრაქტიკული, უფრო საჭირბოროტო კითხვები წამოაყენა. როგორც ამ მოკლე განხილვიდან დავინახეთ, ორივე უმთავრესი თემა თავისი პოეზიისა, მამიას კი არ ეკუთვნის, ის მხოლოდ წარმომადგენელია ამგვარი მიმართულებისა ამ საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში. იგი თავისი წინამორბედებისაგან მით განირჩევა, რომ პირდაპირ ამბობს: ქალი მხოლოდ ვნებისათვის არის გაჩენილიო. მისი წინამორბედნიც ასე ფიქრობდენ, მაგრამ ამდენად გამბედავი კი არ იყვნენ.

დასასრულ, შემდეგი კითხვა იბადება: თუ ცხოვრება შეიცვალა, ახალმა მიმდინარეობამ წარმოშობა ახალი მამულიშვილები და მოღვაწენი, თუ ამგვარი პირები თანდათან მრავლდებოდნენ და კვალსაც ტოვებდნენ ჩვენს ცხოვრებაში, რატომ ვერ იქონიეს მამიაზე გავლენა? ამაზე უნდა ვუპასუხოთ: ერთი—რომ ძალიან ძნელია იმ იდეების სრულიად დავიწყება, რომლებიც მემკვიდრეობას, აღზრდას და საზოგადოების გავლენას სიყმაწვილიდანვე შეუსისხლხორცებია ადამიანისათვის; მეორე—მამია საზოგადოების ცხოვრებას თვალყურს მაინცდამაინც დიდად არაფრად ადევნებდა, რასაც მთელი მისი ცხოვრება ამტკიცებს; მას ეგონა, თუ ჩვენ წინ არც მივდიოდით და ვერც წავიდოდით, სანამ არ დავუბრუნდებოდით ძველებურ გზას, ურომლისოდაც პროგრესი, კეთილდღეობა მას შეუძლებლად მიაჩნდა; მესამე — ბოლოს მაინც ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ, სხვაგვარმა მოღვაწეებმა, მამიაზე იქონიეს გავლენა და შეარყიეს მისი ძველი შეხედულებანი, რასაც გვიმტკიცებს მისი ორი ლექსი პოემიდან „რაშიდ ვარდან-ოღლი“, 1872 წ. დაწერილი და „ნატვრა“, რომელიც 1887 წ. ეკუთვნის. ზევით დავინახეთ, რომ მამია სამშობლოს აწმყოთი უკმაყოფილო იყო, წარსულს ოხვრით იგონებდა, მისი სიმპატია წარსულისაკენ იყო. ამგვარი შეხედულე-

ბისა იყვნენ ის პირნიც, რომლებშიაც მამია აღიზარდა; ამიტომ მამიას ეს ძველი აზრის და ცხოვრების წარმომადგენლები სამშობლოს საუკეთესო და ღირსეულ შვილებად მიაჩნდა; ამგვარი პირებისაგან ელოდა ის მამულის ხსნას; მათი ყოველისფერი მოსწონდა, მუდამ იმათკენ მიისწრაფვოდა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო; ყოველი ადამიანი ინსტიქტურად მიისწრაფვის თანამოაზრეებისაკენ, მით უმეტეს, თუ თავისი და მათი რწმენის ჭეშმარიტებაში არავითარი ეჭვი არა აქვს. ლექსი პოემიდან „რაშიდ ვარდან-ოღლი“ მოწმობს, რომ ამგვარი აზრი მამიამ ბოლოს გამოიცვალა; მან შეიგნო, რომ ძველი თაობა, რომელიც მას აქამდის მოსწონდა, „გონების თვალით ხვრინავს“, მისი ცხოვრება ადამიანის ღირსებასა სვრის; მას თავის დრო მოუჭამია, თანამედროვე ცხოვრებას მისი რწმენა და შეხედულება აღარ შეეფერება, გამოუსადეგარია მამულისათვის, ხანგადასული და ამიტომ, —

ყოველი არსი, ხანგადასული,
უნდა წაიქცეს და დალპეს იგი.

პოეტს სწამს, რომ ეს ასეც მოხდება, რადგანაც, —

არვის უნახავს მობრუნებული,
ამნაირია ბუნების რიგი.

ეს სიტყვები პოეტისა თითქოს წინასწარმეტყველებაა, რომელიც ჩვენ დროში თანდათან სრულდება. ახლა პოეტი ასპარეზს ახალ თაობას უთმობს, სიხარულით ეგებება მას და იმედიცა აქვს, რომ, — -

მათზე ნაყოფნიც კარგნი გამოვლენ.

მისი სიმპათია ახლა ამ ახალთაობისაკენ არის. ის აღარ ურჩევს მას, წარსული უნდა იყოს შენი იდეალიო, როგორც თავის პატრიოტულ ლექსებში, არამედ, — მომავლისაკენ გაეშურეთ, „ყრუ ტყეში შარა გაჰკაფეთ ძალითო“. მას სწამს, რომ ეს „ახალნი ვაზნი“ თავის ერის საყდარს აგებენ და სწადია, მათ მუშაობას შეურთოს „სუსტი თუ რამ აქვს ძალი“, რომ მისგანაც — „ჩნდეს ერთი ქვის დაშენება“.

ქების ღირსია პოეტი, რომლის გამჭრიახობამაც წინდაწინვე გადასჭრა, საით მიდიოდა ჩვენი ცხოვრება, ვინ იყო ახალ ცხოვრებაში საჭირო და შესაფერი, ვინ მეტი და ხანგადასული. მეორე ლექსში „ნატვრა“, ის თითქმის სრულიად უარყოფს იდეებს, იმ რწმენას და შეხედულებას, რომლებიც პატრიოტულ თხზულებაში ვამოთქვა. ის ამ ლექსშიაც სამშობლოს კეთილდღეობას ნატრობს,

ხოლო ამ კეთილდღეობის მოსახვეჭ საშუალებად ძველებური წესწყობილება და მარტო თავისუფლება კი არ მიაჩნია, არამედ ევროპული ცხოვრება — გაევროპიელება: სამშობლოს განათლება, საერთო ნების გამეფება, მეურნეობის აყვავება, ვაჭრობა-მრეწველობის იმდენად განვითარება, რომ „ფაბრიკები და მაშინები დაუთვლელი იყოს ყოველ სოფელში", და ბოლოს, თვითონვე დასძენს:

ეს არის ჩემი უმწვერვალესი
ნატვრა, ოცნებად გარდაქცეული.

ამგვარად, პოეტმა სამუდამოდ გამოიცვალა ბოლო ხანებში თავისი აზრი და შეხედულება, თუ როგორი ცხოვრებაა ჩვენთვის შესაფერი და საუკეთესო, და ამით დაუხატა ყოველ ქართველ მოღვაწეს, ვისაც კი მამულის საკეთილდღეოდ უნდა მოქმედება, მიზანი, რომლისკენაც ის უნდა მიისწრაფვოდეს. თუ პატრიოტულ ნაწარმოებში მას იდეალი წარსულში გადაჰქონდა, ახლა იდეალს მომავალში ხედავს და მისი „ უმწვერვალესი ნატვრა, ოცნებად გარდაქცეული" გვიმტკიცებს, რომ პოეტის თვალში ახლა წარსულის იდეალი, ამ მომავლის იდეალთან შედარებით, სრულიად სუსტი და უფერულია, თუ მისი პატრიოტული ლექსების ტენდენცია თანამედროვე იდეალების მქონე მკითხველში თანაგრძნობას ვერ აღძრავს, ამ ლექსებში გამოთქმული შეხედულება და „უმწვერვალესი ნატვრა" ყოველი საღი და განათლებული გონების მქონე ადამიანისათვის, ვინც უნდა იყოს ის, მეტად სიმპათიურია. ხოლო, სამწუხაროდ, პოეტმა გვიან იცნო ჩვენი ცხოვრება, გვიან შეადგინა ჭეშმარიტი აზრი მის მსვლელობაზე; ძველ ტრადიციებზე აღზრდილს არავითარი ეჭვი არ ჰქონდა მათ უპირატესობაში, მათი სისრულე ბრმად სწამდა, მაგრამ, როცა „ახალვაზებს" თვალი მოჰკრა, ევროპის ცხოვრებას ჩაუკვირდა და შემდეგ ჩვენ ცხოვრებას ჩააჩერდა, თავის რწმენაში ეჭვი შეეპარა, უარჰყო ის, მასთან ერთად მისი მიმდევარი ძველი თაობაც, ის თაობაც, რომელშიაც აღიზარდა, მიეკედლა ახალ მოაზრეებს, დაებადა მათთან შრომის სურვილი, გამოირკვია, თუმცა ჯერ ბუნდად, უმთავრესი პუნქტები სამშობლოს საჭიროებისა, მაგრამ უფრო ვრცელი პროგრამის დახატვა აღარ დასცალდა. რომ ძველი არისტოკრატიის ძლიერ გავლენას ასცილებოდა, რიგიანი, დროის შესაფერი განათლება მიეღო, ნიჭიერი პოეტი თუ არა, ნაყოფიერი მოღვაწე მაინც იქნებოდა, ჩვენს ცხოვრებას უფრო დააჩენდა კვალს და ყოველი ქართველის გულში „უქრობელ ლამპარს" დაიდგამდა. ახლა კი ამის თქმა არ შეგვიძლია. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მამიას მსგავსი პოეტები სამშობლოს დაცემამ კი არა, არისტოკრატიის დაცემამ გა-

შოიწვია ჩვენში; ისინი ჩვენი არისტოკრატიის ინტერესების დამცველნი არაინ. დღეს ჩვენს თვალწინ ეს არისტოკრატია კვდება. მისმა ინტერესებმა საზოგადო უმთავრესი ხასიათი დაჰკარგეს და მათთან ერთად დრომ ამგვარ პოეტებსაც მნიშვნელობა დაუკარგა.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ მამია ვადაჭარბებული აზრის იყო თავის ნიჭზე

მეც ღმერთი ვარ ვიწრო წრეში,
გონებისა ნათლის სვეტი. —

ამბობს ის „ნაძლევში". ჩვენება მას მრავალჯერ ნიჭიერს უწოდებს; პოეტს თავისი შუბლი „ღვთაებრივ შუბლად" მიაჩნია. თუმცა პოემა „რაშიდ ვარდან-ოღლში" გვეუბნება:

სულაც არ ველი,
რომ დაუვიწყარს ძეგლსა აღვადგენო, —

მაგრამ გადამეტებული აზრი თავისი ნიჭის შესახებ მან მაინც ბოლომდე შეინარჩუნა. ჩვენ კი უხდა შევნიშნოთ, რომ მამია არ იყო ისეთი დიდი ნიჭის პატრონი, რომ საზოგადოებისათვის წასაბაძი იდეალები დაეხატა, ჩვენი დაქსაქსული ცხოვრებისათვის გზა ეჩვენებინა; არც ძლიერი დაკვირვებითი ნიჭი ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი მოვლენა აღენიშნა, აწონ-დაეწონა და თავისი მსჯავრი დაედვა. მას შეეძლო მხოლოდ მოკლე ლექსების წერა და ამ ლექსებში რამდენიმე, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმითაც, იმდენად მშვენიერია, რომ მიმზიდველ სილამაზეს დიდხანს არ დაჰკარგავს. ამ ლექსების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მამია ბუნებამ პოეტად დაბადა, მაგრამ დაბალი პოეტური ნიჭი, სუსტი ფანტაზია და ხელოვნება დაატანა. მამიას პოეზიას მნიშვნელობა აქეს კიდევ აი, რა მხრით: თემები მამიას პოეზიისა მარტო მამიასი კი არ არის, არამედ მთელი ჩვენი მეორმოცე წლების არისტოკრატიისაც. თავისი თავის გაცნობით პოეტი გვაცნობს ამ არისტოკრატიასაც, მის რწმენას, შეხედულებას, სურვილს და, მცირეოდნად, ცხოვრებას. ვისაც უნდა შეისწავლოს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, ჩვენი არისტოკრატია, გონებრივი და ზნეობრივი წინმსვლელობა ჩვენში, მამიას პოეზია მას ძალიან კარგ სამსახურს გაუწევს.

1898 წ.

კრიტიკული შენიშვნები

ჩვენი ახალგაზრდა მწერლების უმეტესმა ნაწილმა უკვე შეიგნო მწერლის ნამდვილი დანიშნულება და მოვალეობა, ჩაუკვირდა აწმყო ცხოვრებას და შეძლებისდაგვარად აუწყებს მკითხველს მას, რასაც ის ჩვენ ცხოვრებაში კითხულობს. საარქივოდ გამზადებულთ კი დავიწყებიათ, რომ ყოველი მოღვაწე დროისა და გარემოების შესაფერი უნდა იყოს. აღარ ახსოვთ რუსთაველის სიტყვები: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან, ჯიუტად დგანან ძველ გზაზე და უგალობენ ძველ ცხოვრებას. ტყუილა დაუწყებთ მათ ხვეწნას: ბატონებო, ვთქვათ, მთელი ჩვენი წარსული ოქრო იყო, მაგრამ ის წავიდა, გაქრა; ჩვენ აწმყოში ვცხოვრობთ და აწმყოს გათვალისწინება გვესაჭიროებაო, ყურსა ბამბისასა! ბ. ან. ფურცელაძეც იმგვარ საარქივო მწერლებს ეკუთვნის, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ აწმყოს აღარ არგია. ნება მათია, რა გვენაღვლებოდა მაინცდამაინც, წარსულში ეძიათ ნუგეში და აწმყოსათვის მომკვდარიყვნენ, რომ ჩვენც ძალით არ გვაჩეჩებდნენ თავის გემოვნებას ისეთ უხეირო პოემებში, როგორც „ცისკარა". ისტორიული პროცესის მიმდინარეობის გამორკვევა ისტორიკოსის საქმეა და არა პოეტის, რადგანაც ვერც ერთი პოეტი ამას ვერ შეასრულებს; შეიძლება პოეტს მიზნად აქვს, წარსულიდან წამოგვიყენოს სხვადასხვა გმირებში წასაბაძი მაგალითი; მაგრამ ცხოვრება მუდამ ცვლილებაშია. პირობები იცვლებიან, ადამიანი კი ამ პირობების ნაყოფია. რის გაკეთებაც შეეძლო რომელიმე პეტრეს მეთვრამეტე საუკუნეში, მას ვეღარ გააკეთებს მეოცეში, რადგანაც ან საჭირო აღარ იქნება, ანდა შეცვლილი პირობები არ გააკეთებინებენ. უმეტესობისათვის ძველების მიბაძვა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, ცხოვრება რომ უცვლელი იყოს და ჩვენც იმავე პირობებში ვცხოვრობდეთ, როგორც ჩვენი ძველები. ჩვენ არ ვიცით, რა მიზანი აწერინებდა ბ. ან. ფურცელაძეს „ცისკარას"; ხოლო ეს პოემა ვერც წასაბაძ მაგალითს აძლევს მკითხველს, შესაძლებელიც რომ იყოს წაბაძვა, და როგორც

სახელოვანი ნაწარმოებიც მეტად სუსტია. ავტორი ცდილობს ფილოსოფოსიც დაეკმაყოფილოს, ესთეტიკოსიც, მაგრამ ფილოსოფიაც ერთობ სუსტი გამოუდის, ბუნების აღწერაც: იმიტომ კი არა, რომ მას ფილოსოფიური განვითარება არ მიეღოს ან ესთეტიკურ გრძნობას იყოს მოკლებული, არამედ იმიტომ, რომ მთელი მისი გონება და მეცადინეობა უმთავრესად რითმების შეწყობას დაუპყრია, დანარჩენი კი ხელიდან ეპარება. თითქმის ყოველ ფურცელზე ერთი და იმავე სიტყვებით ბრძოლის სურათების აღწერა სწორედ მოთმინებას დაუკარგავს მკითხველს. ოთხ სტრიქონს ვერ წაიკითხავთ ისე, რომ გამეორება არ შეგხვდეთ. ჩვენი თავი მაინცდამაინც უგონოდ სწორედ არ მიგვაჩნია, მაგრამ, სანამ მესამედ არ წავიკითხე, შინაარსი ვერ გავიგეთ და დარწმუნებული ვართ, თვით ავტორსაც არ ჰქონდა რიგიანად გამორკვეული, რას წერდა. მაშ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მთელი მეორე კარი, რამდენიმე თავის გამოკლებით, პირველი კარის გამეორება არის?

მართალია, პოეტებს მეტი გრამატიკული თავისუფლება აქვთ, მაგრამ ან. ფურცელაძე ამ licentia poetica-თი ერთობ უხვად სარგებლობს ხოლმე და ამგვარი licentia, როგორც:

> რომ არ მთლად მათი ძვალები
> გურჯისტანს ჩააყრევინა.

არა გვგონია, ნამეტანი არ იყოს ამისთანა ლექსები, როგორც —

> სისხლსა სვამს, სისხლში დაცურავს,
> სისხლითვე ეზიარება.
> ამეხსნა თვალი, ვიცანი,
> ძალა უძლევი ძალისა.

> სიკვდილს სიკვდილით სპარბობენ,
> სიკვდილთა ღმერთის საოცრად და სხვ.

ჩქარა გამოსათქმელად კარგია რომელსამე საყმაწვილო ჟურნალში, ლექსად კი არ ვარგა. ათ სტრიქონს ვერ წაიკითხავთ, რომ ლექსი ბუნებრივი, ადვილი გასაგები იყოს; ზოგან კი აზრი იმდენად ბუნდია, რომ, არა გვგონია, მკითხველმა გაიგოს რამე. მაგალითად:

> რას ვამბობ? — მას არ ჰკმარობენ,
> რომ კაცნი დარჩნენ მხეცათა:
> რა მხეცი უდრის ომს კაცსა? —
> მხედარნი გაკაცებულნი, —
> უნდა ვიტყოდეთ ამასა,
> როს სისხლზე საქმე მიდგება.

როცა მწერალს პოეზია არ ეხერხება და მაინც არ ეშვება, იმდენად მაინც უნდა შეიბრალოს მკითხველი, რომ სქოლიოში აუხსნას, ამგვარი ლექსით რის თქმა უნდოდა.

პოემის უმთავრეს გმირებს შეადგენენ მზეჭაბუკ და ცისკარა. დაეინახოთ, რა არის მათში მკითხველისათვის სასარგებლო ან საყურადღებო, თვით ავტორი მხოლოდ გარეგნობით აქებს თავის გმირებს, მათი ღირსება-ნაკლოვანების შესახებ კი თითქმის არაფერს გვეუბნება. ვიცით, რომ ცისკარა იყო „ვარდი გაშლილი, უზადო, ვითა ალმასი, უტოლო, უცალო“. — ერთი სიტყვით, ისეთი ლამაზი, რომ თვით მეფესაც ზედ რჩებოდა თვალი. ერთი მიბრძანეთ, მერე მკითხველს რა, ცისკარა რომ ლამაზი იყო? ნუთუ ამოდენა პოემის წაკითხვით მკითხველმა იმის მეტი ვერაფერი უნდა გამოიტანოს, რომ ოდესღაც საქართველოში ერთი ლამაზი ქალი ცხოვრობდა, რომელმაც საქმროს მოკვლის გამო ყეენს მთელი ჯარი გაუწყვიტა?! როცა ქალში მხოლოდ საშიკოდ გაჩენილ ქმნილებას ხედავდნენ, მაშინ ამგვარ პოემებს კიდევ ექნებოდა გასამართლებელი საბუთი, დღეს კი ბ. ფურცელაძე ვერავის მოაწონებს თავის ცისკარას ცარიელი სილამაზით, თუმცა თვითონ მას ძალიან მოწონს, და სრული კმაყოფილი იქნებოდა, რომ ყველა ქართველი ქალი დღეს ცისკარასთანა იყოს. „ცისკარაში“ ხომ არაფერი ჰყრია, სილამაზის მეტი?! — მერე რა ვუყოთ? სილამაზის გარდა ქალს სხვა რამეც უნდა! არა, ბატონებო, არისტოკრატიზმმა თავისი ზნე-ჩვეულებით და შეხედულებით დრო და ჟამი მოჭამა და. თუ მაინცდამაინც არ იშლით და წარსულს არ ეშვებით, ისე მაინც შეხედეთ ამ წარსულს, როგორც თანამედროვე ცხოვრება გეუბნებათ: როცა ძველ დედებს გვიხატავთ თვალწინ, მათი ღირსება დაგვანახეთ. გვიჩვენეთ ყოველი არსის შინაარსი, დედაზრი; ნუთუ ჩვენ ძველ დედებში საუკეთესო ღირსება მარტო ლამაზი სახე იყო?

თუ ცისკარა ქვეყნის მშვენება იყო, არც მზეჭაბუკი იყო ნაკლები სახით, ტანადობით, ვაჟკაცობით... ისეთი მძლავრი მკლავი ჰქონდა, რომ —

> ბევრჯერა ნახეს სანცვიფრო,
> საზარო დასანახავი,
> რომ განრისხებულს მის ხმალსა
> ცხენი და კაცი ზედიზედ —
> რკინით და ჯაჭვით მოსილი —
> გაუკაფია შუაზედ.

თვითონ მზეჭაბუკს კი არც ტყვია ეკარებოდა, არც მოწამლული ისარი, ვერც ხმალი, ვერც ლახტი. რატომ? განა ისიც ადამიანი არ იყო? — იქნებ რაიმე სასწაული იფარავდა!

რაც ითქვა, ისიც საკმარისია იმის გამოსარკვევად, თუ რა ღირსების არის ეს პოემა. იმისი წაკითხვით მხოლოდ გაიგებთ, რომ ქვეყნად არსებობს საშინელი შურისძიება, არიან ლამაზი ქალები, ღონიერი კაცები. — განა ღირს წასაკითხად მარტო ამისთვისო? იკითხავ, მკითხველო. — არ ღირს და, თუ არ წაგიკითხავს, ნურც წაიკითხავ, თორემ. სხვა რომ არ იყოს რა. გული გაგიტყდება ჩვენს აწმყო ლიტერატურაზე.

1898 წ.

ოცნება და ცხოვრება

(„მრევლში“ დ. კლდიაშვილისა)

წინათვე უნდა გამოვიტყდე, მკითხველო, რომ მორალისტი არა ვარ, რომელიც ყოველი ადამიანის საქმეს, სურვილსა და მისწრაფებას განყენებულად ზომავს, ცუდს აგინებს, კარგს აქებს და მხედველობაში კი არ იღებს ცხოვრების სხვადასხვა გარემოებას, რომელიც ყოველი ჩვენგანის მოქმედებას მიმართულებას აძლევს. ჩემი საკუთარი შეხედულება, რასაკვირველია, მე არ აღმომიჩენია: ცხოვრების კანონებს ღვთისგან რჩეულნი იკვლევენ. ჩვეულებრივ მოკვდავთ კვატყობინებენ. მაგრამ ჩემისთანა მოკვდავმა რომ ტვინს ძალა დაატანოს და ამა თუ იმ მოძღვრების საზრიანი მიმდევარი გახდეს, ესეც დიდი საქმეა. — თუ გნებავთ, — ქების ღირსიც; რაც უნდა იყოს. გასაკიცხი მაინც არ არის. რჩეულთ დაუდგენიათ: ადამიანი თავისი ღირსება-ნაკლოვანებით ცხოვრების გარემოებათა ნაყოფიაო; მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, არა მჯეროდა და, მგონი, არც მესმოდა. როდესაც ჩემს საკუთარ თავზე გამოვცადე ამ კანონის მძლავრი ბრძყალები და, რამდენადაც შემეძლო, სხვის მოქმედებასაც ჩავუკვირდი, მაშინ კი დავრწმუნდი მის ჭეშმარიტებას. ხშირად ადამიანი ცუდს საქმეს სჩადის. მორალისტი არც აცივებს, არც აცხელებს, და დაჭკრავს ბუკსა და ნაღარას. ჩაჰქოლეთ ცუდის საქმის ჩამდენი. ვინც კი რეალურად უყურებს ცხოვრებას. გაარჩევს ამ ცუდი კაცის საქმეს და უმეტეს შემთხვევაში აღმოაჩენს: ათასი კარგიც ყოფილიყო. მისი ცხოვრება იმგვარ გარემოებათა შორის მოექცა, რომ ამგვარ საქციელს თავიდან ვერ აიცდენდაო. ყოველსავე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველი მოვამზადო და თავი არ გამოვალანძღვინო; ჩემი ცხოვრებაც ისეთ გარემოებათა შორის მოექცა, რომ მიჯერეთ ყოველ საგანს, ყოველგვარ მოქმედებას მხოლოდ სარგებლობის თვალით ვუყურო, სარგებლობის საზომით ვზომო. უსარგებლო რამ, ათასი ლამაზიც იყოს, წყალსაც წაუღია: ცხოვრება იმდენად ძნელია, გაჭირვებულთა რიცხვი ისე მრავალი, რომ მარტო სილამაზის გაღმერთება რა საკადრისია! თუ სასარგებლო

რ. ლამაზიცა ხარ. თუ არავის არაფრად არგისარ, როგორიც გინდ-ბოს. ისეთი ბრძანდებოდე. ვგრძნობ, რომ ყველაფრის სარგებლობის საზომით ზომა როგორღაც საჩოთიროა. მაგრამ რა ვქნა: წყეული ცხოვრებაა დამნაშავე. მე მხოლოდ უბრალო ობიექტი ვარ მისის უტყუარის კანონების გამოსახატავად.

დღეს მინდა, მკითხველო, ერთი ლიტერატურული ნაწარმოებია შესახებ შეგატყობინო ჩემი აზრი, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენე, ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოებიც იმდენად მომწონს, რამდენადაც ის მკითხველს სარგებლობას აძლევს მით, რომ ან ცხოვრებას გადაუშლის და ამით თვალს აუხელს, ან თავის საკუთარ გულში ჩაახედებს და ჩაფიქრებს. მგონი, ეს მეოთხე წელიწადია, რაც დავით კლდიაშვილი საბელეტრისტო ასპარეზზე გამოვიდა და მას აქვთ მისი ყოველი ნაწარმოები ძველებური ესთეტიკის დაკმაყოფილებას კი არ სცდილობს, არამედ გვიხატავს ჩვენს საკუთარს, ჩვენის ხალხის ცხოვრებას და გვიხატავს ისეთის ხელოვნებით, რომ, როცა კითხულობთ, ასე გგონიათ, თითქოს ყოველივე საკუთარის თვალებით გენახოთ. დავ. კლდიაშვილის მნიშვნელობის შესახებ ჯერ ადრეა ლაპარაკი, რადგანაც მისი ნიჭი მხოლოდ ახლა იშლება და თანდათან იზრდება, — მე მხოლოდ უკანასკნელი სურათი მაქვს სახეში. აქ ხალხის ცხოვრების დასურათებას ისეთი ალაგი არ უჭირავს, როგორიც ზოსიმე მღვდელის სულიერ მდგომარეობას. ავტორი მხოლოდ ერთს წუთს ჩაგვახედებს ზოსიმეს გულსა და გონებაში. მაგრამ ამ ერთ წამშიაც იმდენს გვატყობინებს, რამდენსაც ზოგიერთი ფსიქოლოგი მთელს ტომში ვერ გადმოგვცემდა. იმას აქვს მხოლოდ ერთი მომენტი აღებული ზოსიმეს სულიერი მდგომარეობისა. მაგრამ ისეთი მომენტი, რომელიც ყველაზე უფრო საყურადღებოა. ზოსიმე ჩვეულებრივი ადამიანია, ის ერთი ჭრავალთაგანია. ახალგაზრდაც და ხნიერიც ყველა ჰპოებს იმასთან თავის მსგავსებას, — ზოგი აწმყოში, ზოგი წარსულში: მას ყველასთან აქვს ნათესაური კავშირი და მისი მწარე ფიქრები სხვა მრავლისათვისაც გულსაგმინავია. ყოფილა და იქნება.

ღარიბი ოჯახისშვილი, ზოსიმე, სწავლის დამთავრებამდეც მუდამ იმ აზრით იყო აღფრთოვანებული, სწავლას გავათავებ თუ არა, დავუბრუნდები სოფელს და უანგაროდ შევუდგები ხალხის სამსახურსაო. სრული იმედი ჰქონდა, რომ „ხალხში შეიტანდა პატივისცემას მისი წოდებისადმი, შეაყვარებდა იმათ სახელს, ვინც მქადაგებელია სიყვარულისა მოყვასისადმი, ვინც განმანათლებელია სულისა, გამწმენდი გულისა ყოველივე მძულვარებისა და ბოროტებისაგან“. ეგონა, თუ თავისი მოქმედებით ხალხში ნდობას, სიყვარულს, პატი-

ვისცემას მოიხვეჭდა, ხალხს ჭირს შეუმსუბუქებდა, ცხოვრებას გაუადვილებდა, იმის გარშემო სიბნელეს მცირეოდნად მაინც გაჰფანტავდა. მაგრამ მალე დაინახა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ოცნება იყო; შედგა თუ არა ფეხი ცხოვრებაში, ეს ოცნებაც უნდა გამქრალიყო. ცხოვრებამ თავისი მოითხოვა; ზოსიმე თუ ხალხს სჭირია, ხალხის დახმარებაც საჭიროა მისთვის; სიღარიბით სულშეხუთულ ხალხს კი თავისის საკუთარის თავისთვისაც ვერ შემოუვლია, სხვისთვის სადა სცხელა? ის მოძღვარს იკვის თვალით უყურებს და დარწმუნებულია, რომ ზოსიმეს „წაგლეჯაზე აქვს თვალები გამოპრაწული, ხალხთან დაახლოებას იმისთვის სცდილობს, რომ იმათ სარჩოზე იწყოს ცხოვრება...“ — აი, თავიდანვე რაგვარი ურთიერთობა დამყარდა მოძღვარსა და სამწყსოს შუა. კიმოთე გლეხი ამბობს:

„— ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირვება გვეყოფა, ძლივს სული გვიდგია ტანში. ჩვენ სხვისაგან მოველით შველასა და დახმარებას, ჩვენის გაჭირვების გაადვილებას, და ამის მაგიერად ტვირთად გვაწვება... დასაბინავებლად ჩვენ გვიხდება და შესანახავად... ჩვენც ცოდვანი ვართ!“

— მართალია, მართალი! — მოისმა აქეთ-იქიდან ხმები ამ სიტყვებზე“.

მწარედ ჩაფიქრებული ზოსიმე სწორად შეხედავს ცხოვრებას, თავისს მდგომარეობას და დაინახავს, რომ ის არის „უბინაო, ღატაკი, ღატაკებით გარშემოხვეული, რომელთ ნაოფლარითაც თავი უნდა ერჩინა. საიდგან, რა გზით უნდა დაბადებულიყო ნდობა, სიყვარული, თანაგრძნობა მათ შორის?“. ზოსიმე მზად არის იტიროს, რადგანაც კარგად ჰგრძნობს, რომ ასე უნდა იყოს სიკვდილამდის, ასე ძულებაში უნდა დალიოს თავისი წუთისოფელი თავისდა უნებურად, თავისდა გულსაკლავად. ცხოვრება საუკეთესო პრაქტიკაა, მან მალე აუხილა ზოსიმეს თვალები, მალე დაუმტკიცა მისი ოცნებების უნიადაგობა, განუხორციელებლობა, და საბრალო მოძღვარს თვალწინ დაეხატა მთელი თავისი უძლურება და უსაშუალობა. მწარე ფიქრებში გართულ ზოსიმეს წინ შეხვდება სოფლის მღვდელი, რომლის ერთადერთ საზრუნავს და საფიქრელს „ბურუხუნა კანჭიანთები“ შეადგენს და ზოსიმეს იდუმალი ხმა ჩასძახის: „ზოსიმე, აი შენის მომავლის გამოხატულება, შენც ასეთი ბოლო მოგელის“. ზოსიმე ინახულებს ავადმყოფი გლეხის ოჯახს, და პირველი ფეხის შედგმისათანავე უმეცრება, სიღარიბე და სიღატაკე ეგებება წინ. ზოსიმე აქაც ჰგრძნობს თავისს უძლურებას: იმის თვალწინ ავადმყოფები უმწეოდ იხოცებიან და მას არავითარი შველა არ შეუძლია. მოვა ზოსიმე თავის საკუთარ სახლში, აქაც სიღარიბე, აქაც სიღატაკე ეგებება წინ

ნუგეშისა და იმედის მაგივრად, და სრულიად რწმუნდება, რომ მისი ოცნება უნიადაგო იყო. მისი მომავლის გამოხატულება კი მართლა მისეული ხუცესი ყოფილა, რადგანაც იმას ცხოვრება უნდა, ცოლშვილი თავს ახვევია და რითი არჩინოს ოჯახი, თუ არ ღატაკი ხალხის ნაოფლარით? არ წაბაძავს მისეული ხუცესს? რა მოაგვაროს თავისის თავისთვის, ცოლისთვის, შვილებისთვის, რომლებსაც დედა უქმე დღესაც კი ვერ აცმევს რიგიანს ტანისამოსს: დაჰხევენ და მერე რაღა ჩავაცვაო. „დროა ოცნებას თავი დაანებო, — ეუბნება ზოსიმეს იგივე იდუმალი ხმა: — კი უნდა გამოპრაწო თვალები, თორემ ვერც სხვას წაადგები და შენს თავსაც ავნებ! დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიო, იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ". ყოველივე ამან გული მოუშხამა ახალგაზრდა მოძღვარს, ყოველივე ამან ნათლად დაანახვა, რომ ოცნება სხვა არის, ცხოვრება სხვა.

რა ჰქმნა ბოლოს ზოსიმემ? იმან გაიმარჯვა თუ ცხოვრებამ? რა უნდა ექნა?! შეურიგდა ბედს, ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი ურიგდება. ზოსიმე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია და როგორ შეუძლია ცხოვრებას გაუმკლავდეს, ქედი არ მოიხაროს და ბოლომდე თავისი გაიტანოს? მშიერის კუჭით მშიერ ხალხს ზოსიმესთანა ადამიანი ვერ ემსახურება. ავტორს შეეძლო, არაჩვეულებრივის ხასიათით, ნიჭითა და მხნეობით დაეჯილდოვებინა ზოსიმე: ის შეებრძოლებოდა ცხოვრებას, ქედს არ მოიხრიდა, ან თავისას ამჯობინებდა, ან არადა ბედს არ დაუთმობდა. ზედ შეაკვდებოდა; მაგრამ მაშინ ჩვენთვის იმდენად საყურადღებო არ იქნებოდა. იმდენად არ მოგვხვდებოდა გულს, როგორც ახლა: ხასიათის გასაოცარ სიმტკიცეს და თავდაჭიწყებას ბუნება მხოლოდ რჩეულთ აძლევს; ჩვეულებრივ ადამიანს ვერც მისი საკუთარი თავი და ვერც სხვა ვერ დასძრახავს და ვერ გაჰკიცხავს. რომ ამგვარი რჩეული ადამიანებივით ვერ მოიქცეს ცხოვრებაში: უმეტესი ნაწილი ზოსიმესა ჰგავს. სხვისი სამსახური მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა ბუნებრივი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული აქვს. ზოსიმეს უსაშუალო მდგომარეობა უმრავლესობის უსაშუალობაა, მისი სულისკვეთება უმრავლესობის სულისკვეთება არის, ამიტომ ხვდება ის გულს. ამიტომაც გვაღელვებს და გვაკრძნობინებს სრულად თავისის საკუთარი გულის ვარამს.

უმეტესი ნაწილი ჩვენის ახალგაზრდობისა ზოსიმესავით ოცნებობს გატაცებული; ხალხი, სამშობლო — აი, რა არის მუდამ იმის გონებაში გამოხატული; მამულის სამსახური — აი, რა შეადგენს მისი ბომავალი ცხოვრების საგანს. მაგრამ, ჩასდგამს თუ არა ცხოვრებაში ფეხს, ყოველ ნაბიჯზე იმგვარი სურათები უხვდება, იმგვარს მდგომარეობაში ვარდება, როგორც ზოსიმე, ეს სურათები და მათგან

აღძრული ფიქრები ზოსიმესავით უკლავს გულს, ჰეშმარიტ შეხედულებას აძლევს ცხოვრების შესახებ და ეუბნება: ოცნება სხვა არის, ცხოვრება სულ სხვაა. „აწი ყოველსავე ოცნებაზე ხელი უნდა აიღო და იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ". მას არ უნდა, არ შეუძლია სხვებსავით იცხოვროს. განა ის არ იყო, ამ „სხვებს" რომ ჰკიცხავდა, ლანძღავდა და აგინებდა? იმათს ცხოვრებას პირუტყვულს ცხოვრებას უძახდა? როგორ?! განა იმანაც „სხვებსავით" უნდა იწყოს ახლა ცხოვრება? ამოიოხრებს მწარედ. ცრემლსაც დაღვრის ზოსიმესავით, ცხოვრება კი თავისას იზამს: გარეთ სიღატაკე, შინ სიღატაკე საბოლოოდ მოჰქნის. შეურიგდება ბედს ზოსიმესავით და იწყებს ცხოვრებას იმ მიხეილებს შორის, რომლებიც წინათ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. კიდევ მადლობა ღმერთს, თუ სულ იმათ არ დაემსგავსა.

ჩაუკვირდით ამ მიხეილებს, გამოჰკითხეთ წარსული და დარწმუნდით, რომ ბევრი მათგანი სიყმაწვილეში, სანამ პირისპირ შეხვდებოდა ცხოვრებას, ზოსიმეზე ნაკლები არ იყო. ზოსიმესავით ოცნებობდა, იმედით აღვსილის გულით მოისწრაფოდა ცხოვრებაში, ხალხში. მაგრამ გარეთ სიღატაკემ, შინ სიღატაკემ სხვა მიმართულება მისცა იმათ ცხოვრებასა და მისწრაფებას; გაიბრძოლეს ერთი ზოსიმესავით და საბოლოოდ შეურიგდნენ ბედს, რომ შეუმჩნეველად, სხვის გამოუსადეგრად გაეტარებინათ თავისი დღენი. ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიდის; გაჭირვებულთა რიცხვი თუ მატულობს, ითრემ არა კლებულობს. კეთილი ოცნებაა მომავალში საზოგადოებრივი და საერთაშორისო ცხოვრება-დამოკიდებულების ისე გარდაქმნა, რომ უმეტესობას ლუკმა-პური უზრუნველყოფილი ჰქონდეს: ახლა კი, დღევანდელ ვითარებაში ხალხი შიმშილს ებრძვის და ერთხანს იგივე ელის. ძველი თაობა წავა, ახალი დაძველდება, სხვა ახალი თაობა აღმოცენდება. მაგრამ უმეტესი მათგანი, რაც უნდა სიმპათიური აზრი ჰქონდეს გამოხატული, ცხოვრებაში ზოსიმესავით იგრძნობს, დარწმუნდება, რომ გარშემო სიღატაკე, ოჯახში სიღატაკე მისი აზრების განხორციელებას შეუძლებლად გახდის. ზოსიმესავით ჩამოჰყრის უიმედობის ცრემლს, გამოეთხოვება სამუდამოდ თავისს ოცნებებს და ბედს შეურიგდება. ბევრს ცხოვრებაში ვასულს ჩააფიქრებს ზოსიმე. მოაგონებს თავის სიყმაწვილეს და ტლანქ მატერიალურ აწმყოს თუ არ შეაძულებს. მცირე ხნობით მაინც დაავიწყებინებს და დაუბრუნებს იმ ძვირფას წარსულს, როცა ის ჯერ ისევ სემინარიაში მყოფ ზოსიმესავით ოცნებას შეჰხაროდა და მის რეალურად განხორციელებაში სრულიად დარწმუნებული იყო. ბევრჯერ ცხოვრებაში გამოუსვლელს ააშფოთებს ზოსიმეს სუ-

ლესკვეთება, რადგანაც დიდს მსგავსებას ჰპოვებს თავისს თავსა და მას შორის. ბევრს დაუნაღვლიანებს გულს ზოსიმეს მდგომარეობა, რადგანაც ნათლად დაინახავს, რომ მომავალში ისიც იმავე გარემოებათა შორის მოექცევა ცხოვრების სარბიელზე, როგორც ზოსიმე. ბევრი იტყვის: ვაითუ მეც ზოსიმესავით ჩამოვყარო სასოწარკვეთილების ცრემლები და ბედს შევურიგდეო. ამგვარმა ფიქრებმა შეიძლება ზოგს მაინც მოანახვინოს რაიმე საშუალება, რომ მცირეოდნადაც არის აიცილოს ზოსიმეს მდგომარეობა ცხოვრებაში. აი, ეს მიმაჩნია ამ პატარა სურათის მნიშვნელობად და სარგებლობად.

ავტორს ისეთი ნიჭი აქვს, რომ ერთის კალმის მოსმით შეუძლია ამა თუ იმ გმირის დახასიათება; იმგვარად და ისეთ სიტყვას ათქმევინებს, რომ ეს ერთი სიტყვა შეგატყობინებთ მთქმელის მთელს ხასიათს, მისწრაფებას, ავ-კარგიანობას და ცხოვრების საგანს. ამგვარია პეტრია „სტოროჟი", რომელიც ცხოვრებიდან ცოცხლად არის ამოღებული, და მიხეილა ხუცესი, რომელიც ნამდვილი ტიპია. გასაოცარი სარკე. რომელშიაც ყველა ჩვენის სოფლის ძველებურ მღვდელს დაინახავთ. ეგ. ნინოშვილის შემდეგ დავ. კლდიაშვილი ჩვენ ახალგაზრდა ბელეტრისტთა შორის ყველაზე უფრო ადვილს რეალურ გზას. ის წინდაწინ არავითარის იდეით არ იჭურვება. ობიექტიურად გვიხატავს ჩვენს ცხოვრებას. ეს საუკეთესო გზა არის ბელეტრისტისათვის: ცხოვრება უთავბოლოდ და უაზროდ არ მიმდინარეობს, ისიც ბუნების უტყუარ კანონებს ემორჩილება, აქაც არის აზრი და იდეა. ხოლო ნიჭის დანიშნულება ის არის, ისეთი ტიპიური ფაქტები და მომენტები ამოიღოს ცხოვრებიდან, რომ ესა თუ ის აზრი და იდეა თავისთავად. ძალდაუტანებლად გამოსჩვიოდეს. დავ. კლდიაშვილს ასეთი ნიჭი აქვს, თუმცა ჯერჯერობით რომანტიზმის ზოგიერთი უბრალო ელემენტი ვერ მოუშორებია. უყვარს ეფექტით სავსე. გულშემზარავი სურათები, რომლებიც მკითხველის გრძნობაზე უფრო მოქმედებს, რასაც მოთხრობის უკანასკნელი სურათი ამტკიცებს. ჩვენში. სადაც საზოგადოება თითქმის ახლა იმაგრებს ფეხს. სადაც ჯერ ყველა თავისის თავისთვის სცხოვრობს. საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას არ იცნობს და არ ეტანება, ამგვარის ნიჭისა და მიმართულების მწერალი დაუფასებელია, რადგანაც გვაცნობს ჩვენს ცხოვრებას, გვითვალისწინებს მ-ს ცვლილება-მიმდინარეობას, გვიბადებს საზოგადო ინტერესს, ნელ-ნელა გვატყობინებს განკერძოებულად, თავისი თავისათვის ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის მოთხოვნილებას გვიღვიძებს.

1898 წ.

ხალხის გულის მესაიდუმლე

(თხზულებები ეგნატე ნინოშვილისა)

I

თუმცა მთელი სიტყვიერება გამოურკვეველი საგანია და მეცნიერების სახელს, ვინ იცის, რამდენი ხანი უნდა ელოდებოდეს, მაგრამ სიტყვიერების ერთი ნაწილი — კრიტიკა, თითქმის ყველა დანარჩენ ნაწილს ჩამორჩა. ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საზოგადოებაში შეხვდებით ისეთ კრიტიკოსებს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა საზომს ხმარობენ სიტყვაკაზმული ლიტერატურის სარკვევად; კრიტიკის მიზანი თვითეულს სხვადასხვანაირად აქვს დასახული. უცხო ენებზე ბევრია ასეთი სათაურის წიგნები: „საფუძვლები ლიტერატურული კრიტიკისა", „მეცნიერული კრიტიკისა" და სხვ., მაგრამ ყოველ ავტორს ეს საფუძვლები თავისებურად ესმის; ზოგი მათგანი ამტკიცებს: კრიტიკა რამდენიმე გვარია — ესთეტიკური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სხვ. კრიტიკის საფუძვლების შესახებ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა. გვარებად მისი დაყოფა აშკარად ამტკიცებს მის გამოურკვევლობას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ცოდნის მიზანს მეცნიერული ნიადაგის მოპოება უნდა შეადგენდეს, ცხადი იქნება, რომ ბევრი დრო გაივლის, სანამ კრიტიკა მეცნიერებად იქცეოდეს[1]. ამგვარ მდგომარეობაში ყოველი კრიტიკოსი იძულებულია, თავის კვლევას რაიმე მოსაზრება დაუდვას საძრკოლად; უამისოდ მისი შრომა უსისტემო იქნება. მისი ანალიზი შემთხვევით ნიშნებზე დამყარებული ამიტომ, სანამ ე. ნინოშვილის თხზულებათა გარჩევას შევუდგებოდეთ, საჭიროდ დავინახეთ ზოგიერთი მოსაზრების წინ წამძღვარება.

---

1 შესანიშნავმა ტენმა შექმნა მეცნიერული სისტემა კრიტიკისა, მაგრამ მის მიერ დაწყებული გზით აღარავის უვლია.

ლიტერატურული კრიტიკის მიზანია ახსნას სამხატვრო ნაწარმოები და აღნიშნოს მისი ღირსება-ნაკლოვანება. ქვეყნიერებაზე შემთხვევითი არაფერია: ყოველგვარ მოვლენას თავისი მიზეზი და შედეგი აქვს. დეტერმინიზმმა სრული ალაგი დაიკავა ბუნებისმეტყველებაში და დიდიხანია შეანგრია საზოგადოებრივ-ზნეობრივი მეცნიერების იდეალური კედელი. საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარნი თანდათან რწმუნდებიან, რომ აქაც სრული დეტერმინიზმი არსებობს. სიტყვაკაზმული ლიტერატურაც დეტერმინიზმს ექვემდებარება; არც ერთი ხელოვნური ნაწარმოები, რა დაბალი ან მაღალი ღირსებისაც უნდა იყოს, შემთხვევითი არ არის; მას თავის საკუთარი მიზეზი აქვს. ამ მიზეზების შეგნება და გამორკვევა კრიტიკის უპირველეს საჭიროებას შეადგენს. უამისოდ ხელოვნური ნაწარმოების დაფასება მტკიცე საფუძველს იქნება მოკლებული.

ყოველგვარ იდეას, ყოველგვარ აზროვნებას, რა განყენებულიც უნდა იყოს ის, სარჩულად უდევს ნახატი[1], ე. ი. გონებაში აღბეჭდილი სახე ჩვენ გარეშე არსებული საგნებისა და შემოხვევებისა. ნახატების სხვადასხვანაირად შეერთება კი ჰბადებს ადამიანის მთელს აზროვნებას. როგორ ჩნდება ნახატი ჩვენ გონებაში? გარეშე ბუნება მოქმედებს ჩვენი ხუთი გრძნობის ორგანოებზე; ეს ორგანოები ნერვების შემწეობით გადასცემენ სხვადასხვა შთაბეჭდილებას, თავის ტვინის უჯრედები ირჩევენ ამ სხვადასხვაგვარ შთაბეჭდილებას და შემდეგ მათი განმეორება, ხელახლა გამოწვევა შეუძლიათ. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ რომელიმე მსახიობი, რომელიც წინათ გინახავთ. გონებაში აღადგინოთ მისი სიმღერა, ლაპარაკი, ამგვარად. წარმოდგება ჩვენ გონებაში ნახატი; მაშასადამე, აზროვნობის წარმომშობი მხოლოდ ტვინის უჯრედებია, სხვა არაფერი. ფსიქოლოგიაში მატერიალიზმი გამეფდა და აქა-იქ თუ დარჩენილან უკიდურესი სპირიტუალისტები, ისინიც ნელ-ნელა თვითონვე აღიარებენ თავის დამარცხებას[2]. რადგანაც ჩვენ სულიერ მოქმედებას სარჩულად უდევს ნახატი, ნახატი კი იბადება თავის ტვინის უჯრედებში გარეშე ცხოვრების ზეგავლენით, აქედან, ცხადია, რომ ჩვენი ყოველგვარი აზროვნება და, მაშასადამე, მწერლის ნიჭის ნაყოფიც, დამოკიდებულია, ერთის მხრივ, გარეშე

---

1 როდესაც ჩვენ თვალდახუჭული წარმოვიდგენთ შორეულ პირებს და სხვ., ეს არის ნახატი გონებრივი.

2 ამ ორიოდე წლის წინათ მოსკოვის პროფესორმა, სპირიტუალისტმა გროტმა საჯაროდ გამოაცხადა: სული ერთგვარი ენერგია არისო, და ამით გზა დაუფლა მატერიალიზმს ფსიქოლოგიაში.

ცხოვრებაზე, მეორეს მხრივ, ტვინის აგებულებაზე, მისი უჯრედებ-
ბის თვისებაზე. გარეშე ცხოვრება ან სოციალური პირობები მწერ-
ლის ნიჭზე მოქმედებს ან პირდაპირ, ან შორეულის გზით: პირველ
შემთხვევაში ის მასალას აძლევს მწერალს, მის სულიერ წყობილე-
ბას თავისებურ ბეჭედს ასვამს, აღვივებს მასში სხვადასხვა სიმპა-
თიას და ანტიპათიას და ამით ჰბადებს მწერლის ნიჭის განსაზღვრულ
მიმართულებას, მის ხასიათს. ორსავე შემთხვევაში მხატვრული
ლიტერატურა გამომხატველი იქნება საზოგადოებრივი ფსიქოლო-
გიისა. ყოველი საზოგადოება შედგება სხვადასხვა ან იურიდიული
ან სოციალური კლასებისაგან; ამიტომ ყოველი მწერლის მოღვა-
წეობას ამ კლასის ბეჭედი აზის, რომლის გავლენის ქვეშაც გაფურჩ-
ქვნილა მისი გონებრივი და ზნეობრივი მხარე. „მუშა, რომელიც
არშიებს ყიდულობს, ორივე თავის აზრით ხელმძღვანელობს, მაგრამ
მათი აზრთა სხვადასხვაობა დამოკიდებულია საზოგადოებრივი
მდგომარეობის სხვადასხვაობაზე. ეს უკანასკნელი კი ნაყოფია სო-
ციალური ორგანიზაციისა" — ამბობს მარქსი წერილში პრუდონის
წინააღმდეგ. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ლიტე-
რატურა პატრიოტული რომანტიზმი, რომელიც სრული ნაყოფია
თავადაზნაურობის (უმთავრესად, პირველის) კლასიური ინტე-
რესებისა; სამშობლოს სიყვარული კი მხოლოდ უბრალო ფარია.

სულიერი მოქმედების მიზეზად მარტო თავის ტვინის უჯრედე-
ბის (და არა რაიმე არამატერიალური სუბსტანციის) აღიარებას
ჩვენთვის შემდეგი მნიშვნელობა აქვს; თუ დავამტკიცეთ, რომ თა-
ვის ტვინის ამა თუ იმ თვისებაში მემკვიდრეობას დიდი წილი უდ-
ევს, მაშინ ისიც ცხადი იქნება, რომ მწერლის ფსიქიკაზე და მაშა-
სადამე, მის ნაწარმოებზე მემკვიდრეობას გავლენა აქვს: უმთავრე-
სად კი სულიერ თვისებათა მემკვიდრეობასთან დაკავშირება ძნე-
ლია. რა არის მემკვიდრეობა? როდესაც წინაპრების თვისებანი გარ-
დაეცემა შთამომავლობას, ამ გარემოებას ეწოდება მემკვიდრეობა.
მემკვიდრეობის ასახსნელად ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან რამ-
დენიმე ჰიპოთეზა გაჩნდა: დარვინის, ჰეკელის, ნეგელისა და ვეის-
მანის. უმაღლეს საფეხურზე მდგომ ცხოველებს აქვთ სასქესო ჯირ-
კვლები: ამ ჯირკვლებში მზადდება სასქესო უჯრედები: კვერცხი —
დედალი არსების სასქესო უჯრედი, და სპერმატოზოიდი — მამალი
არსების სასქესო უჯრედი. ამ ორი უჯრედის, კვერცხისა და სპერ-
მატოზოიდის შეერთებით ჩნდებიან ყველა უმაღლესი ცხოველები.
აქედან აშკარაა, რომ მემკვიდრეობის საიდუმლოებაც ამ სასქესო
უჯრედებში უნდა იყოს დამალული.

მთელი ტანი აშენებულია პატარ-პატარა უჯრედებიდან. დარ-

ვინის ჰიპოტეზით. ტანის ყველა უჯრედებს ცილდება პატარა ნაწილები, ამ ნაწილებიდან წარმოიქმნება სასქესო უჯრედები, სასქესო უჯრედებიდან კი ცხოველები. მაშასადამე, ცხოველებს უსათუოდ უნდა გადაეცეს დედმამის აგებულობის თვისებანი. ამგვარად, დარვინის ჰიპოტეზა მემკვიდრეობას ადვილად ხსნის, მაგრამ არც ერთი ანატომიური ფაქტი მას არ ამართლებს, არავის არ დაუმტკიცებია, რომ სასქესო უჯრედები ისე მზადდებოდეს. როგორც დარვინს ჰგონია; ამიტომ დღეს ეს ჰიპოტეზა ყველას მიერ უარყოფილია. ჰეკელის ჰიპოტეზა მეტაფიზიკურია; ნეგელის — მცირეოდენად ხსნის მემკვიდრეობას მცენარეებში და უმდაბლეს ცხოველებში; უმაღლესი ცხოველების მემკვიდრეობის ასახსნელად კი უვარგისად არის ცნობილი, ამიტომ არც ჩვენ მოგვყავს. ყველაზე უფრო რიგიანი ჰიპოტეზა ეკუთვნის ვეისმანს. მისი ჰიპოტეზა ანატომიურ-ემბრიოლოგიურ ფაქტებს არ ეწინააღმდეგება და ამიტომ მეცნიერებისაგან მიღებულია. ვეისმანის აზრით, სასქესო უჯრედებში არის ერთგვარი სითხე — იდიოპლაზმა. როცა კვერცხი სპერმატოზოიდთან შეერთებით განაყოფიერდება. მისი იდიოპლაზმა იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილიდან ჩნდება სხვადასხვა უჯრედები, რომლების შეერთებითაც ცხოველი წარმოდგება. მეორე ნაწილიდან კი ჩნდებიან სასქესო უჯრედები. აქედან აშკარაა რომ სასქესო უჯრედებში მოთავსებული უნდა იყოს მთელი ტანის თვისება, რადგანაც ორივე ერთი და იგივე იდიოპლაზმიდან წარმოდგნენ. ამიტომ, როდესაც სასქესო უჯრედი განაყოფიერდება და მთელ არსებად იქცევა, ახალი ცხოველი, უეჭველია, თავის მშობლებს უნდა დაემგავსოს. რადგანაც ყოველი სასქესო უჯრედი, რომლიდანაც შვილი ჩნდება, შეიცავს ნაწილს იმ იდიოპლაზმისა, რომლიდანაც მშობლები წარმოდგნენ. მეცნიერება აღარ უარყოფს მემკვიდრეობას, ის მხოლოდ ცდილობს ამ მოვლენის ახსნას. მომავალში ვეისმანის თეორიაც რომ უარყოფილ იქნას, მემკვიდრეობის ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება: ჩვენ მხოლოდ მისი ახსნა და შეგნება არ გვეცოდინება. მემკვიდრეობის მნიშვნელობა ხალხსაც კი შეუგნია დაკვირვებით და უთქვამს: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მეურნეობაში ამ კანონს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის მნიშვნელობა ამ კანონზე არის დამყარებული. ჯანმრთელი და რაიმე მხრივ განვითარებული მშობლები უფრო სალ და ამტან მოდგმას ტოვებენ; ამ კანონის ძალით ადამიანს შეუძლია მცენარეთა და პირუტყვთა ჯიში სურვილისამებრ შეცვალოს. მემკვიდრეობა მოქმედებს ტანის სიდიდეზე, სხვადასხვა ასოების გარეგნობასა და ზომაზე, ფერზე, ბალანზე და სხვადასხვა თვისებაზე: ითოლა ცხენს,

ორლა კვიცი ჩამოუდის; კარგ მეწველ ძროხას — კარგი მეწველი ძროხა და სხვ. ინსტინქტების მემკვიდრეობით გადაცემა ხომ ყველასათვის ცხადია. საექიმო მეცნიერებაში ყველასაგან აღიარებულია მემკვიდრეობის ძლიერება, ის ექიმი. რომელიც ავადმყოფს არჩენს და მისი მემკვიდრეობა კი არ იცის, გლახა ექიმია. გამორკვეულია, რომ თუ მამას რომელიმე ორგანო. მაგალითად. გული სუსტი აქვს, შვილსაც ეს ორგანო სუსტი ჰყვება; თუ მამა გაუნათლებელი იყო და გონების ვარჯიშობას მოკლებული. შვილი კი უმაღლეს სწავლას ეტანება (მარტო დიპლომისათვის არა. რასაკვირველია!), ხშირად ნერვებით ავადმყოფი — ნევრასთენი ხდება. რადგანაც მემკვიდრეობამ მას შრომას უჩვევი ტვინი არგუნა[1]; აშკარაა, მემკვიდრეობის გავლენას თუ ბალანი და კანის ფერიც კი ვერ დაემალა, ვერც თავის ტვინი აცდება; თუ ავადმყოფობა, სხვადასხვა ორგანოს თვისებანი მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე, უეჭველია, ტვინის უჯრედების ამა თუ იმ თვისებასაც გადასცემს დედ-მამა შვილს. ვინც უარყოფს მემკვიდრეობას ტვინის თვისებათა გარდაცემაში, მან უნდა უარყოს ეს სხვა ორგანოების შესახებაც. ეს კი აბსურდი იქნება, რადგანაც ჩვენი აზროვნება ტვინის უჯრედების მოძრაობის ნაყოფია. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ უჯრედების თვისებაზე კი მემკვიდრეობა მოქმედებს. ამიტომ მწერლის ნაწარმოებზედაც უცილო გავლენა უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობას. ადამიანის ხასიათი ერთთავად ნაყოფია მემკვიდრეობისა: მწერლის ხასიათი კი ყოველთვის აძლევს ოავისებურ მიმართულებას მის ნიჭს. დამტკიცებულია, რომ მემკვიდრეობით ხშირად ბავშვებს გადაეცემათ ხოლმე დედ-მამის ან სხვა წინაპრების ცუდი თვისებანი; ამის ბევრ მაგალითებს იძლევიან მცირეწლოვანი დამნაშავენი; მეორე მხრივ გამოცდილებამ დაამტკიცა. რომ ამგვარი ბავშვები აღზრდის შემწეობით კარგავენ მემკვიდრეობით გადმოცემულ ცუდ თვისებებს. თუ ადამიანმა ზეპირად დაისწავლა რამე და რამდენისამე წლის განმავლობაში აღარ გაიმეორა, უმეტესი ნაწილი ავიწყდება; აგრეთვე, რაც უფრო ხშირად ვიმეორებთ რასმე. მით უკეთ გვრჩება გონებაში. როცა ბავშვები უცხო სიტყვებს სწავლობენ. ერთსა და იმავე სიტყვას რამდენჯერმე იმეორებენ და ამგვარის საშუალებით უკეთ იმახსოვრებენ. ამგვარად, თუ ტვინი ვარჯიშობს. ის იძენს ზოგიერთ თვისებებს; თუ ვარჯიშობას მოკლებულია. შეძენის მაგიერ კიდეც ჰკარგავს. აღზრდა სარგებლობს თავის ტვინის ასეთი თვისებით. ის ავარჯიშებს კარგ თვისე-

---

1 ამგვარი მაგალითები ძალიან ბევრია ახლახან გამოსული ექიმი კაბანოვის წიგნში.

ბებს და ამით ავითარებს ტვინს; ცუდის ვარჯიშობას კი ხელს უშლის და ამით, თუ ვერ ახშობს მათ, განვითარების ნებას მაინც არ აძლევს; ან, პირიქით, ცუდ თვისებებს ავარჯიშებს და ავითარებს, კარგს კი ახშობს. აღზრდითი მნიშვნლობა აქვს ოჯახს, სასწავლებელს, იმ საზოგადოებას და პირებს, რომლებიც მომავალ მწერლებს გარს ახვევია; აღზრდა აძლევს მის სულიერ თვისებას სხვადასხვა ელფერს და მიმართულებას და ამით ბეჭედს ასვამს მის ნაწარმოებს.

ამგვარად, გარეშე ცხოვრება, ანუ სოციალური პირობები, მემკვიდრეობა და აღზრდა მწერლის მოღვაწეობის ხასიათის და შინაარსის წარმომშობია. ეს ფაქტები ერთგვარის მნიშვნელობისანი არ არიან.

სასწავლებლის, ოჯახის, საზოგადოების ხასიათი ნაყოფია სოციალური პირობების; ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, აღზრდა სოციალურ პირობებს ემორჩილება. სოციალური პირობები ადამიანში ზოგ თვისებას ავითარებენ, ზოგს ახშობენ; ხშირად ბადებენ მათში ისეთ თვისებებს, რაც მემკვიდრეობას არ გადმოუცია და ამგვარად მემკვიდრეობაზედაც მოქმედებენ, მის გავლენას თავისებურ მიმართულებას აძლევენ. ამიტომ ზემოდხსენებულ ფაქტორებში მთავარი მნიშვნელობა აქვს პირველს — სოციალურ პირობებს. საზოგადოების, ერის ცხოვრება უცვლელი არ არის; ჩვენ გვწამს, რომ ის იმდენად იცვლება, რამდენადაც იცვლება ეკონომიური ნიადაგი; ეკონომიური ნიადაგი კი იცვლება იმდენად, რამდენადაც იზრდება და ვითარდება ერის მწარმოებელი ძალა. აშკარაა: იმ საზოგადოების ცხოვრება, რომელშიაც თითო ადამიანი შუათანა რიცხვით დღეში მანეთის საღირალს ამზადებს, სხვა იქნება, ვიდრე იმ საზოგადოების, სადაც თითო ადამიანი დღეში ორი მანეთის საღირალს ამზადებს. ამგვარად, მწარმოებელი ძალის მდგომარეობაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი განწყობილება, ურთიერთობა; საზოგადოებრივ ურთიერთობაზე კი დამოკიდებულია საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ხასიათი. როდესაც იცვლება პირველი, ე. ი. მწარმოებელი ძალა, იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობაც და ამას თან მისდევს საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ცვლილებაც. ლიტერატურა, როგორც თავში მოვიხსენეთ, ხატავს საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას; მაშასადამე, მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე უმთავრესი გავლენა აქვს ერის მწარმოებელი ძალის მდგომარეობას (მწარმოებელი ძალა იზომება იმ ღირებულებით, რომელსაც განსაზღვრული დროის განმავლობაში ამზადებს მთელი ერი ან მისი ნაწილი; მაგალითად, ერთი ფაბრიკა თუ წელიწადში ორი ათასი თუმ-

ნის ჩიოს ამზადებს. მეორე კი ათასიანას. მაშინ ვამბობთ: პირველის მწარმოებელი ძალა ორჯერ მეტია, ვიდრე მეორისო). ხოლო მწარმოებელი ძალის მდგომარეობა ხელოვნურ ლიტერატურაზე მოქმედებს არა პირდაპირ, არამედ შესაფერი სოციალური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის შექმნით.

მწარმოებელი ძალის განვითარება იწვევს საზოგადოებრივი განწყობილების ცვლილებას; ამის შედეგია, რომ ხალხის შეხედულება ირყევა. სხვადასხვა ფაქტორები: ან ფილოსოფია, ან პოლიტიკა, ან რაიმე რელიგიური სწავლა-მოძღვრება, გაიტაცებს ხალხს და გამოჰყავს სამოქმედო ასპარეზზე; ეს ფაქტორები ლიტერატურაზეც მოქმედებენ. მაგალითად, გერმანიაში მე-18 საუკუნეში ხელოვნური ლიტერატურის განვითარებას ძალიან შეუწყო ხელი ფილოსოფიამ. საფრანგეთში რესტავრაციის დროს ხელოვნურ ლიტერატურაზე პოლიტიკა მოქმედებს და სხვ. აგრეთვე ხშირად რამე ახალი იდეა ხელოვნურ ლიტერატურასაც იმორჩილებს და სულს უდგამს. მაგრამ როცა ლიტერატურის მკვლევარი ასეთ მაგალითებს ხედავს ისტორიაში, არასოდეს არ უნდა დაკმაყოფილდეს მით, რომ ხელოვნური ლიტერატურის სათავედ ფილოსოფია, პოლიტიკა, რაიმე ახალი იდეა და სხვ., იცნას. მან უნდა ეძიოს თვით ამ ფაქტორების ფილოსოფიის, პოლიტიკის და სხვ. სათავე და ამგვარი ძიება მას ყოველთვის მატერიალურ პირობებთან მიიყვანს. თუ გენიოსი არისტოტელი ამბობდა: მონობა ღვთისაგან არის დაწესებულიო, ბიჩერსტოუ კი მონობის წინააღმდეგ იბრძოდა. ამის მიზეზი ეკონომიურ პირობებში იყო. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რომ მწარმოებელი ძალა არ განვითარებულიყო და საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლა ნელ-ნელა არ მოეთხოვა, ფრანგებს არ ეყოლებოდათ დღევანდელი ვოლტერი, ინგლისელებს ბაირონი, გერმანელებს ბერნე და ჰეინე; მეთვრამეტე საუკუნის გასულის და მეცხრამეტის პირველი მეოთხედის ხელოვნური ლიტერატურა დასავლეთ ევროპაში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, გაჟღენთილია თავისუფლების წყურვილით, ძველ ზნე-ჩვეულებათა და შეხედულებათა დამხობის სურვილით. ყოველივე ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, რომ მწარმობელი ძალის განვითარებას არ გაენგრია პატრიარქული ფარგლები და არ მოეთხოვა სრული თავისუფლება.

მოკლედ, მხატვრული ლიტერატურის ხასიათი დამოკიდებულია უმთავრესად მწარმოებელი ძალის მდგომარეობაზე, შემდეგ მწერლის მემკვიდრეობაზე[1] და აღზრდაზე; ხოლო მწარმოებელი ძალა

---

1 მწერლის ნაწარმოებში ყველაზე საძნელო საქმეს შეადგენს მემკვიდრეობის გავლენის გამოარკვევა; ამის მიზეზი რიგიანი ბიოგრაფიის უქონლობაა. საზო-

ლიტერატურაზე პირდაპირ არასოდეს არ მოქმედებს. არამედ მოქმედებს შესაფერისი სოციალური პირობების ფსიქოლოგიის შექმნით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვითეული მწერლის მოღვაწეობაში ყველა ამ ფაქტორის გავლენის პოვნა და ყოველივე წვრილმანის ამ ფაქტორებით ახსნა მეტად ძნელია. ადამიანის ფსიქიური ცხოვრების მექანიზმის მათემატიკურ სინამდვილეზე დამყარება შეუძლებელია. თუმცა ადამიანი მანქანაა, მაგრამ ისეთი მანქანაა, რომელიც აზროვნებს, მოქმედებს და ამავე დროს გრძნობს თავის აზროვნებას და მოქმედებას. ადვილი შესაძლებელია, რაიმე მოულოდნელმა გარემოებამ ცვლილება შეიტანოს მის სულიერ მდგომარეობაში და ამით მის თხზულებასაც კვალი დაჩნიოს. მაგრამ თუ ამ ფაქტორებმა მხატვრული ლიტერატურის უმთავრესი ძარღვი ახსნა, ეს სრულიად საკმარისია; ამის შემდეგ წვრილმანი ნიშნების ახსნა საძნელო საქმე აღარ იქნება. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ჩვენ ამ მიზეზებით ვფიქრობდეთ სამწერლო ნიჭის ახსნას; ფსიქოლოგია ჯერ იმდენად განვითარებული არ არის, რომ ტალანტის ახსნა შეიძლებოდეს ჩვენგან კი არა, გამოჩენილი მეცნიერებისაგან. ხოლო, როცა ნიჭი უკვე არსებობს, ადამიანი უნდა ეცადოს მისი მიმართულების და თვისების ახსნას. მხოლოდ ამგვარ ცდას წარმოადგენს ზემოხსენებული მოსაზრებაც.

როდესაც კრიტიკოსი გადადის მხატვრულ ლიტერატურის დაფასებაზე, გარკვეული უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულება ღირსებანაკლოვანებების შესახებ. რანაირი მიმართულების და ნიჭისაც უნდა იყოს მწერალი, ნაკლოვანებასთან ერთად რაიმე ღირსება ყოველთვის იქნება მის ნაწერებში: ენა, ლამაზი რითმები, ბუნების საუცხოო სურათები და სხვ. თუ კრიტიკოსმა ყოველ მწერალს ის ჩამოართვა ღირსებად, რასაც თვითონ მწერალი აძლევს, ასეთი რკვევით ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს მკითხველს და დაემსგავსება იმ პეპელას, რომელიც ერთგვარის კმაყოფილებით დაფარფატებს ყოველ ყვავილს, გინდა სურნელოვანი იყოს, გინდა არა. თავდაპირველად მწერალი უნდა ხატავდეს ნამდვილ ცხოვრებას, რადგანაც ცხოვრებაში ბევრი უსამართლობა ხდება, ბევრი უზნეობა და ბოროტება ითესება, მწერალი უნდა ფარდას ხდიდეს ყოველისფერს, უნდა ებრძო-

---

გადიდ, ლიტერატურის ყოველ მკვლევარს მეტად ეაუადვილებდნენ შრომას მწერლები, თვითონვე რომ სწერდნენ თავის ბიოგრაფიას და მასში იხსენებდნენ ღელვამის, შორეული წინაპრებისა და ძმების ხასიათს.

დეს უსამართლობას და ბოროტებას. იცავდეს ადამიანის ღირსებას და პიროვნებას, აღვიძებდეს და ავითარებდეს მკითხველში კეთილშობილურ მისწრაფებას, სიყვარულს კეთილისადმი, ზიზღს და სიძულვილს ბოროტებისადმი. როგორც საზოგადოდ მეცნიერებას, ხელოვნებასაც მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული ცხოვრების გაუმჯობესება, ადამიანის სულიერი ამაღლება. თუ ხელოვნება ამ უმთავრეს დანიშნულებას არ ასრულებს, უმნიშვნელოა და, როგორც ყოველისფერი უსარგებლო, უარყოფილი უნდა იყოს... რაც შეეხება ესთეტიურ სიამოვნებას, ის ჩასკვნილი უნდა იყოს მთავარ მიზანში; მწერალმა სიამოვნება სარგებლობას უნდა შეუერთოს, რომ ამით უკეთ განახორციელოს თავისი მიზანი. თუ მას მარტო ცარიელი სიამოვნება აქვს დასახული მიზნად, რა ლამაზიც უნდა იყოს მისი ენა, რა მუსიკალური და მდიდარი მისი რითმა, რა საუცხოოც უნდა იყოს მისი სურათები, პეიზაჟები, ხელოვნების სამთავროში მას ალაგი არა აქვს. ვისაც დავიწყებული აქვს უმაღლესი მიზანი და ემსახურება ადამიანის მდაბალ გრძნობებს, ულირსია, ჯერ, როგორც ადამიანი, შემდეგ, როგორც მოღვაწე. რადგანაც თავისი მოღვაწეობით ცხოვრების გაუმჯობესებას ხელს კი არ უწყობს, წინ ეღობება. რაც შეეხება ზოგიერთის აზრს: წმინდა ესთეტიკა ადამიანის სულს აფაქიზებს და აკეთილშობილებსო, ცარიელი სიტყვებია, არავითარი დაკვირვება მას არ ამართლებს. ამგვარად, ცარიელი ესთეტიკა, თუ საშუალებას არ შეადგენს უმთავრესი მიზნის მისაღწევად, უარყოფილი უნდა იყოს. ვისაც ბაირონის ან ჰეინეს ლექსის მხოლოდ გარეგანი სილამაზე ატკბობს და არა მისი აზრი, მისი საოცარი სიბასრე თავისუფლების დასაცველად, ის არათუ თავის თავს, ბაირონსა და ჰეინესაც ამცირებს.

ამ მოსაზრების შემდეგ ჩვენ მივმართავთ ე. ნინოშვილის მოთხრობებს[1], ვეცდებით ავხსნათ ამ მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა და მივუთითოთ მკითხველს მის ღირსება-ნაკლოვანებაზე.

II

მოწყვეტილ ვარსკვლავსავით ნინოშვილმა მხოლოდ გამოშუქება მოასწრო და მალე ჩაქრა, მაგრამ ამ პატარა ხნის განმავლობაშიც ბევრის გაკეთება შესძლო, ბევრ საყურადღებო კითხვას შეეხო, ბევრ ახალ მოვლენაზე მიუთითა მკითხველს. მხატვრისა და პუბლიცისტის ნიჭი მასში ერთად იყო შეზავებული; თითქმის ყოველი მისი მოთხრობა პუბლიცისტური ხასიათისა არის და მისი ნი-

---

[1] ორიოდე ფელეტონს გურიის ცხოვრებიდან, რომელიც ნინოშვილს „ევერიამზე" ჰქონდა დაბეჭდილი, ჩვენ არ შეეხებით.

ჭის უმთავრესი ღირსება და მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს. ნინოშვილის მიზანი იყო, დაესურათებია მკითხველისათვის ჩვენი გლეხის დღევანდელი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის ტენდენცია. ყოველ თავის მოთხრობაში ის აღნიშნავს გლეხის კეთილდღეობის ნელნელა დაქვეითებას, მისი ოჯახის დაღუპვას. ზოგ თავის მოთხრობებში ის აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებიც გლეხის ოჯახს შიგნიდან ურყევენ საძირკველს. პირველი რიგის მოთხრობებს ეკუთვნის: „გოგია უიშვილი", „პალიასტომის ტბა", „სიმონა", „განკარგულება", „მონადირე", „მოსე მწერალი", მეორეს: — „უცნაური სენი", „პარტახი", „არშიყნი" და „ჩვენი ქვეყნის რაინდი". ჩამოთვლის რიგზე გავარჩევთ ჩვენც ამ მოთხრობებს.

გოგია უიშვილი იყო ღარიბი გლეხის შვილი, მამამისმა მთელი სიყმაწვილე და ვაჟკაცობა ბატონის სამსახურს შეალია. მამის სიკვდილის შემდეგ გოგიას და მის ორ ძმას დარჩათ პატარა ძველი ფიცრული სახლი, ნალია, ფაცხა და შვიდი დღიური „სანადელო" მიწა. ჯერ გაუყოფელადაც რომ დარჩენილიყო ეს უძრავი და მოძრავი ქონება, მაშინაც რა იქნებოდა, თორემ სამად გაყოფის შემდეგ უფრო რა! ძველი სახლის ამარა დარჩა გოგია, მაგრამ ის და მისი ცოლი, მარინე, გულს არ იტეხდნენ: ხელს გავანძრევთ, გავირჯებით და სიღარიბე ტკბილ ცხოვრებად შეგვეცვლებაო. იმედი ის მძლავრი ყავარჯენია, რომელსაც ეყრდნობა ხოლმე გლეხი: რანაირი გაჭირვებაც უნდა ადგეს, ნახევარჯერ რომ მშიერი იყოს, მაინც გულს არ იტეხს იმედი აქვს: როცა იქნება, ჩემსკენაც გადმოიხედავს ღმერთიო, და ეს იმედი ჰფენს მცირეოდენ შუქს მის ბნელ ცხოვრებას, იმედით იმხნევებდა ახალგაზრდა გოგია გულს, მაგრამ რანაირად უნდა შესწრებოდა, „ტკბილს" თავი დავანებოთ, უკეთეს ცხოვრებას? ორი კვალი მიწა, ისიც საბატონო — იმდენს არ აძლევდა, რაც უნდა ეშრომა, რომ კუჭი გაეძღო; სხვადასხვა გადასახადი, რომელიც ყოველ წელს იზრდებოდა, როგორღა უნდა გადაეხადა? გოგიას დაესია წვრილშვილი; მათი პატრონობაც ხომ ზედმეტ ხარჯს ითხოვდა; რაც დრო გადიოდა, გოგიას ცხოვრება არა თუ ტკბილდებოდა, როგორც ის ინუგეშებდა თავს, უფრო მწარდებოდა. წელებზე ფეხს იდგამდა გოგია, მიწას ოფლით რწყავდა; თავჩაქინდრულ მუშაობაში ისე გამოეპარებოდა დღე, რომ მზეს ვერც ამომავალს დაინახავდა და ვერც ჩამავალს, მისმა სიყმაწვილემ გაირბინა, ჭაღარა გამოერია და რა დარჩა შედეგად? უარესი ცხოვრება ღა გატეხილი გული, სიყმაწვილეში გოგიას მთელი გული ქონდა, მძიმე უღლის ზიდვაში მუდამ იმედი — უკეთესი მომავლის წარმოდგენა აძხნევებდა მას: დღეს

კი ეს უკეთესი მომავალი სადღაც გადაიკარგა სამუდამოდ. გოგიას გული გაუტყდა; ბედს ჩივილი დაუწყო; მალე ჩივილი ბედის წყევლად გადაექცა. ახალგაზრდა გოგია თუ ფიქრობდა, სიბერეში სიტკბოებას შეეესწრებიო, ჭაღარაშერთულ გოგიას სანეტარო ფიქრი მწარე ოხვრად შეეცვალა; „სიკვდილი ჯობია ჩემს სიცოცხლესო“, ხშირად ამოხდებოდა ხოლმე გულიდან. გოგიამ დათალა ფიცრები, რომ ახალი ოდა დაედგა, მაგრამ გაჭირვებამ გააყიდვია ფიცრები. მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ნაცვალი — ყველა მას წოვდა სისხლს და რომელ ერთს გასწვდებოდა, თუ არაფერს გაყიდდა? მარინეს მზითევიც გადასახადს მოუნდა, კაბაც კი ვერ გადაურჩა! თავის დაღუპვის მიზეზად გოგიას გადასახადი მიაჩნდა. ამიტომ ხანდახან მოთმინებიდან გამოსული კიცხავდა თავის მტანჯველს, უსამართლობას და, რაც გულში ნაღველი ჰქონდა დიდი ხნიდან დაგროვილი, შეუკავებლად გადმოანთხევდა. ამის გამო რამდენჯერმე ხიფათშიაც კინაღამ გაება. ერთხელ მღვდელი უპირებდა ოქმის შედგენას, მეორედ მამასახლისი. ახალწელიწადის წინა დღე არის; გოგია თავის ცოლ-შვილშია; დღეს ივიწყებს ის თავის ჭირ-ვარამს, უნუგეშო ცხოვრებას; უნდა ერთხელ მაინც გამოცადოს, თუ რა არის მხიარულება, სიამოვნება, სიყვარული, ალერსი, მის პატარა, მჭვარტლით გაშავებულ სახლში საერთო მხიარულებაა. გოგიას საახალწლოდ ყოველისფერი დამზადებული აქვს და კმაყოფილია. ბავშვების სიხარულს ხომ საზღვარი აღარ აქვს. ერთ საქმეში იყო პატარა ორწლინახევრის ქალი თებრო: ხან დედასთან მივიდოდა და დაუწყებდა ყურებას და ტიკტიკს:

„—ნენა, დიდი პული კიდე გააკეთეფ?... სულო, სულო..

ხან მამას ეხვეოდა და ეუბნებოდა:

„— მამა, ხვალ კალანდაია, მე ალ დევიძინავ...“

გოგიაც შვილებს ეალერსებოდა და მათთან ერთად მხიარულობდა, ერთად ერთი ნუგეში და მოსაოხარი გლეხისათვის ოჯახია. მთელი მისი ცხოვრების დედაძარღვი, მისი სიცოცხლის მიზანი ეს ოჯახია. დღეს თავის ოჯახში, თავის პატარა შვილებში, გოგიაც გამხიარულდა და სიამოვნებით სახეგაშლილი და გულშემსუბუქებული მოელის ხვალინდელ დღეს. მისი საუკეთესო ნუგეში და გამამხნევებელი ერთ დროს იმედი იყო, რომელიც არც ერთ გაჭირვების დროს მას არ შორდებოდა. ჭაღარაშემორეულ გოგიას იმედმაც უღალატა; მაგრამ ახალი წლის მოლოდინში ცოლ-შვილში მხიარულებამ დაავიწყებია უნუგეშო აწმყო და მის გულში კიდევ ძველის ძლიერებით შემოაშუქა იმედმა.

„აი, წმიდაო ბასილე, თუ გამიმართლო საეტლო ის სიტყვა —

ბოლო ჟამს კაი ცხოვრებაო, რომ მიწერს! აი ღმერთო, თუ ამ კალანდიდამ მოწყებული წაღმა შეატრიალო ჩემი იღბალი!“ ამბობდა გოგია, იმედზე მტკიცედ დანდობილი. მაგრამ მისი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ხანგრძლივ მხიარულებას მისი გულისაკენ და ბედნიერებას იმის ოჯახისაკენ ყოველის მხრიდან გზა აქვს შეკრული. რადგანაც სოფელში ავაზაკობა იყო გახშირებული, მთავრობამ „ზეკუცია“ ჩამოაყენა სოფელში, ვითომდა სოფლის დასაფარავად, გინდა მგელს შეუჭამივარ, გინდა მგლის ფერ ტურასო, — სწორედ ამაზე არის ნათქვამი. მთავრობის ასეთმა ზომამ გლეხებს სიცოცხლე გაუმწარა ფირალების შემცირების მაგიერ მათი რიცხვი უფრო გამრავლდა. გლეხობას უნდა ეძლია უფროსისა და ყაზახებისათვის სასმელ-საჭმელი, ეზიდა შეშა, ეძლია ფული და სხვ. ამას ზედ ერთობოდა მრავალი უსამართლობა და შეურაცხყოფა. როცა მხიარული გოგია ახალწლის მზადებაში იყო, მოადგა ნაცვალი ყაზახ-რუსებით და ერთი თუმანი თხოვა. რადგანაც გოგიას ფული არ ქონდა, ყაზახებმა საკალანდო სამზადისი წაართვეს, ძაღლი მოუკლეს, გოგიას თავ-პირი დაამტვრიეს. ესეც არ აკმარეს: შებაწრეს და წაიყვანეს უფროსთან. ასეთი უსამართლობით გოგიას ნაღველით ევსებოდა გული. მაგრამ იმდენ ხალხს ერთი რას უზამდა! მას იმედი ქონდა, რომ სამართალი არსებობდა ქვეყნათ და ამიტომ თამამად მიდიოდა კანცელარიისაკენ, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ სამართალი და კანონი დაიფარავდა მას, აქ იცნობდნენ მის უდანაშაულობას და გამოეხარჩლებოდნენ. გოგია ჯერ მამასახლისს შეუვირის: თუ სამართალი გაქვს მიპატრონეო, მაგრამ იმას აქეთ-იქიდან აჩუმებდნენ: ნაჩალნიკმა არ გაიგონოსო, გოგიას სწამს სამართალი. სწამს, რომ სამართალის წარმომადგენელი დაიფარავს მას: მაშ რიღასი სამართალია, თუ მართალს არ აპატიებს? ამიტომ გოგია განგებ ცდილობს, უმფროსს ყოველისფერი გააგონოს და მას შეაბრალოს თავისი თავი.

„— მეც იგი მინდა გეიგონოს, ნაჩალნიკი თუა და მოსამართლე, ავია, დამაქციეს და მიპატრონოს!“ — იძახდა გოგია.

მაგრამ იმედმა აქაც უმტყუნა გოგიას, არათუ შეიბრალეს, მათრახით გაასივა მან, ვისგანაც შველას ელოდა! გოგიამ დაინახა მთელი თავისი უმწეობა. დარწმუნდა, რომ მისთვის არც სამართალი არსებობდა და ძალაუნებურად გადმოხეთქა ამ სიტყვებმა:

„— ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მე მომთხარეს, მე დამაქციეს, მე გამლახეს! სამართლის კარზე მოველი მეგონა და აქანაი უარესი მიყვეს! სად ხარ, სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო!“

მაგრამ სამართალი არსად იყო, სამართლის მოწოდებაც კი კა-

ნონის დარღვევად ჩაუთვალეს გოგიას და ოცდაათი წკეპლა დაარტყეს. ამ გარეშოებამ გოგია მიწასთან გაასწორა. სამართლის ალაგას თუ უსამართლობას და ძალმომრეობას ნახავდა, ამას ის არასოდეს არ მოელოდა. გოგიას უბრალო ყაზახებზე მოსდიოდა გული, სამართლის წარმომადგენელმა კი უარესი დღე დაუყენა და დაუმტკიცა მას, რომ სამართალი ნამდვილად ისეთი არ იყო, როგორც გოგიას ჰქონდა წარმოდგენილი.

„...რა ვქნა! ღმერთია მოწამე, რაც თავს მოვსწრივარ, მერე დღეი არ მომისვენია და ღამე, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემს დღეს საშველი არ დაადგა! ერთი სიხარული არ მიხახავს! სხვაი სხვა იყო და შოლტით ხომ!.. არა, ამას იქით ყოფნა აღარა ღირს“.

ამდენი უბედურება ვეღარ აიტანა გოგიამ და სიცოცხლეს სიკვდილი არჩია, საქაოზე გულგატეხილ გოგიას საიქიოზედაც კი ეჭვი შეეპარა. „რა ვიცი, სად მივალო“, ამბობდა ის სიკვდილის წინათ გოგიას უკანასკნელი სიტყვა იყო: „ეკითხოსო“ და ამ სიტყვაში შეაერთა მან მთელი თავისი ტანჯვა. მწარე ფიქრები, ჩივილი უსამართლობასა და უკანონობაზე.

ერთნაირმა გაჭირვებამ, მძიმე უღლის ერთად ზიდვამ, მარინესაც გაუტეხა გული; მაგრამ გაჭირვებაში მარინეც გოგიასავით იმხნევებს თავს: ღმერთი მოწყალეა, სულ ხომ ასე არ დაგვაგდებსო. გადის წლები, მარინე უარეს ყოფას თუ ესწრება, თორემ უკეთესს არა. ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება ისეთი სისაძაგლე და საზიზღროება, რომელსაც ადამიანი ვერ მიეჩვიოს. მარინეც ბამბის ფთილასავით მოქნა გაჭირვებამ; ის ყოველისფერს ითმენს, ყოველისფერს იტანს. თუ ხანდახან გულგატეხილ გოგიას უპასუხებს ხოლმე; როცა იქნება, ღმერთი ჩვენისთანა გაჭირვებულებისაკენაც გადმოიხედავს და მოგვცემს ტკბილ ცხოვრებასო, თავის სიტყვები თითონაც აღარ ჯერა, თავის ძველ იმედს თითონაც აღარ ენდობა. თუ გოგიას თავის გაჭირვებასთან ერთად სხვისი გაჭირვების მზერა უფრო უკლავს საოცებას და ათქმევინებს: „მეც იმას ვტირი, რომ ჩვენი ცხოვრება ასე უსაბუთოდ არისო“, მარინეს სხვისი გაჭირვება თითქო მწუხარებას უმსუბუქებს. „მარტო ჩვენ ხომ არა ვართ ასე, ყაძახს ასში ერთს ვერ ნახავ, ჩვენზე უკეთესად იყოსო“, ამბობს ის და გულს ინუგეშებს: „რა ვუყოთ, საცდელი ჩვენ არ დაგვიკლია და თუ ვერ ვიხეირეთ, ალბათ, ასე ყოფილა ჩვენი ბედის წერაო“. გოგიას კი სწორედ ეს უფრო აწყვეტინებს ბედს: ის და მისი მეზობლები ცხოვრებას ებრძვიან, დღეს იმოკლებენ, მაგრამ საშველი არსაით არის. გოგია გრძნობს, რომ ამგვარი ცხოვრება სრულიადაც არ არის მათი „ბედისწერა“. რომ მათი ცხოვრება „უსაბუთოთ არის“ მოწყობილი, გრძნობს უსა-

მართლობას, ძალმომრეობას, მაგრამ თავი ვერსაით დაუღწევია. უსამართლობა თუ ბრაზმორეულ გოგიას ხშირად წარმოათქმევინებს გულის ნადებს და ყველასადმი საყვედურს. მარინე სახლშიც და კარშიც მორჩილებას არის შეჩვეული და ამიტომ ყოველისფერს გულშივე იკლავს. უსამართლობამ მხოლოდ ერთხელ ამოადგმევინა მარინეს ენა და ათქმევინა: „არ ყოფილა ჩვენდა სამართალი. უფროსი არა, თათარი ყოფილაო“. მაგრამ მისმა ფილოსოფიამ აქაც მალე მოიყვანა გონს: როცა უსამართლობამ და კანონის მაგიერ საზიზღარი უკანონობის ხილვამ გოგიას ისეთი თავზარი დასცა, რომ სიკვდილი აფიქრებინა, და იმსხვერპლა კიდეც, მარინე თავს იმაგრებს და ქმარსაც ამხნევებს. „ახლა თავი რომ დავიხოცოთ, იმით რა გაგვიკეთდება? რა ვუყოთ, ბევრს ჩვენზე უარესიც დამართიაო!“ მარინეზე გაჭირვება და უსამართლობა იმდენად არ მოქმედებს, როგორც გოგიაზე. ეს ადვილი ასახსნელიც არის. გლეხკაცი მცირეოდენი დამოუკიდებლობით მაინც სარგებლობს. გარეთ თუ სხვისი მორჩილია, თავის ოჯახში მაინც არის უფროსი და მბრძანებელი. ქალი კი მორჩილებაში აღზრდილია; გათხოვებამდე მამის მორჩილია, გათხოვების შემდეგ ქმრისა. მან არ იცის, რა არის თავისუფლება, დამოუკიდებლობა, პიროვნების შელახვა და ამიტომაც არც შეუძლია ყოველივე ამის რიგიანად დაფასება.

ამავე უსამართლობას ვხედავთ „განკარგულებასა“ და „მონადირეში“. სოფლის ღარიბ ნაწილს ეკუთვნის კაცია მუნჯაძეც და. თუ გაგვაცნო ავტორმა მისი მარტივი ცხოვრება და უბედურება, იმიტომ, რომ დაენახვებია გლეხკაცის გაჭირვებული მდგომარეობა და უსამართლობა, რომელიც მას ღუპავს. კაცია მუნჯაძე ბატონის გლეხია; წვრილშვილი, დილიდან საღამომდე მუშაობს, ოფლად დნება, მაგრამ მუშაობით კუჭიც ვერ გაუძღია, არათუ სხვა მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს; თითონ ტიტველი დადის, ცოლ-შვილი შეუმოსავი ჰყავს. კაციას ხარებიც არ გააჩნდა, საქირაოდ რომ წასულიყო. ბოლოს იქირავა ცალი ხარი და გადაწყვიტა: სიმინდს მაინც გავყიდი და შვილებს დავმოსავო. კაციას სად ჰქონდა გასაყიდი სიმინდი, მაგრამ შვილების საცოდაობა კლავდა. მთელი დღის ნამუშევარ კაციას ნაცვალი მოადგა კარზე და შეატყობინა: დიდი კაცი მოდის და ამაღამ დარაჯად უნდა გახვიდე რკინიგზის ლიანდაგზეო.

„რამდენი რა არ ტრიალებს საწყალის ყაზახის თავზე! ცოლშვილი დაარჩინე, ფოშტის ფული გადაიხადე. უჩიტლის, მწერლის, გზის; სამუშაოზე წადი, სადარაჯოთ წადი, ყველას მორჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე! არა. ძალიან უბედურათ არის ყაზახის ცხოვრება მოწყობილი!“ ფიქრობდა კაცია, მაგრამ რა ექნა. როგორ

დაეღწია ამ უბედურებიდან თავი? სიღარიბემ და აუტანელმა შრომამ მთლად მოტეხა ის, მაგრამ მისი შებრალება არავის აქვს, მის მდგომარეობაში არავინ შედის. დაქანცული კაცია წავიდა სადარაჯოთ, დაეძინა ლიანდაგზე და მატარებელმა გასრისა. ვინ იცის, მკითხველო. იქნება სიკვდილი უმჯობესიც იყო მისთვის!

უსამართლობას გვიხატავს ავტორი „მონადირეშიც", სადაც ბეჟანას გარეული ღორის მოკვლის გულისათვის ასცხრა მანეთი გადაახდევინეს და წელიწად-ნახევრით სატუსაღოში ჩაამწყვდიეს.

გაიცნობ, მკითხველო, გოგიას, კაციას და ბეჟანას თავგადასავალსა და უბედურებას და, თუ ტანჯულისა და დაჩაგრულისადმი სიყვარული ოდნავადაც არის ათბობს შენს გულს, უეჭველია, გულს შეგიზარავს მათი მარტივი, მაგრამ დაუსრულებელ უბედურებაზე აგებული ცხოვრება: ყველა ამ პირებს, ერთი მხრით სოციალური პირობები აუტანელ ცხოვრებაში აყენებენ. მეორე მხრით, ხალხის ზნე-ჩვეულების შეუფერებელი სამართალი, ხალხის ბუნების არმცოდნე მოსამართლენი ღმერთზედაც კი საყვედურს წარმოათქმევინებენ და სიცოცხლეზე ხელს აიღებინებენ. გოგია იმ ზომამდის მიიყვანა ცხოვრებამ და უსამართლობამ, რომ სიკვდილი არჩია სიცოცხლეს; ისე დაკარგა სასოება, რომ საიქიოზედაც კი გული გაუტეხა და სიკვდილის დროს გლეხის ერთადერთი იმედი და ნუგეში — საიქიოს იქნება მაინც მოვისვენოო — უიმედობით შეეცვალა „რა ვიცი სად მივალო", ამბობდა სიკვდილის წინ გოგია, ე. ი. ვინ იცის, იქნება არც იქ შემიწყნარონ, ვერც იქ ვიპოვო სამართალი და მფარველიო...

გოგიას კეთილდღეობას ორი გარემოება უთხრის ძირს: ერთი, თვით ცხოვრება, მეორე. უსამართლობა. ყოველი ადამიანი, რომელიც რაიმე მხრით ეხება ჩვენს ცხოვრებას, ან საქართველოს პოლიტიკურად სიკვდილს უნდა შეეხოს, ან ბატონყმობის მოსპობას. ერთ-ერთ ამათგანს ვერ აცდება, რადგანაც ორივეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. ბატონყმობის მოსპობასთან ერთად გლეხი განთავისუფლდა. თავის სრული პატრონი გახდა. ყველას ცხონება რომ შესაძლებელი იყოს, ჯოჯოხეთიც აღარ იქნებოდაო! ცხოვრების ისე მოწყობა, რომ ყველა ერთნაირად ბედნიერი იყოს და თავისი ხვედრის ერთნაირად კმაყოფილი, შეუძლებელია. ჯერ ბატონყმობის მოსპობამდე ჩვენი გლეხობა ერთფეროვანი არ იყო: ბედნიერი და უბედური, მდიდარი და ღარიბი მაშინაც არსებობდა. ბატონყმობის მოსპობამ კი ხელი შეუწყო ამ მრავალფერობის გამოაშკარავებას; გლეხობის ერთი წილი თუ თანდათან თავს აღწევს გაჭირვებულ ცხოვრებას, მეორე წილის ცხოვრება ვერ მი-

დის. წინათ გლეხს ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა, სახელმწიფოც არ აწვა ასე მძიმე უღლად კისერზე; ხარჯს ნამუშევრით ისტუმრებდა, ყიდვა არაფრის ჭირდებოდა, — ტანისამოსსაც კი შინ მომზადებული სამოსლისა და შალისაგან იკერავდა. დღეს კი ცხოვრება გართულდა; ცხოვრების წინმსვლელობამ გლეხიც გაიყოლია, სახელმწიფოს მოთხოვნილება მოემატა; ამიტომ გლეხის სხვადასხვა გადასახადმა იმატა. წინათ გლეხი თუ მიწის მოსავლით ისტუმრებდა გადასახადს, ახლა მას მარტო ფულს თხოვენ. ფულის შოვნა კი მას ძალიან უჭირს! წინათ თუ გლეხი შინაური სამოსლით იმოსავდა თავს, გართულებულმა ცხოვრებამ გლეხის გემო და მოთხოვნილება შეცვალა და გააფართოვა. ამგვარი სამოსლის ჩაცმა დღეს ახალგაზრდა გლეხს კიდეც ეთაკილება. ყოველგვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დღეს გლეხს ფული ჭირდება; უფულობა მას თანდათან ავალიანებს, აყიდვინებს ყოვლისფერს, მარტო თავისი მკლავების ამარა დატოვებს. ამგვარი გლეხების რიგს ეკუთვნის გოგია უიშვილი და კაცია მუნჯაძე. სამართალი ხომ ხალხის ბუნებას და ზნე-ჩვეულებას არ შეეფერება და ცხოვრების ასეთი მსვლელობა საკმარისია, რომ გლეხის მდგომარეობა თანდათან აუტანელი გახადოს. უსამართლობამ უფრო გაამწვავა გლეხის მდგომარეობა. ჩვენ სოფლებში ხშირია ისეთი მოსამართლეები, რომლებიც სრულებით არ იცნობენ ხალხის ბუნებას, მის ზნე-ჩვეულებას და ენას. ამის გამო სამართლის მაგიერ ხშირად უსამართლობა ხდება; მთავრობა ხალხის ტვირთის შესამსუბუქებლად ხშირად ისეთ ზომებს სმარობს, რომ ხალხს დახმარების მაგიერ უარეს დღეს აყენებს. „გოგია უიშვილში" მთავრობამ „ზეკუცია" ჩააყენა სოფელში ფირალების მოსასპობად, ფირალები კი ათ წელიწადს ვერ მიაყენებდნენ სოფელს იმდენ გაჭირვებას, რამდენიც „ზეკუციამ" ერთ წელიწადს მიაყენა. ფირალების მოსპობის მაგიერ ასეთი ზომით მთავრობამ უფრო გაამრავლა მათი რიცხვი. თუ ხალხი ფირალებს არ აძლევდა მთავრობას, ამაში ხალხი არ ყოფილა დამნაშავე. თუ გლეხს მტერს მოაშორებთ. დიდ მადლობას გადაგიხდის, მაგრამ საქმე აი, რაშია: ბევრი ყოფილა ჩვენში ისეთი მაგალითი, რომ ხალხი შეუკრებიათ. გამოუცხადებიათ მისთვის: ქურდები და ავაზაკები მოგვეცით და გაგანთავისუფლებთ მათგანო. სოფელი გახარებულა, რჩევა-თათბირის შემდეგ მიუცია მთავრობისათვის ყველა ავი კაცი, მაგრამ ასეთი საქციელი ძალიან ძვირად დაჯდომია სოფელს. მე თვითონ ვიცი ისეთი მაგალითები, როცა ზემო იმერეთში მთავრობის რჩევით, სოფლებმა ქურდები გასცეს და შემდეგ მხიარულად გაიძახოდნენ: თუ ღმერთი შეგვეწია, ამას იქით ძაღლიც აღარ დაგვჭირდებაო. მაგრამ

ქურდები კანცელარიის სატუსაღოს არ გასცილებიან. რამდენსამე კვირის ან თვის შემდეგ ადგილობრივი კანონის წარმომადგენლების გულკეთილობისა გამო გამობრძანებულან და თავისი გამცემლები ცეცხლით გადაუბუგავთ. ამას შემდეგ ვინ გაამტყუნებს ხალხს, რომ მთავრობის და კანონისადმი მან ნდობა დაჰკარგოს? გოვიას უკანასკნელი სიტყვა: „მოჰკითხოსო", მარტო იმათ კი არ შეეხება, ვინც უკანონობას სჩადის, არამედ იმათაც, ვინც უკანონობას ხედავს და არ ებრძვის მას; ვისაც შეუძლია, ხალხს დახმარება აღმოუჩინოს და არ ეხმარება, ვისაც საშუალება აქვს, სხვისთვისაც იზრუნოს და არ ზრუნავს.

ამგვარად, თავის პირველ მოთხრობაშივე ნინოშვილმა მიგვითითა გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობაზე და დაგვანახვა ორი მიზეზი: სოციალური პირობები და სამართლის წარმოების ნაკლოვანებანი, რომლებიც გლეხის ოჯახს ძირს უთხრიან.

III

რადგანაც შავი ზღვა საქართველოს მთელ რუსეთთან და ევროპასთან აერთებს, ეს გარემოება უსათუოდ ღიდ გავლენას იქონიებდა შავი ზღვის ახლომახლო მდებარე ქვეყნების ცხოვრებაზე. ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ გურია-სამეგრელო კაპიტალისტური წარმოების გზას ადრე დაადგა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეები. მან გაიწვია ბათომში, ფოთში, ნოვოროსიისკში, ოდესაში და სხვა ქალაქებში ქართველი მუშა, ააღორძინა ქართველებში ვაჭრობა და დაბადა სოფელში სხვადასხვა მრეწველობა. „პალიასტომის ტბაში" მოთხრობილია, თუ როგორ შეცვალა გურული გლეხის ცხოვრება ახალმა პირობებმა. ცვლილება დაეტყო, ერთის მხრით, იმ საშუალებებს, რომლებითაც გლეხი თავს ირჩენს, მეორეს მხრით, მის შეხედულებას და ჩვეულებას. კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში ყოველისფერი დაიმორჩილა, ყოველისფერს თავისი დაღი დაასვა. ხელოვნებაც კი, რომელიც ძველი ბერძნების აზრით ღმერთების კალთებს ქვეშ იყო შეფარებული, დღეს კაპიტალიზმის მონა გახდა; უწინ თუ იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის". დღეს ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია: სხვა მიზანიც რომ არა ჰქონდეს რა ხელოვნებას, ფულს მაინც ვერსათ დაემალება, ფული გახდება მის მიზნათ; დღეს ევროპაში კარგი მწერალი ნიჭს გარდა ფულით გატენილ ჯიბესაც ნიშნავს. მეცნიერებამაც ფულის ბატონობას მოუხარა თავი. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს შესანიშნავია მეცნიერი კოხი, რომელმაც თავისი ტუბერკულოზის ჩხირებით მილიონები შეიძინა; ბერინგი, რომელსაც დიფტერი-

ტის საწინააღმდეგო შრატი მილიონ ფრანკზე მეტს აძლევს წელიწადში. მრავალ სხვა ზნე-ჩვეულებასაც შეეხო კაპიტალიზმი თავისი ანგარიშების მოყვარე ხელით. დღეს ევროპაში ქორწინება მხოლოდ კომერციულ აქტს წარმოადგენს; ამ ცვლილებამ ჩვენშიც დიდი ხანია იჩინა თავი თავად-აზნაურობაში. ჩვენებური თავადი და აზნაური ქორწინებით უმთავრესად ფულის შეძენას ფიქრობს; იმერელი აზნაურის იდეალი ასი თუმანი მზითევია. გლეხობაში კი ამ გარემოებას დღემდის არ შემოედგა ფეხი; ეს ათიოდე წელიწადია, ნელ-ნელა ამ წოდებაშიც შემოდის. ასეთმა ცვლილებამ ხალხის ჩვეულებაში უმალ იქ იჩინა თავი, სადაც ცხოვრება უმალ დაადგა წარმოების ახალ გზას. ზემო იმერეთში დღემდის გლეხი არათუ მზითევს ითხოვდა, პირიქით, თითონ უნდა მიეტანა სასიდედროსათვის ფული. დღეს აქა-იქ შეძლებული გლეხები მორიდებით მზითევს თხოულობენ, მზითვიანი ქალის შერთვა სასახელოდ მიაჩნიათ. ქვემო იმერეთში კი, ნამეტურ გურია-სამეგრელოში, გლეხი უმზითოდ ქალს ვეღარ ათხოვებს.

„იი დასაქცევი, თლათ წახდა დრო! — ამბობს ივანე, — ვაჭარ ურიასავით მარტო ფულისკენ უჭირავს ყველას თვალი, მოწიფულს კაცს მაქამდულა გული აღარ უძგერის მკერდქვეშ, ჩემ შვილობით არ ვიტყვი და ჩემი ციცაი, მატაი, რომ უწინდელს დროში ყოფილიყო. მზითვი კი არა, პირ აქეთ დეიხარჯოდენ იმის ცოლათ შერთვაში, ჩვენ მუხურში იმისთანა ქალი ორიც არ მეიძებნება. ახლა მისი წონა მზითევი თუ არ დავაყარე თავზე, შინ უნდა დამიბერდეს“.

ახალმა ცხოვრებამ მზითვისათვის ზრუნვის გარდა ბევრი სხვა გასავალიც შესძინა ივანეს; ყოველისფერს კი მისი ერთი კვალი მიწა ვეღარ გასწვდა. ამიტომ მან სხვა სახსარს მიმართა. სხვებთან ერთად დადიოდა ფოთის ახლომახლო მდებარე ტყეებში, თლიდა ხეებს, კრავდა ტივებად, გაზაფხულზე ჩამოქონდა ფოთში და ყიდდა. ივანეს ცხოვრებიდან ერთი ასეთი დრო აქვს აღებული ნინოშვილს. „სოფლებში ბავშვებს და ქალებს გარდა, მუშახელი არ დარჩენილა. ვისაც თავისი ხეები ქონდა, ის იყო, და ვისაც არა, ისინი ქირით მიყავდათ“. ახალმა ცხოვრებამ გლეხს მრეწველობისათვის მოაკიდებინა ხელი. მრეწველობამ გლეხები ორად გაყო: ერთი პირი თითონ იხდიდა ბაჟს, თლიდა ხეებს და საკუთრად ყიდდა, მეორე პირი კი დღიურ მუშად გადიქცა. ივანემაც წაიყვანა რამდენიმე მუშა მთაში და დაამზადა ხეები. მთაში ხშირად უბედურების მსხვერპლი ხდებოდნენ გლეხები, მაგრამ ნათქვამია, გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. რა უნდა ექნათ გლეხებს? ხიფათს რომ მორიდებოდნენ. შიმშილით დაიხოცებოდნენ. ივანე და მისი შვილი, ნიკოც ამ ხიფათის წერა გახდნენ და

პალიასტომის ტბაში დაიღუპნენ. საბრალო ივანეს თავის თავზე აუსრულდა თავის სიტყვები:

„ასეა უბედური მუშა კაცის საქმე: მუშაობს, ფაფურობს, აი იქით აი აქეთ გეისედავ და ჩაკვტება საცხა, რავაც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს რამდენი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი, იმ კუთხეში ჩაკვტება, რამდენი სხვა კუთხეში და რამდენი სად! რა არის ჩვენი სიცოცხლე!“

ნინოშვილის ერთ დიდ ღირსებას ცხოვრების სინამდვილით ხატვა შეადგენს; ზოგიერთ მოთხრობებში ეტყობა ტენდენცია, როგორც ქვევით დავინახავთ. სოლო, რაც შეეხება გლეხის ცხოვრების და ბუნების დახასიათებას, უნაკლოა, თუ რომელიმე მწერალს უყვარდა გლეხი, გული შესტკიოდა მისთვის, ნინოშვილში ყველაზე უფრო იყო განვითარებული ეს თვისებანი — ასეც უნდა ყოფილიყო. ღარიბი გლეხის შვილმა, სიღარიბეში გაზდილმა მალე გაიცნო ხალხის მდგომარეობა, ნათელი გონების და მგრძნობიერი გულის პატრონმა შეიყვარა დაჩაგრულნი. თუ საქმით, თუ კალმით ის იბრძოდა ბედკრულთა ტვირთის შემსუბუქებისათვის და ამ ბრძოლაში დადნა მთელი მისი არსება. არც ერთ მის მოთხრობაში არ არის არც ქადაგება, არც მოწოდება ხალხის დასახმარებლად, პირდაპირ ნათქვამი; ის მხოლოდ პირუთვნელად ხატავს ცხოვრებას, მაგრამ ხატავს ისე ნამდვილად და ცხოვლად რომ შეუძლებელია, თქვენც არ აგიტოკდეთ გული, თქვენშიაც არ დაილაპარაკოს სინდისმა და სურვილი მაინც არ დაგებადოთ უბედურთა ცხოვრების გაუმჯობესების ზრუნვისათვის. სურვილი კი პირველი ნაბიჯია საქმისაკენ. ნინოშვილს უზომოდ უყვარს გლეხი, მაგრამ არც ერთ ჩვენ მწერალს არ გამოუჩენია ასეთი საზრიანი სიყვარული გლეხისადმი, როგორც მას. დანარჩენი ჩვენი მწერლები დაბრმავებულნი არიან გლეხის სიყვარულით, ისინი ან ვერ ხედავენ გლეხის ნაკლულევანებას ან ხელს აფარებენ ამ ნაკლულევანებას, თითქოს ეშინიათ, თუ ნაკლულევანება გამოვამჟღავნეთ, ვერც სხვას შევაყვარებთ გლეხს და ჩვენც შეგეძულდება ერთმანეთიო... ნინოშვილი კი ღირსებასთან ერთად სრულად ხატავს გლეხის ნაკლოვანებასაც. გლეხის ნაკლულევანება მის სიყვარულს სრულიადაც არ ასუსტებს, რადგანაც იცის, რომ უნაკლულო ადამიანი არ მოიპოვება და ამას გარდა, გლეხის ნაკლულევანება უმთავრესად მისი უვიცობის და ცხოვრების ბრალია. მიუხედავად ყოველივე ამისა, მკითხველიც იყვარებს ნინოშვილის გლეხს, თანაუგრძნობს მის გაჭირვებულ მდგომარეობას. ჩვენ დანარჩენ მწერლებს უყვართ გლეხი პატიოსანი, ზნეობაამაღლებული, უნაკლულო ე. ი. ისეთი გლეხი, რომელიც მხოლოდ მათ ოცნებაშია გამოხატული; ნამდვილი გლეხის სიყვარული კი მათ არ შეუძლიათ. ნინოშვილს კი მარტო ღირსებისათვის არ უყვარს გლე-

ბი; ის ხედავს; რომ გლეხს ცხოვრება ავიწროებს, უსამართლობა სულს ხუთავს, გონების სიბნელე და სხვადასხვა დახავსებული ჩვეულებანი ღუპავს და ეს სრულიად საკმარისია, რომ მან შეიყვაროს გლეხი მთელი მისი ნაკლულევანებით.

...„ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ეღალატნა, ვის რა ხელი ქონდა ჩვენთან! მარა ღალატი და უპირობა! ჰმ... მაშვინ რომ ფხარიდან არ გამოვეშლოდნენ!.. მოატყუეს უბედურები, აღალატებიეს და მერე თითონ უღალატეს!.. ყაძახებმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა; მაშვინ...“ ამბობს გულნატკენი ივანე. რას უჩივის ასე ივანე? იმას, რომ წინად მას ხეებში ბაყს არავინ ახდევინებდა, დღეს კი ისევ გლეხების წყალობით მათ „ბაყით ხდიან სულს“. მთას ერთმანეთს ედავებოდნენ თავადაზნაურობა. სამღვდელოება და გლეხობა. რადგანაც გლეხები დიდიხანი ფლობდენ მთას, მონაწილეობას ვეღარავინ წაართმევდა. მაგრამ გლეხი ისეთი ალტრუისტი და საზოგადო ინტერესის დამცველი არ არის, როგორც სხვა მწერლები გვიხატავენ. თავადობამ ჩამოაგდო გლეხებში განხეთქილება. ისინი თავის ნაყმევებს ეუბნებოდნენ: თქვენ არ გართმევთ და სხვას რას დაეძებთო. აზნაურებიც ამასვე ეუბნებოდნენ თავის ნაყმევებს. ასევე იქცეოდა ხაზინა და ეკლესიაც.

„დაიწყო ნელ-ნელა რღვევა გლეხების ერთპირობამ, ზოგი თავადს ეკედლებოდა, ზოგი — აზნაურს, ზოგი — ხაზინას. დარჩა მცირე ნაწილი გლეხობისა თავისთვის, მაგრამ რაღა დარჩენა იყო, იმისთანა დარჩენა! ის გლეხები, რომლებმაც მათ უღალატეს, ილაჯს უწყვეტავდნენ: თუ ხის წართმევით, თუ ცრუ მოწმობით, ისე თვე არ წავიდოდა, რომ ამათ შორის თავპირის მტვრევა არ მომხდარიყო. ვინ იცის, რა ღონეს არ ხმარობდნენ ერთმანეთის დასაღუპად. ჩუმად ცეცხლს უკიდებდნენ ერთიმეორის სახლ-კარს და ცეცხლს აბუგვისებდნენ ვაივაგლახითა და ოფლით მონაგარს სარჩო-საცხოვრებელს! გზებზე თოფით უხვდებოდნენ და ჩუმად ჰკლავდნენ ერთმანეთს; ცილს უგონებდნენ და სისხლის სამართალში აძლევდნენ“.

შეიძლება, მკითხველმა თქვას: გლეხები გააბრიყვეს და მიტომ მოიქცნენ ასეო. მაგრამ გლეხი რომ უნაკლულო იყოს, ასეთ სისაძაგლეზე ვერ გააბრიყვებენ. წვითა და დაგვით ლუკმას ჭამს გლეხი, მან კარგად იცის სიღატაკის გემო, ისიც ადამიანია, მასაც ენატრება ტკბილი ცხოვრება; ამიტომ ის უფრო თავის თავზე ფიქრობს, თავის თავისათვის ზრუნავს და შემთხვევის დროს ეგოიზმი მას ბევრ სისაძაგლეს ადენინებს. ამით ჩვენ გლეხის გაკიცხვა და დამცირება კი არ ვინდა, არამედ იმის აღიარება, რომ გლეხიც ჩვეულებრივი ადამიანია და არა უცოდველი ანგელოზი, როგორც ზოგიერთი ჩვენი მწე-

რალი გვიხატავს. სხვისაგან გაუბრიყვლებადაც რომ გლეხი ხშირად სისაძაგლეს ჩადის, ამის მაგალითს ჩვენ დავინახავთ „მოსე მწერლის“ გარჩევის დროს.

IV

ნინოშვილის ცხოვრება პატარაობიდანვე ისე მოეწყო, რომ ადრე შეეჩვია ცხოვრების ჩაკვირვებას, მის შესწავლას. ყოველი მისი მოთხრობა ღრმა დაკვირვების ნაყოფია, ცხოვრებიდან არის ამონაკითხი. ჩვენი გლეხობა დღეს ორ ნაწილად იყოფა, რაც დრო გადის, ეს ორი ნაწილი თანდათან უფრო მკაფიოდ იხატება და ამავე დროს უფრო და უფრო შორდება ერთმანეთს როგორც ქონებით, ისე ინტერესებით, ზნეობით და სხვ. პირველ ნაწილს შეადგენენ გაღატაკების გზაზე შემდგარი გლეხნი, მეორეს გამდიდრებული გლეხები — სოფლის ბურჟუაზია. პირველის წარმომადგენელია სიმონა ძალაძე. მეორის — დავით დროიძე („სიმონა“). ამ ოცდაათი წლის წინათ დავით დროიძე უბრალო გლეხი იყო, ერთი აზნაურის ნაკაცარი. ყმაწვილობისას დავითი დადგა ვაჭარ ბერძენთან, რომელიც სოფლებში ნიგვზის ხეებს ყიდულობდა და ყიდდა. როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა საკუთრად დაიწყო ვაჭრობა და მოკლე დროის განმავლობაში ბევრ ფულს მოუყარა თავი. შემდეგ სიმინდის ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და თავისი ჯიბე კიდევ უფრო გაიტენა, დავითი ამას შემდეგ მოუბრუნდა თავის სოფელს, შეისყიდა მებატონისაგან მიწა, წამოჭიმა ოდა და დაცოლშვილდა. თუმცა დავითი სოფლად ერთ ალაგას დაბინავდა, მაგრამ აღებ-მიცემობისათვის თავი არ დაუნებებია. თუ რამ სასეირო „საფოდრატო“ საქმე გაჩნდებოდა, დავითი ხელიდან არ გაუშვებდა; ფულს ასესხებდა და მარტო სარგებელი იმდენი გროვდებოდა, რომ ყოფნიდა. როდესაც დავითს უფროსი ვაჟი წამოეზარდა, იმან გახსნა თავის სოფელში დუქანი, მოიტანა ისეთი საქონელი, რომელსაც უფრო საჭიროებდა სოფლის ხალხი, დააყენა დახლში თავისი ვაჟი და დაიწყო ვაჭრობა. დავითის შეძლება თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა. იმან მიჰყო ხელი მიწა-ადგილების ყიდვას და იმდენი შეიძინა, რომ „ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისათვის შეეძლო ხელის გაწვდენა“. რამდენსამე წლის შემდეგ უფროსმა ვაჟმა სოფლის დუქანს თავი დაანება და მახლობელ ქალაქში მაღაზია გააღო. დავითის ორმა შვილმაც ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი. ორი უმცროსი ვაჟი დავითმა სასწავლებელში გამოზარდა; ერთი მათგანი პოლიციაში მსახურობდა, მეორე კი, საცაა. იუნკრის სასწავლებელს გაათავებდა და აფიცერი გახდებოდა. დავითს აღარაფერი აღარ აკლდა. მხოლოდ ერთი გარემოება აწუხებდა:

თუმცა ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ გლესად ითვლებოდა და ამიტომ ყოველგვარი გადასახადი კისერზე აწვა. გადასასადი მისთვის სამძიმო საქმეს არ შეადგენდა, მაგრამ სათაკილოდ მიაჩნდა, ამიტომ დახარჯა ფული და სასულიერო წოდებას მიეწერა. მთელი სოფელი დიდ პატივს სცემდა დავითს. თითქოს აღარავის ახსოვდა, რომ დავითიც ერთ დროს სხვებივით ღარიბი გლეხი იყო, ყველას აზნაურად მიაჩნდა და მის ოჯახს აზნაურის ოჯახს ეძახდნენ. სოფლის მოხელეები დავითს დამეგობრებული ჰყავდა და ამგვარად სოფელში დიდი გავლენა ჰქონდა. რასაც დავითი მოინდომებდა, უმეტეს შემთხვევაში ასრულებდა; შეექმნა სოფელს დავა ახალი ეკლესიის ადგილის შესახებ, დავითმა გაიმარჯვა, — დახარჯა ფული და ეკლესია იქ ააშენებინა, სადაც თვითონ უნდოდა. გლეხებმა იცოდნენ, რომ „დავითი მდიდარი კაცია და მდიდარს ყოველთვის უქრის ხმალი ღარიბზე.“ ის მეფის ტოლ კაცად მიაჩნდათ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ნეკის გაქნევით დაღუპავდა, ვისაც გაიმეტებდა. ამიტომ დავითისა დიდი რიდი ჰქონდათ. ისეთი ადამიანიც კი, როგორიც სიმონას დედა — ქეთევანია, რომელსაც ხშირად თოფით ხელში ვაჟკაცები უფრენია, დავითს ვერაფერს უბედავდა. ერთხელ დავითის შვილმა ქეთევანს ორი ღორი მოუკლა. მხოლოდ იმიტომ, რომ იმის ეზოში შევიდნენ. სხვას რომ ექნა, ქეთევანი თოფით მიუხტებოდა, მაგრამ დავითთან პირიქით, თითონ მოიხადა ბოდიში, თითქოს დიდი დამნაშავე ყოფილიყოს მის წინაშე.

— რა ვქნა, ქვრივ-ოხერი ვარ, პირუტყვის მოვლა ვერ შევძელი და შეგაწუხეთო.

საშუალო ბურჟუას ყოველისფერზე თავისი საკუთარი შეხედულება აქვს, მისი გონება ჩოთქსა და არშინს არ გაცილებია, ამიტომ ყოველგვარ მოვლენას, ადამიანის პიროვნებას, მის ღირსებას ის ფულით ზომავს. დავითს თუმცა ბევრი ვიწრო ბურჟუაზიული შეხედულება აქვს შეთვისებული, მაგრამ ერთ დროს ის ღარიბი გლეხი იყო, ნიადაგ სოფელში ცხოვრობდა, სოფლის ხალხთან ჰქონდა საქმე, ამიტომ გულით და გონებით ხალხს მთლად არ მოწყვეტია. სულ სხვა არის მისი შვილი ტიტიკო: მემკვიდრეობამ, ცუდმა აღზრდამ და მისმა გავლენამ მისი გონება ყოველგვარი სპეტაკი აზრისათვის დაახშვეს. მისი აზრით, ვისაც ფული აქვს, სრული უფლება ეძლევა ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს. სინდისი, პატიოსნება მისთვის უშინაარსო სიტყვებია. სიმძლავრე ანუ ძალა ახლანდელ დროში ფულიაო, ამბობს ის. მას სიმდიდრე იმიტომ უნდა, რომ ყოველი ადამიანის დაჩაგვრა, სხვისი ზნეობის და პიროვნების შელახვა შეეძლოს. ქალში ტიტიკო აფასებს მხოლოდ გარეგნობას, ქალი მას მარტო სქესობრი-

ვი გრძნობის დასაკმაყოფილებელ მანქანად მიაჩნია. როდესაც თავისი საზიზღარი განზრახვა შეისრულა და სიმონას ცოლი დარიკო გააუპატიურა, დარიკოს ფულის ძლევა დაუწყო. როცა დარიკომ ფული არ წაიღო, ტიტიკომ იფიქრა: „ალბათ ეშინია, სახლში რომ შეიტყონ, სცემენო“. მისი ვიწრო ბურჟუაზიული შეხედულება იმდენად ვერ ამაღლებულიყო, რომ ადამიანის ყოველგვარი ღირსება ფულზე არ დაეხურდავებინა. ეკონომიურმა პირობებმა წარმოშობეს ჩვენში დროიძეები. ესენი სუქდებიან და ყოველისფერს ანადგურებენ თავის გარეშემო. თუ როგორ უთხრიან ძირს სოფლის კეთილდღეობას ასეთი პირები, ამისი თავდებია თვით მათი ხასიათი და შეხედულებანი. მოწმე კი სიმონას დაღუპვა.

წვერულვაშამწვანებული სიმონა იყო ქვრივ ქეთევანის ერთადერთი ვაჟი. ქეთევანის ოჯახი ერთ დროს შეძლებული ოჯახი იყო. მისი მამამთილი, გაბილა ძალაძე, თავმომწონე და გულადი გლეხი იყო; სხვისი ნაარმი არ უნდოდა, სხვას არ ჩაგრავდა, მაგრამ არც თვითონ დაეჩაგვრინებოდა ვისმე: ბატონსაც კი რიდი ჰქონდა მისი. ქეთევანის ქმარი მეტად მჩვარი კაცი გამოდგა; თავ-პირი რომ ვისმეს დაემტვრია მისთვის, ხმას ვერავის გასცემდა. მაგრამ ქეთევანი იყო მარჯვე დედაკაცი. ქორივით დასტრიალებდა ოჯახს და ყველას ის აძლევდა პასუხს. ბევრს შეაძულა თავი ქეთევანმა, ბევრ ჭორებს უგონებდნენ, მაგრამ სინიდისი წმინდა ჰქონდა და ვის რას შეეპუებოდა! ასეთი სიმარჯვით ქეთევანმა ოჯახი დამხობისაგან დაიფარა. სიმონა მამას არ ჰგავდა ხასიათით, ის ბაბუას გამოეგვანა. ბაბუასავით ამაყი და შეუპოვარი იყო. სიმონას ასეთი ხასიათი პატარაობიდანვე ეტყობოდა.

დავით დროიძეს სოფელში სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა. სიმონა კი თხუთმეტის წლისა იყო, რიცა სალხში გალანძღა დავითი და დაემუქრა მას.

„—დავით, რა დაგიშავე, რომ პატარაობიდან შემიძულე? ისე შენმა ცოლ-შვილმა ნახოს ხეირი, რავაც მე შენი ან ყურძენი, ან წკნელი, ან ი დათიკაის სიმინდი მევიპარე! აა, შენ წაწყმენდილო, ქვეყნის მყლაპაო, რას მერჩი, რას?“

დავითმა დააჭერინა სიმონა და „ნაობახში“ დაამწყვდევინა, მაგრამ სიმონა იქიდანაც გამოიძახოდა: „თუ გამოვედი აქედან, გაჩვენებ შენს სეირსო!“

როცა სიმონა დავაჟკაცდა, მას ტოლი არა ჰყავდა სოფელში; ყველა მას შენატროდა, ყველას ის უყვარდა; ჭირში თუ ლხინში ყველა მას იწვევდა. „ყველა მეზობელი სიხარულით ეხმარებოდა და იხმარიებდა სიმონას ყანაშიაც და სხვა საქმეშიაც. სიხარულით პა-

ტიკობდენ ქორწილში, ნათვლაში, გასაჭირში და დასალხინში. აბ ვინ დაიწუნებდა მეზობლად მუშაობაში მარჯვეს, ლხინში კარგ მოსიმღერეს და მოთამაშე სიმონას“.

დროიძის წყალობით „ძალაძის მიდამო გაპარტახდა, შალდამათ გადაიქცა: პატარა სახლი, საძროხე, საღორე და ფაცხა დალპა და ჩაინგრა, სახლის კედლები ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ისე, რომ მის დანახვაზე საშინელი სევდა მოგაწვებოდათ გულზე. მეზობლის ქალები და ბავშვები, როცა გაივლიდნენ ამ ყრუ მიდამოს სიახლოვეს, „წმინდა გიორგი დამიფარეო“, გადიწერდნენ პირჯვარს და გააფურთხებდენ სახლისკენ“.

მოთხრობის ღირსება მდგომარეობს ტიპების სინამდვილეში. ნინოშვილმა ცხადად დაგვანახვა სოფლის ცხოვრების შეცვლა: გლეხობის დიფერენციაცია, ახალი ურთიერთობის დამკვიდრება. დროიძეები ამ ორმოციოდე წლის წინათ არ იყვნენ ჩვენში. ისინი დღევანდელმა ცხოვრებამ შობა; ხოლო ავტორმა ნაძალადევად მოაწყო დამოკიდებულება დავითსა და სიმონას შორის, წინდაწინვე დასახული მიზნისაკენ მიმართა, ამიტომ მოთხრობა ტენდენციური გამოვიდა. მოქმედების განვითარებაში ნაძალადეობა აშკარად გამოსჩვივის, მოთხრობის ნასკვი იმაში მდგომარეობს, რომ დავითს სიმონა თავიდანვე ძულდა, მტრულად უყურებდა. მოსპეთ ეს მტრობა და მთელი მოთხრობა შეუძლებელი იქნება იმ სახით, როგორც ავტორმა დაწერა. ამიტომ ნათლად უნდა იყოს ახსნილი, რამ შეაძულა თავიდანვე დროიძეს სიმონა? ამას კი ნინოშვილი არსად არ გვიხსნის რიგიანად. ძალაძის ოჯახი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ დავითი არ გადაემტერებინა. დავითს კი „სიმონა და საზოგადოდ ძალაძის ოჯახი, თავიდანვე ათვალწუნებული ჰყავდა“. რადა? რისთვის?! მართალია, დავითი ატყობდა, რომ სიმონა თავის ბაბუა გაბილას წააგავდა, მაგრამ ნუთუ ეს მსგავსება ასეთ შიშს მოჰგვრიდა დავითს, რომ თხუთმეტი წლის სიმონას მტრად გადაჰკიდებოდა და მისი დაღუპვა გადაეწყვიტა? აი, როგორ ლაპარაკობდა ყრილობაზე დავითი:

„...მართალია, ჯერ დიდიზა ვერ შეუბედავს, ვინცხაა, მარა, რომ გამოიცეთება, იმასაც არ დააკლებს ხელს“.

აქ დავითმა სიტყვა შესწყვიტა, ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

„— იქნება არაფერ შუაშია და ტყუილა წევიწყმინდო სული... ჩემი თვალით არაფერი მინახავს მის ხელში... კიდევ ვიტყვი, ობოლი კაცია და, თუ დანაშაული არ არის, დიდ ცოდვას ვიდებ კისერზე, მარა“...

აქ კიდევ შეყოყმანდა და შემდეგ დაფიქრებით წარმოსთქვა: —

„მარა ჩემი ფიქრით იი ობოლი ბიჭი, სიმონაი, უნდა შობოდეს ამ წვრილმან ქურდობას, სხვაზე მე ჩემი ჭკუით გუმანი ვერ მიმიტანია და აწი თქვენ იცით“.

ამ სიტყვების ისე ახსნა, ვითომ დავითი განგებ ყოყმანობდა და მელიაობდა, რომ ხალხი მოეტყუებინა და არ შეენიშვნინებინა სიმონასადმი მისი სიძულვილი, შეუძლებელია. დავითი წრფელი გულით ამბობს ამ სიტყვებს, მას არ უნდა უდანაშაულოდ სხვისი დაღუპვა, ის არ არის იმდენად უსამართლო, რომ განგებ სიმონას ქურდობა დაწამოს. პირიქით, მას სიმონა ებრალება კიდეც, როგორც ობოლი კაცი. დავითი დარწმუნებულია, რომ სიმონა ბევრ „წვრილმან ქურდობას შვრება“, მაგრამ მაინც ეძნელება ამის საჯაროდ აღიარება. ამას შემდეგ, როდესაც დავითს თავლა გაუტეხეს და ცხენი მოპარეს, დავითმა ქურდობა მაშინვე სიმონას დააბრალა და დარწმუნებულიც იყო ამაში. ყოვლად შეუძლებელია, რომ დავითი დარწმუნებული ყოფილიყო სიმონას ქურდობაში ან მისთვის დაებრალებინოს ქურდობა; მთელმა სოფელმა იცოდა, რომ სიმონა იმ დღეს ცოლის ძმასთან ერთად სამუშაოდ იყო ყანაში წასული და საღამოს დაბრუნდა სახლში. რომ ის ვერ შესძლებდა გათენებისას ცხენი მოეპარა, უცებ გადაემალა და ყანაში მუშაობაც დაეწყო, ამას ყველა მისვდებოდა. მართალია, დავითის მოჯამაგირე ამბობდა: ქურდები „სიმონას“ უძახოდენო, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, მართალია, სიმონა სამ წელიწადნახევარს დაატუსაღეს, მართალია, მამასახლისი დავითის ყურმოჭრილი ყმა იყო, მაგრამ სასამართლოში დავითის ძლიერებას ნაკლები გავლენა ჰქონდა. გაცილებით უარესი უკანონობაც ხდება, მაგრამ მისი ჩამდენიც გაცილებით მეტი გავლენის მქონეა, ვიდრე დავითი, რომელიც თავის სოფელს გარეთ უბრალო დავითია. უდანაშაულო სიმონა, რომლის სიმართლესაც მთელი სოფელი დაამტკიცებდა, რომ ასე დაესაჯათ, შეუძლებელი იყო; სიმონა არ იყო იმდენად გამოუცდელი და არც დედა მისი, რომ მოწმეების შოვნა ვეღარ მოეხერხებინათ. მართალია, სოფელს დავითის ხათრი ჰქონდა, ეშინოდა კიდეც, მაგრამ შიში და ხათრი იმდენად ვერ წაახდენდა ყველას, რომ სიმონაზე ხელი აეღოთ, ის გაემეტებინათ, მით უმეტეს, რომ დავითი სრულიადაც არ ცდილობდა, სიმონა უსათუოდ დაესაჯა; ის მინდობილი იყო სამართალზე და ამბობდა: „თუ მართალია, ეე სამართალი და გაამართლოს, ჩემი რა საქმეაო“. სიმონა კი სოფელს უყვარდა და უმეტესობა მის სიმართლეს არ დაჰფარავდა. როდესაც სოფელს მოთხოვა მთავრობამ: ქურდები მომეცი, ავტორის მიზნისთვის საჭირო იყო, რომ სოფელს სიმონაც გაეცა. ამავე დროს მან კარგად იცოდა, რომ დავითი მთელ სოფელს ისე ვერ დაიმორჩილებდა, რომ მართა-

ლი კაცი დაეღუპინებინა და ამიტომ წინდაწინვე გვატყობინებს: ხალხიც დარწმუნებული იყო სიმონას ავკაცობაშიო.

„რაც ერთხელ, სიმინდის მოპარვის გამო, და მეორეჯერ, დავითის ცხენის მოპარვის მიზეზით, სიმონა საპატიმროში იყო, დიახ, ამ ორ შემთხვევის შემდეგ მეზობლებს სიმონა მართლაც საეჭვო ადამიანათ მიაჩნდათ. ხალხმა რა იცოდა თუ სიმონა ორსავე შემთხვევაში ცამდის მართალი იყო. ხალხი უმეტეს შემთხვევაში ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებს. გავლენიანმა დავითმა ჩასძახა, სიმონა მავნებელიაო, და ხალხიც იმეორებდა, მავნებელიაო“.

დავითისთანა პირებს სოფელში გავლენა აქვთ. მაგრამ არც იმდენი, რომ მთელ სოფელს თავის სურვილისამებრ საუკეთესო პირები გაამეტებინონ; მარტო დავითის ჩაძახება სრულიად არ იყო საკმარისი, რომ სიმონა ხალხს გაეცა.

ყოველივე ნათქვამით იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ წინდაწინვე დასახულმა მიზანმა ნინოშვილს ბევრი სიყალბე ჩაადენინა: დამოკიდებულება სიმონასა და დავითს შორის იმდენად ბუნებრივი, აუცილებელი არ არის, რამდენადაც ნაძალადევი, ტენდენცია ღირსებას შეადგენს სახელოვან ნაწარმოებებისას, როდესაც ის სინამდვილეს არ ამახინჯებს; ხოლო თუ სინამდვილე დამახინჯებულია, ბევრი პიროვნები მოქმედების განვითარებაში ნაძალადევად არის შექმნილი, ასეთი ტენდენცია ნაკლოვანებაა. ნაძალადეობა ეტყობა „პარტახსაც“. დანარჩენ მოთხრობებში ნინოშვილს არც ერთ ალაგას არ უღალატნია სინამდვილისათვის.

V

მოსე მწერალი უბრალო გლეხის შვილი იყო. იმერეთში გლეხს კარგად აქვს შეგახებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლანდელ დროში სწავლა-განათლებას, და ამიტომ მამამ პატარა მოსე სოფლის სასწავლებელში მიაბარა. მოსემ გაათავა სოფლის სასწავლებელი, მაგრამ მამამისს შეძლება არ ჰქონდა, რომ შვილი ქალაქს წაეყვანა. თოხის ხელში მიცემაც არ უნდოდა. ზოგი მწერალი მეტად იდილიურად ხატავს გლეხს მისი თოხით და დილიდან საღამომდე თავჩაქინდრული მუშაობით, მაგრამ ასეთი იდილია სრული სიყალბეა: გლეხს უყვარს თავისი ნაშრომი, ხოლო განუწყვეტელი მუშაობა, ოფლით მიწის რწყვა არც უყვარს და არც ეხალისება, მაგრამ რა ჰქნას, როდესაც ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მეტი გზა არ დარჩენია, მიეცით მას სხვა სახსარი ცხოვრებისათვის და ის დიდი სიამოვნებით დატოვებს

თავის თოხს და „გლეხის დიდება ყანას". მოსეს მამას გამოცდილი ჰქონდა თოხის სიმწარე და არ უნდოდა, შვილიც ამ სიმწარეში ჩაეყენებინა. იმერელი კაცი საზოგადოდ მოხერხებულია, ეშმაკი და გაიძვერა. მოსეს მამასაც არ აკლდა ეს თვისებანი და შვილსაც უნაკლოდ გადასცა; გაიგო, პრისტავს ბიჭი ჭირდებაო და მაშინვე იფიქრა, პრისტავთან ჩემი შვილი გამოიცდება, საქმე როცა მექნება, პრისტავი მწყალობელი მეყოლებაო, და შვილი პრისტავთან დააყენა, რადგანაც მოსემ რუსული წერა იცოდა, ამიტომ პრისტავი ხშირად აძლევდა გადასაწერათ სხვადასხვა ქაღალდებს. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსემ ზეპირად დაისწავლა სხვადასხვა ქაღალდების ფორმა, გაიმართა ხელი და ბოლოს პატარა საქმისათვის ქაღალდების დაწერაც შეეძლო. ხშირად მას პრისტავი სიტყვიერად ეტყოდა საქმის გარემოებას და მოსე თვითონ შეადგენდა ხოლმე ქაღალდს, მოსეს მამამ რომ შვილის ამბავი შეიტყო, პრისტავს ჯერ ძღვენი ძღვენზე უზიდა და ბოლოს ხვეწნა დაუწყო: შვილი კანცელარიაში დამიყენე მწერლადო. პრისტავი დათანხმდა, ხოლო იმ პირობით, რომ მოსეს მისთვის ჯამაგირის მეოთხედი ეძლია. ასეთ პრისტავთან ცხოვრებით მოსე მალე გაიცნობდა, თუ რა არის ქრთამი. ჩვენი პრისტავი თუ იღებს ქრთამს, მე ვიღასი დიდი კაცი ვარ, რომ არ ავიღოო, — გაიფიქრებდა ის და ამით ჩაიხშობდა სინიდისის მხილებას. პრისტავთან მორჩილებას და მელაობას შეჩვეული მოსე თავდაპირველად ხალხსაც პატივისცემით ეპყრობოდა, „თქვენ"-ობით ელაპარაკებოდა. მაგრამ, როდესაც ახალ ხელობაში მოშინაურდა და დაინახა, რომ ხალხზე მას გავლენა და ძალა ჰქონდა, ხალხი მას საჭიროებდა, მალე დაუწყო ხალხს უზრდელად მოპყრობა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ დაიბარებდა ხალხს კანცელარიაში, აცდევინებდა საღმომდე და გამოუცხადებდა: წადით სახლში, ახლა დაღალული ვარ, თქვენთვის არ მცალიაო. მოსე ნელ-ნელა შეეჩვია ქრთამის აღებას, და ყალბი ქაღალდების შედგენას. თავდაპირველად გაუგებდნენ ხოლმე სიყალბეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისე დახელოვნდა, რომ მისი დაჭერა ყოვლად შეუძლებელი იყო. მოსე ისე შეეთვისა მექრთამეობას, რომ ქრთამი ჩვეულებრივ გასამრჯელოდ მიაჩნდა; როცა ის ქრთამს იღებდა, ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქოს სისაძაგლეს კი არ ჩადიოდა. სხვას ეხმარებოდა და დახმარებაში მხოლოდ მცირეოდენ ხელფასს იღებდა. რომ ამგვარი აზრი უფრო დაემკვიდრებია იმათ გონებაში, ვინც მას დაასაქმებდა, ის განგებ ყოყმანს დაიწყებდა ხოლმე და საქმეს გააძნელებდა. ამ მხრივ საყურადღებოა მოსეს და ბაბალეს ლაპარაკი:

„— შენი მუხლების ჭირიმე, ნუ გამიწყრები! — დაეღრიჯა ბაბალე მწერალს.

„— რა გინდა, რა საქმე გაქვს? თქვი, თორემ მოსვეხეება მესაჭიროება, — უთხრა რბილათ მწერალმა“.

მოსე ხალხთან ძალიან უზრდელი იყო, მაგრამ ახლა მან შენიშნა, რომ გასაგერმავი ლუკმა ჩაუვარდა ხელში და ამიტომ მოულბა ბაბალეს.

„— ჩემი ოქრუაი სალდათათ დაუწერიათ.

„— მერე?

„— გვიშველე რამე, ერთი შენ ხელს რომ ეკადრებოდეს, იმისთანა ქაღალდი გამიკეთე.

„—ამ შემთხვევაში შველა არ შეიძლება: ხელმწიფის გადაწყვეტილია, ვისაც შეხვდება, უნდა წავიდეს.

„— წეიღე რაც გვაბადია და გვიშველე რამე.

მოსე დაფიქრდა ბაბალეს სიტყვებზე და შემდეგ უთხრა:

„— არ შეიძლება, გეუბნები, შემოდი ოთახში და გეტყვი, თუ რისთვის არ შეიძლება. — ბაბალე შეპყვა მოსეს ოთახში, მოსემ დაუდგა სკამი. დაბრძანდითო. უთხრა და თითონაც დაჯდა და განაგრძო ლაპარაკი:

სალდათობის საქმე ყველა საქმეზე უმძიმესია. სხვაი საქმე რომ იყოს, ადვილათ გიშველიდით. ეგ კი, როგორც ვთქვი, მეტათ ძნელია, მაგრამ, ვთქვათ, მოვახერხე და გიშველეთ, რას მოგვცემთ გასამრჯელოს?

მოსემ ადრევე მოისაზრა და გადაწყვიტა, რომ საქმეს ხელს მოკიდებდა, რა საძნელოც უნდა ყოფილიყო, თუკი ქრთამს აიღებდა, მაგრამ, ამდენ ხანს თუ იყოყმანა და საქმე გააზვიადა, იმიტომ, რომ ბაბალე ხელიდან აღარ წასვლოდა. ქრთამი აეღო და აეღო ისე, რომ პირიქით, ბაბალე დარჩენილიყო მისი უზომო მადლიერი. როდესაც მოსე და ბაბალე თითქმის მორიგდნენ ხუთ თუმანზე, მოსემ კიდევ დაუმატა: მე ჯერ სიტყვას ვერ მოგცემ —შემიძლია გიშველოთ თუ არა, თუკი შველა შეიძლება, ხუთი თუმნის გადახდაც ნუ დაგეზარებათ“. როდესაც მეორე დღეს საღამოზე მოსე ბაბალესას მივიდა, უკვე მოსაზრებული ჰქონდა მთელი საქმე, მაგრამ ბაბალეს მაინც არ შეატყობია:

„— იცით რა, მგონია, ამაოთ ჩაგვივლის თათბირი: ბევრი ვიფიქრე, მაგრამ არა უხერხდება რა“.

ასეთი მოხერხებითა და ეშმაკობით მოსე ბევრს იგებდა ხალხის თვალში. წინათ თუ ქრთამების გულისათვის უჩიოდნენ და ემდუროდნენ მას, ახლა მოსეს მექრთამეობაში ცუდს აღარვინ რას ხედავდა და ყველა დიდი მადლიერი იყო, ვისაც ის საქმეს გაუკეთებდა, თუნდ ტყუილა გაეკეთებინოს. ხალხში მას ძალიან ნასწავლი, ჭკვიანი და

გავლენიანი პირის სახელი ჰქონდა გავარდნილი: „სტავლას, ძმავ, მოხმარა უნდა. რამდონია, იგი, რაცხა უნიეერსია, თუ სემელარია იქიდან გამოსული, მარა ნახე, თუ ჩვენი ძოსე მწერლის მეათედი საქმე შეეძლოს". ყველა დარწმუნებული იყო, რომ, თუ მოსე მოინდომებდა, დაღმა მიმავალ მდინარეს აღმა დააწყებინებდა დენას, მისი ქაღალდი კაცისმკვლელს დააბრუნებდა ციმბირიდან. ძოსემ გააკეთა მოწმობა, ვითომ ბაბალეს ოქრუას მეტი ვაჟი არ ჰყავდა, სოფონა კი მისი გერი იყო, მოაწერია ხელი და ბეჭედი დააკვრევინა მღვდელს, მამასახლისს და კეთილ-სინდისიერებს.

ათანასე ნამდვილი ტიპია სოფლის ძველებური მღვდლის. ის იყო სამოც წელს გადაცილებული მოხუცი. საქმის დღეს ყანაში ან ბაღში მუშაობდა. უქმე დღეს კი წირვა-ლოცვას უნდებოდა. ის ეკურთხა იმ დროს, როცა მღვდლობისათვის ძალიან ცოტა ცოდნა იყო საჭირო; მან მხოლოდ ხუცური იცოდა და მხედრულად — მარტო თავის სახელის და გვარის მოწერა. ის იყო პატიოსანი, ხალხის მოყვარე და გულშემატკივარი; კარგად იცოდა ხალხის ძდგომარეობა და ამიტომ არავის არ აწუხებდა: ჯვარის წერაზე, ნათლობაზე, დამარხვაზე მან ვაჭრობა არ იცოდა, რასაც მიცემდნენ, კმაყოფილი იყო. „ათანასეს მჭადის ყუა რომ წუუტეხოთ, დაგვჯერდება, არ გვექნება და დაგვიჯერებს". ამბობდა ხალხი, რომელსაც ათანასე ძალიან უყვარდა. არავის ახსოვდა, რომ ათანასეს მრევლთან უკმაყოფილება მოსვლოდეს. როდესაც მოხუცებულობის გამო სასულიერო მთავრობამ ათანასეს გადაყენება მოუნდომა, ხალხმა თხოვნა გაგზავნა: „სანამ ათანასე ცოცხალია, ჩვენ სხვა მღვდელი არ გვინდა და არც მივიღებთო", და ამგვარად დაიტოვა თავისი საყვარელი ათანასე. თუკი ვისიმე შველას შეიძლებდა ათანასე, ყოველთვის მზათ იყო და არაფერს დაიშურებდა. როდესაც მას ბაბალეს არზაზე ხელის მოწერა თხოვეს, ის ავად იყო, მაგრამ მაშინვე წამოვიდა. არავითარი ეჭვი არ ჰქონდა, თუ მას მოატყუებდენ და ხიფათში გააბამდენ და ამიტომ შეამოწმა ქაღალდი, თორემ პატიოსანი ათანასე ტყუილს თავის დღეში ხელს არ მოაწერდა. მოსე მწერალმა თუ ამდენი პირი გააბრიყვა, დარწმუნებული იყო, რომ ვერავინ გაიგებდა. თორემ იძდენად დაცემული არ იყო, რომ ხუთი თუმნის გულისათვის ამდენი ადამიანის დაღუპვა მოენდომებინა. როდესაც მოსე დააბეზღეს და მისი სიყალბე გამოაშკარავდა, მოსეს საშინელი თავზარი დაეცა. ის იმდენად იტანჯებოდა, რომ ხალხიც კი ამჩნევდა და ამბობდა: „ამ ჩვენს მწერალს რაცხა ფარცაგი არ დამართიაო!" მან დაკარგა მოსვენება, ძილი, აღარც სასმელი ახსოვდა, აღარც საჭმელი. რა სტანჯავდა ასე მოსეს? აი რა: მოსემ იცოდა, რომ საქმეს სასტიკად გამოიძიებდენ; ამიტომ

მას ან თავისი თავი უნდა გამოემეტნა, ან სხვები, ვინც საქმეში იყო გარეული. მარტო თავის თავი რომ ხსომებოდა მოსეს, მაშინ ასეთ სულიერ ტანჯვაში სრულიადაც არ ჩავარდებოდა: თუმცა მისი მდგომარეობაც საშიში იყო, მაგრამ, თუ მოინდომებდა და სინდისზე ხელს აიღებდა, თავს ადვილად დაიძვრენდა, მაგრამ მოსეს ამდენი უდანაშაულო ხალხი ებრალებოდა, მას სინდისი სტანჯავდა. ის ორ ცეცხლ შუა იყო: ყველას გადარჩენა არ შეიძლებოდა, მაშინ ვინ გაემეტებია? თავის თავი თუ სხვები? მაღალ ზნეობას გარდა დიდი სულიერი ძალა და ხასიათის სიმტკიცე არის საჭირო, რომ ადამიანმა თავისი თავი გაიმეტოს სხვის გადასარჩენად; თავის თავის სიყვარულმა სძლია მოსე, „თავის თავის საშიშროებაში მიცემას, ისევ სხვა გავიმეტო, ჯობიაო". გადაწყვიტა და დაღუპა ყველა, მაგრამ მისი ხანმოკლე სულიერი ტანჯვა მაინც დარჩება მოწმედ, რომ ამ საზიზღარ მოსეშიაც არ იყო სრულად მოსპობილი ადამიანური ღირსება.

ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, მოსესთანა პირების უზნეობას მკითხველმა ბოდიში მოჰხადოს და შეურიჯდეს. ჩვენ მხოლოდ მისი არსებობის მიზეზებს უნდა ვეძიებდეთ. მოსე ციდან არ ჩამოვარდნილა, არც აუხსნელ მოვლენას შეადგენს: ის ჩვენი გლეხის შვილია, ცხოვრების მიერ წარმოშობილი; სიღარიბისაგან თავის დაღწევის სურვილმა შეატოპია უზნეობის მორევში; რაღაი ერთხელვე შეტოპა მოსემ, ვეღარ შეიკავა თავი და გასწია უფსკრულისაკენ, ვეღარ შეიკავა იმიტომ, რომ პატარაობიდანვე მოკიდებული მას მხოლოდ გამდიდრების სურვილი გაუღვიძეს გულში, დაახშვეს მისი ადამიანური ღირსება და მხოლოდ უზნეობა და სხვისი ყვლეფა აუურებინეს და ასწავლეს. მოსეს მოქმედება ჩვენ გულს გვიმღვრევს, მაგრამ ამავე დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მისი მოქმედების ყველა შედეგში მარტო მას არ უდევს წილი. არამედ სხვებსაც. ჩვენ თავში დავპირდით მკითხველს და ახლა შოვიყვანთ იმის მაგალითს, თუ როგორი სინამდვილით და პირუთვნელად ხატავდა ნინოშვილი გლეხის ღირსებასთან ერთად მის ნაკლოვანებასაც. თუ ბაბალე, ათანასე და სხვები მთელი ოჯახობით დაიღუპენ, ამაში მოსეზე ნაკლები წილი არ უდევს ბაგრატ ქერაძეს. ქერაძე და უნათლოშვილები ახლო მეზობლები იყვნენ, მაგრამ მუდამ მტრობა ჰქონდათ ერთიმეორეში. თავდაპირველად ერთ ნაჭერ მიწაზე შეექმნათ საჩივარი. არავითარი საშუალებით არ ზოგავდნენ ერთმანეთს საჩივრის დროს. როცა უნათლოშვილებმა მოიგეს საქმე, მტრობა უფრო გაძლიერდა; ამას შემდეგ კიდევ რამდენიმე მიზეზმა ორივე მეზობლები ერთი მეორის მოსისხლე მტრად გარდააქცია, ბაბალეს ოჯახის ბედნიერება ბაგრა-

ტის უპედურება იყო; მუდამ ესვეწებოდა ბაგრატი: „ღმერთო, ერთი იგინის საწყენი საქმე შემაძლებიეო“. გაიგო თუ არა ბაგრატამ, რა მოხერხებითაც ეაინთავისუფლა ოქრუამ თავი სალდათობისაგან, თუნდა აღდგომა გათენებოდეს: მაშინვე დააბეზღა... ამოწყდა ბაბალეს ოჯახი, ათანასეს ოჯახი, დაიკარგა რამდენიმე კაცი ციმბირში, — ყოველივე ეს უმთავრესად ქერაძის წყალობით. შეიძლება, ქერაძე არ მოელოდა ასეთ შედეგს, შეიძლება, ბოლოს დატანჯა სინდისმა და ანანებინა? სრულიადაც არა. ბაგრატა ძალიან კმაყოფილი იყო და ნიშნს უგებდა უნათლოშვილებს. ვთქვათ, უნათლოშვილები მისი მტრები იყვნენ და არ შეეცოდა; მაგრამ მოხუცი ათანასეც ხომ მან დაღუპა. სოფლის საყვარელი ათანასე, ამან მაინც რატომ არ დატანჯა?! მიეცით ბაგრატას მოსეს ცოდნა და გამოცდილება და უკეთესი „მოსე მწერალი“ გამოვა! ვინც, მცირეოდნათაც არის, სოფლის ცხოვრებას იცნობს, მან კარგად იცის, რომ ბაგრატასთანა პირები სანთლით საძებნელი სრულიადაც არ არიან, ისეთი მეზობლობა, როგორც ბაგრატასა და უნათლოშვილებს ჰქონდათ, დღევანდელ გლეხობაში იშვიათ მოვლენას არ შეადგენს: ცხოვრება გლეხისათვის დღითიდღე გასაჭირი სდება და მელიასი არ იყოს: „გქონდა მშიერი მუცელი, რაღა დიდება ღმერთსაო“. გაწვალებული ცხოვრება ადამიანს ხშირად ეგიწყებინებს ზნეობა-პატიოსნებას. ამ მოთხრობაშიაც ნინოშვილმა ნათლად დაგვანახა სამართლის წარმოების ნაკლულევანებანი ჩვენში, დამნაშავეთა ლაპარაკი, მათი სახის გამომეტყველება, სამოცდახუთი წლის მოხუცი მღვდელი, რომლისგანაც ცუდი არავის გაუგონია, ადგილობრივ გარემოებათა ცოდნა, საკმარისი იყო, რომ აღმოეჩინათ, ვინ იყო მართალი, ვინ მტყუანი და ამდენი ხალხი არ დაეღუპათ მხოლოდ იმიტომ, რომ გაბრიყვდნენ. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, საქმის რიგიანი გამოკვლევა და არა მარტო ფორმალიზმის დაცვა, ნათლად გამოააშკარავებდა სიმართლე-სიყალბეს... ვინც წინააღმდეგია ჩვენში ნაფიცი მსაჯულების, მას მეტად გამოფიტული გული და დაჩლუნგებული გრძნობა უნდა ჰქონდეს, რომ ასეთ უსამართლობას ხედავდეს ჩვენ ცხოვრებაში და იმის მაგიერ, რომ მის მოსპობას ცდილობდეს, პირიქით, ეწინააღმდეგებოდეს ისეთ დაწესებულების შემოღებას, რომელიც მცირეოდნათ მაინც მოსპობს უსამართლობას.

VI

ნინოშვილის მიზანი იყო, დაეხატა თანამედროვე გლეხის მდგომარეობა და ტენდენცია ამ მდგომარეობისა. ზოგ თავის მოთხრობებში ის ხატავს ყველა იმ მიზეზს, რომლებიც გლეხის ოჯახს, მის სიმტკიცეს გარედან უთხრიან ძირს; ზოგში კი გვიჩვენებს იმ მიზეზებს,

რომლებიც გლეხის ოჯახს შიგნიდან აქცევენ. უკანასკნელ რიგის მოთხრობებს ეკუთვნის „უცნაური სენი“. გაბრიელა ჩამწარდაძე თექვსმეტი წლის იყო, როდესაც მამა მოუკვდა და მთელი ოჯახი მას დააწვა კისერზე, რადგანაც უფროსი შვილი იყო. „იმ დღემდე მოკვდეს გაბრიელა, რომ ჩემს ოჯახს ხარჯი და სამოსი მოაკლდებოდესო“, — უთხრა გაბრიელამ თავის თავს და დაუწყო მთელ ოჯახს პატრონობა. მთელი მისი არსება შრომამ შთანთქა, მუშაობის მეტი არაფერი აბსოვდა; სამაგიეროდ, გაბრიელამ პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვები: „დები გვარიანის მზითვით დაათხოვა, ძმებსა და დებს ასაზრდოებდა, მოყვარეს მოყვრობდა, მტერს მტრობდა“. მძიმე უღელმა და მოვალეობის ასრულებამ იმდენათ დაიმორჩილეს გაბრიელას მთელი არსება, რომ მან სიბერეში ფეხი გადადგა და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსვლია. გაბრიელა აღარც სიბერისათვის იფიქრებდა ცოლის შერთვას, მაგრამ გარემოებამ აიძულა: ძმები გაეყვნენ, დედა დაუვარდა. გაბრიელამ გადაწყვიტა ცოლის შერთვა და კიდეც შეირთო, ისე, როგორც საზოგადოდ ირთავს გლეხი და თითქმის აზნაურიც საქართველოს ისეთ კუთხეებში, სადაც ძველი ტრადიციები და შეხედულებანი იმდენად ჯერ კიდევ არ შერყეულან. რომ ქალს თავისი უფლებანი შეეგნოს და მათ დასაცავად მტკიცედ იდგეს. გაბრიელას დამ გამონახა საპატარძლო; გაბრიელი შეჯდა ერთ დღეს ცხენზე, ნახა ცამეტი წლის ტასო, რომლის დანახვას ყველა ნატრობდა. ღმერთო, იმ ბედის გამხადე, რომ ტასო შემერთოს ცოლადო, თქვა, ის კი აღარ იკითხა, მისი წლოვანება შეეფერებოდა თუ არა ტასოს წლოვანებას, ან ტასოს უნდოდა თუ არა ის ქმრად.

„მართალია, ვერც იმას ვიტყვით, რომ გაბრიელასთვის არ გაერბინოს ასეთ ფიქრებს: „მე აგერ კიდეც მოვხუცი და ჩემი საცოლო კი თორმეტ-ცამეტი წლის ბავშვია! რითი შევეფერებით ჩვენ ერთმანეთს? ჩემს საცოლოს სიყმაწვილის ჩიტი უფრინავს გულში და მე კი მოხუცებულობის ყვავი ჩამომჩხავისო“, მაგრამ ამგვარ ფილოსოფიურ მოსაზრებას უსწავლელი კაცის მოქმედებაში ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს; თავი და თავი გავლენიანი ძარღვი უვიცისათვის ერთხელ დაარსებული ზნე-ჩვეულებაა. აი ეს ჩვეულება უხვევდა თვალს და ეუბნებოდა გაბრიელას: „რა ყურადღების ღირსია, რომ შენსა და შენს საცოლოს შორის დიდი განსხვავებაა ყველაფრით? შენ ქმარი იქნები. ის — ცოლი, შენ — ბატონი, ის — ყმა“.

გაბრიელამ დანიშნა ტასო და მისმა მოუფიქრებელმა საქციელმა, „რჯულს უმტკიცესი ჩვეულების“ აყოლამ, ისიც დაღუპა და მისი ცოლ-შვილიც. ცამეტი წლის ლამაზ ტასოს რათ მოეწონებოდა მოხუცებული გაბრიელა, „რომლის მსხვილი წარბები, მძვინვა-

რე მოხუცის პირის სახე და მაღალი, ცოტათი ბეჭებში მოხრილი ტლანქი ტანი“ მხოლოდ შიშს აგრძნობინებდა მას და ზიზღის მეტს არაფერს უბადავდა. ბევრს ტიროდა ტასო, ეხვეწებოდა მამას: ნუ გამათხოვებ, არ მინდა ქმარიო, მაგრამ ქალის გათხოვებას გლეხკაცი სხვანაირად უყურებს; სიყვარულით გათხოვება მას არ სწამს, უმაწვილი ქალისაგან სიყვარულით გათხოვება მას გარყვნილებად ეჩვენება. გლეხი დარწმუნებულია, რომ — როგორც მამას — სრული უფლება აქვს შვილის ბედ-იღბალი სურვილისამებრ გადაჭრას და არავითარ ცრემლებს, არავითარ გრძნობას ამ საქმეში ის ყურადღებას არ აქცევს. მან იცის ამ მხრივ თავისი უფლება, კანონიერია თუ არა მისი უფლება, ამას არ დაგიდევთ: რაც მისთვის ჩვეულებას ურგუნებია, მას სწამს და უცვლელადაც ასრულებს. ტასოს მამა ღარიბი გლეხი იყო, მზითევს ქალს ვერ მისცემდა. გაბრიელა კი გლეხის კვალობაზე ბარაქიანი კაცი იყო, მზითევს არ ითხოვდა და ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ ტასოს ცრემლებისათვის მამამისს არავითარი ყურადღება არ მიექცია. „მტირალი ტასო მამამ ძალით შესვა ცხენზე და, თითქო გაყიდული საქონელიაო, დაულოცა გაბრიელა ჩამწარდაძეს“.

ვავიდა კარგა ხანი. ტასოს შვილებიც მიეცა, მაგრამ ის მაინც ვერ შეურიგდა თავის ბედს. პირველად ტასო გამოუთქმელ სევდას გრძნობდა; ცოლ-ქმრობის ბედნიერება მისთვის უცნობი იყო, გაბრიელასთან ყოფნა მას მხოლოდ ზიზღს აგრძნობინებდა და ბედნიერად მხოლოდ მაშინ თვლიდა თავის თავს, როცა გაბრიელას არ ხედავდა.

დროს ისეთი ძლიერი გავლენა აქვს ადამიანზე, რომ მას ყოველგვარ უბედურებას და სისაძაგლეს აჩვევს. ტასოც შეეჩვია თავის ბედგომარეობას, გაბრიელას: გამოუბრუნდა გული, დაიწყო ხალხში გამოსვლა, და მალე შეამჩნია, რომ ყველას მოსწონდა. გულგატეხილმა ტასომ მიაქცია თავის თავს ყურადღება; ახლა ის „დიდ ყურადღებას აქცევდა ტანისამოსის სისუფთავეს და გემოვნებას, თავსა და ტანს ტასო კვირაში სამჯერ მაინც იბანდა; სახლში იშვიათად გაჩერდებოდა, შეკრებილებას აღარ აკლდებოდა“. თავიდანვე გულგატეხილი ტასო ოჯახზე გულაყრილი იყო და გამრჯელობა და მუყაითობა გაბრიელასთან მას არ გამოუჩენია, ახლა კი ისე აიცრუა გული, რომ დედამთილისა და ქმრის საყვედურს ვეღარ აუდიოდა. რამ გამოცვალა ამდენად ტასოს ხასიათი? იმ გრძნობამ და ბუნებამ, რომელიც მხედველობაში არ მიიღეს მისი გათხოვების დროს, უმაწვილი ქალის ბუნება სიყვარულს ითხოვდა, ის კი ბებერ გაბრიელას მიჰყიდეს, რომლის შეყვარებაც მას არ შეეძლო, მან არ იცოდა, რა იყო ქმრის

ალერსი, სიყვარული; გულგატეხილი ადამიანი პირველ შემთხვევაზე დაძლია თავისმა ბუნებამ და სიყვარულმა, ქმრის ღალატი აფიქრებია. ტასო შეცდა, მაგრამ ძვირად დაუჯდა შეცდომა. შეხვდა „უცნაური სენი“, გადაედვა მისს ქმარ-შვილს. ქმარი და ერთი ქალ-ვაჟი დაეხოცა. უმცროს ვაჟს ცხვირი მოძვრა, ტასო დაბრმავდა. ახლა ერთ დაშახინჯებულ ბავშვს დაჰყავს სოფელ-სოფელ და ქალაქებშიაც სამოწყალოდ ჯოხზე დედაბერი. ეს მახინჯი ბავშვი არის ჩიტო, გაბრიელა ჩამწარდაძის ვაჟი, სოლო უცხვირო, ბრმა დედაბერი — ამ ბავშვის დედა, ტასო, ის ტასო, რომლის სიმშვენიერეს აღტაცებაში მოჰყავდა ერთ დროს ტევრეთის ყმაწვილკაცობა“.

ჩვენთვის საყურადღებო ის კი არ არის, რომ ტასოს „უცნაური სენი“ შეეყარა: ეს მხოლოდ შემთხვევითი უბედურება იყო, საყურადღებო ის არის, თუ რად შეცდა ტასო. იმიტომ, რომ კოტემ შეაცდინაო, იტყვის ზოგი.

კოტე მამალაძე იყო გლეხის შვილი; სოფლის ერთკლასიანი სასწავლებელი გაათავა, შემდეგ მახლობელ ქალაქში „პრიკაშჩიკად“ დადგა; ისწავლა რუსული ლაპარაკი, სავაჭრო ანგარიში, შეძლებაც შეიძინა და თავი ძალიან მოჰქონდა თავის მეზობლებში. ცხოვრებაში მისი ერთადერთი მიზანი საკუთარი კუჭის სამსახური და ჯიბის გატენა იყო. კოტეს მეტიც არ მოეთხოვება; სიღარიბეში დაბადებული და აღზრდილი ადამიანი, შესაფერ განვითარებას მოკლებული, ფულის საშოვარში ჩავარდა, გამდიდრდა მეზობლებთან შედარებით, იმიტომ ამაყობა რომ დაეწყო, სრულიად ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ. სწავლას კოტე ფულით ზომავს: ვინც ბევრ ფულებს ხვეტავს, კარგ სწავლულადაც ის მიაჩნია; თუ ნასწავლი ღარიბად ცხოვრობს, იმის შესახებ კოტე ამბობს: სწავლის მოხმარების უნარი ყოველ კაცს კი არ აქვსო, სოფლის ხალხიც კოტეს თვალით უყურებს სწავლას; სწავლას ის აფასებს მხოლოდ როგორც საშუალებას გამდიდრებისა და კეთილი ცხოვრებისათვის; სხვა მიზანი სწავლისა მას არ ესმის, ან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს. თუ ღარიბი სოფლელი შვილს სასწავლებელში აძლევს, იმიტომ კი არა, რომ მისი გონების განვითარებისათვის ზრუნავდეს, არამედ იმიტომ, რომ საშუალება მიეცეს გაუჭირვებელი ლუკმის ჭამისათვის. რა ნასწავლიც უნდა იყოს ვინმე, თუ თავის სწავლას სარგებლიანად ვერ ასურდავებს ფულზე, სოფლის ხალხი ასეთ სწავლას არ ემადლიერება და ამბობს: რა გამოვიდა! თუ კი სწავლას ვერ მოიხმარს, რა მოხელეა ამისთანა სწავლაო. უტილიტარული შეხედულება საუკეთესო შეხედულებაა, მაგრამ ასეთი ვიწრო უტილიტარიზმი, რასაკვირველია, გასაკიცხია; მისი მიზეზი, ერთი მხრივ, ხალხის სიღა-

რიბეში მდგომარეობს, მეორე მხრივ, მის განუვითარებლობაში. გარდა ამისა, თვით ნასწავლი პირებიც ხელს უწყობენ ასეთი აზრის განმტკიცებას ხალხში: უმეტესი წილი ნასწავლებისა მხოლოდ ფულის სახეეტ მანქანად აქცევს თავის სწავლას, მხოლოდ თავის კუჭისათვის ზრუნავს და ხალხმაც რომ მათი მოქმედების მიხედვით დააფასოს სწავლა, რა გასაკვირველია. სოფლელები შენატროდნენ კოტეს და ამბობდნენ მის დანახვაზე: შვილი ვარ და სწავლული ვარ, კოტე მამალაძემ უნდა თქვასო. კოტე გაბრიელას შორეული ნათესავი იყო და, სოფელში როცა ჩამოვიდოდა, მას ესტუმრებოდა ხოლმე. წვრილ ვაჭრებში გაზრდილ ადამიანს ზნეობაზე თავისებური შეხედულება აქვს. შეზარხოშებულ კოტეს ლამაზი ტასოს დანახვაზე ქვენაგრძნობანი აეშლებოდა და შორეულ ნათესაობას არ დაერიდებოდა მისი ბაზრული ზნეობა, მაგრამ თუ გარემოებას არ მოეწყო ხელი, თუ თვით ტასო არ ყოფილიყო ადვილი გასაბრიყვებელი, კოტე მას ვერ შეაცდენდა: ნამუსის დაკარგვა, ქმრის ღალატი გლეხის ქალს მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა. ამის მარტო გაფიქრებაც კი კუპრის ტბას და ზედ გადებულ ბეწვის ხიდს დაუხატავს ხოლმე ვონებაში. მაშ, რად შეცდა ტასო? ტასოს შეცდომის მიზეზი ჩვენ გარემოებებში უნდა ვეძიოთ, ცამეტი წლის ტასო მიათხოვეს მოხუცებულ გაბრიელას, მიათხოვეს ისე, რომ მისი სურვილი მხედველობაში არ მიიღეს. ახალგაზრდა ქალის ბუნება სიყვარულს ითხოვდა: მას კი არ შეეძლო შეეყვარებია გაბრიელა, რომელსაც ძალათი მიჰყიდეს, როგორც უსულო ნივთი, ამგვარ პირობებში ის კი არ არის საკვირველი, რომ ტასო შეცდა, საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ შემცდარიყო, არა, ტასო არ იყო თავის თავისა და ქმარ-შვილის დაღუპვის მიზეზი. მიზეზი იყო უსამართლობა, ძველი ჩვეულება, ტასოს უფლებათა შელახვა. უსამართლო ჩვეულებამ ტასო ისეთ გარემოებაში ჩააყენა, რომ მას არ შეეძლო ქმრის ერთგული ყოფილიყო. შეცდა ტასო, — მაშ საძაგელი ყოფილა, საზიზღარი, გარყვნილი; პატიოსან პირთა შორის მას ალაგი აღარ აქვს, იძახის მრავალი. იმას ვინ იკვლევს, თუ რად შეცდა, ვისი ბრალი იყო. არათუ გლეხკაცობაში, უფრო მაღალ წრეშიც ხშირად შეხვდებით ისეთ დედ-მამას, რომლებსაც თავიდან ვერ გამოურეკიათ ის აზრი, რომ ისინი მშობლები არიან, უფროსები, მაშასადამე, სრული უფლება აქვთ შვილების ბედიღბალი ისე მოაწყონ, როგორც მათი დამყაყებული აზრი და რწმენები მოითხოვენ. — შვილი თუ არ გვიყვარს, ვინღა გვეყვარება; შვილის სიკეთეს და გაბედნიერებას თუ არ მოვინდომებთ, მაშ რაღა უნდა მოვინდომოთო, გაიგონებთ ხშირად ასეთი დედ-მამისაგან,—ის კი არ იციან, რომ ხშირად შვილს, როგორც მტერს, ისე ეჭცევიან,

ბედნიერების მაგიერ აუბედურებენ. ნამეტურ ქალები არიან შეაბრალის მდგომარეობაში ჩაყენებული ზოგიერთი მშობელისაგან. მშობლების უფლება სრულწლოვანი ქალის, გინდ ვაჟის მიმართ. მხოლოდ მეგობრული რჩევის საზღვარს არ უნდა გადაცილდეს და არ უნდა იხატებოდეს იმ ძალმომრეობაში და სხვის უფლებათა გადალახვაში, რაც ზოგიერთ მშობელს თავის კანონიერ უფლებად მიაჩნია... მაგრამ ჩვენი ცხოვრება უკვე გვიჩვენებს სანუგეშო ნიშნებს და ამას ლიტერატურაც აღნიშნავს: ჩვენი ქალები უკვე თავისუფლდებიან ძველი ჩვეულებისაგან, გონების კარს პროგრესულ და სპეციალ შეხედულებებს უღებენ, ისინი ნელ-ნელა იგნებენ თავის ინტერესებს და უფლებებს და კიდეც ემზადებიან მათ დასაცველად. საგულისხმო ის არის, რომ ქალების ასეთი განთავისუფლება ხდება საქართველოს იმ ნაწილში, სადაც ერის მწარმოებელი ძალა უფრო ვითარდება, ესე იგი დასავლეთ-იმერეთში. ცხოვრების განვითარებამ დასავლეთ-იმერეთის ქალებს წილად არგუნა, დაანახონ თავის დანარჩენ თანამემამულეთ, თუ რაში მდგომარეობს მათი უფლებანი, რა ცვლილება არის საჭირო მათ ცხოვრებაში და მოქმედებაში, და მაგალითი უჩვენონ, თუ როგორ უნდა თავისი ინტერესების დაცვა და ფერცვლილი ცხოვრების გზაზე განახლებული და ვაბრწყინებული გონებით სვლა.

* *

ნინოშვილს არა აქვს სრულად დახასიათებული კოტე მამალაძე. რადგანაც ამ მოთხრობის წერის დროს ამ ტიპის სრულათ დახასიათება იმის მიზანს არ შეადგენდა; მაგრამ მოკლე დახასიათებითაც გარკვეული წარმოდგენა მოგვეცა ამ პირის შესახებ. როგორც ზემოთ დავინახეთ, კოტე თუმცა გლეხია, მაგრამ შეხედულებით, აზროვნებით, მოქმედებით, ზნეობრივი ელემენტებით და მედიდურობით ეალიან განირჩევა დანარჩენი გლეხობისაგან. ამ პირს დაუკარგავს ბევრი იმ ღირსებათაგანი, რომლებიც გლეხს ამშვენებენ, მათ ნაცვლად კი შეუძენია ფული. ასეთი ახალი ტიპების ხატვა ჩვენი ცხოვრებიდან პირველად გიორგი წერეთელმა დაიწყო „პირველ ნაბიჯში“ ფულავათი. წვრილ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში გადაველა გლეხს უსათუოდ ცვლის. ეს ცვლილება კარგად შეამჩნია ნინოშვილმა და აგრეთვე ლალიონმა; ჩვენი ცხოვრების ახალი ტიპები მხოლოდ ამ ბელეტრისტებმა დაგვიხატეს ჯერჯერობით.

უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ ნინოშვილმა აღუნიშნავად არ დასტოვა ამ მოთხრობაში ის ფაქტი, თუ როგორ უპატრონოდ არის დატოვებული ჩვენი სოფელი ეკონომიის მხრივ. სოფ-

ლად რომ ექიმი ყოფილიყო, გაბრიელას მთელი ოჯახი გადარჩებოდა.

„დედაბრები თავიანთი ბალახ-წამლებით და მკითხავებით ხუთობანქოებით აბა რა ექიმობას გაუწევდნენ ამ ავი სენით გახრწნილ გაბრიელას ოჯახს!"

უექიმობას თან დაეროო ხალხის უცოდინრობაც, თორემ მცოდნე ადამიანი რომ გამოჩენილიყო, დროზე მონახავდა საშუალებას და სენს მთელ ოჯახს არ დააღუპიებდა. მაგრამ უექიმობას უვიცობაც ზედ მიემატა:

„ერთი ამბობდა: წითელი ქარიაო და ლოცვით უპირებდა განკურნებას. მეორე ქარ-ცეცხლიაო, და ამ ქარ-ცეცხლის წამალს ადებდა, მესამე დასუნვილიო, და ვინ მოთვლის, რა სენი არ დაარქვეს და რა წამლები არ სცადეს. ზოგი იმასაც ამბობდა: ბატონებია და წამლობა არ ეკადრებაო."

VII

„პარტახი" თავიდან ბოლომდე ილუსტრაციაა იმ უბედურების, რომელიც გლეხს ატყდება უვიცობისა და მავნე ჩვეულებათა გამო.

ჯერან ტევრიძე გლეხკაცის კვალობაზე თავის სოფელში საუკეთესო მოსახლე იყო; მიწა იმდენი ჰქონდა, რომ მოსავალი არათუ თვითონ ჰყოფნიდა, ყიდდა კიდეც და ამით გადასახადს ისტუმრებდა. ეზოში წამოჭიმული ჰქონდა ორთვალი ფიცრული სახლი, ბეღელი, ფაცხა, ნალია, სხვადასხვა წვრილი შენობები. შინაური საქონელი, რაც საჭირო იყო ერთი გლეხისათვის, სრულად ჰყავდა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ გლეხს გარდა ბევრ გაღარიბებულ აზნაურსაც ეჭირა თვალი ჯერანზე; ცოტა რამ თუ შემოგვაძლია. ქალს მივცემთო. ჯერანიც კარგად ხედავდა, რომ ადვილად შეეძლო აზნაურს დასიძებოდა, მაგრამ იცოდა, აზნაური დიდკაცობას დამიწყებს, დაჯდება, ხელს აღარ გაანძრევსო, ამიტომ გლეხის ქალს ეძებდა. ქალი ბევრი ეძლეოდა, მაგრამ ჯერანი მეტად შეუჯერებელი ხასიათის იყო, რადგანაც მდიდარი გლეხის სახელი ჰქონდა გავარდნილი და თვალადაც არ იყო ურიგო, უნდოდა, რომ მისი ცოლისოანა ქალი მთელ ეკლესიაზე არ გამოსულიყო. ასეთი ხასიათისაც რომ არ ყოფილიყო ჯერანი, მას ღრმად სწამდა ძველი ჩვეულება: იგი კაცად არ იხსენების, ვინც დედის უნებურს იზამსო. ჯერანისათვის დედას და დას უნდა გამოერჩიათ საცოლო, ჯერ მათ უნდა მოწონებოდათ; თუკი ისინი მოიწონებდნენ, ჯერანიც თანახმა გახდებობა: „თუ გულით მონდომებია, ქალის სანახავათ საქმის გაკეთეუარეესი წუნია იყო; ის მუდამ მკითხავთან გარბოდა, მკითხავი კი

გადაჭრით არავიზე უთითებდა, ამიტომ ვერც ხვარამზეს გადაეწყვიტა ჯერანის იღბალი. ჯერანის და ელისაბედიც ამგვარად იქცეოდა: მას სწამდა, რომ ჯერანის საცოლეს ამორჩევა დედისა და დის საქმე იყო და არა ჯერანის. „— მამა რომ გვყავდეს ცოცხალი, მაშინ ჩვენ აღარ გვექნებოდა ხმაი. მარა მამა აღარ გვყავს, ჩემი ძმის ჭირისუფალი ახლა მე და ნენაი ვართ. ახლა ჩვენ თავზეა მისი ცოლის შერთვა"-ო, — ამბობდა ის. დედისა და დის უნებურათ რომ ჯერანს ცოლი შეერთო, ამას ელისაბედი ვერ წარმოიდგენდა. ხანდახან ჯერანი გაეხუმრებოდა ხოლმე დას: ესა და ეს ქალი მომეწონა და უნდა შევირთოვო; თუ ელისაბედს ის ქალი არ მოსწონდა, გაცეცხლდებოდა ხოლმე: ჯერ დედა და დაი დაგვკალი და მერე შეირთეო. ჯერანი გაიცინებდა და მალე დაამშვიდებდა: „რა ბრიყვი მნახე მე, რომ შენ და ნენაის უნებურათ ცოლი შევირთოვო".

როდესაც მაშვალი მოვიდოდა ჯერანთან, ქალი ჯერ უსათუოდ ხვარამზეს უნდა ენახა; თუ მას არ მოეწონებოდა, საქმე ჩაშლილი იყო. თუ მაშვალი ჯერანსაც ურჩევდა: შენც ნახეო, ჯერანი უპასუხებდა: არა, ნენამ ნახოს, ნენა მე არ მიღალატებს; თუ მას დაუჯდება, მეც ვარს არ ვიტყვიო. ბოლოს, როგორც იქნა, მოეწონა ერთი ქალი ხვარამზეს. საქმე თითქმის გაათავა, მხოლოდ მკითხავის აზრი იყო საჭირო. სამ მკითხავს აკითხვიეს დედა-ქალიშვილმა და სამიკემ უთხრა: ბედი კარზე მოგდგომიათ და ხელიდან არ გაუშვათო. ძველი ჩვეულების ღრმად პატივისმცემელმა ჯერანმა თვითონ აღარ ინახულა ქალი და პირდაპირ მაყრებით დასანიშნავად წავიდა; მაგრამ დახეთ მის უბედურებას: საცოლეს შერცხვა, ფერი შეუკრთა. ტანისამოსიც არ უხდებოდა და ჯერანს არ მოეწონა. გაბრუნება შეუძლებელი იყო; ჯერანმა დანიშნა ქალი და გამობრუნდა სახლში. ჯერანმა დააგვიანა ჯვარისწერა; მას ქალი არ მოსწონდა და ერთი ფიქრი ეუბნებოდა, თავი დაანებეო, მეორე ფიქრი კი არწმუნებდა სოფელში პატიოსან და სინდისიერ ადამიანს გიძახიან, ქალი შენს ნიშანს ატარებს და ახლა რომ თავი დაანებო, ხომ მოგეჭრა თავიო; ამას ჩასძახოდა ჯერანს ძველი ჩვეულება. ჯერანმა ძალად დაიწერა ჯვარი. სოფლის უაზრო ჩვეულებამ მას ბედნიერების მაგიერ უბედურება შესძინა და მისი მდიდარი კარმიდამო დღეს პარტახად გადაიქცია.

ლიზა, ჯერანის საცოლე, თერთმეტი წლის ქალი იყო; თვალტანად მოხდენილი, ხასიათიც კარგი ჰქონდა. ჯერანს რომ პირველად თვალი მოჰკრა, არ მოეწონა; არ უნდოდა, მას გაყოლოდა ცოლად. მას სხვა უკვარდა, მაგრამ ძველი ჩვეულების წყალობით ის მშობლების სრული მონა იყო და ყოველგვარი გრძნობა თავისსავე

გულში უნდა ჩაეხშო. იმის ბედს აწყვეტდნენ და მას კი კრინტიც ვერ უნდა დაეძრა; ვისაც მისცემდნენ, იმას უნდა გაყოლოდა, როგორც გაყიდული პირუტყვი. როდესაც ჯერანმა ჯვარისწერა დააგვიანა, ლიზას უხაროდა, მაგრამ, რომ იფიქრებდა, თავის დანებებას საქმროსაგან როგორი ჭორები და დამცირება მოჰყვებოდა, სასოწარკვეთილებას მიეცემოდა და იტყოდა ხოლმე: „რა უჭირდა, არ გევეჩინე ღმერთსო“. უაზრო ჩვეულებას ისეთი გავლენა ჰქონდა. რომ ლიზას ერჩია, გაყოლოდა იმ კაცს, რომელიც მას ძულდა, ვიდრე სხვისი დაცინვის საგნად გამხდარიყო. გლეხკაცი ქალს მხოლოდ გარეგნობას უსინჯავს, თვალით თუ არ მოეწონა, მისი აღარაფერი მოწონს, მისი სიყვარული არ შეუძლიან. ჯერანიც ასეთი იყო; ჩვეულებამ ის აიძულა შეერთო ისეთი ქალი, რომელიც მას არ მოწონდა; ცოლის შერთვა და მისი გაუბედურება ერთი გახდა. გულნაკლულ ჯერანს ცოლის აღარაფერი მოწონდა; ჯერ სახელი გაბოუცვალა. შემდეგ თმის დაწვნა დაუწუნა, ჯერანისაგან დაწუნებული ლიზა დედამთილმა და ელისაბედმაც აითვალწუნეს. თუ ლიზა დედამთილს ყველაფერში არ დაეთანხმებოდა, ხვარამზეს გული მოსდიოდა: უმცროსი უფროსს ყველაფერში უნდა დაეთანხმოსო. თუ დაღონდებოდა, იმას უწყრებოდენ: რა გაქვს სამგლოვიო, თუ გაუჩუმდებოდა ყველას, მაშინ უფრო უწყრებოდნენ: განგებ იქცევი აგრე, რომ გაგვახელოო.

„—ესეც გველსავით გარისინდება და ჩაიწყვეტს ენას, რომ გულზე ცეცხლი მოგეკიდება კაცს! —ეუბნებოდა ერთ დღეს დედას ელისაბედი. —ყველა გველმა ადამიანმა ასე იცის გაჩუმება, ვითომ და ასე. მე კაი სულიერი ვარ, შენ რაც გინდა მითხარი, მე მაინც არ მეწყინება, მაგიერს არ ვეტყვიო. მარა გულში ქე წერს ყველას და ბოლოს გველსავით საწამლავით გადმოანთხევს“, — მიუგო ქალიშვილს ხვარამზემ.

ყველა მას უწყრებოდა, ყველა მას ჰკიცხავდა, ყველა მას ლანძღავდა; მას კი უფლება არ ჰქონდა ხმა ამოეღო. მთელ ოჯახში ლიზას ყველა მტრულად უყურებდა, არავინ იყო ისეთი, რომ მის ძდგომარეობაში შესულიყო, რომ მისთვის გაეზიარებინა ლიზას თავის გულის პასუხი. მეზობლის დედაბერთან დადიოდა და ამასაც უწუნებდა. მშობლებს და და-ძმებს ხომ მალე ამოაკვეთინეს მასთან სიარული. ლიზას მოძულდა თავი, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაექცა, ბევრჯერ დააპირა წასვლა, მაგრამ სოფლის შეხედულება, პირიქით, მას გაკიცხავდა და თავს მოჭრიდა. აშკარაა, ლიზა ასეთ მდგომარეობაში ეშმაკსაც კი შეეთვისებოდა, თუ კი მასში მცირეოდენ თანაგრძნობას და სიბრალულს ჰპოებდა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის,

რომ მან ლევანი შეიყვარა. ლიზა დიდხანს ებრძოდა სიყვარულს, პაგრამ მაინც სიყვარულმა სძლია და ასეც უნდა მომხდარიყო. მან ძლივს იპოვა ადამიანი, რომელმაც ის შეიბრალა, თანაგრძნობის ხელი გაუწოდა; ძლივს ნახა მეგობარი, რომელთანაც მას შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა. ტკბილი საუბარი, თავისი სევდის გაზიარება. იმ დროს, როცა ის ყველას ძულდა, ყველას ეჯავრებოდა, შეხვდა ადამიანი, რომელიც ეუბნებოდა: „შენ მიყვარხარ, ტყვია მომხვთეს ამ გულში, თუ ჯერ აპე მყვარებოდეს, რავაც შენო.“ ეედავდა, რომ მას გულწრფელად ეუბნებოდნენ ამ სიტყვებს: ის დარწმუნდა, რომ „ლევანი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელთანაც შეეძლო გამოეთქვა თავისი გულის პასუხი“, ამიტომ შეუძლებელი იყო არ შეთვისებოდა მას, არ გადაეტანა მასზე მთელი ის გრძნობა, რომელსაც აქამომდე საზრდო ვერ ეშოვა. ლიზამ კიდეც განიზრახა ლევანთან ერთად გაქცეულიყო სადმე, მაგრამ სხვა დაბრკოლებას რომ გადარჩენოდა, კანონს ვერსათ დაემალებოდა. ხალხის კიცხვა და წყევა კიდევ სხვა იყო, მის გარშემო ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ მისი ბედნიერება შეუძლებელი იყო. ლიზას კანონიერი და სრულიად აუცილებელი გრძნობა ლევანისადმი გამოაშკარავდა, ხალხმა დაინახა ამაში თავისი ჩვეულების და რწმენის დარღვევა და გაკიცხა ლიზა. მამამ შემოუთვალა: თავი ვომჭერი ამ სიბერის დღეს, მაგრამ ჩემმა თვალებმა აღარ გნახოს ამას იქით! შენ დღეის იქით აღარ გყავს არც დედ-მამა და არც დაძმებიო. ჯერანს წინათ ცოლის გალახვა სამარცხვინო საქციელად მიაჩნდა, მაგრამ ახლა ცოლის დანაშაული ისეთი დიდი იყო. რომ ყოველისფერი დაივიწყა და მიჰყო ცოლის ლახვას ხელი. ლიზა გრძნობდა, რომ მას უსამართლოდ ექცეოდნენ, ამავე დროს თითქოს თავის თავსაც ამტყუნებდა: მისი რწმენა შერყეული იყო და ვარკვეულ გზას ჯერ ვერ დადგომოდა. „რა ვიცი, რეიზა შევცთი? ესე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევცთი! თლათ იგინია დანაშაული ჩემ შეცდომაში! არა ვითამ? აბა მე ვარ? რა ვიცი, ვერაფერს გეიგებს კაცი, ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა!..“

ლიზას მოუკვდა ერთადერთი შვილი, ამქვეყნად არათუ აღარაფერი იზიდავდა მას, ყოველიფერი ეჯავრებოდა. სიკვდილი მისთვის სანატრელი შეიქნა, კიდეც მოიკლა თავი და დაამტკიცა ამით, რომ თუმცა ძველებურ .რწმენა-შეხედულებაში იყო აღზრდილი, მაგრამ ძველი ჩვეულება დღევანდელ ცხოვრებაში მისთვის ისე ძძიმე გამოდგა, რომ ვეღარ აიტანა და სიკვდილით გაინთავისუფლა თავი. შეუდარებელია მოთხრობის ბოლოს ის ადგილი, სადაც აწერილია ლიზას სულიერი ვდგომარეობა, მისი მარტივი ფიქრები იმ

დროს, როცა ის თავის მოკვლას ეპირებოდა. მე არ ვიცი უკეთესი ალაგი ფსიქოლოგიის მხრივ ჩვენს ლიტერატურაში. ლიზას მთელი აზროვნება თავის მოკვლის წინ სიყმაწვილის დღეებსა და ნიკოს გარშემო ტრიალებს. მას უნდოდა ბედნიერი ყოფილიყო და ნება არ მისცეს. ახლა, მისთვის ყოველიფერი მოსპობილია. ის ჯერ მონა იყო მამის, შემდეგ ქმრის, ხმის ამოღების ნება არც ერთთან არა აქვს. მას სიყვარული სწადია, ის კი ყველას სძულს. როდესაც ყველაზაგან უარყოფილმა ნახა კაცი, რომელმაც ის შეიყვარა, დედ-მამამაც კი პირში ჩააფურთხეს და მის შვილობაზე ხელი აიღეს. რადა? განა მათი ბრალი არ იყო ყველაფერი? სიკვდილის მეტ-ლიზას აღარაფერი დარჩენია, მაგრამ ის იმიტომ კი არ იკლავს თავს, რომ სიცოცხლე მოსძულებოდეს, არა, მას სიცოცხლე უყვარს. მას უნდა ბედნიერება, მაგრამ „თავიდან არის ყოველიფერი უხეიროდ მოწყობილი“ და თავის მოკვლის მეტი აღარა დარჩენიარა. გაანთავისუფლეთ ლიზა ძველი ჩვეულების მონობისაგან, ნუ გადაეღობებით მის ბედნიერებას წინ, იცანით მისი პიროვნება და უფლებანი და ის სრული ბედნიერი იქნება.

არათუ ლიზა არის შესაბრალისი, შესაბრალისია მთელი ის წრე. რომელიც ჯერ ვერ განთავისუფლებულა დამყარებულ რწმენა-ჩვეულებათაგან. ლიზას გარშემო ყველა ისე შეუბორკავს ძველ ჩვეულებებს, რომ თავისუფლად ფეხის გადადგმა აღარ შეუძლიათ. ჯერანი დარწმუნებულია, რომ მისი ცოლის შერთვა მისი დედის საქმეა და არა მისი. როცა მაშვალი მოუდის, ის დედაზე უთითებს: ხენამ ნახოს და თუ მოეწონა, თანახმა ვიქნებიო. ხვარამზეც ამავე აზრის არის და საცოლოს სანახავად ჯერანს კი არა გზავნის, პირიქით, სხვებს არიგებს: „ჯერანს არაფერი უთხრათ, ჯერ მე ვნახავ და, თუ მომეწონა, ქეც დავნიშნოთო.“ ის კი ვერც ერთს ვერ შეუგნია, რომ ცოლის ამორჩევა იმისი საქმეა, ვინც ირთავს და არა დედ-მამის, ჯერანი ხედავს, გაუბედურდა, მაგრამ მას ვერ შეუგნია, სად არის მისი უბედურების მიზეზი; ის დედას უწყრება: „ზღაპარში გამიგონია, დედაი, დაი მოღალატე, მარა თუ მართალი იყო, დღემდე არ ვიცოდი და დღეს კი ჩემი თვალით ვნახეო.“ მას ვერ შეუგნია, რომ დედა და და აქ არაფერ შუაშია, რომ ყოველივე უბედურება წარმოდგა მისი სირეგვნისაგან, უმკითხავოდ რომ ფეხს არ გადადგამს, და იმ ჩვეულებისაგან, რომელიც მას ღვთისაგან დადგენილი ჰგონია და რომლის დარღვევაც მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნია. როდესაც მისი და არ მოიწონეს, ის სიდედრს უწყრება: „თუ გულით მოენდომებია, ქალის სანახავათ საქმის გაკეთებამდი რეიზა მეიყვანა? ჯერ საქმეს გავაკეთებდი და ქალის ნახვას,

დასანიშნავათ რომ ვოვიდოდა, მაშინაც ქე მოესწრებოდაო". ე. ი. ის წყრება, რომ ვინმა სიდედრმაც ბოლომდე არ დაიცვა ის ჩვეულება, რომელიმაც თვითონ (ჯერანი) გააუბედურა. ძმის ცოლის შერთვაში ელისაბედი დიდი თავგამოდებული იყო; თუ ქალებს ჩხრეკდა, თუ მკითხავებთან გარბოდა. როდესაც საქმე მის გათხოვებაზე მიდგა, დედა და ძმა ფაცურობდნენ, ის კი ისე იყო გაჩუმებული თითქო მას არაფერი შეეხებოდა; თავის გათხოვების საქმეში გარევა მას სამარცხვინო საქციელად მიაჩნდა, ამას გარდა, ურცხობა-თავაშვებულობაში ჩამოართმევდნენ! ლიზას არ მოსწონს საქმრო, სხვა უყვარს, მაგრამ ჩვეულებამ ის უბრალო ნივთად გადააქცია; მას უფლება არა აქვს, თავისი ბედის გადაწყვეტაში წილი მიიღოს, არ წაყვეს მას, ვინც ძულს და პირდაპირ გამოაცხადოს: მე ეს კაცი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და ჩვენს ბედნიერებას ნუ ეღობებითო. ზალიკას, ლიზას მამას, სასიძო კაცს უგზავნის და უთვლის: შენი ქალი არ მოვწონს და გამიშვიო; ზალიკას უყვარს თავისი ქალი, მას ბედნიერება უნდა თავისი ქალის და არა გაუბედურება; მისი ქალი თუ ქმარს ეძულება, ამით ის უბედური იქნება, მაგრამ ზალიკა დაბრმავებულია უაზრო ჩვეულებით, რომლის დარღვევაც მას ოჯახის გაბასებად და შერცხვენად მიაჩნია. მამას, რომელსაც შვილი უყვარს, თითქო კიდეც უნდა გახარებოდა და არ მიეცა შვილი ისეთი კაცისათვის, რომელსაც მისი ქალი ეძულებოდა; მაგრამ ზალიკა მონაა ძველი ჩვეულების და ამიტომ ის სასიძოს ჩხუბს უქადის: „ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ მეინდომებს, თვარა დღეს მეც გავთავდები და იგიც დათავდებაო."

ჩვენ დავინახეთ, თუ რაში მდგომარეობს მოთხრობის დედააზრი; სოლო აზრის განსახორციელებლად ავტორმა სინამდვილე ბევრგან დაამახინჯა, ბევრი სიყალბე ინმარა, ნაძალადევად მოაწყო ბევრი გარემოება, წინდაწინვე დასახულ მიზნის მისაღწევად და ამიტომ მოთხრობა მეტად ტენდენციური გამოვიდა. ავტორს სურდა უსათუოდ დაემტკიცებია, რომ ძველი ჩვეულებანი ხალხს ღუპავს; ცხოვრება კი იმდენად არ ეთანხმება ავტორს, რამდენადაც მას ენდოდა: მართალია, ცოლის შერთვაში ისეთი ჩვეულების გაბატონება, როგორიც ნინოშვილმა დაგვანახვა, ბევრ უბედურებას თესავს, მაგრამ იმ ზომამდე კი არავინ მიყავს, როგორც ჯერანი და ლიზა. ამიტომ ავტორმა ჩაურთო მოთხრობაში ბევრი ნაძალადევი პირობები, რომ მის მიერ გამიზნული დასასრული, დასკვნა აუცილებელი ყოფილიყო; ამით კი სინამდვილეც დაამახინჯა და მოთხრობის სახელოვან ღირსებას და მნიშვნელობასაც ზიანი მიაყენა. ჯერანს არ მოეწონა ქალი, მიუგზავნა სასიმამრო მოციქული, მაგრამ არ გაუ-

შვეს; გაპარვა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა; სახლში დაბინავების შემდეგ სულ აღრენილი იყო და დედას და დას ხმას აღარ ცემდა. ცოლის ისე შერთვა, როგორც ჯერანმა შეირთო, იშვიათი მოვლენა არ არის ჩვენში. ჯერანს არ ეყვარებოდა ისეთი ქალი, რომელზედაც თითქმის ძალით დაიწერა ჯვარი, მაგრამ შვილის ყოლა, ისიც ვაჟის, ბოლოს მოუღებდა ყოველგვარ უკმაყოფილებას ცოლ-ქმარს შორის. ჩვენ კი ამას ვერა ვხედავთ: შინაურებს ისევე სძულთ ლიზა, როგორც წინათ. ჯერანს რომ არ დასცოდა ხარები, ფეები რომ არ დაეჭრა მძიმედ, სიმამრს რომ ფულს არ შესესხებოდა, ელისაბედის გათხოვებაც რომ არ გამორეოდა, ეჭვს გარეშეა, ლიზას ნელ-ნელა შეეჩვეოდნენ და სიძულვილი მოისპობოდა. ვაჟის სიკვდილი რაღა იყო? მკითხავი ამბობდა, ლიზა კუდიანი დედის შვილია, თითონაც კუდიანია, თქვენი ოჯახი აწი სულ უკან წავა. ელისაბედი გაბმა, ჩამოდნა; ამას ლიზას კუდიანობას აბრალებდნენ. ამას შემდეგ ლიზა თხოვს ჯერანს, გამიშვი მამაჩემთანო და ის კი არ უშვებს. მკითხავის სიტყვებისა და უბედური შემთხვევების შემდეგ ჯერანი არათუ ლიზას შინ წასვლას არ დაუშლიდა, პირიქით, თითონ გააგდებდა და მოიშორებდა თავიდან. მართალია, მას ეთაკილებოდა ცოლის გაგდება, ეშინოდა, ვაითუ გაუნამუსო

ულებას არც ის ჩამორჩა; ყველა ლამაზ და ყმაწვილ ქალს ეძებდა საცოლედ და იმანაც ჩვიდმეტი წლის ვარდიკო შეირთო. ვარდიკო იყო მეტად ლამაზი გარეგნობით, წყნარი და გაურყვნელი ხასიათის ქალი; მისი ბუნება ვერ შეეთვისა ელიზბარს. რომელმაც ცოლი უფრო ქვეყნის დასანახავად შეირთო, ვიდრე ბუნებრივი ლტოლვილების მიხედვით. ვარდიკოს შეუყვარდა ოცდაერთი წლის სიკო და კიდეც გახდა ამ სიყვარულის მსხვერპლი. მოთხრობის ბოლო ნაძალადევია. ელიზბარი არ იყო ჭკვიანი კაცი, მაშასადამე, ცოლის ერთგულებაში სრული დარწმუნებული იყო; ის კმაყოფილია მით. რომ ცოლი „ტკბილი სულიერი“ შეხვდა; მისი ილუზია ერთბაშად ირღვევა: ცოლს საყვარელი ჰყოლია. ელიზბარისათვის ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი იყო. რომ შეუძლებელია ასე უცებ ცოლის სიკვდილიც განეზრახა და ხანჯალიც ისე დაემალა, რომ სხვებს ვერ შეემჩნიათ. შეუძლებელი იყო აგრეთვე გაბრაზებული ელიზბარი ხალხს არ შეეკავებია და ცოლი მოეკვლევინებია: ვინ იქნება ამდენად სულელი, რომ ვერ შეეტყო, სამოყვროდ მიიწვევდა თუ სამტროდ ელიზბარი ცოლისაკენ. ელიზბარი არ იყო იმდენად მოხერხებული კაცი, რომ გაბრაზება დაემალა. სხვებმა არა შემატყონ რა და ჩემი განზრახვის ასრულება არ დამიშალონო, ან კი სად ეცალა ეს ეფიქრა. ყოველივე ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, ელიზბარი ცოლის მოკვლას მაინც არ გადაწყვეტდა. მართალია, ცოლის ღალატი ქმრის თავისმოჯრად მიაჩნია, მაგრამ ელიზბარი ხანშიშესული კაცი იყო. გატაცებით სიყვარული მას აღარ შეეძლო. ცოლი იმიტომ შეირთო, რომ ყველა ცოლს ირთავდა და იმასაც. როგორღაც, ეჩოთირებოდა უცოლოდ დარჩენა. მას იმდენად არ უყვარდა ვარდიკო, რამდენადაც მისი მადლიერი იყო; ამიტომ ცოლის ღალატიც ისე ძლიერად ვერ იმოქმედებდა ელიზბარზე. როგორც ავტორმა დაგვიხატა: ელიზბარი სცემდა. გააგდებდა ცოლს, მორჩა და გათავდა.

დავუბრუნდეთ ახლა იმ სოციალურ კითხვას, რომელიც ნინოშვილმა წამოაყენა. სიკოს და ვარდიკოს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ საზოგადოება დევნის ამგვარ სიყვარულს და ამიტომ იძულებული არიან გულწრფელი და პატიოსანი სიყვარული ქურდულად მალონ. — საუცხოო პატიოსანი სიყვარულია, როცა ღამეებს ერთად ატარებენო, გაიღიმებს ზოგიერთი მკითხველი. მაგრამ სქესობრივი მხარე ყმაწვილი ქალისა და კაცის სიყვარულის აუცილებელი სარჩულია. ხოლო აქედან სრულებითაც არ გამოდის ის დასკვნა, ვითომ სიყვარულში ქვენაგრძნობის მეტი არა იყოს რა.

„ასეთი ჩემი საქციელი ხალხს დიდ დანაშაულობათ მიაჩნია. —

ამბობდა გულში სიკო. როცა ერთ ღამეს ვარდიკოსთან მიდიოდა, — მერე რამდენ ცოდვას სჩადის ხალხი ამის გამო, რამდენი ადამიანი ჰკლავს თავის ცოლს იმის გულისთვის, რომ შემარცხვინა თავისის ქცევითო, რამდენი ყმაწვილი ქალი იკლავს თავს სახელის გატეხის შიშით. რამდენი საწამლავი ხმარებულა, რამდენი ადამიანი დაღუპულა. რამდენი ახლათ დაბადებული ბავშვი ცოცხლათ დამარხულა მარტო იმის გულისათვის, რომ გარყვნილება დაეფარათ და ქვეყანაში არ შერცხვენილიყვნენ. კარგია ეს? რატომ ისე არ უყურებენ იმ საქმესაც, როგორც სმას, ჭამას, სიცილს, ლაპარაკს, თამაშს?.. აქ სიკოს შეეშინდა: იქნება ძლიერ შორს შევტოპე ჩემის ფიქრებითაო, — მაგრამ არა, ძალბი მართალია, უკეთ იცისო, გაიფიქრა გულში".

სიკოს აზრი, უკანასკნელ სტრიქონს გარდა, ნინოშვილის აზრია, ნინოშვილმა იცოდა, რომ ხალხი არ იყო მართალი, თორემ არც ზემოხსენებულ სიტყვებს წარმოათქმევინებდა სიკოს; მაგრამ თავისი აზრის ლოღიკური განვითარება შეწყვიტა და გაჩუმება ამჯობინა. ამ კითხვის გადაუწყვეტად მარტო სიმპათია-ანტიპათია არ კმარა. ამისათვის საჭიროა მოკლედ განვიხილოთ: რამ წარმოშვა და განავითარა ადამიანში ის შეხედულება, რომ ქალმა გათხოვებამდის სქესობრივი უმანკოება უნდა დაიცვას და გათხოვების შემდეგ ქმრის ერთგულება. ეს ნათლად არის გარკვეული ფრ. ენგელსის წიგნში — „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", რომელშიაც მას მოყვანილი აქვს და შევსებული მეცნიერ მორგანის გამოკვლევანი. თავდაპირველად, როცა ადამიანი ველურად ცხოვრობდა. სრული სქესობრივი არევა სუფევდა, ისე, როგორც პირუტყვებში. ე. ი. ყოველი კაცი ყველა ქალის ქმარი იყო. ყოველი ქალი — ყველა მამაკაცის ცოლი. აქედან იწყება სხვადასხვა განსაზღვრა და გაწესრიგება სქესობრივი ურთიერთობისა. ჯერ მამასა და ქალიშვილებში მოისპო სქესობრივი აღრევა; შემდეგ დებსა და ძმებს შორის; ხოლო რამდენსამე დას ან ბიძაშვილს შეეძლოთ ჰყოლოდათ რამდენიმე საერთო ქმარი, რამდენსამე ძმას ან ბიძაშვილს — საერთო ცოლები. რადგანაც ამგვარ პირობებში მამის ცნობა ყოვლად შეუძლებელი იყო, დედის კი ადვილი, ამიტომ ნათესაობა და მემკვიდრეობაც დედის გვარზე მიდიოდა, — არსებობდა მატრიარქატი. დროის განმავლობაში საერთო ცოლ-ქმართა რიცხვი თანდათან კლებულობდა; მაგრამ მატრიარქატის მოსასპობად და მონოგამური ოჯახის ასაღორძინებლად საჭირო იყო შესაფერი ეკონომიური პირობები. ადამიანმა მოაშინაურა გარეული პირუტყვები, გაიჩინა ჯოგები. ამგვარად, დაიბადა სიმდიდრე-სიღარიბე, რადგანაც ზოგს ბევრი ჯოგი

ჰყავდა, ზოგს ცოტა, და ნელ-ნელა განვითარდა კერძო საკუთრება. ყოველი ადამიანი ცდილობდა, საკუთარი ჯოგები შეეძინა, რომ მოცილე არავინ ჰყოლოდა. სანამ მამაკაცს კერძო საკუთრება არ ჰქონდა, მისთვის საჭირო არ იყო საკუთარი შვილების ცოდნა და ამიტომ მატრიარქატშიაც ცუდს არაფერს ხედავდა. როდესაც მამაკაცმა კერძო საკუთრება შეიძინა, მისი ეგოისტური ბუნებისათვის საჭირო გახდა საკუთარი მემკვიდრეობის ცოდნა, რომ თავისი კერძო საკუთრება სიკვდილის შემდეგ მათთვის დაეტოვებია. ახალმა ეკონომიურმა პირობებმა მატრიარქატი უვარგისად გადააქცია და მის მაგიერ სხვა სოციალური ურთიერთობა მოითხოვა. მამაკაცი შეებრძოლა მატრიარქატს, ნელ-ნელა მოსპო ის და შექმნა პატრიარქალური დიდი ოჯახები ერთი უფროსი მამაკაცის მბრძანებლობის ქვეშ. შემდეგ კი წარმოსდგა ნამდვილი მონოგამური ოჯახი: მამაკაცმა მოსთხოვა ქალს, რომელიც ცოლად მიჰყავდა, რომ ის მხოლოდ მისი საკუთრება ყოფილიყო და ამით ქმრისათვის საშუალება მიეცა, თავისი საკუთარი შვილები სცოდნოდა. ამგვარად, ეკონომიურმა პირობებმა ან კერძო საკუთრების აღორძინებამ დაავალა ქალს, რომ ის მხოლოდ ერთი კაცის ცოლი ყოფილიყო; ქმრის ერთგულება არ დაერღვია და მხოლოდ მისთვის ეძლია მემკვიდრეები. რადგანაც ყოველი ქალი მომავალში მეუღლე და დედა უნდა გამხდარიყო, ერთხელვე ეკონომიური მიზეზებისაგან წარმოშობილი შეხედულება თანდათან განვითარდა და გაუთხოვარ ქალსაც მოსთხოვა უმანკოება. ამგვარად, თუ გაუთხოვარ ქალს საზოგადოება უმანკოების დაცვას ავალებს და გათხოვილს — ქმრის ერთგულებას, ასეთი შეხედულება დაბადა და განავითარა კერძო საკუთრების აღორძინებამ, რადგანაც საკუთარი მემკვიდრეობის ყოლა მხოლოდ ცოლის ერთგულებაზე არის დამოკიდებული და არა ქმრის ერთგულებაზე, ამიტომ ზემოხსენებული შეხედულება მამაკაცზე ნაკლებად გავრცელდა. როდესაც საზოგადოების აზრი ქალის ზნეობას სქესობრივი მხრით სასტიკად ადევნებს თვალყურს, უცოლო ვაჟის ან ცოლიანი მამაკაცის გარყვნილებას ძალიან ადვილად უყურებს; მამაკაცი თუ სახარბიელო სასიძოს წარმოადგენს, რამდენი საყვარელიც უნდა ჰყოლოდეს, სიძედ მას ძალიან ცოტა დაიწუნებს; იმ ქალს კი. რომელიც ამ მხრით მამაკაცის მიბაძვას მოისურვებს, საზოგადოებიდან განდევნა არ ასცილდება. ზემოხსენებულმა შეხედულებამ ბევრი სარგებლობა მოიტანა. მაგრამ დღეს ზარალიც მოაქვს; ვარდიკოსა და სიკოს ერთმანეთი უყვართ, მათ უნდათ ერთად ცხოვრება, მაგრამ არც საზოგადოება, არც კანონი ამის ნებას არ აძლევს. ვარდიკოს არ შეუძლია

კანონიერ ქმართან ცხოვრება. მისი არსება სიკოსაკენ მიისწრაფვის; ძიეცით მათ შეუღლების უფლება და სრული ბედნიერნი იქნებიან. მაგრამ დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება ამის წინააღმდეგია და ისინი უბედურნი უნდა იყვნენ. მერე განა ცოტაა მათსავით უბედური? ის შეხედულება და კანონი. რომლებიც ვარდიკოსა და სიკოს ბედნიერებას წინ ეღობებიან, როგორც დავინახეთ, ეკონომიური მიზეზების ნაყოფი არიან. მხოლოდ მაშინ მოისპობა ასეთი შეხედულება და კანონიც და განთავისუფლდება სიყვარული, როდესაც შეიცვლება დღევანდელი ეკონომიური პირობები, ე. ი. როცა კერძო საკუთრების დღევანდელი ფორმა გადავარდება.

IX

თუმცა ნინოშვილი გლეხის ცხოვრების ჭირ-ვარამს დასტრიალებდა თავს. კითხულობდა მის გულსა და გონებაში დაგროვილ მწარე გრძნობებსა და ფიქრებს, მაგრამ ის ისეთი დაკვირვებითი ნიჭის პატრონი იყო, რომ ჩვენი ცხოვრების არავითარი საგულისხმო მოვლენა არ გამოეპარებოდა. „ტარიელ მკლავაძეში“ მან დაგვიხატა უკვდავი ტიპი ჩვენი დღევანდელი ფეოდალური არისტოკრატიისა და ნათლად დაგვანახვა ამ არისტოკრატიის გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა. „ჩვენი დროის რაინდში“ ორი სხვადასხვა ტიპია. ადამიანი რომ ნაყოფია მემკვიდრეობის, აღზრდის და ცხოვრების პირობების, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, ერთი მხრით, სპირიდონ მცირიშვილი, მეორე მხრით, ტარიელ მკლავაძე. სპირიდონი იყო უბრალო გლეხის შვილი. რადგანაც სხვა გლეხებთან შედარებით სპირიდონის მამა შეძლებულად ითვლებოდა, ამიტომ შვილი სოფლის სასწავლებელში მიაბარა იმ განზრახვით, რომ წერა-კითხვას ისწავლის და შემდეგ სადმე დუქანში მივაბარებო. გლეხის შვილს ხშირად მემკვიდრეობა საღი ზნეობითა და შრომისმოყვარეობით აჯილდოვებს; ცხოვრება კი განუმტკიცებს ხოლმე მას ასეთ თვისებებს. პატარა გლეხი ხედავს, რომ მის გარშემო ყველა მუშაობს, ყველა ოფლსა ღვრის. იმასაც თანდათან ‹კალსა და რბილში უჯდება ის აზრი. რომ შრომა ადამიანის ცხოვრების დანიშნულებაა. ამ გარემოებაში უნდა იყოს იმისი მთავარი მიზეზი, რომ გლეხის და. საზოგადოდ, ღარიბი ოჯახისშვილი სწავლაში ხშირად მუყაითია. სპირიდონიც ერთგულად შეუდგა სწავლას; სოფლის სასწავლებელი მალე გაათავა და შემდეგ მამას აუტყდა, ქალაქში წამიყვანეო. სპირიდონის მამა უარს იყო, მაგრამ მეზობლები შეუჩნდნენ: ნიჭიერი ბავშვია და ჩხირს ნუღარ მიატეხო. მამა „შეცდა“, როგორც თვითონ

ამბობდა და შვილი ქალაქს წაიყვანა. ქალაქში ცხოვრებას ხარჯი უნდა, საამისო შეძლება კი სპირიდონის მამას არა ჰქონდა. მაგრამ სპირიდონს ისე მძლავრად ჰქონდა გამჯდარი სწავლის სურვილი. რომ ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ გაუტეხა გული. სპირიდონის სოფელი ქალაქიდან ოცი ვერსის მანძილზე იყო. სპირიდონი ყოველ კვირაობით მიდიოდა სოფელში და მოჰქონდა თითო კვირის საყოფი ლობიო, ყველი და ფქვილი; ცხოვრობდა ქალაქის განაპირას, ერთ ქოხში, რომელშიაც თვეში ოთხ აბაზს აძლევდა, ყოველ საღამოობით მახლობელ ტყიდან მოჰქონდა ფიჩხი, ანთებდა და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს. საჭმელს თავის ხელით იკეთებდა. საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი მისთვის ერთი იყო. ჯანსაღი აგებულებისა სპირიდონი პატარაობიდანვე არ ყოფილა. ნამეტანმა შრომამ და გაჭირვებამ სულ მოტეხა ის და სამუდამოდ დაასუსტა მისი აგებულება. შემდეგ სპირიდონი გადავიდა საოსტატო სემინარიაში, თუმცა ცხოვრების პირობები გაუუმჯობესდა, მაგრამ სპირიდონი ისეთი ადამიანი იყო, რომ დასვენება რა იყო, არ იცოდა: თუ თავისუფალი დრო რჩებოდა, სულ წიგნის კითხვას ანდომებდა და თავისი თავის განვითარებას ცდილობდა. ოცის წლის სპირიდონმა, გარეგნობით სუსტმა, მაგრამ სულით ძლიერმა და მრავალი პატიოსანი სურვილით აღვსილმა, გაათავა სემინარია. ის გააწესეს მასწავლებლად ერთ შორეულ სოფელში. მისი სკოლა წარმოადგენდა პატარა ძველ სახლს, რომელსაც ფანჯრები ჩამტვრეული ჰქონდა, ჭერი და იატაკი წვიმისაგან დამპალი. ორიოდ დამტვრეულ სკამს გარდა სკოლაში არაფერი იყო. ოთახიც კი არ იყო მასწავლებლისათვის. სკოლის საქმეს ხალხი გულგრილად უყურებდა; სკოლის სარგებლობა მას არ სწამდა, რადგანაც ამ სარგებლობას ვერ ხედავდა და მასწავლებელს მტრული თვალით უყურებდა. ამიტომ ბევრს კიდეც სურდა, რომ სკოლა სრულიად გაუქმებულიყო. სპირიდონს პირველ სანებში ყველა უსიამოვნოდ უყურებდა — „მოსულხარ, რომ ფულები აგვაცინცლო, მეტს, ნუ გეშინია, არას შეგვძენო“, ამბობდნენ მის შესახებ გულში. ამგვარ პირობებში საქმის რიგიანად წაყვანა თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ ისეთი ადამიანისათვის კი არა, როგორიც სპირიდონია: მისთვის სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობდა, მას სწამდა თავისი მიზანი და სულითა და გულით მიისწრაფოდა მისკენ. უბინაობის გამო სპირიდონს ორი თვე იატაკზე ეძინა. ღამე თვითონ დაიგებდა და დღე ისევ ალაგებდა, რომ ბავშვებს არ გაეთელათ მისი ლოგინი. ამგვარად, ერთი პატარა ოთახი დღისით სასწავლებელი იყო, ღამით კი სპირიდონის საწოლ ოთახად იქცეო-

და. დამპალი იატაკი ლოგინის დანიშნულებასაც ასრულებდა. როცა აცივდა. სპირიდონმა იშოვა ბინა მღვდელთან. სპირიდონის გადასვლას მღვდლის ოჯახში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც მისთვის, ისე მღვდლის ცამეტი წლის ქალის დესპინესათვის. ღარიბი ოჯახის შვილი, მგრძნობიარე და მოსიყვარულე გულის პატრონი ასცდა ცუდ გავლენას, განივითარა გონება და ამას შემდეგ შეუძლებელი იყო, მას მარტო თავის თავისთვის ეზრუნა; სპირიდონმა იცოდა, რა იყო სიღარიბე და სირეგვნე. ამიტომ შეუძლებელი იყო მისი გულისა და გონების პატრონს არ დაბადებოდა სიყვარული მათდამი, ვინც სიღატაკისა და უვიცობის მორევში დაცურავდა, არ აღძვროდა სურვილი, რომ მათ დახმარებოდა. მართლაც სპირიდონმა დაისახა მიზნად, ხალხს შეწეოდა, რამდენადაც შეეძლო, და ამ განზრახვით გამოსწია სოფლისაკენ. ჩვენ დავინახეთ, რა დაბრკოლება ვადაეღობა წინ სპირიდონს სოფელში მისვლისთანავე: ხალხი მტრულად უყურებდა. კლასი არაფრად ვარგოდა, დასაძინებელი ოთახი არ გააჩნდა. მაგრამ სპირიდონი გულმოდგინედ შეუდგა ბავშვების სწავლებას, სკოლის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას. ის ეხმარებოდა, არიგებდა და ესარჩლებოდა ხალხს; ხალხმაც იცნო სპირიდონი და შეიყვარა ის. გაიარა ოთხმა წელმა და ხალხი არათუ სკოლის გაუქმებას ცდილობდა, თვითონვე ააშენა თავის ნებით სკოლისათვის კარგი სახლი. სპირიდონის საზრუნავი ეხლა ის იყო, რომ სკოლისათვის ბიბლიოთეკა დაეარსებია და მეტი შუქი მოეფინა ხალხის გონებისათვის. ხალხისათვის ზრუნვა, ხალხის სამსახური მის წმინდათა წმინდას შეადგენდა. ეს სუსტი ადამიანი ისე გატაცებული იყო თავისი მიზნით, რომ მზად იყო, ყოველგვარ დაბრკოლებას შეტაკებოდა, ოღონდ თავის მიზანს მიახლოვებოდა. მან ადრე შეიგნო, რაშიაც მდგომარეობს ადამიანის ღირსება, მისი დანიშნულება. მან იცნო თავისი თავი ადამიანად და ამას შემდეგ აღარ შეეძლო დამსგავსებოდა უსულგულო არსებას. რომელსაც უბედურთა და დაჩაგრულთა კვნესა სიმღერად მოესმის. მას ესმოდა კვნესა და ეს კვნესა იწვევდა სამოქმედოდ, ხალხის წყლულის დასაამებლად.

როდესაც სპირიდონი მღვდლის სახლში გადავიდა. სწავლება დაუწყო მღვდლის პატარა ვაჟიშვილს. ცამეტი წლის დესპინეს პირველ ხანს სპირიდონი ეჯავრებოდა. ერთხელ, როცა პატარა ძმა დესპინეს რუსულს ასწავლიდა, სპირიდონმა თავის მოწაფეს რუსული სიტყვების ამოკითხვა გაუსწორა, დესპინეს არ ეჭაშნიკა, მათ სწავლაში რომ სპირიდონი ჩაერია. „ვინ ეხვეწებოდა ნეტავი, რომ მოვიდა და გვასწავლისო“, ჩაილაპარაკა მან თავისთვის. მაგრამ, რაც უფ-

რო ეცნობოდა დესპინე სპირიდონს, მისი სიძულვილი თანდათან ჰქრებოდა; „თუმცაღა სასაცილოა. მაგრამ სწავლება კი კარგი ცოდნიაო“. ამბობდა ის რამდენისამე ხანს შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, დესპინე ყურადღებას აღარ აქცევდა სპირიდონის გარეგნობას: მას სწავლა უყვარდა. ძლიერი სურვილი ჰქონდა, გონება განევითარებია, სპირიდონი კი კარგი მასწავლებელი იყო. კეთილი კაცი, და ეს საკმარისი იყო, რომ დესპინეს მალე გამოეცვალა აზრი სპირიდონის შესახებ და სიყვარულად გარდაექმნა ის გრძნობა, რომელიც მასში სპირიდონის გარეგნობამ აღძრა. თუ პირველად სპირიდონს უწყრებოდა: ვინ ეხვეწებოდა, რომ მოვიდა და გვისწორებსო, ახლა ენატრებოდა, რომ სპირიდონს მისთვის ესწავლებინა, მაგრამ სპირიდონს ვერ უბედავდა. დესპინე დასძლია სწავლის წყურვილმა და ერთ დღეს დედას პირდაპირ გამოუცხადა: დედა, მე მინდა რუსული წიგნის სწავლა, თხოვეთ უჩიტელს, მასწავლოსო. სპირიდონი დიდი სიამოვნებით დათანხმდა დესპინეს სწავლებას. ის შემთხვევას ეძებდა, რომ სხვას დახმარებოდა. სხვისთვის სარგებლობა მოეტანა, ის „კმაყოფილებას გრძნობდა, როცა სხვას ასწავლიდა“. გავიდა ოთხი წელიწადი და სპირიდონის შრომამ შესამჩნევი ნაყოფი მოიტანა: ჩვიდმეტი წლის დესპინე სრულიად სხვა აზროვნების და ფიქრის ქალი იყო, ვიდრე უმრავლესობა, არათუ სოფლის, ფორმალურად განათლებული ქალებისაც. დაბადებით დესპინე იყო ცოცხალი და საღი ბუნებისაც. ის არ ბაძავდა ფუქსავატი ცხოვრების მაგალითებს, ცუდ გავლენას აცილებულიყო, ის მიილტვოდა სწავლისა და სინათლისაკენ: რუსულ წერა-კითხვას პატარა ძმისაგან სწავლობდა. შემთხვევამ ხელი შეუწყო და დესპინეში სავსებით განვითარდა ყველა კარგი თვისება, რომლებიც ბუნებას მისთვის მიენიჭებია. ოთხი წლის განმავლობაში მან გადიკითხა სპირიდონის წიგნები, ხშირად ლაპარაკობდა სპირიდონთან, გაიცნო მისი აზროვნება, სხვადასხვა შეხედულება, შეითვისა და უკეთ მოინელა სპირიდონის ცოდნა და სპეტაკი აზრები. ვიდრე თვით სპირიდონმა. სპირიდონი პატარაობიდანვე დაეწაფა მუყაითად სწავლას. კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდა, და ბოლოს ბეჭდური სიტყვა იმდენად შეიყვარა, რომ მისი სრული მონა გახდა. სპირიდონს სწამს, რომ გონება უძლეველია, ამიტომ ცხოვრება, გრძნობა და ყოველისფერი გონებას უნდა ემორჩილებოდეს; სპირიდონს სჯერა, რომ გონებას შეუძლია, ცხოვრება და ადამიანის ბუნება თავის სურვილისამებრ გარდაქმნას, ამიტომ ხშირად ემხრობა ისეთ მოსაზრებებს, რომლებსაც მისი გრძნობა ეწინააღმდეგება. დესპინე კი ცხოვრებაზე უფრო საღი

შესედულების არის. სპირიდონს ბევრი კარგი სურვილი აქვს, ცხოვრებას კი ნაკლებად იცნობს და თუ თავის მოქმედებით ნაყოფი მოაქვს. იმიტომ, რომ მიზნით გატაცებული, არავითარ დაბრკოლებას არ ეპუება. დესპინე კი უკეთ იცნობს ცხოვრებას, ის არ არის მონა განყენებული აზროვნებისა; ხედავს, რომ ცხოვრება, ადამიანის ბუნება, გრძნობა ხშირად ეწინააღმდეგება გონებას, დარწმუნებულია, რომ ყოველსაკე ამას აქვს ძალა და მნიშვნელობა; ამიტომ ცდილობს განყენებული აზროვნება ცხოვრების პირობებს, ადამიანის ბუნებას და გრძნობას შეუთანხმოს და ყოველისფერი გონებას არ უმსხვერპლოს.

X

დესპინე გრძნობდა, რომ სპირიდონის „მეცადინეობით ის ადამიანი გამოვიდა, მისი მეცადინეობით აეხილა თვალები". ამიტომ იმდენად შეუყვარდა სპირიდონი, რომ უმისოდ ცხოვრება აღარ შეეძლო. ერთხელ პირდაპირ გამოუცხადა სპირიდონს, უშენოთ გაძლება აღარ შემიძლიაო. ყმაწვილი ქალისაგან ეს ოგივე სიყვარულის გამოცხადება იყო. სპირიდონსაც უყვარდა დესპინე, ბევრი უძილო ღამე გაეტარებია, მაგრამ ეგონა, რომ დესპინე მას, როგორც მეგობარს, ისე უყურებდა მხოლოდ, ამიტომ სიყვარულს თავისსავე გულში იხშობდა. კიდეც რომ დარწმუნებულიყო სპირიდონი, რომ ის დესპინეს უყვარდა, მაინც არ გაუმხელდა თავის გრძნობას: ერთი, რომ სპირიდონი ძალიან უკმაყოფილოა თავისი გარეგნობით, ამას ამტკიცებს მისი აღტაცება ტარიელის დანახვაზე, მეორე — სპირიდონს სხვანაირად ესმის სიყვარული, — მან იცის, რომ სხეული კაცია, ღარიბი. მისი ცხოვრების გზა ეკლიანია, ბევრი ტანჯვა და ვარამი მოელის, ამიტომ თავის თავს ეკითხება: რა უფლება მაქვს ყოველთვეე ეს სხვას გავუნაწილო და ბედნიერების მაგიერ უბედურება მივაყენოო. მან იცის, რომ სიყვარული გრძნობაა. გრძნობა კი გონების მორჩილი უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში. არც დესპინე უარყოფს, რომ გრძნობა გონების მორჩილი უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში. ხოლო გრძნობას არ ხდის ის გონების ყურმოჭრილ მონად: თუკი გრძნობაში გონება ვერავითარ უზნეობას ვერ ხედავს, მას უფლება არა აქვს ის შებორკოს. გარდა ამისა, სიყვარულიც სხვანაირად ესმის დესპინეს, ვიდრე სპირიდონს. სპირიდონს გარეგნობა და შეძლება ისეთ აუცილებელ თვისებად მიაჩნია, ურომლისოდაც გონებამ უარი უნდა უთხრას სიყვარულს; დესპინეს თვალში კი ამგვარი თვისებები მხოლოდ „წვრილმანი ანგარიშებია, რომლებიც სიყვარულთან მოსახსენებელი არ არიან". დესპინეს, ცოტა არ იყოს,

იდეალურად აქვს სიყვარული წარმოდგენილი, მაგრამ სხვაგვარი წარმოდგენისა რომ იყოს ამ გრძნობის შესახებ. შეუძლებელია. ის ისეთი ადამიანია, რომ სულიერ მხარეს უფრო აფასებს, ვიდრე გარეგნობას. სპირიდონიც სიამოვნებით შეჰყურებს ტარიელის ახოვნებას და, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ფიზიკურ სისუსტეს და ულაზათობას, შეიძლება კიდეც შენატროდა ტარიელს, როცა ამბობდა: „იმ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია აღზარდოს ასეთი შვილები, თავი უნდა მოსწონდესო". დესპინე კი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მხარეში იდეალისტია, ბევრ რამეს სარგებლობის თვალით უყურებს: მან იცის, რომ უწინდელ დროში ტარიელისთანა რაინდებს მნიშვნელობა ჰქონდათ; ამიტომ, ძველ დროში რომ დაბადებულიყო, კიდეც მოეწონებოდა ტარიელისთანა პირები; დღეს კი ტარიელ გარეგნობას პროგრესში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამიტომ მარტო „ბევრი ხორცი" აღარ მოსწონს მას. რამ განავითარა დესპინეში ასეთი შეხედულება ადამიანის ღირსებაზე, სიყვარულზე? გარეგნობით თავიდანვე არ მოსწონდა დესპინეს სპირიდონი, მაგრამ სპირიდონი ლამაზიც რომ ყოფილიყო, დესპინე მაშინაც არ შეიყვარებდა, თუ გარეგნობის მეტს მასში ვერას პოებდა. დესპინეს საღი ბუნება სინათლისაკენ მიისწრაფვოდა; ის ეძებდა სულიერ სილამაზეს და არა ხორციელს; რაც უფრო აშკარავდებოდა დესპინეს წინაშე სპირიდონის სულიერი ღირსება, მისი გარეგნობა თანდათან ჰკარგავდა დესპინეს თვალში მნიშვნელობას. დესპინეს თანდათან ებადებოდა ამ „სასაცილო" სპირიდონისადმი სიყვარული. როდესაც სპირიდონის წყალობით მას გაუბრწყინდა გონება, შეიგნო, რაში მდგომარეობდა ადამიანის ღირსება, მისი დანიშნულება, მას არ შეეძლო ღრმა სიყვარული არ ეგრძნო იმ კაცისადმი, რომელიც, ერთი მხრით, მიზეზი იყო მისი ადამიანად გახდომისა, მეორე მხრით, სრულიად შეეფერებოდა მის წარმოდგენას ღირსეული ადამიანის შესახებ. როდესაც დესპინემ სიყვარული გამოუცხადა სპირიდონს, ეს არ იყო პირველი, მოუფიქრებელი გრძნობა, როგორც სპირიდონს ეგონა: ეს იყო გრძნობა, რომელიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და იზრდებოდა იმის გონებასთან ერთად. როდესაც მას აზროვნება განუვითარდა, გონება გაუბრწყინდა, ეს გრძნობას ისე გაძლიერდა, იმდენად მოსაზრებული და მომწიფებული იყო, რომ მისი შეკავება, ჩახშობა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ გამოუცხადა ჩვიდმეტი წლის დესპინემ სპირიდონს ასე თამამად: „დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქვს, უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლიაო". დესპინე არც ერთ სიტყვას არ ამბობდა ყალბად და გადამეტებულად

ამ დროს; მას მართლაც აღარ შეეძლო უსპირიდონოდ სიცოცხლე: მისი სიყვარული აგებული იყო სულიერი მხარეზე და არა გარეგნობაზე. გარეგნობაზე აგებული სიყვარული მალე ქრება, ხოლო სიყვარული, სულიერ მხარეზე დამყარებული, არასოდეს არ ილევა და არ ქრება. დესპინეს გონება საზრდოს მოითხოვდა; ვინ მიაწვდიდა მას ასეთ საზრდოს, თუ სპირიდონს დაშორდებოდა? მის ბუნებას სხვისი დახმარება, სხვისი სამსახური იზიდავდა; ასეთი იყო სპირიდონის წყურვილიც. ამ ორ არსებას შორის სულიერი კავშირი არსებობდა და. რაკი ერთმანეთი იცნეს, მათი დაშორება ორივესათვის შეუძლებელი იყო, სპირიდონი და დესპინე — ორივე ერთად შეუდგა იმ მიზნის განხორციელებას, რომელშიაც ისინი თავის დანიშნულებას ხედავენ. ერთად ზრუნავდნენ სკოლისათვის. ბავშვებისათვის, თავისი მოქმედებით ყველას შეაყვარეს თავი. თავისუფალ დროს ისინი მუდამ წიგნს კითხულობდნენ და როგორც ბეჯითი შეგირდები. ისე მეცადინეობდნენ. ბევრია ისეთი პირი, რომლებსაც ცოდნა ჰხოლოდ ცოდნისათვის უნდათ, განვითარება მხოლოდ განვითარებისათვის, შეიძენენ ცოდნას, განავითარებენ გონებას და მათ სიამოვნებას საზღვარი აღარა აქვს; მათ მიაღწიეს მიზანს, ახლა თავის სიმშვენიერით ტკბებიან და სრული კმაყოფილი არიან. ასეთ პირებს დავიწყებული აქვთ, რომ განათლება მხოლოდ საშუალება არის და არა მიზანი. განათლების მიზანი ორგვარი შეიძლება: ადამიანი ან მისთვის ეტანება განათლებას. რომ გონება გაიხსნას და საკუთარი ცხოვრება გაიუმჯობესოს, პირადი ბედნიერებისათვის იზრუნოს; ან თავის თავთან ერთად უფრო სხვისი ცხოვრების გაუმჯობესებას ცდილობდეს. პირველი მიზანი არავითარ საქმეს არ შეადგენს: გონების განსპეტაკება მხოლოდ იმას მოანდომო, რომ შენი ცოდნით შენვე დასტკბე, წელებზე ქონი დაიხვიო და მუცელი გაიზარდო, არავითარი სახელია. განვითარება და განათლება მაშინ არის ჭეშმარიტი, პატიოსანი, პატივსადები, როცა ერთად ერთ მიზნად სხვისთვის ზრუნვა, სხვების გონებრივად და ზნეობრივად ამაღლება დაუსახავს. ასეთი პირების რიცხვს ეკუთვნიან სპირიდონი და დესპინე. მათ უნდათ ხალხს სარგებლობა მოუტანონ. ამისათვის კი საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა ეჭირვება ხალხს, როგორ შეიძლება მისი შველა; ამისათვის კი საჭიროა ჯერ თვითონ გამოარკვიონ, რაში მდგომარეობს ხალხის წარმატება. აი, მხოლოდ ამიტომ ეტანებოდნენ დესპინე და სპირიდონი თვითგანვითარებას. რომ ხალხის საჭიროება, მისი ინტერესები შეეგნოთ და საუკეთესო გზა მოენახათ ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი სოფელი უპატრონოდ არის მიტოვებული,

მისი წარმატებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის არავინ ზრუნავს; გლეხის ტვირთის შემამსუბუქებელი, მის გარშემო წყვდიადის გამფანტველი არავინ არის. მაგრამ, არა, გლეხის პატრონობა სპირიდონისთანა პირებს უდვიათ კისერზე, მაშინ, როცა საზოგადო ინტერესები ყველას მიერ დავიწყებულია, როცა საზოგადო მოღვაწეობა პირდაპირობის გესლითა და შურით იშხამება, მხოლოდ სპირიდონისთანა პირებს უკისრიათ სოფლის მფარველობა, ხალხის ტვირთის შემსუბუქება. მათ არ იზიდავს არც სახელი, არც დიდება; ისინი შრომობენ ისე, რომ მათ არავინ იცნობს, ისინი მიდიან ეკლიან გზაზე ისე, რომ მათ არავინ ხედავს; მაგრამ მათ უანგარო მოღვაწეობას ნელ-ნელა მოაქვს ნაყოფი.

XI

ახლა გადავიდეთ მოთხრობის მეორე ტიპზე. თუმცა ნინოშვილი გვატყობინებს. ტარიელი ზემოური აზნაური იყოო, მაგრამ ტარიელი ნამდვილი ტიპია ჩვენი დღევანდელი ფეოდალური არისტოკრატიისა. დავინახოთ, როგორია ეს ტიპი, და ამით გავიცნოთ ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდება, მისი აწმყო და მომავალი.

მკლავაძეების გვარი ძველ დროს განთქმული იყო ვაჟკაცობით. რადგანაც ახოვანება და ვაჟკაცობა ძველ დროს ქართველისათვის დიდ განძს შეადგენდა. ამიტომ, უეჭველია, მკლავაძეებს ძველი დროიდანვე მოჰქონდათ თავი ვაჟკაცობით. მემკვიდრეობას და აღზრდას ასეთი აზრი თანდათან უნდა განემტკიცებია მათში. ახალმა დრომ მკლავაძეებს ვაჭრობაზე და მამულის მოვლა-მოშენებაზე დაახურდავებია ვაჟკაცობა, მაგრამ ძველი შეხედულებანი ასე უცებ როდი ისპობა. მკლავაძეთა გვარში კიდევ დარჩნენ ისეთები, „რომლების თვალში ძველებურ რაინდობას, ე. ი. ძალმომრეობას ჯერ კიდევ შერჩენოდა გვირგვინი, რომლებისთვის ჯერ კიდევ იდეალური იყო ძველებური რაინდობა“. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა ერეკლე მკლავაძეც, ტარიელის მამა. ახოვნებითა და ვაჟკაცობით ერეკლე თავს ვერ იქებდა. მაგრამ ამის გულისათვის ის სრულიადაც არ ემადლიერებოდა ბედს; ყოველთვის ნანობდა, რატომ ისეთი ვაჟკაცი არა ვარ, რომ ყველას შიშის ზარი დავცეო. როცა მისი გვარიკაცი, სხვას მიბეგვავდა, ერეკლესათვის ეს აღდგომა იყო; როგორც მკლავაძეს, თავის მეგვარის ვაჟკაცობა ესახელებოდა. ტარიელი ჯერ შვილიც რომ არა ყოფილიყო ერეკლესი, ასეთ პირთან ცხოვრება უსათუოდ იმოქმედებდა მის ხასიათზე, მაგრამ ტარიელი ერეკლეს შვილი იყო და ცუდ აღზრდას და გავლენას ცუდი მემკვიდრეობაც

ზედ დაერთო: ტარიელს უსათუოდ გადმოეცემოდა მიდრეკილება ვაჟკაცობისაკენ და მუშტებზე ცქერისაკენ, რაც არათუ მის მამას, მთელ მის გვარს ჰქონდა ძველ-რბილში გამჯდარი. როდესაც ტარიელი დაიბადა, ბავშვის კვალობაზე ისეთი სრული ტანისა იყო, რომ მამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: „გენაცვალე, ღმერთო! ტარიელი დამებადა! დაილოცოს ჩვენი გვარი: გამოსულა ჩვენ გვარში ლომკაცები და ეს არის. კიდევ გამოვიდა!“ — ჭყლოპინებდა ერეკლე. ექვსი წლის იყო ტარიელი, როცა მას ხანჯალი ჩამოჰკიდეს მშობლებმა. მშობლებისა და ნათესავების გავლენა თავიდანვე ცალმხრივად ავითარებდა ტარიელის ბუნებას, თავიდანვე მხოლოდ ფიზიკური მხარის სიყვარულს და პატივისცემას უნერგავდა მას. გულადობა ტარიელს პატარაობითვე ეტყობოდა; ღამე და დღე მისთვის ერთი იყო. ერთხელ ძაღლები დაესიენ და ისე მოიგერია ჯოხით, რომ ყველა გაოცებული იყო. ცუდ თვისებასთან ერთად პატარა ტარიელი კარგ თვისებებსაც არ იყო მოკლებული, არ იყო ჭირვეული და ბოროტი. კარგი გავლენა და რიგიანი აღზრდა მას რიგიან ადამიანად გადააქცევდა. მაგრამ ტარიელში მალე ჩაახშვეს კარგი თვისებანი და განავითარეს მუშტებზე ცქერა და სხვისი პიროვნების აბუჩად აგდება. მშობლები პატარა ტარიელს მუდამ საგმირო საქმეებით უპყრობენ ყურებს და ამიტომ ის მალე შეეჩვია გმირების წაბაძვას. როცა ის ბავშვს გალახავდა, იმის მაგიერ, რომ მშობლებს დაეშალათ და დაეტუქსათ, აღტაცებაში მოდიოდნენ, დაუწყებდნენ კოცნას და ალერსს: „მართლა, რომ ტარიელი ხარო“.

ამის შემხედვარე ბავშვი, რასაკვირველია, იფიქრებდა, ალბათ კარგად ვიქცევიო. თავმოყვარეობა დასძლევდა და ხშირად გაიმეორებდა თავის გაკვეთილებს, რომ მშობლებისათვის და სხვისთვის ვაჟკაცობით თავი მოეწონებია. რადგანაც მშობლები შეძლებული ოჯახის პატრონნი იყვნენ. ტარიელი სასწავლებელში მიაბარეს, თუმცა იმიტომ კი არა, რომ სწავლის მნიშვნელობა შეგნებული ჰქონდათ, — სხვებს წაბაძეს. მშობლებისაგან ზნეწამხდარი, თვითნებობას შეჩვეული ტარიელი. რასაკვირველია, სწავლაში ვერ ივარგებდა. ტარიელი მალე გამოვიდა სასწავლებლიდან, მაგრამ ამის შემდეგ უფრო მეტი პატივითაც ეპყრობოდენ მშობლები და ნათესავები.

„ — ჩემი ვაჟი, ტარიელი, ვაჟკაცი იქნება და ვაჟკაცისთვის სწავლა არაფერი დიდი ბედენაა. — ამბობდა მამამისი; სხვები კვერს უკრავდენ: — ეს რაინდათ დაუბადებია ბუნებას. ცოდვაც იქნება, სწავლის გულისთვის ამან თავისი საღი აგებულება დაასუსტოსო“. როდესაც ტარიელი წამოიზარდა, ცუდი აღზრდა და გავლენა უფრო

დაეტყო მას; ხედავდა, რომ ყველა მას აქებდა გარეგნობისათვის, ვაჟკაცობისათვის, ამიტომ თანდათან შეისისხლხორცა ის აზრი, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება გარეგნობა და ღონე არის, ის თანდათან გამედიდურდა. მის თვალში სხვის პიროვნებას თანდათან ფასი დაეკარგა. სხვისი შეხედულობა ტარიელმაც შეითვისა და ვინც ახოვანი, ლამაზი და მკლავღონიერი არ იყო, ბაღლინჯოებად სთვლიდა. თავადი და აზნაური, განათლებული და გაუნათლებელი, ყველა მას ეუბნებოდა: შენისთანა შვილები სახელია ჩვენი ქვეყნის, შენით თავი მოგვაქვსო. კნეინებს ტარიელზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. მასში მხოლოდ მამალს ხედავდენ, თავის თავში მხოლოდ დედალს და პირდაპირ ეუბნებოდნენ: მშვენიერი ამ ქვეყნად უმამაცესს ეკუთვნისო. ტარიელმა დაიწყო ლოთობა და გარყვნილება. ლოთობისათვის მას კი არ ძრახავდენ, აქებდენ კიდეც: ვაჟკაცია და ქეიფიც შეშვენისო. რადგანაც მასში განამტკიცეს ის აზრი, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება გარეგნობა იყო, უმამაცესს და ლამაზს კი ყველა ქალი ეკუთვნოდა. ტარიელმაც აღვირი წახადა ზნეობას. ქალში გარეგნობა დააფასა, ქალი მარტო სქესობრივი გრძნობის დამაკმაყოფილებელ მანქანად მიიღო, ქალსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულება მარტო სქესობრივი გრძნობით განსაზღვრა და, ვინც კი მოეწონებოდა, ნამუსსა ხდიდა. თუ მის პირუტყვულ სურვილებს ვინმე ხელს შეუშლიდა, ეს კიდევ უკეთესი: ტარიელი თავის ვაჟკაცობას გამოიჩენდა. ზოგს კისერს მოუგრეხდა, ზოგს ერთიმეორეს შეახლიდა, ზოგს ბურთივით გასტყორცნიდა, ზოგს მათრახით თავს გადუფხრეწდა. სხვისი გალახვა მას ჟინს უკლავდა და სიამოვნებას აგრძნობინებდა; ამიტომ ის იარაღს იშვიათად ხმარობდა. ბოლოს სხვისი მიბეგვა ისეთ მოთხოვნილებად გადაექცა, ურომლისოდაც მას გაძლება აღარ შეეძლო. გლეხებს ტარიელისაგან დღე ჰქონდათ გამწარებული. ტარიელის მხეცობა იქამდის მიდიოდა, რომ ერთხელ თორმეტი წლის ქალი მოიტაცა სხვების დახმარებით. ყოველგვარი სისაძაგლე ტარიელს უდანაშაულოდ შერჩებოდა ხოლმე. ლოთობა, გარყვნილება, სხვისი პიროვნების შელახვა, აი რაში ატარებდა ტარიელი სიცოცხლეს. გადაავლეთ თვალი ჩვენს ცხოვრებას და დაინახავთ, რომ მკლავაძეები ბევრი გვყვანან, ამგვარი პირების ბუდეს დღეს ჩვენში მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატია შეადგენს, ე. ი. თავადობის ის ნაწილი, რომელმაც შეძლების დიდი წილი დღემდის შეირჩინა, გონების და ზნეობის კი ვერა შეიძინა რა. ტარიელის მსგავსი პირები ჩვენში ბატონყმობის დროსაც იყვნენ; როცა გლეხი ბატონის სრულ კუთვნილებას შეადგენდა, თავადი კი მზამზარე-

ულ სუფრას უჯდა. შეუძლებელი იყო, ტარიელის მსგავსი პირები არ დაბადებულიყვნენ. მაგრამ დღევანდელი ცხოვრება გაცილებით წინ წავიდა, ვიდრე ამ ორმოციოდე წლის წინათ იყო, ამიტომ მკლავაძეები უფრო გამოაშკარავდნენ; უწინ მათი გონებრივი და ზნეობრივი სიღატაკე ასე მკაფიოდ არ ჩანდა, რადგან ცხოვრებაც დაბალ საფეხურზე იდგა; დღეს კი ცხოვრება განვითარდა, ადამიანის ღირსების დასაფასებლად დროის შესაფერი საზომი გაჩნდა და ტარიელის სულიერი სიმახინჯე ყველასათვის ადვილი დასანახი გახდა. ტარიელი ბარომეტრია, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის გონებრივ მდგომარეობას, მის მომავალს; ის რომ შემთხვევის ნაყოფი არ არის, აბამედ დიდი ხანია ეითარდება ჩვენ ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ამას ქვემოთ დავინახავთ.

XII

უიშვილი, ჩამწარდაძე, მუნჯაძე, სიმონა, მოსე მწერალი, დავით დროიძე, მამალაძე. — აი, ის პირები, რომლებიც დაგვიხატა ნინოშვილმა ჩვენი ცხოვრებიდან. მისი კალმის საგანი იყო გლეხი, სოფლის ცხოვრება; მან დაგვიხატა ამ გლეხის მდგომარეობა, მისი გაჭირვება და უსამართლობა, რომელიც მის კეთილდღეობას ძირს უთხრის; დაგვანახვა, თუ როგორ იცვლება სოფლის ცხოვრება, როგორ ანაწილებს სოფლის ხალხს სხვადასხვა გარემოებანი, სოციალური პირობები, უსამართლობა, რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებანი და უმეცრება ის ფურიები არიან, რომლებიც გლეხის ოჯახს საძირკველს უქცევენ. ნინოშვილი რომ მესამოცე წლებში გამოსულიყო სამწერლო ასპარეზზე, ისე ვერ დაგვიხატავდა გოგია უიშვილებს, ჩამწარდაძეებს, დავით დროიძეებსა და მოსე მწერლებს. გლეხის განთავისუფლებამ სოფლის ეკონომიური ცხოვრება ძირიანად შეცვალა და, რაც დრო გადის, ეს ცვლილება თანდათან უფრო ვითარდება. ჯერ, ბატონყმობის მოსპობამდე, გლეხობა არ წარმოადგენდა ჩვენში ერთგვარ მასას; მართალია, აქ ვერ შეხვდებოდით, ერთი მხრით, უიშვილებს, ჩამწარდაძეებს, მეორე მხრით, დავით დროიძეებს და მოსე მწერლებს, მაგრამ განსხვავება მაინც არსებობდა. ის ელემენტები, რომლებიც ჩვენ დროში ასე გამოაშკარავდნენ, ბატონყმობის მოსპობამდეც იყვნენ ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ მათ განვითარებას უშლიდა ის გარემოება, რომ გლეხი ბატონის სრულ კუთვნილებას შეადგენდა; მეორე მხრით; თვით ხალხიც იმ აზრისა იყო, რომ „რაცა ვის რა ღმერთმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს-ო"; ვინც არ დასჯერდებოდა თავის ხვედრს და წინ წაწევას მოინდომებდა, მის

წინააღმდეგ მთელი სოფელი ამსედრდებოდა. აიღეთ ს. მგალობლიშვილის ახალი მოთხრობა „წარსულიდამ“; გიგოლა გულიაშვილი, განა მომავალი დავით დროიძე არ არის ან მოსე მწერალი? ბატონყმობის დროს ამგვარი გიგოლა ბევრი იყო. მაგრამ როდესაც კანონი ამბობდა: „ყმისა ყველა ბატონისა არისო“, ჩვეულება ყმას თავის კეთილ შენაძენსაც კი უყიდდა ბატონის ვალში. ხალხს კიდევ ძალა ჰქონდა, გიგოლასთანა პირები აელაგმა და წინ არ გაეშვა. გიგოლას დავით დროიძედ გადაქცევა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. ბატონყმობის ძოსპობით გლეხი თვითონ გახდა თავის შრომის პატრონი; ცხოვრებამ მას მიუსაჯა კერძო საკუთრება, მის მისწრაფებას ერთი უდიდესი დაბრკოლება მოსცილდა; მაშინ ყოველი გლეხი დატრიალდა და კეთილდღეობისაკენ გაეშურა; მაგრამ მხოლოდ გულიაშვილები იქცნენ დროიძეებად და მოსე მწერლებად; დანარჩენმა კი სიღარიბეს თავი ვერ დააღწია. ახალმა დრომ ფული გააბატონა, ყოველიფერი ფულს შეუწონა; გართულებულმა ცხოვრებამ თვითეულ ადამიანს, საზოგადოებას, მთელ ერს და სახელმწიფოს მოთხოვნილება გაუფართოვა; გლეხს ბევრი ხარჯი დაეწვა კისერზე, ორი კვალი მიწა კი ყველაფერს ვეღარ გასწვდა და გლეხის მდგომარეობა უკან და უკან მიდის. თუ სოციალური პირობები გლეხის კეთილდღეობას ძირს უთხრის, მოსე მწერლები და დავით დროიძეები ხელს უწყობენ სოციალურ პირობებს და გლეხის გაბოგანოების დროს ააბლოვებენ. თუ საუკეთესო გლეხები ვეღარ უძლებენ ცხოვრებას და იღუპებიან, როგორც ნინოშვილმა დაგვანახვა, როგორი უნდა იყოს უმრავლესობის მდგომარეობა? ამგვარად, სოფლის ხალხი იყოფა ორ ნაწილად; ერთი დაადგა გაპროლეტარების გზას, მეორე ადგენს სოფლის ბურჟუაზიას, რაც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრებაც კაპიტალისტური წარმოების გზას დაადგა. ჩვენ დავინახეთ, რომ მოსე მწერალს, დავით დროიძეს და დანარჩენ გლეხებს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ მსგავსებაც არის: მოსე მწერალი არ შეადგენს დიდ გამონაკლისს, გლეხობაში, მისი მსგავსი სხვებიც არიან, გამდიდრების სურვილი მოსეზე ნაკლებად ჯერ აქვთ მორეული და თუ მოსესავით ზიანი ვერ მოაქვთ სოფლისათვის, იმიტომ. რომ გამოცდილება და მოხერხება არ შესწევთ. გლეხობაში ხანდახან არანაკლებ სისაძაგლეს სჩადიან, ვიდრე მოსე მწერალი. თავის ინტერესების დასაცავად: ასეთი მაგალითია „მოსე მწერალ“-ში, „პალიასტომის ტბა“-ში, ყოველივე ეს კი იმას მოასწავებს, რომ მოსე მწერლისა და დავით დროიძესთანა პირებს კიდევ ბევრს წარმოშობს ჩვენი ცხოვრება. მარტო მოსე მწერლები და დროიძეები არ ეხმარებიან

სოციალურ პირობებს გლეხის დაღუპვაში; უსამართლობა და ბევრი დაბავსებული ზნე-ჩვეულებანი არანაკლებ ზარალს აყენებენ ხალხს, ყოველივე ამას ზედ ერთვის ხალხის დამღუპავი ჩვეულებანი. და დღევანდელი ოჯახი გლეხს თავზე ექცევა, შიგნიდანაც და გარედანაც ირღვევა. გაბრიელა ჩამწარდაძე, ტასო, ჯერანი, ლიზა და სხვ. ასეთი ჩვეულების მსხვერპლნი არიან. სიბნელე, რომელსაც მოუცავს გლეხის გონება, ნებას არ აძლევს მას ასეთი ჩვეულებანი უკუაგდოს, და მისი კერის ჩაქრობას აუცილებელს ხდის. გლეხი გასაჭირ მდგომარეობაშია, მაგრამ არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც მისი ტვირთის შემსუბუქება, მისი წყლულების დაამება, მისი გონების განსპეტაკება მიზნათ დაუსახავს; ასეთ პირებს ეკუთვნიან მცირიშვილი და ულისაბედი, ისევ ამ ხალხის გულიდან გამოსულნი. ჩვენი არისტოკრატია, ეს ერთ დროს გლეხის „ბატონ-პატრონი", ზოგიერთის მტკიცებით, რაღას შვრება, როგორ შეჩერებია გლეხის იარებს? შველას ვინ ითხოვს, შველას ვინ ჩივის: კიდევ უფრო ამწვავებს ამ იარებს! ასეთი არიან ტარიელ მკლავაძეები. რომელთა ერთადერთ მიზანს პირუტყვული ცხოვრება და სიამოვნება შეადგენს, მეტი არაფერი, ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურა ნათლად გვიმტკიცებს, რომ ტარიელ მკლავაძეები ციდან არ ჩამოვარდნილან; ისინი ნელ-ნელა განვითარდნენ ჩვენს ცხოვრებაში. ტარიელი ლუარსაბის ნამდვილი მემკვიდრეა, ლუარსაბის დროს რომ დაბადებულიყო, იგივე თათქარიძე იქნებოდა; ლუარსაბი კი ჩვენ დროში რომ დაბადებულიყო, ტარიელს შეიძლება გარეგნობით ჩამორჩენოდა, თორემ სხვაში არაფერში. იმის განხილვა, თუ როგორ იცვლებოდა დროის განმავლობაში ლუარსაბ თათქარიძე, ძალიან შორს წაგვიყვანდა. მაგრამ მოკლედ მაინც ვადავავლოთ თვალი. ლუარსაბის ერთადერთი მიზანი თავის თავის სიამოვნებაა და პირუტყვული კმაყოფილება, ტარიელის მიზანიც იგივეა; ორივე ამაში ხედავს სიცოცხლის დანიშნულებას. მათ ხასიათსა და მოქმედებაში თუ განსხვავება არსებობს, თუ ლუარსაბი ემსგავსება გასუქებულ ღორს, რომელიც სხვას მაინცდამაინც არ აწუხებს, ოღონდ კუჭი მაძღარი ექნეს, ტარიელი კი მშიერ ლომივით დარბის, რომ მეტი მსხვერპლი დასტანჯოს და ამით მეტი სიამოვნება დასტყუოს ცხოვრებას. იმის ბრალია, რომ ისინი მოქმედებენ სხვადასხვა დროს, მათ ხელთ სხვადასხვა საშუალებაა სიამოვნების მოსაპოვებლად. ამას გარდა, ლუარსაბს ჩვენ მხოლოდ ხანშიშესულს ვიცნობთ, ტარიელს კი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას. ლუარსაბი ცხოვრობს ბატონყმობის დროს; ის იმდროინდელი კაცია, როცა ჩვენი ცხოვრება მარტივი იყო, როცა ჩვენში რუსეთის ცივილიზაციას

ჯერ ფეხი ვერ მოემაგრებია და ჩვენი თავადობის მოთხოვნილება შესამჩნევად ვერ გაეფართოვებია. მართალია. ჩვენმა თავადობამ მესამოცე წლებზე გაცილებით ადრე იწყო ხელგაშლილი ცხოვრება, მაგრამ ლუარსაბი ძველებურად არის აღზრდილი, მასში ძველი ზნე-ჩვეულება ძლიერია, ის სოფლის ბატონია, სოფელს არ გაცილებია, ახალ ბიუროკრატიას არ იცნობს და ამიტომ არც მიმბაძველობის და ხელგაშლილი ცხოვრების გზას დასდგომია; მისი მოთხოვნილება მარტივია; ის გაძღება, ლოგინზე გაგორდება, ან ბუზებს დათვლის, ან დარეჯანს გამოემასხარავება, ჩამოუგდებს ფილოსოფიას იმის შესახებ, თუ რა საჭმელი უკეთესია. ან ხვალ რა ვჭამოთო, და სრულ ნეტარებაშია; სხვა სიამოვნება მას არ უნდა, ამაზე მეტს ის არ ითხოვს. „გლახის ნაამბობში“ ლუარსაბმა კარგა მოზრდილი ნაბიჯი გადადგა წინ. ის მოაცილეს კარჩაკეტილ ცხოვრებას, გააცნეს ქალაქი, დაანახვეს სხვანაირი ცხოვრება და იმანაც უფრო ხელგაშლილად დაიწყო ცხოვრება, უფრო მეტი წყარო გამონახა პირუტყვული სიამოვნებისათვის. როგორც შემდეგი ლიტერატურა გვიმტკიცებს, ლუარსაბები უნივერსიტეტებშიაც წავიდნენ, მაგრამ დიპლომის მეტი ვერა გამოიტანეს რა: მეტს არც ეძებდნენ და არც საჭირო იყო მათთვის; გონების განვითარება მათ არ აინტერესებდათ, რაიმე იდეალები მათ არ აღელვებდათ; მათი ერთადერთი მიზანი იყო ბედნიერად ცხოვრება, ფულის შეძენა მარტო თავის კუჭისათვის, ამისათვის კი დიპლომი სრულიად საკმარისი იყო. ამგვარად ლუარსაბმა სხვადასხვა დროს მხოლოდ კანი იცვალა და ჩვენ დროში დიდებულიძედ („ბნელო“), ტარიელ მკლავაძედ და აბესალომ სალამთაძედ („ირინეს ბედნიერება“) გადაიქცა[1]. რადგანაც ტარიელი იმ დროს, ცხოვრობს, როცა ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილება გამრავლდა, ის უკეთაც სიამოვნებს, ვიდრე მისი წინაპარი — ლუარსაბი. ცხოვრებაში ტარიელი სიამოვნების მეტს ვერას ხედავს და არც ეძებს; ყველაფერში მხოლოდ იმას აფასებს. საიდანაც მეტი სიამოვნების გამოწოვა შეუძლია; ქალი მის თვალში მხოლოდ სასქესო მანქანაა; გარყვნილება, ლოთობა, სხვისი პიროვნების შელახვა, — ყოველგვარი სისაძაგლე, მისთვის ნეტარებაა.

XIII

ფეოდალური არისტოკრატიის ტიპი ჩვენ ლიტერატურაში პირველად მესამოცე წლებში გაჩნდა ლუარსაბ თათქარიძის სახით. მას

---

1 ტარიელ მკლავაძის თანდათანობითი განვითარება ჩვენს ლიტერატურაში პირველად ხომლელმა აღნიშნა. „კვალი“, 1894 წ., № 38.

შემდეგ თითქმის ორმოცმა წელმა გაიარა და ლუარსაბები ამ ხნის განმავლობაში ტარიელებად, დიდებულიძეებად და სალამთაძეებად გადაიქცნენ. ჩვენმა ცხოვრებამ ამ ხნის განმავლობაში საკმარისად იცვალა ფერი. ლუარსაბმა კი რაღა ჰქნა? რა შეიძინა მისმა გონებამ და ზნეობამ? ლუარსაბი გონებრივად და ზნეობრივად, ე. ი. სულიერი მხრივ ძალიან დაბალ საფეხურზე დგას. მთელი მისი აზროვნება მხოლოდ კუჭის გარშემო ტრიალებს; პირუტყვისაგან მხოლოდ იმით განირჩევა. რომ ლაპარაკი იცის. გაიარა ორმოცმა წელმა და ამ ხნის განმავლობაში ლუარსაბი არათუ ვერ ამაღლდა, უფრო დაეცა, უფრო დაშორდა ადამიანს; წინათ თუ უვნებელი პირუტყვი იყო, ღღეს მზეკად გადიქცა. გონებრივად ტარიელი ლუარსაბზე მაღლა არა დგას: მის ერთადერთ საზრუნავსაც მხოლოდ პირუტყვული სიამოვნება შეადგენს; შეიძლება, ლუარსაბივით ცრუმორწმუნე არ იყოს და გუგულის ჯობნისათვის სამოთხეში შესვლას არ მოელოდეს. ზნეობრივად ლუარსაბზე უფრო დაქვეითდა: ლუარსაბს სწამდა, რომ მამაკაცი ბატონი იყო ქალთან შედარებით, მაგრამ ქალიც ადამიანად მიაჩნდა და არა მარტო ჟინის მოსაკლავ ნივთად; ტარიელი კი ქალში მხოლოდ თავის სიამოვნებას ეძებს; ტარიელმა იცის თავის პიროვნების დაცვა. როგორც მხეცმა. სპირიდონმა მას შეურაცხყოფა მიაყენა და შელახული თავმოყვარეობა მით დაიკმაყოფილა, რომ სპირიდონი ტალახში ამოსვარა. ლუარსაბი ყმას სცემს, მაგრამ ეს უფლება მას ჩვეულებამ და კანონმაც არგუნა; ტარიელი კი სჩადის ათასგვარ სისაძაგლეს და სინდისის მხილებას ერთხელაც არ გაუფიჩუნებია მასში; პირიქით, მას თავი მოსწონს თავისი საზიზღარი მოქმედებით. ერთი სიტყვით, ზნეობრივი მხარე, რომელიც საუკეთესო სამკაულს შეადგენს ადამიანის ბუნებისას, ტარიელში სრულიად დამახინჯებულია. აი, როგორ განვითარდა ლუარსაბი ამ ორმოცი წლის განმავლობაში: გონებით წინ ვერ წავიდა, ზნეობრივად უკან დაიწია. მაგრამ ტარიელი ხომ გამონაკლისს არ შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში, ის დღევანდელი ფეოდალური არისტოკრატიის ტიპიური წარმომადგენელია და ნათლად ამტკიცებს მისი გონებისა და ზნეობის სიღატაკეს. ჩვენი არისტოკრატია გლეხობასავით არც ბატონყმობის დროს წარმოადგენდა ერთფეროვან წოდებას, მაგრამ ბატონყმობის მოსპობასთან ერთად არისტოკრატია, როგორც იურიდიული კლასი, მოისპო და ღღეს ნელ-ნელა ნაწილდება სხვადასხვა სოციალურ კლასად. მხოლოდ ერთ ნაწილს ქონება კიდევ შერჩენია ღღემდის. მაგრამ ქონებრივად და ზნეობრივად თუ დაუწევია. თორემ წინ ვერ წასულა. აი, მხოლოდ ეს ნაწილი წარმოადგენს დღევანდელ ფეოდალურ არის-

ტოკრატიას და მისი წარმომადგენელია ტარიელი. ტარიელისთანა პირები ქონებას მალე გაფლანგავენ ლოთობა-გარყვნილებაში და ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია ნელ-ნელა დალევს სულს. ტარიელისთანა პირები მხოლოდ მავნებელი წევრნი არიან საზოგადოებისა. როდესაც ტარიელს ქონება გამოეცლება, გაღარიბება შესცვლის მის ცხოვრებას და სოციალურ მდგომარეობას. ამასთან ერთად, შეიცვლება მისი აღზრდაც, გამოფხიზლდება მისი გონება და ისიც სასარგებლო წევრად გადაიქცევა; რაც უნდა იყოს, მაზარალებელი მაინც აღარ იქნება. არისტოკრატიის დანარჩენმა ნაწილმა დიდი ხანია დაჰკარგა ფეოდალური ხასიათი და გადაგვარდა: ზოგი განათლებას დაეწაფა და ინტელიგენტთა რიგში მოექცა, ზოგიც გაპროლეტარების გზას დაადგა.

სოციალური პირობები, უსამართლობა, მავნებელი ჩვეულებანი, უმეცრება, — აი, რა ღუპავს ჩვენს გლეხკაცობას. ნინოშვილმა დაგვანახვა ხალხის იარები, ჩვენი მოვალეობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ იარების დაამებას და განკურნებას ხელი შეუწყოთ. დროა, დავანებოთ იმ ბავშვურ რწმენას თავი, ვითომც ჩვენ შეგვეძლოს ისტორიულ პროცესს გავუმკლავდეთ და გლეხები, რომლებიც გაპროლეტარების გზას დასდგომიან, ამ გზას ავაცილოთ. დროა, დავანებოთ ილუზიებს თავი და შევიგნოთ, რომ ადამიანი ყოვლის შემძლებელ არსებას არ წარმოადგენს, ის მეტად მცირე ძალ-ღონის პატრონია და უნდა ცდილობდეს ეს მცირეოდენი ძალა წყლის ნაყვას კი არ მოანდომოს, არამედ ისე მოიხმაროს, რომ, რაც შეიძლება, მეტი ნაყოფი გამოაღებინოს. სოციალური ცხოვრების ჩვენი სურვილისამებრ გარდაქმნა თუ არ შეგვიძლია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია გავუმკლავდეთ უსამართლობას, მავნებელ ჩვეულებებს, უვიცობას. გლეხს თუ ვერ ვიხსნით გაპროლეტარებისაგან, სამაგიეროდ შეგვიძლია ვიხსნათ ის უსამართლობისაგან, უვიცობისაგან. მოაშორეთ ყოველივე ეს გლეხს და მაშინ მისი ცხოვრება გაცილებით უმჯობესი იქნება, მისი ტანჯვა გაცილებით ნაკლები, ვიდრე დღეს არის.

XIV

ამ წერილის მეორე თავში ჩვენ ვამბობდით, რომ პუბლიცისტისა და ბელეტრისტის ნიჭი ერთად იყო ნინოშვილში შეერთებული. ამ აზრს განმარტება ეჭირვება. ზოგიერთი ნინოშვილის ახლო მეგობარი დარწმუნებულია, რომ ნინოშვილი პუბლიცისტად იყო დაბადებული. ის პუბლიცისტობისათვის ემზადებოდა, ბელეტრისტიკა კი მას არ იზიდავდა და, თუ წერდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საპუბლი-

ცისტო ასპარეზისათვის მზადებაში წერის წყურვილი მოეკლაო. ამ-
გვარი აზრი მწერლობაშიაც გამოითქვა ნინოშვილის გარდაცვალების
შემდეგ. რამდენადაც გავიგეთ, განსვენებულ ნინოშვილსაც პუბლი-
ცისტური ასპარეზი უფრო იზიდავდა თურმე. ამგვარად, იმასაც შემ-
ცდარი აზრი ჰქონდა შემდგარი თავის ნიჭის შესახებ და ზოგი თავი-
სი მეგობარიც შეცდომაში შეიყვანა. ნინოშვილი ღრმად უკვირდებო-
და ცხოვრებას და კარგად ამჩნევდა ჩვენი ცხოვრების ცვლილებას.
როგორც ნიჭიერმა ადამიანმა, მან კარგად იცოდა, რომ იმ დროს,
როცა ცხოვრება ახალ ხანაში გადადის, როცა ძველი ინგრევა და მის
ნანგრევებში ახალი ელემენტები იბადებიან, პუბლიცისტი უფრო
საჭიროა და სასარგებლო, ვიდრე ბელეტრისტი; ამიტომ გასაოცა-
რიც არ არის, თუ ნინოშვილს პუბლიცისტური ასპარეზი უფრო იზი-
დავდა, ვიდრე ბელეტრისტული: ეს გარემოებაც მისი პატიოსანი
და მიუდგომელი ბუნების დამამტკიცებელია. ნინოშვილს უნდოდა
თავის თავში უფრო პუბლიცისტი ეხილა, ვიდრე ბელეტრისტი, მაგ-
რამ მისი სამხატვრო ნიჭი იყო მხოლოდ ძლიერი, საპუბლიცისტო კი
სუსტი. საპუბლიცისტო ნიჭი მას ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ეს
საჭირო არის თანამედროვე ბელეტრისტისათვის; პუბლიცისტური
ალღოს საშუალებით მან შეიძლო ჩვენი ცხოვრების ამოკითხვა და
ნიშნობლივი მოვლენების ამოცნობა; ხოლო ამ მოვლენების პუბლი-
ცისტურ მსჯელობაში ჩამოსხმა მისი საქმე არ იყო, უსათუოდ სამ-
ხატვრო ფორმით უნდა შეემოსა; ის იყო პუბლიცისტი მხატვარი და
არა პუბლიცისტი პროზაიკოსი. პუბლიცისტური ნიჭი მხოლოდ კომ-
პასი იყო მისი სამხატვრო ნიჭისთვის, მას მხოლოდ სურათებით შე-
ეძლო იმის თქმა. რასაც პუბლიცისტი განყენებული აზროვნებით
გვიხატავს. ნინოშვილში პუბლიცისტი ყოველთვის ეძორჩილებოდა
ბელეტრისტს და ის მოთხრობები, საცა პუბლიცისტმა ბელეტრისტის
გადაძლევა მოიწადინა, მეტად ტენდენციური გამოვიდა და სამხატ-
ვრო ღირსებით დანარჩენ მის მოთხრობებს ჩამორჩება. ძვირად შეხ-
ვდებით მწერალს, რომელსაც ამდენი მიუკერძებლობა გამოეჩინოს
თავის მოთხრობებში, რომელსაც ამდენად დაევიწყებინოს საკუთა-
რი თავი წერის დროს და ამდენად წაეშალოს პირადი გრძნობის ნიშ-
ნები თავის თხზულებებში, როგორც ნინოშვილმა. მას უზომოდ უყ-
ვარს გლეხი, იტანჯება მისი ტანჯვით, გული ეთუთქება მისი უბე-
დურებით, მაგრამ ყოველივე ეს მას არ უშლის გლეხის ღირსებას-
თან ერთად ნაკლულევანებაც დაუფარავად დაგვიხატოს. ვისაც იმ-
დენად უყვარს გაჭირვებული და დაჩაგრული, როგორც ნინოშვილს.
მას რასაკვირველია, არ შეუძლია არ შეიძულოს და ზიზღით არ

უყუროს ისეთ პირებს, როგორიც მოსე მწერალი, დავით დროიძე და კოტე მამალაძეა.

XV

ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტები როცა ასეთ პირებს გვიხატავენ, სანამ მათ დაგვიხასიათებდნენ, უმალ თავის ზიზღსა და სიძულვილს გვატყობინებენ ასეთ პირებისადმი. ნინოშვილის მოთხრობებში კი არ არის არც ერთი სტრიქონი, სადაც ის თავის ზიზღს გვიცხადებდეს მოსე მწერლის ან დავით დროიძისადმი და ყველა იმ პირისადმი, რომლებიც გლეხს დღეს უმწარებენ, ან ცდილობდეს, მათდამი იმაზე მეტი სიძულვილი დაგიბადოს, რისიც ღირსი ისინი თავის მოქმედებით არიან. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ნინოშვილს ჰქონდა ძლიერი რეალისტ-ბელეტრისტის ნიჭი. მისი ნიჭი ახლა იშლებოდა და ის, რისი დაწერაც მან მოასწრო, მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს იმ ლიტერატურული განძისას, რომელსაც ჩვენ მწერლობას შესძენდა, ძლიერ სულთან ძლიერი სხეულიც რომ ერგუნებია მისთვის ბუნებას. ბუნებით ის იყო მეტად მგრძნობიარე გულის, პატიოსანი, სიმართლისმოყვარე, და მისი ხასიათი მის მოთხრობებსაც დაეტყო. ჭეშმარიტებას, სინამდვილეს ის ყველაფერზე მაღლა აყენებს და, გარდა ორიოდე ტენდეციური მოთხრობისა, ამ თვისებებისათვის არსად უღალატნია. ის ხედავდა ცხოვრებაში მრავალ უსამართლობას, თუ კალმით, თუ საქმით ებრძოდა მას და ამ ბრძოლას გადაალია თავისი სუსტი არსება. ჭეშმარიტების სიყვარულმა და ცხოვრების პირობებმა შეაჩვიეს ის ღრმა დაკვირვებას; ის ცდილობდა შეეგნო ჩვენი ცხოვრება და კიდეც შეიგნო, ბელეტრისტიკაში პირველმა დაგვანახვა ცხადათ იმ სოციალური კლასების წარმოშობა, რომლებიც ჩვენ ცხოვრებაში ვითარდებიან, და ახალი სოციალური ურთიერთობა, რომელსაც ახალი კლასების განვითარება იწვევს. თავისი შეხედულებით, რწმენით, იდეალებით ნინოშვილი ნამდვილი შვილი იყო ჩვენი დღევანდელი ცხოვრების; ის დაიბადა ძველი და ახალი ხანის საზღვარზე და თავის სამხატვრო ნიჭით შეიტანა ახალი შუქი ჩვენ ლიტერატურაში; მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ილუსტრაციაა ახალი ხანის დაწყებისა ჩვენ ცხოვრებაში, ახალი კლასების აღორძინების, ახალი ურთიერთობის დამყარების, ძველ ჩვეულება-შეხედულებათა შერყევის, — ხალხის ფსიქოლოგიის ცვლილების. უიშვილს, ივანეს, მუნჯაძეს, სიმონას, ტასოს, ლიზას ძველი გზით სიარული აღარ შეუძლიათ, ცხოვრების ძვე-

ლი ჩარჩო მათთვის დღეს მეტად ვიწროა. ეკონომიური მიზეზები ითხოვენ ამ ჩარჩოს განგრევას და ნელ-ნელა კიდეც ანგრევენ. თუ ამდენად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება, თუ კარი დააკაკუნა ახალი წარმოების ხანამ. უსათუოდ უნდა ყოფილიყვნენ ჩვენში ამ ახალი ხანის შვილებიც, მისი იდეოლოგები; მათი შეხედულება ცხოვრებაზე და იდეალი უნდა სხვანაირი ყოფილიყო. ვიდრე ძველი თაობის, რომელიც ძველი ცხოვრების გავლენის ქვეშ აღიზარდა. რასაკვირველია, ასეთი პირები იყვნენ ჩვენში, მაგრამ ერთი—რომ მათი რიცხვი ცოტა იყო, მეორე — გარკვევით ჯერ არ ჩანდნენ და ძველი თაობის მეთაურებს არც უნდოდათ მათი დანახვა. ამგვარი პირების გუნდს ეკუთვნოდა ნინოშვილიც; თავისი დაუღალავი შრომით და სულის სიძლიერით ის ამხნევებდა ყველას. მისი ცხედრის გარშემო შეკრიბა ყველა მისი თანამოზიარე. რომ უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ ამ პატიოსან ადამიანს: ნინოშვილის კუბოსთან გამოაშკარავდა, რომ რამდენიმე პირი კი არა, მთელი ახალი დასი არსებობდა ახალი დროის წარმოშობილი; ის კრიტიკულად უყურებდა ძველ მოღვაწეებს და მათ პროგრამისათვის საკუთარი პროგრამა ამოუყენებია გვერდში. ამ ახალ დასს „კვალმა“ (1904 წ. № 21) უწოდა „მესამე დასი“. „ივერიელებმა“ ჯერ მხოლოდ სიტყვა „მესამე-ს“ მიაქციეს ყურადღება, იმის მეტი ვერა გაიგეს რა და დაიწყეს ძახილი: მალე მეოთხესაც გამოჩეკენ, მეხუთესაცო და სხვ. საქმე იმაში კი არ იყო, მესამეს დაუძახებდით თუ მეექვსეს ამ ახალ დასს. საქმე იმაში იყო. რომ არსებობდა ახალი დასი, რომლის ფიქრი. რწმენა და იდეალი სხვა იყო, ვიდრე ძველი თაობის, რომელიც სხვანაირად უყურებდა ჩვენს ცხოვრებას. ვიდრე ძველი მოღვაწეები. 1894 წელს „მოამბეში“ ნ-ლი წერდა: „ნუთუ ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს, როცა ქარხნები და ფაბრიკები არა გვაქვს და არც ერთ წარმოებაში მაშინებს არ ვხმარობთო?“ სამი წლის შემდეგ იმავე ჟურნალში ურბნელი ამტკიცებდა ამ დასის უნიადაგობას ჩვენში და დაამტკიცა მხოლოდ ის, რომ: მარქსის მოძღვრება არც ესმოდა და არც იყო მისი მიმდევარი. ნუთუ საკადრისია. ბ-ნო ნალო, ისეთი მოძღვრების დარღვევას ცდილობდეს ადამიანი. რომლის შესახებ სრული უვიცია? ასეთ პოლემიკას რომ გადაიკითხავ. მკითხველო. სწორედ გაგეღიმება: ეკამათებოდნენ ახალ მიმართულებას ჩვენ ცხოვრებაში, ამტკიცებდნენ ვითომ მის უნიადაგობას, ნამდვილად კი თავისი უვიცობის მეტს ვერას ამტკიცებდნენ; იმდენი შრომის გაწევაც კი არ კადრულობდნენ, რომ შეესწავლათ, ოდნავად მაინც. ის მოძღვრება, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ; ვინ არ იცის.

რომ ქარხნები და მაშინები კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხურია, რომ მანქანების და ქარხნების უქონლობა სრულიადაც არ უარჰყოფს კაპიტალიზმის არსებობას, რადგანაც განვითარების დაბალ საფეხურზე კაპიტალიზმი არც პირველში და არც მეორეში არ საჭიროებს? ძველი თაობის წარმომადგენლები თვითონვე დარწმუნდნენ თავის უვიცობაში და რომელი გზისთვის მიემართათ ახლა? აქამდე ამტკიცებდნენ მესამე დასის უნიადაგობას ჩვენში. მაგრამ როცა ეს ტყუილი გამოადგათ, მაშინ ერთი გზაღა დარჩენოდათ: უნდა დაერღვიათ თვით ის მოძღვრება, რომლის წარმომადგენელიც მესამე დასი იყო. ძველი თაობა ჯერ თავს ინუგეშებდა, არავითარი ახალი დასი არ არსებობსო; როცა ამგვარი ნუგეშით ვეღარ ანუგეშეს თავი, ფეოდალურ ზომებს მიმართავს: როგორ გაბედეთ და ქედი არ მოიხარეთ ჩვენ წინაშე და კრიტიკულად დაუწყეთ ჩხრეკა ჩვენ მოქმედებასო; როცა წყრომაც აღარ გაუვიდათ, გამოაცხადეს: ჩვენში ქარხნები არ არის, მანქანებს ჩვენ არსათ ვხმარობთ. მაშასადამე, არც კაპიტალიზმი ყოფილა და მესამე დასიც ნიადაგს მოკლებულიაო. როდესაც თავის უვიცობისა თვითონვე შერცხვათ, თეორიას მოდგენ! მაგრამ დახეთ უბედურებას: მესამე დასი არათუ ვერ მოსპეს. ის დღითიდღე იზრდებოდა და დღეს დასი კი არა, უკვე მთელ თაობად გადაიქცა. მაგრამ ჩვენ მოწინააღმდეგეებს საფანელი შემოაკლდათ და ისევ ბატონყმურ იარაღს დაუბრუნდნენ, ლანძღვა-გინებას; ამისათვის არც ცოდნაა საჭირო და არც ჭკუა! ჯერ მხოლოდ „ივერიამ“ მიმართა ამ ბასრ იარაღს და ცხადად დაამტკიცა თავისი სრული უძლურება იმ ცხოვრებასთან ბრძოლაში, რომლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ჩვენში ნინოშვილი იყო. როდესაც „ივერიელები“ კითხულობდნენ: რა გააკეთა მესამე დასმაო, და თავის თავს თვითონვე ანუგეშებდნენ: არაფერიო, უნიადაგოაო და სხვ. ყოველივე ეს ნინოშვილსაც შეეხებოდა, რასაკვირველია. ნინოშვილმა გააკეთა ის, რისი მნიშვნელობაც მათ არ ესმოდათ; ნინოშვილმა იმდენი გააკეთა ხუთი წლის განმავლობაში, რამდენის გაკეთებაც ასე მოკლე დროის განმავლობაში ძველი თაობიდან ცოტამ შეძლო; ძველი თაობის მწერლებიდან ძალიან ცოტამ შესწირა თავისი თავი აწმყოს და მით მომავალსაც. ასე სრულად. როგორც ნინოშვილი, ძალიან ცოტა ხატავდა ჩვენ ცხოვრებას. მან გაანათა ჩვენი ცხოვრება, დაგვანახვა მისი მიმართულება და დაბადა ახალგაზრდა ბელეტრისტები, რომლებიც მის მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობენ და, რაც დრო გადის, თანდათან ირკვევა, ვინ არის უნიადაგო. ვინ მოჭამა დღე, და ვინ უფრო შეეფერება აწმყოს.

XVI

ჩვენ ვცდილობდით, გამოგვერკვია, რამდენადაც შეგვეძლო ნინოშვილის მოთხრობების დედააზრი. მათი ღირსება და ნაკლულევანება. დაგვრჩა მხოლოდ განვიხილოთ, თუ რამდენად ამართლებს ამ მოთხრობების გარჩევა პირველ თავში გამოთქმულ მოსაზრებას. სოციალური პირობები პირდაპირ აძლევდნენ მასალას ნინოშვილს თავისი ბელეტრისტიკისათვის; გოგია უიშვილი, ივანე, სიმონა, მუნჯაძე, მოსე მწერალი, დროიძე, მკლავაძე — ყველა ესენი ნამდვილი ტიპებია ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილისა. ჩვენ წინანდელ ლიტერატურაში ტარიელ მკლავაძეს შეხვდებით სხვადასხვა სახით და წლოვანებით. მაგრამ გლეხობიდან ვერ ნახავთ, ერთი მხრით, უიშვილებს და მუნჯაძეებს, მეორე მხრით, დროიძეებს და მოსე მწერლებს, რადგანაც თვით ცხოვრება არ იძლეოდა ასეთ პირობებს; ვერ შეხვდებით ჯერანს და ლიზას. ტასოს ტანჯვას. იმიტომ, რომ ხალხი ბრმა მონა იყო, მავნებელი ზნე-ჩვეულების უვარგისობა ვერ შეეგნო და ურიგდებოდა თავის ხვედრს. რამ დაბადა დღეს ჩვენში ასეთი პირები? რას შემოაქვს შუქი ხალხის ბნელ გონებაში? ბატონყმობის მოსპობით ჩვენი ერის მწარმოებელი ძალის განვითარებას დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი მოსცილდა; გლეხობას მიენიჭა საკუთრება, ის თვითონ გახდა თავისი შრომის პატრონი; ამიტომ ყოველ ადამიანს ენერგია მოემატა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და შრომა უფრო განაყოფიერდა. ამ გარემოებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო იმ განსხვავების განვითარებას და გამოაშკარავებას, რომელიც გლეხობაში არსებობდა: ახალი პირობებით, უეჭველია, ერთნაირად ვერ ისარგებლებენ გიგოლა გულიაშვილისთანა პირები („წარსულიდან“ ს. მგალობლიშვილისა) და დანარჩენი გლეხები. გლეხობის ერთი ნაწილი ნელ-ნელა მოსწყდა დანარჩენს და დღეს შეადგენს სოფლის ბურჟუაზიას: ამათ რიცხვს ეკუთვნის დავით დროიძე, მოსე მწერალი. ზოგი მათგანი სოფელს თავს ანებებს და ქალაქში მიდის, როგორც მამალაძე. ქალაქშიაც ფეხს იმაგრებს ჩვენი ბურჟუაზია. მწარმოებელი ძალის განვითარებამ შესცვალა ეკონომიური პირობები და ამით დაამყარა ჩვენს ხალხში სხვა ურთიერთობა დროიძეებსა და დანარჩენ გლეხებს შორის. ამ ორმოციოდე წლის წინათ, არათუ არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ისეთი დამოკიდებულება, როგორიც დღეს არსებობს მათ შორის. მწარმოებელი ძალის განვითარებამ გაართულა ცხოვრება. გაამრავლა ხალხის მოთხოვნილება. მარტო თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გლეხს დღეს მეტი ხარჯი და, მაშასადამე, მეტი გარჯაც სჭირდება, ვიდრე წინათ. მართალია, ბა-

ტონყმობის მოსპობამ ჩვენი მწარმოებელი ძალის გახვითარება გამოიწვია, მაგრამ ამ განვითარებას შეუჩერებლად სიარული დიდხანს არ შეეძლო, რადგანაც ნატურალური წარმოების ფარგლებით იყო შეზღუდული. ჩვენმა მწარმოებელმა ძალამ მიაღწია უკვე იმ ფარგლებს და თუ არ გაანგრია, მეტი ზრდა აღარ შეუძლია, მისი განვითარების შეფერხება კი გლეხს ეკონომიურად აქვეითებს, რადგანაც მას არ შეუძლია, თავის შრომას იმდენი ნაყოფი გამოაღებინოს, რამდენიც მისთვის საჭიროა. ამგვარად, ჩვენი ერის მწარმოებელი ძალის მდგომარეობა და ის მიზეზები, რომლებიც მის განვითარებას წინ ეღობებიან, ერთი მხრით, წარმოშობენ უიშვილის, ივანეს, მუნჯაძის და სხვ. უბედურებას, მეორე მხრით, ხელს უწყობენ დავითისთანა და მოსე მწერლისთანა პირების გამდიდრებას და გლეხობის დიფერენციაციას: ერთს ყველაფერი ვალში ეყიდება, მეორე კი პირველის სიღარიბით უფრო მდიდრდება. სად არის გლეხის საშველი? რას უნდა მიმართოს მან? გლეხს ერთი საშუალებაღა დარჩენია: მან უსათუოდ უნდა დააგდოს წარმოების ძველი გზა და მონახოს ახალი, ესე იგი, უნდა შესცვალოს დღევანდელი სოციალური პირობები. ამას ითხოვს მწარმოებელი ძალის განვითარება. მას აღარ რგებს ნატურალური წარმოების ვიწრო ტანისამოსი და, რომ ვითარდება ის და ცვლის ნელ-ნელა ჩვენ ცხოვრებას, ამას საკმარისად გვიმტკიცებს ნინოშვილის მოთხრობები. ივანე და მისი მეზობლები იძულებულნი არიან ისეთ წყაროს მიმართონ, რომელიც უკეთ დააჯილდოვებს მათ შრომას; თოხით ვეღარ აუვიდნენ ყველაფერს და ხელს კიდებენ სხვადასხვა მრეწველობას. თუმცა ბევრის აზრით შინამრეწველობა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგი ელემენტია, მაგრამ როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, შინამრეწველობის ზოგიერთი დარგის წარმოშობის მიზეზი უცილოდ კაპიტალიზმის ფეხის შემოდგმაა.

XVII

ქართველი ერი ნელ-ნელა ვაჭრობას ჰკიდებს ხელს; გაიხსნა ჩვენში ქარხნები; მათი რიცხვი ჯერ თუ ცოტაა. ეს იმას არ ამტკიცებს, რომ არ გამრავლდება. დაიწყო ნავთის და ქვამადნის წარმოება. ქვანახშირისა და ტყისკენ გაეშურა ქართველი მუშა და ვაჭარი. ვისაც საკმაო მიწა აქვს ჯერჯერობით, ისიც კი ცდილობს გარეთ მუშაობით იშოვნოს რაიმე; ვინც თანდათან ღარიბდება, იმას მეტი რაღა დარჩენია, თუ არა მუშად გადაქცევა? ღარიბების რიცხვი კი თანდათან მატულობს. ამგვარ პირობებში კაპიტალიზმი სასურველიც არის, რადგანაც გაჭირვებულ ადამიანს საზრდოს გაუჩენს; შეიძლება,

ეს საზრდო ძალიან მცირე იყოს, მაგრამ შიმშილით სიკვდილს მაინც აჯობებს. თუ ეკონომიურმა მიზეზებმა გლეხობა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, სამართლის ცუდად წარმოებამ, გონების სიბნელემ და მრავალგვარმა უსამართლობამ უფრო გაამწვავა ხალხის მდგომარეობა. ჩვენ არ შეგვიძლია ყოველივე ამის სათავეში მარტო ეკონომიური პირობები დავინახოთ, მაგრამ უსამართლობის უმეტესი წილი რომ ეკონომიურმა პირობებმა შექმნა, ეს აშკარაა: ეკონომიურმა მიზეზებმა დაბადეს, ერთი მხრით, დროიძე და მოსე მწერალი, მეორე მხრით, ყველა ის პირობები, რომელთა გაჭირვება და შევიწროება ნინოშვილმა დაგვანახა. გლეხის სიღარიბე მისი მდიდარი მეზობლისათვის საუცხოო საშუალებას წარმოადგენს გამდიდრებისათვის. გარდა ამისა, მდიდარი გლეხი სამართლის კარზედაც ადვილად ჩაგრავს ღარიბ მოძმეს; დავით დროიძე რომ მდიდარი გლეხი არ იყოს, უსამართლობით ვერ დაღუპავდა სიმონას ოჯახს. დღეს ხშირად სიმართლის სასწორი იქით იწევს, საითაც ფულია; რადგანაც ფულის პატრონები დროიძეები არიან, რასაკვირველია, სოფლის მწერალ-მამასახლისები კი არა, იმაზე მსხვილი მოხელეებიც მათი ჯიბის მეგობრები იქნებიან!

ჩვენი არისტოკრატიის ცხოვრებაში რაღა ცვლილება შეიტანა შეცვლილმა დრომ? არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ბატონყმობა ჩვენში ეკონომიურმა მიზეზებმა წარმოშვა[1]. ეკონომიურმა მიზეზებმა მოუჯინა ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია სავსე სუფრას; ისიც. რადგანაც კუჭი ყოველ წამს ძალზე გატენილი ჰქონდა. გონების განვითარებისათვის აღარ იწუხებდა თავს, სულიერი ინტერესები აღარ ახსოვდა; უზნეობის განვითარებისათვის კი თავისი სოციალური მდგომარეობაც ხელს უწყობდა. თავისუფალი დროც ჰქონდა, ამიტომ სურვილიც მალე დაებადა და პირუტყვულ ცხოვრებაში ჰპოვა თავისი მიზანი. მაგრამ ცხოვრება მარტივი იყო, მოთხოვნილება ცოტა, ამიტომ არისტოკრატიასაც უზნეობისათვის ვიწრო ასპარეზი ჰქონდა. ცხოვრებაში ხშირად შედეგი გაცილებით დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზი; თუმცა ის მიზეზები, რომლებმაც ჩვენი არისტოკრატია წარმოშობეს და სხვის კისერზე დასვეს მუქთახორად, დიდი ხანია გადასხვაფერდნენ, მაგრამ ფეოდალურმა არისტოკრატიამ კიდევ დიდხანს შეირჩინა სახე. დღეს. როდესაც ახალმა ეკონომიურმა პირობებმა ცხოვრების ფერი აცვლევინეს, ჩვენი არისტოკრატიაც დაადგა გადაგვარების გზას:

---

[1] იხ. ხახანაშვილის „ბატონყმობა საქართველოში".

ერთი წილი დღითი-დღე ღარიბდება, პროლეტარდება, მეორე ინტელიგენტთა რიცხვში გადადის და ამით ორივე ჰკარგავს ფეოდალურ სახეს. დარჩა მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელმაც ჯერ კიდევ შეირჩინა ფეოდალური სახე; ამ ნაწილის წარმომადგენელია ტარიელ მკლავაძე. ამგვარად, ტარიელ მკლავაძის სათავე ჩვენი ძველი ცხოვრების ეკონომიურ პირობებში მდგომარეობს. რადგანაც ცხოვრება განვითარდა და გართულდა, უზნეობასაც ფართო ასპარეზი გაეხსნა, და ახალ ცხოვრებაში ტარიელმა შეიძინა მხოლოდ ის, რითაც ლუარსაბ თათქარიძისაგან განსხვავდება, ე. ი. გონებრივად კუს ნაბიჯიც ვერ გადადგა წინ, ზნეობრივად უფრო დაეცა.

ყოველი დროის და ყოველი ერის ცხოვრებაში შეხვდებით ისეთ მოვლენებს, რომლებიც სხვადასხვა დროის ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფი არიან. ამის მაგალითებს ჩვენი ცხოვრებაც იძლევა. კერძო საკუთრებამ მოსპო უძველესი დროის მატრიარქატი და ააღორძინა პატრიარქატი; პატრიარქატის გაძლიერებას კი თან მოჰყვა პატრიარქალური ოჯახის აღორძინება. ამ დიდ ოჯახს ჰყავდა ერთი უფროსი მამამთავარი, რომელსაც ყველაფერში მორჩილებდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები. ამგვარმა ოჯახმა ნელ-ნელა ვარდაქმნა თავისი წევრების შეხედულებანი; მამამთავარს ჩაუნერგა ის აზრი, რომ ყველასათვის მან უნდა იზრუნოს, უმცროს წევრებს კი ის აზრი, რომ მათ ყოველგვარ საქმეში უფროსის ნება უნდა აასრულონ. ასეთი პატრიარქალური შეხედულება ჩვენს ხალხშიაც იყო გავრცელებული და სხვათა შორის ცოლქმრობის საქმეშიც იხატებოდა. უმეტეს შემთხვევაში, საცოლე და საქმრო ჯვარისწერის დროს პირველად ხედავდნენ ერთიმეორეს, მათ ბედ-იღბალს მათი მშობლები წყვეტენ. მათ დაუკითხავად, შვილების მოვალეობა მხოლოდ მორჩილება იყო და მშობლების ნების შესრულება.

თავადობაში და თითქმის აზნაურობაშიც ამგვარი შეხედულება საცაა მოისპობა. ყველაზე დიდხანს გლეხის ოჯახში დარჩა ეს ძველი შეხედულება, მაგრამ დღეს აქაც შეირყა მისი სიმტკიცე: ნინოშვილის მოთხრობებში ჰხედავთ, რომ ამგვარ ჩვეულებას გლეხები ნელ-ნელა უსამართლოდ თვლიან. რამ შეცვალა ამდენად გლეხის აზროვნება? — მწარმოებელი ძალის განვითარებამ: მოისპო ჩვენში ბატონყმობა, მას თან გაჰყვა პატრიარქული ოჯახების უკანასკნელი ნარჩენები; ახალმა ეკონომიურმა პირობებმა ნელ-ნელა ფერი აცვლევინეს ცხოვრებას. შესაფერი შეხედულებანი და ჩვეულებანი მოითხოვეს, — და, რასაკვირველია, სოციალურ ცხოვრებაში სანამ ახალი რამ აღორძინდებოდეს და ფეხს მოიმაგრებდეს, ძველის უვარ-

გისობა უნდა შეიგნოს ხალხმა. თუმცა ჯერანს ჯერ კიდევ წმინდად სწამს ძველი ჩვეულება, მაგრამ მისი სიძულვილი ცოლისადმი, სამდურავი დედისა და დისადმი და ცოლის წამება გვიმტკიცებენ, რომ მისი გონება და გრძნობა, მცირეოდნათაც არის, გაბრწყინებულა. ის ეტანჯება ძველი ჩვეულების ფარგლებში; მალე მიხვდება ამ ჩვეულების უვარგისობას და კიდეც უარყოფს მას. ტასოს და ლიზას იმდენად გახსნიათ გონება, რომ ძველი ჩვეულება მათ აღარ მიაჩნიათ წმიდათა წმიდად. ხოლო მათ ძალა არ შესწევთ, მამების უკანონო უფლებას გაუმკლავდნენ, და ძველი ჩვეულების მსხვერპლი ხდებიან. მაგრამ ისინი კარგად ხედავენ, სადაც არის მათი უბედურების სათავე, მათ ეზიზღებათ ეს ძველი ჩვეულება და, რადგანაც ერთხელვე დარწმუნდნენ მის უვარგისობაში, აღარ შეუძლიათ მას შეურიგდნენ: ტასო ქმარს ღალატობს, ლიზა თავს იკლავს.

ნინოშვილის მემკვიდრეობის შესახებ ყოველგვარ მასალას მოკლებული ვართ. ამიტომ მარტო მცირეოდენი ცნობების შემწეობით არ შეგვიძლია მკითხველს სრულად დავანახოთ მემკვიდრეობის კვალი მის ნაწერებში. ნინოშვილის დედის შესახებ ვერა გავიგეთ რა. მამა იყო მეტად უწყინარი და გულჩვილი; ყოველიფერი უყვარდა მას და ეცოდებოდა: ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს. ყველა ეს თვისებები მემკვიდრეობამ სრულად არგუნა ნინოშვილს. აღზრდამ კი ძალიან განუვითარა. ის იყო მეტად მგრძნობიარე და პატიოსანი გულის პატრონი. მას ყოველიფერი აწუხებდა, ყველას გულშემატკივარი ის იყო და ყოველიფერი იმ ზომამდე ეცოდებოდა, რომ ხორცის ჭამაც კი ეზარებოდა თურმე. ასეთი გულის პატრონი უსათუოდ უნდა ყოფილიყო ყველა დაჩაგრულის მოყვარული და ყოველგვარი უსამართლობის მტერი, ნინოშვილმა თავის მთავარ მიზნად უსამართლობასთან ბრძოლა გაიხადა. დაჩაგრულნი და გაჭირვებულნი უზომოდ შეიყვარა და მათი მოსარჩლე შეიქნა. მეტისმეტად მორიდებული და თავაზიანი კერძო ცხოვრებაში, მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლე ბრძოლა იყო გაჭირვებასთან და უსამართლობასთან. უმთავრესი მის მოთხრობებში უსამართლობასთან ბრძოლაა გატარებული. ყველა უბედური და დაჩაგრული მას უყვარდა და ებრალებოდა; მეტად მგრძნობიარე გულის პატრონს, უსამართლობის არათუ ხილვა, წიგნში ამოკითხვაც კი აატირებდა ხოლმე (ამის მაგალითი გ. წერეთელსაც მოჰყავს ნინოშვილის ბიოგრაფიაში). დედის ალერსი მას არ ახსოვდა; გაჭირვება ადრე გაიცნო. ყოველივე ამის მიზეზია და აგრეთვე თვით ცხოვრების. რომ ნინოშვილის ყოველ მოთხრობას უბედური ბოლო აქვს; რამდენი მოთხრობაც უნდა დაეწერა

ნინოშვილს, ბედნიერებით დაბოლავებას ის ძვირად მოახერხებდა. პატიოსნების და სიმართლისმოყვარეობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ნინოშვილი ცხოვრების უტყუვრად ხატვას ძალიან მაღლა აყენებს; რა ძლიერადაც უნდა უმღვრევდეს მას გულს სინამდვილე, მის გალამაზებას არასოდეს არ ცდილობს; მას უყვარს, ებრალება გლეხი, ებრძვის უსამართლობსს და სიბნელეს, რომელიც გლეხს სულს უხუთავს, მაგრამ სინამდვილეს მაინც არ ღალატობს. არავითარ ცუდ თვისებას არ გვიმალავს ის თავის საყვარელ გლეხში. მემკვიდრეობას ხელი შეუწყო აღზრდამ და იმ წრის გავლენამ. რომელშიაც ნინოშვილი ტრიალებდა. პატიოსანი, სამართლიანი. სიმართლისმოყვარე და მგრძნობიარე გულის პატრონი, დაბადებიდან მოკიდებული ისეთ პირობებში იყო, რომ სულ გაჭირვებასა და უსამართლობას ხედავდა; მან მალე გაიცნო ცხოვრება მთელი მისი ნაკლულევანებით: თუ სოფლის მასწავლებლად იყო. თუ მწერლად, თუ ასოთამწყობად. თუ მუშად და სხვ. ჩვენ არ ჩამოვთვლით აქ ყველა იმ გაჭირვებას, რომელიც უნახავს ნინოშვილს და თავის თავზე გამოუცდია. ამგვარი აღზრდა და გავლენა მალე მიიქცევდა მის ყურადღებას ცხოვრების ნაკლულევანებებზე, დააფიქრებდა და მოაძებნინებდა მათ მიზეზებს და მართლაც, ის არათუ პრაქტიკულად სწავლობდა დღევანდელ ცხოვრებას, თავისუფალ დროს სულ წიგნს ანდომებდა და მეტისმეტი ნაკითხი იყო. მისი ხასიათის, აღზრდის და მუდამ ღარიბთა და გაჭირვებულთა შორის ცხოვრების ბრალია, თუ ნინოშვილი თავის მოთხრობებში სულ უბედურთა და დაჩაგრულთა გარშემო ტრიალებს და მათი გულის მესაიდუმლეა. ამგვარად სოციალურმა პირობებმა, მემკვიდრეობამ და აღზრდამ დააყენეს იმ გზაზე ნინოშვილი, რომლისთვისაც მას არ გადუხვევია თავის მოკლე. მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეობის დროს და არც გადუხვევდა, რამდენი ხანიც უნდა ეცოცხლა. თუ რამ წარმოშობა ჩვენი დღევანდელი-სოციალური პირობები. ეს უკვე განვიხილეთ.

1899 წ. 5 დეკემბერი.

კრიტიკული შენიშვნები

(„ამოდის, ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი 1898 წ.)

სიხარულით ვეგებებით ყოველ საყმაწვილო წიგნს, თუნდ დიდი ღირსებისაც არ იყოს; ჩვენს ბავშვებს ისე ცოტა აქვთ საკითხავი. რომ დიდ ღირსებას ვინლა დაეძებს! ვაჟა-ფშაველას წიგნაკი ისეთის ღირსების არის, რომ საყმაწვილო ლიტერატურაში საპატიო ადგილს დაიჭერს; რამდენადაც ყმაწვილებისათვის არის ეს წიგნი შესაფერი, იმდენადვე ხალხისათვისაც უმთავრესი ღირსება ყველა ამ მოთხრობებისა არის მეტად ცოცხალი, მხატვრული ენა, ზნეობრივი აზრი, ზოგიერთი ნადირის ცხოვრების გაცნობა; — ყველა ამგვარი თვისებები ამ მოთხრობებისა პატარა ყმაწვილს კითხვას შეაყვარებს და შესაფერ მასალასაც მისცემს მის გონებას.

წიგნში მოთავსებულია ოთხი მოთხრობა; ერთს გარდა, ყველაში ოთხფეხი ან ფრინველებია მომქმედ პირებად გამოყვანილი. პირველში აღწერილია მგლების ცხოვრება ზამთარში. მოგროვდნენ ერთ ზამთრის ღამეში მშიერი მგლები იმ განზრახვით, რომ სოფელს შეჰპაროდნენ, დაეშვნენ თავქვე, სოფლისაკენ, მაგრამ ამ დროს მთვარე ამოვიდა, შუქი მოჰფინა არემარეს და მგლების საქმეც ჩაიშალა: სოფელში ვეღარ შეიპარებოდნენ. შიმშილმა თავისი ქნა: მგლებმა ერთმანეთს დაუწყეს თვალიერება, შემდეგ მიცვივდნენ ბებერ მგელს და მალე ბეწვიც კი გააქრეს მისი. მეორე მოთხრობა, „დათვი“, საუკეთესოდ მიგვაჩნია მთელ წიგნში: აქ მოთხრობილია შესანიშნავი შემთხვევა სოფლის ისტორიაში: დათვის მოკვლა! პირველ თავში აღწერილია დათვი თავისი ზნე-ხასიათით ისე ხელოვნურად, რომ კარგი მეცნიერული წერილიც ვერ დაუხატავს ბავშვს დათვს ასე ცოცხლად, როგორც აქ არის დახატული. მეორე თავში აღწერილია, თუ როგორ გაჩნდა ერთ სოფელში დათვი, როგორ მოემზადნენ სოფლელები მის მოსაკლავად, გაილაშქრეს და დაამარცხეს დათუ-

ნა. სოფელში როცა დათვის ბინას მიაგნებენ, საუკეთესო მონადირეები და გულადი ბიჭები მოიყრიან თავს. შეიქმნება დაჟანგებული თოფების ფერვა, ცულების ლესვა და ბოლოს ისეთი ამბით წავლენ დათვზე სანადიროდ, თითქოს სამშობლოს მტერს ებრძოლებიანო. ყოველივე ეს ისე ცოცხლად არის აწერილი, თითქოს თქვენის თვალით ხედავთ; ისეთი მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, რომლის უმთავრესი ღირსება მხატვრულ აღწერილობაში მდგომარეობს, ძნელი არის და უფერულიც გამოდის; ამიტომ არც ვკისრულობთ შინაარსის გადმოცემას. შეიძლება, მიპასუხო, მკითხველო: „როგორც გინდა, ისე ფქვამ: ხან წუნობ ცალიერ ესთეტიკას, ხან არაო", მაგრამ ერთი ეს, — რომ ამ მოთხრობაში, როგორც უკვე მოგახსენე, მარტო ესთეტიკა არ არის; მეორე — რაც ეპატიება კი არა, მოეთხოვება კიდეც საყმაწვილო მოთხრობების დამწერს, ის დაეძრახება ბელეტრისტს ან პოეტს. დიდი ადამიანის გონებას უნდა წარუდგინო ცხოვრების დამახასიათებელი სურათები, ფორმისათვის კი ჩვეულებრივი ნორმა არსებობს: ენა უნდა იყოს უბრალო, ადვილად გასაგები, მეტი საჭირო არ არის; დიდისათვის უმთავრესი მნიშვნელობა შინაარსსა აქვს. როცა მწერალი მკითხველს ან არარაობას ან დაობებულ და გაცვეთილ აზრს აწვდის ულამაზეს ფორმაში. ამისთანა მწერალი თვითონაც უქმად ჰკარგავს დროს, სხვასაც აცდენს. პატარა ბავშვების მწერალი კი ხშირად სხვაგვარ პირობებშია: პატარას, ათთერთმეტ წლამდე, სანამ ზნეობრივ აზრებს მიაწვდიდე, კითხვა უნდა შეაყვარო; ამას კი მხოლოდ ცოცხალი ენით დაწერილი მოთხრობებით და მხატვრული დასურათებით მიაღწევთ. ამ მოთხრობაში გაიცნობს ბავშვი აგრეთვე ხალხის ზოგიერთ ცრუმორწმუნეობას. გიგოლიმ კარგი სიზმარი ნახა და მხიარულად მიდიოდა დათვის მოსაკლავად, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ დათვს მოჰკლავდა; თუ ცუდი სიზმარი ენახა, უეჭველია, მეორე დღეს სანადიროდ აღარ წავიდოდა. გაემგზავრნენ დათვის მოსაკლავად. გაცილდნენ თუ არა სოფელს, ჯერ კურდღელმა გადაურბინა წინ, შემდეგ მელამ: ეს კი გლეხების თვალში ცუდი ნიშანი იყო. ყველა დაღონდა და, გიგოლას რომ არა, უკანვე დაბრუნებას აპირებდნენ. სხვები თუ შეაშინა კურდღელმა და მელიამ, გიგოლი რატომ აღარ შეშინდა? იმიტომ, რომ მან კარგი სიზმარი, „დაცდილი სიზმარი" ნახა; როცა ამ სიზმარს ნახავდა, უთუოდ მოჰკლავდა რასმე! თევდორამ და ქიტესამ წილი ჰყარეს, დათვი რომელს დაბეგვსო; წილი ქიტესას ერგო.

თევდორე ახლა თითქმის დარწმუნებულია, რომ, წილი თუკი არ ერგო, დათვი ვეღარ დაბეგვავს; ქიტესა კი გულნატკენია იმით, რომ წილმა ამას არგუნა დათვისაგან დაბეგვა.

ორ-უკანასკნელ ამბავს იგავის ხასიათი აქვს. პატრონმა ვირი ამუშავა და, როცა ვირი დაბერდა და ღონე გამოელია, გააგდო ციკ ზამთარში. ადამიანმა ვირი არ შეიბრალა, მაგრამ პირუტყვებმა — ირმებმა შეიბრალეს და მოუარეს; საჭმელი უშოვნეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

ყოველგვარ ზნეობრივ სწავლას ბავშვისათვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ეს ზნეობრივი აზრი მოთხრობაში ძალდაუტანებლად არის გატარებული. როცა ზნეობრივი სწავლა ნაძალადევად არის მოთხრობაში ჩაკერებული, როცა აშკარად ჩანს, რომ ავტორს ხელოვნურად შეუქმნია სხვადასხვა პირობები რაიმე ზნეობრივი აზრის განსამარტებლად, მაშინ ასეთი მოთხრობები მიზანს ვერ აღწევენ: ბავშვებისათვის მათ სარგებლობა ვერ მოაქვთ. „უძლურ ვირში" კი ზნეობრივი აზრი, როგორც მაგ. ყველა ცხოველისადმი სიბრალული, მათი სიყვარული, მათთვის ზრუნვა, მათი ხოცვის სისაძაგლე, ბუნებრივად არის გატარებული და თვით მოთხრობის მსვლელობის შედეგია. ხოლო ვირის დახასიათებაში ავტორი შემცდარია: ყველა მეიგავეების ვირი უჭკუობისა და უზრდელობის წარმომადგენელია; ამგვარი შეხედულება მარტო მეიგავეების სენტენცია არ არის, მათი ფანტაზიის ნაყოფი როდია. — ხალხიც ისე უყურებს ვირს, რგორც უჭკუო, რეგვენ და უზრდელ პირუტყვს. ვაჟა-ფშაველას „უძლური ვირი" კი ნამეტანი ჭკვიანი და ზრდილობიანია. ირემი ვირს საჭმელს აწვდის, ვირი მადლიერია და ამავე დროს წუხს, მე დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ მაინც და ვაითუ შენც (ირემს) საზრდო დაგაკლოო. პატრონმა მას ჯაფით სული გააძრო, სასიკვდილოდ არ დაზოგა და როცა ბედმა ვირსაც გაუღიმა და პატრონი მას კუდზე მოაბეს დასაგლეჯად, ვირის ზნეს კი არ მიბაძა და სამაგიერო კი არ გადაუხადა მტრებს, გადაარჩინა.

უკანასკნელ ამბავში გამაძღარი სვავი კლდის თავზე ზის, თავის თავისქებაშია და ბულბულის კიცხვაში, რომლის ქებაც წინათ ყორანისაგან გაუგონია. აი, მოფრინდა ყორანი და ჩამოჯდა კლდეზე, სვავის შორიახლოს. სვავმა თხოვა: მიამბე, როგორ გალობდა ბულბულიო. და ყორანიც მოუყვა: ბულბული უგალობდა ყვავილებს, ტყეს, ანკარა წყალს, მზეს, ნიავს, სვავს და ყორნებს ჰკიცხავდაო. — მე რომ ეგ გამეგონა, მაშინვე შუაზე გავგლეჯდიო, მოუვიდა სვავს გული, — ისე ლამაზად ამბობდა, რომ დამიმონაო, უპასუხა ყორანმა. სვავმა გადაწყვიტა, მოესმინა ბულბულის გალობა, რომ დაღამდა, ის და ყორანი ბალაში ჩაეშვნენ. ბულბულის გალობამ სვავსაც კი გული დაუკოდა და თვალები აუცრემლა. ახლა დარწმუნდა სვავი, რომ რაც უნდა ამხილოს ბულბულმა, ვერაფერს ვერ გაუბედავს.

ასეთი პოეზიის შემდეგ სვავს და ყორანს, შუადღისას, ხევში. ლეშზე ვხედავთ! მთელი ამბავი ალეგორია არის. ავტორს უსათუოდ ბულბულის სახით პოეტი გამოჰყავს. ჩვენ უნდა დავუმატოთ. რომ თუძცა სვავის გულმაც კი იგრძნო ბულბულის გალობის სიმშვენიერე, მარა რამდენსამე საათს შემდეგ ის ისევ ლეშს შეექცეოდა და მის გულს ეს სრულიადაც არ ეზიზღებოდა. ბულბულის ტკბილმა ხმამ. ცალიერმა ესთეტიკამ სვავი ისევ სვავად დატოვა! შეიძლება. უფრო მეტის სიამოვნებით მოუჯდა ლეშს.

ვინც პოეტს ადარებს ბულბულს, რომელიც ვარდს, მზეს და მთვარეს უგალობს, ის პოეზიაში უმთავრესად ესთეტიკურ მხარეს ეძებს და აფასებს. შეიძლება ამის შესახებ უფრო შესაფერ ალაგას შეგვხვდეს მკითხველთან ლაპარაკი, მაგრამ ახლაც არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ დღეს ყოველი მწერლის მოვალეობა ქართველი მკითხველის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ, თუ შეუძლია, სხვა უფრო საჭირო და დროის შესაფერი მიაწოდოს, ვიდრე ცალიერი ესთეტიკა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ზაფხულის მშვენიერ დღეს უსიერ მთაში გზა დაგებნათ. ღამე თუ მთაში დარჩით, საშიშია. ნუთუ თქვენ გზის ძებნას თავს დაანებებთ და გულს ასე დაიმშვიდებთ: „გულო, რად გინდა გზის პოვნა? შეხედე, შენ გარშემო რა დიად სურათს წარმოადგენს ბუნება: მთის დარაჯნი ამართულან და უხვ ფოთლებში მზის შუქს აკრთობენ; ჩიტები საამურათ ყღურტულებენ; ნაკადულები მოჩუხჩუხებენ და მდელოთი შემოსილ ნაპირებს ესიყვარულებიან და სხვადასხვა“. რანაირი ესთეტიკოსიც უნდა იყოთ, დიადი ბუნების ლამაზი სურათები ვერ დაამშვიდებენ თქვენს გულს, სანამ გზას არ იპოვით. ჩვენი საზოგადოებაც დღეს გზა-დაბნეულია: ჩვენი ცხოვრების სასწორი ისტორიულმა აუცილებლობამ შეარყია და აატოკა; რა არის დროგადასული და მოსასპობი, რა არის დროის შესაფერი და ხელმოსაჭერი. არავინ იცის, — ყველა გამოურკვეველ მდგომარეობაშია; ასეთ დროს ხალხს ცხოვრების გათვალისწინება უნდა, ჭეშმარიტი გზის ჩვენება და ვაჟას მოთხრობებიც ამ მიზანს ისახავენ.

1899 წ.

შარშანდელი „ჯეჯილის“ კრიტიკოსი

ერთადერთი საყმაწვილო ჟურნალი გაგვაჩნია, რომელიც ცდილობს უპატრონოდ დაგდებულ ბავშვებს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ჩვენი მამები აქაც იჩენენ თავის ნამდვილ მამობას და მზრუნველობას: ან არ იწერენ ჟურნალს, ან იწერენ სხვის დასანახად, ვითომდა ქართული საქმისათვის გული შეგვტკივა, თანავუვრძნობთ და ვეხმარებითო. შვილებს კი არ აკითხებენ.

თუ ჩვენი ოჯახი „ჯეჯილს“ არ წყალობს, არც ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა აქცევს მას ყურადღებას; თვისა და თვის თავზე გამოაცხადებენ: ესა და ეს ნომერი გამოვიდა, შინაარსი შემდეგიაო, მორჩა და გათავდა!

არც ფილოსოფოსის ტვინია საჭირო, არც დიდი განათლება და განვითარება იმ უბრალო ჭეშმარიტების შესაგნებად, რომ, თუ ბავშვი რიგიან აღზრდას მოკლებულია, მისგან მხოლოდ უვარგისი წევრი გამოვა საზოგადოებისა; სარგებლობა კიდევ მადლობა ღმერთს,— ხშირად საზარალო და მავნებელი წევრი იქნება. როცა სხვაგან ბავშვის აღსაზრდელ საშუალებათა შორის საყმაწვილო ლიტერატურას უპირველესი ალაგი უჭირავს და მთელი საზოგადოება ადევნებს მას თვალყურს, ჩვენში ჟურნალ-გაზეთების მეთაურნიც კი დარწმუნებულნი არიან, რომ საყმაწვილო ლიტერატურა საჭირო არ არის. მოდი და სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ!.. მაგრამ წარსულ წელს „ჯეჯილს“ როგორღაც ბედმა გაუღიმა: „ივერიამ“ მას ფელეტონები უძღვნა. ამ ფელეტონებში აქა-იქ გამოთქმული იყო სხვადასხვა აზრი ბავშვის აღზრდისა, და საყმაწვილო ლიტერატურის შესახებ. ჩვენ გვსურს, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ამ აზრს და შეძლებისდაგვარად დავანახოთ მათი ღირსება-ნაკლულევანება.

თუ ცოტაოდნად თვალი გიდევნებია, მკითხველო, ჩვენი ჟურნალისტიკისათვის, შენიშნავდი, რომ ჩვენ სხვადასხვა აზრების გამოთქმა გვიყვარს, საბუთების მოყვანა კი არა, რაც ჩვენი ლოგიკის სი-

ღატაკეს და განუვითარებლობას ამტკიცებს. ჩვენში უმეტესი ნაწილი თავის აზრს და შეხედულებას საკუთარ გემოვნებაზე ამყარებს; თქვენ კი არაფერს გიმტკიცებენ, გიცხადებენ: აი ჩემი გემოვნება: როგორი არისო! — კარგი და პატიოსანი, რომ მაგისთანა გემოვნება გქონიათ, ჩემთვის ეგ სრულიადაც არ გახლავთ საყურადღებო, ეუბნებით თქვენ. ჩემი გემოვნება შენთვისაც და ყველათვისაც საყალდებულო არისო, გეუბნებიან პასუხად. მოდი და ეშმაკი ნუ გაიცინებს!

ამის შემდეგ გასაოცარიც არ არის, რომ ბ. ბოცვაძის ფელეტონებში დამტკიცება ცოტა არის, საკუთარი გემოვნება კი ყოველ სტრიქონში გამოსჭვირს. ავტორი გიცხადებთ: ეს ლექსი კარგია, ეს მოთხრობა არ ვარგა ე. ი. მე ეს მომწონს, ეს არ მომწონს. ფელეტონები უფრო იმის მოწმენი არიან, რომ ავტორს წარსული წლის „ჯეჯილი" წაუკითხავს. ახა, ღმერთო! განა ამისთვისაც მადლობა უნდა გადავუხადოთ? ზოგი მოსწონებია, ზოგი არა, მაგრამ მწერალმა რა ქნას: ყველას გემოვნებას რაობით დააკმაყოფილებს ჩვენს კურთხეულ საქართველოში. სადაც ერთსულსა და ერთხორცს ლუარსაბსა და დარეჯანსაც კი არა აქვთ ერთნაირი გემოვნება. ამას შემდეგ ბ. ბოცვაძე, როგორც გულუბრყვილო ესთეტიკოსი, გვეუბნება: რაც მე მომეწონა, ის კარგია, რაც არ მომეწონა, ის არ ვარგაო. ჩვენთვის სრულიადაც არ არის საყურადღებო, ესთეტიკოსია ბ. ბოცვაძე თუ არა, რა მოსწონს მას და რა არა. ჩვენთვის არის საყურადღებო, თუ რად მოსწონს კრიტიკოსს ესა თუ ის ნაწარმოები; რად უნდა მოეწონოს სხვასაც ის, რაც კრიტიკოსს მოსწონს? ამას კი ბ. ბოცვაძე არ გვეუბნება; ის დარწმუნებულია, რომ ესთეტიკის კანონები უტყუარი და ზოგადია და ამიტომ ფიქრობს: მე ეს მომწონს, მაშ, კარგია: ვისაც ესთეტიკური ალღო აქვს, ყველას მოეწონებაო. რას დაეეძებ. ვის როგორი გემოვნება აქვს, ან თქვენ რას დაეძებთ, როგორი ალღო მაქვს? მომიყვანეთ თქვენი აზრის ლოგიკური საბუთები და. ესთეტიკის სულ რომ არაფერი მომცხებოდეს, მაინც იძულებული ვიქნები დაგეთანხმოთ. რომ არ დამწამო, მკითხველო, ვითომ მეც საკუთარ გემოვნებაზე ვამყარებდე ჩემს მსჯელობას. მივმართავ ბ. ბოცვაძის ფელეტონებს და ვეცდები საბუთები მოგიყვანო.

ბატონი ბოცვაძე სასტიკი მორალისტია: ლიტერატურაში უზნეობის აღნიშვნა ძალიან ეჯავრება. თქვენ შეიძლება ციდან მოვლენილი ანგელოზი იყოთ და გინდოდეთ, ქვეყანა სამოთხე იყოს, საცა ზნეობა და სიყვარული მეფობდეს ყველას სულსა და გულში; ამგვარი თვისება, რასაკვირველია, საქებია, მაგრამ თქვენ რაც უნდა გსურდეთ, ქვეყანაზე უზნეობაც ყოფილა, ბოროტებაც არის და კიდეც იქნება.

ლიტერატურა კი სარკეა ცხოვრებისა; ის ხატავს და ვალდებულიც არის ხატოს ის, რაც ნამდვილად არსებობს, რეცეპტებს კი არ უწერს ცხოვრებას.

ამიტომ, თუ ნახეთ რომელიმე უზნეო პირი მოთხრობაში, მომწონხარ, არ მომწონხარ-ის ძახილი სულ მეტია და უმნიშვნელო; ავტორს იმიტომ კი არ გამოუყვანია ესა თუ ის პირი, რომ მოგწონებოდათ, არა, მას ამგვარი მიზანი არ ჰქონია და, თუ ჰქონდა, ძალიან ნაკლები ღირსების ავტორი ყოფილა; მან შეამჩნია ამგვარი პირები ცხოვრებაში და თავისი დაკვირვება თქვენც გაგიზიარათ; თქვენ კი ცხოვრებას უნდა ჩაუკვირდეთ, გასინჯოთ, რამდენად მართალია ავტორი და გამოიკვლიოთ ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ავტორის მიერ გამოყვანილი პირი დაბადეს. მას უზნეო, ან ზნეობრივი საქციელი ჩაადენინეს. კინ არ იცის, რომ ჩვენებური მედუქნეები მყიდველს ატყუებენ; ხშირად დამპალ საქონელს აპარებენ? „ჯეჯილის“ პირველი ნომრის ერთ მოთხრობებში ორიოდე სიტყვა არის ამის შესახებ ნათქვამი. მოთხრობა რომ ეკ. გაბაშვილის კალამს არ ეკუთვნოდეს, ბოცვაძე ერთ ალიაქოთს ატეხდა: გაგვირყვნის ბავშვებს ამისთანა საზიზღარი მოთხრობებიო; მაგრამ ახლა მარტო ამ ერთ ალაგს წუნობს და თან დასძენს: „მართალია, ბავშვები ცხოვრებაში ამაზე უარეს უზნეო სცენებსაც ჰხედავენ, მაგრამ კრიტიკულის თვალით გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშვს არ შეუძლია. ამიტომ გონიერმა აღმზრდელმა ამისთანა სცენებს უნდა აარიდოს ბავშვი. ბავშვებისათვის საკითხავი მოთხრობებიც მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს, ბავშვს უნდა უჩვენო რაც კარგია, და მოარიდო ყველაფერს, რასაც კი შეუძლია ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს“. როგორც ხედავ, მკითხველო, ბ. ბოცვაძე გამოთქვამს აქ თავის აზრს ბავშვის აღზრდისა და საბავშვო ლიტერატურის შესახებ: კრიტიკული თვალით გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშვს არ შეუძლია, ამიტომ მარტო კარგი უჩვენეთ ხოლმეო ე. ი. ბავშვი ატყუეთ, ქვეყნიერება სამოთხედ დაუსახეთო. ერთ მეფეს მეტად მახინჯი ქალი ჰყავდა. ქალს რომ თავის სახე ვერ დაენახა, მთელ სახელმწიფოში, მეფის ბრძანებით, სარკეები მოსპეს, მაგრამ როცა იქნა, მეფის ქალმა მაინც გაიგო თავისი სიმახინჯე: ტბაში დაინახა თავისი სახე: ქვეყანაზე იმდენი უზნეობა და უსამართლობა არსებობს, რომ, რაც უნდა ეცადოთ, ბავშვს ვერ დაუმალავთ. ჩვენ კი გვგონია, რომ მით უმეტეს უნდა დაანახოთ ბავშვს კარგიც და ავიც. ზნეობრივიც, უზნეოც და მივუთითოთ მათ განსხვავებაზე; ამით თქვენ ააღორძინებთ მის ბუნებაში კრიტიკის ნიჭს, აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი კი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული აზროვნე-

ბა განუვითაროს. კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულად ააწონ-დააწონიოს, ცალმხრიობას ააცილოს და მარტო მის რწმენაზე და გრძნობაზე არ იმოქმედოს. იწყებს თუ არა ბავშვი აზროვნებას, მას უნდა გააცნოთ ქვეყნიერება, ადამიანი, ის ქვეყნიერება და ადამიანი კი არა, რომლებიც თქვენს სურვილშია გამოხატული, არამედ ის, რომლებიც ნამდვილად არსებობენ. ამისთვის კი საჭიროა კრიტიკა: უკრიტიკოდ ამა თუ იმ მოვლენის აწონ-დაწონა შეუძლებელია. თუ თქვენ გააცანით ბავშვს ცხოვრების მარტო კარგი მხარე, ცუდს რომ თვითონ შეხვდება, როგორ შეხედავს მას ბავშვი, როგორ დააფასებს? თუ თქვენ ცხოვრება სამოთხედ დაუსახეთ და ადამიანი ანგელოზად, თვითონ რომ წინააღმდეგს დაინახავს, როგორი იქნება მისი სულიერი მდგომარეობა, მისი შინაგანი ჰარმონია? ცხოვრების ცალმხრივი გაცნობა და სულიერი ჰარმონია ერთად შეუძლებელია. ბავშვი ხომ ყოველთვის დიდის ოპეკის ქვეშ არ დარჩება? როცა იქნება, ისიც გახდება დიდი, დამოუკიდებელი ადამიანი. ერთი მიბრძანეთ, მაშინ რა სარგებლობას მოუტანს მას თქვენი ცალმხრივი აღზრდა, კარგის გაცნობა და ცუდის დამალვა? თქვენ თავიდანვე უნდა მოამზადოთ ბავშვი ამ დამოუკიდებლობისათვის, თავიდანვე უნდა მოამზადოთ ის საზრიანი ცხოვრებისათვის; ამისათვის კი საჭიროა, გააცნოთ მას მთელი ცხოვრება, როგორც მისი კარგი მხარე, აგრეთვე ცუდიც. ბ. ბოცვაძე გვეუბნება: უზნეოს ისეც ბევრს ხედავს ბავშვი ცხოვრებაში, აღმზრდელმა კი უნდა აარიდოსო. ერთი მიბრძანეთ, რა მნიშვნელობა ექნება აღმზრდელის ამგვარ მოქმედებას, თუ ცხოვრება მას ეწინააღმდეგება? სწორედ მაშინ გაირყვნება ბავშვი, როდესაც ის ცხოვრებაში ბევრ ცუდს ხედავს, აღმზრდელი კი ამ ცუდის ნამდვილ ღირსებას და მნიშვნელობას არ უხსნის. აქედან ნურავინ ნუ გამოიყვანს იმ დასკვნას, ვითომც ჩვენ ვქადაგებდეთ: ბავშვს ყოველგვარი ცუდი და უზნეო მოვლენა, საქციელი გააცანითო. ყოველისფერში თანდათანობა არსებობს; ეს თანდათანობა არც აღზრდაში უნდა იყოს დავიწყებული; ყოველი წლოვანების ბავშვს უნდა მიაწოდოთ ის, რასაც მოითხოვს მისი ბუნებრივი განვითარება. რვა წლის ყმაწვილს ჩვენ არ დავუწყებთ ისეთ მოვლენებზე ლაპარაკს, რომლის შესახებაც ზნეობრივად ვალდებული ვართ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილს ჭეშმარიტი შეხედულება მივცეთ და ამით კარგ გზაზე დავაყენოთ. როგორც საზოგადოდ, ხელოვნურ ლიტერატურას, ისე საბავშვო ლიტერატურასაც უპირველესად ნამდვილი ცხოვრების ჭეშმარიტად ხატვა უნდა მოვთხოვოთ. ის უნდა გვიჩვენებდეს ადამიანის ყოველგვარ თვისებას, ზნეობასაც, უზნეობასაც, ბოროტებასაც, სიკეთესაც: მხოლოდ ყოველგვარი მათგანი ღირსეუ-

ლად უნდა იყოს დაფასებული. რომ ბავშვმაც ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს. კარგი შეიყვაროს. ცუდი შეიძულოს.

•

ერთ ოჯახში, ჩვენი იქ ყოფნის დროს, რაღაც დანაშაულისათვის ბავშვი დასაჯეს. როცა ბავშვს ვკითხე. რა დაშავე-მეთქი. ვერაფერი მიპასუხა: მან იცოდა. რომ გალახეს: რისთვის, ან რა იყო საამისო მის მოქმედებაში, არ ესმოდა. ამგვარი ბავშვი მეორედ იმას კი არ ეცდება. რომ თავისი ცუდი საქციელი აღარ გაიმეოროს, არამედ იმას, რომ ვეღარ გაუგონ; ცუდ საქციელს კიდევ ჩაიდენს, რადგანაც მისი სიცუდე არავინ გააგებინა, ხოლო უფრო ფრთხილი იქნება. თუმცა ბ. ბოცვაძე იმ აზრის არის. რომ ბავშვს მარტო კარგი უნდა დაანახოო. მაგრამ ბევრგან თავის აზრს უხვევს: მას უნდა, რომ ყოველგვარ მოთხრობაში და ლექსში რაიმე ზნეობრივი სწავლა იყოს გატარებული. ამგვარად მიზანს კი ძალიან ძვირად მიაღწევთ. თუ მარტო ხატეთ. პირველი ნომრის ლექსი „მერცხალი", მოთხრობა „ობობა", ბოცვაძეს მოსწონს, მაგრამ აქ ხომ ცუდიც არის ნაჩვენები: ბავშვებისაგან მერცხლების წვალება, ობობას მოსისხლეობა? ბოცვაძეს მოსწონს იმიტომ. რომ ზნეობრივი დასკვნა ბავშვებისათვის სასარგებლოა; იმგვარი ზნეობრივი დასკვნა კი, როგორც ბოროტების დასჯა, ბოროტის დაუხატავად შეუძლებელია. თეორიაში ბოცვაძე შემცდარია. ხოლო როცა მოთხრობებს არჩევს და თავის თეორიულ მოსაზრებებს ივიწყებს, ხშირად მართალს ამბობს.

„ჯეჯილის" მეექვსე ნომრის გარჩევის დროს ბ. ბოცვაძე, თავისი აზრის მიხედვით, ყმაწვილს მხოლოდ კარგი უნდა უჩვენოთო, გვეუბნება: „ისეთი იგავ-არაკი, რომელიც შეიცავს ცბიერებას, უსამართლობას. პატარებისათვის საკითხავათ სასარგებლო არ იქნება, რადგანაც ზოგიერთი ნაწილი გაუგებარი ხდება ბავშვებისათვის; ადვილად შეიძლება, რომელიმე გაქნილი და ვერაგი გმირი იგავ-არაკისა სამაგალითოდ და მისაბაძად იქნეს პატარა მკითხველის მიერ აღსარებულიო". ბ. ბოცვაძეს დავიწყნია, რომ იგავ-არაკი იგივე სატირაა და არა ადამიანის ღირსებითა დითირამბი; ამიტომ ყოველ იგავ-არაკში უმეტეს წილად ადამიანის რაიმე ცუდი მხარეა გამოყვანილი. აიღეთ ლაფონტენის, კრილოვის იგავ-არაკები: თითქმის ყველა ცბიერებას, უსამართლობას, სირეგვნეს და მრავალ სხვა ნაკლოვანებას ეხება. მაშასადამე, ორივე ამ გამოჩენილ მეიგავეს, თუ ბ. ბოცვაძეს დავუჯერეთ, ქოქოლა უნდა მივაყაროთ და კარი ვუჩვენოთ, თორემ ბავშვებს გაგვირყვნიან. „რა გვიყო ჭიაკოკონამ?"-ის ავტორს ბოცვაძე „единица-ს" უსვამს, უგემურ და უხამს მოთხრობად

მიაჩნია, რომელიც მხოლოდ ზიზღს გამოიწვევსო. „ყოველი წერა-კითხვის მცოდნე რამდენიმე საათის განმავლობაში მთელ კრებულს გამოაცხობს ამისთანა მოთხრობებისასო“, დასძენს თავის ზიზღს ბ. ბოცვაძე. ბ. ბოცვაძემ წერა-კითხვა იცის; მაშ, რამდენიმე საათის განმავლობაში მას შეუძლია, მთელი კრებული გამოაცხოს ამისთანა მოთხრობების. — მერე რა ეუყოთ, არ ევარგებაო! — გვიპასუხებს ბოცვაძე. ვთქვათ, არ ევარგება, მაგრამ, ვინც რამდენიმე საათში უხეირო მოთხრობების მთელ კრებულს გამოაცხობს, ის ერთი თვის განმავლობაში ერთ ხეირიან მოთხრობას უსათუოდ დაწერს; „ჯეჯილი“ კი თვეში ერთხელ გამოდის, მასალაც არ ეჭარბება მაინცდამაინც. ჩვენ გვგონია, რედაქცია დიდ მადლობას გადაუხდიდა ბოცვაძეს, რომ თვეში ერთი მოთხრობა მიეწვდინა ხოლმე „ჯეჯილისათვის““, მით უმეტეს, რომ ეს მისთვის არავითარ საძნელო საქმეს არ უნდა შეადგენდეს, როგორც მისი სიტყვები ამტკიცებს. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მივმართოთ ბოცვაძის აზრს საყმაწვილო მოთხრობების შესახებ. ბ. ბოცვაძე სამართლიანად აღნიშნავს ერ ფაქტს, რომ „ბავშვები უფრო ხალისიანად კითხულობენ იმ ადვილგასაგებ მოთხრობებს, რომლებშიაც დიდებია გამოყვანილი“. ამის მიზეზად ბოცვაძეს ორი გარემოება მიაჩნია: 1) ბავშვის ცხოვრება ღარიბია ფაქტებით, დიდის კი არა; 2) დიდს უფრო სრული და დამთავრებული ხასიათი აქვს, ვიდრე ბავშვს. ჩვენ გვგონია, რომ მიზეზი მხოლოდ პირველი გარემოება არის: ბავშვები თუ გატაცებით კითხულობენ მაინ-რიდს, კუპერს, ჟულ-ვერნს და სხვ., იმიტომ კი არა, რომ გმირები დიდი კაცები არიან და დამთავრებული ხასიათი აქვთ. არამედ იმიტომ, რომ ამ ავტორების რომანები სავსეა ისეთი ფაქტებით, შემთხვევებით და გმირების თავგადასავალით, რომლებიც ბავშვის ფანტაზიას მეტად ხიბლავს და იტაცებს. მიეცით ბავშვს ისეთი მოთხრობა, რომელშიაც პატარები მოქმედებენ. მაგრამ საყურადღებო ფაქტები ბევრია; მაშინ დაინახავთ, რომ ასეთ მოთხრობებს არანაკლები ყურადღებით წაიკითხავენ ბავშვები. დღეს თუ ვხედავთ, რომ ბავშვები უფრო ხალისიანად კითხულობენ ისეთ მოთხრობებს, სადაც დიდები არიან გამოყვანილი, იმიტომ, რომ ძალიან ცოტა გვაქვს ისეთი მოთხრობები, რომლებშიაც მხოლოდ პატარები მოქმედებენ და ამავე დროს საყურადღებო ფაქტებიც ბევრი იყოს. ჩვენი აზრით, პატარა ყმაწვილებისათვის ათ-თორმეტ წლამდე იმდენად საჭირო არ არის გმირის სრული დახასიათება, რამდენადაც ცოცხლად დაწერილი მოთხრობა, რომელიც ბავშვს წაახალისებს. იკითხავთ; რა სარგებლობას მოუტანს ბავშვს ასეთი მოთხრობაო? — ის არ გარდაქმნის ათი წლის ბავშვს ფილოსოფოსად, არ გადააქცევს

მას ხორცშესხმულ ზნეობად; სამაგიეროდ, შეაყვარებს მას კითხვას, განუვითარებს აზროვნებას, ფანტაზიას, — ყოველივე ეს კი პატარა ბავშვისათვის მეტად საჭიროა: სანამ ბავშვს ლიტერატურით აღზრდიდეთ, მას უნდა შეაყვაროთ კითხვა და წაკითხულის შეგნებას და წარმოდგენას მიაჩვიოთ. ახლა მივმართოთ ბოცვაძის მიერ გალანძღულ მოთხრობას „რა გვიყო ჭიაკოკონამ?" შაქრო და ნიკო აპირებენ ჭიაკოკონის დანთებას. ჯერ მენახშირესთან მიდიან თივის მოსაპარად, მაგრამ მენახშირე გაუგებს და ცემით გამოისტუმრებს ორივეს. შემდეგ მიადგებიან ჩალით სავსე კასრს, მაგრამ კასრი დაუგორდებათ და წყალში ჩაყრის პატარა გმირებს. მიუხედავად ბევრი სხვა დაბრკოლებისა, შაქრო და ნიკო მაინც არ იტეხენ გულს და მიზანს მიაღწევენ: ეზოში ჭიაკოკონას დაანთებენ. მოთხრობა დიდი ნიჭითა და ხელოვნებით არ არის დაწერილი, ზოგ ნაკლულევანებას შეიცავს, მაგრამ არც უხამსი და უმსგავსია: ბავშვი დიდი ყურადღებით წაიკითხავს მას ბოლომდის, რადგანაც მოთხრობა ცოცხლად არის დაწერილი, ბავშვების ცელქობა-თავგადასავალია შიგ. მოთხრობა ნამდვილად არის ამოღებული ცხოვრებიდან: ვინ არ ყოფილა პატარაობისას ცელქი? ვის არ მოხვედრია ამ ცელქობისათვის? შეიძლება, ბოცვაძე დააძინა ამ მოთხრობამ, ბავშვს კი არ დააძინებს ისეთი მოთხრობა, რომელშიაც მათი საკუთარი თავგადასავალია აღწერილი. გარდა ამისა, ზნეობრივი აზრიც კარგი აქვს ამ მოთხრობას: მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ბავშვებმა მიზანს მიაღწიეს. ამგვარი მაგალითებით შეგიძლიათ ჩააგონოთ ბავშვი, რომ ის დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს, ხოლო მიზანი ყოველთვის კეთილი უნდა იქონიოს და მისკენ მიისწრაფვოდეს. მაგრამ დედაზრი თუ ავტორის მიერვე არ არის ლექსის ამ მოთხრობის ბოლოში გამოთქმული, ბ. ბოცვაძე მის ახსნას არ დაგიდევთ.

*

შესანიშნავი ადამიანების ბიოგრაფიაში ბოცვაძე ყველაზე მეტ მნიშვნელობას ბავშვებისათვის იმგვარ ცნობებს აძლევს, რომლებიც გვატყობინებენ შესანიშნავი ადამიანის ბეჯითობას, გულკეთილობას და სხვ.

„პატარა მკითხველებმა ამ მხრივ უნდა გამოიჩინონ მიმბაძველობაო". ბევრნაირი აზრი არსებობს შესანიშნავი პირების ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ. ბ. ბოცვაძეს ვეთანხმებით, რომ ბავშვებში მიმბაძველობის ინსტინქტი ძლიერია, სხვადასხვა მისაბაძავი მაგალითები ბიოგრაფიებში პატარა მკითხველზე გავლენას იქონიებენ, მაგრამ იმდენს კი არა, როგორც ბოცვაძეს ჰგონია. თუ ბავშვი ცუდმა

აღზრდამ და მემკვიდრეობამ გააზარმაცა, ათასი უჩიჩინო: პატარა კოლუმბი, პატარა გარიბალდი ბეჯითი იყვნენო, ამით მას ვერ გააბეჯითებთ. ამგვარ მაგალითებს შეუძლია სარგებლობის მოტანა მხოლოდ მაშინ, როცა რიგიანი აღზრდა და მემკვიდრეობა მას ხელს უწყობს. თუ უკანასკნელი პირობები დაცული არ არის, მაშინ ამგვარ ბიოგრაფიულ ცნობებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ. როცა უმთავრესი ყურადღება აღზრდას ექნება მიქცეული, მაშინ მისაბაძი მაგალითებიც ჰპოვებენ ნიადაგს ბავშვის ბუნებაში. ბიოგრაფიის უმთავრესი მნიშვნელობა არც ამაშია. ბიოგრაფიების დახმარებით აღმზრდელმა უნდა ჩაუნერგოს ბავშვს ის აზრი, რომ ადამიანის ღირსებისათვის მარტო სმა-ჭამა და ძილი კი არ არის საჭირო, არამედ შრომა თავისთვის და სხვისთვის. გარდა ამისა, ყოველი გონებაგახსნილი ადამიანი ზნეობრივად ვალდებულია იცნობდეს იმ პირებს, რომლებმაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას; ამგვარი შრომა კი შესაფერისია ბავშვის გონებისათვის. დასასრულ, როდესაც ბავშვი რომელიმე შესანიშნავი პირის ბიოგრაფიას კითხულობს, უსათუოდ შეიძენს ცოტაოდენ ცოდნას ისტორიიდან, ან მეცნიერებიდან. მაგალითად: როცა ბავშვი კითხულობს კოპერნიკის ბიოგრაფიას, ის გაიგებს, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს; გლადსტონის ბიოგრაფიიდან გაიცნობს ინგლისსა და მის ცხოვრებას და სხვ. ბიოგრაფია წაახალისებს ყმაწვილს და ამგვარი ცოდნის შეძენას გაუადვილებს; ეს კი ფრიად სასარგებლოა.

ბ. ბოცვაძე გაკვრით ეხება ფიზიოლოგიურ წერილებსაც. პირველ წერილში კითხულობს: ყოველგვარი სიცოცხლის უკანასკნელი მიზეზი ჩვენ დედამიწაზე არის მზეო; არ მოსწონს და ამბობს: „ვთქვათ, ეგ ყველა კარგია, მაგრამ ფრიად განყენებულად არის ნათქვამი, თითქოს დაჯერების მეტი არაფერია საჭიროო“. ეს „ვთქვათ“, აი, რას ნიშნავს, მკითხველო, ტყუილია, ვითომ ყოველგვარი სიცოცხლის უკანასკნელი მიზეზი დედამიწაზე მზე იყოს, მაგრამ, მართალიც რომ იყოს, განყენებულად არის ნათქვამიო. რომ ბ. ბოცვაძე ამ აზრის არის, ამას ქვემოთაც დავინახავთ. თუ ყოველი სამეცნიერო წერილის მხოლოდ თავსა და ბოლოს წაიკითხავთ, ბ. ბოცვაძე, რასაკვირველია, დასკვნა ყოველთვის განყენებულად მოგეჩვენებათ. თორემ მთელი პირველი წერილი მხოლოდ ამ აზრის დამტკიცებაა. მეტი არაფერი. იქ აწერილია, რომ ცხოველებს უმცენარეოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ, მცენარეებს უმზეოდ; აქედან ყველასათვის ცხადია, რომ უმზეოდ დედამიწის ზურგზე სიცოცხლე წარმოუდგენელია. ბ. ბოცვაძემ მზიდან დაიწყო და შემდეგ ერთბაშად შემოგვაჩეჩა: სიცოცხლე რთული საგანია; ჩემი თუ არ გჯერათ, აი, ავტორი-

ტეტიო. ავტორიტეტის სიტყვებს იმოწმებს ბოცვაძე და გვიმტკიცებს: აი, სიცოცხლე რა რთული მოვლენა ყოფილა: შენი ფიქრით კი. მისი მიზეზი მზე არისო! აბა კრიტიკაც ამას ჰქვიან! ერთი მიბრძანეთ. ბ. ბოცვაძე, რისთვის ან ვისთვის დაგჭირდათ იმის მტკიცება, რომ სიცოცხლე რთული მოვლენაა: ამის წინააღმდეგი რა ნახეთ პირველ ფიზიოლოგიურ წერილში? თქვე დალოცვილო, „ივერია" კიდევ მოგიცდიდათ და ჯერ თქვენ თვითონ რომ გაგეგოთ, რასაც კითხულობთ. არ არჩევდით, საკუთარ რიტორიკაში გზა აღარ დაგებნეოდათ. როგორც ზემოთ დავინახეთ, ბოცვაძეს არ სჯერა, რომ დედამიწის ზურგზე სიცოცხლის საბოლოო მიზეზი მზე არის, მაგრამ თავისი ურწმუნოება პირდაპირ ვერ აღიარა; ვაითუ სიცრუე გამოდგესო. გადაჩხრიკა ლეგროკლერკი და ამოიკითხა: სიცოცხლე რთული მოვლენა არისო და გაგვისწორა შეცდომა. ცოტა რომ დაფიქრებულიყო ბ. ბოცვაძე, ლეგროკლერკის შეწუხება აღარ დაჭირდებოდა. ჩვენც მის ლოგიკაში და ელემენტალური სამეცნიერო ჭეშმარიტების ცოდნაში ეჭვი არ შეგვეპარებოდა.

ბოცვაძემ ლეგროკლერკის ავტორიტეტით შეგვაშინა, მაგრამ ტყეილა გაისარჯა და ავტორიტეტის სიტყვებიც ვერ გაიგო. ავტორიტეტს ჩვენც გამოვჩხრეკდით როგორმე, შეიძლება უკეთესსაც, ვიდრე ბოცვაძე, რომელსაც ყოველი პროფესორი ავტორიტეტი ჰგონია, მაგრამ ზემოთმოყვანილი აზრი, რომლის ჭეშმარიტებაში ბოცვაძეს ეჭვი შეჰპარვია. იმდენად ცხადია ყველასათვის, რომ მისი მტკიცება და ავტორიტეტების შეწუხება სწორედ სამარცხვინოდ მიგვაჩნია.

როდესაც ბ. ბორცვაძე ლექსებსა და მოთხრობებს არჩევს, უმთავრეს ყურადღებას გრამატიკას აქცევს, დანარჩენის დასაფასებლად კი ცხონებული სუმაროკოვის კლასიფიკაციით ხელმძღვანელობს. სხვადასხვა პოეტურ ნაწარმოებებს სუმაროკოვი რამდენსამე რიგად ჰყოფდა: ერთს უწოდებდა მშვენიერს, მეორეს ფრიად კარგს, მესამეს კარგს და ბოლო რიგში ათავსებდა ისეთ თხზულებებს, რომელთა შესახებაც სათქმელი არაფერი მაქვსო. ბოცვაძეც ასე ირჯება: ზოგს უწოდებს ძალიან კარგს, ზოგს „რიგიანია", „არა უშავს რა" და სხვ. თუმცა ბ. ბოცვაძე პირდაპირ არ გვიცხადებს, მაგრამ „ჯეჯილის" VII და VIII ნომრის გარჩევა გვიმტკიცებს, რომ თარგმანებს ის ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს. რატომ? იმიტომ, რომ თარგმანებში ქართული ბუნება და ქართული სახელები არ არის! ნუთუ რობინზონს, ანდერსენის ზღაპრებს და სხვ. ქართველი ბავშვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება? ნუთუ ასე ძნელი ასახსნელია ბავშვებისათვის, რომ უცხოელები სხვანაირ

სახელებს ხმარობენ, ვიდრე ჩვენ? ამის მიხედვით ბოცვაძე კიცხავს „პატარა პუმის თავგადასავალს“, რადგანაც იქ სულ უცხო სახელებია, გარდა მარინესი. ვინც ეს მოთხრობა დაწერა, რომ სცოდნოდა ქართველი კრიტიკოსის ახირებული ხასიათი, უსათუოდ ქართულ სახელებსაც დაარქმევდა თავის გმირებს! კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ერთს მაინც დაარქვა მარინე; მაგრამ ავტორს გასამართლებელი საბუთი აქვს. ის უსათუოდ ფიქრობდა: ქართველ პედაგოგებში არ იქნება ისეთი ლაყეთავიანი, რომ ყმაწვილებს ვერ აუხსნას, პუმი და ფრიმანი ადამიანებს ჰქვია, თუ კატებსო. ბოცვაძის სიტყვებით, ამ მოთხრობაში არც ერთი რიგიანი ტიპი არ არის გამოყვანილი. ეტყობა, მას მოთხრობა მხოლოდ გადაუთვალიერებია, თორემ დარწმუნდებოდა, რომ პუმი ნამდვილი ტიპია და მოთხრობის ერთი უმთავრესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ პუმი საუცხოოდ არის დახასიათებული: ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მოძრაობა ახასიათებს ექვსი წლის ბავშვებს. მეორე ღირსება მოთხრობისა მისი ცოცხალი ენა და აღწერილობაა; მარტო ეს საკმარისია, რომ ის ბავშვებისათვის შესაფერ მოთხრობად ვიცნოთ. თუ ეს უკანასკნელი ღირსება ქართულად ნაკლებად არის დაცული, ეს მთარგმნელის ბრალია და არა ავტორის. მოთხრობა ფრანგულიდან არის თარგმნილი და ასე ცოცხალ მოთხრობას საყმაწვილო ლიტერატურაში იშვიათად შეხვდებით. ქართული თარგმანის მიხედვით, მისი გაკიცხვა მოუფიქრებელ საქციელად მიგვაჩნია: ვინც დედანს თარგმანით აფასებს, მას ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს.

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ სანამ დავაბოლოებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველს ჩვენი აზრი გავუზიაროთ საყმაწვილო ჟურნალის შინაარსის შესახებ. სხვა ქვეყნებში, სადაც მკითხველი ბევრია, შესაძლებელია და საჭიროც არის რამდენიმე საყმაწვილო ჟურნალის არსებობს: ზოგი უფრო პატარა ბავშვებისათვის არის დანიშნული, ზოგი უფრო მოზრდილი ყმაწვილებისათვის და სხვ. ჩვენში კი ჯერჯერობით ერთმა საყმაწვილო ჟურნალმაც თუ იხეირა, ესეც დიდი ამბავია. ამიტომ ჩვენი საყმაწვილო ჟურნალი იძულებულია, ყველა წლოვანების ბავშვი დაკმაყოფილოს რვა წლიდან მოკიდებული თოთხმეტ წლამდე. რა მიზანს უნდა მისდევდეს საყმაწვილო ჟურნალი? მან ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების აღზრდას და განათლებას; ამიტომ შინაარსიც მიზნის შესაფერისი უნდა ჰქონდეს. ბავშვის აღზრდაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შთაგონებას და მიმბაძველობას; ხოლო ჩვენ აქ ჰიპნოტური შთაგონება არა გვაქვს სახეში. გიუ-

ოს და ვუნდტის განმარტებით, შთაგონება არის ისეთი რწმენის გადაცემა, რომლის მოტივებიც ჩვენგან დაფარულია და რომელიც განხორციელებისაკენ მიისწრაფვის. ცნობილია, რომ მიმბაძველობა ბავშვის ბუნებაში ძალიან არის განვითარებული; ის ცდილობს ყოველი მაგალითის წაბაძვას; ყოველგვარი რწმენა იმორჩილებს მას, მით უმეტეს რომ მოტივების გამორკვევა და აწონდაწონა ბავშვს არ შეუძლია; ყოველ ამგვარ რწმენას ბავშვისათვის შთაგონების ხასიათი ექნება, მაგრამ ეს შთაგონება უბრალო დარიგებაში, ან დასჯაში არ უნდა იხატებოდეს. საყმაწვილო ლიტერატურა არის მძლავრი საშუალება, რომელიც შთაგონებით მოქმედებს ბავშვზე; შთაგონებას კი შედეგად მოსდევს მიმბაძველობა. საყმაწვილო ჟურნალში შთაგონება ხელოვნურ ფორმაში უნდა იყოს ჩამოსხმული; მისი შინაარსიც სამ ნაწილად უნდა იყოს დაყოფილი: მოთხრობები, ლექსები, იგავები და ზღაპრები. ამ ნაწილს შეუძლია, შთაგონებით იმოქმედოს ბავშვზე და მის აღზრდას ხელი შეუწყოს.

პირველი ნაწილის ყოველი ნაწარმოები მარტივად და ადვილგასაგებად უნდა უხატავდეს ბავშვს ისეთ მაგალითებს, რომლებსაც მან ან უნდა წაბაძოს, ან არა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საყმაწვილო მოთხრობები მცირეოდნად ტენდენციური იყოს; ხოლო ტენდენცია ისე არ გვესმის, ვითომ ავტორმა თვითონ უნდა შეთხზას ის, რაც ცხოვრებაში შეუძლებელია. ყოველი მოთხრობა, რომელიც ისეთ სურათს ხატავს, რაც ცხოვრებაში ხდება, მაგრამ იშვიათად,—ტიპს არ შეადგენს, ტენდენციის ელემენტებს შეიცავს უსათუოდ. რვა წლის ყმაწვილს სანამ ლიტერატურით აღზრდიდეთ, ჯერ კითხვა უნდა შეაყვაროთ, განყენებულ აზროვნებას შეაჩვიოთ. ამიტომ საყმაწვილო ჟურნალმა ადგილი უნდა დაუთმოს ისეთ მოთხრობებსაც, რომლების უმთავრესი ღირსება ცოცხალი ენა და სახალისო სურათებია. მოთხრობას შეუძლია მეცნიერული ცოდნაც შესძინოს ბავშვს; ამის მაგალითს გვიჩვენებს ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი საყმაწვილო მოთხრობა.

მეორე ნაწილი საყმაწვილო ჟურნალისა უხდა შეიცავდეს: ისტორიას, ეთნოგრაფიას, მოგზაურობას და ბიოგრაფიას. ამ ნაწილს ექნება ორგვარი მნიშვნელობა: ერთი მხრით, უჩვენებს ბავშვს წასაბაძ ან გასაკიცხ მაგალითებს, მეორე მხრით, სხვადასხვა საჭირო და ელემენტარულ ცოდნას შესძენს:

მესამე ნაწილი დათმობილი უნდა ჰქონდეს ბუნებისმეტყველებას: ბოტანიკას, ზოოლოგიას, ფიზიოლოგიას, ასტრონომიას, მარტივ ფიზიკურ კანონებს და გეოლოგიას. მესამე ნაწილის მნიშვნელობა

მხოლოდ ის იქნება, რომ ბავშვს სხვადასხვა ელემენტარული ცოდნა შესძინოს. საყმაწვილო ჟურნალი უნდა აძლევდეს ბავშვს ჭეშმარიტ ცოდნას, მასში არ უნდა ჰქონდეს ადგილი დათმობილი არაფერს, რაც მარტო რწმენაზე არის დამყარებული. კრიტიკას და სკეპტიციზმს ბავშვის ბუნებაში კი არ უნდა ვახშობდეთ, არამედ უნდა ვავითარებდეთ...

ქალების ემანსიპაციის საშინელი მტრებიც კი აღიარებენ, ბავშვის აღზრდა და პირველდაწყებითი განათლება ქალს უფრო შეუძლია, ვიდრე მამაკაცსო. საუკეთესო ასპარეზს ამ მხრივ ჩვენი ქალებისათვის საყმაწვილო ჟურნალი უნდა წარმოადგენდეს. „ჯეჯილში" კი ქალები ძალიან მცირე მონაწილეობას იღებდნენ აქამდის. რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება? ერთი მხრით, სიზარმაცეს, მეორე მხრით, იმ გარემოებას, რომ საყმაწვილო ჟურნალის სარგებლობა შეგნებული არა გვაქვს. რასაკვირველია, კარგი მოთხრობებისა და ლექსების დაწერას საამისო ნიჭი უნდა, რომლის უქონლობისათვის ვერავის ვერ გავკიცხავთ, მაგრამ დანარჩენი მასალის მიწოდებისათვის მხოლოდ სურვილი. საქმის სიყვარული და სარგებლობის შეგნებაა საჭირო. ანდერსენის ზღაპრების გადმოთარგმნა არც ერთი ქალისათვის არ შეადგენს საძნელო საქმეს, რომელიც კი რუსულში გავარჯიშებულია. მოგზაურობის, ეთნოგრაფიული წერილების გადმოთარგმნას, კომპილაციურად მოკლე ბიოგრაფიების, ასტრონომიული, ზოოლოგიური და სხვ. წერილების შედგენას ყოველი ქალი შესძლებს, რომელსაც საშუალო სასწავლებელი დაუმთავრებია. ამგვარი შრომა ჩვენში ბევრ ქალს შეუძლია და, თუ შრომის სურვილი ძალიან ცოტას აქვს, მგონი, საყვედურის მეტი არავის გვმართებს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დღესდღეობით იმგვარ პირობებშია, რომ ყველასაგან უანგარო შრომას მოითხოვს, და, ვის სინდისსაც ხავსი არ მოჰკიდებია, ზნეობრივად ვალდებულია. ამ უანგარო შრომაში მონაწილეობა მიიღოს.

1899 წ.

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა *1898* წელს

ბუნებისა და სიცოცხლის საიდუმლოება უძველესი დროიდან იქცევდა ადამიანის ყურადღებას, მრავალი წლის ფიქრისა და კვლევის შემდეგ ფილოსოფოსთა შორის თანდათან დამყარდა ის აზრი, რომ არსებობს მატერია და სული; მატერია სულის მორჩილია. ჩვენი ფსიქიური მოქმედება შედეგია სულისა და არა მატერიისაო. ზოგიერთი იმასაც კი ქადაგებდა, ნამეტურ, სასულიერო პირებიდან, რომ მხოლოდ სული არსებობს და მატერია კი მისი ქერქი არისო. აქა-იქ თითო-ოროლა პირს თუ შეეპარებოდა ეჭვი ასეთი დუალიზმის შესახებ; თავისი აზრის ხმამაღლა გამოცხადება ხშირად ძნელდებოდა, რადგანაც სამართალი და ძალა სამღვდელოების ხელში იყო... თანდათან განვითარდა ბუნებისმეტყველება; მატერიის თვისება და კანონები, რომლებსაც ის ემორჩილება, უფრო და უფრო გამოირკვა; ყველა ამან კი იდეალურ შეხედულებას ნელ-ნელა ძირი გამოუთხარა. ეს დავა ჯერაც არ გათავებულა და, ვინ იცის, როდის გათავდება, ხოლო მეცნიერთა უმეტესობამ უარყო დუალიზმი და აღიარა მონიზმი ე. ი. მხოლოდ მატერიის არსებობა. ისინი ამბობენ: მთელი ჩვენი ფსიქიური მოქმედება შედეგია მატერიის და სხვა არაფრისო. ჩვენში მატერიას გარდა არ არსებობს არაფერი, რასაც დამოუკიდებლად, თავისთავად განვითარება შეეძლო; ფიქრობს და აზროვნებს თავის ტვინი, მასალას კი თავის ტვინს გარეშე ცხოვრება აძლევსო. ამიტომ, კერძო პირისა და მთელი ხალხის ფსიქოლოგიაც რომელიმე ხანაში შედეგი უნდა იყოს ცხოვრების პირობების და, რადგანაც ცხოვრება თანდათან ვითარდება, იცვლება და წინ მიდის ხალხის ფსიქოლოგიაც უსათუოდ უნდა იცვლებოდეს. ყოველი ადამიანის იდეა ნაყოფია ცხოვრების; ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა დროს სულ სხვადასხვას შესტრფოდა ადამიანი. გენიოსიც ისეთივე ნაყოფია ცხოვრების, როგორც უბრალო მოკვდავი; ვოლტერი, კენე, მონტესკიე, დალამბერი, ჰოლბახი და სხვ., მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწენი, პიროვნების განთავისუფლების და ავტორიტეტის უარყოფისათვის იბრძოდნენ. ისინი რომ ორი საუკუნით ადრე დაბა-

დებულიყვნენ, ეჭვს გარეშეა, მაშინ ყველა ავტორიტეტის მომხრე იქნებოდა. ამგვარად. თუ ადამიანის ფსიქიკა ნაყოფია ცხოვრების. ლიტერატურაც. როგორც მწერლის, და ხშირად. მთელი ხალხის ფიქრი. გრძნობა და სურვილი, იმავე ცხოვრების ნაყოფი უნდა იყოს. შეისწავლეთ ლიტერატურა და მით გაითვალისწინებთ ხალხის ფსიქოლოგიას და მის ცხოვრებას; შეისწავლეთ ცხოვრება და შეუმცდარად იტყვით. რანაირი უნდა ყოფილიყო ასეთ ცხოვრებაში ხალხის ფსიქოლოგია და მისი ლიტერატურა. მე მსურს, თვალი გადავავლო ჩვენი წარსული წლის ლიტერატურას და დავანახო მკითხველს: რას გვეუბნებოდა წარსული წლის სახელოვნო ლიტერატურა ჩვენი ცხოვრების შესახებ. რას გრძნობდა და ფიქრობდა მწერალი და ხალხი. რომელსაც მწერალი გვიხატავდა და რა დაგვიტოვა სასიცოცხლო შარშანდელმა ლიტერატურამ...

თავდაპირველად, აზრად გვქონდა, მწერლები დაგვეყო იმისდა მიხედვით, თუ რას გვიხატავდნენ და როგორ გვიხატავდნენ, მაგრამ რადგანაც თითქმის ყველა ერთსა და იმავეს კითხულობს ჩვენ ცხოვრებაში, ამიტომ ამგვარი დაყოფა საჭირო არ არის. ცალკ-ცალკე გადავათვალიერებთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას და ვეცდებით გამოვარკვიოთ ის, რაც თავში მკითხველს აღვუთქვით. დავიწყოთ „ივერიიდან". „ივერიის" ფურცლებზე წარსული წლის განმავლობაში ყველაზე უფრო ნაყოფიერი ბელეტრისტი ე. მ-შვილი [1] იყო. ჯერ დაიბეჭდა მისი სურათი „ვისი ბრალია?!" ბ. შ. არაგვისპირელს ჩვენ მწერლობაში ძალიან ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა; ხოლო ეს მიბაძვა ჯერჯერობით სათაურს არ გაცილებია. ე. მ.-შვილს სურათი აღებულია მეთამბაქოების ცხოვრებიდან. ჩვენ პირდაპირ აღვნიშნავდით, თუ რად მიიქცია ამ სურათმა ჩვენი ყურადღება, მაგრამ რადგანაც მკითხველს შეიძლება დავიწყებული ჰქონდეს, ამიტომ შინაარსის გადმოცემა აუცილებლად მიგვაჩნია. მეთამბაქოე კიკო გაიძვერაობით, გაუტანლობით. მოტყუებით და სხვა ხერხებით გამდიდრდა და ყველა მეთამბაქოე ხელში ჰყავს ჩაჭერილი; მის გვერდით ცხოვრობს მისი შორეული ნათესავი თომა. ღარიბი მეთამბაქოე. კიკოს ეზოს გაფართოება უნდა და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობს. რომ თომა არეკოს როგორმე. მაგრამ ვერაფერს ხდება. თომას ჰყავს და. რომელსაც ცოლად თხოულობს მეთამბაქოე სოსიკო, მაგრამ თომა უარს ეუბნება: „შენისთანა ლაწირაკს დას არ მივათხოვებო". სოსიკას თავმოყვარეობა შელახულია; ის ცდილობს, თომას რითიმე გადაუხადოს სამაგიერო. და მალე შემთხვევასაც ხელს უწყობს. სო-

---

[1] ეგნატე მენთეშაშვილი.

ფელში გაიგეს, ქალაქში ნასწავლ ხალხს მოუნდომებია, ჩარჩებისაგან დაგვიხსნას და საწყობი დაგვიარსოსო. სოფელში უნდა მომხდარიყო ყრილობა, ამოერჩიათ კაცები და ქალაქს გაეგზავნათ თავისი გაჭირვებული მდგომარეობის შესატყობინებლად. თომამ ყრილობის ამბავი კიკოს არ გააგებინა, რადგანაც სოფლელები დაარწმუნა: კიკო საქმეს ჩაგვიშლისო. სოსიკამ ისარგებლა ამ შემთხვევით და კიკოსთან თომა დაასმინა. გაბრაზებულმა კიკომ გასწია ქალაქისაკენ. მოიყვანა სომეხი ვაჭარი და მთელი სოფლის თამბაქო აყიდვინა, თომას თამბაქოს გარდა. თომას ცალკე მოვალეები აწუხებენ. ცალკე ქორწილი ეჩქარებოდა, რადგანაც წელიწადია, დანიშნული იყო; ფული კი არ ჰქონდა. წაიღო ქალაქს თუთუნი, მაგრამ ვერც იქ გაყიდა; გაბრაზებულმა გამოსწია სოფლისაკენ და კიკო მოკლა. ავტორი არ გვიხასიათებს სრულიად არც თომას, არც სოსიკას; ყველაზე უკეთ ისევ კიკოა დახასიათებული. მოთხრობა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ სურათს; ავტორმა შენიშნა ეს სურათი და, თუმცა რელიეფურად ვერ დაგვიხატა, მაგრამ დაახლოებითი წარმოდგენა მაინც მოგვცა იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ჩვენი სახელოვნო ლიტერატურა, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას გვიხატავს, საკმარისად გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება იშლება, ირღვევა. ის დამოკიდებულება, რომელიც სუფევდა სხვადასხვა წოდებას შუა, ისპობა და წოდებებიც თავის სახეს კარგავენ. ამღვრეული ცხოვრების მორევში ნელ-ნელა იშლებიან. ამ მხრივ ჩვენმა მწერლებმა შრომა გაინაწილეს და სხვადასხვა წოდებას ჩაუკვირდნენ. რამდენადაც მახსოვს, ჯერ გიორგი წერეთელმა დაგვანახვა, რომ, აზნაურობის ცხოვრება იშლება; მალე ნინოშვილმა საუცხოოდ დაგვიხატა, თუ რამდენად გამოეცალა ჩვენი გლეხობის და აზნაურობის ძველ ცხოვრებას ნიადაგი; ლალიონმა გაგვაცნო, რა ტიპები დაბადა ახალმა ცხოვრებამ; ახლა ბ. დ. კლდიაშვილი და ან. ერისთავი საუცხოოდ გვიმტკიცებენ თავადაზნაურობის ცხოვრების შერყევას და „მოლიპულ გზაზე" დაქანებას. ამასთან, ჩვენი ლიტერატურა გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება ირღვევა ისე, როგორც ირღვეოდა დასავლეთ ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტის დასაწყისს.

ჩვენი ძველი ცხოვრების ნანგრევებზე თანდათან შენდება ისეთი სოციალური ცხოვრება, როგორიც არის დასავლეთ ევროპაში. რამ შეცვალა ევროპის ცხოვრება? კაპიტალისტურმა წარმოებამ. რა ცვლის დღეს ჩვენ ცხოვრებას? აშკარაა, იგივე პროცესი. კარგია ეს მოვლენა თუ ცუდი? ამას ჩვენი ლიტერატურა არ გვეუბნება: ის მხოლოდ ხატავს მას, რაც დღეს ჩვენს ცხოვრებაში ხდება. ე. მ. —

შვილის „ვისი ბრალიაც?“ მოწამეა ასეთი პროცესისა ჩვენს ცხოვრებაში. კიკოსთანა პირებს ჩვენი ძველი ცხოვრება არ იცნობდა. ის ნაყოფია ამ პროცესის, რომელმაც ძველ წყობილებას ბრძოლა გამოუცხადა და კიკოს პირით დამარცხება უწინასწარმეტყველა. კიკო იყო ერთი ღარიბი გლეხი ამ თორმეტი წლის წინათ. დღიურად სხვას ემსახურებოდა და ამით ირჩენდა თავს. კიკო ხედავდა, რომ ცხოვრება მისი იყო, ვისაც ფული ჰქონდა, და ამიტომ ფულის შეძენის სურვილი მასაც დიდი ჰქოსდა; მაგრამ რა ექნა. რაობით შეეძინა ფული? საცოლო ბიჭი იყო, შეეძლო მზითვიანი ქალი შეერთო და ამით შეეძინა ფული, მაგრამ კარგ ქალსაც და მზითევსაც მას არავინ მიცემდა: ან კარგი ქალი და უმზითვო, ან მზითევი და უხეირო ქალი! რომელს ირჩევს კიკო? კიკოს თავდაპირველად ფული უნდა და, სადაც ფული იქნება, მისი სურვილიც იქით გადაძლევს. ამიტომ რანაირი ქალიც უნდა ყოფილიყო, შეირთავდა, ოღონდ მზითევი კი ჰქონოდა. ოცდათხუთმეტი წლის ქალი რომ ოცდაოთხი წლის ვაჟს შეაძლიოთ ჩვენი სოფლის ხალხში, დიდ გალანძღვად მიიღებს; კიკომ კი შეირთო მზითვის გულისათვის ოცდათხუთმეტი წლის ტასო ამ დღიდან დაიწყო საკუთრად თამბაქოს თესვა; ვაჭრებსა და ხალხს შუა შუამავლობას მოკიდა ხელი; ქრთამს იღებდა და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ქისაც გაეზარდა, თვითონაც გასუქდა, დაინათლიავა ვაჭარი გეურქა, და ამის შემდეგ სოფლის სრული ბატონი გახდა. აიშენა საუცხოო სახლი და მდიდრულად მოაწყო; უჩაიოდ ახლა ვეღარ ძლებს, შავ მაუდგადაკრული ქურქი წამოისხა. სოფლელების თამბაქოს კიკო და მისი ნათლია ყიდულობდენ სულ იაფად და თვითონ ერთიორად ყიდიან. სოფლელები ყოველსავე ამას ხედავენ, მაგრამ ბოღმას გულში იკლავენ მაშ, რა ქნან? მათ ფული ჭირდებათ, ნახევარი მათგანი კიკოს ფულით აკეთებს თამბაქოს; იციან, რომ გაჭირვების დროს ისევ კიკოს უნდა მიმართონ. სხვას სული არავის უდგას, რომ მათ ხელი მოუმართოს და ამიტომ იძულებული არიან კიკოს ტკბილი სიტყვის მეტი არაფერი გააგონონ. სოსია თითქოს გამბედავი გლეხია სოფელში, მაგრამ ისიც კი ვერას უბედავს კიკოს, რადგანაც იცის. რომ ტყვილა თავს დაიღუპავს და კიკოს ვერას დააკლებს. ამგვარად, სოფლელებმა იციან, რომ კიკო ატყავებს მათ, მაგრამ მაინც მისი მორჩილი უნდა იყვნენ. რადგანაც უიმისოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. ცხოვრება ისე მოეწყო, რომ კიკო აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სოფლისათვის; თუმცა ყველა დარწმუნებულია, რომ კიკო მათ ღუპავს, მაგრამ ამავე დროს კიკოს იქით გზა არა აქვთ. კიკო ჭირს შეადგენს, მაგრამ ისეთ ჭირს. რომელიც აუცილებელია, საჭიროა. მოთხრობაში საყურადღებო ის

არის, რომ თუმცა კიკო ქართველი გლეხია, გეურქა კი სომეხი, მაგრამ საერთო ინტერესებმა ორივე შეაერთა. სოფელში რომ ყოფილიყვნენ სომეხი მეთამბაქოები, უეჭველია, თავის სისხლს გეურქას არ მიემხრობოდნენ, არამედ დანარჩენ ქართველებთან გაიყოფდნენ ბედსა და უბედურებას, ავტორმა თვით ცხოვრებაში დაგვანახვა, რომ ქართველებს და სომხებს შორის თუ მტრობაა, ეს მტრობა ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენდა და აუცილებელიც არის, სანამ მიზეზი იქნება; მოსპეთ მიზეზი, მტრობაც თავისთავად მოისპობა. მაგრამ ცხოვრება ამ მიზეზს კი არ სპობს, უფრო აძლიერებს. დღეს თვით ჩვენს ხალხში ჩნდებიან გეურქასთანა პირები და მიუხედავად თავისი ქართველობისა, გეურქებზე უკეთესად ფცქვნიან ხალხს და თავს აძულებენ მას.

*

მწერლობაში ჩვეულებად არის გადაქცეული ახალწელიწადს და აღდგომა დღეს დღეის შესაფერი მოკლე ამბების დაწერა. ერთი ასეთი სააღდგომო სურათი იყო „ივერიაში“ ი. ო-სი „ქრისტე აღსდგა, დედა!“ სამი თვეა, დედა ავად არის; აღდგომის ღამეს მამა თავისი პატარა ქალებით ელოგიაზე წავიდა; როცა ეკლესიიდან დაბრუნდნენ, პატარა ქალი გაექანება დედის ოთახისაკენ და წითელი კვერცხით აღდგომას ულოცავს; მაგრამ დედა მკვდარია. სურათი მეტად გრძნობიერად არის დაწერილი, განსაკუთრებით, პატარა ბავშვების ბუნება, მათი ცელქობა და საუბარი ისეთი სინამდვილით და ცოცხლად არის დახატული, რომ ავტორს ნიჭი ეტყობა. ამ წელს რომ უფრო თამამად მოკიდებდეს კალამს ხელს და თან ცხოვრებას ჩაუკვირდებოდეს, უეჭველია, ჩვენ ლიტერატურას სარგებლობას მოუტანს.

„ივერიაში“ ვკითხულობთ შემდეგ ე. მ-შვილის ვრცელ მოთხრობას „ღმერთმა მისცეს მაგიერი“. ღარიბ გლეხს, გლახას, ქალი ჰყავს გასათხოვარი — კეკო, რომელსაც ქარუმა უყვარს. რადგანაც ქალი სიყვარულით იტანჯება, დედმამას უნდა გაათხოვოს, მაგრამ ფული არა აქვს. გლახას ძეძვიანი ადგილი ჰქონდა მოშორებით; იფიქრა, იმას მაინც გავყიდიო და წავიდა დასათვალიერებლად. მაგრამ მამული მის მდიდარ ძმას მიხას შემოეღობა. გლახა მივიდა მიხასთან და წაეჩხუბა. მიხამ იშოვა ცრუ მოწმეები და გლახა დააპატიმრებინა; ქარუმას მშობლებს შეუჩნდა და სხვა რძალი აშოვნია. კეკო ჯავრმა მოჰკლა. აი, მოკლე შინაარსი. მოთხრობა კარგია ხელოვნების მხრივ. მაგრამ გაცილებით უკეთესი, როგორც ჩვენი ცხოვრების ტიპიური სურათი. რასაკვირველია, მოთხრობისათვის ყოველგვარი თემა გამოდგება. ხოლო როდესაც ავტორი იღებს ისეთ სიუჟეტს, რომელიც

ცხოვრების ტიპიურ მოვლენას შეადგენს, ეს მის ნიჭს და ღრმა დაკვირვებას ამტკიცებს. თავდაპირველად მოთხრობისაგან ვითხოვთ ჩვენი ცხოვრების გადმოშლას. რა მხრივაც უნდა იყოს. მაგრამ ამავე დროს ის ხელოვნების ნიმუშსაც უნდა წარმოადგენდეს და არა ავტორის რეზონიორობას. როდესაც მეორე პირობა დაცული არ არის. მაშინ მოთხრობა თავისი მიზანს ვერ აღწევს. ხელოვნება იმაში მდგომარეობს, როდესაც ავტორი ნახულს ისე ხატავს, რომ ცხოველ და დამთავრებულ წარმოდგენას მოგცემსთ. და მის მიერ დახატული სურათი სინამდვილეს წააგავს. როდესაც მწერალი ისე ხატავს. როგორც ის ნამდვილად არ არსებობს, მაშინ მკითხველს უსათუოდ ეჭვი ებადება: შეიძლება ავტორის მიერ დახატული სურათი სრულებით გამოგონილი იყოს, ან სულ სხვა სახით არსებობდეს ცხოვრებაშიო. ე. მ.-შვილს ხელოვნების მხრივ ზოგიერთი ნაკლი ვერ აუცდენია; ჩვენ ჯერ ამ ნაკლოვანებას დავასახელებთ, შემდეგ ვიტყვით. რა მხრივ არის ეს მოთხრობა შესანიშნავი. მართალია, გლეხის ქალის გათხოვება დღეს იმრიგად აღარ წარმოებს. როგორც წინათ. როცა ქალმა ჯვრისწერის დღესაც არ იცოდა, მისი საქმრო ვინ იყო. მაგრამ გლეხის ქალი დღესაც მშობლების მორჩილია და ამიტომ მის გათხოვებაში სიყვარულს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. წინათ თუ გლეხი დედ-მამა ქალს არაფერს ჰკითხავდენ საქმროს შესახებ. დღეს ეუბნებიან: აი, შვილო, ესა და ეს კაცი გვეძლევა. მოგვწონს და შენც იფიქრეო. თუ მშობლებმა გულით მოინდომეს რომელიმე ყმაწვილი სიძედ, ქალს რომ ძალიანაც უყვარდეს სხვა, ის მაინც მშობლებს ემორჩილება. გაუთხოვარი ქალის სიყვარულს გლეხი ჯერ ეჭვის თვალით უყურებს; ის ფიქრობს; გათხოვდება. კიდეც შეუყვარდება: მანამდე სიყვარული რას მიქვიაო. ქალი იმ აზრშია აღზრდილი, რომ მისი გათხოვება მშობლების ნებაა, იცის, რომ, შეიძლება სულ სხვას მისცენ. ვიდრე იმას, ვინც უყვარს, ურიგდება ამ გარემოებას და თავის სიყვარულსაც ძვირად თუ ვისმე გაუმეღავნებს, ისიც ამხანაგს და არა მშობლებს. მისმა საყვარელმა პირმა სხვა რომ შეირთოს, ის იწუხებს, რასაკვირველია, მაგრამ ჯავრს რომ გადაჰყვეს, ეს შეუძლებელია: მისი ფიქრით, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მან ჯერ არ იცის, რომ მისი გათხოვება სრული მისი ნებაა და არა მშობლების კეკო ავტორს სუსტად ჰყავს დახასიათებული; ჩვენ მას გამბედავ და ენერგიულ ქალად სრულიად ვერ ვიცნობთ. ვერ ვხედავთ მასში ისეთ არსებას, რომელსაც შეუძლია, თავისი საწადელი ბოლომდე შეასრულოს, რაც უნდა დაუჯდეს; ამიტომ ვერც იმას დავიჯერებთ, რომ მას შეეძლოს, მშობლებს მოუყვეს: მე ქარუმა მიყვარს, და, თუ იმას არ მიმათხოვეთ, სიცოცხლეც არ მინდაო. წარმოიდგინეთ. ის

იმდენად აღარ მალავს თავის სიყვარულს, რომ მთელმა სოფელმაც კი იცის. მომავალში კეკო იზამს მას, რაც ახლა ავტორმა დასწამა, დღევანდელ კეკოს კი ამგვარი საქციელისათვის გამბედაობა, ხასიათის სიმტკიცე და თვით ცნობიერება არ შეწევს: ის ნელა-ნელა თავისუფლდება ძველი რწმენებისაგან, ეს რწმენები ახლა ირყევა, მათ დამხობამდე ჯერ კიდევ შორს არის; ის ბედავს სიყვარულს და ამით პროტესტს უცხადებს მშობლების სრულ უფლებას თავის გათხოვებაში; ხოლო სად თავდება ამ მხრივ მშობლების უფლებები და სად იწყება მისი, ეს ჯერ მან არ იცის და ამიტომ თავის სიყვარულსაც ვერ გამოამჟღავნებს. კეკოს სიკვდილი ხომ სრულიად ნაძალადევია: კეკოსთანა კი არა, იმაზე უკეთესი ქალები სიყვარულით არ კვდებიან; ბევრს იჯავრებენ, შეიძლება, ძალით თავი მოიკლან, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივი სიკვდილი არ არის: ზოგიერთ მწერალს წარმოდგენილი აქვს სიყვარულის სევდასაც თავისი ბაცილები აქვსო, რომლებიც ადამიანს არ გადაარჩენენ, თუკი ხელში ჩაიგდესო

ახლა ღირსებას შევეხოთ. როგორც პირველ სურათში, ამ მოთხრობაშიც ე. მ. -შვილმა დაგვიხატა, თუ როგორ იცვლება ძველ ნიადაგზე აშენებული სოფელი და მისი კუთვნილება — გლეხი. მდიდარი მიხა და ღარიბი გლახა, რომელსაც სხვის მოჯამაგირეობაში ხდება სული, ძმები არიან. გლახას დახასიათებას ჩვენ არ გამოვუდგებით: ის ერთი ღარიბი გლეხია, რომელსაც ყოველი მკითხველი იცნობს. ღარიბულ წნულში ცხოვრობს, ნახევარჯერ მშიერია: თავისი მოსავალი ზამთრობამდე არ ყოფნის; თუ ვალს იღებს, თუ დღიურ მუშაობაში წელებზე ფეხს იდგამს, თუ მოჯამაგირეობს და ამით იცდენს თავიდან შიმშილით სიკვდილს. მიხა კი მდიდარი გლეხია, მშვენიერი სახლი აქვს, ფართო ეზოთი შემოფარგლული; დილა-საღამოს ჩაი და სოფლის მოხელეების მეგობრობა! ერთ დროს მიხაც ღარიბი გლეხი იყო. მან იცოდა, რომ დღეს ფულია ბატონი და მისმა მთელმა მეცადინეობამ, ფიქრმა, სურვილმა, მოსაზრებამ, ნატვრამ —ამ ერთ ფოკუსში მოიყარა თავი. ოღონდ ფული კი შეეძინა და ყოველგვარ საძაგელ საქმეს ჩაიდენდა. მიხას თვით ცხოვრებამ მოუწყო ხელი. თორემ იდან ხომ არ ჩამოვარდნილა: ისიც გლეხი იყო, როგორც ყველა სხვა! როდესაც გლახას გაეყო, ქვითკირის სახლი მას დაუტოვა და სართათ ათი თუმანი აიღო; ეს ფული ავალა, აბარტყა; შემდეგ გამართა სავაჭრო დუქანი; თანდათან გამოიქნა ვაჭრობაში, ინსტინქტურად შეისწავლა. როგორც უნდა ატყაო ხალხი. რომ „ზაკონთანაც“ პირნათლად გამოხვიდე და ჯიბეც გაივსო. „უპატენტოთ“ არაყს ყიდდა, ყალბ ვექსილებს ადგენდა; ხელის მოწერა ოთხ-ხუთნაირად იცოდა, რომ შემთხვევის დროს თავის ნაწერზე

უარი ეთქვა. სოფელში მიხას დიდი გავლენა ჰქონდა. სოფლის მოხელეები მისი ყურმოჭრილი ყმები იყვნენ: რადგანაც მას ჯიბე ფულით ჰქონდა გატენილი, ბეღელი—სულადით, მარანი ღვინით. ღარიბ სოფელს ფულიანი კაცი ყოველთვის ჭირდებოდა; მოხელეები ყველაფერს უსრულებდნენ, რადგან მისგან ქრთამს გამოელოდნენ. გლახასთან შედარებით მიხა უზნეო და საძაგელ კაცად გვეჩვენება, მაგრამ, გარემოებას რომ ჩაუკვირდეთ, მიხას ბევრ ბრალს ვერ დავდებთ. ცხოვრება რომ შეიცვალა და ფული გაბატონდა, ეს ახლა ყველა გლეხმა იცის. ამ მოთხრობაში ქალებიც კი გაიძახიან, უწინდელი დრო აღარ არისო. თუ ავადმყოფობა გახშირდა და ღმერთიც მოსავალს აღარ იძლევა, ამასაც კი დროის შეცვლას აბრალებენ: ფულის გემო გლახამ მიხაზე ნაკლებ არ იცის; გარემოებას რომ ხელი მოეწყო და ფული ეგდო ჯიბეში, მიხაზე ნაკლები უზნეო და უსინდისო არც ის იქნებოდა; მიხა და გლახა კი არ არიან აქ დამნაშავე, არამედ თვით ცხოვრება. ცხოვრებამ ფული გააბატონა. მისი შეძენის სურვილი ყველას ძლიერი აქვს; მიხას გლახაზე მეტი თადარიგიანობა და გამჭრიახობა დაჰყვა, გარემოებამაც ხელი მოუწყო. გამდიდრდა და ახლა ის მთელი სოფლის ცხოვრების დარღვევას ხელს უწყობს. გლახა თანდათან ღარიბდება, მამული მას ოთხი თვის სარჩოსაც არ აძლევს, ნახევარჯერ დღიურ მუშად დგას. გაჭირვება ამ ორ კვალ მიწასაც გააყიდვინებს და მაშინ ხომ სრული მონა გახდება მიხასთანა პირების. ცხოვრება ყოფს ჩვენს ხალხს ორ ნაწილად: ერთს ფულს აძლევს, მეორეს თავის მკლავის ამარა ტოვებს; ადამიანი იმდენად გაუმაძღარია, რომ მიხამ რაც უნდა შეიძინოს, მაინც იმას ეცდება გლახას რასმე გამორჩეს. გლახა ითმენს, სანამ შეიძლებს. როცა ვეღარ შეიძლებს, მაშინ რაღას იზამს? როცა ჩვენი ცხოვრება იმდენად განვითარდება, მაშინ იგივე ცხოვრება გამონახავს გლახას ხსნის გზას. გლახამ მხოლოდ იმდენი უნარი უნდა გამოიჩინოს. რომ ეს გზა დაინახოს, მისი მნიშვნელობა შეიგნოს და მაგრად დაადგას ზედ ფეხი. გლახა ასეც მოიქცევა: ამის საუკეთესო თავდები მისი სიღარიბეა.

ყურადღების ღირსია ბ. გრ. ცენტერაძის „დესპინე და ნიკო". რომლის უმთავრესი საგანი სიყვარულია. ვინ არის სიყვარულის წინააღმდეგ? სიყვარული ადამიანის ბუნების აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგრამ რუსთველიც მართალია, როცა ამბობს: ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირადო. იმდენი მოთხრობა და რომანი დაწერილა და იწერება მხოლოდ სიყვარულის შინაარსით, რომ მკითხველს თავი აქვს მობეზრებული. ამგვარი მოთხრობა-რომანებისათვის სწორედ ახალი სერვანტესია საჭირო, რომ ამ რუ-

ტინას შეუბრალებელი სატირით ბოლო მოუღოს. ქართველ მწერალს, რომელიც მოთხრობის საგნად სიყვარულს ირჩევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავამართლებ, როცა ამ სიყვარულს მარტო სიყვარულისათვის კი არ ხატავს; არამედ სარგებლობს იმით, რომ ცხოვრებაში ჩაგვახედოს; ან ამ სიყვარულს ისეთ პირობებში აყენებს, რომლებიც ახალი ცხოვრების ნაყოფი არიან. „დესპინე და ნიკო“ აღებულია გურიის ცხოვრებიდან. აზნაურის ქალს, დესპინეს, უყვარს გლეხი ნიკო. როცა დესპინეს მამა არ თანხმდება და ხნიერი აზნაური მოყავს სიძედ, დესპინე თავს იკლავს. ამ სიყვარულმა ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ, ერთი მხრით, აზნაურის ქალია, მეორე მხრით, გლეხი ნიკო. ამგვარი სიყვარული ამ ოცდაოდე წლის წინათ ჩვენში შეუძლებელი იყო; დღესაც შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთ იმერეთში, რომელმაც ცხოვრების გზაზე დანარჩენ საქართველოს გაუსწრო. ზემო იმერეთში, ქართლში, კახეთში აზნაურის ქალმა რომ უბრალო სოფლის გლეხი შეიყვაროს და მისი ცოლობა მოინდომოს, შეუძლებელია. ამ კუთხეში ჯერ ამდენად არ გათავისუფლებულან ძველი რწმუნებისაგან ჩვენი აზნაურის ქალები. ნიკო შუამავალსაც კი უგზავნის დესპინეს მამას, ქაიხოსროს; ამ შუამავალსა და ქაიხოსროს ლაპარაკი ძალიან საყურადღებოა. ერთ დროს მდიდარი აზნაური ქაიხოსრო დღეს გაღარიბებულია; თავადებში დაეთრევა, რომ კუჭი გამოიძღოს. მაგრამ ამპარტავნობა მაინც ვერ მოუშორებია. ნიკოს ის ვერაფრით ვერ წუნობს; მხოლოდ ეს აფიქრებს: აზნაურმა ყაზახს როგორ მიეცე ქალი. შუამავალი დათია გლეხკაცია; ჯერ კიდევ სწამს, რომ აზნაურობა მაინც სხვაა, ვიდრე გლეხობა, მაგრამ ამავე დროს თამამად ამბობს: თავი და ბოლო საქმე კაცია. თუ კაცი ვარგა, ყველაფერს ჯობიაო. მან იცის, რომ „ახლა ძველი დროი არ არის“. თავადობამ და აზნაურობამ თავისი დრო და ჟამი მოჭამა და ახლა ნელ-ნელა იბარგება. ვინც მე არ დამაფასებს, არც მე დავაფასებ, გინდა თავადი იყოს, გინდა აზნაურიო, ამბობს დათია. ქაიხოსრო, როგორც ძველი დროის მოტრფიალე, დარწმუნებულია, რომ ქალის გათხოვება დედ-მამის ნებაა, ვისაც უნდა, იმას მისცემს, ასეც ირჯება და თავისი ქალის სიყვარულს ყურადღებას არ აქცევს. დათიაც ასე ფიქრობდა წინათ, ის არ კითხავდა თავის ქალს, მითხარი, ვინ გიყვარს, რომ მიგათხოვოო; დღეს კი ის ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ „უპირველესი საქმეა, ქალსაც და კაცსაც თუ ერთმანეთი მოწონს და უნდა“. დათია ადვილად ითვისებს ცხოვრებისაგან წამოყენებულ პროგრესულ აზრებს, ის წარსულს არ ეპოტინება, რადგანაც წარსულში მას ბევრი არაფერი დარჩენია; ქაიხოსროს კი წარსული ურჩევნია აწმყოს. არა-

ერთხელ მოიგონებს ხოლმე ხვნეშით წარსულ დროს. მის თვალში წარსული ჯობია აწმყოს და ამიტომ დაობებულ რწმენებსაც ვერ ტოვებს. დესპინეს ჯერ სავსებით ვერ შეუგნია თავისი უფლება: ხედავს, რომ მამას შეუძლია თავისი ნებით გაათხოოს ქალი, მაგრამ ამავე დროს სწამს, რომ მის სიყვარულსაც მნიშვნელობა აქვს; ის აცხადებს, მე ნიკო მიყვარს და სხვას არ წავყვებიო, მაგრამ ამავე დროს გრძნობს, რომ მამის უფლება ძლიერია. ის ჯერ ვერ დარწმუნებულა, რომ მისი გათხოვება სრული მისი ნებაა და ამიტომ მტკიცე პროტესტიც ვერ გამოუცხადებია მამისათვის: მას უნდა, მამას დაემორჩილოს, თავის უფლებაც დაიცვას, მაგრამ როდესაც ორი მოპირდაპირე უფლების შეთანხმება შეუძლებელი ხდება, დესპინე თავს იკლავს და ამით გვიმტკიცებს, რომ მისი უფლების შებღალვა მამის უსამართლობად მიაჩნია. ჩვენ სიხარულით ვეგებებით გურული ქალის ასეთ გათავისუფლებას და თავის უფლებათა შეგნებას; ხოლო მოთხრობაში ერთი გარემოება გვაკვირვებს: რად მოიკლა დესპინემ თავი, როდესაც მას გაქცევა შეეძლო? თავის მოკვლა უკანასკნელი საშუალება არის, შეიძლება ეს აუცილებელი იყო, მაგრამ ავტორმა არ დაგვანახვა, თუ დესპინეს ამის მეტი გზა აღარ დარჩენოდა. დესპინემ ერთხელ პაემანი დაუნიშნა ნიკოს და ღამით ინახულა; ჩვენ გვგონია, ასეთი გაბედული ქალი კიდევ დაუნიშნავდა ნიკოს პაემანს და შეეცდებოდა გაქცეულიყო, სანამ უკანასკნელ საშუალებას მიმართავდა. მაგრამ მაშინ აღარც დესპინე მოკვდებოდა. აღარც ნიკო გადაირეოდა; ჩვენი მწერლები კი დარწმუნებული არიან. მოთხრობა უსათუოდ უბედურებით უნდა დაბოლოვდესო. თუ თვით მოქმედების განვითარება ითხოვს უბედურ ბოლოს, მაშინ ასეთი დაბოლოება საჭიროც არის, როგორც მიზეზების აუცილებელი შედეგი; მაგრამ თუ მოქმედების განვითარება არ ითხოვს ისეთ ბოლოს, მაინცადამაინც სიკვდილი და გადარევა რა საჭიროა?! მთელი მოთხრობა დამთავრებულ სახელოვნო ნაწარმოებს წარმოადგენს. ფსიქოლოგიის მხრივ განსაკუთრებით კარგია ის ადგილი, საცა დესპინე ოთახში ზის მორთული და თვალწინ ეხატება თავისი პატარაობა, როცა, ჯავრი რა იყო, არ იცოდა; სიყვარულის პირველი გრძნობა, ნიკოსთან გატარებული წუთები, ჩანგურზე მღერა და სხვ. ამგვარ სანეტარო წარსულსა და საზარელ აწმყოს შუა კონტრასტი კარგად გამოხატა ავტორმა.

—,

•

შემდეგ „ივერიაში“ იწყება ვრცელი მოთხრობა „დღეობა“ დ. მაჩხანელისა. გლეხ სოსიას ერთი ვირის მეტი არა გააჩნდა რა და ისიც

დღეობისთვის გაჰყიდა. გლახა დღე დაადგა სოსიას, რადგან ვირის სამუშაო სულ მას დაატყდა თავს. გადაწყვიტა თავისი „მერცხალა“ გამოეყიდა, დაუდგა მყიდველს მუშად. გაცივდა და მოკვდა. ჯავრმა მისი ცოლიც საიქიოს გაისტუმრა და დარჩნენ უპატრონოდ ობლები.

ავტორს მიზნად ჰქონდა ეჩვენებინა, თუ რამდენად საზარალოა დღესასწაულები სოფლის ხალხისათვის. მწერალი, რომელიც ცხოვრებას ხატავს, მხოლოდ ორი გზით მიაღწევს ამ მიზანს: ან უნდა დახატოს ისეთი მოვლენები, რომლებიც თავისთავად ახასიათებენ ცხოვრებას, ან უნდა გაგვაცნოს სხვადასხვა ხასიათები; ხასიათების მიხედვით, მკითხველს შეუძლია თვით ცხოვრებაზეც წარმოდგენა იქონიოს. დ. მაჩხანელს პირველი გზა აურჩევია: მან დაგვანახვა, როგორ აღარიბებს გლეხს დღესასწაული, მაგრამ მარტო ამ პატარა აზრის რვა ფელეტონად გაჭიმვა დაკარგულ შრომად მიგვაჩნია. როგორც ხელოვნური ნაწარმოები, მოთხრობა მეტად სუსტია. მთელ პირველ ფელეტონში ავტორმა ერთი დიპლომიანი და მისი კნეინა გამოლანძღა, შემდეგ ვირი გაგვაცნო, რომელმაც დიპლომიანს ძილი დაუფრთხო; ვირი ბოლოს სოსიას „მერცხალა“ აღმოჩნდა. ავტორმაც დიპლომიანს თავი მიანება და სოსიას ამბავს მოგვიყვა. ვირს რომ ყროყინი არ გაება, ავტორს აღარც სოსია გაახსენდებოდა და დიპლომიანზე მოგვიყვებოდა რასმე; გამოაკელით, ამას გარდა, ავტორის რეზონიორობა, გლეხების საუბარი, რომელიც სრულიად უალაგოდ არის ორ ფელეტონში გაჭიმული და მოთხრობა ორ ფელეტონშიც მშვენივრად მოთავსდებოდა. მოთხრობა აღებულია ერთი სოფლის ცხოვრებიდან. რუსული ანდაზა ამბობს: „მთელ სიცოცხლეს სწავლაში გაატარებ, მაინც ბრიყვი მოკვდებიო“. ქვეყნიერებაზე ჯერ ძალიან ბევრი რამ არის აუხსნელი; რაც ახსნილია, იმისი სრულად შესწავლაც ძნელია, რადგანაც სიცოცხლე მოკლეა, გონება სუსტი; ამიტომ რუსული ანდაზაც მართალია. მაგრამ ჩვენი საქართველო თითქოს იმდენად პატარაა, რომ მისი სხვადასხვა კუთხის დაახლოებით ცოდნა არ უნდა იყოს ძნელი; მიუხედავად ამისა, დახეთ ჩვენს უვიცობას! -აბა, იცოდი, მკითხველო, თუ ბედნიერი არკადია ქიზიყში იყო? არკადიაში მწყემსი ვაჟები და ქალები ერთმანეთის სიყვარულსა და ალერსში ატარებენ სიცოცხლეს; ამ სოფელში თურმე დახავსებული ბებრებიც ისე ესიყვარულებიან ერთმანეთს, როგორც ახალგაზრდა დანიშნულები. ხანდახან კი ჩხუბი მოსდით და მაშინ აღარ გვანან არკადიის მწყემსებს: ძაღლსა და ღორს უკვლენ ერთიმეორეს საფლავზე! შემდეგ ნანობენ, რად ვაწყინეთ ერთმანეთსო, ტირიან, ბოლოს ჩაეკონებიან ერთმანეთს გულ-მკერდში და შერიგდებიან. თუ ქმარი მოკვდა, სიყვარული აღარც ცოლს აცოცხლებს,—

ორ კვირაში გაუყენებს საიქიოს. ბ. დ. მაჩხანელს რომ არა, ხომ არ გვეცოდინებოდა, რა ყოფილან ეს ქიზიყელები!? აი, სოსია ორმოცდათოთხმეტი წლის კაცია, სულ გათეთრებულია; მისი მარიამიც ორმოცდახუთისა მაინც იქნება: ოცდაათი წლის ჯვარდაწერილები ყოფილან და თოთხმეტი წლისა აღარ იყო, რომ გათხოვდა?! ოცდაათი — წელიწადი! ხუმრობაა! ამ სოფელში თურმე, რაც ხანში შედიან, უფრო ყმაწვილდებიან, ამიტომ სიყვარულიც უფრო უძლიერდებათ. მოხუცი სოსია მარიამის „მარწყვის ტუჩებთან ტუჩებს ადუღებს". მარიამიც „ტკიპასავით ეკვრის სოსიას გულში". თურმე როცა ქმარი წავა სადმე ორიოდე დღით, „მთვარესავით გაბადრული ცოლი დნება, ბროლ-ლალის ფერი ლოყები ყვითლად უხმება, შავი ბრიალა ცეცხლივით გიზგიზა თვალები უქრება" და სხვ., მაგრამ მოვა თუ არა ქმარი, ცოლი ჯერ ცრემლებს აფრქვევს, შემდეგ ყელზე მოეხვევა და მალე ისევ მთვარესავით გაივსება და გაიბადრება. ყმაწვილებს კი არა, მოხუცებსაც ასე ემართებათ! რა იდილიაა! რა სანტიმენტალური ხასიათის ყოფილან ამ სოფლის მცხოვრებნი. თუ არ გჯერათ, მოისმინეთ პატარა ხანს ოცდაათი წლის ჯვარდაწერილი მარიამისა და მისი ბებერი სოსიას მუსაიფი — „აგრე სიყვარულით გივლიდი, გიფრთხილდები ყოველთვინ, როგორც გასათხოვარი ქალი თავის სანუგეშო სილამაზეს უვლის აკეკლუცებს და უფრთხილდება თავის თვალის ჩინივით", — ეუბნება სოსიას მარიამი, შენ რომ შეუძლოთ გახდები ხოლმე, მე მოწყვეტილ იასავით ვჭკნები, მთვარესავით ვილევი, სანთელივით ვიწვები, გაზაფხულის ღრუბელსავით ცრემლით ვიღვრები" და სხვ. არა, ასეთი სიყვარული ხომ არკადიაშიაც არ არსებობდა! ასეთი ლაპარაკი ვინღა შეასწავლა ამ სოფლის მცხოვრებთ. იქნება ქართული ენის აკადემიაც აქ იყო? წარმოიდგინეთ ვირებიც კი არაჩვეულებრივი ყოფილან ამ სოფელში. თუ პატრონი მოუკვდათ ტირიან, აღარც ჭამენ და აღარც სვამენ! ან კი რა გასაკვირველია; ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო: ასეთი ადამიანების ხელში ვირებიც რომ დაბრძენებულიყვნენ, ადვილი შესაძლებელია. ყოველსავე ამის შემდეგ, ცხადია, რა ღირსებისაც არის მოთხრობა და ავტორის ნიჭი. ბ. დ. მაჩხანელმა ასეთის მოთხრობებისაგან ამ წელს მაინც დაგვიფაროს. თუ იმას შეეხეთ, ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა მწერლები გაგვეფრთხილებია, როგორ არ უნდა წერონ და ერთი გარემოება აღგვენიშნა: მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა მეტად სუსტია, მასშიაც შეამჩნევს მკითხველი, რომ ქიზიყის სოფლის ძველი ცხოვრება იშლება; სოსია ნახევარჯერ დღიურ მუ-

ზად უდგას მდიდარ გლეხებს და ამით ირჩენს თავს. სოფელი ვა-ჭარ-კარაპეტებს, გამდიდრებულ გლეხებს, მამასახლისს ჩაუგდიათ ხელში და გლეხებს ტყავს აძრობენ. ვთქვათ, დეპომ კარაპეტები აბარგა; მაგრამ ადგილობრივ მდიდარ გლეხებს რაღას უზამს, როცა ისინი კარაპეტებზე უკეთესი თუ არა, ნაკლები აღარ არიან? „ჩვენი შეძლებული გლეხკაცისთანა ღარიბი ადამიანის შეუბრალებელი, დამხრჩობი და ამოსაწყვეტი ქვაწვია ენგიდუნიაზედაც არ იქნებაო“, ამბობს მათ შესახებ სოსია.

*

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ, რაც კი იყო „ივერიის“ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში რაიმე მხრივ შესანიშნავი; გადავალთ ახლა „კვალზე“. იანვრიდან დაწყებული მარტამდე „კვალში“ იბეჭდებოდა ბებრიძის მოთხრობა ქართლის ცხოვრებიდან „რა მოუვა სოსიკას“. ღარიბ სოსიკას, რომელსაც ცოლ-შვილი ნახევარჯერ მშიერი ჰყავს. დარჩენილ გადასახადში ხარები წაართვეს. სოსიკას სიმდიდრეს ეს ხარები შეადგენდნენ; ისინიც რომ გაეყიდათ, რაღა ეშველებოდა? ისესხა აბრამისაგან ორი თუმანი ფული, რაშიაც მისცა ოთხი თუმნის ვექსილი. და ხარები დაიხსნა. სიცივეში გდებით და უპატრონობით ხარები გალახულიყვნენ; გაზაფხულზე ჯაფა ვეღარ აიტანეს და დაიხოცნენ. ყანა სოსიკას სეტყვამ წაუხდინა; ერთადერთი ხბოიანი ძროხაც აბრამმა წაართვა ვალში. სოსიკამ რკინიგზაზე გასწია სამუშაოდ, მაგრამ რკინა დაეცა და შინ დაბრუნების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. მისმა ცოლმა ტასიამ გაჭირვებას და შვილების საცოდაობას ვეღარ გაუძლო და თავი ჩამოიღრჩო. ტასიას თავის მოკვლის შესახებ ჩვენ სრულიადაც ვერ ვიტყვით, რომ ეს ნაძალადევი იყო მოთხრობაში: ამგვარი ბოლო ბუნებრივი შედეგია მთელი მოთხრობის მსვლელობისა. ახლა შენ წარმოიდგინე, მკითხველო, რა აუტანელი უნდა ყოფილიყო გაჭირვება, რომელმაც გლეხის ცოლს ტასიას თავის მოკვლა გადააწყვეტინა! „რა მოუვა სოსიკას“ ნათლად გვიჩვენებს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია ქართველი გლეხი. მიწის უქონლობა, სხვადასხვა გადასახადი, რომლის გასტუმრება გლეხს ავალიანებს, უფრო და უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს; შესაძლებელი რომ იყოს, გლეხი თავს გაიყიდის. თუ საშველი არსაიდან გამოჩნდა, ბევრს თავის მოკვლის მეტი აღარაფერი დარჩენია. ზარმაცი რომ იყოს სოსიკა, მაშინ სულ სხვა არის, მაგრამ იმისთანა მშრომელი გლეხი ხშირად არ მოიპოვება; თუ დღიურ მუშად დგება, თუ რკინიგზაზე გარბის სამუშაოდ,

მაგრამ უკიდურესი სიღარიბიდან თავი მაინც ვერ დაუღწევია: სულ რომ კარგი წელიწადი იყოს, ადგილის შემოსავალი ზამთარამდე თუ ეყოფა, დანარჩენ დროს ყველაფერი საყიდელი აქვს და ამიტომ უნდა მოშორდეს სახლ-კარს, დადგეს სადმე მუშად, ეგების იქ ორიოდე გროშს თავი მოუყაროს. რასაც იშოვნის, ცოლ-შვილის გამოკვებაში და შემოსვაში დაეხარჯება; მტერსა და მოყვარეს რიღათი დაუხვდეს? გადასახადი რაობით გადაიხადოს? ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში სოსიკა— მომავალზე სრულებით ველარ ფიქრობს; მთელი მისი აზროვნება დღევანდელ გაჭირვებას შთაუნთქავს; ოღონდ ამ გაჭირვებაში სული მოიბრუნოს როგორმე და ღარაფერს აღარ დაეძებს.

„— აბა, ბატონო, ისე დაწერეთ ვექსილი, როგორც გითხარით, — ეუბნება აბრამი მწერალს.

— ყაბული გაქვს, ისე დავწერო ვექსილი, როგორც აბრამი მეუბნება? — ეკითხება სოსიკას მწერალი კეთილაძე.

— ყაბულ ვარ, შენი ჭირიმე.

— მერე იცი, როგორ მეუბნება?!

— არ ვიცი, მაგრამ...“

ამგვარად, სოსიკამ არ იცის, რამდენს უწერს აბრამი ვექსილში. მაგრამ რაც უნდა დაუწეროს, თანახმაა. აი, რას ნიშნავს მისი დაუბოლოებელი „მაგრამ“: არ ვიცი, მაგრამ რაც უნდა ჩაწეროს, მაგის იქით გზა არა მაქვსო. სოსიკას გაჭირვებით, რასაკვირველია, აბრამი სარგებლობს. სოფელში ვაჭრობით, კაპიკის კაპიკზე დებით აბრამს ფული მოუგროვებია და დუქანი გაუღია. ახლა ავალებს ფულებს, იგირავებს ადგილებს და მთელი სოფელი მისი მოვალეა. „გაილეწებოდა თუ არა ჭირნახული, ურმები დაიძროდნენ სოფლებიდან და ურემი ურემზე იდგა აბრამის კარზე სავსე ტომრებით დასაპალნებული... აგრეთვე რთველზე აბრამის სახლს ხშირად მოადგებოდნენ ურმები ყურძნით და ხილით სავსე გოდრებით. ასეთ სარგებელს აბრამი მალე ფულად აქცევდა, და, სადაც კარგი ნაპატივარი ნაფუზრები და ვენახები აღმოჩნდებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა“. სოფლის გაჭირვებამ წარმოშობა აბრამი. მაგრამ ის სოფელს გაჭირვებას კი არ უმსუბუქებს, უფრო უძლიერებს. არც მარტო აბრამია ამაში დამნაშავე: გლეხი აბრამისაგან ვალს იღებს, რომ ან მღვდელი გაისტუმროს, ან გადასახადი მოიშოროს, ან მიცვალებული დამარხოს, ქორწილი გადიხადოს და სხვ. მთელი წელიწადი შრომობს და, არათუ ვალის გასასტუმრებელს ვერ მოირჩენს კუჭი თუ გამოიძღო და სარგებელი როგორმე გადიხადა, მეტს ვერ შეძლებს. ყველაზე მეტი მოთხოვნილება, როგორც ქორწილი, დამარხვა, ნათლიობა და

სხვ., გლეხმა ვალით უნდა დაიკმაყოფილოს: ვალი ვალს ემატება და გლეხი საშველს ვეღარსად ხედავს. ქართლელი გლეხკაცის ცხოვრება ამ მოთხრობაში კარგად არის დახასიათებული და მკითხველს ნათელი სურათი ეხატება თვალწინ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთი ნაკლოვანების შესახებ. ყოველი ადამიანის გაჭირვებას, ამა თუ იმ საქციელს მოთხრობაში მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ყოველივე ეს სოციალური პირობებით არის გამოწვეული; ჩვენ ვუკვირდებით მაშინ ამ სოციალურ პირობებს, ვხედავთ, რა უბედურებამდე მიჰყავთ მათ ადამიანი, და თანდათან სურვილი გვებადება, უკეთესი ცხოვრების მოახლოვების, ერთიმეორის მდგომარეობის გაუმჯობესებით ხელი შევუწყოთ. როდესაც ადამიანის უბედურების მიზეზი ისეთი ძალაა, რომელთანაც არაფერი არ გაგვივა, მაშინ მოთხრობა მიზანს ვერ მიაღწევს. მაგალითად, სოსიკას უბედურებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სეტყვას. სეტყვა ყოფილა და იქნება, მისგან ადამიანის დაფარვა არ შეგვიძლია; სოსიკასი კი არა, მდიდარი თავადიშვილის ყანაც რომ ყოფილიყო, სეტყვა მაინც წაახდენდა. მის წინაშე ყველა თანასწორია. ამგვარი ძალის გარევა ადამიანის ცხოვრებაში მოთხრობის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს. მკითხველს შეუძლია იფიქროს: სოსიკას უბედურება ცხოვრების ბრალი კი არ არის, შემთხვევითია, სეტყვამ გააუბედურა, თორემ სეტყვას რომ არა, არაფერი უჭირდაო. ჩვენი მწერლები ცდილობენ, ადამიანის მთელი ხასიათი და ბედ-იღბალი მის სახელში და გვარში გამოხატონ: თუ კაცი უბედურია, მისი გვარიც უსათუოდ უბედრშვილი უნდა იყოს („ესღა მაკლდა", ე. მ.-შვილისა), თუ გულკეთილია და შემბრალე, გვარიც კეთილაძე უნდა ჰქონდეს (მწერალი „რა მოუვა სოსიკასში"); თუ ხალხის მტყავებელი. — ყვლეფიანელი ან ყვლეფიაშვილი და სხვ. თუმცა ყოველივე ეს წვრილმანია, მაგრამ მაინც დიდ ნაკლს შეადგენს; როცა მოთხრობის დასაწყისშივე ასეთ გვარს კითხულობთ, წინდაწინვე იცით, რას უმზადებს ავტორი თავის გმირს, რის გამო თქვენ ხალისი გეკარგებათ, მოთხრობასაც ბუნებრიობა აკლდება. ავტორმა თუ თავისი გმირი უბედურ ვარსკვლავზე დაბადა, უსათუოდ უბედურად უნდა მოჰკლას, რომ მთელ ტანჯულ სიცოცხლეში არავითარმა მხიარულების და ნუგეშის შუქმა არ შემოანათოს მის ბნელ ცხოვრებაში. ესეც ცალმხრივობაა და სინამდვილეს მოკლებულია: რა უბედურიც უნდა იყოს ადამიანი, ერთი დღე მაინც შეხვდება ისეთი, ან აწმყოში, ან წარსულში, როცა ის ივიწყებს თავის უბედურებას, როცა სიხარული მის სახესაც მოაშუქებს და ოდნავ მაინც დაჰფარავს სევდისა და ტანჯული ცხოვრების ნაოჭებს.

„კვალის“ შარშანდელ ნომრებში შ. არაგვისპირელს ჰქონდა რამდენიმე ეტიუდი. რადგან ამ ეტიუდებს იდეით კავშირი აქვთ ავტორის წინა წლების ეტიუდებთან, ამიტომ მარტო რამდენიმე ეტიუდის შესახებ სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მიგვაჩნია. აქ ავტორს გამოჰყავს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვანებანი, ადამიანის უსაშუალო მდგომარეობა, გაჭირვება, ფუქსავატობა, შეუბრალებლობა; მისი ცხოვრების სიფუჭე და სხვ. აღდგომაა, ყველა მხიარულობს, ყველა ერთმანეთს ულოცავს: ქრისტე აღსდგა, სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნაო, საცოდავ დედას კი თავისი ერთადერთი შვილი „ბაბდო“ უკვდება; — სხვისი ჭირის თანაგრძნობა, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა ცარიელი ილუზია ყოფილა! მეორე ეტიუდში ავტორი დაგვანახვებს ჩვენი რამდენიმე ახალგაზრდის ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ სმა-ჭამაში და ქეიფში გამოიხატება, და გულდათუთქული იძახის: ვცხოვრობთ, ვცხოვრობთო. და მართლაც, თუ ჩვენი ცხოვრება ამის მეტს არას წარმოადგენს, განა ეს ცხოვრებაა?! ამგვარ აზრში ჩვენი ცხოვრების შესახებ შ. არაგვისპირელს ვერ დავეთანხმებით. ვინ ამბობს, არის ჩვენ ცხოვრებაში სამწუხარო მოვლენები, არიან პირები, რომელთა ცხოვრება ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებულია, მაგრამ ერთი მიბრძანეთ: ამგვარი მოვლენები სად არ არის, რომ ჩვენ, ქართველებს, აგვეცდინა თავიდან? სამწუხარო სურათებთან სანუგეშო მოვლენებსაც გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრება. და ვინც მარტო სამწუხაროს ხედავს, ან მარტო სანუგეშოს, ის ყოველთვის შეცდომაში შევა. ერთ ეტიუდში, „ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ!“, ორ ახალგაზრდას ერთმანეთი უყვარს; ბედნიერება ახლოს არის, ორივეს უნდა ბედნიერება, ორივეს სრული უფლება აქვს ბედნიერი იყვნენ, მაგრამ შეუბრალებელი სიკვდილი უარჰყოფს მათს ბედნიერებას. ყოველივე ეს ხომ უსამართლობაა, შეუბრალებლობა, მაგრამ ადამიანს მორჩილების მეტი არაფერი დარჩენია; მისი ბედნიერება ფუჭია, უნიადაგო; ის იტანჯება, წვალობს, მაგრამ მისი ტანჯვა ბუნების მხიარულებას ოდნავაც არ არღვევს: როცა გულამღვრეული ადამიანი მოკაშკაშე ცას ეუბნება, შენ გულს ადამიანის ტანჯვა არა წვდებაო, ვარსკვლავები ციმციმით გადმოსძახებენ: რა სულელი ხარო! ე. ი. რა ჯავრი აქვს ბუნებას შენი ტანჯვისო. ეტიუდში „რა ზიზღით მიცქერის?!“ იგივე უნუგეშობა და უკმაყოფილება არის გატარებული, გიგლა ადამიანია, შიმშილით კვდება, მაგრამ ცხოველთა მფარველი საზოგადოების წევრიც კი არ იბრალებს. რომელმაც მეჯაგვეს მთელი ოქმი შეუყენა, აქაოდა, ცხენს ცოტა მძიმე

ტვირთი დაუდევიო. მეხმა მოკლა გიგლა, მაგრამ სიკვდილის შემდეგაც „მხოლოდ ზიზღი, ზიზღი და ზიზღი შეგეძლოთ ამოგეკითხათ გლეხის ოდნავ გახელილ თვალებში და მოღიმარ ტუჩებში". ნოველაში „გულცივობამ!" საზოგადოებაზე ჩივილი უმაღლეს წერტილს აღწევს. გაბრო საზოგადოებაში მხოლოდ გულქვაობას, გულცივობას, ფლიდობას, მოღალატეობას, სუსტის განადგურებას და ძალმომრეობას ხედავს, მეტს არაფერს; ყოველივე ამან მას რწმენა დაუკარგა მომავლისა და არაგვის ზვირთებში ეძებს განსვენებას. აშკარაა, გაბრო სნეული ადამიანია: შეიძლება საზოგადოება დაცემული იყოს, მაგრამ გაბრო თუ ზვირთებში ეძებს განსვენებას, ამაში მარტო საზოგადოება არ არის დამნაშავე. ან რა შუაშია მომავლის რწმენა? თუ საზოგადოებას მომავალი ბრწყინვალე გვირგვინს არ უქადის, ნუთუ ეს უფლებას აძლევს ადამიანს, საზოგადოების სამსახურზე ხელი აიღოს, თუკი სამსახური შეუძლია? ეჭირვება საზოგადოებას სამსახური, შველა, დახმარება? შეგიძლიათ ემსახუროთ? თუ მას შველა ეჭირვება, ეს სრულიად საკმარისი საბუთია, რომ მიეშველოთ, თუკი შეგიძლიათ, მიუხედავად იმისა, რა მოელის მას მომავალში... ნუთუ მშიერ ადამიანს პურს არ მიაწოდებ, მკითხველო, თუკი გვაქვს, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ამ მშიერს მომავალი ფილოსოფოსის სახელს არ უმზადებს? ყოველგვარი სამწუხარო მოვლენის უგულო მაყურებელი კი არ არის შ. არაგვისპირელი, — მას გული ეთუთქება.

სევდით და უნუგეშობით არის გამსჭვალული სიმპათიური პოეტის — ი. ევდოშვილის პოეზია, რომლის ფსიქოლოგია თითქმის გამოირკვა. ჩვენ არ შეგვიძლია ვრცლად გავჩერდეთ იმის ლექსებზე, რომლებიც წარსული წლის „კვალში" იბეჭდებოდენ, რადგანაც მათი მოტივი იგივეა, რაც ავტორის წინანდელი ლექსების და ამიტომ პოეტის დასახასიათებლად საჭიროა მთელი მისი პოეზიის განხილვა და არა ერთი წლის. აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, მისი შარშანდელი ლექსების მიხედვით, რომ ევდოშვილსა და არაგვისპირელს შორის დიდი მსგავსება არის. ევდოშვილის მთელ ყურადღებას ცხოვრების სისაძაგლე, გაუტანლობა, შეუბრალებლობა, ფულის გაბატონება, ღარიბის ტანჯვა და წვალება იპყრობს, ის ხედავს, რომ ყველა—მდიდარიც და ღარიბიც—არსებობისათვის იბრძვიან, ერთმანეთის სიბრალული, თანაგრძნობა, გატანა არავის არა აქვს. ის უკვირდება ცხოვრებას და ამჩნევს, რომ არათუ ადამიანები, თვით ცხოვრებაც შეუბრალებლად ანადგურებს ყველა გაჭირვებულს და სასოწარკვეთილი იძახის:

ეი! ძმობილნო, მითხარით: კიდევ
რამდენმა უნდა გამოიაროს
ამ ტანჯვის გზაზე, გოლგოთის ჯვარითო,

მაგრამ ხმას არავინ სცემს, თითქოს ეს ტანჯვის გზა სამარადისოდ ასე უნდა დარჩესო.

უფსკრულის პირას, თვით განსაცდელში
წამოჩოქილი ეკლიანს გზაზე, —

პოეტის სიყვარულს იწვევდა, —

და სალოცავად
წარმოიტყოდა მხოლოდ მის სახელს:

მაგრამ კერძო ცხოვრებამ მას არ არგუნა ბედნიერება. ცხოვრების გრიგალმა არც ის დაინდო და დღეს, —

თვით „სიყვარული", ამ სიტყვის ბგერა
აწ გულს მოეჩმის გლოვისა ზარათ.

პოეტმა თვითონ დაჰკარგა სიყვარული, მაგრამ ასეთ უნუგეშობაში არ ჩავარდებოდა, თავის გარშემო რომ მაინც ხედავდეს სიყვარულს; სამწუხაროდ, ფულმა ყველაფერი დაიმონა და წმინდა სიყვარულის გვირგვინსაც კი შეეხო თავისი უწმინდური ხელებით: ფულით სიყვარულს ყიდულობენ, მხოლოდ ფულიანი უყვართ! პოეტი განაბული ყურს უგდებს ცხოვრების ტრიალს, იტანჯება, მაგრამ მისი ტანჯვა არავინ იცის; თავის სამარეს ის თავის გულშივე ახვევს, რადგანაც ეშინია, რომ ვერავის რას აგრძნობინებს, და მწარედ გაიძახის:

ასე მივდივარ მე ჩემს გზაზე ობოლი ეტლით,
მე მსურს მიყვარდეს მოშორებით, ხალხის ფარულათ.
დე, ზოგი წყეველით, ზოგი სიმთა ამონაკვნესით
ამოიცალოს ჩემი გული, წავიდეს სრულათ!

პოეტს უნდა დაივიწყოს, გაშორდეს დედამიწას.

მაგრამ კვლავ თვალნი იზიდავენ დედამიწისკენ;

მას კი არ ძალუძს, ადამიანის უბედურებას რაიმე მხრივ შემოიუაროს

და ასე ობლად დაკანკალებს ბედის ამარა.

ვის ამტყუნებს პოეტი ადამიანის უბედურებაში? — ადამიანს? არა. პოეტს ყველა ებრალება — ტანჯულიც და მტანჯველიც, დაჩაგრულიც, დამჩაგვრელიც, სიყვარულის მყიდველიც და გამყიდვე-

ლიც, რადგანაც ყველა ესენი ცხოვრების ცვალებადობის ნაყოფი არიან, და პოეტიც მხოლოდ ამ სოციალურ პირობებს ემდურის, რომლებმაც ამდენი უბედურება და უსამართლობა წარმოშობა. პოეტი გრძნობს, რომ რაღაც ძალა ცვლის ცხოვრებას და ჰბადებს მრავალ უთანხმოებას, რა არის ეს ძალა, მას ნათლად ვერ შეუგნია, ხოლო გრძნობს კი, რომ მასთან შებრძოლება არ შეუძლია. ამის მიზეზია, რომ ის გულჩათხრობილი, მარტოდმარტო დაკანკალებს. გენიოს ბაირონს სევდა უღრღნიდა გულს, მაგრამ ის ბედნიერი იყო, რადგანაც ძალას გრძნობდა და მთელ საზოგადოებას ერთმა გამოუცხადა ბრძოლა. მე ევდოშვილს ბაირონს კი არ ვადარებ, მაგრამ ევდოშვილის ნიჭი ბაირონის ნიჭსაც რომ ასცილდეს, მაშინაც ობლად დაიწყებს პოეტი კანკალს, რადგანაც გრძნობს იმ რაღაც ძალის ძლევამოსილებას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ცვლის და ბევრს უნუგეშო სურათს ჰბადებს. რაც ტანჯავს ევდოშვილს, იგივე ტანჯავს არაგვისპირელსაც; არაგვისპირელიც ცხოვრებას ემდურის და მის უსამართლობას. ხოლო რაღაც აუცილებელი ძალის გრძნობა, რომელსაც ემორჩილება ცხოვრება, მის ეტიუდებში არ ჩანს. არაგვისპირელის სევდაში ცხოვრების გარდა ადამიანის ბუნებას და მის არარაობასაც წილი უდევს: ცხოვრება რომ ყველას საბედნიეროდ იყოს მოწყობილი, არაგვისპირელის სევდა მაინც არ გამოილევა, რადგანაც სიკვდილი ყოველთვის იქნება და ყოველთვის შეწყვეტს ადამიანის ბედნიერებას.

*

შარშანდელ „კვალში“ იყო კ. გოგოლაძის ლექსები; ამ პოეტის ფიზიონომია ჯერ ჩვენთვის გამოურკვეველია. მისი ნიჭი ჯერ რყევაშია; რა გახდება მომავალში მისი პოეზიის ფოკუსად არ ვიცით; ხოლო მასაც სევდა და უნუგეშობა აღელვებს და თანდათან ირკვევა, რომ ამ სევდის მიზეზი დღევანდელი ცხოვრების უნუგეშო მოვლენებია. შემცდარი იქნება თქმა, ვითომ კერძო ადამიანის სულიერი განწყობილება მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ნაყოფი იყოს; ხშირად ადამიანს ეწვევა სხვადასხვა უბედურება, რომლებსაც სოციალურ პირობებთან არავითარი კავშირი არა აქვთ, და ეს უბედურება აღმოუფხვრელ კვალს ტოვებს მის სულში, მაგრამ კერძო პირობები ვერ წარმოშობდა ევდოშვილისა და არაგვისპირელის არსებაში ასეთ უნუგეშობასა და სასოწარკვეთილებას, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არ გამხდარიყო ამის უმთავრეს მიზეზად. ზოგიერთ ხანაში რომ ამგვარი მწერლები მრავლდება, ზოგიერთ ხანაში კი სულ არ არის, ეს საკმარისი საბუთია ვიფიქროთ, რომ

უმთავრესი მათი წარმომშობი მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრებაა. ადამიანი და, მით უმეტეს, ისეთი მგრძნობიარე გულის და სპეტაკი ნიჭისა, როგორც პოეტი, თუ თავის კერძო ცხოვრებაში უბედურია, უნუგეშობას და სასოწარკვეთილებას თავის დღეში არ დაემორჩილება, თუ გარეშე ცხოვრება ანუგეშებს და იმედს აძლევს. ის ფიქრობს: მე უბედური ვარ, მაგრამ ეს შემთხვევის ბრალია; აგერ უმეტესობა ბედნიერია, მაშასადამე, საზოგადო ცხოვრების სამდურავი არავის გვმართებსო, ევდოშვილსა და არაგვისპირელს თავის ნაწერებში ავტობიოგრაფიული ძალიან ცოტა აქვთ, ისინი საზოგადო ჭირ-ბოროტებას უჩივიან, საზოგადო სევდა-ვარამს გამოთქვამენ. აშკარაა, მათი ფიზიონომიის ახსნა ისევ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ, ამგვარი მწერლები როგორც ევდოშვილი, არაგვისპირელი, მარტო ჩვენში კი არა, რუსეთში და დასავლეთ ევროპაშიც გამრავლდნენ. აიღეთ, მაგალითად, რუსეთის პოეტი, ბალმონტი, — მისი პოეზიის მოტივი იგივეა. რაც ევდოშვილის. რამ წარმოშობა ევროპაში ასეთი მწერლები? რამ წარმოშობა ჩვენში? დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში კარგა ხანია, გაისმის: საუკუნის ბოლო, საუკუნის ბოლოო, და ბევრგვარ მოვლენებს ამ „საუკუნის ბოლოთი" ხსნიან. რა არის ეს საუკუნის ბოლო? აი, რა: კაპიტალისტურმა წყობილებამ დასავლეთ ევროპაში ეს არის უკანასკნელ წერტილს მიაღწია, მძლავრად განავითარა დასავლეთ ევროპის მწარმოებელი ძალა, წარმოშობა მრავალი უთანხმოება და დიდხანს სიარული თავისი გზით აღარ შეუძლია. უთანხმოება თანდათან იზრდება; მისი მოსპობა თვით კაპიტალიზმს არ ძალუძს, რადგანაც მან წარმოშობა და მანვე გაზარდა ეს უთანხმოება. აშკარაა, თვით კაპიტალიზმს უნდა მოეღოს ბოლო, მუშათა მოძრაობამ და სოციალიზმმა უკვე დარეკა მისი აღსასრული. დღეს ევროპა გარდამავალ ხანაშია. საქართველოში, როგორც დაკვირვება და ლიტერატურა გვიმტკიცებს, უკვე იჩინეს თავი იმ ელემენტებმა, რომლებმაც დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმი წარმოშობეს, ცხოვრება შეირყა, წოდებრივი საზღვრები წაიშალა, ფული გაბატონდა; ფულის პატრონი ხდება ის, ვისაც საკუთარი მოხერხება და ცხოვრება ხელს უწყობს, და ამიტომ დღეს ჩვენში ცხოვრებაც იმისია, ვისაც ფული აქვს, მიუხედავად წოდებისა. ფულის ქონება წელებზე ქონის დახვევას კი არ მოასწავებს მარტო, არამედ მეტი ცოდნის შეძენასაც; გამდიდრებული გლეხები ჩვენში შვილებს სასწავლებელში ზრდიან, მაშინ, როდესაც თავად-აზნაურების შვილები სიღარიბის გამო ხშირად უსწავლელი რჩებიან, — ამ ფაქტმა ჩვენს ბელეტრისტიკაში იჩინა თავი. ცხოვრება აიმღვრა, გაჩნდნენ ჩარჩები, მევახშეები, — ყველა ესენი

ხომ კაპიტალიზმის წინამორბედნი არიან. აშკარაა, ჩვენი ცხოვრების რყევა ნიადაგს უმზადებს იმგვარ ცვლილებას, როგორიც უკვე განვითარდა დასავლეთ ევროპაში. მაშასადამე, ჩვენი ცხოვრებაც გარდამავალ ხანას წარმოადგენს. რასაკვირველია, ევროპის გარდამავალი ხანა სულ სხვა არის, ვიდრე ჩვენი: მან კაპიტალიზმი განავითარა და მარქსის მიერ ნაჩვენებ მიზანს უახლოვდება. ჩვენ კი ახლა შევაღეთ კაპიტალიზმის კარი; მაგრამ ყოველი გარდამავალი ხანა, რანაირიც უნდა იყოს, ხალხს ძალიან მძიმე ტვირთად აწვება. ყველა გრძნობს, რომ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდება, ვის რა მოელის, არ იციან, ამ მომავლისა ყველას ეშინია; ამგვარ ხანაში მრავლდება გაჭირვებაც, უბედურებაც და ყოველგვარი ჰუმანური გრძნობა საზოგადოებაში სუსტდება: შინ რომ ბავშვებს შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო, ნათქვამია, — როცა ადამიანს თავისი გზა ვერ გაურკვევია, მაშინ არც სხვის გაჭირვებაზე ფიქრობს. პოეტს უფრო მგრძნობიარე გული აქვს, ვიდრე სხვას; ის მეტს ხედავს და უკეთ არჩევს ცხოვრებაში ყოველივეს; ამიტომ ყოველი გარდამავალი ხანის პოეტი უფრო იტანჯება, მეტ უნუგეშობას და სევდას ეძლევა, ვიდრე უბრალო ადამიანი. ევდოშვილი, არაგვისპირელი, გოგოლაძე თუ საზოგადო ჭირ-ვარამზე მიგვითითებენ და თავის უნუგეშობას გვიცხადებენ გასაკვირველი კი არა, ასეც უნდა იყოს: ისინი გარდამავალი ხანის შვილები არიან და არ შეუძლიათ, არ იტანჯონ. რაც მეტი ნიჭი აქვს მწერალს, მით უფრო საუკეთესო გამომეტყველია თანამედროვე ცხოვრებისა.

თავის უკანასკნელ მოთხრობაში „თოფის სროლა“ ბ. გიორგი წერეთელმა აღნიშნა ჩვეულებრივი სინამდვილით, თუ როგორ დაწვრილმანდა იმერეთის აზნაურობა; მეგობრულად ცხოვრების მაგიერ იმის მეცადინეობაში არიან, რომ ერთმანეთს რამე ავნონ. თუ ყანაში ერთიმეორისას რასმე შეასწრებენ, ხოცავენ, ერთიმეორეს დასაწვავად არ ზოგავენ. რამ გამოიწვია ასეთი მტრობა და შური მათ შორის? გაღარიბებამ: ორივეს ერთადერთი მარჩენალი მიწაა; მიწა კი შემოაკლდათ და ამიტომ ყოველ სიმინდის ძირს უფრთხილდებიან, რომ კუჭი გამოიძღონ, რადგანაც მეზობელს მეზობლის ღორმა ან საქონელმა რომ არაფერი წაუხდინოს ყანაში, შეუძლებელია, ამიტომ მტრობაც აუცილებელი ხდება.

აკაკის კრებულის შესახებ ჩვენ არას ვამბობთ. იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გვქონდა, — სათქმელი ბევრია, მაგრამ ჩვენი მიზანია, აღვნიშნოთ მხოლოდ წარსული წლის სახელოვნო ლიტერატურა და ამოვიკითხოთ მასში ცხოვრება. აკაკის კრებულში, გარდა რამდენიმე ლექსისა, პოეტის წინანდელ თხზულებაში

იყო მოთავსებული; მათი გარჩევა კი უფრო შესაფერისი იქნება მისთვის, ვინც აკაკის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობის დაფასებას შეუდგება. დაგვრჩა „მოამბე“, მაგრამ ორიგინალური სიტყვაკაზმულობით შარშანდელი „მოამბე“ ძალიან ღარიბი იყო. წარსული წლის „მოამბეში“ საუკეთესოდ მიგვაჩნია დავ. კლდიაშვილის „მრეველში“; ამ სურათის შესახებ ჩვენი აზრი თავის დროზე გამოვთქვით („ივერია“, 1898 წ: № 63) მხოლოდ მოკლედ შევნიშნავთ, რომ „კვალის“ ბიბლიოგრაფმა („კვალი“, № 6) ეს სურათი შეცდომით აგვიხსნა და დედაზრადაც სრულიად სხვა მიიჩნია.

შარშანდელ „მოამბეში“ იყო ორი კომედია: ერთი აზიანისა, ერთიც დუტუ მეგრელისა. პირველი „ინჯილერი ან დოხტური“ ამოღებულია სომეხთა ცხოვრებიდან და მხოლოდ კარიკატურას წარმოადგენს. უმთავრესი მომქმედი პირები არიან: სალომე უზარნოვი და მისი ორი შვილი ინჯილერ-დოხტური ავეტიქა და გასპარა. ოდესღაც და სადღაც ერთი უნიჭო მხატვარი ცხოვრობდა; განიზრახა ლომის დახატვა და ბევრი შრომის შემდეგ, როგორც იქნა, დახატა, მაგრამ დახეთ მის უბედურებას: მისი ლომი ძაღლს უფრო გავდა, ვიდრე ლომს! მხატვარს არც შრომის დაკარგვა უნდოდა, არც ის, რომ მისი ლომი ძაღლად მიეღოთ; ბალე საუცხოო საშუალება გამონახა. თავისი ფიქრით, სურათს მოაწერა: ძაღლი კი არ გეგონოთ, ლომიაო, და გამოჰკიდა. აზიანსაც, არ ვიცით, რა მიზეზს მივაწეროთ, ამ მხატვარივით დამართნია, ამოურჩევია ავლაბრელი კინტოების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მუშტი-კრივში ზორბა ბიჭები არიან, და ერთისათვის ინჟინერი დაურქმევია, მეორისათვის დოხტური! დალოცვილო აზიანო, სახელი ხომ არ ახასიათებს ადამიანს?! თუ აზიანს თავისი კომედიით უნდოდა ეთქვა: შეხედეთ, როგორია, სომხის ინტელიგენცია, მაშ სხვები რაღა უნდა იყვნენო, დიდად ცდება: არც ავეტიქას, არც გასპარას სომხის ინტელიგენციის ტიპისა არა აცხიათ რა. თუ ავტორს უნდოდა ეთქვა: შეხეთ, სომხის ინტელიგენციაც კი ფულს ეძებს ყოველგან და ყველაფერშიო, ნამდვილი ინტელიგენტები უნდა დაეხატა ჩვენთვის, რომ დავერწმუნებინეთ. ავეტიქა და გასპარასთანა პირები რომ ავტორს ინტელიგენციაში ენახა, ყოვლად შეუძლებელია, ჩვენ დავეთანხმებით, რომ ამათი მსგავსი რამ ნახა სომხის ინტელიგენციაში, — მხოლოდ მსგავსი. მაგრამ მეტად გაბერა, გადაამახინჯა და ნამდვილი ცხოვრების მაგიერ კარიკატურა წარმოგვიდგინა. სალომე უზარნოვის შესახებ ამას ვერ ვიტყვით, ამგვარი ქალები სომხობაშიც ბევრია, სხვაგანაც. სალომეს არ მოეთხოვება მეტი, ის არც ჩემობს ინტელიგენტობას. მაგრამ როდესაც ავეტიქა და გასპა-

რა მუშტი-კრივში ერთიმეორეს ეცილებიან, ცოლებს დღეში ათჯერ ურტყამენ რუსული დალაბანდივით, უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, დედ-მამას აგინებენ, ცოლებს უმტკიცებენ, ჩვენ თქვენი ბატონი ვართ, ხელები უნდა გვიკოცნოთო და კიდეც ასრულებენ ამას, ათასი გვარწმუნოს ავტორმა: ესენი ინტელიგენტები არიან, ინჟინერი და დოხტურიო, ავლაბრელი კინტოების ცნობა ძნელი არ არის.

დუტუ მეგრელის კომედიის, „სიკვდილი და სიცოცხლის“, პირველ ნახევარს დიდი სიხარულით მივეგებეთ, რადგანაც მასში ნამდვილი ტიპები იყვნენ დახატული: პლატონ ვარდიშვილი, ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც სურვილი აქვს ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანოს, თავადის ქალი დარიკო, თავადი ნესტორ ჯიქიაშვილი.

კომედიის უმთავრესი ფოკუსი დარიკო და პლატონია. კომედიის მეორე ნახევარმა მოლოდინი გაგვიცრუა: აქ დარიკო და პლატონი სრულიად გამოცვალა და დაამახინჯა ავტორმა; მეორე ნახევარში ორივე პირი თითქმის ფარსს თამაშობენ მაყურებლის წინაშე. აიღეთ, მაგალითად, ის სურათი, სადაც პლატონი თავის მოკვლას აპირებს. ეს განა ის პლატონია, რომელიც ავტორმა პირველ ორ მოქმედებაში გაგვაცნო?! ის კი არ იტანჯება, მასხარაობს და თანაგრძნობის მაგიერ სიცილს იწვევს. ბ. დუტუ მეგრელმა კარგად დაიწყო, ცუდად გაათავა: დარიკოსი და პლატონის ხასიათი ბოლომდე ვერ დაიცვა. ასეთი მეტამორფოზის გამო მათი დახასიათება შეუძლებელია. დარიკო, რომელსაც ჩვენ ვხედავთ პირველ ორ მოქმედებაში, წარმოადგენს ქარაფშუტა კნიაჟნას ტიპს; მისი ხასიათი და ბუნება, ფუქსავატი აღზრდისა და ცუდი გავლენის გამო, სრულიად დამახინჯებულია. ცხოვრებაში მისი ერთადერთი მიზანი მხიარულება, დროსტარება და ლამაზი ქმარია. თავადების წრეს რომ ასცილებოდა, დიდი რამ კი არ გამოვიდოდა, მაგრამ ადამიანურ ღირსებას ამდენად არ დაჰკარგავდა; ახლა კი ის სრულებით დაღუპულია. თავადი ნესტორ ჯიქიაშვილი სუსტად არის დახასიათებული; ის იმგვარივე ტიპია, როგორიც ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე („ჩვენი დროის რაინდი“) და კლდიაშვილის აბესალომ სალამთაძე („ირინეს ბედნიერება“). დარიკო და ნესტორი მთელი თავისი ხასიათით, მოქმედებით, მასწრაფებით გვიხასიათებენ ჩვენს გახრწნილ თავადობას, რომელსაც, დღეს არის თუ ხვალ, ბოლო მოეღება. სამწუხაროა ეს გარემოება? სამწუხარო ის არის, რომ თავადობას დღეს უმეტეს წილად დარიკოსთანა და იასონისთანა წევრები ჰყავს, და, თუ ამაზე უკეთესი პირების მოცემა არ შეუძლია, რაც მალე მოისპობა, ის ჯობია.

თუ არ დაგავიწყდა, მკითხველო, ჩვენი მიზანი იყო შემდეგი:

ამოგვეკითხა, წარსული წლის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ჩვენი ცხოვრება. გაგვეგო, რას გრძნობდა მწერალი და ხალხი, რომელსაც ის გვიხატავდა, და აღგვენიშნა, თუ რა დაგვიტოვა წარსულმა წელმა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში სასიცოცხლო. ჩვენ მოკლედ განვიხილეთ, რაც კი რამ იყო საყურადღებო ჩვენი მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების სიტყვაკაზმულ ნაწილში და დავინახეთ, რომ ბელეტრისტიკა მთელი წლის განმავლობაში გვიხატავდა ჩვენი სოფლის ცხოვრების ცვლილებას; ეს ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ძველი სოციალური წყობილება იშლება, ახალ სოციალურ პირობებს ნიადაგი უმზადდება, ბელეტრისტები თანაუგრძნობენ მათ, ვისაც ცხოვრებამ ტანჯულთა ხვედრი მიუსაჯა, და ზიზღით უყურებენ მათ, ვინც გლეხის ცხოვრების დარღვევას ხელს უწყობს. ხალხი, როგორც ბელეტრისტიკა გვიხატავს, გრძნობს, რომ მის თავზე რაღაც ამბავია, რომ დრო შეიცვალა, ისიც ის აღარ არის, რაც წინათ იყო, და გამოურკვეველი მომავლის წინაშე დგას. ჩვენი შარშანდელი პოეზია, როგორც უკვე დავინახეთ, კანონიერი ნაყოფია გარდამავალი ხანისა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, და ამ ხანის საუკეთესო დამახასიათებელია. თუ ბელეტრისტიკაში გამოსჭვივის, ერთი მხრივ, სიბრალული, მეორე მხრივ, ზიზღი და სიძულვილი, პოეზიას ყველა ებრალება და ეცოდება, თუმცა მეტი სიბრალული აქაც ტანჯულისა და დაჩაგრულისაკენ არის. პოეზია ბუნდად გრძნობს, რომ ჩვენს ცხოვრებას ცვლის და წყლულებს აჩენს რაღაც ძალა, რომელთანაც მას შებრძოლება არ შეუძლია, ამიტომ სევდითა და უნუგეშობით არის გამსჭვალული. სასიცოცხლო წარსული წლის სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ დაგვიტოვა: დავ. კლდიაშვილის „მრეველში“, ე. მ.-შვილის ზოგიერთი მოთხრობა, გრ. ცენტერაძის „დესპინე და ნიკო“, ი. ბებრიძის — „რა მოუვა სოსიკას“, ევდოშვილის ლექსები და არაგვისპირელის ეტიუდები, ე. მ.-შვილის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მას ფანტაზია სუსტი აქვს, დაკვირვება კი კარგი. ამიტომ ის კარგად უნდა ჩაუკვირდეს ჩვენს ცხოვრებას, შეისწავლოს ის და იქ ეძიოს თემა თავისი ხელოვნებისათვის. უამისოდ მისი მოღვაწეობა უსარგებლო იქნება. ერთი შენიშვნაც ევდოშვილს. რამდენადაც უფრო იფურჩქნება მისი პოეზია, პოეტი იმდენად უფრო გულჩახვეულია და ფარული ხდება; ამიტომ გვეშინია, ვაითუ, ხალხის ფარულად, მოშორებით, სიყვარულის სურვილმა სულ მოწყვიტოს დედამიწას და სიმბოლიზმის სამთავროში გადაიტანოს. ამის ზოგიერთ ნიშნებს უკვე ვხედავთ მის უკანასკნელ ლექსში „გედის სიმღერა“

1899 წ.

ხელოვნება და მისი მიზანი

ეს წერილი უკვე მოფიქრებული მქონდა, როდესაც „კრებულის“ III და IV ნომრები მივიღე. ამ ნომრებში ჩემი ყურადღება, სხვათა შორის, ბ-ნი ხომლელის კრიტიკულმა სტატიამ მიიქცია: ერთი იმიტომ, რომ ამ „კრებულში“ საყურადღებო ძალიან ცოტაა, მეორე, თავის სტატიაში ბ-ნი ხომლელი მეც მეხება და, ხომ მოგეხსენებათ, ადამიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყოველისფერს, რაც კი მის ღირსებას ან ნაკლოვანებას შეეხება. როდესაც ბ-ნი ხომლელის სტატია წავიკითხე, ამ წერილის განხორციელების სურვილი უფრო გამიძლიერდა, ამის მიზეზიც ცხადია: სამი წელიწადი არც კი არის, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვედი, და ასე მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი ყურადღებასაც არ მომაქცევდა, ვერც გამოირკვევდა ვინმე ჩემს ფიზიონომიას, როგორც მწერლისას, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ბ-ნი ხომლელის შენიშვნა წავიკითხე:

„მე განზრახვა მქონდა, ივ. გომართელის შემცდარ და ბუნდოვან აზრებზე სალიტერატურო კრიტიკის შესახებ პრინციპიალური სჯა-ბაასი დამეწყო“ და სხვ. თუ ამდენად ბედნიერი ვიყავი, სწორედ არ ვიცოდი და დიდად ვუმადლი ბ-ნ ხომლელს, რომ შემატყობინა.

ჩვენში ძალიან ბევრს გაუხდია მეთერთმეტე მცნებად „შენც სუ, მეც სუ“, და როდესაც მწერალი ასეთი მცნების მაღიარებლად გამოდის, ეს ფრიად საზარალო მოვლენაა, სამწუხაროს რომ თავი დავანებოთ.

მე რომ ბ-ნ ხომლელს არ შევხებოდი, მას შეიძლება არც კი სცოდნოდა, რომ გომართელიც არსებობდა ქართულ მწერლობაში, მაგრამ ახლა ჩემი აზრების გარჩევაც კი მოუწადინია! ასეთი ყურადღებისათვის დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ცხადზე უფრო ცხადია როდესაც გულმოსული ადამიანი კალამს იღებს ხელში, მაშინ ის

სამართალსა და სიმართლეს აღარ დაგიდევთ, მისი ერადერთი მიზანია გულის მოფხანა, სულის დამშვიდება მოპირდაპირის დამცირებით. მეც ვიფიქრე, ვაითუ ბ-ნმა ხომლელმაც ეს შეცდომა ჩაიდინოს ჩემს წინააღმდეგ-მეთქი და ამიტომ, ვიმეორებ, ახლა უფრო საჭიროდ ვცანი მკითხველს გავუზიარო ჩემი შეხედულება ხელოვნებისა და მის დანიშნულების შესახებ,—მით უმეტეს, რომ ასეთი შინაარსის წერილები ჩვენში ძვირად იბეჭდება, და ამით ბ-ნ ხომლელსაც შრომა გავუადვილო. მე საზოგადოდ ვერიდები, რაც შეიძლება, უმართებულო კილოსა და მედიდურობას და ამიტომ ვურჩევ ბ-ნ ხომლელს, ხელს ნუ აიღებს განზრახვაზე და თუ ჩემი შექსპირი ნინოშვილი, როგორც მას ჩემს გულში ამოუკითხავს, შემუსრა, მისი ულრიციც[1] უნდა შემუსროს სრული გამარჯვებისათვის. ახლა კი ჩვენს საგანს მივმართავთ.

ხელოვნება ბევრგვარია, მაგრამ ამ წერილში მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ პოეზია, თუმცა თავისთავად ცხადია. რომ პოეზია ხელოვნების ერთი დარგია და ამიტომ, რაც ითქმის ერთ დარგზე, იგივე მთელ ხელოვნებაზე უნდა მართლდებოდეს. პოეზიის თეორია ჯერჯერობით მეტად გამოურკვეველ საგანს შეადგენს, ამის გამო ვერ ნახავთ ისეთ კრიტიკოსს ან პოეზიის თეორეტიკოსს, რომ თავისი კერძო აზრი არ ჰქონდეს პოეზიის შესახებ. ესთეტიკის თეორიის განვითარებაში ჩვენ ვხედავთ ორ მიმართულებას. მეტაფიზიკურსა და პოზიტივურ-ევოლუციონურს. პირველი მიმართულების შემომტანი ესთეტიკაში არიან ფრანკფურტის ფილოსოფოსი ბაუმგარტენი, რომელიც XVIII საუკუნეში ცხოვრობდა და რომელმაც პირველმა შემოიღო სიტყვა „estheitica", ფიშერი და სხვები. მთავარი პრინციპი როგორც ბაუმგარტენის, ისე ფიშერისა, მათი საკუთარი, ორიგინალური კი არ არის,—ერთიცა და მეორეც თავის გამოკვლევაში სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემით ხელმძღვანელობდნენ. რადგანაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოდაში იყო ჰეგელი, რომელიც ყოველგან და ყოველისფერში თავისი მეტაფიზიკური და თითქმის სრულებით გაუგებარი აბსოლუტური იდეის ლოგიკურ განვითარებას ჰხედავდა, ფიშერმაც ჰეგელის აზრი ესთეტიკაში შემოიტანა და ესთეტიკა აბსოლუტური იდეის გამოხატულებად აღიარა. ასეთივე მეტაფიზიკოსი იყო ესთეტიკაში სხვათა შორის გოეთე. მეტაფიზიკური მიმართულება ესთეტიკის თეორიაში აშკარად ყალბია. მას მხედველობაში აქვს ხელოვნება განყენებულად და არა ცხოვრებასთან და ადამიანთან დაკავშირებით. მეტაფიზიკოსთა აზ-

[1] შექსპირის ადრინდელი კრიტიკოსი.

რით ყოველი სახელოვანი ნაწარმოები თავისთავად უნდა იყოს სრული და უნაკლო, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოქმედებს ის მკითხველზე. მაგალითად: შესაძლებელია, რომელსამე სახელოვან ნაწარმოებს ყოველი მკითხველი აღტაცებაში მოჰყავდეს, მაგრამ მეტაფიზიკოსი ესთეტიკოსი მას ჩირადაც არ აფასებდეს; აგრეთვე შესაძლებელია მან ისეთი ნაწარმოები დასახოს ხელოვნების სიმშვენიერედ, ოომელიც მკითხველის გულსა და გონებას არაფერს არ აძლევს. მეტაფიზიკა, თავის განყენებულ აზროვნებაში, დედუქციით ხელმძღვანელობდა, უარჰყოფდა ფაქტების დაკვირვებასა და ცდას. იგონებდა დოგმატურ პრინციპებს და ამ პრინციპებით ცდილობდა მსოფლიოს ახსნას. ამავე გზას დაადგნენ მეტაფიზიკოსი ესთეტიკოსები. ყოველი მათი განმარტება ხელოვნებისა დოგმატიურ მსჯელობაზე არის აშენებული. ამგვარ თეორეტიკებს თავისი წარმომადგენლები კრიტიკაშიც ჰყავდათ. ასეთი არიან ნიზარი, ბუალო, დღევანდელი ბრუნეტიერი. პოზიტიურ გზას ხელოვნების გამოკვლევაში დაადგნენ ლესინგი, კანტი და განსაკუთრებით სპენსერი, რომელმაც თავისი ესთეტიკური პოზიტიური თეორია ევოლუციონიზმზე ააშენა.

როგორც სპენსერი გვატყობინებს, ესთეტიკურ გრძნობათა განხილვაში[1], თავისი თეორიის შექმნამდე მას ერთი გერმანული ციტატა შეხვედრია. ამ ციტატის აზრი ის ყოფილა, რომ თამაშისა და ესთეტურ გრძნობათა სათავე ერთი და იგივე იმპულსი არისო. ეს აზრი ჰეშმარიტების წინასწარმეტყველება არისო, დასძენს სპენსერი და თვით ჰეშმარიტება კი ალბათ მისი საკუთარი თეორია უნდა იყოს. სპენსერის თეორიით, ესთეტიკური გრძნობა, რომელსაც ხელოვნება აღგვიძრავს, არის უბრალო თამაში, და მას არავითარი მიზანი არა აქვს, გარდა სიამოვნებისა. თუ მივმართავთ ცხოველებს, დავინახავთ, რომ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მათ მთელ დროს არ ართმევს. მათ კიდევ რჩებათ თავისუფალი დრო. თუ გონების რომელიმე ორგანო დიდხანს არის დასვენებული, ზედმეტის ძლიერებით მიისწრაფვის მოქმედებისაკენ და თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ნამდვილი, რეალური მოქმედების მაგიერ მისი მსგავსება, მისი იდეალური აჩრდილი ჩნდება. ამგვარად წარმოდგება ყოველგვარი თამაში ანუ უმაქნისო და უსარგებლო ვარჯიშობა. მაგალითად, ვირთაგვა რომ გალიაში დაამწყვდიოთ, ის ყოველისფერს ღრღნის კბილებით, რაც კი რამ მოხვდება. კატა,

---

[1] Спенсер, Основная психология, 1898 г.

რომელსაც თავის კლანჭები დღეს იმდენად აღარ ჭირდება. როგორც გარეულად ცხოვრების დროს, ხანდახან წინა ფეხებს ამოშვერს, გამოუშვებს კლანჭებს და სკამებსა და ხის კანს კაწრავს და სხვ. სპენსერს მოჰყავს აგრეთვე ძაღლების მაგალითი, კნუტის, ჟირაფის და სხვ. ასეთი უსარგებლო თამაში ცხოველის განვითარებასთან ერთად თანდათან ვითარდება და ადამიანში კი ესთეტიკურ გრძნობად იქცევა; ამ ესთეტიკურ გრძნობას ანუ თამაშს იწვევს ადამიანში ესთეტიკური ნაწარმოებნი, მაგრამ როგორც დაბალ საფეხურზე, ისე მაღალზედაც თამაშს არავითარი მიზანი არა აქვს. გარდა სიამოვნებისა. ფსიქოლოგიის მეცხრე თავში სპენსერი მარტო იმას ამბობს, რომ ესთეტიკური გრძნობა სიცოცხლის სარგებლობის მიზანს მოკლებულიაო, მაგრამ სხვა ნაწერებში, მაგალითად „სარგებლობა და შვენიერებაში“, ამ აზრს აფართოვებს და პირდაპირ და სრულიად დაუმტკიცებლად ქადაგებს: სარგებლობა და ხელოვნება შორიშორს არიან ერთმანეთისაგანო. ამგვარივე აზრის არის კანტიც და მთელი ეგრეთწოდებული კრიტიკოსთა სკოლა. სპენსერის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პირადი სიცოცხლის სარგებლობა და საზოგადოებრივი სარგებლობა ერთიმეორისაგან ძალიან დაშორებული არიან; შედარებაც კი შეუძლებელია მათ შორის. შეიძლება რაიმე მოქმედება კერძო სიცოცხლისათვის სრულებით უსარგებლო იყოს, საზარალოც კი, მაგრამ ამავე დროს საზოგადო ცხოვრებაში სარგებლობა მოჰქონდეს. რომელიმე მილიონერის სიცოცხლისათვის სულ ერთია, შესწირავს თუ არა თავისი სიმდიდრის ერთ ნაწილს რაიმე საქველმოქმედო საქმეს; მაგრამ მათთვისვის ინტერესსაც ეს საქმე წარმოადგენს, სულ ერთი არ არის... რომელიმე უაიტის სიცოცხლისათვის სულ ერთია, მოიგონებს თუ არა ის ორთქლის ქვაბს; მაგრამ კაცობრიობისათვის კი სულ ერთი არ არის: ორთქლის ქვაბი რომ დღემდე არ გამოეგონებიათ, დღევანდელი ევროპაც ის არ იქნებოდა, რაც ახლა არის და სხვა და სხვა. ხელოვნების საგნად სპენსერი მშვენიერებას სახავს და რადგანაც, მისი აზრით, მშვენიერება და სარგებლობა ერთიმეორეს არ ეთანხმება, ის, ვისაც სარგებლობა მიზნად დაუსახავს, ამით მშვენიერებას უარყოფს; ამიტომ ხელოვნებამაც სარგებლობას თავი უნდა დაანებოს. ბურჟუაზიული ფილოსოფოსის ასეთი აზრი და ადამიანის ინტერესთა აბუჩად აგდება მე სრულებით არ მაკვირვებს, რადგან მჯერა, რომ კლასიური ფსიქოლოგია და კლასიური ინტერესებით დაბრმავება ადამიანს რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს, ბევრ სიყალბეს ჩაადენინებს საბრალო ობიექტიური ჭეშმარიტების სახელით: ხოლო გასაოცარია, სადამდის მიიყვანა სპენსერი თავისმა თეორიამ;

ის ამტკიცებს: კონტრასტი მშვენიერების აუცილებელ პირობას შეადგენს, და რადგანაც კონტრასტი უფრო წარსულშია, ვიდრე აწმყოში. ამიტომ ხელოვნებამაც აწმყოს თავი უნდა დაანებოს და თავის საგნად წარსული გაიხადოსო. კიდევ იღბალი, რომ ჩვენი წარსულის ჭირისუფალი მწერლები სპენსერს ნაკლებად იცნობდნენ, თორემ თქვენი მტერი: მარტო წარსულის გლოვაში ამოხდებოდათ სული! სპენსერის ესთეტიური თეორია დღეს ყველაზე გავრცელებულია; გავრცელებულია იმიტომ, რომ დღეს დიდსაც და პატარასაც, მეცნიერსაც და უბრალო მოკვდავსაც ენაზე ევოლუციონიზმი აქერია; ყველგან ევოლუციას ხედავენ, ყველაფერში ევოლუციონიზმის გამორკვევა უნდათ და, რადგანაც სპენსერმა თავის თეორია ევოლუციონიზმის კანვაზე მოჰქარგა, ეს ფაქტი სავსებით საკმარისია, რომ, მისი თეორია უტყუარ მცნებად აღიარონ. როგორც ზემოთაც დავინახეთ, სპენსერის თეორიაში ორი მთავარი მუხლია: 1. ესთეტიური ნაწარმოებნი ანუ ხელოვნება აღძრავს ადამიანში ესთეტიურ გრძნობას; 2. ესთეტიური გრძნობა უსარგებლო თამაშია, რომლის პირდაპირი მიზანი ესთეტიური სიამოვნება არის. თუმცა აქედან სპენსერს პირდაპირი დასკვნა არ გამოჰყავს, მაგრამ მკითხველისათვის ცხადია, რომ ამ ორი მუხლიდან მხოლოდ ერთადერთი დასკვნაა შესაძლებელი, ის რომ ხელოვნება ადამიანს უმთავრესად ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს. თუმცა, სპენსერი დიდი სახელმოხვეჭილი ფილოსოფია, მაგრამ მე, ჩვეულებრივ მოკვდავს, მისი ესთეტიკური თეორია შეცდომად მიმაჩნია. ჯერ ერთი ფიზიკურ თამაშსა და მწერლის გონებრივ მუშაობაში, როცა ის ხელოვნურ ნაწარმოებს ქმნის, ან მკითხველის გონებრივ პროცესში, როცა ის ხელოვნურ ნაწარმოებს კითხულობს, არავითარი მსგავსება არ არის. მართალია, სპენსერმა ადამიდან დაიწყო და შორს გამოუნახა საფუძველი თავის თეორიას, როდესაც კატასა და ძაღლებს მიმართა, მაგრამ იმის დამტკიცების ნაცვლად, რომ კნუტის თამაში და ვირთაგვისაგან ხის ღრღნა ადამიანის ხელოვნების ან ესთეტურ გრძნობათა პროტოტიპია, მან მარტოოდენ ანალოგიების მეტი არა მოგვცა რა. საზოგადოდ, სპენსერს ანალოგიები ძალიან უყვარს. მთელი მისი სოციოლოგია ამ ანალოგიებზე არის აშენებული. ამ ანალოგიების მიხედვით აღიარა მან საზოგადოება ორგანიზმად, პარლამენტი სოციალური ორგანიზმის ტვინად და ტელეგრაფის მავთულები ნერვებად. მაგრამ თვით ეს მაგალითებიც ცხადად გვიჩვენებენ, რომ ანალოგიებით არაფრის დამტკიცება არ შეიძლება, გარდა საკუთარი თვალთმაქცობისა. „მოქმედებანი, რომლებსაც თამაშს ვუწოდებთ, ესთეტურ მოქმედებებს იმ საერთო ხაზით უერთდებიან,

რომ არც პირველი და არც მეორე არ ეხმარებიან პირდაპირ იმ პროცესებს, რომლებიც სიცოცხლისათვის არიან დანიშნულნი", — წერს სპენსერი[1]; მაგრამ ნუთუ ასეთი ზოგადი მსგავსება საკმარისია, რომ ხელოვნებისა და თამაშის სათავედ ერთი და იგივე იმპულსი ვაღიაროთ? ასეთი მეთოდით ყოველგვარი უმსგავსოების დამტკიცება შეიძლება; მაგალითად, — კოპერნიკის, ნიუტონის, დარვინის სამეცნიერო მუშაობა სრულებით არ ეხმარება იმ პროცესებს, რომლებიც სიცოცხლისათვის არიან დანიშნული; ამგვარად, მათაც ჰქონიათ საერთო ხაზი თამაშთან; მაგრამ ნუთუ ამ მეცნიერთა მუშაობასა და თამაშს ერთი და იგივე სათავე აქვს? კნუტის თამაშობიდან რომ ვინმე მკვლევარი თანდათანობით ხელოვნებამდე მივიდეს, შეუძლებელია, რადგანაც, ერთი მხრით, თამაშობა და, მეორე მხრით, ხელოვნება სრულიად სხვადასხვა პროცესია. შეიძლება მათ შორის რაიმე ანალოგიური მსგავსება იყოს, მაგრამ მათი სათავე ერთი და იგივე არ არის: თამაშია ფიზიკური პროცესი, ხელოვნება კი აზროვნებითი, ფსიქოლოგიური. მეცნიერება ჯერ არ არის იმდენად განვითარებული, რომ ცხოველთა საზოგადოებაში და ბუნებაში აღმოაჩინოს ყოველივე იმის ნიშნები, რაც ადამიანის ბუნებაში და საზოგადოებაში არსებობს. ევოლუციონიზმს, როგორც მეთოდს, შეუძლია ადამიანთა ცხოვრების ბევრი საიდუმლოების გარკვევა, როცა ის ადამიანთა ისტორიის ან ისტორიის წინა დროთა საზღვრებს არ სცილდება, როცა დღევანდელი ცხოვრების სათავეს ველური ადამიანის ცხოვრებაში ეძიებს; მაგრამ როდესაც ის ადამიანს თავს ანებებს და პირუტყვს მიმართავს, რომ აქ დაგვანახოს ყოველივე იმის ნიშნები, რაც ადამიანის ფსიქიკაშია, ამ შემთხვევაში ევოლუციონიზმი დღესდღეობით უძლურია. ეჭვს გარეშეა, თუკი ადამიანი მხოლოდ უმაღლესად განვითარებული ცხოველია, რის უარყოფაც აღარ შეიძლება, მისი ფსიქიკის ელემენტები პირუტყვის ფსიქიკაში უნდა იყოს, მაგრამ რომელიმე კნუტსა და ადამიანს შორის იმდენი განსხვავებაა, რომ ამ ელემენტების პოვნას მეცნიერებამ ჯერჯერობით თავი უნდა დაანებოს.

■

როგორც ზემოთა ვთქვი ხელოვნება ფსიქოლოგიური პროცესია. დღევანდელი ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია თავის ძირითად ელემენტად წარმოდგენას აღიარებს. წარმოდგენათა შეერთებით ის ჩსნის ყოველგვარ ფსიქოლოგიურ აქტს, როგორც მარტივს, ისე

---

[1] Основная психология, 1898 г., стр. 413.

რთულს. წარმოდგენას ადამიანის ტვინში იწვევს მგრძნობელობა (ощущение). ყოველი მგრძნობელობის მიზეზი არის, ერთი მხრით, ჩვენს გარეშე, მეორე მხრით, ჩვენში. ჩვენ გვაქვს გრძნობის რამდენიმე ორგანო. იმოქმედებს თუ არა გარეშე მიზეზი გრძნობის რომელსამე ორგანოზე, ეს მოქმედება ნერვების შემწეობით გადაეცემა თავის ტვინში მგრძნობელობის ცენტრებს[1] და ამგვარად ამ ცენტრებში დაიბადება მგრძნობელობა. ეს ცენტრები წვრილი ნერვების შემწეობით უერთდებიან წარმოდგენის ცენტრებს; მგრძნობელობა გადაეცემა ამ ცენტრებს პირველი ცენტრებიდან და ამგვარად ჩნდება წარმოდგენა. ამ უკანასკნელი ცენტრების ძირითად თვისებას ის შეადგენს, რომ მას შეუძლია როგორც წარმოდგენათა აღძვრა, ისე წარმოდგენათა შერჩენა, რასაც მდაბიურად მეხსიერებას ვეძახით. რანაირად ჩნდება ნერვების ცენტრებში გრძნობელობა, წარმოდგენა და წარმოდგენათა შეერთებით მთელი აზროვნება, ეს სრულებით გაუგებარია. რადგანაც ყოველგვარი ხელოვნების სათავე, როგორც ფსიქიური აქტის, წარმოდგენაა, წარმოდგენის გამომწვევი კი გარეშე მიზეზია და ადამიანის ფსიქიკა, აქედან ცხადია, რომ ყოველი ხელოვნება ნაყოფია ორი ფაქტორისა: გარეშე მიზეზისა და მწერლის ფსიქიკისა. როგორც ყოველი ფსიქიკური აქტი, ხელოვნებაც რეფლექტორული აქტია. რა არის რეფლექსი, ამას ახლავე ავხსნი. მძინარე ბავშვს რომ ფეხზე ნემსი უჩხვლიტოთ, ის ფეხს გაანძრევს; ამგვარსავე მოვლენას ჩვენ ვხედავთ ყველა ცხოველში, რომლებსაც ნერვები აქვთ. ამოუშერით ბაყაყს თავის ტვინი და დასვით ერთ ალაგას. რამდენხანსაც უნდა გააჩეროთ ასე ბაყაყი, ის ალაგიდან არ დაიძვრის. მაგრამ ნემსი რომ უჩხვლიტოთ ფეხზე, მაშინვე გადახტება; სიმჟავე რომ წასცხოთ რომელიმე ალაგას, ეცდება, ფეხით სიმჟავე მოიცილოს. ამ, მოვლენას უწოდებენ რეფლექსს.

როგორ ხსნის თანამედროვე მეცნიერება რეფლექსს? ყოველგვარი რეფლექტორული მოძრაობისათვის საჭიროა გრძნობის ნერვი ცენტრი, რომელსაც ეს ნერვი უერთდება, და მოძრაობის ნერვი, რომელიც ამ ცენტრიდან გამოდის, მაგალითად, თქვენ უჩხვლიტეთ მძინარე ბავშვს ფეხზე ნემსი. ის ამ დროს ტკივილს ვერ გრძნობს; რომ იგრძნოს, გამოეღვიძება, მიუხედავად ამისა, ფეხი

---

[1] ცენტრი ჰქვია ნერვული უჯრედების გროვას, რომელიც ერთ განსაზღვრულ ფუნქციას განაგებს.

იქით მიაქვს, ამის მიზეზი აი, რა არის: ფეხის კანში გაფანტულია გრძნობის ნერვები. როდესაც თქვენ ბავშვს ფეხში უჩხვლიტეთ. ამით გრძნობის ნერვი (ერთი ან რამდენიმე) გააღიზიანეთ. ეს გადიზიანება გარდაეცა ხერხემლის ტვინში იმ ცენტრს, რომელსაც გაღიზიანებული ნერვი უერთდება. ამ ცენტრიდან მოდის ფეხის კუნთებისაკენ მოძრაობის ნერვი; გაღიზიანება ცენტრიდან ამ ნერვზე გადმოვიდა, ამ ნერვმაც კუნთები შეამოკლა და ამგვარად, ფეხი აამოძრავა. ყოველი რეფლექტორული აქტი აუცილებელია: თუკი არსებობს გარეშე მიზეზი, რეფლექსი უსათუოდ გაჩნდება. რეფლექტორული ცენტრები ხერხემლის ტვინშია. თავის ტვინში ასეთი ცენტრები ჯერ ვერავის უპოვია. მაგრამ ასეთი ცენტრების არსებობაზე ბევრი ფაქტი მიგვითითებს. შედარებით ანატომია უეჭველს ხდის, რომ თავის ტვინი უმაღლესად განვითარებული ხერხემლის ტვინია. ანატომიაში თანდათან მკვიდრდება აზრი, უკვე გოეთეს მიერ გამოთქმული, რომ თავის კეფის ძვლები იგივე ხერხემლის ძვლებია, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში დიდი ცვლილება განუცდიათ. არის ერთი უმდაბლესი ხერხემლიანი ცხოველი, amphioxus Lanceoitus, რომლის თავის ტვინი და ხერხემლის ტვინი ერთიმეორისაგან არ განირჩევა; ამ ცხოველში თავის ტვინი ჯერ იმდენად ვერ განვითარებულა, რომ ხერხემლის ტვინიდან გამოყოფილიყოს. მრგვალპირიან თევზებში თავის ტვინი ცოტათი მომსხმოა ხერხემლის ტვინზე და ამით განირჩევა უკანასკნელისაგან.

აქედან დაწყებული რამდენიც უფრო განვითარებულია ცხოველის ორგანიზაცია, იმდენად უფრო მსხვილი თავის ტვინი აქვს, ე. ი. თავის ტვინი იმდენად უფრო დაწინაურებია განვითარებაში ხერხემლისას. თუკი თავის ტვინი ხერხემლის ტვინიდან განვითარდა, ხერხემლის ტვინში კი რეფლექტორული პენტოზებია, აშკარაა, ასეთი ცენტრები თავის ტვინშიც უნდა იყოს, მაგრამ თავის ტვინის მოქმედება იმდენად რთულია და მრავალგვარი, რომ ამ რეფლექტორული ცენტრების გამოცალკევება და გამოაშკარავება ჯერ ვერავის მოუხერხებია. თავის ტვინის მოქმედება იმდენად წააგავს რეფლექტორულს, რომ ეჭვს გარეშეა, ყოველი ფსიქიური აქტი იგივე რეფლექსია, იმ განსხვავებით, რომ თავის ტვინში აღძრულ რეფლექსს ჩვენ ვგრძნობთ. თავის ტვინის მოქმედება რეფლექსებად პირველად სეჩენოვმა აღიარა. როდესაც სამოცდაათიან წლებში მისი შესანიშნავი წიგნი „თავის ტვინის რეფლექსები" გამოვიდა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ საშინელი პოლემიკა და კრიტიკა გაიმართა. სეჩენოვს მაშინ ძალიან ცოტა მომხრე გამო-

უჩნდა, მაგრამ დღეს მისი მომხრეთა რიცხვი სწრაფად იზრდება. ჯერ სრულებით ახალგაზრდა ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია სწრაფად იზიდავს მეცნიერებს; ის უარყოფს თავისუფალ ნებას, ქადაგებს სრულ დეტერმინიზმს ფსიქიკის მოქმედებაში და ფსიქოლოგიაში დეტერმინიზმის შემოტანა ხომ იგივე რეფლექსებით ახსნა არის თავის ტვინის მოქმედებისა. ხელოვნება, როგორც ფსიქიური აქტი, თავის ტვინის რეფლექსებად უნდა ჩავთვალოთ. პოეტი, რომლის ფსიქიკაში, გარეშე მიზეზი სხვადასხვა წარმოდგენებს იწვევს, ადრე თუ გვიან კალამს იღებს ხელში, რომ თავისი წარმოდგენანი გარეთ გამოიტანოს, როგორმე გამოხატოს; ან გარეშე მიზეზთაგან აღძრული წარმოდგენანი წარმოშობს მასში სხვადასხვა გრძნობებს, ემოციებს, და ის კალამს იღებს, რომ თავისი სულისა და გულის მოძრაობა გამოხატოს. ამაში მე ვხედავ მხოლოდ ასაცილებელ რეფლექტორულ აქტს. თუ ხელოვნების პროცესი რეფლექტორულია, რატომ ყველა ხელოვანი არ არისო, იკითხავს მკითხველი. შემცდარია ის აზრი, ვითომ ხელოვნის ნიჭი სრულებით დაშორებული იყოს არახელოვანის ნიჭს, სახელოვნო ნიჭის ნასახი ყოველ ადამიანს აბადია. აიღეთ ბავშვი, რომელიც თოვლის კაცს აკეთებს; ამ თამაშში უსათუოდ არის ხელოვნების ნიშნები. ყოველ ჩვენგანს ხასიათად სჭირს, თუ რამე ნახა, ან გაიგონა საყურადღებო, უსათუოდ სხვასაც შეატყობიოს. ძვირად ნახავთ ადამიანს, რომელსაც სიყმაწვილეში ან ლექსი ან რაიმე მოთხრობა არ დაეწეროს. შეიძლება ერთი და მეორეც ძალიან შორს იყოს ხელოვნებაზე, მაგრამ ასეთი პროცესი უეჭველი მსგავსებაა სახელოვნო პროცესის. ამგვარი მაგალითები შეიძლებოდა ბევრი მომეყვანა, მაგრამ აქედანაც ცხადია. რომ ხელოვანის ნიჭი იგივეა, რაც ჩვეულებრივი ადამიანის, მხოლოდ პირველ შემთხვევაში ეს ნიჭი ერთი მიმართულებისაკენ უმაღლესად არის განვითარებული, მეორე შემთხვევაში კი არა. რად ვითარდება ერთ შემთხვევაში ეს ნიჭი, მეორეში კი არა, რად არის ერთი ხელოვანი ძლიერი, მეორე კი სუსტი და სხვა. ამგვარი კითხვები ჯერჯერობით სრულიად გაუგებარია და აუხსნელი. აქ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობას, იდეათა ასოციაციის მრავალგვარობას და სიმდიდრე-სიღარიბეს, რეფლექსების სისწრაფე-სიძლიერეს, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთი კითხვები დღევანდელი მეცნიერებისათვის მიუვალ სიმაგრეს შეადგენენ...

*

თუმცა სახელოვნო პროცესი აუცილებელია, მაგრამ აქედან ის დასკვნა როდი გამომდინარეობს, ვითომ ხელოვნების მსახურს არა-

ვითარი მიზანი არ უნდა ჰქონდეს დასახული. როგორც ყოველი მოღვაწე, ისიც რაიმე მიზანს უნდა მისდევდეს. პირველი შეხედვით, ეს აზრი მკითხველს პარადოქსად მოეჩვენება; ის უსათუოდ იფიქრებს: თუ კი სახელოვნო პროცესი რეფლექტორულია და მიზანს მოკლებული, მაშასადამე, მწერალიც მორჩილია ამ პროცესის, მას არ შეუძლია ის წარმოდგენანი და გრძნობები არ გამოხატოს, რომლებიც მას ამ დროს აღელვებენ. მაშ მიზანის დასახვას რაღა მნიშვნელობა აქვსო! მაგრამ აქ რომ არავითარი პარადოქსი არ არის, ამას ახლავე დავანახვებ მკითხველს. მივმართოთ მაგალითებს. საჭმელის მიღება, საზრდოობა აუცილებელი პროცესია: თუ მოშიდა ადამიანს, ეს გრძნობა მას ძალას ატანს, საზრდო მიიღოს. მიუხედავად ამისა, ადამიანს შეუძლია, ამ აუცილებელ პროცესს მიზანი მოუნახოს და ის ასეც ირჯება: ცდილობს საზრდო მისთვის მარგებელი იყოს, და ყოველგვარ მაზარალებელ ნივთიერებას ერიდება. თუ არსებობს გარეშე მიზეზი, მგრძნობელობა აუცილებელ პროცესს შეადგენს ადამიანის ბუნებაში; რამდენიც უნდა ვეცადოთ მგრძნობელობას ვერ მოვსპობთ; მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, ვითომ შეუძლებელი იყოს მგრძნობელობა მიზანს შევუფართოდ. გამოცდილებამ ყოველი ჩვენგანი დაარწმუნა, რომ ზოგი მგრძნობელობა სასიამოვნოა, ზოგი კი უსიამო; ამიტომ ყოველი ჩვენგანი ეტანება სასიამო მგრძნობელობას, უსიამოს კი ერიდება და ხშირად თავიდან იცილებს, თუმცა ერთიც და მეორეც ერთიანად აუცილებელია. შეიძლება, ბევრი მოინახოს მაგალითები, რომ რაიმე პროცესის თვითარსი, ობიექტური უმიზნობა სრულებით არ აიძულებს ადამიანს, საკუთარ მიზანს თავი დაანებოს და ბუნების ხელში უსულგულო ავტომატად გადაიქცეს. მაშ, როგორ შეიძლება, ხელოვანმა მიზანი დაისახოს, როდესაც სახელოვნო პროცესი უმიზნოა? ჩვენ ვიცით, რომ ეს პროცესი რეფლექტორულია, მისი წარმომშობია, ერთი მხრით, გარეშე მიზეზი, მეორე მხრით, ხელოვანის ფსიქიკა. ერთი მიზეზი იწვევს ხელოვანში შესაფერ წარმოდგენებსა და გრძნობებს ანუ შესაფერ ხელოვნებას, მეორე მიზეზი თავის შესაფერს ანუ სხვაგვარს, მესამე კიდევ სხვაგვარსა და სხვა. ყოველგვარი წარმოდგენანი და გრძნობები რომ ერთნაირი ღირსებისა და ფასის იყვნენ ხელოვნის თვალში, შეუძლებელია; უსათუოდ ერთს ის მეტს მნიშვნელობას აძლევს, მეორეს ნაკლებს, მესამეს არავითარს ამიტომ მას სრული უფლება აქვს და შეუძლია კიდეც, ეპიოს ისეთი გარეშე მიზეზები, რომლებიც მასში იწვევენ მნიშვნელოვან წარმოდგენებს და გრძნობებს; ისეთ მიზეზებს კი, რომლებიც მის

თვალში უმნიშვნელო წარმოდგენებს და გრძნობებს იწვევენ. ყურადღება არ მიაქციოს, ერიდოს, ამგვარად, მისი სახელოვანი პროცესი ისევ ისე რეფლექტორული, აუცილებელი დარჩება და თავისთავად უმიზნო, ხოლო თვით ხელოვანის მიერ საზრიანად მიმართული მიზნისაკენ. აიღეთ მთელი ის დარგი ხელოვნებისა, რომლის სიუჟეტიც ისტორიიდან არის აღებული. ისტორიული სიუჟეტების მოწამე თვითონ მწერალი არ არის, მაშასადამე, არც შეიძლება თქმა, მწერალმა დაინახა და უმიზნოდ დახატაო. ყოველი მწერალი სანამ სახელოვნო ნაწარმოებს დაწერდეს ისტორიული შინაარსისას, სწავლობს შესაფერ ეპოქას, ჩხრეკს არქივებს, ოქმებს და სხვ. აქედან აშკარაა, მწერალი წინდაწინვე გამორკვეული და განსაზღვრული მიზნით შეუდგება ხოლმე შრომას.

რა საზომით უნდა ხელმძღვანელობდეს მწერალი, რომ გაარჩიოს, როგორ წარმოდგენებსა და გრძნობებს მეტი ფასი აქვთ, როგორს ნაკლები, როგორს სულ არავითარი ე. ი. რაში უნდა მდგომარეობდეს ყოველი ხელოვნის მიზანი? ხელოვნების მიზნის შესახებ სხვადასხვა დროს სხვადასხვა აზრი არსებობდა. მაგალითად, ენციკლოპედისტთა (ვოლტერი, დიდრო და სხვ.,) აზრით, ხელოვნების მიზანი თავისუფლება არის. კანტი ამტკიცებს, ხელოვნების მიზანი მშვენიერებაა. საფრანგეთის მწერალი ტეოფილ გოტიე ქადაგებს Jart pour Jart. დიუმა — მამა ამტკიცებს: ხელოვნების მიზანი საზოგადოებრივი სარგებლობა არისო. შესანიშნავი ფსიქოლოგი ბენი თავის ფსიქოლოგიაში აღიარებს: ხელოვნების პირდაპირი მიზანი სიამოვნება არის და ამიტომ ყოველისფერი, რაც სიამოვნებას ხელს უშლის, ხელოვნებიდან განდევნილი უნდა იყოსო; სიამოვნების მიზანს ემხრობა სპენსერიც; გიუიო თავის ესთეტიკაში ამ აზრის არის: სასარგებლოა, მშვენიერი და საამო თავდაპირველად ერთი და იგივე იყო, მაშასადამე, ხელოვნების მიზანიც სარგებლობა არისო, და სხვა და სხვ. ხელოვნების ყოველი მსახური მე მიმაჩნია საზოგადო მოღვაწედ. საზოგადო მოღვაწეობა მხოლოდ სამგვარია: სასარგებლო და საზარალო. ვინც საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის, მას სახეში უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო მოღვაწეობა და ეს ასეც იყო ყოველ დროს. ძვირად გამოსულა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე იმ მიზნით, რომ საზოგადოებისათვის ზარალი მოეტანოს, ან უქმად წყალი ენაყოს და არა გაეკეთებიოს რა. აიღეთ რა მავნებელი მოღვაწეც გინდათ, რა ზარალიც უნდა მოეტანოს მას საზოგადოებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, ის დარწმუნებული იყო, რომ სარგებლობა მოჰ-

ქონდა: არიან. რასაკვირველია, ისეთი მოღვაწეები, რომლებიც საზოგადო საქმეს ქერქში პირად ინტერესებს და ანგარიშებს ახვევენ და შეგნებულად საზარალოდ მოქმედებენ. მაგრამ ასეთ მოღვაწეს საზოგადო საქმე კი არა აქვს სახეში, არამედ თავისი საკუთარი „მე“ და ამიტომ ჭეშმარიტი მოღვაწეობის კვლევაში მათი მაგალითები არაფერს არ გვეუბნება, იმის მეტს, რომ დაბალი მიმართულების ადამიანი ყოველთვის იყო და არის.

ზემონათქვამიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ ხელოვნების ერთადერთი მიზანიც საზოგადოებრივი სარგებლობა უნდა იყოს. ყოველივე ადამიანისაკენ, ყოველივე ადამიანისათვის, აი, რა უნდა იყოს ყოველი მოღვაწის და აგრეთვე ხელოვანის დევიზი.

როდესაც ხელში აიღებთ რომელსამე გამოკვლევას ესთეტიკის შესახებ, ერთ გასაოცარ მოვლენას დაინახავთ: ყოველ ავტორს, მეტაფიზიკოსი იქნება ის, პოზიტივისტი, თუ ევოლუციონისტი, აქსიომად დაუსახავს კანტის აზრი, რომ ხელოვნების მიზანი მშვენიერებაა, ან ხელოვნება თვითმშვენიერებად მიაჩნია, და ყველა მარტო იმას ცდილობს, რომ განმარტოს ეს მშვენიერება და გამოიკვლიოს მისი კანონები. იყო დრო, როდესაც ლიტერატურას ყველა თვლიდა მაღალი წოდების გასართობ ვარჯიშობად: მწერლები მხოლოდ ამ წოდებისათვის წერდნენ, მხოლოდ მისი სიამოვნება ჰქონდათ მხედველობაში. სხვა არაფერი. ამიტომ სრულებით ჩვეულებრივია, თუ ასეთ დროს ქადაგებდნენ: ლიტერატურამ ცხოვრება უნდა უარჰყოს, მისი მიზანი მშვენიერებაა, ის თვით არის მშვენიერებაო და სხვა ამგვარი. მაგრამ ჩვენს დროშიც რომ ასეთი ქადაგება კიდევ მძლავრად გაისმის, ეს კი გასაოცარია. საფრანგეთის ნიჭიერი ფილოსოფოსი გიუიო თუმცა სპენსერისა და კანტის აზრის სრული წინააღმდეგია, მაგრამ ხელოვნების მიზანი რომ მშვენიერებაა, მასაც აქსიომად მიაჩნია, ხოლო ამტკიცებს: თავდაპირველად სასარგებლო, მშვენიერი და საამო ერთი და იგივე იყოო; და ამგვარად, ხელოვნების საბოლოო მიზნად სარგებლობას აღიარებს. ზოგიერთი მისი საბუთი ჭეშმარიტია, მაგრამ მშვენიერი და სასარგებლო ერთი და იგივეც რომ არ ყოფილიყო თავდაპირველად, ეს მაინც არ ამტკიცებს, ვითომ ხელოვნების მიზნად მშვენიერების დასახვა აქსიომა იყოს. დღეს ასეთი ქადაგება: ხელოვნების მიზანი მშვენიერებაა, ხელოვნება თვით მშვენიერებაა, უარყოფილი უნდა იყოს. ხელოვნება მიბაძვაა სინამდვილისა, მიუხედავად იმისა, მშვენიერი იქნება ეს სინამდვილე, თუ არა. სახელოვნო პროცესში მე ვერ ვამჩნევ ვერაფერს ისეთს, რაც ოდნავ მაინც მეუბნებოდეს: მშვენიერება ჩემი

მიზანიაო. ან რა არის თვით მშვენიერება? ამის რიგიან პასუხს ვერც ერთი მკვლევარი ვერ მოგცემთ.

*

ყოველ მკითხველს შეუძლია, იკითხოს: რად უნდა იყოს საზოგადოებრივი სარგებლობა ხელოვნების მიზანი? ასეთი კითხვა საფუძვლიანია და ვეცდები. შეძლებისდაგვარად ავხსნა. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ქვეყნიერება მრავალ პატარა კუნძულებად არის დაყოფილი. თვითეულ კუნძულზე მხოლოდ ერთი ადამიანი ცხოვრობს; ერთმანეთთან მიმოსვლა მათ არც შეუძლიათ, არც საჭიროებენ. მხოლოდ დროგამოშვებით ქალსა და მამაკაცს საშუალება ეძლევათ, ერთმანეთი ინახულონ, რის გამო კაცობრიობა შეუფერხებლად მრავლდება. ყოველ ახალ წევრს საკუთარი კუნძული ეძლევა. ამგვარად, არავითარი საზოგადოება არ არსებობს, ყოველი ადამიანი ცხოვრობს თავისთვის. საზოგადოების გარეშე. აშკარაა, ასეთ ადამიანს არავითარი წარმოდგენა არ ექნება რაიმე ზნეობაზე და მოვალეობაზე. ამგვარ ადამიანს სრული უფლება აქვს იცხოვროს ისე, როგორც მას უნდა. იმოქმედოს და იფიქროს, როგორც ენებება. არავითარი დაბრკოლება, არავითარი შეზღუდვა უფლებათა მისთვის არ არსებობს. ბუნებამ ისე მოაწყო მისი აგებულება, რომ ყოველ უჯრედს ინსტინქტურად გამჯდარი აქვს სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული; მის ნერვებს მგრძნობელობის თვისება აქვთ, მას ეს კი შეუნიშნავს, რომ ზოგიერთი მგრძნობელობა მისთვის სასიამოვნოა, ზოგი კი უსიამო; დაუკვირდება თავის ბუნებას და მალე დარწმუნდება, რომ სასიამო გრძნობელობა მისთვის მარგებელია, უსიამო კი მაზარალებელი. რადგანაც სიცოცხლის ინსტინქტური სიყვარული სარგებლობისაკენ იწევს, ზარალს კი გაურბის, ამიტომ ჩვენი ჰიპოტეტური ადამიანი თავის მოქმედებაში მხოლოდ საკუთარი სიამოვნებით, საკუთარი სარგებლობით იხელმძღვანელებს, რატომო, თუ იკითხავთ, იმიტომ, რომ საზოგადოდ, ყოველი ცხოველისა და ადამიანის ორგანიზაცია ასეთია, ეს კანონი ფიზიოლოგიურია და არა ჩემ მიერ გამოგონილი; ალტრუისტული გრძნობანი რომ განუვითარდეს, შეუძლებელია. რადგანაც მთელ კუნძულზე ის ერთადერთი ადამიანია. გაიარა ასეთ მდგომარეობაში დიდმა დრომ, ხალხი ისე მომრავლდა, რომ ცალკე კუნძული აღარავის გაწვდა და კერძო ცხოვრება თანდათან საზოგადოებრივ ცხოვრებად შეიცვალა, ადამიანი საზოგადოებრივ არსებად გადაიქცა. პირველ ხანებში ასეთი ადამიანი თავის მოქმედებაში ისევ საკუთარი სარგებლობით იხელმ-

ძღვანელებს. ისე როგორც წინათ. ინდივიდუალური ცხოვრების დროს: მაგრამ მალე შენიშნავს. რომ მისი ცხოვრება საზოგადოებაში იმდენად უნაკლო აღარ არის. როგორც კუნძულზე იყო: იქ ყოველთვის სურვილს ისრულებდა. მოქმედებაში მიაი ხელისშემშლელი არავინ იყო, აქ კი თავის ბევრ სურვილს ვერ იკმაყოფილებს. საოგებლობის მაგიერ ხშირად ზარალშიც ვარდება. თუ ეს ადამიანი ამ ანალ ცხოვრებას ჩაუკვირდება. დარწმუნდება რომ ცვლილების მიზეზი ის არის. რომ ყოველი წევრი. რომლებისაგანაც საზოგადოება შედგება. მასავით მხოლოდ საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობს და ამასთან ხელმძღვანელობს განუსაზღვრელად. რადგანაც მათი მოთხოვნილება მარტივია. თითქმის მხოლოდ ფიზიოლოგიური. ამიტომ სარგებლობისა და სიამოვნების წყარო ყველასათვის ერთი და იგივეა. ყველა აქეთ ეტანება განუსაზღვრელად და ერთიმეორეს ხელს უშლის. ასეთი საზოგადოების წევრნი. როცა იქნება. მივლენ იმ დასკვნამდე. რომ საჭიროა საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობის შეზღუდვა იმდენად. რომ ერთმანეთს ნაკლებად აზარალონ და ამით არსებულ პირობებში ყოველმა ადამიანმა. რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამონასოს. მეტი სიამოვნება მიიღოს. რაკი ერთხელვე მივლენ ასეთ დასკვნამდე. ან პირობას დადებენ. რომ მოქმედების დროს ერთი მეორის ინტერესებიც სახეში იქონიონ და ამით თავისი მოქმედება შეზღუდონ; თუ თავის ნებით არ შეთანხმდებიან. სულ ერთია—აღრე თუ გვიან ცხოვრება თვით აიძულებს. რომ ამ გზას დაადგნენ: ყოველი საზოგადოება იმ გზაა ირჩევს. რომლის ბოლოშიც უფრო მეტი ბედნიერებაა არსებულ პირობებში. დაადგება თუ არა ჩვენი ჰიპოტეტური საზოგადოება ამ გზას. ამით ის აარსებს ზნეობის პირველ პრინციპს: იცხოვრე ისე. რომ შენი საზოგადოების წევრს რაც შეიძლება ნაკლებად აზარალო. გავიდა რამდენიმე საუკუნე: ხალხი გამრავლდა. ცხოვრება გართულდა. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მარტო საკუთარის ძალ-ღონით გაძნელდა. ამ დროის ჰიპოტეტური ადამიანი დაკვირვებიდან უსათუოდ გამოიტანს იმ დასკვნას. რომ ხანდახან სხვისთვის სარგებლობის მოტანა შენთვისაც სასარგებლოა. მაგალითად. მოკლა ერთმა გარეული ხარი; ხანამ სულ შეჭამდა, მატლი დაესია. აუყოლდა. ასეთმა ხორცმა აწყინა და იძულებული გახდა. გადაეგდო. მის მეზობელს კი ამავე დროს მთელი კვირის განმავლობაში ვერა მოეკლა რა და ხან მშიერია, ხან ბალახით საზრდობს. რამდენსამე დღის შემდეგ მისმა მეზობელმა ხარი მოკლა, მან კი ვერაფერი; ის მშიერი დარჩა. მის მეზობელს კი კიდეც აუყოლდა ხორცი და ში-

სავით გადასაგდები გაუხდა. ერთსაც და მეორესაც. როდესაც მეორედ მოკლავენ დიდ ნადირს. კარგად ეცოდინებათ, რომ სულ ვერ შეჭამენ, ამიტომ, როცა იქნება, ამ დასკვნამდე მივლენ: რაც მეტია, მეზობელს მივცემ და. როცა მას ექნება, ის მე მომცემსო, ვიმეორებ. ასეთი მაგალითები ნელ-ნელა დაარწმუნებს ჩვენი ჰიპოტეტური საზოგადოების წევრებს. რომ ერთმანეთის დახმარება .სასარგებლოა.

როგორც დავინახეთ, საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს. ბორკავს. საკუთარი სიამოვნებისა და სარგებლობის უსაზღვრო სიყვარული ასეთ შებორკვას უსათუოდ ეწინააღმდეგება და უეჭველია, როცა იქნება, გამოჩნდებიან ისეთნი, რომლებიც ზემოთდადებულ პირობას დაარღვევენ, პირადი სარგებლობისათვის სხვის ინტერესებს უარყოფენ, და ამგვარად, საზოგადოება ნელ-ნელა გაიყოფა ორ ჯგუფად: ერთი იქნება დამჩაგვრელი. მეორე დაჩაგრული. ასეთი დაყოფის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უწინდელ დროში ომიანობას და ზნეობის ზემოთაღნიშნულ პრინციპს. რომლის მიხედვითაც რომელიმე ველური თავისი გვარეულობის წევრს არას ერჩოდა, სხვისას კი შესაჭმელადაც არ ინდობდა, ასეთი ორი მთავარი ჯგუფი ადამიანის საზოგადოებაში უძველესი დროიდან არსებობს. აიღეთ მონობა, ბატონყმობა. ჯერ-ევანდელი დრო; ყოველგან ერთი ნაწილი დამჩაგვრელი იყო და არის, მეორე დაჩაგრული. დამჩაგვრელია მონების პატრონი, ბატონი, ბურჟუა; დაჩაგრულია მონა. ყმა, პროლეტარი. ამ ორ მთავარ ჯგუფს გარდა ყოველთვის რჩებოდა და დღესაც არის ერთი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც არც პირველს ეკუთვნის, არც მეორეს. ხოლო ამ ნაწილის ზოგი წევრი დამჩაგვრელთ ემხრობა, ზოგი დაჩაგრულთ. ჩვენი დროის ინტელიგენცია უმთავრესად ამ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენს ჰიპოტეტურ საზოგადოებაში დამჩაგვრელები ეცდებიან, თავისი ძალა და მდგომარეობა შეირჩინონ დაჩაგრულნი კი იმის მეცადინეობაში იქნებიან, რომ დამჩაგვრელნი მოიშორონ და თავისი ცხოვრება გააუმჯობესონ. საერთო ინტერესები ორი ჯგუფის წევრებს ცალკ-ცალკე შეაერთებს; პირველნიც დარწმუნდებიან და მეორენიც, რომ შეერთებით, ერთმანეთის დახმარებით უფრო მიაღწევენ თავის მიზანს. ცხოვრების ასეთი და ზემოთმოყვანილი მაგალითები ადამიანში ნელ-ნელა ააღორძინებს და გააძლიერებს იმ რწმენას, რომ საჭიროა ერთი-მეორის დახმარება. რაკი საზოგადოება ამ გზას დაადგება, ამით ის აფართოებს ზნეობის პირველ პრინციპს და აღიარებს მეორეს: იცხოვრე ისე, რომ შენი საზო-

ვადოების წევრს სარგებლობა მოუტანო. მთელი კაცობრიობის ზნეობრივი ცხოვრება, უძველესი დროიდან, ჩემი აზრით, ამ ორი პრინციპის გარშემო ტრიალებს; დროთა განმავლობაში საზოგადოება გადაიქცევა სამშობლოდ, სამშობლო კიდევ მთელ კაცობრიობად. მაშინ, როდესაც რომელიმე ველური თავისი გვარის ინტერესებს ვერ გასცილებია, დღევანდელ განათლებულ ევროპიელს კაცობრიობის ინტერესები აკერია ენაზე. ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანის ერთადერთი მიზანი საკუთარი ბედნიერებაა. რაკი საზოგადოება გაჩნდა, საკუთარი ბედნიერების მიღწევა შეუძლებელი ხდება, თუ სხვისი ინტერესებიც არ მიიღე მხედველობაში. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდება, მაშინ საკუთარი ბედნიერების მიღწევა შეუძლებელი ხდება, თუ სხვისი ბედნიერებისათვისაც არ იზრუნე. ჩვენ ჰიპოტეტურ საზოგადოებაში, რომელმაც ზნეობის მეორე პრინციპი უკვე აღიარა, მალე გაჩნდებიან იდეოლოგები, რომლებიც ზნეობრივი მოქმედების მატერიალურ სარჩულს ყურადღებას არ მიაქცევენ. ვერ შეამჩნევენ და გამოიგონებენ მოვალეობას, კატეგორიულ იმპერატივს და სხვ. მაგრამ მოვალეობა, კატეგორიული იმპერატივი მეტაფიზიკური მცნებაა და ადამიანის ბუნებაში მათ არავითარი რეალური საფუძველი არა აქვთ. თავდაპირველად ადამიანი სხვას იმიტომ კი არ დაეხმარა, რომ მოვალეობამ აიძულა, არამედ დარწმუნდა, რომ ასეთი დახმარებით ის თავის სასარგებლოდაც მოქმედებდა ე. ი. ცხოვრებამ აიძულა. დახმარებოდა სხვას. საზოგადოების ამგვარი წყობილება, სადაც ყველა ცდილობს თავისი მოქმედებით ერთიმეორეს სარგებლობა შოუტანოს, რაიმე მოვალეობაზე ან სხვა ზნეობრივ გრძნობაზე კი არ არის დამყარებული, არამედ საკუთარი ინტერესების სიყვარულსა და აუცილებლობაზე. ასეთი წყობილება საუკეთესო და ერთადერთი შესაძლებელი საზოგადოებრივი წყობილებაა, საცა ყოველ ადამიანს შეუძლია, რაც შეიძლება მეტი ბედნიერება მოიხვეჭოს, და ამიტომაც აუცილებელია. რადგანაც თვით ბედნიერების წყურვილი არის ადამიანის ბუნების აუცილებელი ინსტინქტური თვისება. დღევანდელმა ცხოვრებამ უკვე აღიარა ეს მეორე ზნეობრივი პრინციპი და მომავალში უსათუოდ განხორციელდება ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, საცა ეს პრინციპი ყოველ ადამიანს ძვალ-რბილში ექნება გამჯდარი. ასეთია სასურველი კი არა, აუცილებელი გზა საზოგადოებრივი განვითარებისა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რაც შეიძლება მეტი ბედნიერების შეძენის სურვილი არსებულ პირობებში საშუალო ადამიანის თვისებას შეადგენს,

ეს გზა ერთადერთი გზაა. სოციალურ ფორმაში განხორციელდება ეს მომავალი წყობილება. კომუნისტურში. თუ სხვა გვარში. ამის მისვლა შეუძლებელია და მთავარი არც ეს არის.

*

ყოველი აუცილებელი მოქმედება როდესაც შეუწყვეტლად მეორდება. ბოლოს ადამიანის მოთხოვნილებად იქცევა; მეც ეჭვი არა მაქვს. რომ თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა. დახმარება.—როცა იქნება. ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაიქცევა. სწორედ ამის შედეგია. რომ წინათაც იყვნენ და დღესაც არიან ისეთი პირნი, რომლებიც სრულიად ივიწყებენ საკუთარ ბედნიერებას. როდესაც საზოგადო საქმეს ემსახურებიან. მაგრამ როგორ განვითარდა ასეთი ალტრუიზმი. ეს უკვე დავინახეთ. ამგვარად ერთი მხრით. ცხოვრების განვითარება და. მეორე მხრით. საკუთარი ბედნიერების წყურვილი აუცილებლად აიძულებს ადამიანს. სხვას დაეხმაროს ანუ საზოგადო ცხოვრებაში სასარგებლოდ იმოქმედოს. ამიტომ ჩვენი ყოველი მოქმედების საბოლოოდ რომ საზოგადოებრივი სარგებლობა უნდა იყოს. ეს თავისთავად გამომდინარეობს ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან და. რამდენადაც შემეძლო. კიდეც დავასაბუთე. ყოველ ადამიანს თავისი მოქმედებით ან სარგებლობის მოტანა შეუძლია. ან ზარალის. ან არც ერთის მე ყველაზე მაღლა პირველ რიგში მოქმედებას ვაყენებ; სხვამ თავისი იცის. ყოველ მოღვაწეს საშუალო ადამიანი უნდა ჰქონდეს სახეში. საშუალო ადამიანების უძლიერესი სურვილი საკუთარი ბედნიერებაა; მაშასადამე. ყოველი მოღვაწე ხელს უნდა უწყობდეს მას ამ ბედნიერების მიღწევაში. რასაკვირველია. ზოგიერთს ეს „ბედნიერება“ და „საზოგადოებრივი სარგებლობა“ ისე ვიწროდ ესმის. რომ ამ მცნებაში მაღლარი კუჭის მეტს ვერას ხედავს. მაგრამ ნუთუ ესეც უტილიტარიზმის ბრალია?!

თუმცა ბ-ნი ბომლელი დიდი წინააღმდეგია უტილიტარიზმისა ხელოვნებაში და ბ-ნ ანტონ ფურცელაძისა და ჩემ „დამამცირებელ და გამათახსირებელ მიმართულებაზედ“ თავის გონებამახვილობას ავარჯიშებს. მაგრამ. სამდვილად. ისიც უტილიტარისტია: სარგებლობის საზომს. რომელსაც ასე მედგრად ებრძვის თავისივე აღსარებით. თითონაც სწორად მიმართავს; კრებულის III და IV მე-15 ფ. წერს: „დიდად მავნებელია ასეთი მწერლობა (იგულისხმეთ ეგზ ნინოშვილი). ნამეტურ ჩვენში“ და სხვ. აგრეთვე ბ-ნ ბომლელს რომ ჩემი მიმართულება საზარალოდ არ მიაჩნდეს და გამათახსირებლად

ჩვენი ნორმი ხელოვნებისათვის. არც ჩემი აზრების შესახებ აღეძვროდა—„პოლიციპიალური სჯა-ბაასის" მადა.

თუმცა საზოგადოებრივი სარგებლობა მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული ხელოვნების ყოველ მსახურს, მაგრამ ყოველისფერი, რასაც სარგებლობა მოაქვს. ხელოვნების სამთავროში სრულებითაც არ შედის. მაგალითად, მეჩექმის ხელობა საზოგადოებისათვის სასარგებლოა, მზარეულის ხელობა საზოგადოებისათვის სასარგებლოა და მრავალი სხვ., მაგრამ არც ჩექმის კერვა, არც საქმელის ხარშვა ხელოვნებას არ წარმოადგენს პასკალის აზრით. პოეტის ხელობასა და მქარგავის ხელობას შორის არავითარი განსხვავება არ არის. ძე არ ვიცი, ირონიით ამბობდა ამას პასკალი, თუ ნამდვილად. ხოლო ორსავე შემთხვევაში დიდად ცდებოდა. რა არის ამის მიზეზი? ერთი სასარგებლო მოვლენა, გინდ მოღვაწეობა, რად ეკუთვნის ხელოვნებას და მეორე კი არა? როგორც ზემოთ დაინახა მკითხველმა, ხელოვნების პროცესს, როგორც აუცილებელ რეფლექტორულ აქტს, მიმბაძველობის ხასიათი აქვს. გარეშე მიზეზის ზემოქმედება აღძრავს მწერალში სხვადასხვა წარმოდგენებსა და გრძნობებს; ყოველი ხელოვანი გვიხატავს თავის საკუთარ წარმოდგენებსა და გრძნობებს და ამით ის, ერთი მხრით, პბაძავს გარეშე ბუნებას, მეორე მხრით, თავის საკუთარ ბუნებას ანუ საერთოდ სინამდვილეს.

ყოველმა სახელოვნო ნაწარმოებმა მკითხველში, ან მაყურებელში უნდა აღძრას იგივე წარმოდგენანი და გრძნობები, რომლებიც ხელოვანში იყვნენ აღძრული სახელოვნო პროცესის დროს, ე. ი. სახელოვნო ნაწარმოებმა ისე უნდა იმოქმედოს მკითხველზე, როგორც სინამდვილე თვით ხელოვანზე მოქმედებს. მან სინამდვილის მაგვარობა უნდა გაუწიოს მკითხველს. ეს შეადგენს ყოველი ხელოვანის მეორე პირობას და ლოგიკურად გამომდინარეობს პირველი პირობიდან: ხელოვანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ბაძავს სინამდვილეს, როდესაც ჩვენში აღძრავს იმგვარ წარმოდგენებსა და გრძნობებს, როგორიც მასში სინამდვილეს აღუძრავს. რაც უფრო მეტი მკითხველის ან მაყურებლის არსებაში გამოიწვევს სახელოვნო ნაწარმოები იმგვარსა და ისეთსავე სიცხოველისა და სიძლიერის წარმოდგენებსა და გრძნობებს, როგორიც ასულდგმულებდა ხელოვანს თავისი პროცესის დროს, იმდენად მეტი ღირსების არის სახელოვნო ნაწარმოები; რაც უფრო ნაკლებ პირთ აღუძრავს წარმოდგენებსა და გრძნობებს, იმდენად უფრო ნაკლები ღირსების, და თუ არავის არ აღუძრა ამგვარი წარმოდგენანი და გრძნობები ცხადია, ხელოვნური ნაწარმოები ყოველგვარ ღირსებას მოკლებული ყოფილა. ხელოვნების მესამე პირობა მდგომარეობს წარმოდგენათა

და გრძნობათა აღძვრის სინამდვილესა და სიცხადეში. ორ ნაწარმოებში. რომელთაგან ერთი ადვილად და ცხადად გვაძლევს ხელოვანის გრძნობა — წარმოდგენებს, მეორე კი უფრო მეტ შრომას ითხოვს მკითხველის მხრით და მკაფიო წარმოდგენებსა და გრძნობებსაც არ აძლევს. პირველი გაცილებით მაღლა დგას ხელოვნების მხრით მეორეზე. ეს პირობა დამყარებულია ეგრეთ წოდებულ „ძალთა ეკონომიის პრინციპზე". ამიტომ ბ-ნი ხომლელი აშკარად შემცდარია. როდესაც ამბობს „მხატვრისათვის მხოლოდ ერთადერთი პირობაა საჭირო და ეს უდიდესი პირობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრების სინამდვილეს არ უმტყუნოს მან და ბართალი სურათი გამოხატოს" (გვ. 16). მარტო ეს პირობა თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, თუ თან არ ახლავს სხვებიც. ამ ერთადერთი პირობის ძალით ფოტოგრაფიული ხატვა, რომელსაც ასე დევნის ბ-ნი ხომლელი, საუკეთესო ხელოვნებად უნდა ჩაითვალოს, და თუ სხვა პირობა აღარ წამს, გაუგებარია, რაღად კიცხავს ფოტოგრაფიულ ხატვას?

განვიხილოთ ახლა ფოტოგრაფიული ხატვა, რომელსაც ყველა ქოლავს გაუკითხავად. ეს კითხვა მჭიდროდ არის შეკავშირებული ტიპის მნიშვნელობასთან ხელოვნურ ნაწარმოებში; ამიტომ ჯერ ტიპს მივმართავ. კრიტიკოსთა უმეტესი ნაწილი ხელოვნური ნაწარმოების დაფასებაში ტიპით ხელმძღვანელობს; მათ თვალში ის ხელოვანი, რომელიც ტიპს რიგიანი სისრულით და რელიეფურად ვერ ხატავს, ნაკლები ღირსების ხელოვანია; ის მწერალი, რომელსაც არავითარი ტიპი არ მოუცია, სრულიად უმნიშვნელოა. „ტიპის შექმნა სახელოვნო შემოქმედების ჭეშმარიტი დანიშნულებაა; სადაც ის არ არის, იქ არც არავითარი შემოქმედებაა". ამბობს რუსეთის დღევანდელი კრიტიკის საუკეთესო წარმომადგენელი ე. სოლოვიევი[1]. ბ-ნი ხომლელი ნინოშვილის ერთ დიდ ნაკლს იმაში ხედავს, რომ „ხასიათების და ტიპების შეგნებასა და ხატვაზე დაშორებული წარმოდგენაც არა აქვს მას", თუმცა ბ-ნი ხომლელი აქ ისეთ შეცდომას ჩადის, რაც სრულიად გამოუცდელ მკითხველს თუ დაემართება: ტარიელ მკლავაძეში ნინოშვილმა დაგვიხატა ისეთი ტიპი, რომელზე უკეთესი ჩვენ მწერლობას ჯერ არ მოუცია. სხვადასხვა აზრი და დაფასება ერთი და იმავე მწერლის სხვადასხვა პირებისაგან შესაძლებელი მოვლენაა. მაგრამ ცოცხალი ტიპის უარყოფა ტარიელ

---

[1] „Жизнь", № 5, ст. 211. ჩემ წერილში მოყვანილი მოსაზრება ტიპის შესახებ რუსულ წერილებში პირველად ამ ავტორმა გამოთქვა.

მკლავაძეში ან სრული დაბრმავებაა, ან კრიტიკული უნარის სრული უქონლობა.

ამგვარად, სხვადასხვა მიმართულების კრიტიკოსებს ტიპი იმ ჯადად ეჩვენებათ, რომელიც გამოააშკარავებს მწერლის ნიჭის ძლიერება-უძლურებას. ამგვარი აზრი სრულიად საფუძვლიანია, ხოლო ერთი რამ არის განსამარტავი: ის კრიტიკოსებიც კი, რომლებსაც სინამდვილის ხატვა ხელოვნების ძირითად პირობად მიაჩნიათ, ტიპს დაჟინებით ითხოვენ, მაშინ, როდესაც ტიპი მხოლოდ ილუზიაა, — სინამდვილეში ტიპი — ადამიანი ერთობ ძვირად არსებობს. ის თვისებანი, რომლებსაც მწერალი ერთ ადამიანში მოუყრის ხოლმე თავს სინამდვილეში მრავალ სხვადასხვა პირობებში არის გაბნეული: მხატვარი გამოკრეფს სხვადასხვა ნამდვილ პირობიდან იმ თვისებებს, რომლებსაც მის თვალში საზოგადო მნიშვნელობა აქვთ. დანარჩენ თვისებებს უყურადღებოდ ტოვებს, გამოკრებილებს კი ერთ ადამიანში ან ტიპში შეაერთებს. ამგვარად, მისი ტიპი ძალიან ბევრ ადამიანსა ჰგავს, ნამდვილად კი არც ერთი მათგანი არ არის. მიუხედავად ამისა, როდესაც მწერალი ტიპს ხატავს, ის ამით ღალატობს სინამდვილეს, თუ არა? სრულებითაც არა. როდესაც მწერალი ტიპს ხატავს, ის არაფერს არ იგონებს, მთელ მასალას სინამდვილიდან იღებს. მაშასადამე, ის სინამდვილეს არ ღალატობს, ხოლო ასეთი საშუალების წყალობით მკითხველს შესამჩნევად უადვილებს შრომას, შესაფერ წარმოდგენებსა და გრძნობებს მის არსებაში ნაკლების შრომითა და მალე იწვევს. მწერალს რომ ტიპისათვის არ მიემართა, სათითაოდ უნდა დაეხატა ის ოცი, ორმოცი და ხშირად მეტი პირნიც, რომლებიდანაც მან ტიპი გამოძერწა. რამდენად უფრო მძიმე იქნებოდა ასეთ შემთხვევაში მკითხველის შრომა, ეს თავისთავად ცხადია...

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ მწერალმა ნახა ტიპიური ადამიანი თვით ცხოვრებაში, ასეთი შემთხვევა შესაძლებელია, თუმცა ათასში ერთხელ თუ მოხდება ტურგენევი, მაგალითად, გვიცხადებს: ბაზაროვის ტიპი ერთმა პროვინციელმა ექიმმა ჩამოსახო. მართალია. ტურგენევს პირდაპირ არ გადმოუხატავს ამ ექიმიდან თავისი ბაზაროვი, მაგრამ ბაზაროვის უმთავრესი თვისებანი ამ ექიმში უპოვია. რომ აიღოს მწერალმა ეს ტიპიური ადამიანი და შეუცვლელად ანუ ფოტოგრაფიულად გადმოხატოს, მისი ფოტოგრაფიული სურათი ხელოვნება იქნება თუ არა? უსათუოდ. რადგანაც მასში დაცული იქნება ხელოვნების ყველა პირობა. როდესაც მწერალი მზა ტიპს ვერ ჰპოებს ცხოვრებაში, მაშინ ის ანალიტური შრომის შემდეგ თვითონ ქმნის ამ ტიპს. მაგრამ თუკი ცხოვრებაში ჰპოვა ტიპი და ფოტოგრა-

ფიულად გადმოხატა. ამით ის არას ჰკარგავს. როგორც ხელოვანი; და არც მის ნაწარმოებს აკლდება რამე. განვიხილოთ ახლა შემდეგი შემთხვევა: მწერალმა სინამდვილიდან აიღო ჩვეულებრივი ადამიანი ივანე, პეტრე, გიორგი და სხვ.. და გადმოხატა მათგან ფოტოგრაფიული სურათი; ასეთი ნაწარმოები ხელოვნება იქნება თუ არა? ეჭვს არეშეა. ხელოვნება იქნება. რადგან მასში დაცულია ხელოვნების ერთი მთავარი პირობა — სინამდვილის ბაძვა. ხოლო გაცილებით ეფექტური ნაკლები ღირსების. ვიდრე ტიპის შექმნა. ესთეტიკის თეორეტიკოსმა ასეთი ნაწარმოები უსათუოდ უნდა იცნოს ხელოვნებად. მაგრამ კრიტიკოსმა უნდა უარჰყოს ის. რა არის ასეთი სხვადასხვაობის მიზეზი? თეორეტიკოსი იკვლევს ხელოვნებას. როგორც ძეცნიერი. ობიექტურად და არა ადამიანთან შეფარდებით. თუ მიმართავს ადამიანს. ადამიანსაც. ჰხოლოდ იმისათვის. რომ ხელოვნების თვისება და კანონი უკეთ გამოირკვიოს. კრიტიკოსს სასელოვნო ნაწარმოების კვლევის დროს მუდამ მზედველობაში ჰყავს ადამიანი მისი ინტერესებით. თუ კრიტიკოს დევნის ფოტოგრაფიულ ხატვას არა ტიპიური. არამედ ჩვეულებრივი პირებისას. იმიტომ. რომ ასეთი ხელოვნება მკითხველს გონებაში არც ერთ ახალ წარმოდგენას. არც ერთ ახალ გრძნობას არ ჰბადებს. არ აცნობს მას ცხოვრებას. ე. ი. მას არავითარ საგებლობა. არ აძლევს: ივანეს. პეტრეს. გიორგის და ამრავალ მისთანას ყოველი ჩვენგანი თავისთავად ხედავს ცხოვრებაში. აქ მწერლის დასმარება არავითარ საჭიროებას არ შეადგენს; ასეთი პირები ხელოვნებაში მკითხველისათვის სრულებით არ არიან საყურადღებო და საინტერესო; მისთვის საყურადღებოა ის პირი. ოომელიც არც ივანეა. არც პეტრე. არც გიორგი. მაგრამ რომელიც ერთ ერთ პეტრესაც. ივანესაც და სხვა მისთანებს. ბევრი რამა აქვთ საერთო. ამგვარად. როდესაც ბ-ნ ხომლელი ფოტოგრაფიულად ხატვის წინააღმდეგია. სრული უტილიტარისტული მხედველობით ხელმძღვანელობს. თუმცა თვითონ ამას ვერა გრძნობს: თორემ ფოტოგრაფიული ხატვა სრულებით არ ეწინააღმდეგება იმის „ერთადერთ ესთეტიკურ პირობას“ — მართალი სურათის გამოხატვას. რადგანაც ფოტოგრაფიული სურათი ყოველთვის მართალია. მე ამას ბ-ნ ხომელს კი არ ვუწუნებ. ხოლო ეს მაგალითი აშკარად ამტკიცებს. რომ უტილიტარული მხატველობის სრული უარყოფა არც ერთ ადამიანს — შეუძლია. ვინც უნდა იყოს ის.

*

მე დავანახვე მკითხველს. რომ ყოველგვარი ფოტოგრაფიული ხატვა განურჩეველად დევნა შეცდომაა; კრიტიკოსმა უმალ უნდა

ვაიგოს. რას ხატავს ხელოვანი. მიეაქცია აგრეთვე მკითხველის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ტიპს – ადამიანს სინამდვილეში ძალიან ძვირად შეხვდება მწერალი. ამიტომ ადამიანთა ფოტოგრაფიული სურათი ხელოვნებაში უმეტეს შემთხვევაში გასადევნია. ... განაც ასეთი სურათი — ტიპი ძალიან ძვირად თუ იქნება. მაგრამ ხელოვნების საგანი ერთადერთი ტიპი ხომ არ არის; მას შეუძლია ტიპებს სრულიად დაანებოს თავი და თავის საგნად ტიპიური მოვლენების, საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ტიპიური კომბინაციების ხატვა დაისახოს. ასეთი ტიპიური მოვლენები და კომბინაციები ცხოვრებაში ბევრია და მათი ფოტოგრაფიული ხატვა ხელოვნების კანონიერ კუთვნილებას შეადგენს: თუკი მწერალს მზად აქვს ტიპიური მოვლენა, მაინცდამაინც რად უნდა დაანებოს ამას თავი და თვითონ გამოიკრიბოს ასეთი მოკლენის ელემენტები ცხოვრებიდან? საფრანგეთის ცხოვრების ზოგიერთი მცოდნენი სამართლიანად შენიშნავენ, რომ ზოლას ტიპის ხატვა არ ეხერხება. და მართლაც, ვისაც ზოლა წაუკითხავს, დარწმუნდებოდა, რომ მის თხზულებებში არიან სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერამენტის პირნი. ტიპები კი ძალიან ცოტა და ისიც მეტად მკრთალი; ზოლას ნიჭს უფრო ბრბოზე ზიდავს. ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენანი და არა ტიპები. მიუხედავად ამისა, ზოლამ რომ დიდი სამსახური გაუწია თავის სამშობლო ლიტერატურასა და ცხოვრებას. და რომ ის საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო მედროშეა, ამის უარმყოფელი მე ბევრი არ ვიცი. არც ერთი ტიპიც რომ არ მოეცა ნინოშვილს, მისი დიდი ღირსება მაინც იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი ხელოვნების საგნად ამ ტიპიურ მოვლენათა ხატვა გაიხადა და ამით ჩვენ ცხოვრებას და მის ტენდენციას მკითხველის თვალწინ ფარდა ახადა. მისი უიშვილი, სიმონა, ლიზა, ძალაძე და სხვები, თავისთავად კი არ არიან საყურადღებონი, საყურადღებოა ის პირობანი და ის საზოგადოებრივი წყობილება, რომლებშიაც ისინი ცხოვრობენ; საყურადღებოა მათი დამოკიდებულება ერთმანეთს შორის. საყურადღებოა ის რყევა, რომელიც მათ რწმენა-შეხედულებაში ხდება. ნინოშვილმა უმთავრესი ყურადღება თვით ცხოვრებას მიაქცია და არა ტიპებს; ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენანი ფოტოგრაფიულად გადმოიღო მან. თუ არა, — ეს კრიტიკისათვის სულ ერთია. კრიტიკისათვის საკმარისია, რომ ავტორმა გააცნო მკითხველს ცხოვრება; ანალიტურ გზას ამოირჩევდა, თუ ფოტოგრაფიულ ხატვას. ეს მისი საქმე იყო, თუმცა სრული შეცდომაა, ვითომ ეს მოვლენანი ნინოშვილს ფოტოგრაფიულად გადმოეღოს ცხოვრებიდან. ერთადერთი „მოსე მწერალი" ჰგავს ფოტოგრაფიულ ხელოვნებას და შეიძ-

ლება, მართლაც ფოტოგრაფიულად გადმოეხატოს ავტორს ცხოვ-
რებიდან. მაგრამ ნუთუ ამით მის ხელოვნებას ღირსება აკლდება.
თუკი ავტორმა იცნო ტიპიური მოვლენა? თუკი ასეთ მოვლენას ფეს-
ვები აქვს გადგმული საქართველოს ყოველ კუთხეში? თუ
მწერლის მიერ აღებული მოვლენა საკმაოდ ტიპიურია, ამ მოვ-
ლენას ყველგან შეამჩნევთ ცხოვრებაში; აქედან კი გამოუცდელ
მკვლევარს ასე ჰგონია: მოვლენა ფოტოგრაფიულად არის გადმოხა-
ტულიო. როდესაც განსვენებული გ. წერეთლის „რუხი მგელი“ დაი-
ბეჭდა, იმერეთში ბევრმა პირმა საყვედურით მიმართა ავტორს: რა
დაგიშავეთ ამის ფასი. რომ „გაზეთში გამოგვიყვანეო“. რაკი რუხი
მგელი მე მგავს, გ. წერეთელს სწორედ მე ვყავდი სახეშიო, ფიქრობ-
და ყოველი მათგანი. რასაკვირველია, ავტორი უდანაშაულო იყო.
ამიტომ როდესაც კრიტიკოსი სახელოვან ნაწარმოებს არჩევს, უმაღ-
ს უნდა იკითხოს, ტიპიური არიან თუ არა ის პირნი და მოვლენანი.
რომლებსაც მწერალი ხატავს? მარტო ამის შემდეგ უნდა ეძიოს ავ-
ტორის მეთოდი და ფოტოგრაფიულ ხატვას წინაღუდგეს მხოლოდ
იქ. საცა ტიპიური არაფერია.

ხელოვანმა თავის ფანტაზიაში კი არ უნდა ეძიოს იდეა, არამედ
თვით ცხოვრებაში, რადგანაც მისი ასპარეზი სინამდვილეა, როგორ-
ზემოთ დავინახეთ; ასეც რომ არ იყოს, მკითხველისათვის მხოლოდ
ისეთ იდეებს აქვს მნიშვნელობა, რომლებიც თვით ცხოვრებას წამო-
უყენებია, ან ადრე თუ გვიან წამოაყენებს. ამიტომ, რაკი მწე-
რალმა შენიშნა ცხოვრებაში რაიმე იდეა მან უნდა გამონახოს ამა-
ვე ცხოვრებაში შესაფერი ფაქტები, რომ იდეა სახელოვნო
ფორმაში ჩამოასხას. ვთქვათ, დაებადა მწერალს რაიმე იდეა. რომ
გამოხატოს ეს იდეა, ხელოვნური იქნება მისი ნაწარმოები თუ არა?
თუ ამ იდეას ნამდვილ ფაქტებს გამოუნახავს ცხოვრებაში, ხელოვ-
ნური იქნება, თუკი ფაქტებს თვითონ შეთხზავს. ერთიმეორეზე მია-
კოწიწებს თავისი იდეის გასამართლებლად და ამგვარად სინამდვი-
ლეს დაამახინჯებს, მისი ნაწარმოები ცრუ ხელოვნება იქნება მხო-
ლოდ. ყველამ ვიცით, რომ გოგოლს იდეა თავისი შესანიშნავი თხზუ-
ლებისათვის პუშკინმა გადასცა. გოგოლი ჩაუკვირდა ცხოვრებას.
წაიკითხა ვასში ეს იდეა და კიდეც ჩამოასხა ხელოვნურ ფორმაში. ამ-
გვარად, როგორც ხელოვნური პროცესის წინ. ისე ამ პროცესის
დროს გოგოლს იდეა განუშორებლად თან ახლდა: მაგრამ ნუთუ
„Мертвые души“ ხელოვნება არ არის? აიღეთ ჰაუპტმანის „ჩაძი-
რული ზარი“. ავტორს არც ფერიები უნახავს სინამდვილეში, არც
ეშმაკები, არც ქაჯები; მან ცხოვრებაში ამოიკითხა მხოლოდ იდეა
და ამ იდეის დასახატად გამოიყვანა ფერიები, ეშმაკები და ქაჯები.

მე არ უარვყოფ, რომ თავის დრამაში ჰაუპტმანმა ცხოვრების ფაქტები შემოიტანა. მაგრამ ადამიანები რომ ფეერიებად და ეშმაკებად შეცვალა. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ჰაუპტმანი უმთავრეს ყურადღებას იდეას აქცევდა და სახელოვნო პროცესის დროს ის იდეით ხელმძღვანელობდა...

აქედან ისიც ცხადია, რომ კრიტიკოსის მიერ თემების წერა, თუკი არიან ასეთი კრიტიკოსები, სრულიად უაზროა; აზრიანიც რომ იყოს, ასეთი საქმე კრიტიკის დანიშნულებას არ შეადგენს, მისი მიზანი სხვა არის.

•

ზემოთ მცირეოდნად იმასაც შევეხე, თუ როგორ განსხვავდება ერთიმეორისაგან ესთეტიკის თეორეტიკოსის პოზიცია და კრიტიკოსის. რასაკვირველია, ეს განსხვავება მარტო ფოტოგრაფიული ხატვისა და იდეის მნიშვნელობის კითხვით არ განისაზღვრება. თეორეტიკოსის საგანია ხელოვნება. ის იკვლევს ამ ხელოვნებას ობიექტურად, ეძებს მის თვისებას, მის კანონებს. არჩევს იმ წარმოდგენებს, რომლებსაც სახელოვნო ნაწარმოები იწვევს მკითხველის გონებაში, რომ ამ რჩევით თვით ხელოვნება ახსნას. ფოტოგრაფიულ ხატვას, იდეას და სხვ., მისთვის პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს. კრიტიკოსის საგანს კი ხელოვნური ნაწარმოები შეადგენს. ხელოვნურ ნაწარმოებს ის უყურებს, როგორც ფაქტს, აუცილებელ მოვლენას, და მისი მიზანია ახსნას ეს ფაქტი ანუ გამოარკვიოს მისი მიზეზები, ხასიათი, თვისებანი. აღნიშნოს, რა არის საყურადღებო და რატომ არის, რა არ არის საყურადღებო და რატომ არ არის. გამოააშკარაოს ხელოვნური ნაწარმოების საბოლოო მნიშვნელობა და ყოველივე ამაზე მკითხველს მიუთითოს. ის ყოველისფერს აქცევს ყურადღებას, იდეასაც, ფოტოგრაფიულ ხატვასაც და სხვა, რასაც კი მისი მიზნისათვის მნიშვნელობა აქვს.

მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ხელოვნების მიზანი საზოგადოებრივი სარგებლობაა, ეს მიზანი გზას უნდა უნათებდეს ყოველ კრიტიკოსს თავის კვლევაში. მან უნდა დევნოს ისეთი ხელოვნური ნაწარმოები, რომელიც ამ მიზანს არ ეთანხმება. თუნდაც შიგ დაცული იყოს ხელოვნების ყველა კანონი, და უნდა მიაქციოს მკითხველის ყურადღება ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ხელოვნების მიზანს მცირეოდნად მაინც ემსახურება, თუნდა სახელოვნო ღირსებით სუსტიც იყოს. მხოლოდ ასეთ პირობებშია კრიტიკოსის მოღვაწეობა სასარგებლო საზოგადოებისათვის; ვისაც ადამიანის საზოგადოება სახეში არა ჰყავს თავისი მოღვაწეობის დროს მან რა გზაც უნდა, ის აირჩიოს,—

ნამდვილ მოღვაწეთა შორის მას ადგილი არა აქვს. ამასთან ყოველი მოღვაწე მარტო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ თვითონ მოუტანოს სხვას სარგებლობა, არამედ იმასაც, რომ სხვასაც გაუღვიძოს სურვილი დახმარებისა, სხვას რომ სარგებლობა მოუტანო, უნდა შეისწავლო ის, გაიცნო მისი ცხოვრება, მისი საჭიროება და სხვასაც გააცნო. ეს, ყოველივე ამის გამო, ჩემ თვალში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ნაწარმოების სოციალურ მხარეს და პუბლიცისტურ კრიტიკას. პუბლიცისტური ელემენტები ყოველ ერიაა და ყოველ დროის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში იყო; არც ცრუკლასიციზმი, არც რომანტიზმი ამ ელემენტებს მოკლებული არა ყოფილან. მაგრამ დღევანდელი რეალიზმისა და მისი შტოების ნატურალიზმისა და ფსიქოლოგიური მიმართულების — მთავარ ძარღვს პუბლიცისტური მხარე შეადგენს. საზოგადოებრივ სარგებლობასაც რომ თავი დავანებოთ, მარტო ამის გამოც მოვალეა დღევანდელ კრიტიკა, ხელოვნურ ნაწარმოებს ეს ძარღვი გაუსინჯოს და დააფასოს. აბსოლუტური ქვეყანაზე არ არსებობს ყოველისფერი შედარებითია; ამიტომ ყოველ მოღვაწე თავდაპირველად თავის დროს უნდა შეეფერებოდეს; უნდა ემსახურებოდეს თავის დროს. თუ შეუძლია, და არა წარსულს ან მომავალს: ვინც სინდისიერად ემსახურება აწმყოს, ის ამით მომავალსაც ემსახურება. ევროპის ლიტერატურის მიმართულებაც რომ არ მივიღოთ სახეში, ჩვენი ცხოვრება დღეს ისეთია, რომ ყოველ ქართველ პოეტი და ბელეტრისტი უმთავრესად პუბლიცისტი უნდა იყოს. ტურგენევის სიტყვები: ბელეტრისტისა და პუბლიცისტის მიზანი ერთი და იგივეა, გზა არის მარტო სხვადასხვაო, დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის უტყუარი ჭეშმარიტებაა. ჩემი პოზიცია მე კარგად მქონდა გამორკვეული, როდესაც ნინოშვილს ვარჩევდი. მე მასში ვხედავდი და ვხედავ ბელეტრისტ-პუბლიცისტს, მის მიერ აღნიშნულ მოვლენებს და ცვლილებას ხალხის რწმენა-შეხედულებაში მე დიდ სოციალურ მნიშვნელობას ვაძლევ. ამიტომაც მაღლა ვაყენებ ნინოშვილს. საერთოდ. მისი თხზულებანი ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს წარმოადგენენ. ჩვენთვის მათ დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ და ამის დანახვა და დაფასება ჩემს მოვალეობას შეადგენდა ნინოშვილის. კლდიაშვილისა და მათი მსგავსი ბელეტრისტების მნიშვნელობა მათი ნაწერების პუბლიცისტურ მხარეშია და, ვინც ამ მხარეს არ მიაქცევს, ან ვერ მიაქცევს ყურადღებას, ის ასეთი ბელეტრისტების დაფასებასაც ვერ შესძლებს. ბ-ნ ხომლელს თავისი პოზიცია არასოდეს არ ჰქონდა გამორკვეული. არც დღესა აქვს. ამიტომაც ნინოშვილის მნიშვნელობის დაფასებაში უბრალო მკითხველის გამჭრიახობაც კი ვერ გამოი-

ჩინა. ის იქამდისაც კი მივიდა, რომ თავის დაფასებაში ,,ოთხრობების სათაურებით ხელმძღვანელობს" და ნინოშვილს „ტეტიათა მოტრფიალეთ" აკუთვნებს"... მერე რა საბუთით? იმ საბუთით, რომ გურიის გლეხს ხატავს თავის მოთხრობებში! ბ-ნ ხომლელს დავიწყებია, რომ ტეტიათა მოტრფიალეს ის კი არ ახასიათებს, რომ გლეხს ხატავს. არამედ ის, თუ როგორ ხატავს ამ გლეხს. თუ ბ-ნი ხომლელს დავუჯერებთ, ცოტას ვნახავთ მწერალს, რომ ტეტიათა მოტრფიალე არ გამოდგეს; ჩეხოვი, გორკი ნაროდნიკები იქნებიან, რადგანაც ხშირად გლეხებს ხატავენ. დუტუ მეგრელი, კლდიაშვილი, არაგვისპირელი, ევდოშვილი, — სულ ტეტიათა მოტრფიალენი გამოდგებიან! ტეტიათა მოტრფიალე ის მწერალი კი არ არის, ვინც გლეხს ხატავს, არამედ ის, ვინც გლეხს იდეალურად ხატავს.

„ხალხის (იგულისხმება გლეხობა. ი. გ.) გული, როგორც ახლადდაბადებული ბავშვის ტვინი, თეთრი, დაუწერელი ქაღალდია; არავითარი ბოროტება არ ჩანს მასში, არავის იგი არ ემდურის, თუ აეშლება დარდი, უცებ დღის ვარამი ჩაუქრობს მას, მისი გული ბროლის სარკეა"... აი, ტეტიათა მოტრფიალე[1]. ნინოშვილის მოთხრობებში კი ნამდვილი გლეხია, ცხოვრებიდან ამოღებული, მთელი მისი ღირსება-ნაკლოვანებით და არა იდეური, ამიტომაც მისი ტეტიათა მოტრფიალეობა მხოლოდ ბ-ნ ხომლელს თუ ელანდებოდა. ბ-ნ ხომლელი ვერ უარყოფს, რომ „ნინოშვილმა გამოსვლისთანავე მიიქცია საზოგადოების ყურადღება", მაგრამ, აი, როგორი გამჭრიახობით ხსნის ამ გარემოებას: ნინოშვილი „ახალი კაცი" იყო, ის პირველი შეეხო გურული გაჭირვებული გლეხის ცხოვრებასო. მაშასადამე ყოველ ახლადგამოსული მწერალი მალე უნდა იქცევდეს საზოგადოების ყურადღებას, ასეა ნამდვილად? „კრებულის" მე-10 გვერდზე გვეუბნება: ნინოშვილს ყოველ ნაწერში ეტყობოდა, რომ მხატვარი არ იყო, და რამდენიმე სტრიქონს შემდეგ კი უმატებს,— „შემდეგში გაიმართებოდა და გაშლიდა ჩვენი თვალის წინ სოფლელთა ტრაგედიას, რომელიც **შესძრავდა** მკითხველის სულსა და გულსა". (ხაზი ჩემია. ი. გ.) საოცარია. ღმერთმანი! თუ მხატვარი არ იყო, ასეთ ძლიერ გავლენას რით მოახდენდა მკითხველზე. თუ მოახდენდა, მაშ, მხატვარიც ყოფილა და გვარიანი ნიჭის მხატვარიც. სწორედ ძლიერი ნიჭია საჭირო, რომ მკითხველის სული და გული შეძრას! ერთი სიტყვით, ბ-ნი ხომლელი თავის თავს ებრძვის: მას კიდეც უნდა და თან არც უნდა ნინოშვილში მხატვარი დაინახოს, და ეს ბრძოლა მთელ მის სტატიაში გამოსჭვივის. ის ნინოშვილის ნაკ-

---

[1] „წარსულიდან". „მოამბე" № 11, 1899 წ. გვ. 93.

ლულევანებათ აღნიშნავს: „სიმონაში და უიშვილში შეერთებულია წმინდა შრომის ინტერესების წარმომადგენელნიც და წვრილფეხა „ბურჟუაზიის“ ინტერესებიც. (ბ-ნი ხომლელი აქ ცოტა ცდება: სიმონა და უიშვილიც წვრილფეხა მესაკუთრენი არიან და არა წვრილფეხა „ბურჟუები“. რუსი მარქსისტიც აქ „хозяин“-ს ხმარობს და არა ბურჟუას: ეს კი სულ სხვადასხვაა. ი. გ.) ამათ დასტრიალებს ნინოშვილი გულის მხურვალეებით... არსად არც ერთ მოთხრობაში ნინოშვილი არა თუ ცდილა. არც კი წარსცდენია მას გამოეხატა წმინდა შრომის, უსახლკარო, ბოგანო სოფელი“. (გვ. 17, „კრებული“, III და IV). ასეთი საყვედური მით უფრო გასაოცარია და ახირებული, რომ წინა გვერდზე ბ-ნი ხომლელი მართალი სურათის გამოხატვას ერთადერთ უდიდეს პირობად აღიარებს მხატვრისათვის. წმინდა პროლეტარი ქართველი, ნინოშვილს არ დაუხატავს, რადგანაც ასეთი წმინდა პროლეტარი ოთხმოცდაათიან წლებში არ იყო, როგორც სოციალური მოვლენა. ასეთ ნიშნებს. წმინდა პროლეტარების გაჩენისას. მხოლოდ დღეს იძლევა ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურაც. დღევანდელი ჩვენი გლეხი მესაკუთრეც არის ჯერ და პროლეტარის ნიშნებსაც ატარებს; დღეს ის აღარც წმინდა კერძო მესაკუთრეა. არც წმინდა პროლეტარი, ჯერ ის მხოლოდ გაპროლეტარების გზას ადგია და ასეც დახატა ნინოშვილმა. ქართველი გლეხი დღეს ერთი ხელით მანქანას წატანებია უკვე. მეორე ხელით კი ჯერ ისევ მიწას ჩაბღაუჭებია; არ უნდა, რომ მოშორდეს; ჩვენი ცხოვრების მსვლელობასაც. ჯერ იმდენად მძლავრად ვერ დაუტრიალებია ეს მანქანა, რომ „უიშვილები“ სრულებით მოგლიჯოს მიწას და ისეთ წმინდა პროლეტარებად აქციოს, როგორიც საზღვარგარეთ არის. ნინოშვილმა დახატა მხოლოდ ის, რაც ნამდვილად არსებობდა ჩვენ ცხოვრებაში, და ეს ღირსებად უნდა ჩაეთვალა მას, ვისაც მართალი სურათის გამოხატვა „ერთადერთ უდიდეს პირობად“ მიაჩნია მხატვრისათვის. ამის შემდეგ ბ-ნ ხომლელს მაინც უკვირს: წმინდა პროლეტართა „ჭაჭანება ჩვენს ბელეტრისტიკაში ჯერ კიდევ არსად არ არის“-ო. ეს სრული ჰეშმარიტებაა და, ბ-ნი ხომლელი რომ ჩაკვირვებოდა ამ მოვლენას, დარწმუნდებოდა. რომ ჩვენი ბელეტრისტები უკეთ იცნობენ ჩვენს ცხოვრებას, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი. ბ-ნი ხომლელი კმაყოფილებით აღნიშნავს, უდროოდ დაღუპული მწერალი ჩვენში აღარავის ახსოვსო, და თავის თავს ერთხელ კიდევ არწმუნებს: ეს ასეც უნდა მომხდარიყოო. ბოლოს მაინც სულგრძელობას იჩენს და მკითხველს ნინოშვილის კითხვის ნებას აძლევს: ნინოშვილი ღირსია წაკითხვისო. გაიხარეთ, ნინოშვილის ძვლებო. ახლა მაინც ეღირსება თქვენს თხზულებებს წაკითხვა! მწერლის დაფასებაში მკითხველი

საზოგადოება რომ ყოველთვის კრიტიკით ხელმძღვანელობდეს, პოეტობა და ბელეტრისტობა საშინელი სასჯელი იქნებოდა, მაგრამ ალბლად საერთოდ მთელი მკითხველი ეასა უკეთ აფასებს ყოველ მწერალს. ვიდრე ერთი რომელიმე კრიტიკოსი; ქართველმა მკითხველმაც დიდი ხანია დააფასა ნინოშვილი და ბ-ნი ხომლელის მეტს ჯერ ის არავის დავიწყებია: მისი თხზულებანი დიდი ხანია სულ გაიყიდა და გარდა ორი პატარა მოთხრობისა. რომელიც „კვალის" რედაქციამ გამოსცა, აღარსად იპოება გასაყიდად. მისი ნაწერების მოთხოვნილება ჯერ არ შესუსტებულა ხალხში და მეორე გამოცემაც მალე გამოვა, რაც ქართველ მწერალს ასე მოკლე დროში ძვირად შეხვდება ხოლმე წილად.

ამით ვათავებ ჩემ წერილს. ბოდიშს ვიხდი მკითხველთან რომ მას შემდეგ, რაც ისეც საკმაოდ ვილაპარაკე ნინოშვილის შესახებ. კვლავ დავუბრუნდი ამ მწერალს. თუმცა ეს სრულებით არ შეადგენდა ჩემს მიზანს ამ სტატიის წერის დროს, მაგრამ გარემოებამ მაიძულა. ხშირად ხდება, რომ ორი კრიტიკოსი ერთსა და იმავე მწერლის შესახებ სრულიად სხვადასხვა აზრის არიან, მაგრამ მათი მსაჯული მკითხველი საზოგადოებაა და არა თვით ისინი, რადგანაც თავისი თავი მართალი ჰგონია. ამ მოსაზრებით აღარც მე დავუბრუნდებოდი ნინოშვილს. რომ ამ ბელეტრისტის დაფასებაში ბ-ნი ხომლელი გარკვეულ გზას ადგეს და ხშირად არ ეწინააღმდეგებოდეს თავის თავს. როგორც მკითხველს დავანახვე.

ჩემი სტატია საგაზეთოა და არა რაიმე გამოკვლევა. ამის გამო მე არც ვცდილვარ ესთეტიკის თეორია წარმომედგინა მკითხველისათვის. ან დასახული კითხვა სრულიად გამომერკვია. მე გამოვთქვი მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება ხელოვნებისა და მისი დანიშნულების შესახებ და, თუ მართალი მითქვამს, შეიძლება სხვამ ისარგებლოს ვინმემ ამით. ან მევე დავბრუნდე შემდეგში, როდესაც გარემოება შემაძლებინებს.

1900 წ.

გიორგი წერეთელი. როგორც ბელეტრისტი

ვინ იცის, რა სიხარულით არ მივეგებეთ ახალ წელიწადს, რა იმედებით არ გავუღეთ კარი ახალ საუკუნეს. მაგრამ ახალმა წელმაც და ახალმა საუკუნემაც მოსვლისთანავე უბედურება მოუტანეს ჩვენ ცხოვრებას: დღეს მიაბარებენ მიწას გიორგი წერეთელს. თუ ვინმე იყო ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი, საზოგადო საქმისათვის თავგანწირულად მშრომელი, იმათში ერთი საუკეთესო ალაგი გ. წერეთელსაც უჭირავს. ბუნებისაგან ნიჭით უხვად დაჯილდოებული აღიჭურვა მეცნიერებით. მიიღო მრავალმხრივი, ფართო განათლება. ადგილობრივ შეისწავლა დასავლეთ ევროპის ცხოვრება და ასეთი მომზადების შემდეგ გასაოცარი ენერგიით შეუდგა ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას; სამშობლოს ანაცვალა თავი და ამ თავგანწირულ შრომაში დალია სული. ჩვენ არ შეგვიძლია და არც კისრად გვიდვია, ამ მოკლე წერილში გაგვეცნო და დაგვეხასიათებინა მკითხველისათვის გიორგის მრავალგვარი ბოღვაწეობა. ჩვენ მხოლოდ სახეში გვაქვს ამჟამად მისი მოღვაწეობა სიტყვაკაზმული მწერლობის ასპარეზზე, გვინდა, დავანახოთ მკითხველს მისი მხატვრული ნიჭის უმთავრესი თვისებანი და ამით ვამოვეთხოვოთ დაუვიწყარ მოღვაწეს...

ბატონყმობის გადავარდნამ ჩვენ ცხოვრებას დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა წინ, ჩვენი საზოგადოების შეხედულობა გააფართოვა და ამ გარემოებამ მწერლობაც განავითარა, ასპარეზი გაუფართოვა. ბატონს მწერლობაში გვერდში ამოუდგა მისი ნაყმევი, გლეხმა შეანგრია მწერლობის ვიწრო კლასიკური ფარგლები და გამოაცხადა: მეც ადამიანი ვარ. მეცა მაქვს გონება, მეცა მაქვს გული, მეც ვფიქრობ, მეცა ვგრძნობ და ამიტომ სრული უფლება მაქვს მწერლობაში ალაგი მოვითხოვოო. ახალ სტუმარს ჩვენმა მწერლობამ სიყვარულის თვალით შეხედა. მისი ღირსებანი თვალსაჩინოდ წარმოიდგინა და ამ გარემოებამ გამოიწვია, ერთი მხრით, ის მოწინავე რეალის-

ტური მიმართულება ბელეტრისტიკაში. რომლის წარმომადგენელიც ილ. ჭავჭავაძეა. და მეორე მხრით. ტეტიათა მოტრფიალენი. რომლებსაც ჩვენ ბელეტრისტიკაში დღესაც დიდი ალაგი უჭირავთ და ნიჭიერი წარმომადგენლებიცა ჰყავთ. სამოცდაათიან წლებში განათლებული ახალ-თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა უფრო ფართოდ და უტყუვრად შეხედეს ჩვენ ცხოვრებას. მის საჭიროებებს და დააარსეს პატარა ლიტერატურული ჯგუფი. რომელიც დაადგა ასევე რეალურ გზას და ნათლის სვეტად წინ წაიმძღვანა მთელი ერის ინტერესები და არა მარტო თავადაზნაურობის. ან გლეხობის. ამ ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენელი სიტყვაკაზმულ მწერლობაში არის გიორგი წერეთელი.

მართალია, რეალისტური მიმართულება გიორგი წერეთლიდან არ დაწყებულა. მაგრამ ამ სკოლას გიორგი წერეთელმა გააღგმევინა მტკიცედ ფესვები ჩვენ ბელეტრისტიკაში მას შემდეგ ამ გზას დაადგნენ დ. მეგრელი. ეგ. ნინოშვილი და სხვ. ახალგაზრდა მწერლები. რომლებსაც ამიტომ შეგვიძლია გიორგი წერეთლის შეგირდები ვუწოდოთ. გ. წერეთლის ნიჭის საგანს მთელი ხალხის ცხოვრება შეადგენს: თავის ნაწერებში ის ერთნაირი სინამდვილითა და სისრულით ხატავდა გლეხს. აზნაურს. თავადს. განათლებულს. გაუნათლებელს. ის ღრმად უკვირდებოდა ცხოვრებას და. რასაც ამჩნევდა. უტყუვრად ხატავდა. ტენდენციის გულისთვის არ ამახინჯებდა ცხოვრებას. ძვირად შეხვდებით ისეთ მწერალს. რომ მის ნაწერებში მისი საკუთარი მე არ გამოსჭვიოდეს. მისი საკუთარი სიმპათია. ანტიპათია. სურვილი. მისწრაფება არ აძლევდეს თავისებურ ელფერს იმ მოვლენებს და პირებს. რომლებსაც ის ხატავს. ეს არ ითქმის გიორგი წერეთლის შესახებ: როგორც ბელეტრისტი ის უნაკლო ობიექტივისტი არის; მის ნაწერებში თქვენ ვერ ნახავთ მისი „მე"-ს ანარეკლსაც. მის სიმპათია-ანტიპათიას; ის ცხოვრების ხატვის დროს სრულიად ივიწყებს თავის თავს. ჩვენში არიან ისეთი მწერლები. რომლებიც ნაკლულევანებას მალავენ იმ პირებში. რომლებიც მათ მოწონთ. ღირსებას კი აზვიადებენ. გ. წერეთელს კი. პირიქით. საყვედური უფრო ეკუთვნის. რადგან ის ცდილობს არავითარი ნაკლოვანება არ დამალოს იმ პირებშიაც კი. რომლებიც სხვა მის მოქმედ პირებზე როგორც გონებით. ისე ზნეობით. გაცილებით მაღლა დგანან. მარტო ნამდვილი ცხოვრების ხატვა არ არის იმის თავდები. რომ მწერალს ნიჭი ჰქონდეს და თავისი მოღვაწეობით სარგებლობა მოჰქონდეს; სინამდვილეც არის და სინამდვილეც. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება. მაგრამ ყოველისფერს არა აქვს მკითხველისათვის მნიშვნელობა. იმის გარჩევა, თუ რომელია ცხოვრების დამახასიათებე-

ლი მოვლენა, რომელი სრულიად უმნიშვნელო. მეტად საძნელო საქმეს შეადგენს და ფეხის წაფორხილებისაც სწორედ აქ უნდა ეშინოდეს ყოველ მწერალს; ეს ისეთი კაჟია, რომელიც ნათლად გამოაჩენს ხოლმე, რომელ მწერალს აქვს ნიჯი და რომელს არა. ვიორგი წერეთლის რეალური მიმართულების მნიშვნელობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ცხოვრებაში ყოველგვარ მოვლენას დიდი დაკვირვებით ზომავდა და ნათლად ატყობდა, რა იყო საყურადღებო, რა არა, რა ეკუთვნოდა წარსულს, რა მომავალს. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, როდესაც გლეხმა ცხოვრების მსვლელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ნელ-ნელა იცვალა ფერი; ნატურალურ წარმოებას, მასზე აშენებულ საზოგადოებრივ განწყობილებას თანდათან გამოეცალა ნიადაგი. დაჰკარგა სიმტკიცე; ცხოვრება ნელ-ნელა დაადგა კაპიტალისტური წარმოების გზას სამოცდაათიან წლებში და წარმოების ახალმა ერამ შესაფერი საზოგადოებრივი ურთიერთობაც გამოიწვია: შეიცვალა ძველი ფეოდალი, შეიცვალა გლეხიც. მათ შორის სხვაგვარი დამოკიდებულება დამყარდა — ერთი სიტყვით. ევროპული ცხოვრების უმთავრესმა დამახასიათებელმა მოვლენამ სოციალურმა კლასებმა, ჩვენშიც იჩინეს თავი; ეს გარემოება იმისი უტყუარი ნიშანი იყო, რომ ჩვენ ევროპიელდებოდით. გაევროპიელება წინსვლელობის, ქონებრივად და გონებრივად წარმატების მომასწავებელია და არა დაქვეითების. არისტოკრატიის ინტერესების მოტრფიალეთა ერთი ნაწილი ჩვენი ცხოვრების ასეთ სასიხარულო ცვლილებას ვერ ამჩნევდა და პატრიოტული ლექსებით ბერავდა თავის თავმოყვარეობას; მეორე ნაწილი თუმცა ამჩნევდა რაღაც ცვლილებას ცხოვრებაში, მაგრამ იმდენი გამჭრიახობა არა ჰქონდა, რომ ამ ცვლილებაში ჩვენი წინმსვლელობის უტყუარი ნიშნები გაერჩია; მას თავადობის მეტი არა აგონდებოდა რა. ხედავდა, რომ თავადობა ნელ-ნელა ჰკარგავდა ცხოვრებაში მნიშვნელობას, ისპობოდა და ამიტომ, რაც უფრო აშკარავდებოდა ეს ცვლილება, მით უფრო უმატებდა ოხვრა-კვნესას: ვეველუპება მამულიო, და წარსული დიდების გალობას, თითქოს მამული მარტო არისტოკრატია და მისი მიწა-წყალი ყოფილიყოს. გიორგი წერეთელმა ადრე შეამჩნია ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობა და ცვლილება; რადგანაც მისი იდეალი ევროპაში იყო და არა ძველ პატრიარქალურ-ფეოდალურ ცხოვრებაში. სხვებსავით ოხვრის მაგიერ დახატა ახალი ცხოვრება, ახლად განსახოვნებული კლასების „პირველი ნაბიჯი“ და ამით დაანახვა საზოგადოებას. საით მიდიოდა ჩვენი ეროვნული განვითარება და რა დაბრკოლებანი ელობებოდა მას წინ. მისი რომანი „პირველი ნა-

ბიჯი“ გარკვევით და ნათლად უმტკიცებს მკითხველს ახალი ხანის დაწყებას ჩვენ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ახალი ხანა ჩვენი ცხოვრებისა დღესაც ცოტას ესმის ჩვენში; უმეტესობა არ ცდილობს შეიგნოს, რას მოასწავებს ის. „პირველი ნაბიჯის“ გამოსვლის დროს ხომ რომანის დედააზრი, მისი მნიშვნელობა მხოლოდ თითო-ოროლა პირმა გაიგო და დააფასა. ერთი კრიტიკოსი იმასაც კი იძახდა: ასეთი სახელი მიტომ დაარქვა წერეთელმა თავის რომანს. რომ პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზეო. უნდა ვაღიაროთ. რომ გიორგი წერეთლის მიმდევარმა, ნინოშვილმა, უკეთ დაგვანახვა თავის ნაწერებში ეს ახალი ხანა, მაგრამ ამის მიზეზი, ერთის მხრით, ისიც არის, რომ „პირველი ნაბიჯის“ წერის დროს ეს ხანა არ იყო იმდენად გარკვეული სახის, რამდენადაც ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ნინოშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. რაც უნდა იყოს, ამ ახალ ხანაზე პირველად ჩვენ ბელეტრისტებში გიორგი წერეთელმა მიგვითითა. გიორგი წერეთლის ნაწერებში საუცხოოდ არის დახასიათებული ჩვენი ყველა წოდების წარმომადგენლები. ჩვენი მჩატე ინტელიგენცია, რომელიც თავის საკუთარ კუჭს უფრო ემსახურება, ვიდრე საზოგადო საქმეს; ის გვიჩვენებს. როგორ წარმოებდა ჩვენში აღზრდა, განათლება და რა ზარალი ან სარგებლობა მოჰქონდა მას, ეხება ხალხის ზნე-ჩვეულებას, ცრუმორწმუნეობას და ამით მისი ნაწერები სხვებთან ერთად მშვენიერ წყაროს შეადგენენ ჩვენი ცხოვრების შესასწავლად ვესამოცე წლებიდან მოკიდებული. ამ მხრით განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი რომანი „პირიმზე“. რომელიც „კვალში“ იბეჭდებოდა გასულს წელს; ამ რომანის ბეჭდვა „კვალში“ შეწყდა რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. „ჩვენი დროის ყვავილი“, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. „პირველი ნაბიჯი“, „პირიმზე“, „ლომკაცი“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, „არანკა“, „ედიშერ ქელბაქიანი“. — აი გიორგი წერეთლის უმთავრესი ბელეტრისტული ნაწერები; რაც შეეხება წვრილ ვითხრობებს, ისინი ხომ გაცილებით მეტი არიან. გიორგი წერეთელს მარტო ბელეტრისტიკაში არ დაუჩნევია ღრმა კვალი, მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენს თეატრსაც. იმ დროს, როდესაც ჩვენი თეატრი მხოლოდ ლოთაიებით ამხიარულებდა საზოგადოებას და წარსული გმირების ვაჟკაცობის მეტს არას უხატავდა, გიორგი წერეთელმა თანამედროვე ცხოვრება დაანახვა სცენიდან საზოგადოებას. მიუთითა სხვადასხვა ნაკლოვანებაზე და ამით საზოგადოების აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანა. მისი პიესებია „ჯიბრი“. „ოჯახის ასული“ და „დარია“.

ამით ვათავებთ ამ დაუვიწყარი მოღვაწის ბელეტრისტული ნიჭის

მოკლედ დახასიათებას და ვუსურვებთ ჩვენს ცხოვრებას. რომ ასეთი ნიჭიერი და თავდადებული მოღვაწე აწ უფრო ბევრი წარმოეშობოს. მხოლოდ მაშინ თუ შეგვეძლება სხვა კულტურულ ერთა შორის ჩვენც დავასახელოთ ჩვენი თავი.

მშვიდობით, პატიოსანო მუშაკო და მამულის სასიქადულო შვილო. საყვარელო გიორგი!

1900 წ.

ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა *1899* წელს

ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური მსვლელობის შესახებ ჟურნალ-გაზეთებში და საზოგადოებაში, კარგა ხანია, ორგვარი აზრი არსებობს; პირველი აზრით, ჩვენში წოდებები ისპობიან. მათ მაგიერ იბადებიან სხვადასხვა სოციალური კლასები. ჩვენი ცხოვრება კაპიტალისტური წარმოების გზას დაადგა; წოდებათა მოსპობა და კლასების გაძლიერება იგივე ჩვენი ერის გაძლიერება არის. მეორე აზრის მიმდევარნი გაიძახიან: კაპიტალიზმი ჩვენში არც არის, არც შემოვუშვებთ, წოდების მოსპობას ღმერთმა ნუ მოგვასწროს: ბერებმა უნდა იგლეხოს მხოლოდ, აზნაურმა იაზნაუროს, თავადმა ითავადოს. — ჩვენი ძლიერება მხოლოდ წოდებათა ჰარმონიულ განვითარებაშია. გაზეთი „ივერია" უკანასკნელი აზრის მიმდევარია, თუმცა ღმერთმა ის ფრიად სუსტი ძალ-ღონით დააჯილდოვა თავისი აზრების გასავრცელებლად. პუბლიცისტური ნაწილი მასში ყოველთვის სუსტი იყო და ამ უკანასკნელ დროს ისე მიიღია, რომ ხამ მკითხველს რომ ჰკითხოთ, რა მიმართულების არის „ივერიაო", პასუხი გაუჭირდება, რაც შეეხება ბელეტრისტულ განყოფილებას, 1898 წელს არც ერთ ჩვენ ჟურნალისა და გაზეთს არ მოუცია იმდენი მასალა ზემოხსენებული პირველი აზრის დასამტკიცებლად, ე. ი. „ივერიის" გასამტყუნებლად, რამდენიც თვით „ივერიამ". „ივერია" უბერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ბელეტრისტულ ნაწილში ის ირღვევდა იმას, რასაც პუბლიცისტიკაში ქადაგებდა. ასეც უნდა მომხდარიყო: „ივერია" ყოველდღიური გაზეთია. მაშასადამე, მას საშუალება აქვს, გაცილებით მეტი ბეჭდვის ბელეტრისტული ნაწარმოები, ვიდრე სხვა ჟურნალ-გაზეთობას. — ყოველი ბელეტრისტი კი, რომელიც ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას ხატავს, რაც უნდა სუსტი ნიჭის პატრონი იყოს, თუ ფაქტებს განგებ არ დაამახინჯებს, იმისი დამრღვეველი იქნება, რასაც „ივერია" და მისი თანამოაზრენი ქადაგებენ. საჩოთირო მდგომარეობის ასაცილებლად მხოლოდ ერთი გზაღა დარ-

ჩენოდა „ივერიას“; ან უნდა მიეტოვებინა თავისი უნიადაგო შეხედულება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ან ურჩი ბელეტრისტიკა გაეძევებინა, და აი, „ივერია“ ამ მეორე გზაზე შემდგარა: ამან ამჯობინა ცხოვრების უარყოფა და უნიადაგო მოძღვრების შერჩენა ე. ი. ჭეშმარიტების განდევნა. როდესაც გადავიკითხე წარსული წლის „ივერიის“ ბელეტრისტიკა. იქ აღარ შემხვდნენ ის მწერლები. რომლებმაც 1898 წ. უკვე მიიქციეს მკითხველის ყურადღება, მასში ვეღარ ვნახე ვერც ერთი მოთხრობა, რომელიც რაიმე მხრივ ყურადღების ღირსი იყოს; რამდენადაც მდიდარი იყო 1898 წ. „ივერიის“ ბელეტრისტიკა და საყურადღებო, იმდენად ღარიბი და უმნიშვნელოა 1899 წელს. მაგრამ უკაცრავად: „ივერიის“ ფურცლებზე აღმოვაჩინე „დუშელი ვანო“, რომელსაც გენიოსური საშუალებისათვის მიუგნია სულიერი მოძრაობის გამოსახატავად; ეს საშუალება გახლავთ — წერტილები! უსწავლია წერტილების დასმა. ჰოსწონებია არაგვისპირელის მოთხრობების სათაურები და თამამად ჭქელავს „ივერიის“ ფურცლებს. მისი მოთხრობები მეტად ორიგინალურია: წერტილები ნაწერზე მეტია!

ამ ბოლო დროს, რამდენადაც ვიცით, პირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ივ. ბ-ლი. რომლის ვრცელი მოთხრობა: „ქუნჩუკის ნახტომი“ — ივერიაში იბეჭდებოდა. მოთხრობა ნიჭიერად არის დაწერელი. მაგრამ მოთხრობის თემად ცალიერი წარსული ცხოვრების აღებას მკითხველისათვის ძალიან ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ზემოხსენებულ მოთხრობას არც ჩვენ ვეხებით ვრცლად. ყოველი ნიჭიერი კაცი დღეს ჩვენთვის ფრიად საჭიროა და ამიტომ ბ-ნი ბ-ლი ისევ ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას რომ დაუკავშირდებოდეს, თანამედროვე ჭირ-ვარამს რომ გაგვითვალისწინებდეს და დღევანდელი ქართველის გულსა და სულში ჩაგვახედებდეს, გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

წარსული წლის „კვალის“ ბელეტრისტთა შორის[1] საყურადღებო იყო ელ. წერეთელი. მან მოათავსა „კვალში“ რამდენიმე მოთხრობა. რომელთა შორისაც „ბედნიერება“ და „იდეალი და ცხოვრება“ განსაკუთრებით საყურადღებონი არიან იმ დედააზრით, რომელიც მათში გატარებული. სანამ მათი დედააზრის განხილვას შევუდგებოდეთ.

---

[1] რამდენადმე უხერხულობას წარმოადგენს, რასაკვირველია, ჩვენივე თანამშრომლებს ჩვენს გაზეთშივე დაფასება, მაგრამ რას იზამთ, როცა სხვა ორგანოები ხმას არ იღებენ და სერიოზულ მსჯელობას რომელიმე მწერლის შესახებ ვერ ახერხებენ. ამიტომ ისევ ჩვენ უნდა შევეხოთ. როგორც მათ თანამშრომლებს, ისე ჩვენსასაც და შევეხოთ ერთნაირად, ერთნაირი მიუდგომლობით. თვითკრიტიკა ყველა კრიტიკაზე მაღლა დგას.

ჩვენ მივუთითებთ მწერალს ერთ ნაკლოვანებაზე, რომელიც მის მოთხრობებს ეტყობა. ავტორის უმთავრესი ყურადღება დედააზრსა აქვს მიქცეული, მისი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ერთი დასაბუული იდეა გაატაროს მოთხრობაში, მომქმედი პირები კი უყურადღებოდ რჩება. რაც ზიანს აყენებს მოთხრობის სამხატვრო ღირსებას და ამიტომ შესაფერ შთაბეჭდილებასაც ვეღარ ახდენს მკითხველზე. როდესაც პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მეცნიერი ნათლად და გარკვევით გაატარებს თავის ნაწერებში რაიმე იდეას, თუნდ ნაწერი მშრალი და სქემატურიც იყოს, მკითხველი მაინც კმაყოფილია, ოღონდ იდეა ნათლად გამოსჭვიოდეს და საკმარისი მოსაზრებითაც იყოს დასაბუთებული. სულ სხვა არის მწერალი-მხატვარი: ის აზროვნებს მხატვრულად ე. ი. სურათების შემწეობით, როგორც ბელინსკი ამბობდა, ამიტომ მისი აზროვნება მით უფრო მძლავრია, რამდენადაც უფრო რელიეფურად არის დახატული მისი სურათები; მის მიერ გატარებული იდეა მით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რამდენიც უფრო სრულად არის დახასიათებული ამ იდეის მატარებელი ან მისი დასაბუთებისათვის გამოყვანილი მომქმედი პირები.

ამ მცირე შენიშვნების შემდეგ ჩვენ გადავალთ მოთხრობების ღირსებაზე. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, საუკეთესოდ მიგვაჩნია „ბედნიერება“ და „იდეალი და ცხოვრება“. პირველ მოთხრობაში ავტორმა დაგვიხატა ორი სხვადასხვა ბუნების და მოთხოვნილების ადამიანი — მატა და რუსო. ორივე ახალგაზრდა ქალია. ორივე ახლა აპირებს ცხოვრებაში ფეხის შედგმას, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის! პირველი არის მშვიდობიანი, აუშფოთებელი ბუნების; მას გული იმდენად უცემს, რამდენადაც საჭიროა სისხლის ნელი, აუჩქარებელი ტრიალისათვის; სისხლის დუღილი, მძლავრი, შეუჩერებელი მისწრაფება რაიმე მიზნისაკენ მას არ უგრძვნია, არ გამოუცდია და ვერც იგრძნობს, რამდენი ხანიც უნდა იცოცხლოს. მასა აქვს მხოლოდ იმდენად მგრძნობიარე ნერვები, რამდენიც საჭიროა წყნარი, მყუდრო ცხოვრებისათვის; აღელვება, აშფოთება, აფეთქება მან არ იცის. რა არის, რადგანაც არ უგრძვნია, არ გამოუცდია და ვერც ოდესმე გამოცდის: ამგვარია მისი ბუნება. მთელი მისი აზროვნება ყოველდღიურ წვრილმანებშია გაფანტული, მას არ შეუძლია მთელი თავისი ფიქრი, აზროვნება ერთად შეკრიბოს, ერთ ფოკუსში მოათავსოს და სხვა ყოველივე მცირე ხანს მაინც დავიწყოს. თავდავიწყებული სიყვარული ვისიმე ან რისიმე მას არ შეუძლია: „არაფერი მაგგვარი მთელ ჩემ სიცოცხლეში არ გამომიცდიაო“, — გულახდილად, გვატყობინებს ის. რანაირ ბედნიერებაში ან უბედურებაშიც უნდა ჩავარდეს, მას არასოდეს არ დაებადება თავში ასეთი კითხვები:

რა არის ცხოვრების მიზანი. ღირს რათმე თუ არა ჩემი სიცოცხლეო. მე დავიბადე. მაშასადამე, ყოფილა ცხოვრების მიზანი, მე ცოცხლობ. მაშასადამე, სიცოცხლეს ფასი ჰქონიაო, გიპასუხებთ ის; შეიძლება მას გაუტყდეს გული, მაგრამ სასოწარკვეთილებამდის არასოდეს არ მივა; შეიძლება არასოდეს არ გახდეს ცხოვრების დიდი კმაყოფილი. მაგრამ უმადურიც არ იქნება. ცხოვრებას ის ბევრს არაფერს თხოვს: კმაყოფილია მით, რასაც ცხოვრება აძლევს. მას არ სწამს სრული, ღრმა ბედნიერება და არც ეძებს მას ცხოვრებაში. ჩააყენეთ ის მყუდრო ცხოვრებაში. მიეცით მისი მშვიდობიანობის დარაჯი — ქმარი. გახდება ის რამდენიმე შვილის დედა და მეტს აღარას ითხოვს, კმაყოფილი იქნება თავისი ხვედრის. თუ კითხავთ: ხარ, ბატა. სრული ბედნიერიო?—ის გაპასუხებთ: სრული ბედნიერება არ არსებობს და ამიტომ არც მე ვარ, მაგრამ ბედს არ ვემდურიო. ის დაემორჩილება ცხოვრებას, მთელ თავის ზრუნვას, ფიქრს, აზროვნებას, მოქმედებას, მარტო თავის თავს და საკუთარ ოჯახს შემოახვევს გარშემო. იცხოვრებს ასე მძინარედ, პასიურად. სანამ გული ცემას არ შეწყვეტს, მოკვდება და ჩვენი ცხოკრების რომელიმე გულშემატკივარი ქებითაც გამოეთხოვება: შენ იყავი ნამდვილი ოჯახის დედა, ღმერთმა გაგვიმრავლოს შენისთანა დედების რიცხვიო, თითქოს უამისოდაც გამრავლებული არ იყოს, თითქოს გვყავდეს სხვანაირი დედები!

რუსო მთელი თავისი სულიერი არსებით მატას საწინააღმდეგო ტიპია. ის არის მეტად ცოცხალი ბუნების, მის ძარღვებში ადუღებული სისხლი მოძრაობს. მყუდრო, აუშფოთებელი ცხოვრება მას არ შეუძლია, არც უნდა. მას არ შეუძლია პასიურად ცხოვრება, მას უნდა მოქმედება. მას უნდა დაიკმაყოფილოს ცხოვრებაში. გამოხატოს, გამოაჟღავნოს რაშიმე ის სულიერი ძალა, ის ენერგია, რომელიც მისთვის ბუნებას ურგუნებია. ის არ არის ცხოვრების ყურმოჭრილი ძონა, არც ოდესმე დაემორჩილება ცხოვრებას; ის მისდევს მხოლოდ თავის სულიერ მოთხოვნილებას, თავის შინაგან გულისთქმას. მას არ უნდა იცხოვროს მხოლოდ ერთფეროვანი ცხოვრებისათვის, — ასეთი ცხოვრება მას სრულიად არ იზიდავს. მას არ შეუძლია, ცხოვრების წვრილმანებში დაფანტოს მთელი თავისი არსება; მისი ბუნება ითხოვს აშფოთებულ, აღელვებულ ცხოვრებას; თუ დაისახა რაიმე მიზანი ის ყველაფერს დაივიწყებს. მთელი თავისი ბუნებით ამ ერთი მიზნისაკენ გაეშურება. არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდება. ვერაფერი ვერ შეაფერხებს: ისი ყოველთვის დაძლევს და მიაღწევს თავის მიზანს. ან მიზანს შეწირავს ყოველიფერს. — სიცოცხლესაც

მას შეუძლია გატაცებით სიყვარული და ამიტომ კიდევ სწამს

თავდავიწყებამდის გატაცება. ის მხოლოდ ასეთ ცხოვრებაში ჰხედავს სრულს, ჭეშმარიტ ბედნიერებას, სიცოცხლე მარტო სიცოცხლისათვის მას არ მიაჩნია ბედნიერებად. მას ვერ იმორჩილებს ცხოვრება. ის თვითონ იმორჩილებს ცხოვრებას. ის არ არის მონა ფორმალური ზნეობის; დეე, ყველა კიცხავდეს თავისუფალ სიყვარულს. ის არ შეუშინდება სხვის კიცხვას, რადგანაც ამგვარ სიყვარულში ის უზნეოს არაფერს ხედავს. მას შეუძლია გაცილებით მეტი სისაძაგლე ჩაიდინოს. ვიდრე მატას. სამაგიეროდ, მას შეუძლია ისეთი გმირობის გამოჩენაც, რის შესაფერი ძალაც მატას არ მოეპოება.

აი, რა სხვადასხვაგვარად ესმისთ ამ ორ ადამიანს ცხოვრების მიზანი, სულიერი ცხოვრების დაკმაყოფილება და ბედნიერება, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ეძებს ცხოვრებაში, ნამდვილად კი რომელი უფრო ბედნიერია? საქმე იმაშია. ვის როგორ ესმის ბედნიერება. ჩაიხედეთ ახალგაზრდა ვაჟის გულში და აი რას ამოიკითხავთ: ლამაზი, მოსიყვარულე ცოლი, იმდენი შეძლება. რომ ყოველგვარი მოთხოვნილება გაუჭირვებლად დაიკმაყოფილოს, ორიოდე ფუნჩულა ბავშვი, — მორჩა და გათავდა! თუ ეს აუსრულდა, სრული ბედნიერი იქნება. მართალია, პირველ ხანებში შეწუხდება, როდესაც საამშობლოს სამსახური სულ მიავიწყდება, მაგრამ ამგვარ მწუხარებას ერთობ მალე ამორეცხავს ხოლმე დღევანდელი ადამიანის გულიდან საკუთარი ბედნიერება. ჩაიხედეთ ახალგაზრდა ქალის გულში და იქაც მხოლოდ იმას ამოიკითხავთ, რის მაძებარიც მატა არის ცხოვრებაში. ჩვენი ქალების უმრავლესობა მხოლოდ მატას წარმოადგენს, მითია კმაყოფილი, რითაც მატა, მარტო მას ეძებს ცხოვრებაში, რასაც მატა. ასეთი პირები ხშირად ჰპოვებენ ბედნიერებას, მაგრამ მათი ბედნიერებით საზოგადო ცხოვრებას იოტის ოდენიც არა ემატება რა. მათ არ შეუძლიათ ცხოვრებას შეძინონ რამე, ცხოვრება წინ წასწიონ თავისი ნებით, თავისი სურვილით, მხოლოდ პასიური მოქმედებისათვის არიან გაჩენილი, აქტიური მომქმედნი კი რუსოსთანა ბუნების პირნი არიან. თუ ადამიანმა მთელი თავისი არსება არ შესწირა დასახულ მიზანს, ის ვერ განახორციელებს მას. ვისაც არ შეუძლია თავდავიწყებით სიყვარული, ძვირად მიაღწევს საყვარელ საგანს; ვისაც არ შეუძლია თავდავიწყებით გატაცება, ის ვერ მოუტანს საზოგადო საქმეს შესამჩნევ სარგებლობას და, კიდეც რომ სურდეს ასეთი სარგებლობის მოტანა, ძალიან სუსტ თანაგრძნობას ჰპოებს; როგორ აღაფრთოვანებს, როგორ გაიტაცებს სხვას ისეთი ადამიანი, რომელსაც თვითონ არ შეუძლია გატაცება? მატასთანა პირები მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისათვის ზრუნავენ, საკუთარი კეთილდღეობის მეტს ისინი თვითონ, თავისთავად არაფერს ეძებენ ცხოვრება-

ში; საზოგადო კეთილდღეობის ზრუნვაში, საზოგადო საქმეში კი ისინი სხვას თუ გაჰყვებიან უკან. სხვა არიან რუსოსთანა ბუნების პირნი; მათ შეუძლიათ თავისი თავი დაივიწყონ და მთელი თავისი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს ანაცვალონ. კერძო ცხოვრებაში ისინი სშირად უბედურნი არიან, მაგრამ საზოგადო კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ჰპოებენ ბედნიერებას. მაშ რომელია უფრო ბედნიერი, მკითხველო? ნატვრას რომ გასავალი ჰქონდეს, მე რუსოს ბუნებას ვინატრებდი და შენი კი არ ვიცი. სამწუხაროდ ჩვენ ცხოვრებაში მატასთანა პირები ძალიან ბევრია, რუსოსთანა კი ძალიან ცოტა. თვით ჩვენი ცხოვრება არ არის ჯერჯერობით იმდენად ნიადაგ მომზადებული, რომ რუსოსთანა პირებს საშუალება მიეცეს თავისი სულის სიძლიერე. მოქმედების წყურვილი გამო

შეეწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ჩვენ ვერ ვხედავთ. ჩვენ ვერ ვიცნობთ პირადად. მას გვაცნობს პირველი კურსის სტუდენტი ვანო. პირველი კურსის სტუდენტს კი მარტო მწვანე მუნდირიც კი სიბრძნისა და მეცნიერების ემბლემად მიაჩნია; გიმნაზიის შეეიწროებული ატმოსფეროდან ის ერთბაშად ვადადის სრულიად სხვა ცხოვრებაში, მას ენიჭება დიდი თავისუფლება, გული უბრწყინდება, პესიმისტური ბუნებისაც რომ ყოფილიყოს. პირველ ხანებში სრული ოპტიმისტი ხდება და ხშირად ხედავს იმას, რაც ნამდვილად არ არსებობს; მას ნაკლები მომზადება აქვს სხვის დასაფასებლად და ამიტომ ხშირად გადაჭარბებულადა აქვს წარმოდგენილი თავისი უფროსი ამხანაგის ღირსება, მით უმეტეს. თუ უკანასკნელი ხშირად ხმარობს პრტყელ-პრტყელ სიტყვებს, სამეცნიერო ტერმინებს, მომავალ მოღვაწედ მოაქვს თავი. თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, ავტორის რეკომენდაციას: ბეჟანი ახალთაობის საუკეთესო წარმომადგენელიაო, ცოტა ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ, ხოლო ეჭვსგარეშეა, რომ ბეჟანი—სტუდენტი საიმედო ახალგაზრდაა. მას მიზნად დაუსახავს ხალხს ემსახუროს, საზოგადოებრივ ცხოერებას გამოადგეს რაშიმე; ასეთ დიად მიზანს ის საზრიანად უყურებს. ცდილობს, აღიჭურვოს მეცნიერების მძლავრი იარაღით და შეისწავლოს თავისი სამშობლოს ისტორია და ლიტერატურა; მას პატიეს სცემს მთელი ამხანაგობა. ბევრი ცდილობს მას წაბაძოს. ასეთი სტუდენტი ჩვეულებრივი არ არის. ის ჩვეულებრივზე მაღლა დგას. გამოდის ბეჟანი ცხოვრებაში. რას აკეთებს ის მთელი ათი წლის განმავლობაში, ჩვენ არ ვიცით. ათი წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ბეჟანი ჩვეულებრივი ადამიანია, ის არათუ ხალხს არ ემსახურება. აღარც უნდა რომ ემსახუროს, მარტო თავის თავისთვის ზრუნავს და უბრალო სიბრალულიც კი აღარ ებადება გაჭირვებულისადმი: როცა ავადმყოფთან მიიხმობენ, უმალ იმას კითხულობს, რას მომცემენო. და. თუ ქირა ეცოტავა, ფეხსაც არ გადაადგამს. რომ ახალთაობის უმეტესობა არას აკეთებს, უმცირესობა ვერას აკეთებს და სულ ცოტა ნაწილი ვერ აკეთებს იმდენს, რამდენიც შეუძლია, ამას ჩვენ არ უარვყოფთ. მაგრამ ავტორს უნდა დაენახვებია ჩვენთვის ბეჟანის ბრძოლა ცხოვრებასთან, მისი სულიერი ტანჯვა. ის მიზეზები, რამაც მოწყვიტა ის მის პატიოსან მიზანს. როგორ შეიძლება ბეჟანი, ის კარგი, თითით საჩვენებელი ბეჟანი, რომელიც ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში აპირებდა საკუთარი ბედნიერების, კმაყოფილების, ერთის სიტყვით, ცხოვრების მიზნის მოპოებას, როგორ შეიძლება ასეთი ბეჟანი უბრძოლველად, უტანჯველად, უცრემლოდ დამორჩილებოდა ცხოვრებას?!" უამისოდ კი ბეჟანის გამოცვლა სრულებით გაუგებარია.

მე განგებ ვეძებდი, მკითხველო, ყოველნაირ ნაკლულევანებას ბეჭანაში, ყოველ მცირე ნაკლსაც კი მოთხრობაში. რომ ამით ჩემი თავიც და შენც მენუგეშებინა, მაგრამ რამდენიც უნდა ვინუგეშოთ თავი, ავტორის მიერ წამოყენებული ფაქტი ფაქტადვე რჩება. ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ახალთაობის საუკეთესო წევრნი ცხოვრებაში სრულიად გამოუსადეგარნი ხდებოდნენ და უმნიშვნელოდ თვლიდნენ თავის დღეს, მაგრამ ახალთაობა ის არ არის, რაც უნდა იყოს. ის არ აკეთებს მას, რის გაკეთებაც შეუძლია. იქნება მას არაფრის კეთება არ უნდა? იქნებ მისი სიტყვები, საზოგადოებას უნდა ვემსახუროთ. ენის უშინაარსო როკვა იყოს მხოლოდ? იქნება ყველა ის პატიოსანი სურვილი, მისწრაფება, მიზანი, რომლებსაც ის ეკიცხადებს, მარტო სხვისი და თავის თავის მოტყუება იყოს, ბაქიობით ნათქვამი, გულწრფელობას მოკლებული? არა და არა. ახალთაობის უმეტესი ნაწილი არც ერთი ერის საუკეთესო ხანაშიც არ ყოფილა აქტიური მომქმედი საზოგადო ასპარეზზე და ამიტომ ამას ვერც ჩვენ მოვთხოვთ ჩვენს ახალგაზრდობას. ყველგან და ყოველთვის მხოლოდ მცირე ნაწილი მეთაურობდა საზოგადო საქმეს, დანარჩენი მას თუ უწყობდა ხელს! ახალთაობის ერთ ნაწილს ჩვენშიაც უნდა საზოგადოებას ემსახუროს, ის გულწრფელი სურვილით არის გატაცებული ხალხს სარგებლობა მოუტანოს, სხვისთვის სამსახურში საზრიანად დაუსახავს მას ცხოვრების მიზანი, მაგრამ ცხოვრებაში ის ვერ ასრულებს მას, რაც სწადია, ვერ მოაქვს იმდენი ნაყოფი, რამდენიც ნამდვილად შეუძლია. რა არის ამის მიზეზი? ნუთუ ჩვენი ხალხი გონებრივად და ზნეობრივად სუსტდება, გადაგვარების გზას ადგას? იყო დრო, როცა რომელიმე ეპოქის შემოქმედად ადამიანი მიაჩნდათ, მაგრამ ასეთი ბავშვური რწმენის ნეტარნი დრონი წარვიდნენ, გაქრნენ, და დღეს თანდათან ვრცელდება ის ჭეშმარიტება, რომ ეპოქა ქმნის ადამიანს; ხანდახან მომხდარა, რომ

---

[1] აქ წარმოთქმულ აზრს მთლად არ ვეთანხმებით. ბელეტრისტი სრულებით არ არის სასაყვედურო იმისათვის, თუ რატომ ეს დაასურათა და არა ის. საქმე იმაშია, თუ რანაირად და რა ხელოვნებით ხატავს იმას, რის დახატვაც მოუწადინებია. ჩვენ რომ თემები თავს მოვახვიოთ, — ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. „იდეალი და ცხოვრება" თავისივე სახელწოდებით აღნიშნავს მოთხრობის თემას. ავტორს სურდა წარმოედგინა ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ხანა, ორი კონტრასტი და მით უფრო ნათელეყო დედააზრი. მას სახეშიაც არ ჰქონია შუა ხანებშიც აეწერა, მაშინ შეიძლება მთელი ტომიც გამოსულიყო და დედააზრი კი მაინც ცხადი არ გამხდარიყო.

„ალვალის" რედაქციის შენიშვნა.

საზოგადოებას შესამჩნევად წაუწევია წინ თავისი ცხოვრება, მაშასადამე, ხალხს შეუქმნია ეპოქა; მაგრამ როცა ცოტა ღრმად ჩაუკვირდებით, დაინახავთ. რომ ცხოვრებაში იმდენად მომზადებულა ნიადაგი, ისეთი პირობები განვითარებულა, რომ საზოგადოების. ერის მოქმედების განაყოფიერება შესაძლებელი გამხდარა. მოსპეთ ეს ნიადაგი, ეს ხელშემწყობი პირობები და მაშინ, თუნდა დღედაღამეს ასწორებდეს მუშაობით რომელიმე თაობა, შრომის შესაფერ ნაბიჯს ვერ გადაადგმევინებს წინ ცხოვრებას. მიუმატეთ ამას ცუდი აღზრდა, ნაკლები მომზადება, ცხოვრებიდან თავისუფალი აზროვნების განდევნა და მაშინ ცხადი იქნება, თუ რად არის დღევანდელი ჩვენი ახალი თაობა უფერული, უნაყოფო.

ფაქტის ახსნა და მისი გამართლება სრულებითაც არა მგონია ერთი და იგივე. რა მიზეზებიც უნდა მოვუპოვოთ ჩვენი ახალთაობის უმოქმედობას, უფერულობას, ასეთი მოვლენა მაინც საკმაოდ იქნება. თვით ახალთაობამ უნდა დაიცვას თავისი ღირსება, უკეთ შეისწავლოს ჩვენი ცხოვრება, რომ შეამჩნიოს საიმედო მომავალი, და ამ მომავლისაკენ გაეშუროს მთელი თავისი ძალ-ღონით. ჩვენი ცხოვრების ამღვრევა საუკეთესო თავდებია. რომ ჩვენი ხალხი წინ მიდის. ჩვენმა ახალთაობამ უნდა ხელი შეუწყოს მას ამ წინმსვლელობაში, საიმედო მომავლით გაიმხნეოს გული და გაეშუროს წინ. რა ვუყოთ, რომ ის დღეს და ხვალ ვერ იხილავს თავის შრომას დაგვირგვინებულს? რა ვუყოთ, რომ ის დღეს და ხვალ ვერ შეადგამს ფეხს უკეთეს ცხოვრებაში? სამაგიეროდ, მისი შრომა მოაახლოვებს ამ უკეთეს მომავალს და ეს საკმარისია, რომ ახალთაობამ უკუაგდოს კერძო ბედნიერების ვიწრო ფარგლები და კვალში ჩაუდგეს საზოგადო საქმეს, საზოგადო კეთილდღეობისათვის იზრუნოს.

*

მეტად საგულისხმიერო იყო „კვალში“ ია ეკალაძის „ტყეშიც“! ამ პატარა სურათში პოეტმა გამოხატა ცხოვრების მთელი ფილოსოფია, ყველა ის ფიქრი და გრძნობანი, რომლებიც პატიოსან ადამიანს მოსვენებას არ აძლევენ, სულსა და გულს უხუთავენ. პოეტს უნდა, რომ ქვეყნად მეფობდეს სიმშვიდე, ძმობა, ერთობა, მაგრამ ადამიანთა შორის ის ვერც ერთს ამას ვერ ხედავს: ყოველი ადამიანი თავისთვის ზრუნავს, მარტო საკუთარი ბედნიერებისაკენ მიისწრაფვის და გზაზე ვინც უნდა შეხვდეს, არ დაზოგავს, არ დაინდობს. თუ მისი კეთილდღეობისათვის საჭირო გახდა სხვისი დაღუპვა, არ გაიტანს, დაღუპავს. ძალმომრეობა, უსამართლობა, სუსტის დაჩაგვრა, — აი, რას ხედავს პოეტი ადამიანთა საზოგადოებაში.

ამისთანა ადამიანი თითქოს უნდა ეზიზღებოდეს პოეტს, მაგრამ არა, — ძმობა-ერთობის მოტრფიალეს, ქვეყნიური უსამართლობით დატანჯულს ზიზღი, სიძულვილი არ შეუძლია, მისი ბუნება ყველასადმი სიბრალულს ითხოვს. პოეტი გაურბის ადამიანთა საზოგადოებას, მას უნდა ტყეში, მცენარეთა, მხეცთა და ფრინველთა შორის მაინც ჰპოვოს ის, რასაც ტყუილა ეძებდა ადამიანთა შორის. მაგრამ თურმე ყველგან, მთელს ბუნებაში, მხოლოდ გამწვავებული ბრძოლა ყოფილა არსებობისათვის, გაუტანლობა, ძალმომრეობა, უსამართლობა. პოეტი ვერსად ჰპოებს ნუგეშს, „თავისუფალი ნავთსაყუდარს", მაგრამ ის მაინც არ იტეხს გულს; „იბრძოლე მარად, ეუბნება ის თავისთავს: „ან ვაქკაცურად გაიტანე სვე ან შენ იდეალთ, შენ გულის თქმათ გაუხდი მსხვერპლათო". ასეთია დედააზრი ამ პატარა სურათისა. ია ეკალაძეს ნაწერებში სევდა და სატირა ერთად არის შეზავებული. მას მგრძნობიარე გული აქვს, შეუძლია ამხილოს ჩვენი საზოგადოება, მისი ნაკლულევანება და მით ჩვენ წინმსვლელობას ხელი შეუწყოს. ხოლო ერთი ნაკლი უნდა აიცილოს თავიდან: მას უყვარს უტრირება და თავისი იდეის გასამართლებლად ფაქტებისა და პირების ცალმხრივად დახატვა. ტენდენციის წინააღმდეგი ჩვენ სრულიად არა ვართ; პირიქით, ჩვენი აზრით, ყოველ ნაწარმოებში ნათლად უნდა გამოსჭვიოდეს დედააზრი. ხოლო დედააზრი დამყარებული უნდა იყოს ცხოვრების სინამდვილეზე; როდესაც მწერალი იდეის გასამართლებლად ფაქტებსა და პირებს ცალმხრივად ხატავს და ბევრ ელემენტებს მალავს, ამით ის ამახინჯებს სინამდვილეს და თავის იდეას სუსტ ნიადაგზე აფუძნებს, სიძლიერეს და ნდობას უკარგავს მკითხველის თვალში. აი, მხოლოდ ამგვარი არის პოეზიაში გასაკიცხი. ია ეკალაძეს კი ასეთი ნაკლი ემჩნევა. და უნდა მოიცილოს.

სიტყვაკაზმული ლიტერატურით წარსულ წელს ძალიან მდიდარი იყო „მოამბე". „მოამბის" ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ უცხო ტომთა ლიტერატურიდან ძალიან ბევრს თარგმნის, მაგრამ უფრო გარჩევით რომ თარგმნიდეს, მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩვენ საზოგადოებას; მაგ., ის ხშირად აცნობს მკითხველებს ისეთ მწერლებს. რომლებსაც ჩვენში კი არა, ევროპაშიაც დიდად არ აფასებენ. ისეთ მწერლებს კი, რომლებსაც ყველგან ღირსეული სახელი აქვთ მოპოებული, ნაკლებად თარგმნის. — მაგრამ თარგმანების შესახებ სხვა დროს.

მელანიას „ნავარდობას" დიდი სიხარულით მივეგებეთ, მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა: „ბნელოს" დამწერს მეტი მოეთხოვებოდა. გარდა იმისა, რომ თვით მოთხრობა უფრო ვრცელ კორეს-

პონდენციას წარმოადგენს, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს, ზომიერება სრულებით არ არის დაცული შიგ. ნაწილებს შუა ძალიან სუსტი კავშირია. ავტორს გამოჰყავს სხვადასხვა პირი, მოგვიყვება მათ ბიოგრაფიას, დაბადებიდან მოკიდებული სიკვდილამდე და, როცა საიქიოს გაისტუმრებს, გაოცებული რჩებით და არ გესმით, რისთვის გაგაცნო ისინი ავტორმა. მაგალითად, ანანოს, მიხას, ჯიღაშვილებს, სანდროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მოთხრობაში, მთელი პირველი ნაწილი სრულიად უმნიშვნელოა და მეტი, მოთხრობის უმთავრეს გმირს, აღალოს, ავტორი ისეც გაგვაცნობდა მოკლედ, რომ მთელი პირველი ნაწილი არ დაეწერა. მით უმეტეს, რომ აღალოს მოქმედება მეორე ნაწილიდან იწყება. სანამ რომელიმე პირს გაგვაცნობდეს ავტორი, ბაბუისა და მამის ცხოვრებასა და თავგადასავალს დაწვრილებით მოგვიყვება. მართალია, მემკვიდრეობა ადამიანის ხასიათში ბევრ რამეს ხსნის. მაგრამ აქედან ხომ ის არ გამოდის, რომ მწერალმა ყოველი მომქმედი პირის აღწერა ადამიდან დაიწყოს? მარტო ყაზარ ყარამანიძის ამბავი ერთ მოთხრობას შეადგენს. რისთვის ილაპარაკა ამდენი ავტორმა ყაზარაზე? იმიტომ, რომ ყაზარას ქალს, სათინიკას, აღალო ირთავს! ამგვარი საბუთით თუ იხელმძღვანელა მწერალმა, თქვენი მტერი: მის მოთხრობას დამთავრება არ ეღირსება. — ზოგ მომქმედ პირს ცოლი ეყოლება, ზოგს ნათლული, ზოგს მეგობარი, და ყველას ისტორია თუ მოგვიყვა მწერალმა, მამები და ბაბუებიც ზედ მიაყოლა, სხვა რომ არა იყოს რა, ქაღალდი შემოელევა, და მკითხველის მოთმინებას თუნდა თქვენი ჭირი წაუღია. აი, სწორედ ამიტომ გამოვიდა „ნავარდობა“ იმდენად გაჭიანურებული, თორემ ავტორის მიერ აღებული თემა ერთ პატარა მოთხრობას სრულიად ეყოფოდა. იყო დრო, როცა ამგვარი თემა ჯერ ახალი იყო ჩვენში, და ამიტომ მკითხველის ყურადღებასაც იზიდავდა. საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. — მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირადო“. გ. ერისთავს აქეთ ამგვარი თემა ბრალიანისა და უბრალოს საჩინდრიკო შეიქნა და ნუთუ მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ან აღარ დაძველდა ან ვეღარ შეიგნო ის მკითხველმა? ჩვენი არისტოკრატია რომ ღარიბდება და მისი ქონების გვარიანი ნაწილი სომხის ბურჟუაზიის ხელში გადადის, ეს დიდი ხანია ყველამ იცის, მაგრამ საქმე მიზეზის გამორკვევა არის. ყურადღების ღირსი დღეს მხოლოდ ეს მიზეზია და არა იმის ძახილი: სომხები ქართველებს ყვლეფენო. მელანიას კი ამ მიზეზის გამორკვევისათვის ყური არ უთხოვებია და ჩვენ თვალწინ კახეთის თავადობას აფცქვნეევინებს. რატომ აფცქვნეევინებს თავს ჩვენი თავადობა? რა ატანს მას ძალას? ასეთ კითხვებ-

ზე მელანია არავითარ პასუხს არ იძლევა. თითქოს ეს ვაჭრები რომ არ გაჩენილიყვნენ, ჩვენი თავადობა ქონებას არ გაფლანგავდა! ვინ ამბობს, — ფრიად გასაკიცხია ჩარჩებისა და სირაჯების სხვადასხვა უპატიოსნო მოქმედება, მაგრამ სომხის მაგიერ რა ტომის ვაჭრობაც უნდა ყოფილიყო, ჩვენი თავადობა მაინც შეაჭმევდა თავის საცხოვრებელს. ამის მიზეზი თვით დღევანდელი ცხოვრების პირობებია და არა სომხის ბუნება; ყოველივე ეს „ნავარდობაში“ უბრალოდაც არ არის გამორკვეული. ამხელა მოთხრობის ჯერ დაწერა და მერე წაკითხვა მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგო, როგორ გადადის ჩვენი არისტოკრატიის ცხოვრება ვაჭრების ხელში, დღეს უმაქნის დროის დაკარგვად მიგვაჩნია.

ეს მეორე წელიწადია „მოამბეში“ იბეჭდება ს. მგალობლიშვილის ვრცელი მოთხრობა, მაგრამ, სამწუხაროდ, რედაქციამ ძალიან გამოიზოგა და მოთხრობის მესამე ნაწილი მესამე წელიწადში გადაიტანა. ამიტომ ვეცდებით, მკითხველს მაშინ დავანახოთ ამ მოთხრობის ღირსება-ნაკლოვანება, როცა ის დამთავრდება.

ამით ვათავებთ წარსული წლის სიტყვაკაზმული ლიტერატურის მიმოხილვას.

1900 წ.

ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში

საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც საქართველოს ცხოვრება სულ სხვა პირობებში ჩადგა და, ცხადია, ბევრს დაებადება ასეთი კითხვა: როგორ და რა მხრით განვითარდა ამ დროის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება, რა მანძილი გაიარა მან კულტურული წინმსვლელობის გზაზე? ასეთი კითხვა ბ. კიტა აბაშიძესაც დაბადებია, მაგრამ, როგორც კრიტიკოსი, ის მხოლოდ ჩვენი ლიტერატურული ევოლუციით დაინტერესებულა, კითხვის გადაწყვეტა მკითხველისათვის მიუნდვია, თვითონ კი ყურადღება მიუქცევია მარტო ლიტერატურის უმთავრესი ტონისათვის. ჩვენი ლიტერატურის უმთარეს ტონად წარსულ საუკუნეში ბ. აბაშიძე აღიარებს პესიმიზმს; თუმცა ამით ძალიან ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ჩვენ მაინც არას ვიტყოდით, რომ ბ. აბაშიძეს კერძო მწერლები არ მოეყვანა თავისი აზრის დასამტკიცებლად. ჩვენს დროში ვერ ნახავთ ისეთ მწერალს, რომელსაც ერთი კვნესა მაინც არ აღმოხდენოდეს გულიდან, მაგრამ ამის მიუხედავად თუ ყველა პესიმისტად მოვნათლეთ, დიდი სიცრუე იქნება...

პესიმიზმი განვითარდა წარსული საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ აქაც ბარათაშვილის პესიმიზმსა და ვ. ორბელიანის პესიმიზმს შორის არაფერი საერთო არ არის: მაშინ, როდესაც ვ. ორბელიანის პესიმიზმი იყო პესიმიზმი მხოლოდ ერთი კლასის — თავადობის, ბარათაშვილის პესიმიზმი იყო პესიმიზმი ბაირონისა და შელლისა, პესიმიზმი ღრმა ფილოსოფიური, პესიმიზმი მსოფლიო. მესამოცე წლებიდან ცხოვრების ერთბაშმა ევოლუციამ ისე აღაფრთოვანა ჩვენი პოეზია, რომ მის უმთავრეს ტონს პესიმიზმი აღარ შეადგენდა, მასში იყო მხოლოდ მისუსტებული ხმა კლასიური პესიმიზმისა, რომლის გავლენასაც აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძეც ვერ ასცდნენ. მაგრამ ეს პესიმიზმი არ შეადგენდა დამახასიათებელ თვისებას მესამოცე და მესამოცდაათე წლების პოეზიისას და ამიტომ ჩემთვის გასაოცარია, როდესაც ბ. კ. აბაშიძე ცდილობს აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე პესიმისტებად მონათლოს.

გ. წერეთლის ბელეტრისტიკაში პესიმიზმის დანახვა ხომ სწორედ მელის სიზმარია. ოთხმოცდაათ წლებში ჩვენში ისევ იჩინა თავი პესიმიზმმა, ხოლო ეს პესიმიზმი ბევრით განირჩევა წარსული საუკუნის პირველი ნახევრის პესიმიზმისაგან: მაშინ, როდესაც პირველი იყო უმთავრესად პესიმიზმი კლასიური, მეორე არის, ერთი მხრით, პესიმიზმი — ფილოსოფიური ანუ მსოფლიო (არაგვისპირელი, დეკანოზიშვილი), მეორე მხრით, პესიმიზმი სოციალური (ევდოშვილი, არაგვისპირელიც). როდესაც ბ. კ. აბაშიძე გვიცხადებს: ეს პესიმიზმი „მთელი ერის სულის განწყობილების გამომსახველია, საერთო ნიადაგზე აღმოცენებულიო", ამ აზრსაც დიდი განმარტება სჭირია; წარსული საუკუნის პირველი ნახევრის პესიმიზმი ამგვარ ნიადაგს მოკლებული იყო; მეოთხომოცდაათე წლების პესიმიზმს კი საერთო ნიადაგი უდევს სარჩულად. მიაგნო რა უმთავრეს ტონს ჩვენი ლიტერატურისა, ბ. აბაშიძემ მოინდომა იმის გამორკვევა, თუ საერთოდ, რა იყო ჩვენი ლიტერატურა წარსულ საუკუნეში და რა იქნება ის მომავალში, ან რა უნდა იყოს. ამ კითხვის უკეთ გადასაწყვეტად მან ძიმართა სხვადასხვა მწერლებს, რომელთაგან ბევრმა ბ. აბაშიძე დიდ განსაცდელში ჩააგდო: ათჯერ რომ გადაიკითხოს მილის ლოგიკა, ზოგიერთ მიღებულ წერილში ერთ ლოგიკურ აზრს ვერ ნახავს. ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს უაზრო წერილები წეროს და უაზრო წერილები იკითხოს, მაგრამ როდესაც ასეთი წერილებიდან რაიმე ზოგადი აზრი, ზოგადი დასკვნა გამოჰყავთ და საზოგადოებას აწვდიან, მაშინ ყველას უფლება ეძლევა ამ წერილებისა და მათი აზრის აწონ-დაწონისა. ჩვენ მხოლოდ ამ უფლებით ესარგებლობთ.

ავტორები, რომლებმაც ბ. აბაშიძის თხოვნა შეასრულეს, ერთ დიდ შეცდომაზე გადამჯდარან, გარდა ერთადერთი განდეგილისა და მცირეოდნად ს. მგალობლიშვილისა; ზოგს ეკლის გვირგვინი დაუდგამს თავზე, ზოგს იმედით შეუმოსავს თავისი ნაღვლიანი სახე, მაგრამ, რადგანაც ბ. კიტამ მათ წინდაწინვე აუწყა: ჩვენი ლიტერატურის ტონი პესიმიზმიაო, არც ერთს არ უნდა მას აწყენინოს და მის წინაშე ყველას თავი ჩაუქინდრავს: ასე იქცევა ბ. ფანცხავა, არაგვისპირელი, მგალობლიშვილი, — შეიმოსნენ იმედით, მაგრამ მალე გაახსენდათ, რომ ბ. კიტას იმედი არაფრად ეპიტნავება, და თავისი წერილები წუწუნით დააბოლოვეს: დაღუპვა მოგველისო. რა საფუძველი ჰქონდა მათ იმედს? არავითარი, — რაც უნდა იყოს, მათ წერილში ჩვენ ამას ვერა ვხედავთ; რა საფუძველი აქვს მათ წუწუნს? არავითარი. ეს ბატონები ისე სჯიან ლიტერატურაზე და მის სასურველ მომავალზე, თითქოს ლიტერატურა ცხოვრების პირმშო კი არ

იყოს, არამედ ზევსის თავიდან იბადებოდეს მინერვასავით და ბ. კიტა აბაშიძის რეცეპტებით იზრდებოდეს. თავისთავად ცხადი უნდა იყოს თითქოს შემდეგი ჰეშმარიტება: თუ წარსული საუკუნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება ვითარდებოდა, ლიტერატურაც უნდა განვითარებულიყო, თუ ჩვენი ცხოვრება ვითარდება, ჩვენი ლიტერატურაც განვითარდება მომავალში; მაგრამ წერილების ავტორებმა ამ ჰეშმარიტებას გზა აუხვიეს და ერთი გაიძახის: ვიღუპებით, რადგანაც უნიჰოებმა მწერლობის ასპარეზი მიგვატოვებინესო, მეორე კი — რაღა დაგვიხსნის, როდესაც ყველა იმ ენით აღარ წერს, როგორითაც ჩვენი მამა-პაპანი წერდნენო და სხვ. მაგრამ ჩვენც თავიდან დავიწყოთ და სათითაოდ ჩავყვეთ წერილებს. ბ. კ. აბაშიძე თავის ნაცნობებს თუ მეგობრებს ხანდახან ძალიან უხეირო სამსახურს გაუწევს ხოლმე: ასეთი სამსახური გაუწია მან იმ ქალს, „რომელსაც დამოკიდებულობა არ აქვს ჩვენს ლიტერატურასთან“: ჯერ თავში რეკომენდაცია წამოუსკუპა წერილს, — ეს პასუხი მეტად საყურადღებოა, რადგანაც გულწრფელი აღსარებაა აზრთა იმ მდგომარეობისა, რომელიც ჩვენში მეფობსო, მაგრამ როდესაც მისმა რეკომენდაციამ მისივე „მეპასუხენი“ გააოცა, ბ. კიტამ მეორე რეკომენდაცია გამოაკრა: „იგი არის გამომხატველი თითქმის მთელი ჩვენი საზოგადოების ინტელიგენტი ნაწილის აზრისა“, და მეორეს მესამეც მიუმატა, აბა უსამებრთ როგორ იქნება: „აგრეთი მარსის მცხოვრებნი კიდევ საუკეთესო ნაწილია ჩვენის განათლებულის წრისა“. ბ. კიტას აზრით, „განათლებული ნაწილი ყოფილა და იქნება ყოველთვის მთელი ერის წინამძღოლი, მისი მმართველი“, თუ განათლებულ ნაწილს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, „განათლებული წრის საუკეთესო ნაწილს“ ხომ უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში და ამიტომ გავიცნოთ ამ „საუკეთესო ნაწილის“ ერთი მანდილოსანი, რომელიც ასეთი დიდმნიშვნელოვანი ჩარხი ყოფილა ჩვენი ცხოვრებისა. ამ პატივცემულ მანდილოსანს თავისი წერილი თითქოს იმისთვის დაუწერია, რომ სრული ულოგიკობის ნიმუში წარმოედგინა ბ. აბაშიძისათვის. წერილის თავშივე ის გვიცხადებს: ქართული ლიტერატურა სრულიად უცნობია ჩემთვისო. კარგი და პატიოსანი: არცოდნა არ ცოდვაო, მაგრამ თუ ჩვენს ლიტერატურას არ იცნობს, პირველი — რად ლიტერატორობს, (აკი ბ. კიტა გვიცხადებს: დამოკიდებულობა არ აქვს ჩვენს ლიტერატურასთანო!) მეორე — რად სწერს თავის აზრს ისეთი საგნის შესახებ, რომელიც მას არ გაეგება, მესამე — რა ფასი აქვს ამგვარ აზრს? პირველის პასუხს ისევ ბ. აბაშიძე გვეტყვის; მეორის პასუხს თვითონ ეს მანდილოსანივე გვეუბნება: თუმცა მე ქართული ლიტერატურისა არა გამეგება რა, მაგრამ

თქვენი სურვილი უნდა ავასრულო. ახირებული ხასიათი ჰქონია ამ მანდილოსანს. ბ-ნი კიტას სურვილი მისთვის „კატეგორიული იმპერატივი“ ყოფილა და ისეთ საგნებზედაც კი ალაპარაკებს, რომლებიც მისთვის უცნობია! მესამე კითხვის პასუხი ყველასათვის ცხადია; ფასი ისეთი აზრისა, რომელიც საგნის ცოდნაზე არ არის დამყარებული, გახვრეტილი გროშია. ქართული ლიტერატურის უცოდინარობა ამ მანდილოსანს უბედურებად და სამარცხვინო ნაკლად მიაჩნია. აქედან ლოგიკა ერთადერთ გზას უჩვენებს მას: უბედურება და სირცხვილი თუ გინდა აიცდინო, შეისწავლე ქართული ლიტერატურა. მაგრამ ამ მანდილოსნის ლოგიკა სხვანაირი ყოფილა. მას არა აქვს სურვილი ქართული ლიტერატურის გაცნობისა. ბიჭოს?! თუკი ეს სირცხვილად და უბედურებად მიგაჩნიათ, რატომ არა გაქვთ შესწავლის სურვილი? — გაოცებული ეკითხებით თქვენ. უკაცრავად, თქვენს უმალ ბ. კიტა ეკითხება; ეტყობა, ასეთ ულოგიკობას ისიც გაუოცებია, რადგანაც კურსივები მოუხშირებია! იმიტომ, რომ გარემოებამ ხელი შემიშალაო, გიცხადებთ ის. გეთანხმებით, მაგრამ სირცხვილისა და უბედურების მოსაშორებლად გარემოების მიერ მოძღვნილი ნაკლოვანების მოშორებას ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, — გინდათ თქვენ უპასუხოთ, მაგრამ ქ-ნ მანდილოსანს მეორე „იმიტომაც“ მზადა აქვს: ქართულ ლიტერატურას არ შეუძლია ჩემი აზრის დაკმაყოფილებაო. ამ მანდილოსნის სასარგებლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მას თვითონვე შეპარვია ეჭვი თავისი აზრის სიმართლეში. ვაითუ ტყუილს ვამბობდეო, და დარწმუნებულა რომ ტყუილს ამბობდა და, ვიდრე ამ ცრუ აზრს გამოთქვამდა, გამოგვიტყდა: ეს აზრი უმეცარია და შეიძლება შემცდარიცო. ჩვენ ეჭვიც არ შეგვიტანია, რომ ამ მანდილოსანს ქართული ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ რადგანაც თვითონვე აცხადებს: არ დაიჯეროთ, უმეცრებას ვამბობ და შეიძლება შეცდომასაცო, რა უფლება გვაქვს არ დავეთანხმოთ, რომ ის „უმეცრებას აღიარებს და შეიძლება შემცდარ აზრსაც“?! მაგრამ, კერძოდ მე შემდეგი გარემოება მაკვირვებს: დალოცვილი მანდილოსანი თუკი თვითონვე გრძნობდა, რომ „უმეცარი და შეიძლება შემცდარი აზრიც უნდა წარმოეთქვა, ვინ ატანდა ძალას, რაღაზე გვეუბნებოდა, — თავის უმეცარ და შემცდარ აზრს თავისთვისვე შევინახავდი! მაგრამ უკაცრავად, — ჩვენ კი არ გვითხრა, არამედ ბ. კიტას, და ბ. კიტას სურვილს ხომ მასზე, მისივე აღსარებით, ასეთი გავლენა ჰქონია, რომ ათასგვარ უაზრობას წარმოათქმევინებს, ხოლო როდესაც ბ. კიტა აბაშიძე ამ უაზრობას სხვადასხვა რეკომენდაციებით „ცნობის ფურცლებში“ ასაღებს ნისიად, ესეც ხომ მანდილოსნის ბრალი არ არის! ამ მანდილოსნის

აზრით, ჩვენი ლიტერატურა მეტად ღარიბია, მეტად ინტერესს მოკლებულია, ცხოვრებას ჩამორჩა და ახლა მხოლოდ ისტორიულსა და არქეოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს. ასეთი კატეგორიული აზრი რომ წარმოთქვა ადამიანმა რომელიმე საგნის შესახებ, ამ საგანს ძალიან კარგად უნდა იცნობდე. ეს მანდილოსანი კი, თავისივე აღსარებით, ჩვენს ლიტერატურას სრულებით ვერ იცნობს, მაშ, ვინ აუწყა მისი სიღარიბე, ჩამორჩენა და სხვა და სხვა? ყოველივე ეს მას ლიტერატურის შესწავლით უნდა ამოეკითხა, მას კი ლიტერატურა არ შეუსწავლია. მაშ რაღად თქვა? ბ. კიტას სურვილი აღასრულა! ვთქვათ, ჩვენი ლიტერატურა მართლაც ვერ აკმაყოფილებს ამ მანდილოსნის აზრს. ნუთუ ეს უფლებას აძლევს მას, არ შეისწავლოს ეს ლიტერატურა და არათუ არ შეისწავლოს, სამშობლო ლიტერატურის უცოდინარობით თავიც მოჰქონდეს?! მე მგონია, არა. ყოველგან და ყოველისფერში მარტო სარგებლობით ხელმძღვანელობა იგივე პირუტყვობაა. ასეთი მოტივით მხოლოდ პირუტყვი ხელმძღვანელობდა უძველეს დროს, მაგრამ დღეს ისიც აღარ ხელმძღვანელობს ამ საზომით ყოველგვარ შემთხვევაში და ასეთი აზრი, მით უმეტეს, ადამიანს არ მიეტევება. რასაკვირველია, ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს, თავი პირუტყვს დაადაროს, მაგრამ თავმოსაწონი აქ არაფერია. სამშობლო ლიტერატურა კიდეც რომ არ აკმაყოფილებდეს ადამიანს, მაინც მოვალეა, როგორც ადამიანი, შეისწავლოს ეს ლიტერატურა, შეისწავლოს თავისი ერის ცხოვრება და საჭიროებანი მისთვის, რომ თავის საზოგადოებას რაიმე მხრივ დახმარება აღმოუჩინოს. ხალხის კულტურულ სიმდიდრეზე დამოკიდებულია მისი ლიტერატურის სიმდიდრეც, ამიტომ ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა შეუწყოს თავისი ერის კულტურულ წინმსვლელობას, რაც, თავის მხრივ, ლიტერატურის წინმსვლელობასაც გამოიწვევს. ამისათვის კი საჭიროა ერის ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა, თუნდა ეს ცხოვრება სრულებითაც არ აკმაყოფილებდეს ადამიანის გონებრივ მოთხოვნილებას. ეს მანდილოსანი თვითონაც გრძნობს, რომ „როგორც ქართველმა დედამ, მან ყველაზე უფრო უნდა იცოდეს ქართული აზრისა და ენის ისტორია და ნიმუშები". ყოველი დედა ვალდებულია, შვილები აღზარდოს საზოგადოების სასარგებლო წევრებად; ამისათვის კი საჭიროა, რომ უმალ ის იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო; ამ უკანასკნელისათვის კი საჭიროა ცოდნა იმ საზოგადოების ცხოვრების გონებრივი მდგომარეობისა და საჭიროების, რომელშიაც ცხოვრობ; ამიტომ სრულებით უაზროა მანდილოსნის სიტყვები: ქართული ლიტერატურის შესწავლის სურვილი არა მაქვს, რადგანაც მას არ შეუძლია ჩემი აზრის დაკმაყოფილე-

ბაო. მანდილოსანი გულამღვრეული იხსენიებს იმ ქართველ ოჯახებს, რომლებიც გადაგვარების გზას ადგანან, მაგრამ თავის გულშიც რომ ჩაეხედნა, ენაზე იკბენდა და, თუ სხვაზე გული ემღვრეოდა, უმალ თავის თავზე აემღვრეოდა. თუ ქ-ნი მანდილოსანი ჩვენს ოჯახებს ეკითხება: სადღაა ქართველიო, მე კი მისი წერილისა და ბ-ნი კიტას შენიშვნების წაკითხვის შემდეგ ძალაუნებურად დავეკითხე ჩემს თავს: ნუთუ ეს არის ჩვენი ქართველი დედა, ნუთუ მართლა ასეთია ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, რომელმაც ქართველ ერს, ბ-ნი კიტას სიტყვით, წინამძღოლობა უნდა გაუწიოს? არა და არა, ეს არის მხოლოდ მეტი ხორცი ჩვენი ერისა. ასეთი პირნი არ შეადგენენ ჩვენს ინტელიგენციას. ინტელიგენტებს მე ვუწოდებ იმ პირთ, რომლებიც გონებრივად ხალხზე მაღლა დგანან, ხალხის სულსა და გულს იცნობენ და მისთვის ზრუნავენ და არა იმ პირთ, რომლებიც ხალხის გულსა და გონებას არ იცნობენ, არც სურვილი აქვთ გაიცნონ და რომლებსაც, ამის მიუხედავად ბ. აბაშიძე ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს უწოდებს. ნუთუ ესეც დაბრმავება არ არის? ნუთუ ესეც პირუთვნელი აზრია, მეგობრის კავშირით ამაღლებული და განსპეტაკებული? მანდილოსნის აზრით, ჩვენს ლიტერატურას მხოლოდ სიკვდილი მოელის. მაგრამ მეორე სვეტზევე გვიცხადებს: ძალად ვიკლავთ თავს, ძალად ვცდილობთ დამბლა დაგვეცესო. აქ ულოგიკობამ სწორედ საზღვარს გადააჭარბა: თუ ჩვენს ლიტერატურას მხოლოდ სიკვდილი მოელის და მას ცოტათი დღეს უგრძელებს ქართველი ლიტერატორი, რა შუაშია აქ ძალად სიკვდილი, ძალად დამბლის დაცემა და სხვა? ჩვენი ოჯახი გადაგვარების გზას ადგას. ლიტერატურას სიკვდილი მოელის. ამისთანა დროსა, გვარიგებს მანდილოსანი, აპათია და გულგრილობა არც გასაგებია, არც მოსათმენიაო. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო, სწორედ ამაზედ არის ნათქვამი. თუ ეს სწამს ქ-ნ მანდილოსანს და ამის თქმასაც ბ. კიტას სურვილის აღსრულება არ აიძულებს, თვითონ რაღად მისცემია გულგრილობასა და აპათიას, თვითონ რატომ არ სწავლობს ჩვენს ლიტერატურას, თვითონ რად არის ისეთი ქართველი დედა, როგორებსაც თვითონვე გულამღვრეული უკიჟინებს? ამ მანდილოსანს, გავახსენებთ ქართულ ანდაზას: კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერებდაო, და მოვახსენებთ: სხვა რომ დაარიგა და ურჩია აპათიისა და გულგრილობის უკუგდება, ახლა თავისი თავიც დაარიგოს, შეისწავლოს ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურა და, თუ მაინცდამაინც არ სურს, საგნის შეუსწავლელად, მარტო სხვისი სურვილის ასასრულებლად, მსჯელობას თავი დაანებოს. თორემ ასეთი თავისმართლება: უმეცარ და შემცდარ აზრს

ვამბობო, მაგრამ იმიტომ, რომ თქვენი სურვილი ავასრულოო, ვერაფერი თავისმართლებაა, რაზედაც თვით ბ-ნი კიტაც დამეთანხმება. აი, ეს გახლავთ „მრავალგზით საინტერესო" წერილი. ახლა სხვებს მივმართოთ.

•

ბ. ფანცხავამ არ იცის, რა აზრი უნდა იქონიოს. თუ არ იცი, გაჩუმდი, მაგრამ ბ. ფანცხავა არ ჩუმდება, ალბათ მასაც ძალას ატანს ბ-ნი აბაშიძის სურვილის აღსრულება. ბ-ნ ფანცხავასათვის ცხადია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს ლიტერატურას ცხოველმყოფელობა დაეტყო, მაგრამ ბოლო დროს ჩვენი მწერლობა დაკნინდა. ამის მიზეზად ბ. ფანცხავა ორ გარემოებას ასახელებს: გარეშე ლიტერატურის მეტოქეობას და ქართველობის ერთი ნაწილის მიერ მწერლობაზე გულის აცრუებას, რასაც ის გარემოება მოჰყვა, რომ ქართულ ლიტერატურას ინტელიგენტი მკითხველი აღარ ჰყავს, უმეცრებმა ლიტერატურის ასპარეზი დაიჭირეს და ნიჭიერნი და მცოდნენი კი სხვაგან ეძებენ მყუდროებას. ჩვენი დღევანდელი სიტყვაკაზმული მწერლობა რომ უფრო სუსტია, ვიდრე მესამოცდაათე წლებისა, ეს სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო სისუსტის მიზეზი სულ სხვა არის, ვიდრე ბ. ფანცხავას ჰგონია. გარეშე ლიტერატურა თუ მეტოქეობას უწევს შინაურს, ეს იმას ნიშნავს, რომ გარეული შინაურს ჯობია, უკეთეს გავლენას იქონიებს შინაურზე და ასეთ მეტოქეობას, ადრე თუ გვიან, შინაურის გაუმჯობესებაც უნდა მოჰყვეს. ეს ასე იყო და არის ყველგან და რაღა ჩვენი ლიტერატურა იქნება გამონაკლისი? თუ უნიჭოებმა ნიჭიერები განდევნეს, ეს ვერაფერი საბუთია ნიჭისა და ვეღარაფერი თავისმართლებაა. მწერლობის ასპარეზი ღია არის. მოდით, ნიჭიერებო და ილიტერატორეთ. თუ მართლა ნიჭიერები ხართ და ცოდნით აღჭურვილნი, უნიჭოებსა და უმეცრებს ადრე და ადვილად დაამარცხებთ და ჩვენი ლიტერატურაც აყვავდება. მართალია, ერთად-ერთი ის, რომ ჩვენი ლიტერატურა ლიტერატორს ვერა ჰკვებავს და ამიტომ ის იძულებულია, მთავარი ძალა ლუკმაპურის შოვნას შესწიროს ლიტერატურის გარეშე და ლიტერატურას მხოლოდ დაქანცული თავით ემსახუროს, მაგრამ ეს მიზეზი მთელი საუკუნის განმავლობაში არსებობდა და.მიუხედავად ამისა, იყო ისეთი მომენტები, როცა ლიტერატურა ჰყვაოდა. მესამოცდაათე წლებში ჩვენი ცხოვრების ერთბაშმა პროგრესმა გამოიწვია ლიტერატურის აღფრთოვანება და გაფურჩქვნა, დღეს კი ცხოვრება სხვა გზას დაადგა და ამიტომ ლიტერატურაც სხვა მიმართულებას იღებს. ახალ გზაზე ერთბაშად მტკიცედ სიარული შეუძ-

ლებელია და ამიტომ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურასაც რაღაც გაუბედაობა ეტყობა; ცხოვრება ჯერ მტკიცე კალაპოტში არ ჩამდგარა, ამიტომ ლიტერატურასაც სიმტკიცე აკლია; დროებით ხალხის ყურადღებას უფრო მატერიალური ინტერესები იზიდავენ, რაც ხელს უშლის ლიტერატურის გაფურჩქვნას, მაგრამ ყოველივე ეს ისევ მომასწავებელია ჩვენი ლიტერატურის ევოლუციისა და არა სიკვდილისა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ბ. აბაშიძესაც კი უკვირს იმ მწერალთა მოქმედება, რომლებსაც უმეცართა და უზრდელთათვის ხელში შეუტოვებიათ ჩვენი ლიტერატურა. ლიტერატურის ხსნა ადვილია თვით ბ. ფანცხავას სიტყვებით: ნიჭიერნი რომ ისევ გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, უნიჭოებს განდევნიან და აყვავდება ჩვენი ლიტერატურა! ამიტომაც არის, რომ ბ. კ. აბაშიძე დაუღალავად ებრძვის უნიჭობას, მაგრამ ერთი ხომ ყველას ვერ დაამარცხებს, იღბლად თლაფსუ ამოუდგა გვერდში და ერთი ორიოდე თლაფსუც თუ მოეშველა და ცილისწამებაც მოიშველიეს, გაიჩარხება საქმე: მწერლობის ასპარეზი ნიჭიერებს დარჩებათ და ჩვენი ლიტერატურაც განსაცდელს ასცდება!

ბ-ნი არაგვისპირელი ულოგიკობაში ქ-ნ მანდილოსანს ეჯიბრება. მაგრამ რადგანაც მისი წერილი პატარაა, ულოგიკობაც ცოტაა. მწამს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო მომავალიო, კატეგორიულად გვეუბნება ბ. არაგვისპირელი. მაგრამ მის მრწამსსაც ეს დაწყევლილი წერტილები ღუპავს; წერტილების შემდეგ „რწმენა, იმედი და სასოება სადღაც უჩინრად იბუნდებიან და მხოლოდ ცეცხლის ალიღა ღაღადებს მის თვალწინ". სწორედ ლამაზად დააბოლავა; თუმცა ეს ბოლო თავს სრულიად ეწინააღმდეგება. მაგრამ რა ვუყოთ: წერტილების შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია! მაგრამ ეს ცეცხლის ალი და მისი ღადღადი რაღა საჭირო იყო. ვერ გავიგეთ, თუმცა „დედა-ენაზე" აღვიზარდეთ. წერტილების შემდეგ თუ იმედი ცეცხლის ალად იქცა, წერტილებამდე ხომ იმედი იმედივე იყო! მაშ, რაზე ამყარებდა ამ იმედს ავტორი? ქართველი ერის წარსული ღვაწლის შესწავლაზე, რის შემდეგაც ქართული ლიტერატურა დაიწყებს დიდის ნაკადულით ჩქეფას. ესეც ახალი თეორია: თუ გინდათ, რომ ჩვენი ლიტერატურა აყვავდეს, წარსული შეისწავლეთ ყველამ! წარსულის შესწავლა და საფუძვლიანი შესწავლა რომ ყველასათვის სავალდებულოა, ამაში ეჭვიც არა გვაქვს, მაგრამ წარსულის შესწავლა რომ ვერ ააჩქარებს დიდის ნაკადულით ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას, ამაში მე დარწმუნებული ვარ. ბ-ნი არაგვისპირელი ჩვენს დღევანდელ მწერლებში ერთი საუკეთესო ბელეტრისტია,

წარსულის შესწავლა ან შეუსწავლელობა აჩნია მის ეტიუდებს? ჩვენ ამას ვერა ვხედავთ და შეიძლება სხვა ხედავდეს.

ბ-ნ ცაგარელის აზრით, ჩვენი ლიტერატურის განვითარება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თვალსაჩინოა, მაგრამ დღეს კი მას ერთი სენი შეჰპარვია — ენის უცოდინრობა, რომელიც მას სიკვდილს უქადის. როდესაც გრიგოლ ორბელიანი აკაკის ლექსებს კითხულობდა, გულამღვრეული გაიძახოდა: წმიდა ტაძარს (ე. ი. ჩვენს ლიტერატურულ ენას) ჩირქი წაეცხოო. დღეს კი ქართველი მკითხველი ამბობს: წმიდა ტაძარი აკაკის ენაა და არა გრ. ორბელიანისაო. ცოტა არ იყოს, გრიგოლ ორბელიანის შეცდომას იმეორებს ბ. ცაგარელიც. ცხოვრება განვითარდა; ახალი მცნებები, რომლებსაც ჩვენი ძველები არ საჭიროებდნენ, საჭირონი შეიქნენ. ახალი მცნებების გამოსახატავად საჭიროა ახალი სიტყვები, ან ძველი სიტყვების ახალი კომბინაცია ახალი აზრის გამოსახატავად და ამან ნელა-ნელა გამოიწვია ჩვენს დროში ენის ცვლილებაც. პირველ ხანებში თუ გაფართოებული ენა კოჭლობს, შემცდარ ფორმებს ჰკიდებს ხელს, თანდათან გასწორდება და გაიწმინდება. რაც შეეხება ბ-ნ ცაგარლის გოდებას, რომ ჩვენს ოჯახებში ქართული ენა არა ჰყვავის და ენის დაცვა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა, ხოლო ენის სიწმინდე ლიტერატურის სიმაღლეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს: ენა სამოსელია ლიტერატურისა და არა თვით ლიტერატურა, კარგი ლიტერატურული ენა თავისთავად კი არ არის კარგი, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ენა აზრის გაგებას უადვილებს ყველას. აზრს ყველას კუთვნილებად ხდის. ენა უნდა სასტიკად დავიცვათ, მაგრამ ეს არ ააყვავებს ჩვენს ლიტერატურას, როგორც ბ-ნ ცაგარელს ჰგონია: თუ ლიტერატურაში აზრი არ იქნა და სახელოვნო ღირსება, მარტო ენა რას გააწყობს?

ბ. მგალობლიშვილს სწამს, რომ ჩვენს ლიტერატურას ბრწყინვალე მომავალი აქვს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და თავის მრწამსში მაინც ნაღველი გაურია. კაცია და გუნება, ხოლო საიდან ელის ბ-ნი მგალობლიშვილი ჩვენი ლიტერატურის აყვავებას? წარსულიდან!

*

ამ წერილებში საუკეთესოდ მიგვაჩნია ქ-ნ განდეგილის წერილი. ის არ უარყოფს, რომ ზოგ ეპოქაში მწერლობა უფრო ჰყვავის, ზოგში ნაკლებად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მწერლობა ნაყოფია ცხოვრებისა და ცხოვრების ცვალებადობა წარმოშობს მწერლობის ცვალებადობასაც. ჩვენი მწერლობა ჩვენს ცხოვრებას, ქ-ნ განდეგილის აზრით, კვალდაკვალ მისდევდა და აქედან ის დასკვნა გამო-

ჰყავს, რომ მომავალშიც ჩვენი ლიტერატურის წინმსვლელობას ვერაფერი შეაფერხებს.

ბ-ნ კიტა აბაშიძეს არ შეუძლია ბ-ნი ზურაბიშვილის შესახებ ენა დასძრას ისე, ერთი მხრით, არავინ გალანძღოს, მეორე ხრით: დაფნის გვირგვინი არ უძღვნას ბ. ზურაბიშვილის ბელეტრისტულ ნიჭს. აქამდის ბ. აბაშიძისაგან ვიცოდით, რომ ბ. ზურაბიშვილი ნიჭიერი ბელეტრისტი იყო. ახლა კი გავიგეთ, რომ მას „სოციოლოგიური, ესთეტიური და ფილოსოფიური“ ეტიუდები ჰქონია! მაგრამ დავანებოთ ამას თავი — დეე, ბ. აბაშიძეს სწამდეს ბ. ზურაბიშვილის ბელეტრისტული ნიჭი, — ამით ვის რა უშავდება, „ცნობის ფურცელს“ კი მასალა ემატება — ისევ ბ. ზურაბიშვილის წერილის დედააზრი განვიხილოთ. წარსული საუკუნის ქართულ ლიტერატურას ის ადარებს, ერთი მხრით, ევროპის ლიტერატურას და აღიარებს, რომ პირველი სუსტია მეორესთან შედარებით; მეორე მხრით, ადარებს ჩვენს ძველ ლიტერატურას და პირველობას აკუთვნებს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურას. ბ. ზურაბიშვილის აზრით, უმთავრესი მოტივი წარსული საუკუნის ლიტერატურისა პატრიოტული იდეა იყო. ჩვენის აზრით, ეს იდეა ასულდგმულებდა ჩვენს ლიტერატურას სამოცდაათ წლებამდე, აქედან კი ლიტერატურა ჰკარგავს ცალმხრივ ხასიათს და პატრიოტულ მოტივსაც პირველობა ერთმევა. ბ. ზურაბიშვილს ეჭვი არა აქვს, რომ ჩვენი ლიტერატურა კელავაც იცოცხლებს და გაყოველმხრივდება.

ამგვარად, ბ. კიტა აბაშიძეს ზოგმა სრულებით უაზრო წერილი მიაწოდა, სხვებმა აზრიანი, მაგრამ ნაკლებად დასაბუთებული. როდესაც ბ. ზურაბიშვილი ჩვენს ლიტერატურას ევროპის ლიტერატურას ადარებს, ასეთი შედარება ყოველთვის კარგია, მაგრამ ეს შედარება ჩვენის ლიტერატურის განვითარებისა და მომავლის შესახებ ვერაფერს გვეტყვის. შესაძლებელია, ევროპის ლიტერატურაზე ჩვენი ლიტერატურა გაცილებით დაბლა იდგეს, მაგრამ ამავე დროს ჩვენს ლიტერატურას შედარებით ბევრად სწრაფად ევლოს წარსული საუკუნის განმავლობაში ვიდრე ევროპისას და, ეს ნამდვილად ასეც იყო: თუ მეცხრამეტე საუკუნეში ევროპამ წარმოშობა დიდებული პოეტები, დიდებული პოეტები მას მეთვრამეტე საუკუნეშიც ჰყავდა, მეჩვიდმეტეშიც და სხვ. სამაგიეროდ, საქართველოში წარსულ საუკუნეში თითქმის მკვდრეთით აღსდგა ჩვენი ლიტერატურა და მერე როგორ აღსდგა? ისე ძლიერად გაშალა ფრთები, როგორც მას თამარის ეპოქის შემდეგ აღარასოდეს გაუშლია. შედარების დროს ისტორიული მხედველობა არ უნდა გვავიწყდებოდეს, რადგანაც უამისოდ ყოველი დასკვნა მცდარი იქნება.

ხელოვნება და, მაშასადამე, ლიტერატურაც ფსიქოლოგიური აქტია, ადამიანის აზროვნება კი, მისი სიღრმე-სიგანე და მიმართულება ცხოვრების ნაყოფია. ცხოვრების ცვლილებასთან ერთად იცვლება აზროვნებაც და მასთან ხელოვნება, ცხოვრების განვითარება და დაცემა იწვევს ხელოვნების განვითარება-დაცემას და ამიტომ, სანამ რომელიმე დროის ლიტერატურას შევისწავლიდეთ და ავხსნიდეთ, საჭიროა ამ დროის ცხოვრების ახსნა; სანამ გავიგებდეთ, რა გზას ადგას ლიტერატურა, უმალ საჭიროა გავიგოთ, რა გზას ადგას თვით ცხოვრება—წინმსვლელობისას, თუ დაქვეითებისას. ზემოხსენებული წერილების ავტორებიც, იმის მაგიერ, რომ დაენახვებიათ, წინ მიდიოდა თუ უკან ჩვენი ცხოვრება, და ამით ეჩვენებინათ ჩვენი ლიტერატურის მომავალი გზაც, ზოგი გაიძახის: მწამს, აყვავდებაო; ზოგი: ვხედავ, იღუპებაო; უსაფუძვლო რწმენას კი, ათასი სანუგეშოც იყოს ის, ან უნუგეშო, არავითარი ფასი არა აქვს.

ჩვენი ლიტერატურა წარსულ საუკუნეში შეიძლება დავყოთ სამ ხანად: პირველი გრძელდება მესამოცე წლებამდე, მეორე მესამოცე წლებიდან ოთხმოცდაათ წლებამდე, მესამის ასპარეზი ჯერ მხოლოდ რამდენიმე წელიწადია, მაშინ, როდესაც პირველი ორი ხანის ლიტერატურა მკაფიო და გარკვეული ხასიათის არის, მესამე ხანის ლიტერატურა რაღაც ყოყმანშია, გამოურკვეველია. ძველი მას მოსწყინდა, ახალს ეძებს, მაგრამ რა არის ეს ახალი, ჯერ, როგორც მწერლისათვის, ისე მკითხველისათვის, ბურუსით არის მოცული.

წარსული საუკუნის დასაწყისიდან ქართველობა განიყოფებოდა ორ დიდ ნაწილად: თავადაზნაურობად და გლეხობად. პირველი წარმოადგენდა ბატონს, რომელსაც შრომა სათაკილო ხელობად მიაჩნდა, მეორე კი ყმას, რომლისთვისაც ბედს დაუწესებია: ოფლითა შენითა ჯერ სხვები არჩინე, შემდეგ შენი თავიო. ჩვენ აღარ გამოვაცალკავეთ სასულიერო წოდება, რადგანაც ის თითქმის იმგვარსავე ბატონს წარმოადგენდა, როგორც თავადაზნაურობა. მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე მთელი პოლიტიკური ძალა თავად-აზნაურობის ხელში იყო, გლეხი კი ამ ძალას მოკლებული იყო; ის ომის დროს წარმოადგენდა თოფის ლუკმას, მშვიდობიანობის დროს კი ბატონის ლუკმას და აი, ამით განისაზღვრებოდა მთელი მისი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა. რას აკეთებდა თავადაზნაურობა მშვიდობიანობის დროს? ის ცხოვრობდა ნიადაგ სოფელში, სოფლად წესრიგს იცავდა, მოსამართლე იყო გლეხებს შორის, მაგრამ რადგანაც ყოველივე ამას ცოტა დრო უნდებოდა, თავისუფალი დრო კი მას ბევრი რჩებოდა, დანარჩენ დროს თავის სიამოვნებას ანდომებდა: ან ქეიფობდა, ან ნადირობდა. წარსულ საუკუ-

ნეში მესამოცე წლებამდე სოფელი ჩვენი ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა, სოფლად მცხოვრები თავად-აზნაურობა კი უდარდელ და უზრუნველ წოდებას; გონებრივი კითხვები მას არ აინტერესებდა, შინ ყოველისფერი მზად ჰქონდა, ამიტომ მისი ერთადერთი მიზანი მხოლოდ პირუტყვული სიამოვნება იყო. მეცხრამეტე საუკუნეში ამ უდარდელმა წოდებამ პოლიტიკური მნიშვნელობა დაჰკარგა; მას არათუ საგარეო საქმეში არაფერს კითხავდნენ, შინაურ საქმეებშიაც კი აღარ ურევდნენ. თუ სოფელში წინათ მარტო ის იყო ბატონი, ახლა მას მეორე ბატონი ამოუდგა გვერდში, რუსის მოხელე, ხშირად უფრო ძლიერი და გავლენიანი, ვიდრე პირველი. ამ გარემოებას ჩვენი არისტოკრატიისათვის ორი შედეგი მოჰყვა: პირველი ის, რომ მისი თავმოყვარეობა შეილახა, მეორე ის, რომ სოფელში ძველი ძალა და მნიშვნელობა დაჰკარგა და ამან, რასაკვირველია, მატერიალური ზარალიც მოუტანა. ამ დღიდან უდარდელ და უზრუნველ წოდებას დარდი შეეპარა და ეს დარდი მოსვენებას არ აძლევდა...

•

ამ მხრივ საყურადღებოა თავადების შეთქმულებისა და გლეხების ამბოხების ერთმანეთთან შედარება, როდესაც არისტოკრატიამ ოცდაათ წლებში შეთქმულება მოაწყო, მისი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური აღდგენა ე. ი. ძველი წყობილების დაბრუნება არისტოკრატიის ხელში. გლეხები კი უკმაყოფილონი იყვნენ არა ახალი წყობილებით, არამედ რუს მოხელეთა მხეცური ბოქმედებით და მაოი ამბოხებაც უმეტეს შემთხვევაში, ამ მოხელეთა უკანონობითა და სისასტიკით იყო გამოწვეული. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ გლეხობამ სხვა თვალით შეხედა საქართველოს პოლიტიკურ სიკვდილს, არისტოკრატიამ სხვა თვალით; არისტოკრატია უფრო იგლოვდა მას, ვიდრე გლეხობა, და ამის მიზეზი მათი ინტერესების სხვადასხვაობაში იყო: გლეხობას თვალსაჩინოდ იმდენი არა დაუკარგავს რა პოლიტიკური ცვლილებისა გამო, რამდენიც თავადობამ დაჰკარგა და ამიტომაც პირველის გლოვა გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე მეორისა[1]. ჩვენ თუ ვამბობთ: პატრიოტული პოეზია ჩვენში კლასობრივმა ინტერესებმა წარმოშობეს-მეთქი, აქედან ის

---

[1] პრინციპიალურად ნაციონალურ იდეას ჩვენ სრულებითაც არ უარვყოფთ, მაგრამ იმ ხანაში, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, ეს იდეა თავს ვერ იჩენდა მთელ ხალხში ზემოხსენებული მიზეზების გამო.

დასკვნა არ გამოდის, ვითომ ყოველი პატრიოტი მწერალი კლასობრივი ინტერესების მეტს ვერას ხედავდა. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა იმათ გულწრფელად უყვარდათ თავისი სამშობლო და ვერცა ხედავდნენ კლასობრივი ინტერესების გავლენას თავის პოეზიაზე. მაგრამ ცხოვრებაში ყოველთვის ასე ხდება: კლასობრივი ფსიქოლოგია იმდენად იმორჩილებს ადამიანის აზროვნებას, რომ ერთი რომელიმე კლასის ინტერესები მას მთელი ერისა და ხშირად მთელი კაცობრიობის ინტერესებად მიაჩნია. წარსული საუკუნის პოეტთა შორის ჩვენ გვყავს ერთი, რომელიც სრულიად აცდა კლასობრივი ინტერესების ზეგავლენას, მიუხედავად იმისა, რომ ისიც არისტოკრატის წრეს ეკუთვნოდა და ამ წრის ზეგავლენით აღიზარდა; ეს იყო ნ. ბარათაშვილი. ეს პოეტი დღემდის გამოუცნობელი პირია და. ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩება ის ასე გამოუცნობლად. თავადობის გლოვას ნ. ბარათაშვილი არ გაუტაცნია; საქართველოს პოლიტიკურ სიკვდილში ის ხედავდა აუცილებელ მოვლენას, რომელსაც წელში უნდა გაემართა გონებრივად დაბეჩავებული და მტრისაგან დაჩაგრული ქართველობა. ნ. ბარათაშვილს ჰქონდა საკუთარი სევდა, რომელიც იმ დროს მხოლოდ მისი იყო, რომელიც მარტო მას უღრღნიდა გულს, მხოლოდ მას უკარგავდა მოსვენებას. ეს სევდა იქიდან წარმოსდგა, რომ ნ. ბარათაშვილი ერთობ ადრე დაიბადა; ის მთელი საუკუნით მაღლა იდგა მაშინდელ საზოგადოებაზე; მისი მისწრაფება, მისი სულისკვეთება არავის ესმოდა, მის წყურვილს მოქმედებისას არავითარი ასპარეზი არა ჰქონდა, — ამიტომაც ის მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სულიერ ობლობას გრძნობდა, — გრძნობდა, რომ რამდენიც უნდა ეცოცხლა, მაინც ობოლი იქნებოდა, და ეს გრძნობა იყო დაუშრეტელი წყარო იმ სევდისა, რომელიც ასე ხიბლავს მკითხველს მის პოეზიაში.

მესამოცე წლებამდე ჩვენი პოეზია გამომხატველი იყო უმთავრესად პოეტის ინდივიდუალური აზრისა და მისწრაფებისა. პოეტის პიროვნება, მისი საკუთარი ნება, — აი, რა გამოსჭვივის მთელს მაშინდელს პოეზიაში. ამიტომ ჩვენი პოეზიის მიმართულება მესამოცე წლებამდე იყო — რომანტიკული, — პოეზიის უმთავრესი დარგი ინდივიდუალური ანუ სუბიექტური ლირიკა. როგორც სხვა მიმართულება, ისე რომანტიზმი ჩვენში ისე სავსებით არ გაფურჩქვნილა, როგორც დასავლეთ ევროპაში. რომანტიზმის თვისებათა შორის არის ერთი, — კერძო, საკუთარ გრძნობათა ხატვა. ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამ მარტო ეს ერთი თვისება განივითარა. მესამოცე წლებიდან ჩვენი პოეზია ნელ-ნელა იწყებს ახალ

ვზას და ეს ახალი გზა თუ ნათლად გამოსჭვივის პოეზიის მიმართულებაში, იმდენადვე ნათლად არა ჩანს მის შინაარსში. მესამოცე წლებიდან დღევანდელ დრომდე ჩვენი პოეზია იყოფა ორ ხანად, რომელთაგან პირველი ხანა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: პირველი ნაწილი გრძელდება ოთხმოც წლებამდე, მეორე — ოთხმოცდან ჩვენს დრომდე, ხოლო ჩვენს დროში თავი იჩინა პოეზიის ახალმა სიიმ — დადგა ახალი ხანა ჩვენი პოეზიისა. რამ გამოიწვია ცვლილება ჩვენს პოეზიაში? მხოლოდ ცხოვრების შეცვლამ. მესამოცე წლებში ჩვენი ცხოვრების წყობილებას საფუძველი გამოეცალა, თუ აქამდე ცხოვრების სახე ყველასათვის აშკარა იყო და ადვილად გასარჩევი, თავადს თავისი განსაზღვრული ალაგი ეჭირა ცხოვრებაში, აზნაურს — თავისი და გლეხს თავისი, ყოველივე ეს მოიშალა, ცხოვრების გარკვეული სახე წაიშალა და მის ალაგას ვერავინ ველარაფერს არჩევდა. თავისი განსაზღვრული ალაგი ყველამ დაჰკარგა ცხოვრებაში, მოწინავე პირები ხედავდნენ, საითკენ წავიდოდა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ თვითონ ხალხი ამას ვერ ხედავდა; მოწინავე პირები მიუთითებდნენ ხალხს ახალი მრეწველობისა, ვაჭრობისა და სწავლა-განათლების გზაზე, მაგრამ ხალხი ჯერ ვერ დადგომოდა ამ გზას. ასეთმა გაურკვეველმა ხანამ გასტანა სამოცდაათ წლამდე და მან თავისი კვალი ჩვენს პოეზიასაც დააჩნია. იქაოდა გლეხობა გათავისუფლდაო, ჩვენმა პოეტებმა იფიქრეს: აწი საქართველოში საერთო ბედნიერება დამყარდება, ოღონდ ყველას გზა ვუჩვენოთო. თანამედროვე ცხოვრების გარკვევას პოეზიამ თავი დაანება და დაუბრუნდა ისევ წარსულს ან მიაქცია ყურადღება ზოგად კითხვებს. შინაარსის მხრივ ამ დროიდამ ჩვენმა ლიტერატურამ ერთი ცვლილება შემოიტანა: გლეხი, რომელიც აქამდე პოეზიის ყურადღებას არ იზიდავდა, პოეზიის კანონიერ მოქალაქედ იქცა. იდეალური სახით გლეხი პირველად წარსდგა მკითხველის წინაშე ილ. ჭავჭავაძის პოეზიაში. ახალი ლიტერატურა მაშინვე რეალურ გზას გაბედვით დაადგა და ამ დღიდან რეალისტური და რომანტიკული მიმართულება თანაბრად მოდიან ერთად ოთხმოც წლებამდე. ოთხმოც წლებიდან კი რომანტიკული მიმართულება თანდათან ილულება და ჰქრება, რეალისტური კი თანდათან იფურჩქნება. თუ პირველ ხანებში რეალისტური მიმართულება არ იყო მკაფიო და გაბედული, მას ერია რომანტიკული ელემენტებიც; ოთხმოციან წლებიდან რეალისტური მიმართულება იწმინდება ამ ელემენტებისაგან და მკაფიო გზს ადგება. რეალისტური მიმართულება ჩვენში მესამოცე წლებზე ადრე გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ მესამოცე წლებიდან იწყო განვითარება; იმის მამამთავრად უნდა ჩაითვალოს ჭონქაძე, „სურამის ციხის“

ავტორი. მესამოცე წლებიდან პოეზიის მეთაურნი გახდნენ აკაკი წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე. სხვა ცვლილებათა შორის, ამ პოეტებმა ერთი შესამჩნევი ცვლილება შემოიტანეს: მათ შექმნეს ნამდვილი მარტივი ლიტერატურული ენა და ამით პოეზია გასაგები გახადეს ყოველი მკითხველისათვის. მანამდე ლიტერატურული ენა წარმოადგენდა უმთავრესად ანტონ კათალიკოსის ენას; ახალი ენის შექმნაში ყველაზე მეტი სამსახური მიუძღვით ი. ჭავჭავაძეს და ა. წერეთელს.

როგორც უკვე ვთქვით, გამორკვეულმა ცხოვრებამ მესამოცე წლიდან გამოურკვეველი სახე მიიღო და პოეზიამ ვერ მოჰფინა მას ნათელი, ვერ გამოარკვია მისი სახე. ამ მხრივ ერთადერთი მშრომელი იყო ჩვენი ჟურნალისტიკა, რომლის სათავეში იდგენ გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი, ესენი კარგად იცნობდნენ ევროპის ცხოვრებას, მათი იდეალი დასავლეთი ევროპა იყო და თავის პუბლიცისტურ ნაწერებში დაუღალავად მიუთითებდნენ ჩვენს ერს იქითკენ. მათ მალე შეიგნეს თანამედროვე ცხოვრების მიდრეკილება; მათი ქადაგება ზედგამოჭრით შეეფერებოდა დროს, რა სახესაც ღებულობდა ჩვენი ცხოვრება, ყველაზე უმალ მათ შეამჩნიეს და ახალი ცხოვრების სახე ყველაზე უმალ გ. წერეთელმა გადაიტანა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში; ერთი მხრით, მან დაგვიხატა ჩვენი ერის იმ ნაწილის მდგომარეობა, რომელიც ძველ გზას შერჩენოდა, ბეორე მხრით, წარმოგვიდგინა იმ ნაწილის სურათი, რომელიც ახალ გზაზე გამოსულიყო, და ამით გვიჩვენა, საით მიდიოდა ჩვენი ცხოვრება და რა ნაბიჯი გადაედგა ახალს გზაზე. აქედან, ე. ი. ოთხმოცი წლებიდან, ჩვენი ლიტერატურა დაადგა გარკვეულ გზას როგორც მიმართულებით, ისე შინაარსით: რეალიზმი შეიქმნა მთავარ მიმართულებად, თანამედროვე ცხოვრება და თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგია—შინაარსის მთავარ საფუძვლად. ამ გზიდან არ გადაუხვევია ჩვენს პოეზიას დღევანდლამდე. ხოლო მასში გამოირკვა ორი შემდეგი თვისება: მაშინ, როდესაც მწერლობის ერთმა ნაწილმა ვიწრო ფარგლებში მოიმწყვდია თავი და იდეალურად ხატვა დაუწყო გლეხსა და მის ცხოვრებას, მეორე ნაწილმა მთელი ჩვენი ცხოვრება გაიხადა თავის საგნად და მიუდგომელი ხატვა — მიზნად.

თუ რომანტიკული მიმართულება მხოლოდ სუბიექტურ ლირიკაში იხატებოდა, რეალიზმმა ეს ლირიკა საზოგადოებრივ და ობიექტურ ლირიკად გახადა, ეს ლირიკა მძლავრად გაიშალა, მასთან ერთად გაიფურჩქნა ბელეტრისტული ფორმაც სიტყვაკაზმული მწერლობისა და ჩვენი ლიტერატურა, როგორც შინაარსით, ისე ფორმითა და მიმართულებით გართულდა.

რად მიიღო ჩვენმა ლიტერატურამ გარკვეული სახე როგორც

მიმართულებით, ისე შინაარსით, მხოლოდ მეოთხმოცე წლებში? იმიტომ, რომ მეოთხმოცე წლებიდან გამოირკვა თვით ჩვენი ცხოვრების სახეც: წოდებრივი საზღვრები წაიშალა; თუ გლეხი აქამდის მარტო მიწის მუშა იყო, ის ახლა ახალ გზაზე გამოვიდა: ერთი ხელი ვაჭრობასა და მრეწველობას ჩასჭიდა, მეორე განათლებას. თავადებამაც შეიგნო, რომ ძველებურად ცხოვრება მას აღარ არგოდა და ნელ-ნელა დაიძრა ლუარსაბის ტახტიდან. ძველი გზიდან გადაგდებული ცხოვრება მეოთხმოცე წლებიდან მტკიცედ დაადგა ახალს, ევროპული ცხოვრების გზას და ამან ჩვენი ლიტერატურაც გამორკვეულ გზაზე გამოიყვანა. რეალისტურმა მიმართულებამ უკანასკნელ ათ წლებში გამოიღო ერთი შტო — ფსიქოლოგიური, რომელიც თანდათან ვრცელდება ჩვენს ლიტერატურაში; მას გვერდში ამოუდგა სოციალური ლირიკა. ბოლო წლებში ჩვენს ლიტერატურას ყოყმანი დაეტყო, ძველი მოსწყინდა, მობეზრდა, ახალის ძებნაშია, მაგრამ ეს ახალი ჯერ გამოურკვეველია. როგორი იქნება ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა მომავალში? ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლად ვითარდება და ეს გამოიწვევს ლიტერატურის განვითარებასაც, ხოლო მასში უმთავრეს ალაგს დაიჭერს ფსიქოლოგიური მიმართულება და საზოგადოებრივი ლირიკა. ამასვე გვიმტკიცებს ჩვენ ეკროპის დღევანდელი ლიტერატურა. შექსპირის „ჰამლეტი", ევროპის დღევანდელ ახალ თაობასთან შედარებით, ბედნიერი და გულმაგარი ახალგაზრდაა. მას თუ აწუხებდა თვითკრიტიკა, უიმედობა, გაუბედაობა და დაუსრულებელი ყოყმანი, დღევანდელი ახალთაობა ყველა ამ სენმა დატანჯა და მოთელა: მან ყველაფერი დაჰკარგა: წარსულიდან აღარაფერი სწამს, მომავალში არაფერს ელის, აწმყო არ აკმაყოფილებს და ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ერთი ნაწილი თავისსავე გულს ასკდება, მეორე .კი გაფაციცებით ეძებს ახალ მსოფლიო შეხედულებას, რომ მით გულგამაგრებულმა იმედისა და ნუგეშის შუქი შეიტანოს თავის ცხოვრებაში და სულ მჩვარად არ იქცეს. ამიტომ დღევანდელი ადამიანის ფსიქოლოგია ფრიად საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ ამგვარი მოვლენა შემთხვევითი კი არ არის, ის თითქმის ყოველ საუკუნეში მეორდება და ყოველთვის ძველის უვარგისობისა და ახალის მოახლოვების მომასწავებელია. ამგვარი „ურწმუნოების" ნიშნებმა ჩვენშიაც იჩინა თავი და ადრე თუ გვიან ეს პოეზიის სრულ კუთვნილებად გახდება, ჩვენი ცხოვრების ნივთიერი პირობები იცვლება და ასეთი ცვლილების ხატვა იმგვარი მწერლობის საქმეა, როგორიც არიან ბ-ნი კლდიაშვილი და ან. ერისთავისა. ცხოვრების ნივთიერი პირობების შეცვლას თან მოსდევს ადამიანის ფსიქოლოგიის, ანუ ცხოვრების სული-

ერი მხარის შეცვლაც და ასეთი ცვლილების ხატვა იმგვარი მწერლების საქმეა, როგორიც არიან ბ-ნი არაგვისპირელი, დეკანოზიშვილი და ევდოშვილი.

ამგვარად, ჩვენმა ლიტერატურამ წარსული საუკუნე დაიწყო რომანტიზმით, შემდეგ გადავიდა რეალიზმზე და ის საუკუნე ფსიქოლოგიური მიმართულებითა და საზოგადოებრივი ლირიკით დაბოლოვდა. რომანტიკული პოეზია განიყოფება ორ ნაწილად: სუფრულ პოეზიად და პატრიოტულ პოეზიად. რეალური პოეზიაც ორ ნაწილად განიყოფება: პირველი მომხრეა იდეალიზაციისა ტიპებისა და ცხოვრების ხატვაში, მეორე წინააღმდეგი. რეალიზმი მეოთხმოცე წლებამდე გაურკვეველ გზას ადგა, ოთხმოცი წლებიდან ის გარკვეულ გზას დაადგა; უკანასკნელ წლებში ჩვენს პოეზიას ახალი ხანა დაუდგა. ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა წარსული საუკუნის განმავლობაში თანდათან გაფართოვდა ყოველი მხრით. ლიტერატურულმა ენამაც ევოლუცია განიცადა და ანტონ კათალიკოსის გაუგებარი და ძველი ენა აკაკი წერეთლის მარტივმა და მსუბუქმა ენამ შესცვალა.

1901 წ.

ქართული საერო პოეზია

1. რაფიელ ერისთავი

სანამ ამ წერილის საგანს შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია განმარტება, თუ რას ვუწოდებ და როგორ მესმის საერო პოეზია. როდესაც რ. ერისთავს, ალ. ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას დანარჩენ ჩვენ მწერლებს შეადარებთ, მათ შორის, ეჭვს გარეშეა, მსგავსებას ჰპოებთ, მაგრამ ამავე დროს განსხვავებაც დიდია და ამ განსხვავების მიხედვით შეგვიძლია, ჩვენი მწერლები ორ ჯგუფად გავყოთ, მიუხედავად იმისა, რომანტიკული მიმართულების იქნება თუ რეალურის ესა თუ ის მწერალი. აიღეთ, მაგალითად, ილ. ჭავჭავაძე და გ. წერეთელი. ამ ორ მწერალს შორის ის მსგავსებაა, რომ ერთიცა და მეორეც გვიხატავენ ამ გლეხის მდგომარეობას, იმ სოციალურ პირობებს, რომლებიც მას გარს არტყია, ან წარსულში ერტყა; ერთიცა და მეორეც გლეხის სევდასა და გულისნადებს უმეტეს შემთხვევაში საკუთარი შეხედულების პრიზმით ზომავენ, და არა თვით გლეხის მსოფლიო შეხედულებით. ასეთ გარემოებას შედეგად ის უკიდურესობა მოსდევს, რომ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობებში ზოგიერთი პირი თავის საკუთარ აზრსა და შეხედულებას კი არ გვატყობიებს, არამედ ავტორისას. აიღეთ ახლა რ. ერისთავი და ალ. ყაზბეგი. ერთიცა და მეორეც გლეხსა ხატავს; მათ შორის განსხვავება დიდია, მაგრამ ისინი იმ საერთო თვისებით უახლოვდებიან ერთიმეორეს, რომ უმთავრეს ყურადღებას აქცევენ თვით გლეხს, მის ზნეჩვეულებას, რწმენა-შეხედულებას, — ერთი სიტყვით, მის ფსიქოლოგიას, სოციალურ პირობებს კი თითქმის არავითარს; გლეხის გულისნადებსა და ჭირ-ვარამს საკუთარი აზროვნების პრიზმით კი არ უცქერიან, არამედ გლეხისავე შეხედულებით ზომავენ. ამ საერთო თვისებითვე განსხვავდებიან ეს უკანასკნელნი ბევრი ჩვენი მწერლისაგან. ზემომოყვანილი შედარებიდან აშკარა არის შემდეგი; ა) ერ-

თი წილი ჩვენი მწერლობისა იმდენად გლეხს არ ხატავს, რამდენადაც მის ცხოვრებას, უმთავრეს ყურადღებას სოციალურ პირობებს აქცევს, რომლებშიაც გლეხი ტრიალებს. მეორე ნაწილი ჩვენი მწერლებისა უმთავრესად გლეხს ხატავს; სოციალურ პირობებს კი რომლებშიაც ეს გლეხი ცხოვრობს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ბ) პირველი ნაწილი ჩვენი მწერლებისა გლეხის სულის მოძრაობის ხატვაში მარტო გლეხის შეხედულებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ საკუთარი რწმენა-შეხედულების ელფერს უმატებენ: მეორე ნაწილი კი მხოლოდ გლეხის სულსა და გულს გვიშლის და თავის მხრივ არას უმატებს; თუმცა ასეთი თვისება ალ. ყაზბეგს იმდენად არ ემჩნევა, როგორც რ. ერისთავს. ამ უკანასკნელი ჯგუფის მწერლებს ვუწოდებ მე საერო პოეტებს და მათს ხელოვნებას — საერო პოეზიას. შეიძლება ასეთი სახელი აღნიშნულ მცნებას რიგიანად ვერ ხატავდეს, მაგრამ მე უკეთესი ვერ გამოვნახე. მაშინ, როდესაც პირველი ჯგუფის მწერლები ჩვენში უმეტესობაა, მეორე ჯგუფს ეკუთვნიან მხოლოდ რ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა, ბაჩანა.

მე განზრახვა მაქვს, ამ მწერალთა მოღვაწეობას და მნიშვნელობის გამორკვევას ცალკე წერილები ვუძღვნა და, რა დასკვნამდისაც მივალ, ბოლო დაგვანახვებს. რ. ერისთავსა და ალ. ყაზბეგს დრამატული პოეზიის დარგშიაც შეუტანიათ თავისი წვლილი, მაგრამ ამ წერილებში მათ დრამატულ ნაწერებს მე არ შევეხები და სხვა დროს გავარჩევ.

•

1453 წელს ბიზანტიის იმპერია დაემხო. ამ გარემოებას ევროპის გონებრივ მოძრაობაზე დიდი გავლენა ჰქონდა: განათლებულმა ბერძნებმა იწყეს გადასახლება ევროპის დასავლეთ სახელმწიფოებში და ამგვარად, ნელ-ნელა გააცნეს ევროპას ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურა. ასეთ თანდათანობით გაცნობას შედეგად მოჰყვა რენესანსი ანუ ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავება და ის ცრუკლასიციზმი, რომელსაც დამონებული ჰყავდა ევროპის პოეზია მეცხრამეტე საუკუნემდე; ჩვენს დროს რომ ცრუკლასიციზმი გამეფებულიყო, არათუ შეუძლებელია, წარმოუდგენელიც არის; საშუალო საუკუნეების ევროპაში კი ასეთი მიმართულებისათვის საუცხოოდ იყო ნიადაგი მომზადებული. საშუალო საუკუნეებში ევროპაში კათოლიციზმის სრული ბატონობაა. კათოლიციზმი ყოველისფერს ღვთის ნებას უქვემდებარებდა და, რადგანაც ქვეყნად ღვთის მოადგილედ პაპი მიაჩნდა, ამიტომ კათოლიციზმი ყოველის-

ფერს პაპს უმორჩილებდა; მისი უფლება განუსაზღვრელი იყო; მის წინაშე მეფეებიც კი ძრწოდნენ. კათოლიციზმის ბატონობა ნიშნავს ინდივიდუუმის სრულ უარყოფას, თავისუფალი აზროვნების სრულ დახშობას, გონებრივი წინმსვლელობის სრულ შეჩერებას. ასეთ პირობებში მყოფი საშუალო ევროპიელი მოკლებული იყო თავისი აზრების თავისუფლად განვითარებას, თავისი რწმენა-შეხედულების თავისუფლად გამოთქმის, მეცნიერული კითხვების აშკარად, უშიშრად კვლევას, საზოგადო ცხოვრებაში თავისუფალ მოღვაწეობას და ამიტომ მას ერთი გზაღა დარჩენოდა: ან ანაფორა ჩაეცვა და დოგმატების მეოხებით დაკმაყოფილებულიყო, ან ყოველისფერი უკუეგდო, ცხოვრებისათვის ზურგი ექცია, საკუთარ სულსა და გულს დაბრუნებოდა და იქ ეძია ნუგეში მეტაფიზიკური კითხვების რკვევით. ასეთ საზოგადო ატმოსფეროში მცხოვრებმა ევროპელმა გაიცნო საბერძნეთისა და რომის შესანიშნავი ხელოვნება და ფილოსოფია; მას თითქოს თვალი აეხილა და რადგანაც გარშემო ცხოვრებაში მის სულისკვეთებას, მოქმედების წყურვილს არავითარი ნიადაგი არა ჰქონდა, ის მთელი თავისი არსებით ახალ წყაროს დაეწაფა, დაიწყო ხელოვნებისა და ფილოსოფიის შესწავლა და მათი სიდიადით აღტაცებულმა არისტოტელე მიუწვდომელ ავტორიტეტად დასახა და ძველი ხელოვნება მისაბაძ სიმშვენიერედ.[1] ევროპის მწერლებმა ნელ-ნელა ხელი მიჰყვეს მიბაძვას და ასეთმა მიბაძვამ წარმოშვა ცრუკლასიციზმი. რა არის ცრუკლასიციზმი? ცრუკლასიციზმი არის ავტორიტეტის სრული გაბატონება ხელოვნებაში, ხელოვნების მომწყვდევა ვიწრო კანონებში, ინდივიდუალურ გრძნობათა თავისუფალი გამოხატვისა და აღმაფრენის სრული შეკვეცა, ნამდვილი ცხოვრების უკუგდება, — ერთი სიტყვით, ხელოვნების განვითარების უარყოფა, მისი ერთ წერტილზე გაქვავება და სიკვდილი. საფრანგეთის რევოლუციამ ლიტერატურის განახლებაც გამოიწვია და ამ საუკუნის პირველი ნახევრის ახალგაზრდა მწერლებმა ვიქტორ ჰიუგოს ბელადობით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ცრუკლასიციზმს და კიდეც დაამარცხეს ის. ცრუკლასიციზმის ნანგრევებზე აყვავდა რომანტიზმი, რომელსაც დიდხანს მოუპოვა სრული ბატონობა ჰიუგოს გენიოსობამ. რომანტიზმი, როგორც ცრუკლასიციზმის წინააღმდეგ ამართული რევოლუცია, წარმოადგენს ავტორიტეტისა და დოგმატის უარყოფას, სრულ ინდივიდუალიზმს ლიტერა-

---

[1] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ renaissance ჯერ ხსენებაშიც არ იყო, რომ არისტოტელე ევროპის აზროვნებაზე გამეფდა. მაგრამ „აღორძინების" შემდეგ მის ფილოსოფიას ზედმეტის ინტერესით დაეწაფნენ.

ტურაში, გრძნობათა, აღმაფრენათა და ფანტაზიის სრულ თავისუფლებას, ანარქიას.

თამარის დროს აყვავებული ქართული პოეზია საშუალო საუკუნეებში თანდათან მიჭკნა, მიილია და მეცხრამეტე საუკუნეში ხელახლა იწყო გაფურჩქვნა. რაც მოეთხოვება ქართულ ნიჭს დღევანდელს ჩვენს გონებრივსა და სოციალურ პირობებში, მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი პოეზიის ერთი საუკეთესო ხანაა. ცრუკლასიციზმს ჩვენში არ უჩენია თავი, რადგანაც ერთი მხრით, მისი განვითარების დროს საქართველოში პოეზია სრულებით მიმქრალი იყო და მხოლოდ სასულიერო ლიტერატურა ბეუტავდა; ამას გარდა, მაშინდელი საქართველო ევროპას ისე ნაკლებად იცნობდა, რომ ევროპის ლიტერატურა საქართველოში გავლენას ვერ იქონიებდა. რომანტიზმმა კი ამ საუკუნეში ჩვენშიც იჩინა თავი და არათუ საკმაოდ განვითარდა, ისეთი შესანიშნავი ლირიკოსიც კი მოგვცა, როგორიც არის ბარათაშვილი. რომანტიზმი ჩვენში დამოუკიდებლად აღორძინდა და განვითარდა, ის არ ყოფილა ევროპის რომანტიზმის გავლენის ნაყოფი. ის ჩვენში გამოიწვია, ერთი მხრით, საქართველოს პოლიტიკურად სიკვდილმა და, მეორე მხრით, მაშინდელი ცხოვრების ფუქსავატობამ და არარაობამ. რ. ერისთავი დაიბადა 1824 წელს; მისმა აზროვნებამ თვალი აახილა და გაიშალა მაშინ, როდესაც ჩვენში რომანტიზმი განვითარებული იყო, როდესაც პოეზიის სათავეში ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვახ. ორბელიანები იდგნენ. თუ ცხოვრებამ გამოიწვია ჩვენში რომანტიკული პოეზია, ეჭვს გარეშეა, ამ მიმართულებას რაფიელიც ვერ უნდა ასცდენოდა. ცხოვრებასაც რომ თავი დავანებოთ, მაშინ ერთადერთი პოეზია ჩვენში რომანტიკული იყო; რაფიელის ნიჭის მიდრეკილება კიდეც რომ არ ყოფილიყო აქეთკენ, ის არ ყოფილა იმდენად ღრმა ნიჭის პატრონი, რომ დაწყებისთანავე რომანტიზმის გავლენას ასცდენოდა და თავისი საკუთარი გზა გაეკვლია. და მართლაც, რაფიელ ერისთავმა რომანტიზმით დაიწყო და რეალიზმით დააბოლოვა, როგორც ბ-ნი კიტა აბაშიძე სწერს.[1]

*

აიღო თუ არა რაფიელმა კალამი ხელში, მაშინვე შეუდგა საკუთარ, პირად გრძნობათა ხატვას. საზოგადო ცხოვრებას, საზოგადო ჭირვარამს მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია, თითქოს ეს საზოგადო ცხოვრება არც კი ყოფილიყოს. მაგრამ საკუთარი გრძნო-

---

[1] „მოამბე", 1900 წ. № VII.

ზანი მრავალგვარნი არიან და ამიტომ მარტო ამის თქმა: რაფიელმა საკუთარი გრძნობანი გაიხადა პოეზიის საგნადო, კიდევ არ არკვევს, თუ რომელი გრძნობა შესწირა პოეტმა მსხვერპლად მელპომენას საკურთხეველზე. როდესაც რაფიელმა მოღვაწეობა დაიწყო საჰწერლო ასპარეზზე, ჩვენი ცხოვრება მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენდა. საზოგადო ცხოვრების მაჯა ისე დუნედ სცემდა, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო, სიკვდილის გზას ადგა ქართველობა თუ გამობრუნებისა და განახლების გზას; საზოგადო ინტერესები თითო-ოროლა პირს თუ ასულდგმულებდა, საზოგადო საქმე, ორიოდე ადამიანის სურვილითა და მეცადინეობით გამოწვეული, ოდნავ ბეუტავდა. ასეთ პირობებში საჭირო იყო ბარათაშვილის ძლიერი და ფხიზელი ნიჭი, რომ ადამიანი საზოგადო ფეხის ხმას არ აყოლოდა, ნათლად შეეგნო მაშინდელი ცხოვრებისა და საზოგადოების სრული არარაობა და ფუქსავატობა და, თუ მისი ამაღლებისათვის არ ეზრუნა, თვითონ მაინც არ დამდაბლებულიყო, გაჰყოლოდა თავის გრძნობათა მერანს და ოცნებაში ეძია ობოლი სულის ნავთსაყუდარი და სევდიანი გულის მალამო, ან საჭირო იყო გიორგი ერისთავის ენერგია, რომ ქართველი საზოგადოება მცირეოდენ მაინც გამოეფხიზლებინა. რ. ერისთავს არც პირველი ნიჭი ჰქონდა, არც მეორის ენერგია; ბრძოლა, რაიმე მიზნისაკენ, სწორი გზით უდრეკად მიისწრაფება მის თვისებას არ შეადგენდნენ, პირიქით, მას უყვარდა „სიცოცხლე მშვიდი და მდორე", როგორც ის გვეუბნება ერთ თავის ლექსში („ღმერთო მაშორე", 164 გვ.), ამიტომ გამოსვლისთანავე ის აჰყვა საზოგადო ფეხის ხმას, პოეზია ეროტიულ გრძნობაზე აასხა და ეს არის ის უმთავრესი გრძნობა, რომლისთვისაც მის კალამს მთელი ოცი წლის განმავლობაში არ უღალატნია. ამ დროის განმავლობაში მის ლექსებში შეხვდებით პატრიოტულ ლექსებსაც, მაგრამ მათი რიცხვი პირველთან შედარებით მცირეა, ეროტიული და პატრიოტული მოტივი — აი, ორი თემა, რომელსაც არ გასცილებია რაფიელის პოეზია სამოცდაათ წლამდე... როგორც მამია გურიელი, რაფიელიც ამ დროის განმავლობაში ქალში მხოლოდ გარეგნობას ეძებს და აღტაცებული გვიცხადებს:

ვეტრფი შავსა თვალებსა, ვეტრფი სხივებრ მალებსა,

მე არ მიყვარს თვალები, თუ რომ იყვნენ მწვანენი და სხვ.

თითქოს მკითხველისათვის ძალიან საყურადღებო იყოს, შავი თვალები უფრო უყვარს პოეტს თუ მწვანენი. თუმცა მაშინდელი მკითხველისათვის ესეც საყურადღებო იქნებოდა, მაგრამ პოეტისა-

თვის არ შეადგენს ღირსებას, როდესაც ის მკითხველის დაბალ გემოვნებასა და განუვითარებელ გრძნობას გუნდრუკს უკმევს. თვალების სიყვარულს პოეტი იქამდის მიჰყავს, რომ გულდამშვიდებით მათი მზერა აღარ შეუძლია:

> რა წამს მათ დავინახავ, — როგორ არ გებრალები—
> ერეოლას ვიწყებ, მომივა მე დრო გაცვიებისა!

პირველ ხანებში პოეტის ბუნებაში სიყვარულის გრძნობის მეტი არა ყოფილა რა, მთელი მისი არსება ამ ერთ გრძნობას დამორჩილებოდა. ამის მეტი არა აგონდებოდა რა, იმის მეტი აღარაფერი ენატრებოდა. სიყვარულის მორევში ცურვა — აი, მისი იდეალი!

> წაბლის ფერსა თვალებსა, ვინც თავს ათაყვანებსა,
> სიმშვიდეს ემონება, მითვე ინეტარებსა,
> მათთან თვის საუკუნეს ტკბილად გაატარებსა, —
> მარადისღა ილოცოს სახელი ღვთაებისა!

ეთაყვანე წაბლისფერ თვალებს და ადიდე ღვთის სახელი, — გვარიანი გზა არის სამოთხის კარისაკენ!

რაკი სიყვარულის ჰანგებში რიგიანად გამოიწვრთნა პოეტი, მან გამოირკვია ჭეშმარიტი სიყვარული და ამიტომ მკითხველსაც ასწავლის:

> ოდეს ტურფას შეეყარო, ვისთვისაც გიძგერს მარად გული,
> თუ რომ გიყვარს ჭეშმარიტად, ასე უნდა სიყვარული:
> ხელი წელსა გადაჰხვიე, ვით რომ სურო ხესთან რგული,
> ისე მტკიცედ დაეკონე, ვით ფათალო ჩაწმახნული!...

> მაშინ უნდა მშვენიერსა, თვალი თვალში გაუყარო,
> თავი თავსა, თმა დალალსა, მკერდი მკერდსა დაამყარო,
> ტუჩი ტუჩსა შეაწებო, გული, სული გაახარო,
> დავიწყებას თავი მისცე, ნეტარების ცრემლი ღვარო!

გვარიანი იდეალია მსუბუქი სიყვარულისა. მაგრამ თუკი მთელ მაშინდელ არისტოკრატიას მხოლოდ ასეთი სიყვარული სწამდა და ასეთი სიყვარული მიაჩნდა პოეზიის საგნად, რაფიელის დანაშაული მარტო იმაში მდგომარეობს, რომ თავისი დროის რწმენაშეხედულებას ვალი გადაუხადა და მის გავლენას ვერ ასცდა, თუკი ჩაეთვლება ასეთი აუცილებელი ნაკლულევანება დანაშაულად გამოუცდელ მწერალს. მოატანა ბატონყმობის განთავისუფლების ხანამ. ასეთ დიად მომენტს ცხოვრებაში უსათუოდ უნდა გამოეწვია აღფრთოვანება, მაგრამ რაფიელს ერთი კრიტიკა არ დაუძრავს მის წინააღმდეგ, უბრალო სიხარულიც არ დასცდენია მისი გაუქმების

გამო, ის ისევ სიყვარულს უმღერდა, ხოლო ძველებურის აღტაცებით აღარ, არამედ ლამაზ ქალს მწუხარებით შეჩიოდა:

> რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,
> შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი.

პირველი ხანა რაფიელის მოღვაწეობაში სამოცდაათ წლამდე გრძელდება. მთელი ამ დროის განმავლობაში პოეტის ნიჭი თავის შესაფერ გზას არ ადგა; ეს ხანა ფრიად გრძელი იყო და მასთან ფრიად უნაყოფო. ამ ხნის განმავლობაში ის ხანდახან თარგმანსაც მიმართავდა ხოლმე რუსულიდან და მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი დროის რუსული ლიტერატურა ძალიან მდიდარი იყო. ამ სიმდიდრეშიც რაფიელი მხოლოდ მდარეს ეძებდა და თარგმნიდა ეროტიულ-ლექსებს ისეთი უნიჭო მწერლებისას, რომლებიც დღეს რუსეთში სრულებით დავიწყებული არიან და სახელმოხვეჭილი არც რაფიელის დროს ყოფილან — მეორე თემა რაფიელის პოეზიისა პირველი ხანის განმავლობაში პატრიოტული მოტივია. რაფიელის პატრიოტული ლექსები ბევრად ჩამოუვარდებიან როგორც გრიგოლის, ისე ვახტანგ ორბელიანის პატრიოტულ ლექსებს. მთელი ასპინძის ომი, გარდა პირველი თვისა, ფრიად სუსტ პოეზიას წარმოადგენს. იქ რაფიელს მოჰყავს ერთი ტაეპი მესტვირული ლექსიდან:

> კოხიო ბობლიაშვილი, — აქებენ: რაებს შვრებაო?
> — გამგელებულა ეს თუში, წინ ვერვინ დაუდგებაო,
> ნაკუდა ქუიძესშვილი რა კანჯარივით ხტებაო, —
> შვიდი დაკაფა ხმალდახმალ, რიგი ხანჯალზე დგებაო!..

ეს ტაეპი მესტვირული ლექსიდან საუკეთესოა მთელს „ასპინძის ომში".

ყოველი პოეტის ნამოღვაწარი კრიტიკოსისათვის აღსრულებულ ფაქტს წარმოადგენს. მისი მოვალეობაა, ობიექტურად ახსნას ეს ფაქტი, ისე, როგორც ბუნებისმეტყველი ხსნის რომელსამე ბუნებრივ მოვლენას, და დააფასოს ის ანუ მიუთითოს მკითხველს მის მნიშვნელობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წინადაც გამომითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ყოველ მწერალს ვაფასებ არა ნიჭის მიხედვით, არამედ იმდენად, რამდენადაც მის ხელოვნებაში იხატება თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი მხარენი და რამდენადაც სასარგებლოა ის თანამედროვე საზოგადოებისათვის.

1870 წლიდან მოკიდებული 1880 წლამდე რაფიელის პოეტურ მოღვაწეობაში გარდამავალ ხანას წარმოადგენს. თუმცა იგავებში რაფიელმა შესამჩნევი ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ მისი ნამდვილი ასპარეზი საერო პოეზია იყო, რომელსაც მან 80-იანი წლებიდან მიაგ-

ნო, ე. ი. მაშინ, როდესაც პოეტი ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო. ქართული პოეზიისათვის რაფიელი ოთხმოციან წლებში გაიფურჩქნა და ათი წლის განმავლობაში ისეთი ნაყოფი გამოიღო. რითაც ღირსეულად დაიმსახურა ნიჭიერი პოეტის სახელი. რა დიდი განსხვავებაა წინანდელ რაფიელსა და იმ რაფიელს შორის! როცა ერთმანეთს ადარებთ, თქვენ თვითონ არ გჯერათ, ნუთუ შესაძლებელია, რომ თავისი შესაფერი გზა ამდენ ხანს ვერ მიეგნოს ნიჭს?! როგორც ზემოთა ვთქვი, რაფიელის ნიჭმა პირველად იგავებში იჩინა თავი, და ამიტომ, სანამ მისი უკანასკნელი ათი წლის მოღვაწეობას დავახასიათებდე, მცირეოდენ სიტყვას ვუძღვნი მას, როგორც მეიგავეს. იგავების სფეროში თავისი კალამი რაფიელმა ადრე სცადა; ერთი-ორი ორიგინალური იგავი დასწერა და მიანება თავი, რადგან მას, როგორც ორიგინალურ მეიგავეს, ნიჭი არა ჰქონდა. ორიგინალობის სფეროში რომ ვერას გახდა, თარგმანს მიმართა. — 1878 წელს დაიწყო კრილოვის თარგმნა და საბა-სულხან ორბელიანის არაკების გალექსვა. გარდა ორიოდე იგავისა, კრილოვის არაკების უმეტესი წილი რაფიელს ისე საუცხოოდ აქვს თარგმნილი, რომ ზოგიერთი მათგანი თვით ორიგინალს არ ჩამოუვარდება. თუმცა ორიგინალური იგავების წერაში რაფიელმა ნიჭი ვერ გამოიჩინა. მაგრამ იგავების მარტივი თემისაკენ მის ნიჭის უეჭველი მიდრეკილება ჰქონდა, რაც შემდეგმა მისმა პოეზიამ დაამტკიცა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას რომ მაშინ, როდესაც იგავები საუცხოო თარგმანს წარმოადგენენ, „ძუნწი გმირი" რაფიელის თარგმანში პუშკინის „Скупой рыцарь"-ს ნაკლებად მოგაგონებთ.

ქართულ ენაზე კრილოვის არაკები ორმა მწერალმა თარგმნა: რაფიელმა და აკაკიმ, თუმცა აკაკი პოეტურის ნიჭით რაფიელზე მაღლა დგას, მაგრამ რაფიელის თარგმანები აკაკის თარგმანებს ჯობიან. რამდენიმე იგავი, მაგ., „მგელი და გუგული", „ორბი და გუგული", „მაიმუნი და სარკე" „ძუნწი და დედალი", აკაკის გაცილებით უკეთეს ფორმაში ჩამოუსხამს, ვიდრე რაფიელს. დანარჩენები კი რაფიელის თარგმანში უკეთესი გამოვიდნენ. ამის მიზეზი ორი გარემოებაა. აკაკის თარგმანი კრილოვის არაკების თარგმანს არ წარმოადგენს, — აკაკიმ ისესხა კრილოვისაგან მხოლოდ აზრი, ფორმა კი თავისი მისცა, ზოგან შეამოკლა, ზოგან ისეთი რამ მიუმატა, რაც ორიგინალში არ მოიპოვება; ზოგან ეს აუცილებელი იყო, როგორც მაგალითად, „ჭირვეულ თამადაში", მაგრამ უმეტესი მათგანის გადმოთარგმნა რომ შეიძლებოდა, ამას რაფიელის თარგმანები გვიმტკიცებენ. რასაკვირველია, აკაკისაც და სხვებსაც სრული უფლება აქვთ მხოლოდ აზრი ისესხონ უცხო მწერლისა, სიტყვიერი გამოხა-

ტულება კი ისეთი მისცენ, როგორიც უფრო ეადვილებათ, ან საუკეთესოდ მიაჩნიათ; მაგრამ პოეზია, სხვათა შორის, მით განირჩევა პროზისაგან, რომ აზრს გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სიტყვიერ გამოხატულებას, რომელშიაც მწერალი თავის აზრს ახვევს; ამიტომ ყოველ თარგმანში თუკი ის თარგმანია, შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს ეს სიტყვიერი გამოხატულებაც.

რაფიელის თარგმანი ამ მხრივ უნაკლოა; მასში დაცულია კრილოვის პოეზიის მუსიკალური მრავალფერობაც, რასაც აკაკის თარგმანებში ვერ შევხვდებით. აკაკიმ კრილოვის იგავების დედააზრი თავის ადვილსა და მჩქეფარე ლექსში ჩამოასხა, მაგრამ მისი იგავების ლექსი უმეტესად ერთი და იმავე წყობის არის, მუსიკალურ ერთფერობას წარმოადგენს, ეს კი, ჩემის აზრით, იგავებში ნაკლად უნდა ჩაითვალოს და არა ღირსებად. როდესაც კრილოვის არაკებს კითხულობთ, მასში გაკვირვებთ ლექსის მუსიკალური მრავალგვარობა; ეს მრავალგვარობა არათუ სხვადასხვა იგავში — ერთსა და იმავე იგავშიაც კი შეუტანია კრილოვს. ასევე მოიქცა რაფიელი. ასეთ მუსიკალურ სიმდიდრეს იგავებში შემდეგი მნიშვნელობა აქვს: იგავებში ყოველი ცხოველი ადამიანის სხვადასხვა თვისების ალეგორიაა; ადამიანის თვისება აქ ცხოველის სახით არის წარმოდგენილი და ამ თვისებას ცხოველები თავისი მოქმედებითა და სიტყვებით ხატავენ. ამიტომ სიტყვიერ ფორმას და ლექსის მუსიკას დიდი გავლენა აქვს ილუზიის სიცხოველეზე. როდესაც მაგ., მუსიკა არ შეეფერება იმ იდეას, რომელსაც ის უნდა ხატავდეს, ასეთი კომპოზიტორი სახელს ნაკლებად დაიმსახურებს; თუ მუსიკა მწუხარების იდეას უნდა ხატავდეს და მისი კომბინაცია ამ იდეას სრულებით შეეფერება, მაშინ არათუ სრული ილუზია გეძლევათ, ზოგიერთ ჭარბი გრძნობის პატრონს ცრემლიც კი მოუვა; სამაგიეროდ, თუ მუსიკა, მაგ., მაისის მშვენიერ საღამოს უნდა ხატავდეს ტყეში და ამის მაგიერ მისი კომბინაცია უფრო სევდას ჰგვრის მსმენელს, განვითარებული სმენის პატრონზე ასეთი დისჰარმონია მხოლოდ უსიამო შთაბეჭდილებას მოახდენს, გარდა იმისა, რომ მუსიკა სრულებით ვერ წარმოუდგენს მსმენელს მას, რის წარმოდგენაც უნდა, და ამგვარად, თავის მიზანს ვერ მიაღწევს. აგრეთვე, როდესაც იგავში დათვი სხარტულისა და მჩქეფარე ენით ლაპარაკობს, ბელიას სიტყვებში კი ეშმაკობისა და გაიძვერობის მაგიერ უხეირო კავალერს მოგვაგონებენ, რომელსაც ჩვეულებრივი კომპლიმენტებიც კი ულაზათოდ ამოსდის პირიდან, თქვენი ილუზია სრულებით იფანტება. ამგვარად, მუსიკალური მრავალგვარობა იგავში იცავს ჰარმონიას დედააზრსა და გარეგან ფორმას შორის, ის მეტ სიცხო-

ველეს აძლევს ილუზიას და, რომ ეს ჰარმონია უკეთ დაუცავს რაფიელ ერისთავს, ვიდრე აკაკის, ამას შემდეგი მაგალითებიც ამტკიცებენ:

მოვიდა და უთხრა მელას:
შემიბრალე, ძმაო, ვკვდები!
სახრავ ძვალსაც ვერსად ვშოვობ,
უგზო-უკვლოდ ვეხეტები.

მწყემსებს ღვიძავთ და ძაღლებიც
ისევ ჰყეფენ, ჩემი მტრები,
და შენს იქით გზა აღარ მაქვს,
შემიბრალე, გეევედრები.

მელამ უთხრა: ჩემო კარგო,
მებრალები, გული მტკივა,
აჰა, ღმერთმა მოგახმაროს
მთელი ზვინი კარგი თივა.

ასე უთარგმნია აკაკის „მგელი და მელა". იგივე ადგილი რაფიელის თარგმანში ასეთია:

ნათლიჯალაბო, არ გებრალები!.. —
მგელმა შესჩივლა მაძღარს მელასა, —
შიმშილით ვკვდები... სუყველა მგლები
ძრწიან,
დაძრწიან
ჰშიანთ ყველასა...
მწყემსებს არ სძინავს,
ძაღლები ღრინავს,
ლამის შიმშილით სული გამვარდეს!...
მიშველე რამე,
ღმერთი იწამე,
გადამარჩინე ამ საშინელს დღეს...
უცებ წამოხტა მელა ცბიერი
და მოახსენა: — ვაჰ, შენს მელიას!..
როგორ დადიხარ აგრე მშიერი? —
შიმშილი, ვიცი, ძლიერ ბნელია...
ხომ დასუსტდები!.. კუჭი აგტკივა...
აი, ნათლიავ, მიირთვი თივა...
თუნდ მთელი ძირი,
ნუღარას ჩივი, ნუღარას ტირი.

პირველ ლექსში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ აკაკის ლამაზ ლექსს, ბილამაზეს გარდა იქ არც დედანია დაცული, ილუზიაც ფრიად სუსტია; მეორე თარგმანში კი უკეთ არის დახატული, როგორც მგლის გაჭირვებული და უსაშველო მდგომარეობა, რომელიც მისთვის

შიმშილს მიუყენებია, აგრეთვე მელიას ეშმაკობა და გაიძვერობა. როდესაც მელია ან მტერზე გაიმარჯვებს, ან გაჭირვებულ მდგომარეობაში დაინახავს ვისმე, მას ხასიათად აქვს საშინელი დაცინვა; მელიას ასეთი თვისება ერთნაირად არის დაცული როგორც ყველა ხალხის ზღაპრებში, ისე არაკებში. აკაკის თარგმანში მელიას ასეთი ხასიათი სრულებით გამოტოვებულია; რაფიელის თარგმანში კი მელიას ყოველი სიტყვა დაცინვა და თანაც ნიშნისმოგებაა.

კიდევ ერთი მაგალითი აკაკის „მგელი და წეროდან“:

მაგრამ მგელმა მიუგო:
— ბრიყვო და სულელო!
არა კმარა, რომ შენი
არ დავიდევ ცოდვაო,
როცა ეგ შენი თავი,
ბრიყვო, პირში მედვაო?

რაფიელს ეს ადგილი, აი, როგორ უთარგმნია:

როგორ მიბედავ? — იძახის მგელი —
გადაირჩინე თავი სულელი
და მით არც კი ხარ შენ მადლობელი?!
ერთი შეხედეთ ამ ყლაპიასა?!
კისერი უგავს მიწის ჭიასა... და სხვ.

ამ ორი ადგილის შედარებით ყოველი მკითხველი დარწმუნდება თუ რამდენად უკეთ ხატავს რაფიელი მგლის თავხედ უმადურობას. თუმცა ზოგიერთ იგავში რაფიელის ენა ცოტა მძიმეა, მაგრამ საზოგადოდ მან კრილოვის იგავების თარგმანში საუცხოო მთარგმნელის ნიჭი გამოიჩინა. როდესაც შეადარებთ იგავებს მის წინანდელ პოეზიას, შემდეგი გარემოება გაკვირვებსთ: მაშინ, როდესაც წინანდელი მისი ლექსები მხოლოდ მსუბუქი მუზის ნაყოფია და უმეტეს მათგანში არაფერი არ ამხელს ავტორის ნიჭს, იგავებში ავტორს ეტყობა აუცილებელი ნიჭი და ამ ნიჭის თვისებაც ნათლად გამოსჭვივის, — ამ თარგმანებით რაფიელმა დაამტკიცა, რომ მისი ნიჭის ფარგალი ვიწროა, მას არ ძალუძს ტიპების ხატვა, საქვეყნო იდეებისა და საჭირბოროტო ფილოსოფიური კითხვების აღძვრა მკითხველის გონებაში, რომ მას შეუძლია მხოლოდ მარტივი ბუნებისა და ხასიათის, უბრალო დამოკიდებულებათა და მარტივი ცხოვრების მიერ წარმოშობილი ფაქტების საუცხოოდ ხატვა, — მეტი არაფერი. თარგმანები იმ შესავალს წარმოადგენენ, რომლითაც რაფიელმა მიაგნო იმ ასპარეზის კარი, ურომლისოდაც ის, როგორც ორიგინალური პოეტი, მკვდარი იქნებოდა და მარტო თავის თარგმნებითა და კომედია-ვოდევილებით თუ დაიჭერდა ალაგს ჩვენი ლიტერატურის

ისტორიაში. ეს ასპარეზი არის გლეხი და მისი ბუნება, მისი იხდივიდუალური მწუხარება და მხიარულება.

•

როგორც ზევით განვიხილე, სამოცდაათ წლამდე რაფიელ ერისთავის ერთადერთი მოტივი ქალები და წარსულ გმირთა დიდება იყო. ამ დროის განმავლობაში მან ფრიად სუსტი და წარმავალი ნიჭი გამოიჩინა, რადგანაც ცარიელი რითმა და „ქება წარბთა და წამწამთა“ ჭეშმარიტ პოეზიას არ შეადგენს. პოეტს რომ გული არ აჰყროდა თავის არშიყ მუზაზე და ბოლომდე მისი ერთგული მიჯნური ყოფილიყო, შეუძლებელი იყო: რაფიელმა გადადგა ფეხი ისეთ ხანაში, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში ხორციელ, ანუ სქესობრივ სიყვარულს დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, როდესაც ამ სიყვარულის ძლიერ აღძრულ გრძნობებს ძველებური სიცხოველის, სიძლიერის, გულწრფელობისა და წარმტაცობის მაგიერ, სისუსტე, უფერულობა და ნაძალადეობა ეტყობა. ამიტომ პოეტის ბუნება მარად ყმაწვილ და არშიყ მუზას უსათუოდ ჩამოშორდებოდა ნელ-ნელა და, თუ არ ჩამოშორდებოდა, გულწრფელობას მოკლებული ლექსები უნდა ეწერა ნაძალადევად და თავის თავში წარმოედგინა ის ძლიერი გრძნობა, რომელიც მასში ან ცალიერ მოგონებას წარმოადგენდა სიყმაწვილის გრძნობისას, ან მარტოოდენ ოდნავ ბეუტავდა. ეროტიული პოეზია და ისიც გრძნობასა და გულწრფელობას მოკლებული!

თუ მესამოცე წლებში რაფიელის მუზა კიდევ მღეროდა:

> მაგრამ, ლამაზო, გული არ ჭკნების,
> წინწკალი მასში ცხოვლათ იხრწნების.
> თუ მიეკარე — მსწრაფლ აღენთების,
> იფეთქავს, დაგწვავს, თვითც დაიწვების!..-ო,

შემდეგ და შემდეგ მისივე მუზა გვიმტკიცებს, რომ ყოვლისფერს თავისი დრო აქვს, რომ გულიც ჭკნება და, რაღაი დროს გადაიცილებს, ლამაზისათვის აფეთქება აღარ ეხერხება და დაწვა ხომ სრულებით აღარ შეუძლია. ხორციელი სიყვარული თანდათან ქრება რაფიელის ლექსებში, მას „ტუჩი ტუჩსა შეაწებო“ აღარ აგონდება, არამედ სატრფოს „ნამდვილ სურათსა, ანგელოხის მსგავს“ მხოლოდ გულში ატარებს და ამით ხორციელ სიყვარულს სრულებით უკუაგდებს:

> მომშორდი, აღარ მართობს მე სიყვარულის გესლი!..
> გამოეფხიზლდი, მოეიმეე ახლა ჭკვა და გონება,
> არ მწყურის სიყვარული, და სხვ.

სამწუხაროდ, პოეტმა ერთობ გვიან მოიმკო „ჭკვა და გონება“. გვიან მოიკლა სიყვარულის წყურვილი და სურვილი ხომ იმდენ ხანს შერჩა, რომ ამ სიტყვებს მხოლოდ 1889 წელს სწერდა, ე ი. მაშინ, როდესაც მისი პოეტური მოღვაწეობის ასპარეზზე ფარდა ეშვებოდა. ამდენად ძლიერი გავლენა აქვს ყოველ ადამიანზე კლასიკურ ფსიქოლოგიას, როდესაც დაკვირვება და კრიტიკა უარყოფილია.

ასე თუ ისე, თვით დრომ მოიტანა, რომ რაფიელს თავის არშიყ მუზასთან კავშირი შეეწყვიტა, რომ ერთ მოვლენას არა ჩვენს ცხოვრებაში, რაფიელი შეიძლება იგავების თარგმნას ვერ გასცილებოდა და სამუდამოდ თან ჩაიტანდა საფლავში თავისი პოეზიის საუკეთესო ნაწილს. ეს გარემოება იყო გლეხის განთავისუფლება. სამოცდაათი წლიდან მოკიდებული რაფიელი ახალი გზის ძებნაშია; ის გრძნობს, რომ ძველ მუზასთან მისი კავშირი სუსტდება და ადრე თუ გვიან უნდა გაწყდეს, ამავე დროს ახალი ვერ მიუგნია. ამ ახალი და მისი ნიჭის შესაფერისი გზის პოვნა თვით დრომ შეაძლებია რაფიელს. ოცი წლით რომ ადრე დაბადებულიყო პოეტი, ან ოცი წლით უფრო გვიან რომ გადავარდნილიყო ჩვენში ბატონყმობა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაფიელის საერო პოეზიაც დამარხული იქნებოდა.

მესამე და მასთან საუკეთესო ხანა თავისი მოღვაწეობისა პოეზიის ასპარეზზე რაფიელმა დაიწყო ოთხმოცდამეათე წლების დასაწყისში. სანამ ის მიაგნებდა თავის ნამდვილ თემას, მას დაწერილი აქვს რამდენიმე ლექსი: „ზამთარი“, „აღდგომა“, „ბზობა“, „გაზაფხული“, „ზაფხული“ და „რთველი“. აქ ის აგვიწერს ან ყმაწვილის მარტივ ბუნებას და მის მხიარულებას, ან გლეხის მუშაობას. ყველა ეს ლექსები ხელოვნების მხრივ იმდენად საუცხოონი არიან, რომ მკითხველს ნათლად ეხატება თვალწინ როგორც მხიარული ბავშვი, რომელიც დღესასწაულს შეჰხარის, ისე მუშა, რომელიც კმაყოფილია და ბედნიერად სახავს თავის თავს, რადგანაც ღმერთმა მოსავალი მისცა. ამ ლექსების შემდეგ რაფიელმა პირდაპირ თავის თემას მიმართა.

მესამე ხანა რაფიელის მოღვაწეობისა ჩვენ უკვე გვქონდა დახასიათებული „კვალის“ № 9-ში და ამიტომ მკითხველს იქ მივუთითებთ, როგორც იქ გვქონდა აღნიშნული, უკანასკნელი ხანის პოეზიის მნიშვნელობა მდგომარეობს გლეხის პიროვნების ამაღლებაში. ასეთ პოეზიას მნიშვნელობა ყოველთვის აქვს, რადგანაც ადამიანის გამოსარჩლება, ადამიანის პიროვნების დაცვა უდროო არასოდეს არ არის, მაგრამ ამ პოეზიის მნიშვნელობა გაცილებით მეტი იქნებოდა,

რომ ის წარმოშობილიყო მესამოცე წლებში. მეოთხმოცე წლებში თვით ცხოვრებამ აამაღლა გლეხი, და იმის ქადაგება პოეზიაში, რაც ცხოვრებამ უკვე განახორციელა, უალაგო იყო. მაგრამ მესამოცე წლების ზოგიერთ პოეტს ბედის მწერალმა დააწერა: ჰუმანური აზრები მაშინ იქადაგეთ, როდესაც თვით ცხოვრება უკვე განახორციელებს მათო, და რაფიელ ერისთავსაც ეს ბედი ხვდა. უნდა აღვნიშნოთ, დასასრულ, შემდეგი გარემოება: რაფიელს უნდოდა გლეხის ამაღლება, მაგრამ იმ დროს, როდესაც მან ამგვარი ქადაგება დაიწყო, საჭირო იყო სხვა საშუალება, ვიდრე გლეხის სულისა და გულის გადმოშლა მკითხველისათვის. იმის მაგიერ, რომ გლეხისათვის გადაეშალა მისი ცხოვრება და მდგომარეობა და ამით აღეძრა მის არსებაში სიყვარული და მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ, რაფიელი თითქოს განგებ ცდილობდა ასეთი მისწრაფების ჩახშობას გლეხში. ყოველგვარი უბედურების მორჩილად ატანა, სრული აპათია, უმოძრაობა, ერთი სიტყვით, უკიდურესი კონსერვატიზმი ცხოვრებაში, აი, რას ასწავლიდა რაფიელი თავის საყვარელ გლეხს. როდესაც უქადაგებდა: იყავ კმაყოფილი მით, რაცა გაქვს, და ბედნიერი იქნებიო. ასეთი აზრების ქადაგება ერის იმ ნაწილისათვის, რომელიც ყველაზე უფრო იტანჯება სოციალურ უსამართლობათა გამო, მომაკვდინებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ რაფიელის ასეთ აზრებს ზიანი არ ჰქონდათ გათვალისწინებული: მას სულითა და გულით უნდოდა, გლეხისათვის სარგებლობა მოეტანა ყოველი თავისი სიტყვით, და თუ ხანდახან ცდებოდა, ამის ერთადერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ რაფიელს ცხოვრების განვითარების ფილოსოფია არა ჰქონდა შეგნებული არც თეორიულად, არც პრაქტიკულად; მას უნდოდა გლეხისათვის გულის სიმაგრე და სულის სიძლიერე შეემატა ყოველგვარი უბედურების ასატანად. რაფიელის შეცდომანი ნათლად გვიმტკიცებენ, რომ პოეტი, რა ნიჭისაც უნდა იყოს ის, გაფაციცებით უნდა უკვირდებოდეს ცხოვრებას, არჩევდეს მასში კარგსა და ავს და აწმყოს ელემენტებში მომავლის ამოცნობას ცდილობდეს, უამისოდ მის მოღვაწეობას არ ექნება გზის მაჩვენებელი იდეალი.

1901 წ.

რაფიელ ერისთავი
როგორც საერო პოეტი

მესამე და მასთან საუკეთესო ხანა თავისი მოღვაწეობისა პოეზიის ასპარეზზე რაფიელმა დაიწყო ლექსით „სამშობლო ხევსურისა“. ამ ლექსს ჩვენს საზოგადოებაში, როგორც განათლებულ ნაწილში, ისე გაუნათლებელ ხალხში, დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი. შეუმცდარად შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოება რაფიელს ყველაზე უფრო ამ ლექსით აფასებს. „სამშობლო ხევსურისა“ ღირსიც არის ასეთი სახელისა და გავრცელების, და აშკარად მოწმობს ავტორის ძლიერ ნიჭს ამ სფეროში, რომელსაც მან ასე გვიან მიაგნო, ხოლო რა არის ამ ლექსში მიმზიდველი, რა ხიბლავს მასში მკითხველს ასე უზომოდ, ეს ძალიან ბევრს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი. 1895 წელს, რაფიელის ორმოცდაათი წლის იუბილეს დროს, „ივერია“ და „მოამბე“ (ბ-ნი გრ. ყიფშიძე) ამ ლექსის სიდიადეს „ტიპიური ხევსურის“ ცხოველ სურათსა და მის ჭეშმარიტ ფსიქოლოგიას მიაწერდა.[1]

რაფიელი ამ ლექსში ისე ცოცხლად და ისე ძლიერად გვიხატავს მთიულის სიყვარულს სამშობლოსადმი, რომ თავის გრძნობასა და სიყვარულს მთიული შეუმჩნევლად ჩვენც გადმოგვცემს. როდესაც კითხულობთ ამ ლექსს, თვალწინ ცოცხლად გეხატებათ მთიული, რომელიც ძლიერ სიყვარულს მიუჯაჭვავს სალ კლდეებზე, სადაც მას შავი სიკვდილი უჯობს სხვაგან სიცოცხლესა და ლაღობას; მიჩერებიხართ ამ მთიულს, პირველად თითქოს გულიც მოგდით მასზე, ასე ვიწროდ რომ წარმოუდგენია სამშობლო, მაგრამ მისი გულწრფელობა გულს გილბობთ, მისი უზომო სიყვარული სამშობლოსადმი გხიბლავთ, უკვირდებით მისი ძლიერი გრძნობის ჩქეფას, დავიწყებას ეძლევით, გიცოცხლდებათ თვალწინ ის კუთხე, რომელთანაც შეკავშირებულია თქვენი დაბადება, გაზრდა, სიყმაწვილე, იღვიძებს თქვენს გულში სიყვარული, იზრდება, იშლება და გარშემო ეფინება

---

1 იხ. „მოამბე“, 1895 წ., № 9 გვ. 91.

მთიულის ვიწრო სამშობლოს კი არა, არამედ მთელს სამშობლოს, როგორიც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი და აღტაცებული მზადა ხართ ბანი მისცეთ ხევსურს:

არ გაეცალი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

„სამშობლო ხევსურისაში" მთიულის გრძნობა და სიყვარული სამშობლოისა გადამდებია. ყოველი ქართველისათვის და ამ ლექსის ღირსება-მნიშვნელობაც სწორედ ამაში მდგომარეობს. ჩვენი პოეტების უმეტესობა პატრიოტული ლექსებით მხოლოდ გვაოცებს წარსულ გმირთა სიმამაცითა და თავდადებით და გვარიგებს: აი. როგორ უნდა სამშობლოს სიყვარულიო. რაფიელი კი არც არაფრით გვაოცებს, არც დარიგებას გვიკითხავს, — მას უკეთესი საშუალება აქვს: ის აღგვიძრავს გულში ძლიერ სიყვარულს სამშობლოსადმი.

საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი მსვლელობა, მისი კანონები რაფიელის ყურადღებას როგორღაც არ იქცევდა; ამ მხრივ პოეტი სრული მსგავსებაა თავისი გლეხის, რომელიც ქმაყოფილია არსებულით და, თუ უბედურება რამ ეწვია, მაშინაც კი ღმერთს ემადლიერება. ამიტომ თუ მის პოეზიას უკანასკნელი და მასთან მძლავრი ხმა გლეხმა გამოაღებია, იმ გლეხმა, რომელსაც პოეტი აქამდე ყურადღებას არ აქცევდა, რაფიელიც მხოლოდ გლეხს უმღერის და მის ინდივიდუალურ ცხოვრებას. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა რაფიელსა და სხვა ჩვენს მწერალებს შორის. შეადარეთ მისი გლეხი ილია ჭავჭავაძის, ნინოშვილის და სხვ. გლეხს. მათ სახეში ჰყავდათ გლეხი — წევრი საზოგადოებისა; ესენი გვიხატავენ გლეხს იმ სოციალურ წრეში. რომელიც მას გარს არტყია, იმ ფიქრებს, რომლებსაც მასში ეს ცხოვრება იწვევს. რაფიელი კი ყურადღებას არ აქცევს იმ სოციალურ პირობებს, რომლებშიაც გლეხი ტრიალებს; მას სახეში ჰყავს მხოლოდ გლეხი მიწის მუშა. მაგალ., ნინოშვილის გლეხი ცხოვრებას ებრძვის და ამ ბრძოლის დროს არათუ ხშირად სრულებით აეყრება ხოლმე გული ცხოვრებაზე და სიცოცხლე ბეზრდება, ღვთის გმობაც კი წამოცდება ხოლმე ხანდახან. რაფიელის გლეხი კი მხოლოდ, —

ებრძვის შავს მიწას დღითიდღე.
ჯაფისაგან მოქანცულია.

რა უბედურებაც უნდა დაატყდეს მას თავზე, გული არასოდეს არ უტყდება, სიცოცხლე არ მოსძულდება და ღვთის საყვედურს ვერ ათქმევინებთ.

მე დედამიწის მებრძოლი
გლეხი ვარ, გლეხად შობილი.

არა ვარ ღვთის მომდურავი,
არა ვარ გულჩათხრობილი.

რაფიელის გლეხის უდიდესი უბედურება გვალვა და სეტყვაა, მაგრამ ასეთი უბედურების დროსაც ის ღვთის მადლიერია:

როცა მღალატობს მზე-წვიმა და მომიცდება ყანები,
უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები!..

რაფიელის გლეხს მთელი თავისი ბედ-იღბალი ოფლით ჩაუწურია დედამიწაში; მიზანი მისი ცხოვრებისა შრომაა და როგორი შრომა, — „ყამირის გადაშავება!" ასეთი შრომის გარეშე მას თავისი თავი და ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მთელი მისი ცხოვრება ოთხ სიტყვაში: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარში არის გამოხატული: გაზაფხულიდან მოკიდებული ის იწყებს მიწასთან ბრძოლას, ამაყობს თავისი შრომით და, როდესაც თავისი შრომის ნაყოფს ხედავს, სრული ბედნიერია. მის უბედურებასა და ბედნიერებას, მწუხარებასა და მხიარულებას არავითარი კავშირი არა აქვს საზოგადო მწუხარებასა და მხიარულებასთან და საზოგადო მიზეზებთან. მაშინ, როდესაც თუნდ ილ. ჭავჭავაძის გლეხის ფიქრი და მწუხარება საზოგადო ფიქრი და მწუხარებაა, ცხოვრების პირობების მიერ აღძრული და გამოწვეული, რაფიელის გლეხის მხიარულება და მწუხარება მხოლოდ მისი საკუთარი, ინდივიდუალურია, ისეთი მიზეზებით გამოწვეული, როგორც ხარის სიკვდილი ან სეტყვისაგან ყანის წახდენაა. მისი სიცოცხლე მიწის ჩიჩქნაში გამოიხატება და ამიტომ მას ყოველისფერი უყვარს, რაც კი ამ შრომაში ეხმარება; რა ღრმა, უზომო, ძლიერი, სწორედ მეგობრული სიყვარული და მასთან უნუგეშო სევდა გამოიხატება თანდილას სიტყვებში:

შენი ჰირიმე, გიშერავ!.. ჰირიმე შენი ქედისა...
მომციღდი, მომკალ, ბეჩავი, — მწევარი ჩემის ბედისა!..

რა უბედურებაშიაც უნდა ჩავარდეს ის, გულგატეხილი არასოდეს არ არის ცხოვრებაში, ის გლეხად დაბადა უფალმა, შრომისაგან ოფლშია გაწურული; მაგრამ არათუ გული არ გასტეხია, კიდეც „ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი".

რაფიელს უყვარს თავისი გლეხი, რომელსაც, —

ხვითქი გადასდის გულგაღეღილსა
და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი,
თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი... და სხვ.

ღრმა და წრფელი სიყვარულით აგვიწერს მის „დაკორძებულ ხელებს", „დაწყლულებულ ფეხებს", „გადაღეღილ მკერდს", „აქე-

ცებულ კისერს“ და ასეთი გლეხი არათუ არ მიაჩნია მას საცოდავ, უბედურ შესაბრალის და დაბეჩავებულ არსებად, არამედ თითქოს კიდეც შენატრის მას, რადგანაც მასში ბედნიერ არსებას ჰხედავს: რაფიელის თვალში ბედნიერება — „ეს არს კმაყოფილება მასზედ, რაც კაცს ჰქონია“, და მისი გლეხი ხომ ყოველთვის კმაყოფილია მით, რაც აქვს. ამ გლეხის ხატვაში რაფიელის ნიჭი იმდენად ძლიერია, რომ მკითხველს სრული ილუზია ეძლევა, მას თვალწინ ცოცხლად ეხატება გლეხი — მიწის მუშა და პოეტთან ერთად სიყვარულითა და პატივისცემით იმსჭვალება ამ „გუთნითა და ნამგლით მებრძოლისადმი“. ამგვარად, იმ ლექსების მნიშვნელობა, რომლებშიაც რაფიელმა თავისი ნიჭი გამოააშკარავა, მხოლოდ გლეხის პიროვნების ამაღლებაში მდგომარეობს; პოეტმა გააცნო ეს გლეხი საზოგადოებას და დაანახვა, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, რომ მასაც აქვს სული და გული.

1901 წ.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს

1

საქართველო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა თავისი საკუთარი ცხოვრებით. სხვა მას არაფერი არ აინტერესებდა, — სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებაში ის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ქართველობა იყოფოდა ორ დიდ წოდებად: თავადაზნაურობად და გლეხობად. პირველიც და მეორეც სოფლად ცხოვრობდა, — სოფელი ჩვენი ცხოვრების დედაბოძი იყო. გლეხობა მისდევდა ხვნა-თესვას და მწყემსობას და თავისი შრომით არჩენდა თავადაზნაურობას და სამღვდელოებას; ამ უკანასკნელთაგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იყო თავადობა, აზნაურობა და სამღვდელოება მისი მორჩილი მხლებელი იყო. მთელი აღებ-მიცემობა სომხების და ებრაელების ხელში იყო. გლეხების ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის არ შეცვლილა, თუ ცვლილებად არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წარსულთან შედარებით მან მეტი მყუდროება და მეტი მშვიდობიანობა მოიპოვა; წინათ მის კეთილდღეობას შეუჩერებლად უთხრიდნენ ძირს როგორც გარეული მტრები, ისე შინაური, ეხლა კი მას ბატონის მეტი აღარავინ სწოვდა სისხლს. საქართველოს პოლიტიკურად სიკვდილს გლეხობა ინდიფერენტულად შეხვდა: ის ყოველთვის უსამართლობის მსხვერპლი იყო, და ვინც უნდა ყოფილიყო საქართველოს ტახტზე, როგორიც უნდა ყოფილიყო მთავრობა, გლეხობა წარსულის მოგონებით იმდენად გულგატეხილი იყო, რომ სამართლიანობას აღარავისაგან აღარ მოელოდა; ის შერიგებოდა თავის მწარე ხვედრს და მშვიდად ეწეოდა მძიმე ჭაპანს, მხოლოდ ხანდახან თუ აჯანყდებოდა ხოლმე, ამას რაიმე წარსული ბედნიერების მოგონება კი არ აიძულებდა, არამედ უსამართლობის ნამეტანი სიმწვავე. მეცხრამეტე საუკუნეს თავადაზნაურობა სულ სხვა გულით დაუხვდა; წარსულის გამოთხოვებამ მას საშინლად დასწვა გული, რადგანაც წარსულს ბევრი რამ გაყვა ისეთი, რის მაგიერიც აწმყოს არაფერი მოუტანია. ამის

უკეთ გასათვალისწინებლად საჭიროა გავიხსენოთ, როგორი იყო თავადის მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნემდე. როგორ შეიცვალა ის მეცხრამეტე საუკუნეში. წინათ მას გარშემო ეხვია ურიცხვი ყმები, რომელთა სულისა და ხორცის ერთადერთი პატრონი თვითონ ის თავადი იყო, ყველა, ვინც გარშემო ეხვია, მას თვალწარბში შეჩერებოდა და მისი ყოველგვარი ჟინის ასასრულებლად მზად იყო. ერთადერთი მოსამართლე თავის სოფელში ის იყო და იქ ყველას ბედიღბალს მხოლოდ ის წყვეტდა. თუ სამშობლოს მტერი შემოესეოდა, მეფე მას თხოვდა, შენი კაცებით მომეშველეო; ის მეფის მარჯვენა ხელი იყო, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობდა; სასახლის კარი მისთვის მუდამ ღია იყო, — მეფის სახლში თითქმის მეფის ტოლად გრძნობდა თავს, თავის სახლში — განუსაზღვრელ ბატონად. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან თავადის ამგვარი მდგომარეობა სრულიად შეიცავლა. სამშობლოს მართვა-გამგეობაში მას ყოველგვარი მნიშვნელობა ჩამოართვეს, მეფე და მისი სასახლე ახლოსაც არავინ დაანახვა; თავის სოფელშიაც მას ბატონი გაუჩნდა, რომელიც ზოგიერთ მის მოქმედებაში ანგარიშს თხოვდა მას. თავადის თვითნებობას, თავისუფალ მოქმედებას ყოველის მხრით ფრთები შეეკვეცა. ყოველივე ამან ის არათუ ქონებრივად დააქვეითა, შინაყმათა თვალშიც კი სახელი გაუტეხა. თავადობამ იწყო წარსულის გლოვა, მოინდომა მისი დაბრუნება, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. იძულებული გახდა თავის ხვედრს შერიგებოდა და ერთმა ნაწილმა ღვინოში და ქორმეძებრებში ჰპოვა თავისი იდეალი, მეორემ კალამი აიღო ხელში და წარსულის გლოვაში მოიპოვა სულის სიმშვიდე, მესამეს სამხედრო სამსახურმა დაავიწყებინა ძველი დიდება.

ამგვარად მომდინარეობდა ჩვენი ცხოვრება მესამოცე წლებამდე;

ცხოვრება იყო მარტივი და მდორე. მწერლობა ერთფეროვანი. მხოლოდ ერთი კლასის, თავადობის სიმპათია-იდეალების გამომხატველი. რადგანაც სამხედრო სამსახურმა და ჩინოვნიკობამ შემოდგა ჩვენში ფეხი და ორივეს დიდი მოტრფიალენი გამოუჩნდნენ ჩვენს თავადობაში, სწავლა-განათლება ნელ-ნელა აღორძინდა და თბილისში სასწავლებელიც კი დააარსა მთავრობამ კეთილშობილთათვის. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, რომელსაც მაშინდელ დროსთან შედარებით რიგიანი განათლება მიეღო, ნელ-ნელა უკუაგდო პირადი ცხოვრების ვიწრო ფარგლები და გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე. მისმა მოღვაწეობამ ჩვენს ცხოვრებას სული შთაბერა და საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც თითქმის სრულებით აღარ არსებობდა, ორმოცდაათ წლებში ნელ-ნელა აღორძინდა, მაგრამ ცხოვრების

ამოძრავება შუაგულიდან, თვით ხალხიდან, კი არ დაიწყო, არამედ ზედაპირიდან — თავადაზნაურობიდან, რუსეთთან დაახლოებამ ჩვენი არისტოკრატიის ცხოვრებაში ერთი ღრმა ცვლილება კიდევ შემოიტანა, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი არისტოკრატია გაეცნო ევროპული ცხოვრების გარეგან მხარეს, რაშიც მცირეოდენი შრომა არ მიუძღვის ვორონცოვს, შეუყვარდა ბალ-მასკარადები, და რადგანაც ყოველივე ეს ფულს მოითხოვდა, რაც ჩვენს არისტოკრატიას არ გააჩნდა, არისტოკრატიამ ნელ-ნელა შეტოპა ვალის მორევში; იმ დღიდგან მოკიდებული დღევანდლამდე უფრო და უფრო ღრმად ეფლობა, ქონებრივად ის დღითიდღე უფრო ღატაკდება და მას ვეღარავითარი ბანკი ვეღარ იხსნის დაღუპვისაგან. თავადაზნაურობის დაღუპვის, ე. ი. საზოგადო ცხოვრებაში ყოველგვარი მნიშვნელობის დაკარგვის მიზეზი დავალიანება სრულებითაც არ არის, როგორც ბევრს ჰგონია ჩვენში; მიეცით მას დიდი შეძლება და მოაშორეთ ვალები, — მიუხედავად ამისა, ის მაინც ჩვენი ცხოვრების მეტხორცი იქნება, ჩვენი საზოგადოებრივი წინმსვლელობისათვის სრულიად გამოუსადეგარი; — დავალიანება, ეს მხოლოდ ერთი სიმპტომია იმ სნეულებისა, რომელიც ახალმა დრომ შესძინა ჩვენს თავადაზნაურობას და რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მესამოცე წლებში ბატონყმობა გადავარდა; ჩვენი ცხოვრების წინაშე წარსდგა ახალი დროის ჰერკულესი — თავისუფალი გლეხი, რომელმაც ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში ღრმა ცვლილება შემოიტანა; რაც დრო გადის, ეს ცვლილება მით უფრო იზრდება. გლეხის გაუთავისუფლებლად ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას დიდხანს და მრავალფერად განვითარება აღარ შეეძლო. ბატონყმობა მოისპო, — ერის საწარმოო ძალა გათავისუფლდა, თავისუფალი მუშა წარსდგა ცხოვრების წინაშე და გამოუცხადა: სანამ ეს ხელები შებორკილი მქონდა, მხოლოდ აქამდე შევიძელი შენი ზიდვა, რაკი ხელები გავითავისუფლე, მეტე წაგიღებ წინ და მეც შენთან ერთად დავწინაურდებიო. მაგრამ ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობის მიზეზი მარტო თავისუფალი მუშა არ არის, არამედ თავისუფალი კაპიტალიც. ბატონყმობის გადავარდნამ გათავისუფლებული გლეხი ზოგი სრულიად უმიწაწყლოთ დატოვა, ზოგს ძალიან ცოტა მიწა არგუნა; თავადაზნაურობამ კი ამ ცვლილებით ფული შეიძინა, რაც ძას დიდხანს არ შერჩენია ხელში. ამგვარად, თავისუფალი შრომის წარმომადგენელი პირველ ხანებში გლეხი იყო მხოლოდ. მისვლა-მოსვლა ჩვენში ნელ-ნელა გაუმჯობესდა, მალე რკინიგზაც გაიხსნა, და საქართველოს სიმდიდრემ ჩვენში ნელ-ნელა მოიტყუა უცხო კაპი-

ტალი; უცხო ტომის კაპიტალს გვერდში ამოუდგა ის თავისუფალი კაპიტალიც, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა და რომელიც თითქმის სულ სომხების ხელში იყო, მაგრამ კაპიტალი უძლური იყო, თუ მას თან არ ექნებოდა სამუშაო ძალა და ამას ხომ თავისუფალი გლეხი აწვდიდა მას, — საქართველოში ნელ-ნელა დაიწყო კაპიტალისტური წარმოება. როგორ შეხედა ამ მოვლენას ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილმა? სანამ ამას განვიხილავდეთ, საჭიროა, პატარა ხანს უკან დავბრუნდეთ და გავიგოთ, რა გრძნობანი აუშალა ქართველ ერს ბატონყმობის გადავარდნამ, რა ცვლილება მოახდინა ერის აზროვნებაში განთავისუფლებულმა გლეხმა პირველ ხანებში? გლეხმა შეიძინა ადამიანური ღირსება და ამიტომ სიხარულით მიეგება თავის გათავისუფლებას, მაგრამ ასე ვერ შეხვდებოდა ამას თავად-აზნაურობა. ისეთი მოწინავე პირიც კი, როგორც ვახ. ორბელიანი იყო, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ძილშიც კი მოსვენებას არ აძლევდა, „დავღუპეთ-ის“ ჩივილით მიეგება სამშობლოს ასეთ იშვიათ დღესასწაულს!

როდესაც ტბაში ქვას გადაისვრით, წყალი ატოკდება და გაპობილი ალაგის გარშემო პატარა ტალღები ზედიზედ იწყებენ ნაპირისაკენ ქიანს. სწორედ ამგვარად აატოკა ჩვენი მდორე ცხოვრება ყმის გათავისუფლებამ: ერთფეროვანი ცხოვრება ნელ-ნელა გამრავალფერდა; ერთფეროვანი აზროვნება მყისვე დაირღვა: მოწინავე პირნი ორ ნაწილად გაიყვნენ, — პირველმა ნაწილმა თავადურის მფარველობით გადმოხედა მაღლიდან გლეხს და მისი მასწავლებლობა, მისი აღზრდა მოინდომა, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის კი მას თავდაპირველად არავითარი პროგრამა არ გააჩნდა და ვერც ხედავდა ასეთი პროგრამის საჭიროებას; სულითა და გულით ის არისტოკრატიას ეკუთვნოდა, მისი მომხრე იყო და მისი ერთადერთი სურვილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ის იყო, რომ თავადაზნაურობას თავისი უპირატესობა შერჩენოდა ცხოვრებაში, თავისუფალი გლეხი ყოფილიყო მშვიდი, წყნარი, მიწის ერთგული მუშა და ძველი ნაბატონარის მოწიწებით პატივისმცემელი და მორჩილი; ამ ნაწილს ჩვენი მოწინავე პირებისას ბატონყმური წყობილება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთ და სამარადისო ფორმად მიაჩნდა; ამ ფორმის დარღვევა მის თვალში შეუძლებელიც იყო, არასასურველიც; ერთი სიტყვით, ეს ნაწილი გახდა არისტოკრატიის იდეოლოგი. მეორე ნაწილი ჩვენი მოწინავე პირებისა სულ ახალგაზრდებისაგან შედგებოდა და გამსჭვალული იყო დემოკრატიულ-ლიბერალური აზრებით. ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას ის ხედავდა სწავლა-განათლებისა და ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებაში, ბატონ-

ყმურ წყობილებას უარყოფდა. იურიდიულ კლასებს არავითარ მნიშვნელობას აღარ აძლევდა, მიუთითებდა ერს დასავლეთ ევროპისაკენ; მაგრამ მას ნათლად არ ჰქონდა მოღვაწეობის პირველ ხანებში გარკვეული, თუ ევროპის კულტურის გადმონერგვა ცხოვრებაში, თვით ერის გულში, რა ცვლილებას მოახდენდა, ამის უმთავრესი მიზეზი თვით ცხოვრების გამოურკვევლობა იყო: ბატონყმური წყობილება იშლებოდა, ახალი ისახებოდა და ასეთ პირობებში ნათლად გარკვეული, კონკრეტული პროგრამის შემუშავება ძნელი იყო, მეოთხმოცე წლებიდან ჩვენი ცხოვრების ტენდენცია თანდათან გამოირკვა, მეოთხმოცდაათე წლებში საწარმოო ძალთა განვითარებამ ისეთი ცვლილება მოახდინა, რომ ეპვს გარეშე იყო, ჩვენს ცხოვრებაში კაპიტალისტურმა წარმოებამ შემოდგა ფეხი და ჩვენი ერის განკერძოებული ცხოვრება მთელი ევროპის ცხოვრებას დაუკავშირა. თავისი საკუთარი გემოვნება რომ არავის არ ეხმარა სათვალეზე ჩვენი ცხოვრების დაკვირვებაში, ამ აშკარა მოვლენას ყველა აზრისა და მიმართულების პირნი ერთნაირად და ერთ დროს დაინახავდნენ, მაგრამ ეს ნამდვილად არ მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფალი გლეხის ცხოვრებაში გასვლამ ჩვენი მოწინავე თაობა ორ ნაწილად გაყო: პირველი ჩვენი ცხოვრების წყობილებაში არავითარ ძირითად ცვლილებას არ მოელოდა და არც უნდოდა ამ მხრივ რაიმე ცვლილება; ნატურალური წარმოება, მასზე დამკვიდრებული იურიდიული კლასები ჩვენი ცხოვრების ალფად და ომეგად აღიარა და ამით ცხოვრების დაკვირვებისათვის თვითონვე წინდაწინ დაიბრმავა თვალები. მეორე ნაწილი კი მოელოდა ცვლილებას, მას სურდა ეს ცვლილება, რადგანაც ნატურალური წარმოება და მასზე აღმოცენებული საზოგადოებრივი წყობილება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების უკვე მოძველებულ საფეხურად მიაჩნდა; ის შეჰხაროდა ახალ საფეხურს და ამიტომ გაფაციცებით ადევნებდა. თვალყურს ჩვენი ცხოვრების ყოველგვარ მოძრაობას, ყოველგვარ მოვლენას. მან უკვე მეოთხმოცე წლებში შეამჩნია ევროპული ცხოვრების ნიშნობრივი ელემენტები ჩვენში და მისმა მომდევნო და მისი მიმართულებისა და დაკვირვების გამგრძობმა ახალთაობამ მეოთხმოცდაათე წლებში ხმამაღლა აღიარა: ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმა იშლება და მის ალაგს იჭერს ახალიო. აქედან თავისთავად ცხადია პასუხი ზემოთდასმულ კითხვაზე, თუ როგორ შეხვდა კაპიტალიზმის აღორძინებას ჩვენს ცხოვრებაში ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილი; ჩვენი მოწინავე თაობის მეორე ნაწილი უარყოფდა ბატონყმურ წყობილებას, დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ კაპიტალიზმს შეეძლო ჩვენი ერის გამოყვანა წინმსვლელობის გზაზე და ამიტომ, თუმცა გათვა-

ლისწინებული ჰქონდა კაპიტალიზმის ცუდი მხარეები, მაინც უკეთესი მომავლის იმედით გამხნევებული მიეგება მას. პირველი ნაწილი კი მოტრფიალე იყო ბატონყმური ურთიერთობის, ის არისტოკრატიის იდეოლოგი იყო და იურიდიული კლასების სამარადისოდ შერჩენის მომხრე; კაპიტალიზმი კი ყოველივე ამას უარყოფდა და ანადგურებდა. ამიტომ ჩვენი მოწინავე თაობის ამ ნაწილმა სასოწარკვეთილების თვალით შეხედა კაპიტალიზმს.

წინა წერილში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მიეგება ჩვენი მოწინავე თაობის სხვადასხვა ნაწილი — პროგრესული და კონსერვატული — კაპიტალიზმის აღორძინებას ჩვენში. ახლა საჭიროა განვიხილოთ, რა ცვლილება გამოიწვია უკვე კაპიტალიზმმა ჩვენს ცხოვრებაში, ერთი მხრით, და მეორე მხრით, ჩვენს აზროვნებაში.

კაპიტალიზმისათვის ორი აუცილებელი პირობა არის საჭირო: ერთი მხრით, თავისუფალი კაპიტალი, მეორე მხრით, თავისუფალი სამუშაო ძალა. კაპიტალიზმის აღორძინების პირველ ხანებში ჩვენ ერს ჰქონდა მხოლოდ თავისუფალი სამუშაო ძალა, კაპიტალი კი მას არ გააჩნდა და ამიტომ ჩვენ სამუშაო ძალას უცხო ტომთა კაპიტალი ამოუდგა გვერდში: ამგვარად, კაპიტალიზმს პირველ ხანებში წინ ეწეოდნენ სხვისი ფული და ჩვენი შრომა. ამ ფაქტს როგორც კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ისე ჩვენი ცხოვრებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს მწერლობას ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. უცხო კაპიტალმა 1) გამოაღებია ჩვენი ერის სამუშაო ძალას მეტი ნაყოფი, ე. ი. ჩვენი ერის ერთ ნაწილს ლუკმა პური გაუჩინა, 2) მან გაანაყოფიერა და გაამრავალმხრივა ჩვენი ერის შრომა, ე. ი. გაზარდა ჩვენი ერის საწარმოო ძალა. 3) მან გააფართოვა ჩვენი ერის მოთხოვნილებანი და ამით გააგანიერა ჩვენი ერის გონებრივი ჰორიზონტი, 4) მან დააჩქარა ქართული კაპიტალის წარმოშობა და ყოველივე ამით ხელი შეუწყო, ერთი მხრით, კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში, მეორე მხრით, ჩვენი ერის იდეურად გაერთიანებას, სარგებლობასთან ერთად უცხო კაპიტალმა ჩვენს ერს დიდი ზარალი მოუტანა და დღესაც მოაქვს მით, რომ ჩვენს მდიდარ სუფრაზე ჯერჯერობით ნამცეცების მეტს არას გვანებებს. — ეს აშკარაა, მაგრამ მარტო ზარალის დანახვა და სარგებლობის უარყოფა, როგორც ამას ბევრი შვრება ჩვენში, ისეთივე შეცდომა არის, როგორც მარტო სარგებლობის დანახვა და ზარალის დამალვა... ნელ-ნელა დაიბადა ქართული კაპიტალიც. ჯერ კიდევ სუსტი ნაბიჯით შემოდგა მან ფეხი ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ, რაც დრო გადის, ქართული კაპიტალი ჩვენს თვალწინ იზრდება და ვითარდება და, თუ სარგებელით ვერ განდევ-

ნის უცხო კაპიტალს, მძლავრად მაინც ამოუდგება მას გვერდში და თავს აღარ დააჩაგვრინებს. კაპიტალიზმმა ერთმანეთს დაუახლოვა ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილი და მათი ეროვნული თვითცნობიერება განავითარა, მან ერთმანეთისათვის საჭირო გახადა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები: ერთი კუთხის მცხოვრები იძულებული გახდა, მეორე კუთხეში გადავიდეს, ერთ კუთხეს ჭირდება მეორე კუთხის სხვადასხვა ნაწარმოები და ყოველივე ამან კი გამოიწვია ქართველობის გაერთიანება; მართალია, ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, ეს ახლო მომავალს ეკუთვნის. ამგვარად, ის, რაც ვერ შეძლო მთელმა წინა თაობებმა ხანგრძლივი დროის მანძილზე, შესძლო და მოახერხა კაპიტალიზმმა სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ქართული კაპიტალიზმის აღორძინებამ ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილს შუა ხაზი გაავლო და, რაც დრო გადის, ეს ხაზი თანდათან ღრმავდება: ერთ მხარეზე გროვდება ფულის პატრონი, მეორეზე მხოლოდ სამუშაო ძალის პატრონი; პირველია შრომის მყიდველი — ბურჟუაზია, მეორე შრომის გამყიდველი — მშრომელი ხალხი. პირველის როლი ცხოვრებაში სხვა არის, მეორისა სხვა; რასაც ქვემოთ გამოვარკვევთ, და ამიტომ ეს არ არის ერის დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, — მდიდრები და ღარიბები ყოველ დროს იყვნენ: — ეს არის ჩვენის ერის სოციალურ კლასებად დაყოფა ეკონომიურ ნიადაგზე. ამგვარად, კაპიტალიზმმა ქართველობა გააერთიანა ეროვნულ ნიადაგზე, ხოლო დაყო ეკონომიურ ნიადაგზე.

სოციალური კლასების აღორძინებამ ჩვენ ცხოვრებაში აშკარად დაანახვა ყველას, რომ ჩვენში სამუდამოდ ირღვევა ბატონყმური წყობილება და მის ალაგს იჭერს ახალი, კაპიტალისტური ანუ ბურჟუაზიული. ეს ახალი წყობილება კი ცოცხს უსვამს ფეოდალურ არისტოკრატიას და მის ალაგას აყენებს ფულის არისტოკრატიას. კაპიტალი მეტად ტექნიკურად ეპყრობა შთამომავლობას და გვარიშვილობას, — მას არც ერთი ეს არა წამს; მისთვის არსებობს მხოლოდ მდიდარი და ღარიბი, ფულიანი და უფულო; ვის ხელშიაც ფულია, მისი მფარველიც ის არის, გინდა თავადი იყოს, გინდა გუშინდელი მონა. თავადაზნაურობა ძველის წყობილების ნაანდერძევ სახეს ჰკარგავს. ახალი პირობების მიხედვით იცვლება და სოციალური კლასების შემადგენელ ნაწილებად ხდება: ერთი მხრით, ბურჟუათა რიცხვში გადადის, მეორე მხრით, პროლეტართა რიცხვში. ჩვენი ცხოვრება აშკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენი თავადაზნაურობის უმეტესობა პროლეტართა კლასში გადადის.

ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის დაღუპვის აუცილებელი მიზეზიც სწორედ ამაში მდგომარეობს და არა მის დავალიანებაში,

ან სხვა რაიმე წვრილმან გარემოებაში; ცხოვრების ძველი წყობილება მიდის და მას უკან უნდა გაყვეს მისი პირმშო — ფეოდალური არისტოკრატიაც.

ზემოთნალაპარაკევიდან გამოირკვა ერთი გარემოება: კაპიტალიზმის აღორძინების პირველ ხანებში შრომის წარმომადგენელი მხოლოდ ჩვენი გლეხობა იყო, დღეს კი გვერდში ამოუდგა აზნაური და მას მალე მიყვება თავადიც; ეს საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რამდენად არღვევს ძველ ურთიერთობას წარმოების ახალი ხანა. კაპიტალიზმის აღორძინებასთან ერთად ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად დაუკავშირდა ევროპას, ეს კავშირი ჩვენ ფსიქოლიგიაში შესაფერ ცვლილებას ახდენს და ამგვარად ჩვენი ერის შინაგანი ცხოვრება როგორც მატერიალურად, ისე სულიერად ევროპის ცხოვრებას ემსგავსება. ცხოვრების ახალმა პირობებმა გაართულეს საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი და ურთიერთობა და ამას თან მოჰყვა, აუცილებლად, სულიერი წარმატებაც. ამგვარია ჩვენი ცხოვრება დღეს. თუ ცხოვრება შეიცვალა, მას შესაფერი ცვლილება უნდა გამოეწვია ქართველი ერის აზროვნებაში და ასეც მოხდა. ჩვენი ერის ყოველი წოდების რწმენა და შეხედულებანი ბატონყმურ წყობილებაზე ზედგამოჭრილი იყო; როგორც თვით ცხოვრება იყო გარკვეული სახის, ისე ერის აზრიც გამორკვეული და დამკვიდრებული იყო; მაგრამ ატოკდა თუ არა ცხოვრება, შეირყა თვით აზროვნებაც და დამკვიდრებულ რწმენა-შეხედულებათა ალაგას ყოყმანმა, სათუობამ და იქვმა იჩინა თავი; ასეთი ქაოსიდან დღეს თანდათან ირკვევა ხალხის გონებაში დროის შესაფერი ახალი შეხედულებანი, რომელნიც ცხადად იქერენ ძველის ალაგს როგორც ოჯახში, ისე გარეთ, როგორც მამაშვილურ დამოკიდებულებაში, ისე ცოლქმრულ ურთიერთობაში და სხვ. ყოველივე ეს საუცხოოდ არის აღბეჭდილი ჩვენს თანამედროვე ბელეტრისტიკაში და ამიტომ მეც აღარ გამოვუდგები ამ მოვლენის უფრო ვრცლად განხილვას. ამჟამად უფრო საყურადღებოა იმ ცვლილების განხილვა, რომელიც მოხდა და დღესაც ხდება ჩვენი მოწინავე თაობის აზროვნებაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, მესამოცე წლებამდე ჩვენი მოწინავე თაობა ერთფეროვანი იყო; მასში ყველა ერთი მიზნით იყო გატაცებული, ყველას ერთგვარი აზრი და შეხედულებანი ჰქონდა, აქ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. მესამოცე წლებში გლეხობის გათავისუფლებამ გაპყო მოწინავე თაობა და წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა: ერთი ნაწილი დაადგა არისტოკრატიულ-კონსერვატულ გზას, მეორე დემოკრატიულ-პროგრესულს. მეორე ცდილობდა ევროპული ცხოვრების გადმონერგვას ხამშობლო ნიადაგზე, პირველს კი ეს აზრადაც არ მოსდიოდა, არსე-

ბულით კმაყოფილი იყო და მის შენარჩუნებას მეცადინეობდა. ჩვენ დავინახეთ, როგორ შეხვდა თითოეული ეს ნაწილი კაპიტალიზმის აღორძინებას ჩვენს ცხოვრებაში. ჭეშმარიტება იმდენად ცხადი იყო, რომ დიდხანს მისი დაუნახაობა შეუძლებელი აღმოჩნდა; ჩვენი მოწინავე თაობის პირველმა ნაწილმაც დაინახა ყოველივე და სასოწარკვეთილებას მიეცა. სასოწარკვეთილების მწვავე ხანამ განვლო. არისტოკრატიის იდეოლოგები დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლად იღებდა წყობილების ახალ ფორმას და ამიტომ ლოდინი შეუძლებელი იყო, — საჭირო გახდა ახალი დროის შესაფერი სამოქმედო პროგრამა. ამ ახალი პროგრამის ძებნაში გამოაშკარავდა, ერთი მხრით, მთელი მათი უნიადაგობა, მეორე მხრით, მათი ტრაგიკული მდგომარეობა. მათ უნდოდათ საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმა და ძველი ერთად შეედუღებინათ, მხოლოდ ისე, რომ უპირატესობა ფეოდალური არისტოკრატიის ხელში ყოფილიყო, მათ დაუწყეს ქადაგება არისტოკრატიას: ახალი დრო დადგა, ძველი ფარ-ხმალი აღარ ვარგა და სხვა იარაღია საჭიროო, ე. ი. ურჩევდნენ: ბურჟუად გადაიქეცითო! მას სურდა რომ ბატონყმური „ჰარმონია“ და უფროს-უმცროსობა ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილს შორის არ დარღვეულიყო, და, რადგანაც ყოველივე ეს მიწათმფლობელობაზე იყო დამყარებული ბატონყმურ წყობილებაში, ამიტომ არისტოკრატიას ურჩევდნენ: მამულს ხელი ჩასჭიდე, სოფლად გამაგრდი და მეურნეობა ააყვავეო. ამგვარად, რა გამოდიოდა? არისტოკრატიის იდეოლოგებს, რომლებიც არისტოკრატიულ კონსერვატულ ნაწილს შეადგენდნენ, სურდათ, რომ ჩვენი ფეოდალური აოისტოკრატია ერთი ფეხით ქალაქში მდგარიყო, მეორე ფეხით სოფელში, ცალ ხელში სჭეროდა გაძლიერებული მრეწველობა, მეორეში მეურნეობა, და ამგვარად ცხოვრების სრული ბატონი ისევ ძველი არისტოკრატია ყოფილიყო. რადგანაც ყოველივე ეს ერთად შეუძლებელი იყო, შეუძლებელი იყო ახალთან ერთად იმ ძველის შენარჩუნებაც, რომელსაც ახალი უარყოფდა, შეუძლებელი იყო ახალის გადამახინჯება ძველ გემოვნებაზე ფეოდალური არისტოკრატიის საამოდ და სასარგებლოდ, ამიტომ პრაქტიკული პროგრამის შემუშავების მაგიერ არისტოკრატიის იდეოლოგებს ნიადაგი გამოეცალათ და ჰაერში დაკიდებული დარჩნენ...

მეოთხმოცე წლებში ჩვენმა მოწინავე თაობამ გამოიღო პატარა შტო; ამ შტომ დაიჭირა საშუალო ალაგი არისტოკრატიულ-კონსერვატულ ნაწილსა და დემოკრატულ-პროგრესულ ნაწილს შორის. ამ შტოს სრული დახასიათება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც მას გარკვეული ფიზიონომია არ ჰქონია, მაგრამ რადგანაც მას

დიდი მსგავსება ჰქონდა პირველ ნაწილთან, მეორესთან კი არავითარი და რადგანაც მისი სიმპათია გლეხისკენ იყო. ამიტომ შეგვიძლია, ამ შტოს ვუწოდოთ კონსერვატულ-დემოკრატული ნაწილი. ჩვენს ლიტერატურაში ეს ნაწილი ცნობილია „ტეტიათა მოტრფიალეთა“ სახელით, როგორც პირველი ნაწილი ჩვენი მოწინავე თაობისა, ისე ეს საშუალო ნაწილი წინააღმდეგი იყო კაპიტალისტური წყობილების, მისი სული და გული ჩვენებურს, ქართულს ეკუთვნოდა. ხოლო თუ პირველ ნაწილში ცხოვრების მეთაურად მხოლოდ არისტოკრატია უნდოდა, საშუალო ნაწილს სურდა. რომ ჩვენი ცხოვრება ყოფილიყო იდეური, თავადი თავადად დარჩენილიყო, გლეხი გლეხად, ხოლო ცხოვრების მართვა ისე უნდა ყოფილიყო განაწილებული თავადსა და გლეხს შორის, როგორც მამასა და შვილს შუა. ტეტიათა მოტრფიალენი ეტრფოდნენ გლეხს, მაგრამ მხოლოდ იმ გლეხს, რომელიც წარმოშობა ბატონყმობამ: მორჩილს, მშვიდს და წყნარს. მათ აზრით, ეს გლეხი შეადგენდა ჩვენი ცხოვრების გვირგვინს და სრულს უნაკლულობას, მხოლოდ ასეთ გლეხსა და თავადს შორის არსებული მამაშვილური კავშირი უქადდა ჩვენს ერს ბედნიერ და კულტურულ ცხოვრებას და ამიტომ დემოკრატულ-კონსერვატული დასი ყოველგვარი ახალი წყობილების წინააღმდეგი იყო. მაგრამ ახალი წყობილება ამ დასის გემოვნების დაუკითხავად იკიდებდა ჩვენს ცხოვრებაში ფეხს, მისი ზეგავლენით გლეხი იცვლებოდა ნელ-ნელა მთელი თავისი ბუნებით, მამაშვილური კავშირი გლეხსა და თავადს შორის კი არსად ჩანდა და ამიტომ ეს დასიც სასოწარკვეთილებას მიეცა ნელ-ნელა. ამ დღიდან ეს დასი მიეკედლა ჩვენი თაობის პირველ ნაწილს, რომ მასთან ერთად ეღონა რამე ძველი წყობილების დარღვევის წინააღმდეგ და თავისი დამოუკიდებელი ფიზიონომია სავსებით დაკარგა. დღეს აქა-იქ ჩვენს საზოგადოებაში ობლად დარჩენილან თითო-ოროლა ტეტიათა მოტრფიალენი, რომელთა არსებობასაც მოგვაგონებს მხოლოდ მათი დროგამოშვებითი გლოვა ლიტერატურაში — წარსული ბატონყმური წყობილების დაკარგვის გამო და აწმყოს კრულვა. ტეტიათა მოტრფიალეობა ჩვენ ცხოვრებაში წარმოშობა, ერთი მხრით, რუსეთის „ნაროდნიკთა“ იდეების გავლენამ, მეორე მხრით, კაპიტალისტური წყობილების აღორძინებამ. ჩვენი მოწინავე თაობის პირველმა ნაწილმა ეს ცვლილება ვერ შეამჩნია, რადგანაც მას სრულებით არ მოელოდა, მეორემ კიდეც შეამჩნია და კიდეც გამოიცნო ის; საშუალო ნაწილმა კი თუმცა შეამჩნია ის, მაგრამ მისი გამოცნობა ვერ შეძლო, ამავე დროს მას ჩაეწვეთა ყურში „ნაროდნიკების“ იდეები, მათი ზეგავლენით ხელი ჩასჭიდა ჩვენს ცხოვრებას და ყოველგვარი ცვლილება აღიარა. 1901 წ.

1900 წლის სიტყვაკაზმული მწერლობა

ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა დიდი ხანია არ ყოფილა ისე სუსტი და უნაყოფო, როგორც წარსულ წელს. ბ-ნი ს. მგალობლიშვილის „წარსულიდან“ მთელი ორი წელიწადი იბეჭდებოდა „მოამბეში“; ამიტომ ის უფრო 1899 წელს ეკუთვნის, ვიდრე წარსულს: „ნავარდობას“ იმდენი სახელოვნო ნაკლოვანებანი აქვს, რომ მას ის გაცვეთილი აზრიც კი ვეღარაფერს შველის, რომელიც ავტორს მისთვის სარჩულად დაუდვია. დარჩა თითქმის ერთადერთი „ქამუშაძის გაჭირვება“. ამიტომ თუ წარსული წლის სიტყვაკაზმული მწერლობიდან მხოლოდ ისეთი ნაწარმოები აღვნიშნეთ, რომელიც ნამდვილ სახელოვნო ქმნილებას წარმოადგენს, თითქმის იგივე უნდა გავიმეორო, რაც უკვე მითქვამს მთელი წლის განმავლობაში ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ; ეს კი არც ჩემთვის და არც მკითხველისათვის საყურადღებო არ არის. ნაწარმოებთა ღირსების განურჩევლად, ვეცდები, ერთად მოვუყარო თავი ყველა იმ კითხვასა და აზრს, რომელიც წამოაყენა წარსულ წელს ჩვენმა სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ, და ამით მკითხველს დავანახვო, რას გვეუბნებოდა მთელი წლის განმავლობაში ჩვენი პოეზია, ჩვენი ცხოვრების ან ჩვენი სულიერი მდგომარეობის რა მხარეს უფრო აქცევდა ყურადღებას.

სიტყვაკაზმული მწერლობით წარსულ წელს ყველაზე ნაყოფიერი „მოამბე“ იყო. იქ დამთავრდა ს. მგალობლიშვილის ვრცელი მოთხრობის ბეჭდვა. მოთხრობა ძალიან საყურადღებოა, რადგანაც შეეხება უმთავრესად ისეთი დროის სწავლა-განათლების მდგომარეობას, რომლის შესახებაც ჩვენს მწერლობაში ძალიან ცოტა რამ თქმულა. ეს ნაწილი მოთხრობისა ცოცხლად და ოსტატურად არის დაწერილი. ავტორის აღწერას ჩართული აქვს იუმორი, მაგრამ თავიდან ბოლომდე ეს იუმორი იმდენად უმანკოა, რომ გულდაგულ სიცილის მეტს ვერაფერს გამოიწვევს მკითხველში. მოთხრობის ნაწილებს შორის მეტად სუსტი კავშირია. პირველ ნაწილს დანარჩენებ-

თან მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ შაქრო გეგელაშვილი ედიშერის შვილიშვილია, მაგრამ რადგანაც შაქროს მთელ მოთხრობაში სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ავტორმა მისი ვინაობა მხოლოდ იმიტომ გაგვაცნო, რომ ორმოცდაათიანი წლების სწავლა-განათლების შესახებ დაეწყო ლაპარაკი, ამიტომ პირველი ნაწილი მოთხრობაში ზედმეტად მიგვაჩნია. მაშ, რისთვის დასჭირდა ავტორს მთელი ამ ნაწილის მიწებება? ნუთუ მას არავითარი მიზანი არა ჰქონდა? არა, ავტორს თავისი მიზანი კარგად ჰქონდა გამორკვეული, როდესაც პირველ ნაწილს უკავშირებდა მთელ მოთხრობას. ბ-ნი ს. მგალობლიშვილი დიდი ხანია გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ერთხელვე არჩეული გზიდან მას აღარ გადაუხვევია. როგორც პირველი მისი მოთხრობები, ისე ეს უკანასკნელიც გაჟღენთილია ავტორის ღრმა სიყვარულით გლეხისადმი; ის დიდი თანაგრძნობით ხატავდა და ხატავს ამ გლეხს, იდეალურის პრიზმით სინჯავს როგორც მის ბუნებას, ისე მის ცხოვრებას... რადგანაც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კარგა დრომ გაიარა, ამ დროის განმავლობაში ცხოვრება შეიცვალა და შეიცვალა მასთან ის გლეხიც, რომელიც ამ ჯგუფის მწერლობის ტრფიალს წარმოადგენდა. ასეთ გარემოებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ტეტიათა მოტრფიალეებს გული გაუტყდათ აწმყოზე..

ავტორმა დაგვიხატა ძველი აზნაური, ედიშერ გეგელაშვილი, მისი დამოკიდებულება გლეხებთან, მისი თავგამოდება გლეხობისათვის და სხვა. თუკი ადამიანს სჩვევია ცალმხრივად რაიმე კითხვის აწონვა და გადაჭრა, ქართველმა ადამიანმა ასეთ ცალმხრივობაში, მგონი, ყველას გადააჭარბა. ეჭვს გარეშეა, ბატონყმობის დროს იყვნენ ისეთი პირები, როგორც ედიშერ გეგელაშვილი, მაგრამ ამ გამონაკლისის განზოგადება და იმის ქადაგება: ბატონყმობა მამაშვილური ინსტიტუტი იყოო — ერთი დიდი შეცდომაა. კერძო ფაქტი რომ რასმე გვეუბნებოდეს იმის მეტს, რომ გამონაკლისი ყოველ სფეროში არის, ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების შესწავლა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ამ წარსულს ავტორი ძალიან •მაღლებს აწმყოსთან შედარებით, მაგრამ წარსულის ღირსების შესახებ ძალიან ცოტას გვეუბნება; მხოლოდ მწუხარებით გვიცხადებს: „იღუპება ყველაფერი, რასაც კი ძველი ელფერი ედო: სიმღერა, გალობა, შექცევა, თამაშობანი, სხვადასხვა გვარი ძველი ლხინი, ლექსით და ზმით კამათი"-ო, მაგრამ ყოველივე ამის დაღუპვაში საგოდებელს ვერაფერს ვხედავთ. მოთხრობაში საყურადღებო პირს წარმოადგენს გიგოლა გულიაშვილი და საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, თუ როგორ ებრძვის მას ხალხი და როგორ ამარ-

ცხებს. გიგოლა გულიაშვილი ნათლად გვიმტკიცებს, რომ დღევანდელი ჩვენი ცხოვრება კანონიერი შვილია ჩვენი წარსულისა, თუმცა ამ წარსულს დღეს ის ძალიან ცოტაშიღა ჰგავს. ერთფეროვან „მასას" გლეხობა არ წარმოადგენდა ბატონყმობის დროსაც კი, მაგრამ მაშინდელი დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის, აგრეთვე ყმებს შორისაც, ამ დიფერენციაციის გაფურჩქვნას და ნათლად გამოაშკარავებას წინ ეღობება. როდესაც ეს ხელშემშლელი მიზეზი მოისპო, ჩვენი ცხოვრება ნელ-ნელა გადასხვაფერდა ისე, როგორც უნდა გადასხვაფერებულიყო. სადაც მიგვიყვანს ასეთი ცხოვრება, მომავალი დაანახვებს, ვინც მოესწრება, ხოლო უკან რომ ვეღარ დავბრუნდებით, ეს ყველასათვის ცხადია.

წარსულ წელს „მოამბეში" დამთავრდა მელანიას „ნავარდობა", რომლის შესახებ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი.

ყველაზე უფრო საყურადღებოა როგორც „მოამბეში", ისე წარსული წლის მთელ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ბ-ნი კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება "იყო. ამ მოთხრობის შესახებ „კვალ-ში" ვრცელი წერილი იყო და ამიტომ მას აღარ დავუბრუნდებით ავტორი მეტად დაკვირვებით ადევნებს თვალყურს ჩვენს ცხოვრებას და თავის დროზე აღნიშნავს ხოლმე ყოველ ახალსა და საყურადღებო მოვლენას. ამ მოთხრობაში ავტორმა თვალწინ წამოგვიყენა საუცხოოდ დახატული რამდენიმე სურათი ჩვენი ცხოვრებიდან. რომელთა დასკვნაც თავისთავად ცხადია ყოველი მკითხველისათვის. რა არის ეს დასკვნა? — სოფლის აზნაურობის გაღატაკება, წოდებათა ერთმანეთში აღრევა და სამოქალაქო გზაზე მათი გამოსვლის აუცილებლობა. ახალი მოვლენა, რომელზედაც ავტორმა მიგვითითა, არის წმინდა პროლეტარის გაჩენა ჩვენს ცხოვრებაში; ოტია სრულებით მოსწყდა მიწას. მან გაჰყიდა ყველაფერი სოფლად და ქალაქს მიმართა, რომ იქ ეძიოს თავისი ბედი.

წარსულ წელს „მოამბეში" დაიბეჭდა ბ-ნ შ. არაგვისპირელის რამდენიმე ეტიუდი და ერთი ვრცელი მოთხრობა. პირველში, „უცნაურია, უცნაური!", მან დაგვიხატა სნეული ადამიანი, ამნონი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა თამარი, და როდესაც სქესობრივი გრძნობა დაიკმაყოფილა, თამარი მის თვალში სათელავ მჩვრად გადაიქცა და სიყვარული გაუქარწყლდა. ავტორს რომ ამნონი სნეულ ადამიანად მიაჩნდეს, ჩვენ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ავტორს თავისი გმირი საღი ადამიანი ჰგონია და ამიტომ ეტიუდის დედააზრიც სრულებით მცდარია. ავტორს რომ მარტო თავის საკუთარი წარმოდგენისათვის არ დაეჯერებია და სინამდვილისათვის მეტი ყურადღება მიექცია, დარწმუნდებოდა, რომ მარტო სქესობრივი გრძნო-

ბის დაკმაყოფილება არათუ არავის არ უქარწყლებს სიყვარულს, კიდეც უძლიერებს. მეორე ეტიუდი, „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!“, თავიდან ბოლომდე გაუგებარია. ახალგაზრდა ერასტიმ მეუღლე შეირთო, ბედნიერების მაგიერ უბედურებას შეეყარა და თავისი თავი მხოლოდ მაშინ იგრძნო ბედნიერად, როცა ცოლმა თავი დაანება. რასაკვირველია, ისეთი მეუღლის მოშორება, რომელთან ცხოვრება დაუსრულებელ ტანჯვად გადაქცევია მეორეს, ბედნიერებაა და ამ აზრში არც არავინ შეეცილება ავტორს, ხოლო გაუგებარია ეტიუდში, რად შეიძულა ელისაბედმა ერასტი ჯვარის დაწერის პირველ დღიდანვე? ერასტი გვატყობინებს, რომ მისი მეუღლე სხვებს არ ჰგავდა, მაგრამ მისი სასიათის შესახებ ამის მეტს არას ამბობს. ყოველი სტრიქონის კითხვის დროს თვალწინ გეხატებათ მხოლოდ ავტორის სურვილი; რად შეიძულეს ცოლ-ქმარმა ერთმანეთი? მხოლოდ ერთი პასუხია: იმიტომ, რომ ავტორს ასე სურს. რატომ ვერ გრძნობდა ცოლი ქმართან ბედნიერებას? იმიტომ, რომ ავტორს ასე სურს. თუკი ცოლი და ქმარი ერთად ვერ თავსდებიან, ამის მიზეზი მათსავე ხასიათში უნდა იმალებოდეს, ან მათს გარეშე; ავტორმა კი არც ერთი დაგვანახვა, არც მეორე. ერასტის სიტყვები: „ველა ქმრებმა რომ ჩემსავით გულახდილად გიამბონ, იქნება ათასში ხუთი არ იყოს კმაყოფილი თავისი მეუღლისო, გვარწმუნებენ, რომ ავტორი სკეპტიკურად უყურებს ცოლქმრულ კავშირს და ცოლქმრობა თითქმის უბედურებად მიაჩნია. ამ ეტიუდში, სხვათა შორის, ის აზრიც არის გატარებული, რომ გასათხოვარი ქალის ხასიათის გაგება შეუძლებელია. ზოგიერთ თავის წინანდელ ეტიუდშიაც ავტორი ქალის ზნეობრივ მხარეს სკეპტიკურად უყურებს; ზოგიერთი მისი ეტიუდის ქალი იმდენად უზნეოა და დაცემული ბუნების, როგორისაც მის ნაწერებში ვერც ერთ მამაკაცს ვერა ვხედავთ. თუ სჩადის მის ეტიუდებში მამაკაცი რაიმე სისაძაგლეს, წინდაწინვე დიდი ხნით განზრახული მიზნით კი არა, არამედ ავადმყოფი ბუნების წყალობით, ან განუზრახავად, ერთბაშად. ქალები წინდაწინვე დიდი ხნით განზრახული მიზნით ეპირებიან რაიმე უზნეო მოქმედებას. გაიხსენეთ მისი ერთი გასათხოვარი ქალი, რომელიც ერთ ყმაწვილს მეუღლეობის თანხმობას უცხადებს, ესიყვარულება კიდეც და ამავე დროს მეორეს წერილსა წერს: „რაღაი გავთხოვდები, ჩემო საყვარელო, შენი ვიქნებიო. რამდენად უზნეო, გარყვნილი ხასიათის უნდა იყოს გასათხოვარი ქალი, რომ ეს მოიმოქმედოს! ჩვენს ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ამგვარი ქალი ჯერ არ წარმოუშვია და ღმერთმა ნუ აქმნას, წარმოშვას; მაგრამ ავტორის ერთ ღირსებას ის შეადგენს, რომ ჩვენს ბელეტრისტებში მან პირველმა გადააბიჯა

გაბედვით ჩვენი ცხოვრების საზღვრებს და გვაძლევს ისეთ ფსიქოლოგიურ მომენტებს, რომლებიც საერთოა ყოველი ადამიანისათვის, რა ცხოვრებისაც უნდა იყოს ის. ხოლო ასეთი მაგალითები ამტკიცებენ, რომ ავტორს ქალის ზნეობაზე შემცდარი შეხედულება აქვს. მის თვალში მამაკაცი ზნეობრივად მაღლა დგას ქალზე. ავტორის ასეთსავე შეხედულებას უნდა მივაწეროთ ზემოხსენებულ ეტიუდში გამოთქმული აზრი, ვითომ გასათხოვარი ქალის ხასიათის გამოცნობა შეუძლებელი იყოს. თავის ნაკლულევანებათა დაფარვა და ღირსებათა გამოფენა, თავისი თავის იმაზე უკეთესად ჩვენება, ვიდრე ნამდვილად ვართ, საზოგადოდ სჩვევია როგორც მამაკაცს, ისე ქალსაც. ეჭვს გარეშეა, ქალი ამ მხრივ მამაკაცს აჭარბებს, რადგანაც მისი უმთავრესი ასპარეზი ცხოვრებაში დღესდღეობით ისევ ოჯახი და ამიტომ უმთავრესი მიზანიც — გათხოვება, რაც მოწონებაზე არის დამოკიდებული; ის თვით ცხოვრებისაგან იძულებულია უფრო ეცადოს, მოგვაწონოს თავი, ვიდრე მამაკაცი ცდილობს, ხოლო ამ მეცადინეობაში მას იმდენი მოხერხება რომ განევითარებიოს თავის ხასიათში, ვითომ მისი ნამდვილი ხასიათის გამოცნობა შეუძლებელი იყოს, სანამ ის გასათხოვარია, — შეცდომაა: თუ მისი ყურადღება დღესდღეობით უმთავრესად გათხოვებისაკენ არის მიქცეული და ამიტომ ცდილობს, ახალგაზრდა კაცის წინაშე ყოველი თავისი ნაკლულევანება დაჰფაროს, სამაგიეროდ, მამაკაცს ცხოვრებაში ფრიად ვრცელი ასპარეზი ჰქონდა და აქვს დღესაც ქალთან შედარებით; ის ავარჯიშებდა და ავარჯიშებს თავის გონებას, ვიდრე დედაკაცი; ასეთ ვარჯიშს კი აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ის შედეგი, რომ მას დედაკაცზე უკეთ შეუძლია თავი გვაჩვენოს იმად, რაც ნამდვილად არ არის. ქალში გრძნობა უფრო ძლიერია და დამოუკიდებელი, ვიდრე მამაკაცში, მას თავის დამალვა დიდხანს არ შეუძლია, — გრძნობათა სიძლიერე მალე გასცემს ხოლმე მას და ამიტომ არ არის ის შეხედულების ღირსი, რომელსაც ავტორი „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!"-ში გვაწვდის.

შემდეგ ეტიუდში ბ-ნი არაგვისპირელი გვიხატავს, თუ როგორ ეარშიყება მეგობარი მეგობრის ცოლს და, როდესაც მას არცხვენენ, ის ხარხარით უპასუხებს: ბალღი ყოფილხარო. ჩვენს წინ დგანან ორი სხვადასხვა შეხედულების პირნი ერთისა და იმავე კითხვის შესახებ; არჩილი და ელიზბარი. პირველს უყვარს სხვისი ცოლი და ამაში უზნეოს სრულებით ვერაფერს ჰხედავს. მეორეს კი ეს საშინელ უზნეობად მიაჩნია. რომელ შეხედულებას ემხრობა ავტორი, ეტიუდში არ ჩანს და არც არის ეს საჭირო. მან დაგვიხატა ორი მო-

პირდაპირე შესედულება და მკითხველის საქმეა, რომელს მიემსრ-ბა და რომელს უარყოფს.

ცოლქმრული კავშირის დარღვევა უზნეობაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უზნეობაა საზოგადოდ დარღვევა ყოველგვარი პირობის, რომელსაც ადამიანი თავისი ნებითა სდებს: ზოგიერთ შემთხვევაში ეს უზნეობა თუ გასაკიცხია, ზოგიერთში გასამართლებელია, იმისდა მიხედვით, თუ რამ გამოიწვია ამ პირობის დარღვევა. სადაც სიყვარული აღარ არის, ოჯახის სიმტკიცე მარტო გონებაზედ არის დამყარებული და რადგანაც სულ ხშირად გრძნობა გონებას არ ემორჩილება, ოჯახის ღალატიც აუცილებელი ხდება. თუკი გივის ცოლი ღალატობს, ეჭვს გარეშეა, ქმართან მას მხოლოდ კანონი აერთებს და შეიძლება კიდევ — რაიმე მოსაზრება, საოჯახო ინტერესებით გამოწვეული, არჩილთან კი — სიყვარული. თუმცა არჩილისა და გივის მეუღლის მოქმედება სრულებით აუცილებელი-, მაგრამ მიუხედავად ამისა უზნეო, რადგანაც ცოლი არღვევს პირობას, არღვევს ამით გივის ბედნიერებას, რომლისთვისაც შეიძლება ცხოვრებაში ერთადერთ ნუგეშს ოჯახი შეადგენდა, უბრუნებს ბედიღბალს შვილებს, რომელთა წარმოშობისა და აღზრდისათვის ის გივის უერთდება, — მაგრამ რა დიდიც უნდა იყოს უზნეობა, რომელიც ცოლის, ან ქმრის ღალატში გამოისატება, უმეტესი უზნეობა მაინც ის არის, როდესაც ეს ღალატი დაფარულია და არა პირდაპირი, აშკარა, გამოტეხილი. ცოლი რომ უცხადებდეს გივის: მე შენთან ცხოვრება არ შემიძლია, რადგანაც არჩილს ვეკუთვნიო, არჩილიც რომ ასე იქცეოდეს და გველის ქერქში არ ეჩვენებოდეს მეგობარს, შესაბრალისი იქნებოდა მხოლოდ გივი, არჩილსაც და გივის მეუღლეს კი ვერ გავკიცხავდით: გრძნობის დამორჩილება ხომ ყველას არ შეუძლია! დღეს არჩილსაც და მის საყვარელსაც ყველა გაჰკიცხავს, რადგანაც ისინი ორივენი ქურდულად იქცევიან, ორივენი ატყუებენ გივის. ამ მეორე უდიდეს უზნეობაშიაც კი არც ერთი და არც მეორე დამნაშავენი არ არიან. დამნაშავეა ის საზოგადოებრივი წყობილება, და მისგან გამომდინარე კანონი, რომელიც მათ სიყვარულს ამახინჯებს, რომელიც შეყვარებულ ქალსა და კაცს არ აერთებს და სიფლიდეს და სიცრუეს აიძულებს, ამგვარად, ცოლქმრული პირობის დარღვევა უზნეობაა უსათუოდ, მაგრამ ეს უზნეობა ჩირქს არ სცხებს ადამიანს, თუ ის საპატიო მიზეზებით არის გამოწვეული; ხოლო, როდესაც დარღვეულ პირობას სარჩულად კანონი ედება, ეს გაცილებით მეტი უზნეობაა. რომ არ ირღვეოდეს ცოლქმრული პირობა, ხომ ყველას აჯობებდა, მაგრამ რადგანაც ეს შეუძლებელია, ამიტომ ერთი გზაღა არის მხოლოდ: სიყვარულს თავი-

სუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, მას კანონი არ უნდა ეღობებოდეს წინ და მომავალში ასეც იქმნება.

ამგვარად, თავის სამ ეტიუდში ბ-ნი არაგვისპირელი შეეხო სხვადასხვა მხრით სქესთა შორის ურთიერთობას. პირველ ეტიუდში მან სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილება სიყვარულის გამაქარწყლებელ და ქალის დამამცირებელ აქტად აღიარა — მეორეში ორივე მხარესათვის ბედნიერებად ჩათვალა ისეთი ოჯახური კავშირის შეწყვეტა, რომელიც სიყვარულზე არ არის აშენებული; მესამეში კი დაგვანახვა ოჯახური უზნეობა, რომელიც, ერთი მხრით, ნაყოფია ადამიანის ბუნების და ამიტომ აუცილებელია, მეორე მხრით — კი კანონის ჩარევით იქ, საცა მას ალაგი არა აქვს, და ამიტომ ასაცილებელი.

ავტორის ორი დანარჩენი ეტიუდიც „ეჰ“ და „ბუნების მეფენი“ საერთო აზრით არიან შეერთებულნი. პირველში ავტორმა დაგვიხატა, თუ როგორი მხიარულებით უხვდება ბუნება ადამიანის უბედურებას, მეორეში კი ადამიანის სრული უძლურება და არარაობა ბუნებასთან შედარებით. ორივე ეტიუდში ავტორი გვიმტკიცებს, რომ ბუნება ადამიანისათვის კი არ არის გაჩენილი, არამედ ბუნება ცხოვრობს თავისი საკუთარი სიცოცხლით, ადამიანი კი მასში ისეთივე წარმავალი სტუმარია, როგორც ყოველი ცხოველი, პატარა ფუმფლადან მოყოლებული. უძველესი დროიდან ფილოსოფიაში ის აზრი არსებობდა, რომ ადამიანი მეფეა ბუნების: დედამიწა, მთელი მისი სილამაზე-სიმდიდრით, მისთვის არის გაჩენილი, მზე და მთვარე მას ემსახურებიან. ახლა ეს უარყოფილია. დარვინმა დაგვანახვა, რომ ადამიანს სრული ნათესაობა აქვს დანარჩენ ცხოველებთან, ის მათი სისხლი და ხორცია; მას შეუძლია ისარგებლოს მით, რაც მისთვის გამოსადეგია, ხოლო დედამიწა, მზე და მთვარე მისთვის არავის გაუჩენია; იყო დრო, როდესაც ის არ ყოფილა დედამიწაზე. დედამიწა კი ტრიალებდა, მასზე ურიცხვი ცხოველნი და მცენარენი ხარობდნენ. მზე და მთვარეც ანათებდნენ; მოვა დრო, როდესაც უკანასკნელი ადამიანი დედამიწაზე სულს დალევს, დედამიწა, მზე და მთვარე კი ისევ დარჩებიან და ისევ დიდხანს იტრიალებენ.

ბ-ნი არაგვისპირელის ერთი ეტიუდი „ჟედილას გოდებ›“ გამეორება არის ავტორის ერთ-ერთი თემისა; ამ თემის სახელოვნო ფორმაში ჩამოსხმა საუცხოოდ ეხერხება ავტორს.

ამ ეტიუდში გატარებულია ვეგეტარიანული აზრი, რომელსაც ჩვენში ძალიან ცოტა მომხრე ჰყავს. ვეგეტარიანიზმს მხოლოდ ერთადერთი მტკიცე საფუძველი აქვს: პირუტყვი თითქმის იმნაირივე არსებაა, როგორც ადამიანი, — მხოლოდ განვითარებით უკან ჩა-

მოგვრჩენია და სხვა გზას დადგომია; სიცოცხლის სიყვარული მასაც იმდენადა აქვს ყოველ უჯრედში გამჯდარი, როგორც ადამიანს; მისი ღაკვლა იმდენადვე საცოდაობაა, როგორც თვით ადამიანისა და ამიტომ მისი სიცოცხლის მოსპობა ჩვენი კუჭის გასაძღომად აუცილებლად უზნეობაა; ასეთ მოვლენას ადამიანის გრძნობა უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ავტორიც სწორედ ამაზე მიგვითითებს თავის „ჭედილას გოდებაში". სამწუხაროდ, ასეთი უზნეობა ადამიანის მოთხოვნილებად არის გადაქცეული. მისი მოსპობა შეუძლია ერთ პირს, ორს, რამდენიმე ადამიანს, მაგრამ მთელმა კაცობრიობამ რომ ხელი აიღოს ხორცეულ საზრდოზე, ეს ტყუილი იმედია.

•

თუ ჩვენმა პოეზიამ დაანება თავი წარსულს და მთელი თავისი ყურადღება აწმყოს მიაქცია, ჩვენი დრამატული ხელოვნება ისევ იმ მდგომარეობაშია, რომელშიაც ის მისმა მამამთავარმა გ. ერისთავმა დასტოვა: თუ კომედია დაიწერება, მასში სრულიად უმანკო სიცილის გამომწვევი კომბინაციებისა და სიტყვების მეტი არაფერია; თუ დრამა ან ტრაგედია, — წარსული დროის სისხლისღვრის მეტს ვერასა ჰპოებთ შიგ. დრამატული ხელოვნების საგანი არის ადამიანის ფსიქოლოგია, ამ ფსიქოლოგიის ხატვა სხვადასხვა მომენტებში, სხვადასხვა ხასიათის, ტემპერამენტის და ზნეობის პირებში დრამატული პოეზიის მიზანს შეადგენს. ჩვენი დრამატული პოეზია კი თავის ნამდვილ საგანს და მიზანს სრულებით დაშორებული იყო და ახლაც ამ მდგომარეობაშია. ყოველ ახალ პიესას განახლებული იმედით ეგებები, მაგრამ ეს იმედი ისევ მალე ჩაქრება ხოლმე. ასე დაგვემართა „ასული ისრაელისას" კითხვის დროსაც. ავტორმა აიღო ისტორიული ფაქტი, გაამეორებია-ის ჩვენ თვალწინ მომქმედ პირებს და ბოლოს მშრალი ფაქტი ფაქტადვე დარჩა. ტრაგედიის სხვადასხვა ალაგას გაბნეულია ბევრი კარგი აზრი, მაგრამ ყველა ეს გაქარწყლებულია მთელი პიესის უაზრობით: თუ როგორ უნდა თავისუფლებისათვის თავის განწირვა, ეს ძალიან ბევრჯერ გვსმენია, ბევრი მაგალითიც დაგვიტოვა მისი ისტორიამ და განუწყვეტლად მის გამეორებას და გახსენებას მხოლოდ ის შედეგი მოსდევს, რომ ყველას ბეზრდება და აკი მოგვბეზრდა კიდეც!

როდესაც ბ-ნი ან. ფურცელაძე პიესას წერს, თითქოს განგებ ცდილობს, რომ პიესა სცენისათვის უვარგისი გამოვიდეს. დიდი სახელოვნო ღირსებაც რომ ჰქონდეს მის ახალ ტრაგედიას, ერთ ნაკლად მაინც ის იქნება, რომ სცენისათვის სრულიად გამოუსადე-

გარია; მე არ ვიცი არც ერთი პიესა, სადაც ამდენი და ამსიგძე მონოლოგები იყოს. მეოთხე და მეხუთე მოქმედებაში ალაგ-ალაგ ბრბოს ფსიქოლოგია კარგად არის დახატული, სამაგიეროდ, მომქმედ პირთა ფსიქოლოგია მეტად სუსტია და ბევრგან ყალბიც. თავმოყვარე და გამოცდილი ოლომფრე ბავშვივით ხელში უვარდება ივდითს მაშინ, როდესაც შეუძლებელი იყო, მას მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულობა, არ გამოეჩინა. ოლომფრე მთვრალია; მის გვერდით მარტო ივდითია, რომელსაც მისი მოკვლა განუზრახავს; ივდითისათვის ყოველი წამი ძვირფასია; ოლომფრე უბრალო მეომარი ხომ არ არის, მხედართმთავარია, მას დარაჯობენ. თვალყურს უგდებენ; ყოველ წამს შეიძლება შემოვიდეს ვინმე და ივდითს ხელი შეუშალოს; ივდითი კი ოლომფრეს მოკვლის წინ იმოდენა მონოლოგს გვეუბნება, რომ მთელი სამი გვერდი უკავია. არაფეოი არ აქარწყლებს ისე ილუზიას, როგორც სინამდვილის დამახინჯება.

წარსული წლის „მოამბეში" იყო ბ-ნი ა. ცაგარლის ახალი კომედია „ცისარტყელა", რომლის გარჩევითაც ჩვენს მიმოხილვას დავაბოლოვებთ. იქვე იყო ბ-ნ არაგვისპირელის ვრცელი მოთხრობა „გიული". თუ ერთ მაგალითზე შეიძლება რაიმე დასკვნის დამყარება, მაშინ ეს მოთხრობა ნათლად მიმტკიცებს, რომ ავტორს ვრცელი ნაწარმოების დაწერა არ ეხერხება — მისი სფერო პატარა ეტიუდებია, მხოლოდ მომენტები ადამიანის ცხოვრებისა და არა მთელი ცხოვრება, მხოლოდ ხანმოკლე აფექტები და არა მთელი ფსიქოლოგია. მოთხრობა არათუ არ წარმოადგენს სახელოვნო ნაწარმოებს, აზრიც არ არის მასში საყურადღებო; მოთხრობა იწყება სწორედ იქ, სადაც ის ავტორმა არა ხელოვნურად შეწყვიტა გიულის მოკვლით; მან ოდნავ აღძრა ქერბალაიას გულში ბრძოლა მოვალეობასა და გრძნობას შორის, მოულოდნელადვე ჩააქრო და ამით მოთხრობას მნიშვნელობა დაუკარგა.

ორიგინალური სიტყვაკაზმული მწერლობით, როგორც „კვალი", ისე, „ივერია" წარსულ წელს ძალიან ღარიბი იყვნენ. „კვალი" თავის სიტყვაკაზმულ ნაწილში გვიხატავდა ჩვენი გლეხის კრიტიკულ მდგომარეობას („ივანეს ოჯახის თავგადასავალი"), სიყვარულითა და თან სევდით აგვიწერდა ქალაქის წვრილ მუშა ხალხსა და გაჭირვებულთ (ნატოს ესკიზები), გვახედებდა განათლებული პროლეტარის ფსიქოლოგიაში („უგულობა") და სევდით აღნიშნავდა დღევანდელი ცხოვრების საშინელ უსამართლობას, რაც გამოწვეული ეროვნული სიმდიდრის უთანასწორო განაწილებით („საღამო ქალაქში"). „დაკარგულ საუნჯეში" ბ-ნი თომაშვილი შეეხო ერთ საჭირბოროტო კითხვას, ერთ დიდ უსამართლობას, რომელიც დიდი ხანია

გამოუწვევია ცხოვრებას: ახალგაზრდა ქალი შეცდა, უმანკოება დაჰკარგა და მის საქციელს საზოგადოება ისეთი ზიზღითა და კიცხვით უცქერის, რომ მას თავის მოკვლის მეტი აღარა დარჩენია რა ეს მან ნებით ჰქნა ან თუ უნებლივო, — გვეკითხება ავტორი. ეჭვს გარეშეა, ქალს საზოგადოების მიერ დევნა აკვლევინებს თავს, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ეს ახალგაზრდა ქალი თავის თავს ამტყუნებს და საზოგადოების მხარეზე დგება, იმ საზოგადოების მხარეზე, რომელიც მას სიცოცხლეზე ხელს აღებინებს. როგორც ავტორის მიერ აღნიშნული ფაქტი, ისე ამ ახალგაზრდა ქალის ფსიქოლოგია აშკარად გვიმტკიცებს, რომ ადამიანის რწმენა-შეხედულება ცხოვრების ამა თუ იმ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული; ერთი ეპოქის ადამიანის ფსიქოლოგია იმდენად განირჩევა მეორე ეპოქის ადამიანის ფსიქოლოგიისაგან, რამდენადაც პირველი ეპოქის სოციალური ცხოვრება განირჩევა მეორისაგან. ამა თუ იმ შეხედულებას ადამიანში ცხოვრება ჰბადებს და ავითარებს.

„კრებულის“ მე-2 ნომერში დასტამბული ეტიუდის „ჰა თუ არას“ დედააზრი იგივეა, რაც ბ-ნი არაგვისპირელის „ბალღი ყოფილხარ!“ რა განსხვავებაა გიორგისა და არჩილს 'მორის? როგორ უყურებენ ისინი ცოლ-ქმრის ღალატს? მაშინ, როდესაც არჩილი სრულ თავისუფლებას აძლევს გრძნობას და არავითარ გონებრივ მოსაზრებას, არავითარ მოვალეობას არ უყენებს მას, გიორგი გრძნობას გონების მორჩილათ ხდის. მას უყვარს სხვისი ცოლი, მაგრამ ამ სიყვარულს თვითონვე გაურბის, რადგანაც არ უნდა პატიოსანი ადამიანის სახლში უბედურება შეიტანოს. არჩილს მოგვაგონებს ამავე ავტორის ეტიუდის „არ დამენახო, არას!“ გმირი, — ნიკო. ეს ეტიუდი „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა: ნიკო თავს ანებებს საყვარელ ქალს მაშინ, როდესაც მას უკვე შვილი ჰყავს, თავს შემდეგის სიტყვებით იმართლებს: გიყვარდი, მიყვარდი, ეხლა აღარ მესიამოვნება შენი ალერსი და მეც გშორდები.... გრძნობამ არ იცის, რით დაიწყებს და რით დაამთავრებსო. რომელია მათში მართალი, რომელი მტყუანი? ეჭვს გარეშეა, გიორგი მართალია, არჩილი და ნიკო კი მტყუანი. ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებაში გრძნობას უსათუოდ უნდა ჰქონდეს ხმა. ადამიანს რომ გრძნობელობა არა ჰქონდეს, არათუ სიცოცხლე იქნებოდა უფერული და აუტანელი, თვით ადამიანიც საზიზღარი ეგოისტი იქნებოდა, მაგრამ გრძნობა ბრმა არის, ცალმხრივი, ის თავის მიზნის მეტს ვერაფერს ხედავს, არასფერს არ დაეძებს და ამიტომაც მისი დარაჯი, მისი შეცდომების გამასწორებელი ყოველთვის გონება უნდა იყოს. მართალია, გრძნობა ხშირად გონებას არ ემორჩილება და შეუჩერებლად მიისწრაფვის

თავისი მიზნისაკენ, მაგრამ, როდესაც გრძნობამ უკვე მიაღწია მიზანს, მისი ნამოქმედარის შედეგებში პასუხისმგებელი გონება უნდა იყოს. მას უნდა მიმართოს ადამიანმა და გაასწოროს გრძნობის მიერ ჩადენილი შეცდომები, ნიკოს კი ეს სრულებით დავიწყებია და თავის ეგოისტურ ბუნებას, რომელსაც საკუთარი თავის მეტი არა ახსოვს რა, გრძნობის ძლიერების ქვეშ მალავს. მისი გრძნობა აღარ საჭიროებს მართას, მაგრამ მას საკუთარი შვილი ჰყავს ახლა და ის, თუ ადამიანად მიაჩნია თავისი თავი, მოვალეა ამ შვილის წინაშე; მან დაამცირა საზოგადოების თვალში მართა, გააუბედურა ის, რადგანაც საზოგადოება დღეის იქით მართას თითის საჩვენებლად გახდის, ამიტომ ისევ ნიკომ უნდა აამაღლოს ის საზოგადოების თვალში, ისევ მან უნდა ააცილოს მართას საზოგადოების კიცხვა. ისევ მან უნდა დაუბრუნოს ბედნიერება. როდესაც გრძნობა უკვე დაკმაყოფილდა, სიყვარულის საზღვრები თავდება. აქედან იწყება მოვალეობის საზღვრები, — აქ კი გონება არის მბრძანებელი და არა გრძნობა.

•

ჩვენს პოეზიას ყოველ დარგში ჰყავს ნიჭიერი წარმომადგენლები, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით დრამატული ხელოვნების შესახებ. შესანიშნავი ნიჭის დრამატურგი ქართველებს ჯერ არ გვყოლია, ნამდვილი დრამა და განსაკუთრებით კომედია ჩვენს ხელოვნებას ჯერ ვერ შეუქმნია. როდესაც გადაათვალიერებ ჩვენს კომედიებს, რწმუნდები, რომ ქართველ დრამატურგებს ან ჯერაც ვერ შეუგნიათ, თუ რაში მდგომარეობს კომედიის არსებითი მხარე, — გულუბრყვილო ხარხარში, თუ სხვა რამ უფრო სერიოზულში: ან თუ შეუგნიათ, მათ შეგნებას მათი ძალა ვეღარ შესწვდომია. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება და გონებრივი მდგომარეობა გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ორმოცდაათ წლებში იყო; მიუხედავად ამისა, ჩვენი დრამატული პოეზია ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც მისმა მამამთავარმა დასტოვა. გიორგი ერისთავს კარგად ესმოდა კომედიის დანიშნულება... ის ხშირად უხატავდა საზოგადოებას ჩამაფიქრებელ მოვლენებს მისი საკუთარი ცხოვრებიდან. გიორგი ერისთავი, როგორც დრამატურგი, არათუ შეეფერებოდა თავისი დროის საზოგადოებას, ის მაღლა იდგა იმ საზოგადოებაზე. დღევანდელი დრამატურგი უკეთეს პირობებშია ჩაყენებული: საზოგადოებამ უკვე შეიგნო თეატრის დანიშნულება, მარტო ხარხარი მას აღარ აკმაყოფილებს, ის უფრო ფხიზელი გონებით და უფრო მგრძნობიარე გულით მიდის ახლა თეატრში, ვიდრე ამ ორმოცდა-

ათი წლის წინათ მიდიოდა, მაგრამ დღევანდელი ქართული პიესები მას ვერ აკმაყოფილებს: დღევანდელი ქართველი დრამატურგი საზოგადოების მოთხოვნილებას და გონებრივ მდგომარეობას არათუ ვერ უსწრებს, კვალდაკვალაც ვეღარ მისდევს. ბ-ნ ცაგარლის ახალმა კომედიამ „ცისარტყელამ“ ვერ დაგვირღვია ასეთი შეხედულება. პიესაში ალაგ-ალაგ შეხვდებით კარგ აზრს მაგრამ ყველა ეს ისე ნაძალადევად არის ჩაკერებული კომედიაში, რომ კიდეც გიკვირთ: რას უნდა გამოეწვია ავტორის ასეთი სიუხვე? ეს კიდევ არაფერი, — ნაძალადევად არის ჩაკერებული თუ არა, ისიც კარგია, რომ პიესაში საგულისხმო აზრებს შეხვდება მკითხველი; ხოლო სრულებით გაუგებარია, რა მიაჩნია ავტორს თავის კომედიაში იმ მთავარძარღვად, რომელიც სულს უნდა უდგამდეს კომედიას, რომელიც უნდა შეადგენდეს იმის raison d'etre-ს პიესაში. ასეთი მთავარი ძარღვი არ არსებობს და ამით აიხსნება მისი ტექნიკური სისუსტე: ცალკე მოქმედებებს ერთმანეთში არაფერი არ აკავშირებს, მესამე მოქმედება სრულებით მეტია და საზოგადოდ, პიესა მეტად გაურკვეველსა და დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. როგორც უკვე ვთქვით, დრამატული პოეზიის საგანი ადამიანის სულიერი მდგომარეობის გადმოშლაა; ამიტომ ყოველი პიესის ერთ უმთავრეს პირობას მოქმედება შეადგენს; ადამიანს იმდენად სიტყვა არ ახასიათებს, როგორც საქმე, — კარგი აზრის წარმოთქმა ბევრს შეუძლია, კარგი საქმის ჩადენა კი ძალიან ცოტას. გარდა ამისა, ადამიანის სული, მისი ზნეობრივი მხარე მხოლოდ მაშინ იშლება ჩვენს წინ სრულად, როდესაც მათი პატრონი მარტო ენას კი არ ატრიალებს, მოქმედებს კიდეც.

„ცისარტყელაში“ კი თითქმის არავითარი მოქმედება არ აროის და ამიტომ მომქმედი პირები ისე მკრთალად არიან დახასიათებული. გარდა დარიასი და დათიკოსი, რომ ისინი მხოლოდ ლანდს წააგავენ ცოცხალი ადამიანისას. თუმცა ავტორი თავადაზნაურობის დაცემასაც შეეხო, მეურნეობასაც, საშუალო და უმაღლეს განათლებასაც და ბევრს სხვას, მაგრამ ხელოვნების მხრივ მის კომედიაში საკ ეთესო ალაგია მეორე მოქმედების II, III და IV სანახავი, სადაც დათიკოს ოჯუნჯობის მეტი არაფერია. ამ პიესაში ავტორმა პირველად სცადა სერიოზული კითხვების გადაწყვეტა. მაგრამ ასეთმა ცდამ ძალიან სუსტი ნაყოფი მოიტანა. რად დაარქვა ავტორმა თავის კომედიას „ცისარტყელა?“ ამის პასუხს ჩვენ ვტყობილობთ მეორე მოქმედების მესამე სანახავში: როდესაც ელიკო აცნობს ნიკოს თავის პრინციპებს, აღტაცებული ნიკო უპასუხებს:

„ნიკო. აგრეც უნდა იყოს! მაინც დიდი ბედნიერი ვარ, რომ

ეს მესმის დღევანდელი ქართველი ქალისაგან. ეს მოვლენა ჩვენ ცხოვრების ცისარტყელათ მიმაჩნია!...“

ამგვარად, როგორც ნიკო, ისე თვით ავტორიც ელიკოში ხედავენ ისეთ ქართველ ქალს, რომელსაც უნდა ფუქსავატ და უმიზნო ცხოვრებაში აზრი შეიტანოს და მის განსახორციელებლად იშრომოს; ოჯახს კი არ დააწვეს მეტ ბარგად, არამედ ქმარს შემწეობა აღმოუჩინოს ზნეობრივად და მატერიალურად და ყველა გაჭირვებულს დაეხმაროს. ასეთია ნამდვილად ელიკო? არა. ელიკო არის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ეს არის ახლა დაუმთავრებია სწავლა, გამოსულა ცხოვრებაში, მაგრამ ამ ცხოვრების არაფერი არ გაეგება. მას გაუგონია, რომ სოფლად არიან საბრალო, თმაგაბურძგნული ბავშვები, რომლებმაც წერა-კითხვა არც კი იციან; ყური მოუკრავს, რომ გლეხობა უექიმოდ იხოცება, წაუკითხავს რაღაც ქალთა უფლებების შესახებ და ახლა ის იმეორებს მოუნელებელ აზრებს: ქმარს უნდა დაეხმარო, სოფლად ვიცხოვრო, ბავშვებს ვასწავლო, ავადმყოფებს მოვუარო და სხვ. მას არა აქვს გამორკვეული მსოფლიო შეხედულება, გამორკვეული იდეალები და მაშასადამე, არც ერთხელვე გადაწყვეტილი მიზანი ცხოვრებაში და, კიდეც რომ ჰქონდეს ასეთი მიზანი, მას არა აქვს არავითარი ნება, რომ თავისი მიზანი ოდნავადაც განახორციელოს ცხოვრებაში. მას მუდამ შემდეგი ესიზმრება: მან სოფლად უნდა იცხოვროს, გოგო-ბიჭებს მოუყაროს თავი, ჩაუჯდეს შუაში და ასწავლოს, გლეხები ანუგეშოს, დაარიგოს, ავადმყოფებს მოუაროს, — ე. ი. მისი მიზანია, თავისი თავი სოფელს შესწიროს.

„ეს არის ჩემი ოცნება, რომელიც, უთუოდ უნდა განხორციელდეს, თუ ვიცოცხლე“, გადაჭრით გვეუბნება ის. ამავე დროს ის დარწმუნებულია, რომ თუ მალხაზის მეუღლე გახდა, თავის იდეალებს სრულებით უნდა გამოეთხოვოს და გახდეს უსაქმური, ზარმაცი და კოპწია ქალბატონი. „სხვანაირათ მოქცევა იმის სახლში არ შეიძლება“. მეორე მხრივ, ელიკო დარწმუნებულია, რომ მის იდეალს მხოლოდ ნიკო შეეფერება. აქედან თავისთავად ცხადია, რომ ელიკო ნიკოს ირჩევს, და ის ასეც იქცევა, მაგრამ მალე სცვლის თავის გადაწყვეტილებას და მალხაზს მიყვება. მერე რით ამართლებს თავის გადაწყვეტილებას? მით რომ მას არ უნდა მსხვერპლი შეიწიროს, ან ქვეყანას უნიჭიერესი მალხაზი გამოაკლოს! არა, ელიკო ჩვეულებრივი ინსტიტუტკაა, რომელსაც სხვისთვის ცხოვრება, სხვისი დახმარება არ შეუძლია. შეიძლება, ის იყოს რიგიანი მეუღლე, ქმარს შესძინოს ექვსი ან შვიდი, — ნაკლები — კი არა, — ფუნთუშა ყმაწვილი, მორჩა და გათავდა. მერე არ არიან ჩვენში ელიკოსთანა

ქალები? ძალიან ბევრი; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტორი ელიკოში ჩვენის ცხოვრების ცისარტყელის ნიშნებს ჰხედავს, რაც სრული შეცდომაა, ელიკო სრულებით სხვა გამოვიდა, ვიდრე ავტორს უნდოდა. ჩვენს ცხოვრებაში უკვე ჩნდებიან ნიშნები ისეთი ქალებისა, რომლებსაც ფუქსავატი ცხოვრება, მარტო როიალზე ჟღარუნი, ცეკვა, სულ კომპლიმენტები და სასაცილო ანეგდოტები აღარ იზიდავენ, რომლებსაც მარტო დედლობა და მხოლოდ შვილების სამრავლებელი მანქანის დანიშნულების ასრულება და მამაკაცის გასართობ სათამაშოდ ყოფნა აღარ აკმაყოფილებთ. მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჯერ ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ნიშნებს იძლევა ასეთი ქალებისას და არა თვით ქალებს. ამიტომ ნიშნების მიხედვით ტიპის დახატვა ფრიად ძნელია და ასეთი საქმე მხოლოდ ძლიერსა და შორსმჭვრეტელ ნიჭს შეუძლია.

დანარჩენ მომქმედ პირებში მოხუცებულები გაცილებით უკეთესნი გამოვიდნენ, ვიდრე ახალგაზრდანი. თუმცა მალხაზი და, ნამეტურ, ნიკო ავტორს ძალიან მოსწონს, მაგრამ სპირიდონი და დიმიტრი თავისი რწმენა-შეხედულებით და აზრებით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მალხაზი და ნიკო. მალხაზიცა და ნიკოც ცდილობენ, ჭკვიანად დაგვისახონ თავისი თავი, მაგრამ ორივენი ხშირად დიდ სისულელეს ლაპარაკობენ. სიყვარულის საკითხში მალხაზი ვერ გასცილებია სოფლის ტეტიას, რომლის აზრითაც, სიყვარული ორგვარია: უკანონო და კანონიერი; პირველი ჯოჯოხეთის კერძია, მეორე კი ღვთის მოსაწონი; შვილებიც ორგვარი არიან: უკანონო და კანონიერი: უკანონო შვილების ყოლა დიდი უზნეობაა, კანონიერისა კი, თუნდა ასიც გყავდეს, — არც კაცი და არც ღმერთი არ გიწყენს! ეჰ, მართლაც, დიდი უზნეობაა, როდესაც ზნეობრივი კითხვების გადაწყვეტას მალხაზისთანა პირები ჰკიდებენ ხელს. ნიკო დიდი სკეპტიკოსია. მას არაფერი სწამს, — არც საშუალო განათლება, არც უმაღლესი, გარდა სამეურნეო განათლებისა; როდესაც ინსტიტუტკა ეუბნება: ავადმყოფებს ვუწამლებო, ის ლამის მზად არის ენა გაულოკოს ასეთი სიტყვებისათვის და ამავე დროს, მისი აზრით. ექიმები თურმე ხალხს ხოცავენ, რადგანაც ეს დასაქცევი მეორე კურსი საშინელი ძნელი ყოფილა! ნიკო ხედავს, რომ თავადაზნაურობა იღუპება, ცხოვრება ქერქს იცვლის და ხსნას მეურნეობაში ხედავს; მისი აზრით, ყოველი ქართველი მეურნეობას უნდა დაადგეს. ნიკოს აზრი იგივე ავტორის აზრია. პიესაში ბევრგან მიგვითითებს ავტორი, რომ ქართველობის ხსნა მხოლოდ მეურნეობაშია, მაგრამ ამ აზრის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ მოჰყავს. მეურნეობა ორგვარია: ნატურალური და კაპიტალისტური. ჩვენში დღეს

უმთავრესად მეურნეობა ნატურალურია. ავტორი კი გვიწვევს კაპიტალისტური მეურნეობისაკენ. კაპიტალისტური მეურნეობა კაპიტალიზმის შვილია; ის ყველგან ევროპაში გაჩნდა მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარების შემდეგ; რამდენიც უნდა გვიმტკიცოს ავტორმა, მაინც ცხადია, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას ციდნის გარდა ფულიც უნდა; იმ ქვეყანაში კი, სადაც კაპიტალისტური წარმოებას ახლად შეუდგამს ფეხი და ჯერ საკმაოდ ვერ გაძლიერებულა, მეურნეობა უფრო ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას იძლევა, ვიდრე წარმოების სხვა დარგი და ამიტომაც უმეტესობამ რომ ნაკლები შემოსავალი ირჩიოს და მეტს თავი დაანებოს, ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც უმეტესობა გაგიჟდება. ამის გამო კაპიტალისტური წარმოების გაძლიერებამდე კაპიტალისტური მეურნეობის აყვავება ჩვენში უსაფუძვლო ოცნებად მიმაჩნია და, კიდეც რომ არ მიმაჩნდეს, დღეს ყველასათვის ცხადია, რა გზას ადგას ჩვენი ცხოვრება, და სრული დარწმუნებულიცა ვარ, რომ ბ-ნ ცაგარელის ქადაგება ამ გზიდან ჩვენს ერს ვეღარ დააბრუნებს.

ამით ვათავებ ამ კომედიის შესახებ ბაასს. უფრო ვრცლად რომ გავჩერებულიყავი, ეს არ შეადგენდა ჩემს მიზანს და არც იყო საამისოდ საყურადღებო ეს კომედია. მასში, ჩამოთვლილს გარდა, ბევრი ნაკლულევანებაა — თუ ხელოვნებისა თუ ტექნიკის მხრით, მაგრამ იმ რამდენიმე საგულისხმო აზრის მიხედვით, რომლებსაც ამ კომედიაში შეხვდებით, მისი წარმოდგენა სასარგებლო იქნება ქართველი მაყურებლისათვის, რომელსაც ჯერ ბევრი შერჩენია თავადური აზრები.

ჩვენმა განხილვამ თუ მკითხველი ვერ დააკმაყოფილა, ამის მიზეზი ისევ წარსული წლის სიტყვაკაზმული მწერლობის სისუსტეში ეძიოს. წარსული საუკუნე ჩვენმა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ სოციოლოგიური კითხვების რკვევით დააბოლავა და ვისურვოთ, რომ ახალ საუკუნეში უფრო მტკიცედ და მეტის ნიჭით ევლოს ამ გზით.

1901 წ.

სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს

წინა წელთან შედარებით გასული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა უფრო მდიდარი იყო როგორც რაოდენობით, ისე ღირსებითაც. „მოგზაურში“ დაიბეჭდა და ამ დღეებში ცალკე წიგნადაც გამოვიდა ბ-ნ ნახუცრიშვილის ისტორიული დრამა „იანიჩარი“. როდესაც დიუმამ დაწერა თავისი საუცხოო „მარგარიტა გოტიე“, ის წარუდგინა ლიტერატორებსა და კრიტიკოსებს უტყუარი მსჯავრის დასადებად. შეიკრიბნენ პარნასელნი, განსაჯეს დიუმას პიესა, აწონ-დაწონეს, იდავეს და გადაწყვიტეს ერთხმად, რომ პიესა უზნეო იყო, სახელოვნო ღირსებას მოკლებული — ერთი სიტყვით, არ ვარგოდა. პარნასელთა მსჯავრმა დიუმა არ შეაშინა, — მან თვით საზოგადოების მსჯავრს მიმართა და აღტაცებულმა საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ პიესა თავისი მაღალი ზნეობით, ჰუმანური იდეით, გრძნობით სავსე ლირიზმითა და სხვ. საუცხოო ლიტერატურულ ნაწარმოებს და დრამას წარმოადგენდა. ჩვენი დრამატული საზოგადოების კომიტეტს უსათუოდ კარგად ხსომებია დიუმას დრამის თავგადასავალი და ამიტომ სასტიკი შეცდომის თავიდან ასაცილებლად მოწონების გზას დადგომია. მაგრამ დახეთ ფათერაკს! ეს გზა უფრო სახიფათო ყოფილა, ვიდრე დაწუნების გზა. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს „იანიჩარი“, რომელიც კომიტეტმა არათუ მოიწონა, პრემიითაც კი დააჯილდოვა. დრამატული ხელოვნება უმაღლეს დარგს წარმოადგენს ხელოვნებისას, იმიტომ კი არა, რომ ბელეტრისტიკას, გინდ პოეზიას, ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, — არა: იმიტომ, რომ დრამატული ხელოვნება გაცილებით მეტ ნიჭს მოითხოვს, ვიდრე ლიტერატურული ხელოვნების სხვა დარგი; გარდა იმისა, რომ მწერლის ყოველგვარი სიმპათია, ანტიპათია, იდეალი, მისწრაფებანი ცოცხალ მომქმედ პირებშია აქ ჩამოსხმული, გარდა იმისა, რომ ხასიათების შემუშავება აქ უფრო საძნელო საქმეა, დრამატულ მწერალს ერთი დაბრკოლება ეღობე-

ბა წინ. რასაც სხვა მწერალი მოკლებულია; ეს არის პიესის ტექნიკური მხარე. ყოველი პიესის ასპარეზი სცენაა. პიესის მიზანია. სცენიდან უჭადაგოს მაყურებელს ესა თუ ის აზრი. სცენიდან ამხილოს ის ამა თუ იმ უზნეობასა და უსამართლობაში. ამიტომ ლიტერატურული ღირსების გარდა პიესას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ღირსებაც: მისი მოქმედებანი იმდენად ბუნებრივი და მასთან იმდენად შემუშავებული და შეწყობილი უნდა იყვნენ ერთმანეთში, რომ მისი სცენაზე დადგმაც ადვილი იყოს. მაყურებელსაც არ ეღლიდეს. პრემიით დაჯილდოებული პიესა კი როგორც სახელოვნო, ისე ტექნიკურ ღირსებას მოკლებულია. თვითეული მოქმედება იმდენად არის ვაჭიანურებული, მომქმედი პირები ისე უმიზეზოდ და უთავბოლოდ გადიან და შემოდიან სცენაზე. მოქმედებათა შორის ისეთი სუსტი კავშირია, რომ სცენაზე ამ პიესის დადგმა შეუძლებელია: ეს დატანჯვაა როგორც მსახიობების, ისე მაყურებელი საზოგადოების. სახელოვნო ღირსება ყოველი ლიტერატურული ნაწარმოებისა სამი ნაწილისაგან შედგება: ლიტერატურულ ნაწარმოებში, ერთი მხრით, უნდა იყოს ისეთი იდეა, რომელიც მკითხველის გულსა და გონებაში სასარგებლო კვალს ტოვებდეს; მეორე მხრით, ხასიათისა და მოქმედების შემუშავებასა და განვითარებაში უნდა იყოს სრული ბუნებრიობა. ძალდაუტანებლობა: ხელოვნება მით განირჩევა მშრალი მეცნიერებისაგან, რომ უკანასკნელი მხოლოდ გონებას მიმართავს, მხოლოდ გონების საზომით ხელმძღვანელობს. პირველი კი ერთსა და იმავე დროს გონებასაც ემსახურება და გრძნობასაც: მან მარტო გონება კი არა, გრძნობაც უნდა დააკმაყოფილოს, — აი, ამისათვის კი საჭიროა სახელოვნო ფორმა. ანუ ენის პოეზია: ორ ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომლებსაც ერთი და იგივე იდეა აქვს დასახული, თავის მიზანს ის უკეთ აღწევს, რომელშიაც ენის პოეზია უკეთ არის დაცული. ენისა და აღწერილობის პოეზიას „იანიჩარი“ სრულიად მოკლებულია, ხასიათები სრულებით მკრთალი და უფერელნი. ბუნებრიობა ხომ არსად არ არის დაცული. გამორკვეულ, მკაფიო ხასიათს თქვენ ვერ იპოვით მთელ პიესაში. ცოცხალი ადამიანების მაგიერ აქ თავი შეუყრიათ რაღაც ფანტომებს, რომლებიც პრტყელ-პრტყელ სიტყვებს გაიძახიან მამულის სადიდებლად: აქვე ნახავთ ამაზონკებს, რომელთა ტრაბახს საზღვარი არა აქვს. აქვეა თავმომაბეზრებელი ერთფერობა, გრძნობათა გასაოცარი სიყალბე და მრავალი სხვა. ჩვენი ძველი მამები და დედები თუ თავდადებული მამულისშვილნი იყვნენ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომ ისინი ყოველგვარ ადამიანურ გრძნობაა მოკლებული ყოფილიყვნენ. მათში გრძნობის სინაზე და სიძლიერე

ერთად იყო შედუღებული მამულის სიყვარულთან და ვაჟკაცობასთან, რაც საუცხოოდ დასტა ილ. ჭავჭავაძემ „დედა და შვილში“ „ანაჩიჩარში“ კი ავტორმა დაგვისტატა რაღაც უგულო ირსებანი, ოდესმლებაც სისხლის ღვრის მეტი აღარაფერი სწამთ. თუ ჩვენს ბველ დედას უზენაეს სიხარულსა და ნეტარებას აგრძნობინებდა ჭამულის გამარჯვება, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ბრძოლაში მოკლულ შვილს აუღელვებლად დასჩერებოდა თავზე. მას თუ გამარჯვება ასარებდა, შვილის დაკარგვა გულს უკლავდა. მისი ვაჟკაცურად სიკვდილი მხოლოდ ანუგეშებდა. ჩვენ ძველ წინაპართა ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ მკლავის სიძლიერესთან ერთად გულის სიძლიერე და კრძნობათა სინაზე შეინარჩუნეს, რაც ასე იშვიათად მოხდება ხოლმე. ბ-ნმა ნახუცრიშვილმა კი ეს სრულებით ვერ დაგვანახვა: პატრიოტულმა იდეამ, წინაპართა მამულისადმი თავგამეტებულმა სიყვარულმა ის იმდენად გაიტაცა, რომ სრულებით მიავიწყდა წინაპართა ბუნების მეორე მხარე, რაც ვაჟკაცობაზე არანაკლებ ამაღლებს მათ. აი, ბრძოლის ველი; ზედ გდია სასიკვდილოდ დაჭრილი არჩილი — ასლანი, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი აღარც კი ეტყობა და ერთი ყური დაუგდეთ, როგორ შესვდება მას დედა:

უიმე!... ჩემი არჩილი!...
ეაი, შენს დედას, ბედკრულო შვილო!..
როგორ ვუშველოთ, ახლა რა ვუყოთ?

ასე გეგონებათ, თითქოს ანას თავის არჩილი სამუშაოზე ჰყავს, ლობიოს გაგზავნა დაუგვიანდა და იმას წუხსო!

მოულოდნელად ნაპოვნ შვილს ჯიმშერი მოულოდნელადვე ჰკარგავს, ეკარგება ერთადერთი ქალიშვილიც და ამ მეხს, შეხეთ, როგორ ეგებებიან ისა და მისი კნეინა:

ჯ ი მ შ ე რ. ხალხო, შვილები მე აღარა მყავს...
გამხმარ ხესავით დავრჩი ტიალი...
ა ნ ა. მაგრამ სამშობლო გათავისუფლდა.
ეს იყოს მისთვის უკვდავი მსხვერპლი!...

განა ეს ბუნებრივია?! განა ეს მამულისადმი ღრმა სიყვარულს ამტკიცებს?! ეს ამტკიცებს უგულობას, გულქვაობას, უგრძნობლობას, სიმხეცეს და ავტორს რომ ჯიმშერისა და ანასათვის ვაჟკაცული შვილების გარშემო ლეკური ჩამოერბენინებინა, ეს უკეთესი მაგალითი იქნებოდა სამშობლოსადმი ძლიერი სიყვარულისა!

მივმართოთ ახლა პიესის იდეას. წარსულ გმირთა წამოყენებით ავტორს უნდოდა პატრიოტული გრძნობა აღეძრა და გაეღვიძებინა მაყურებელში, დაძმური სიყვარულის სქესობრივ სიყვარულთან

დაპირდაპირებით ავტორს წადდა თვითეული მათგანის აწონვა. პირველი დედააზრი ახალს არაფერს არ წარმოადგენს, ის იმდენად მობეზრებული აქვს მკითხველსაც და მაყურებელსაც, რომ მარტო ამგვარი შინაარსი ართმევს პიესას პრემიის უფლებას, სხვა ღირსებით შემკულიც რომ იყოს: წინაპრების საფლავებიდან წამოყენება მხოლოდ იმიტომ, რომ მათი გმირობითა და თავგანწირვით მკითხველი გააკვირო, დღეს ან უსაქმური და უდარდელი კაცის ხელობაა ან ისეთის, რომელსაც ცხოვრების მსვლელობისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესახებ სრულებით არაფერი გაეგება. ცხოვრება იცვლება, ცვლილება იწვევს ახალ მოთხოვნილებებს, ახალ მისწრაფებათ და ლიტერატურა თუ თავში არ მოექცევა ცხოვრების მსვლელობას, უკან მაინც აღარ უნდა ჩამორჩეს. ბ-ნი ნახუცრიშვილი კი პირუკუღმა გადამჯდარა დახავსებულ პატრიოტულ იდეაზე, ჩვენი აწმყოსათვის ზურგი შეუქცევია და ჰგონია, თუ ქართველ ქალს შიშველი ხანჯალი ხელში დავაკავებინე და „ჰოი, სამშობლო, შენთვის მოვკვდები“ ვაძახებინე, ამით სამშობლოს დიდ სამსახურს გაუწევსო.

მეორე დედააზრი — ორნაირი სიყვარულის დაპირისპირება — ორიგინალური და მასთან ერთად საყურადღებო თემაა და მარტო ეს სრულებით საკმარისი იყო, რომ ცოტა ფხიან ნიჭს ზედ მთელი დრამა აეშენებინა, მაგრამ ავტორმა ამ თემას არც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, ვერც შესძლო იმ სულიერი მოძრაობის გადმოშლა, რომელიც აღძრა ასლანსა და ნინოში ორნაირი სიყვარულის შეტაკებამ. მათში ძლიერი ბრძოლა და მღელვარება, სულიერი ტანჯვა და ეწუხარება, სულიერი აღტაცება ერთიმეორეს ებრძვიან, მაგრამ ავტორმა ვერ ჩაგვახედა ამ ბრძოლაში, ვერ წარმოგვიდგინა ამ ორი, სხვადასხვაგვარი სიყვარულის ზერელე ფსიქოლოგიური ანალიზიც კი. ორი საუცხოო მომენტია პიესაში: ერთი ის როდესაც ანა და სალომე შეიტყობენ, რომ ასლანი და ჯიმშერი მათი შვილები არიან. მეორე ის, როდესაც შეყვარებული ასლანი და ნინო ერთმანეთს შეხვდებიან მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ და-ძმა იყვნენ.

> როგორ, ასლანი ჩემი შვილია!?
> ჩემი არჩილი, ჩემი ბიჭუნა?
> ოჰ. მოდი, შვილო, მაშ, ჩამეკონე,
> დამიტკბე დიდ ხნის ნადაგი გული?...

აი, როგორ შეეყრება ანა თვრამეტი წლის შემდეგ დაკარგულ შვილს! ეს „მოდი“ და „მაშ“ ხომ ყოველგვარ შთაბეჭდილებას უფუჭებს მკითხველს. ასეთი მომენტის დროს ენა დადუმებულია, მხო-

ლოდ გრძნობაღა იპყრობს ადამიანის მთელ არსებას და სად არის ეს გრძნობა? „მოდი“ და „მაშ“-ში?!

მეორე მომენტი უკეთ დახატა ავტორმა: აქ მარტო „ძმაო“ და „დაოს“ შეყვარება ასლანისა და ნინოს მიერ საკმაოდ უხატავს მაყურებელს მათს სულიერ მდგომარეობას, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას სრულებით აქარწყლებს და-ძმის შემდეგი საუბარი.

პიესაში ბევრი სხვა სიყალბეა და ნაძალადევობა, რომელთა ჩამოთვლას მე აქ არ გამოვუდგები. საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს ასლანის მონოლოგი უკანასკნელ მოქმედებაში:

ამ ქვეყანაზედ ბედის ღიმილი
ცრუპენტელა და ცვალებადია, და სხვ.

„მოგზაურის“ ფურცლებზე „გამოიქანქარიკა“ გასულ წელს ერთმა საკვირველმა პოეტმა ბ-ნმა ლასურიძემ. როდესაც მწერალს პოეტობის ნატამალი მაინც სცხია, მაშინ კიდევ შესაძლებელია თავისი ნაწარმოების შესახებ გაზვიადებული წარმოდგენისა იყოს, მაგრამ როდესაც მას პოეტური ნიჭი სიზმრადაც არ ზმანებია და „საშინელსა ტანჯვასა შიგან“ შობს ყოველ ჯაგლაგ რითმას, თავმოყვარეობა ნებას არ უნდა აძლევდეს საჯაროდ გამოსვლისას. თუ ბ-ნ ლასურიძეს ჰგონია, რომ მას პოეტის ნიჭი აქვს. შესაბრალისია; თუ მას სწამს, რომ რაიმე მნიშვნელობა აქვს ძველი წიგნებიდან ისეთი სიტყვების ამოკრებას, რომელთა აზრი მასაც არ გაეგებ: კარგად, საცოდავია. მთელი წლის განმავლობაში „მოგზაურმა“ ვერც მისცა მკითხველს საზოგადოებას ვერც ერთი სახელოვნო ნაწარმოები. რომელშიც რაიმე ღირსება მოიპოებოდეს. და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მისმა რედაქტორმა ის სამადლო თავშესაფარად გახადა.

წარსული წლის გახმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდა ორი საყურადღებო მოთხრობა: „ცოლი და ქმარი“ ეგ. ნინოშვილისა და „ეფემიას ოცნება“ ლალიონისა. განსვენებული ეგ. ნინოშვილი ნიჭიერი და მასთან ნაყოფიერი მწერალი იყო; თითქოს გრძნობდა. რომ დიდი დღე არა ჰქონდა, და ამიტომ მისი ყოველი ნაწარმოები აჩქარებული შრომის ნაყოფია. ზოგიერთი მისი მოთხრობა, როგორც მაგ., „პარტახი“, გაუშალაშინებელი, ზოგი კი სრულებით შეუმუშავებელი დარჩა ავტორს. „ცოლი და ქმარიც“ ასეთ შეუმუშავებელ მოთხრობას წარმოადგენს. დედააზრი ამ მოთხრობისა იგივეა, რაც „პარტახის“; — თუ როგორ არღვევს და ღუპავს ოჯახს ხანგადასული ჩვეულებანი. ზოგიერთი სურათი და თვით წვრილმანიც კი ორივე მოთხრობაში ერთი და იგივეა, ხოლო. მოქმედება „ცოლსა

და ქმარში" უფრო ბუნებრივად არის განვითარებული. ავტორი თავის ნიჭს აქ ძალას არ ატანს და ამიტომაც მოთხრობაში არ არის ის ტენდენცია, რომელიც „პარტახის" სუსტ მხარეს შეადგენს. რამდენიმე ხასიათი მკაფიოდ და უნაკლოდ არის დახატული, ჩვენი ცხოვრების სურათები სინამდვილით აქვს ავტორს გადმოღებული. მაგრამ მოთხრობის თემა, რომელიც ახალი და მასთან ფრიად საყურადღებო იყო ამ 7-8 წლის წინათ, დღეს უკვე მოძველდა და მკითხველს ვეღარ დაინტერესებს. ნინოშვილის მოთხრობები იგივე პუბლიცისტიკაა: ყოველი თემა ავტორს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ეს თემა ცხოვრების დამახასიათებელი იყო; ის, რაც ცხოვრებას არ ეხებოდა, ნინოშვილის ნიჭს ვერ იზიდავდა. ამიტომ ნინოშვილის მოთხრობათა ძალა მათს სოციალურ მნიშვნელობაში მდგომარეობს; ნინოშვილის ნიჭი უტყუარი სარკეა თავისი დროის, სხვა მნიშვნელობა მას არა აქვს. ამგვარსავე გზას ადგას ბ-ნი ლალიონიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ავტორის ნიჭი მეტად სუსტი ნაყოფიერებისაა. მისი „ეფემიას ოცნება", რომელიც „კვალში" იბეჭდებოდა, დაუმთავრებელი მოთხრობის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ავტორმა ისე მოასწრაფა ბოლო, რომ მკითხველი ეგონობს, რომ რაღაც აკლია; მოთხრობაში არის გამოყვანილი სოფლის ქალი ეფემია, რომელიც დანარჩენებისაგან ბევრში განირჩევა, მაგრამ ამ ქალის სურათი ავტორს მკრთალი გამოუვიდა. აღნიშნულ ნაკლოვანებათა უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ავტორის მთელი ყურადღება გიორგი პინტილიანისა აქვს მიქცეული. გიორგი პინტილიანი საუცხოო ტიპია ჩვენი ბურჟუაზიისა. ასე ნათლად და მკაფიოდ დახატულ ტიპს დღევანდელი ქართველი ბურჟუაზიისას სხვა ჩვენ ბელეტრისტებს ვერ უპოვიათ. „ფირალ დავლაძესა" და „ეფემიას ოცნებაში" შორის ექვსი წლის მანძილი არც კი არის და მიუხედავად ამისა, შეხედეთ, რა შესამჩნევი ცვლილება განუცდია ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ცხოვრებას! შეადარეთ ერთმანეთს პირველი მოთხრობის ნიკო კალაძე და მეორის გიორგი პინტილიანი და აგრეთ დარწმუნდებით ამაში. გიორგი პინტილიანი იგივე „მოწიფული" ნიკო კალაძეა. ამ ორ პირთა შორის დიდი მსგავსებაა. — ერთიცა და მეორეც ნაყოფია ახალი დროის. ერთიცა და მეორეც ვაჭრობის გზას დადგომია. ორივეს ფული, წოგება და სიმდიდრე აინტერესებს მხოლოდ და ფულის საზომით ზომავენ ყოველისფერს; ზნეობა, უზნეობა, სინდისი, პატიოსნება არც ერთისათვის არ სებობს; მათ სწამთ მხოლოდ სიღარიბე და სიმდიდრე. ორივეს ახალი დროის კაცად მოაქვთ თავი, მაგრამ ამ დროისაგან მათ შეუძენიათ მხოლოდ ცუდი, გასაიცხი თვისებანი და ფული. ამავე დროს

ამ ორ პირთა შორის დიდი განსხვავებაა. ამ 7--8 წლის წინათ იმ წრიდან გამოსულთ შორის, რომელსაც ავტორი აგვიწერს, გიორგი პინტილიანებს იშვიათად წააწყდებოდით. — ყველა ნიკო კალაძეს წაგავდა; ღღეს კი ნიკო კალაძეები გაიზარდნენ, გამოიცვალნენ და პინტილიანებად იქცნენ. ნიკო კალაძე ჯერ დაუდეგელი კაცია თავისი რწმენა-შეხედულებით. მართალია, ის სოფელს მოშორდა, მაგრამ სრულებით არ მოსწყვეტია მას. სოფელი მას კიდევ ძლიერად იზიდავს. ქალაქში მას მხოლოდ ფულის შეძენის სურვილი აჩერებს, ქალაქის უპირატესობას სოფელთან ის მხოლოდ ფულში ხედავს თავისი რწმენითა და შეხედულებით ის ჯერ კიდევ ბევრში ჰგავს სოფლელებს, მოწონს ბევრი რამ ისეთი. რაც საზოგადოდ, სოფლის კაცს იზიდავს. ერთი სიტყვით. მისი გემოვნება, მისი შეხედულებანი ჯერ არ დაშორებია სოფლის გემოვნებასა და შეხედულებას. სულ სხვაა გიორგი პინტილიანი. ის სრულებით მოსწყვეტია სოფელს. რომელთანაც მას აღარაფერი აერთებს. სოფელი ძულს მას. რადგანაც ეს მის გემოვნებას სრულებით არ შეეფერება. ქალაქი კი იზიდავს მარტო იმიტომ კი არა. რომ იქ ფულია. არამედ იმითაც. რომ ქალაქში ადამიანი სრული ცხოვრებით ცხოვრობს. რასაც კი სული და გული ინატრებს, ყოველისფერი იშოვება. გიორგის სოფლელებთან საერთო აღარაფერი აღარა აქვს. ის ყველას მაღლიდან დაცქერის დამცინავის ღიმილით და გულში ფიქრობს. ჩემთან შედარებით რა შესაბრალისი ხართ ყველაო. ის დასცინის მათს დროსტარებას. მათ სიმღერას. მათ მუსიკას. მათს ჩაცმულობას. ეზო-სახლკარს და სხვ. არაფერი სოფლური მას აღარ მაყოფილებს. — ესაა თქვენი დროსტარება!... ამით კმაყოფილი ხართ თქვენ, არა! აი, როგორ პასუხს იძლევა ის ელენეს ყოველ მეცადინეობაზე, რომ მას მოაწონოს რამე და როგორმე გაართოს; არათუ გემოვნებით. გონებითაც ვაცილებით მაღლა აყენებს გიორგი თავის თავს სოფლელებთან შედარებით; ისე ელაპარაკება ყველას, როგორც ბევრის მცოდნე. მათთან შედარებით. ეს ტიპი ავტორს საუცხოოდ აქვს დახატული და თუ ის ბევრში განირჩევა კალაძისაგან. ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლად მიდის წინ. კაპიტალისტური წარმოების გზახე. და თანდათან მეტ ცვლილებას იწვევს ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებაში.

გიორგი პინტილიანს ბევრში წააგავს მისული მეკუნაშვილი. რომელიც ს. ო. --ას ყავს გამოყვანილი თავის „წუთისოფელში". ეს მოთხრობა 1900 წელს იბეჭდებოდა და გასული წლის პირველ ნომერში დამთავრდა. თუ გიორგი პინტილიანი წარმომადგენელია ქართველი ბურჟუაზიისა, რომელსაც თავისი მოქმედების ასპარეზი

ქალაქში გადაუტანია. სამაგიეროდ მიხეილ მეაუნაშვილს სოფლად დაუწყია თავისი მიზნის განხორციელება! მერე რაში მდგომარეობს ამისი მიზანი? გამდიდრებაში. ფულის შეძენის გულისათვის ის არაფერს არა თაკილობს, ყოველიფერს კადრულობს. ყოველგვარ და ყოველიფერში ის მხოლოდ ფულს ეძებს; „პატიოსნება, ძმობა, მეგობრობა. სიყვარული მისთვის არ არსებობენ. — ფული და პირუტყვული განცხრომა-სიამოვნება — აი, რაში ჰპოვებს ის შინაარსს ცხოვრებისას. ერთადერთი დამოკიდებულება, რომელიც სუფევს მასა და დანარჩენთა შორის — ეს არის სარგებლობისა და სიამოვნების შეძენა, ყველას გაფცქვნა და გატყავება. უმანკოების ცინიკურად შელახვა“ — აი, მთელი მისი მოღვაწეობა. ფსიქოლოგია ამ გმირისა ავტორს ძალიან კარგად აქვს დასახული, მოქმედება მთელ მოთხრობაში მწყობრად და ბუნებრივად არის განვითარებული, სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთთან ლირიკულად არის დაკავშირებული და ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ავტორს სახელოვნო ნიჭი აქვს. ამ მოთხრობაშივე შეეხო ავტორი თავადაზნაურობის „დაღუპვის“ კითხვასაც. ამ კითხვის სახელოვნო ფორმაში განვითარებით ავტორმა დაგვანახვა, რომ თავადაზნაურობას, როგორც განკერძოებულ წოდებას, ვერაფერი ვეღარ იხსნის; მატერიალურად ის დღითიდღე ღატაკდება, ყოველივე განკერძოებული უპირატესობანი მან თითქმის უკვე დაკარგა. მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ გონებრივად და ზნეობრივად თავადაზნაურობა ერთ წერტილზე გაიყინა, აღარავითარი წინმსვლელობა ამ მხრივ მას აღარ ეტყობა: ყოველი მხრით ის გადაშენების გზას ადგას. აიღეთ თავადი გედევანი და მისი მეუღლე. განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ მათი დღენი დათვლილია? განა აშკარა არ არის, რომ ესენი წარსულს ეკუთვნიან და არა მომავალს, აწმყოში კი შესაბრალისს სურათს წარმოადგენენ სულთმობრძავისას? ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ და ორჯერ თქმულა, რომ წოდებათა მოსპობა ჩვენს ცხოვრებაში თვით დრომ მოიტანა და მასთან ბრძოლა, მისი შეცვლა ყოვლად შეუძლებელია. ყველა მიმართულების პირნი აღიარებენ დღეს ჩვენში, რომ საქართველო ევროპიელდება. ჩვენ ყველას გვინდა, ყველა შევხარით ამ გაევროპიელებას. რომ იქნება აქ მაინც ვპოვოთ პასუხი მწვავე კითხვებზე. აქ მაინც ვპოვოთ მალამო სოციალური წყლულებისათვის; მაგრამ ამავე დროს თითქოს კარგად არ გვესმის. რას ნიშნავს ეს გაევროპიელება. ევროპასაც ვეპოტინებით და „ჩვენებური, ძველებურიც“ არ გვინდა, მაშინ. როდესაც ორივე ერთად შეუთანხმებელია. მოუხერხებელია. მით უფრო გასაოცარია გულუბრყვილობა და გაუგებრობა ზოგიერთი მწერლისა ჩვენში. რომ-

ლებსაც სწამთ. რომ შესაძლებელია ყველა წოდებათათვის ერთნაირად ზრუნვა. გაიხედ-გამოიხედეთ. ჩაუკვირდით ჩვენს ცხოვრებას კარგად დაინახავთ, რომ წოდებები მიდიან, მათ ალაგს სხვა მოდის; ამგვარ პირობებში თავადაზნაურობის გასამაგრებლად ზრუნვა არა თუ შეუძლებელია, სიზიფის შრომაა, უაზრო და უნაყოფო. ერთადერთი, რაც შეიძლება თავადაზნურობისათვის, ეს მისი გონებრივი და ზნეობრივი წარმატებისათვის ზრუნვა, აი. აქ არის მისი ფრიად სუსტი და საშიში მხარე და ამას უნდა მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება მან, ვისაც მისთვის გული შესტკივა. ხოლო დღეს თუ ხვალ თავადაზნაურობამ სამუდამოდ რომ უნდა დაკარგოს წოდებრივი სახე დაუბრუნებლად, ეს უკვე გადაწყვეტილია ისტორიისაგან. ზემოთ აღნიშნული მოთხრობის ერთი დიდი ნაკლოვანება იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი ადგილი ნამეტანი ცინიზმით არის აწერილი, მაგალითად, სულიკოს ბავშვობა და მისი უმანკო გარყვნილება, სხვისი მიბაძვით გამოწვეული. ასეთი ადგილები მოთხრობას არაფერს მატებენ: ყოველი მკითხველი კარგ-დ მიხვდება, რომ დედის გარყვნილების მოწმედ ყოფნა ბავშვზე ცუდად იმოქმედებდა; პირიქით, ცინიკური რეალიზმი დიდ ნაკლულევანებას შეადგენს ყოველი სახელოვნო ნაწარმოებისას მაშინ, როდესაც ასეთ ცინიზმს არავითარი მოსაზრება არ ამართლებს. საჭიროა და სასურველიც ცხოვრების სისაძაგლისა და გარყვნილების აშკარად და თამამად ხატვა. მაშინ, როდესაც ავტორს მიზნად აქვს ცხოვრების ამაღლება; ხოლო დაწვრილებით აღწერა იმისა თუ რას შვრებოდა პატარა სულიკო ლოგინში ან როგორ იხუტებდა მუთაქას. მხოლოდ შეურაცხყოფს მკითხველის ესთეტიურ გემოვნებას. შეძენით კი მას ვერაფერს ვერ შესძენს. ნატურალიზმი კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ებრძვის ცხოვრების სისაძაგლეს. გასაკიცხია მაშინ, როდესაც ის ხატავს ყოველგვარ უზნეო მოვლენას იმისდა განუკითხავად თუ რა მიზანი აქვს ასეთ ხატვას. სამწუხაროდ, ჩვენ მწერლობაში ჩნდება აქა-იქ ნატურალიზმის ცუდი მხარის ნიშნები და კრიტიკის მოვალეობაა, მათს განვითარებას ებრძოლოს.

ან. ერისთავ-ხოშტარიას „კერა“ და ბარნოვის „მეჩვენა“ უნდა ჩაითვალოს ფრიად სუსტ ნაწარმოებებად. „კერაში“ თქვენ ვერ ხედავთ იმ ნიჭს, იმ დაკვირვებას და ცოდნას ცხოვრებისას, რომელიც გამოიჩინა ავტორმა თავის წინანდელ ნაწერებში. გლეხის ბუნება ალაგ-ალაგ თუ როგიანად არის დახასიათებული. საერთოდ, სრულებით დამახინჯებულია ავტორის მიერ. ყოველივე ამას მიუმატეთ ის, რომ თემა მეტად შაბლონური და ყურადღებას მოკლებულია, და დამეთანხმებით, რომ „მოლიპულ გზაზეს“ ავტორმა

ამისთანა სიუჟეტებზე არ უნდა გააცდინოს კალამი და, თუ უკეთესის დაწერა აღარ შეუძლია, უნდა შეჩერდეს: დახურდავებას და დაჭვეითებას ისევ კარგზე შეწყვეტა ჯობია. გლეხის გოგოს შეუყვარდება გლეხის ბიჭი: შეყვარებულთ ბევრი დაბრკოლება ეღობებათ წინ, მაგრამ ისინი მაინც თავის მიზანს მიაღწევენ. მაგრამ დახეთ უბედურებას? სიმონა კლდეზე გადაიჩეხება და მოკვდება და დარჩება მართა თავის პატარა ბიჭის ამარა. რომლის შთასახვაც ავტორს დიდი სიყვარულით აქვს აწერილი! ასეთ სიუჟეტში არაფერი არ არის საყურადღებო. ყოველივე — მართას გაპარვიდან მოკვდებული სიმონას სიკვდილამდე. შაბლონურად არის აწერილი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ერთი მიბრძანეთ, ვისთვის ან რისთვის არის საჭირო და საყურადღებო, როგორ ებერებოდა დაორსულებულ მართას მუცელი და როგორის მორცხვობით დაჩერებოდა ზედ მართა?

ბ-ნმა ბარნოვმა „მეჩვენა“ კარგად დაიწყო და ცუდად გაათავა. როდესაც მოთხრობას კითხულობთ, გგონიათ, აი, აგერ, შეეხება ავტორი, აი, აგერ საჭირბოროტო კითხვებსო, მაგრამ ავტორი ერთბაშად გადადის სიყვარულზე: თეკლესი და უშანგის შეუღლება უბედური ნაბიჯი გამოდგება, იოსების ლოგინს უშანგი დაეპატრონება, იოსებ სანდომიძეც თავს იკლავს. მაგრამ ავტორები ამ ვაი შემთხვევაში თუ რევოლვერით ისტუმრებენ საიქიოს თავის ვმირებს, ბარნოვი ორიგინალობას იჩენს: მესამე სართულიდან ისტუმრებს მგონი, ოხ, ამ სიყვარულმა მკითხველებს თავი მოაბეზრა, მაგრამ ჩვენ ბელეტრისტებს ჯერ კიდევ არ ბეზრდებათ! უმტკიცებთ მათ, რომ ცხოვრებაში დღეს სხვა რამ უფრო საყურადღებოა, კიდევ სიყვარული, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ დგას სქესობრივ სიყვარულზე მაღლა, რომ ადამიანი მარტო სიყვარულით არა ცხოვრობს, მარტო სიყვარული არ აინტერესებს მას, — ჩვენი ბელეტრისტები მარტო სიყვარულსა და მხოლოდ სიყვარულს ხედავენ გარშემო, მეტს ვერაფერს. მართალია, სუსტი ნიჭისათვის გათელილი ვაცვეთილი გზით სიარული უფრო ადვილია, ვიდრე ახალი [illegible] მოპოვება. მაგრამ დროა, რომ ჩვენმა ბელეტრისტიკამ მიანებოს თავი ცარიელი სიყვარულის ხატვასა და თვალი გაახილოს, თორემ ამავე გზით თუ იარა, ჩამორჩება ცხოვრებას.

ბ-ნ ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ როგორც თავისი დედაზრით, ისე სახელოვნო ღირსებით სამაგალითო ნაწარმოებს წარმოადგენს. პუნების სურათების აღწერაში ავტორის ნიჭი ძლიერია. მხატვრული ენა. პოეტურად დახატული სურათები „გველის მჭამელს“ არ აკლია. მაგრამ მის უმთავრეს ღირსებას შეადგენს აზრის

სიმარტივე და მასთან სიღრმე. სანამ მინდია მისდევდა მხოლოდ სულის-თქმას, ეძებდა ქვეყნიერებაზე ჭეშმარიტებას და სიყვარულს, მისი სულის სიმშვიდე შეურყეველი იყო. მისი ბედნიერება დაურღვეველი; როდესაც მან თავი დაანება სულის სამსახურს და მის ნაცვლად დაემორჩილა ხორცის თქმათა. უარყო ჭეშმარიტება და სიყვარული და მათ მაგიერ წინ წაიძღვარა მატერიალური მისწრაფებანი და სრული ეგოიზმი, — მისი სულიერი სიმშვიდე დაირღვა. მისი ბედნიერება სამუდამოდ მოისპო. ბუნებამ დაკარგა მისთვის მნიშვნელობა, მან ბუნებისათვის: წინათ. თუ მას ყვავილებიც კი შეეხაროდნენ. დღეს ის მარტო აკუთარი თავის ამარაღა არის დარჩენილი. ბუნებამ უარყო, ხალხისათვის უსარგებლოა და ამგვარი სიცოცხლე მას ტანჯვის მეტს აღარას აძლევს. — მას გული წყდება წარსულზე, ნატრობს მის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ: მინდია ფიქრობს სამუდამოდ, დამდაბლდა, რომ აღარასოდეს აღარ აღდგეს. აღარ ამაღლდეს. რამ გამოიწვია ასეთი ძირითადი და მოულოდნელი ცვლილება მინდიას არსებაში? ცოლ-შვილსა და ოჯახზე ზრუნვამ; მხოლოდ ამ ერთადერთ მიზეზს ასახელებს ავტორი. მაგრამ მიზეზი ამგვარი მოვლენისა უფრო რთულია. უფრო ღრმა. ვიდრე მარტო ერთი ოჯახი. რაც უნდა იყოს. ავტორის გადაჭრილი პასუხი ეჭვს გარეშე ჰყოფს, რომ მას თანამედროვე ოჯახი მიაჩნია ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილად. ეს აზრი სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე, მონოგამიური ოჯახი გამოირკვა და თანდათან განვითარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ყერძო საკუთრების იდეა და სიყვარული თვით ცხოვრებამ ააღორძინა და გააძლიერა ადამიანმა. რამდენიც უნდა ამტკიცონ, რომ ოჯახი ბურჟუა სახელმწიფოსი, საზოგადოების და სხვ., ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელ ოჯახს სახეში ჰყავს ადამიანი და არა საზოგადოება, ის უფრო ავითარებს ადამიანში ეგოისტურ გრძნობებსა და პირად მატერიალურ მისწრაფებათ. ვიდრე სოციალურსა და იდეალურს: დღევანდელი ოჯახი იმ კლდეს წარმოადგენს, რომელზედაც მიჯაჭვულია ადამიანის მთელი ძალ-ღონე და საშუალო ადამიანი მხოლოდ ოჯახებაში თუ გაინთავისუფლებს თავს და გაცილდება ოჯახის საზღვრებს, ნამდვილად კი ის სრული მონაა ოჯახის, ოჯახზე და მაშასადამე, საკუთარ თავზე ზრუნვას ხმარდება მთელი მისი ძალ-ღონე.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი მწარედ მეცინება ხოლმე, როდესაც ვკითხულობ აღფრთოვანებულ პოეზიას ძმობაზე, ერთობაზე, სიყვარულზე და სხვა ამგვარ მცნებებზე, რომელთა გაშინაარსიანებას ასე ესწრაფვის ადამიანის ოცნება. ერთი მითხარით, სად არის ეს ძმობა, ერთობა, სიყვარული და ან განა შე-

საძლებელია მათი განხორციელება დღევანდელ პირობებში? ყველა ის მცნებანი, რომლებიც საერთოდ შინაარსს შეადგენს დღევანდელი ცხოვრების იდეალისას, სოციალური მცნებანი არიან, — ინდივიდუალურმა იდეალმა თავისი დრო და ჟამი მოჭამა, მან მისცა ადამიანს, ის, რისი მიცემაც შეეძლო, აწინდელი იდეალი კი სოციალურია, მას სახეში ჰყავს საზოგადოება და არა პიროვნება. ადამიანს კი უნდა სოციალური იდეალი განახორციელოს ინდივიდუალური ცხოვრების პირობებში, მთელი მისი ძალ-ღონე თავის თავისთავის ზრუნვას ხმარდება და ამავე დროს კი ის ოცნებობს საზოგადოებრივ იდეალებზე? ორივე ეს ერთად შეუთანხმებელია; ყოველგვარი დაწესებულება, რომელიც ადამიანში ავითარებს ეგოისტურ გრძნობებს, მარტო თავის თავისთავის ზრუნვის აუცილებლობას, ყოველი დაწესებულება, რომელიც წინ ეღობება ადამიანის ძალ-ღონეს და არ უშვებს მას საზოგადოებრივი იდეალებისაკენ, დღეს დროს გადასულ და მავნე დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს, ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიც; ოჯახის არსებული ფორმის მოსპობა იგივე განთავისუფლებაა პიროვნებისა საზოგადოებისათვის. მინდია მაშინ მოწყდა ქვეყნიერებას, მაშინ დაეხურა მას გზა სინათლისა და ჭეშმარიტებისაკენ, როდესაც მან ოჯახი აიკიდა ზურგზე. ადამიანის დანიშნულება, მისი მოვალეობა მინდიას სრულებით სხვანაირად ესმის; დღევანდელ ადამიანს თუ სახეში უმთავრესად ოჯახი ჰყავს, თუ ის უმთავრესად ოჯახისათვის ზრუნავს, მინდიას სახეში ჰყავს საზოგადოება, და არა მარტო საზოგადოება, მთელი კაცობრიობა. მთელი ბუნება: მას უბრალო მინდვრის ბალახიც კი ატყობინებს თავის საჭიროებას. მინდიას მთელი არსება აქეთ მოისწრაფვის, იქ ხედავს ის ჭეშმარიტებას, მაგრამ ოჯახმა მის მისწრაფებას ფრთები შეაკვეცა. მინდიას მთელი არსება შებორკა და დღეს ის ოცნებით თუ ისევ დაკარგული ცხოვრებისა და ადგილისაკენ მიისწრაფვის. ნამდვილად, საქმით კი ყოველივე იმას უარჰყოფს, რითაც წინათ ცოცხლობდა. ღრმა აზრს ვაჟა-ფშაველას ამ ახალი ნაწარმოებების ჩვენ სწორედ განხილულ იდეაში ვხედავთ, ასეთი იდეა ჩვენს მწერლობაში სრულებით ახალია. ავტორმა მარტივად და მასთან მკაფიოდ დაუხატა თვალწინ მკითხველს ეს იდეა და ამით მიმართა მისი აზროვნება ისეთი კითხვისაკენ, რომლებიც დღევანდელ პირობებში ერთ საჭირბოროტო კითხვათ გადაქცევია განათლებულ კაცობრიობას. მინდია რაკი ერთხელ გადაცდა ჭეშმარიტების გზას, მისი აღდგენა შეუძლებელია. ის მხოლოდ ოცნებითღა უნდა ეკუთვნოდეს თავის იდეალებს, ნამდვილად კი მონა უნდა იყოს თავისი მატერიალური

მოთხოვნილებების; მინდია ამგვარად დამარცხდა, მაგრამ მისი დამარცხება მისი ტანჯვა, მისი გლოვა წარსულისა საუკეთესო თავდებია, თუ საით უფრო მიისწრაფვის ადამიანის სული, თუ რამ უნდა გაიმარჯვოს საბოლოოდ და როგორ უნდა მოეწყოს შემდეგში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება; ჭეშმარიტება, სამართლიანობა და სიყვარული უნდა დამკვიდრდენ, ბოლოსაც იქნება, ცხოვრებაში და საზოგადოებაში უნდა მოისპოს ყოველივე ის, რაც ცხოვრების ასეთ ტენდენციას ეღობება.

ოჯახის კითხვასთან მჭიდროდ არის შეკავშირებული ქალთა კითხვაც, ქალთა ემანსიპაციაც. უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა მამაკაცთა და ქალთა შორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგივე შეცვლაა დღევანდელი ოჯახისა; ქალთა ემანსიპაცია და დღევანდელი ოჯახის შეცვლის საჭიროება ერთი და იმავე მიზეზით არიან გამოწვეული. ქალის ქომაგად, ცოლის მოსარჩლედ, ემანსიპაციის მოტრფიალედ და დამცველად გამოვიდა ქ-ნი ეკ. გაბაშვილი თავის „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდაში", მაგრამ ავტორმა, სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია, მოთხრობა უფრო მოსწრაფებულ ნაწარმოებს წარმოადგენს, ვიდრე დაფიქრებულსა და შემუშავებულს. ავტორი ამტყუნებს ლუარსაბს იმაში, რაშიაც ის სრულებით არ არის გასამტყუნარი, მოწონს ვერაში ის, რაც მის სუსტ და გასაკიცხ მხარეს შეადგენს და ამიტომ ავტორის მიერ დაცვა ქალის თავისუფლებისა და ემანსიპაციისა სრულებით ყალბი გამოდგა. ავტორის აღწერით, „ლუარსაბი დიდი ლიბერალი იყო; თუმცა ქალთა ემანსიპაციას დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ფართო მოედანს უთმობდა თავის წარმოდგენაში, მაგრამ ნამდვილად კი განხორციელებული მამაკაცი იყო, ყოველის ეგოისტურის მამაკაცური მოთხოვნილებით, რომ ცოლი უნდა იყოს ქმრის — თუ არა სრული მონა, გამგონი მაინც იმისი განკარგულებისა, ამსრულებელი იმისი სურვილებისა, დამცველი და გამფრთხილებელი ყოველი იმის შეძენილის გროშისა" და სხვ. მიუხედავად ამისა, მთელ მოთხრობაში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ერთ ალაგს, რომელიც გვიმტკიცებს ლუარსაბის ხასიათის ასეთ ორგვარობას, რომელიც აშკარად ყოფდეს, რომ ლუარსაბი ნამდვილად მტერი იყო ცოლ-ქმარს შორის უფლებათა თანასწორობისა. რა არ მოწონდა მას თავის ცოლში? ამისათვის საჭიროა განვიხილოთ მოკლედ, რაში იხატებოდა ვერას ცხოვრება, მისი მისწრაფება, მისი იდეალები. ქმარი და სიყვარული მის გონებაში ერთად მოუთავსებელია, სიყვარულით გათხოვება მის მიზანს არ შეადგენს, ის გაყვება ყველას, ვისაც ფული ექნება, იმ იმედით, რომ ქვეყანა ერთი კაცის ამარა არ დარჩება და მას „არშიყობის დრო

ქონდა და ექნება კიდეც. ძან გადაწყვიტა, ლუარსაბს გაყოლოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლუარსაბი შეძლების კაცი იყო და კარგი პრაქტიკაც ჰქონდა. გათხოვდა თუ არა, ქმრისაგან მოეროვილი ფული უცებ გაფლანგა. სახლის მორთულობას მოანდომა, დაიწყო ბალებისა და „ვეჩერების" გამართვა და ესეც არ იკმარა. -- თავიანი სიტყვა აასრულა და აროშიყი გაიჩინა. ერთი სიტყვით, ვერას მიზანი იყო. შეძლებულ კაცს გაყოლოდა, რომ მისი ფულების შემწეობით ისეთი პირუტყვული ცხოვრება დაეწყო, როგორიც ყოველი გონიერი ადამიანისაგან გასაკიცხია. ყოველივე ეს არ მოსწონდა ლუარსაბს, მაკრამ ის ცოლს მაინც არ ავიწროებდა, ის მხოლოდ უკმაყოფილებას აცხადებდა, ისიც ლმობიერად და მშვიდად. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ცოლ-ქმარი, რომელთაგან ქმარი შრომობს, ცოლი კი მისი ნაშრომით ბალებს, კონცერტებს, სადილ-ვახშმებსა მართავს და საყვარელს ინახავს! აი, ასეთი ცოლ-ქმარი არიან ლუარსაბი და ვერა; ნუთუ ლუარსაბის გაუბედავი უკმაყოფილება იმის მომასწავებელია, რომ ის მტერია ქალთა ემანსიპაციის? ან იქნებ ავტორს ისეთი ცხოვრება, როგორითაც ვერა ცხოვრობს, ემანსიპაცია გონია? ავტორი რამდენიმე ადგილას ირონიულად უწოდებს ლუარსაბს „ემანსიპაციის მიმდევარ გმირს" და ამით ამტკიცებს, რომ ემანსიპაციის სახე მას ან მეტად ბუნდოვნად აქვს წარმოდგენილი, ან მოთხრობაში ვერ დახატა ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა.

იქ, სადაც სიყვარული არ არის, ცოლსა და ქმარს ერთად ადგილი არა აქვთ; ამიტომ, თუ ვერა გაექცა ლუარსაბს, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ამაში ვერას ვერავინ გაამტყუნებს, მის ამგვარ მოქმედებას უზნეობის, უსინდისობის სახელით ვერავინ მონათლავს, მაგრამ იმ ქალს, რომელიც ანგარიშით, უსიყვარულოდ მიჰყვება ქმარს, უფლება არა აქვს თავი იმართლოს, არ მიყვარდა და მიტომ დავანებე თავიო. ვერა კი, პირიქით, ქმარსა ჰკიცხავს, ქმარს დასცინის. შენი საყვარელი კოლიო სხვამ გიხარშოსო, და იმის დაცინვას ავტორიც უერთდება, სრულებით ვერას მხარეს იჭერს და ლუარსაბს კი ჰკიცხავს. მერე რა საბუთით? იმ საბუთით, რომ ლუარსაბი „უსასო, უგვარო და ულაზათო" იყო. ამას ხომ ჯერისწერამდეც ხედავდა ვერა? და არათუ ხედავდა, მან იცოდა, რომ ლუარსაბი მას არასოდეს ეყვარებოდა. მან იცოდა, რომ ლუარსაბს მხოლოდ ფულისა და სახელის გულისათვის მიყვებოდა. მან იცოდა, რომ ლუარსაბის ერთგული მეუღლე არასოდეს იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც გაჰყვა ლუარსაბს, მასთან ყოფნის დროს გარყვნილებისა და უზნეო ცხოვრების მეტს არაფერს აკეთებდა და ლუარსაბმა თუ მხოლოდ ამგვარი ცხოვრების წინააღმდეგ ხმა დაძრა, ისიც, ჰოკრძალებით,

ეუბედურობით. ეს თურმე ემანსიპაციის მოღალატეობა ყოფილ-ლ-ეარსაბი საცოდავი. საბრალო. მშიშარა კაცუსა. მაგრ მ ცოლ-ნიანშე ის სრულებით მართალია: ის თუ გასაიცსია. მხოლოდ ი-ან-ა-ა-ა

დანარჩენ მის სილამაზეზე აღარას ვამბობ, რადგანაც მარო იშვიათის სილამაზისაა... მე ხომ გადვირეე, ისე შემიყვარდა, ერთხელაც აღარ გამხსენებია ვანდა, რომელსაც პირობა მივეცი ცოლქმრობისა". აქედან პასუხი თავისთავად ცხადია: დიდრონმა თვალებმა და იშვიათმა სილამაზემ ისე შეაყვარა მარო ზდისის, რომ ვანდა სრულებით დაავიწყებია. ასეთ სიყვარულს მე ვეძახი პირუტყვულ სიყვარულს: ზდისის იზიდავენ და რევდენ მაროს „დიდრონი თვალები, მისი იშვიათი სილამაზე" და ამის შემდეგ ზდისი იმდენად თავხედია, რომ მაროს უკიჟინებს პირუტყვულ სიყვარულს და თავს იწონებს ჩვენს წინაშე იმის თვალებში პირუტყვი დაცურავდა და ამან გამიქრო მისდამი სიყვარულიო. ზდისის ბუნებაში ორი ადამიანია შეერთებული: ერთია პირუტყვი, მეორე მაღალი იდეებით გატაცებული ადამიანი; პირველს გაგიჟებით უყვარს მარო, მეორეს კი არა და ზდისის სიყვარული გაუქარწყლდა, იმიტომ კი არა, რომ მან პირუტყვი დაინახა მაროს თვალებში, — ასეთი სურათი, პირიქით, უფრო აღაგზნებდა ზდისის ბუნებაში პირუტყვს, — არამედ იმიტომ, რომ მან ვერ ნახა მაროში იმ იდეებით გატაცება, რომლებიც ზდისის წმინდათა წმიდას შეადგენენ. მარო ავტორს მეტად მკრთალად აქვს დახასიათებული, მაგრამ მკითხველი ვერსად ვერ ხედავს, რომ ის გარყვნილი, დაცემული ბუნების იყოს; თუ ზდისიმ იმის თვალებში პირუტყვი დაინახა, ეს მხოლოდ მისი აღგზნებული გრძნობათა ღელვის ილუზიაა, ან ავტორის უსაფუძვლო ფანტაზია, თორემ ყოვლად შეუძლებელია, გასათხოვარ ქალს საყვარელ არსებასთან პირველად სეირნობის დროს პირუტყვული გრძნობანი აღელვებდნენ. შეიძლება მარო მეტად წამხდარი, დაცემული ბუნების იყო, მაშინ ასეთი მოვლენა შესაძლებელია, მაგრამ ავტორს, სანამ ამდენად დაამცირებდა ახალგაზრდა ქალს და შელახავდა იმის უმანკოებას, უნდა ნათელი და მკაფიო სურათი დაეხატა მისი, რომ ასეთი დამცირება და შელახვა სრულებით სამართლიანი და საფუძვლიანი ყოფილიყო, როდესაც ზდისი ამბობს: თქვენ ჯერ ეროვნული თვითშეგნება არა გაქვთო, ეს სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს; პოლონელს ამ მხრით, რასაკვირველია, არ მოეწონებოდა არც ქართველი კაცი და არც ქართველი ქალი, ხოლო როდესაც ის ანზოგადებს მაროს სიტყვებს: ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნებაო, მთელ ქართველ ქალებს უკიჟინებს ამას და გაიძახის: ჩვენი ქალები ამ შემთხვევაში სხვანაირად სჯიანო, ეს სრული უსამართლობაა. ერთის მაგალითით ზდისის არავითარი უფლება არა ქონდა, ქართველი ქალისათვის ეკიჟინებია; ქართველი ქალის ეროვნული თვითშეგნება იმდენად სუსტი არ

არის, რომ მან სამშობლო გულს ანაცვალოს და იძახოს: სადაც მე ვიქნები, სამშობლო იქ იქნებაო, და რაც შეეხება ზდისის მიერ პოლონელ ქალების ქებას, თუმცა ისინი ეროვნული თვითშეგნებით მაღლა დგანან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველ ქალზე გაცილებით უფრო ადვილად მიყვებიან სხვა ტომის კაცს და უფრო ადვილადაც ცვლიან სამშობლოს გულზე.

გაბრო ზდისის ეთანხმება და ამით თვით ავტორიც უკრავს კვერს ზდისის სიტყვებს; სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ ავტორის უსამართლო მსჯავრს; ქართველი ქალის ეროვნული თვითშეგნება სუსტია. ამაში უკიჟინეთ მას, ამხილეთ ის, მაგრამ ის არ ცვლის სამშობლოს გულზე. ამაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული და ავტორიც დარწმუნდებოდა, რომ ჩვენი ქალის მხილების გადაჭარბებული სურვილით არ იყოს გატაცებული.

ჩვენს ბელეტრისტიკაში ძალიან ცოტაა იმდენად მარტივი და მასთან გრძნობით სავსე, წარმტაცი და მომხიბლავი მოთხრობა, როგორიც ბ-ნი არაგვისპირელის „მიწაა“! ბერას სულიერი მოძრაობა ავტორს თავიდან ბოლომდე უნაკლულოდ აქვს დახატული. აქ არც ერთი სიტყვა ყალბი და მეტი არ არის.... ამ ეტიუდში ავტორი მამულის სიყვარულს გვიხატავს... ბერას გრძნობის სიწრფელე, მისი ღრმა სიყვარული მამულისა ყოველ მკითხველს აუტოკებს გულს. სამშობლოს სიყვარული ყოველ ადამიანს უღვივის გულში და ხელოვნების მსახურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იპოვნოს გულის კარი და მოხერხებულად შეეხოს ამ გრძნობას; ჩვენი პატრიოტული პოეზია დღეს ვეღარ აღწევს ამ მიზანს, წარსულ გმირთა გამოწვევა საფლავებიდან, მათი სისხლისღვრა და ხმალ-ხანჯლის წკრიალის აღწერა ვეღარ იწვევს ჩვენ გულში შესაფერ გამოხმაურებას, ვერ ატოკებს შესაფერ გრძნობას; ის, რაც შეუძლებელია დღეს ჩვენი პატრიოტული პოეზიისათვის, შესაძლებელი გახდა ბ-ნი არაგვისპირელისათვის; უარყავით პატრიოტული პოეზია და მაშინვე მამულის მოღალატეობას დაგწამებს ბევრი; ბევრს ვერ შეუგნია ის უბრალო აზრი, რომ პატრიოტული პოეზიის უვარგისობის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს სამშობლოსა და მისდამი სიყვარულის უარყოფას; „მიწაა“ აშკარად ამტკიცებს, რომ გრძნობა მამულის სიყვარულისა ყოველ ადამიანს აქვს, ხოლო ამ გრძნობის გამოწვევას ცოდნა და მოხერხება უნდა. ავიღოთ ერთი ადგილი ეტიუდისა:

— „ეს რა არის? — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაეკითხა უფროსი ბერას.

— მიწაა!..

— რა მიწა?

— ჩემი ქვეყნის მიწა, ანანურს რომ ამოვიარე, იქიდან წამოვიღე: ჩემი სოფელი იქავეა.

— მერე რათ გინდა?

— მე. შენი კვნესამე, ამ ქვეყანაში მოვკვდები, გული ამას მეუბნება. მინდა სიკვდილის წინათ გულზე დავიყარო, რომ ჩემი ქვეყნის მიწა თან ჩამყვეს".

ასეთ ადგილებს ახსნა და განმარტება არ უნდა; ბერას სიტყვები იმდენად წრფელია და გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი, რომ გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ბერას გრძნობა ვერ შეიგნოს და მას პატივი არა სცეს. ხელოვნება ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავის მიზანს, როგორც უნდა ესმოდეს მას ეს მიზანი, თუ ის ვერ აღძრავს მკითხველში იმგვარივე თვისებებისა და ძლიერების გრძნობას, როგორიც იმორჩილებს შემოქმედების დროს ავტორს ან იმ გმირებს, რომლებსაც ის თანაუგრძნობს. თავის მიზანს უნაკლოდ აღწევს ეს პატარა ეტიუდი და ამიტომაც ის თამამად უნდა ჩაითვალოს ბ-ნი არაგვისპირელის ეტიუდებში ერთ-ერთ საუკეთესო მარგალიტად. რაც შეეხება ამავე ავტორის „ჩემ თავგადასავალს", ამისთანა სახელოვნო ნაწარმოები განდევნილი უნდა იქნას მწერლობიდან. სიმბოლიზმის წინააღმდეგი ჩვენ სრულებითაც არა ვართ; ჩვენ ვთხოვთ მხოლოდ, რომ აზრი, იდეა აშკარა და ცხადი იყოს მკითხველისათვის; უამისოდ მწერლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ ისეთი ნაწარმოები, რომელიც გაუგებარ ლაბირინტს წარმოადგენს, დაგმობილი უნდა იქმნას. სიმბოლიური ფორმა ხშირად მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც აზრი ცხადია; ასეთი სიმბოლიზმი სრულ კუთვნილებას შეადგენს ხელოვნებისას, მაგრამ „ჩემი თავგადასავალი" სრულებით გაუგებარია და მასში რაიმე აზრის ძებნაც კი მეტია.

გასული წლის განმავლობაში „ივერიას" არ მოუცია არც ერთი სახელოვნო ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც რაიმე მხრით ყურადღების ღირსი იყოს. იგივე ძველი თემები, იმავე სიყვარულის უხეიროდ გადადეჭვა, აი ერთადერთი შინაარსი იმ პატარა მოთხრობებისა, რომლებიც „ივერიაში" დაიბეჭდა. აქ იყო ე. მ—შვილის რამდენიმე მოთხრობა, რომელთა შორისაც „ვაის გავეყარე, ვუის შეევეყარე" საუკეთესოა. ავტორი აქ ხატავს სოფლის ეკონომიურად დაქვეითებას და ჩარჩების ბატონობას, ამგვარი შინაარსის მოთხრობები ავტორს წინათაც ჰქონია „ივერიაში", ახლა კი ავტორი ისე ძველ ამბებს იმეორებს ახალი სახით. ჩვენ წინათაც აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ ე. მ—შვილს დაკვირვების ნიჭი აქვს, თუმცა სუს-

ტი. ფანტაზია კი სრულებით არავითარი; მას შეუძლია ცხოვრებიდან ბევრი საყურადღებო ფაქტორების ამოღება, მაგრამ თუ სულ ერთსა და იმავე წერტილს მიაჩერდა და ერთი და იგივე ფაქტები იმეორა, მისი სუსტი ნიჭი არარაობად იქცევა.

თითქმის იგივე უნდა ვთქვათ „ცნობის ფურცელზეც" სადაც მთელი წლის განმავლობაში ბ-ნი არაგვისპირელის „თვალცრემლიანი გარეთ გამოვიდასა" და ბ-ნ ა. ცაგარლის „სასცენო სურათებს" გარდა ყურადღების ღირსი არც ერთი სახელოვნო ნაწარმოები არა ყოფილა. პატარა ეტიუდში ავტორმა უბრალოდ და მკაფიოდ დაგვიხატა ურწმუნო დათიკოს სულიერი მდგომარეობა აღფრთოვანებულ მორწმუნეთა შორის. ერთი მხრით, დგას დათიკო, რომელსაც ყოველგვარი სარწმუნოებრივი რწმენა დაკარგვია; მეორე მხრით, დგას ხალხი, რომელსაც ღრმა რწმენა უღვივის გულში. ამ რწმენით გამხნევებული ის ყოველგვარ მწუხარებას ივიწყებს. მხოლოდ მხიარულებას უღებს თავის არსებას და აღფრთოვანებული ეგებება ბედნიერ დღეს; ყველას სახეზე მხიარულება. კმაყოფილება, ბედნიერება არის აღბეჭდილი, მხოლოდ დათიკოა მათ შორის სრულებით მეტი, ურწმუნო დათიკო; მას უნდა სხვებივით მხიარულებას, სიხარულსა და ნეტარებას გრძნობდეს ამ წამს. მაგრამ ყოველივე ამის მოპოვება რწმენის გარეშე მისთვის შეუძლებელია. დათიკოს სულიერი მდგომარეობის განხილვა ორ საყურადღებო კითხვას აყენებს მკითხველის წინაშე: რამდენად საჭიროა ადამიანისათვის სარწმუნოებრივი რწმენა და შესაძლებელია თუ არა ასეთი რწმენის გარეშე საკუთარი კმაყოფილება და ბედნიერება? განვითარების უმდაბლეს საფეხურზე ადამიანისათვის და მისი კმაყოფილებისათვის სარწმუნოებრივი რწმენა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ რწმენისათვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ: ან უმეცრება, ან ხასიათის სისუსტე, ან საკუთარი ეგოიზმი, სწორედ უკანასკნელი მიზეზი არის დათიკოს სულიერი სიმშვიდის დამრღვევი. რა ვუყოთ, რომ ცხოვრება საუკუნო არ არის? ამ ქვეყანაზედაც იმდენი რამ არის საკეთებელი, რომ ვისაც თავისი საკუთარი თავისა და სიცოცხლისადმი სიყვარული ყოველისფერზე ძლიერათ არა აქვს გამჯდარი გონებაში, ის, ათასი ურწმუნოც იყოს, სულიერ სიმშვიდეს არასოდეს არ დაჰკარგავს. სხვა რომ ყოფილიყო იმ პირთა შორის, რომელთა რწმენამაც დათიკოს მათი ბედი ანატრება, მათ კი არ შენატრებდა, უფრო შეიბრალებდა, რადგანაც ის ვინც ჭეშმარიტების შუქს მოკლებულია და ილუზიით ცხოვრობს, სიბრალულის ღირსია, ათასი საამოც იყოს ეს ილუზია. საკვირველია სწორედ: სულ

რაღაც ორმოცი წელი ძლივსა ვცხოვრობთ საღი ცხოვრებით, ამ მოკლე დროსაც მარტო საკუთარ კუჭს ვანდომებთ და ამავე დროს კიდევ საუკუნო ცხოვრებას შევთხოვთ. რისთვის, საუკუნო მუქთახორობისათვის?!

თავის „სასცენო სურათებში“ ბ-ნ ცაგარელს ზნეობრივი აზრი აქვს გატარებული. ზნეობის ქადაგება ავტორმა „ცისარტყელა“-ში დაიწყო. იქ სასტიკად ჰკიცხავდა უკანონო შვილების ყოლას, მაგრამ ავტორი შემცდარ გზას ადგა: შვილიერება ისეთი აქტია, სადაც ზნეობრივ საზომს არავითარი ალაგი არა აქვს, უკანონო და კანონიერი —ეს ამ შემთხვევაში მხოლოდ საზოგადოების გამოგონილია და ქალი კი არ არის გასაკიცხი უკანონო შვილისათვის, გასაკიცხია ის საზოგადოება, რომელიც ადამინებს ორ ნაწილად ყოფს: კანონიერად და უკანონოდ. უკანასკნელ სცენებში ავტორის გზა ჭეშმარიტია და მისი მსჯავრი სრულებით სამართლიანია, ავტორს აქ გამოყვანილი ყავს განათლებული სიკო, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არ არსებობს, გარდა ფულისა; ფულის გულისათვის ის ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადის, საყვარელ ქალს, რომელიც მას ენდო, თავს ანებებს, ირთავს ფულის გულისათვის მეორეს, რომელთანაც არავითარი სიყვარული არ აკავშირებს. თუ უზნეობაა ასეთი საქციელი, არანაკლებ უზნეობაა სიკოს მიერ შემდეგი თავისმართლება იმ ქალის წინაშე, რომელმაც მას მთელი თავისი არსება, თავისი პატიოსნება მიანდო.

ს ი კ ო. მართალია, ჩემი ცოლის შერთვის მიზანი ანგარება იყო, მაგრამ ამ ანგარებას ის გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, რომ უზრუნველვყოფდით ჩვენს ცხოვრებას.

მ ი ნ ა დ ო რ ა. ვის ჩვენ ცხოვრებას?

ს ი კ ო. ჩემსა და შენს ცხოვრებას.

მ ი ნ ა დ ო რ ა. ცოლი?

ს ი კ ო. ცოლი ჩვენთან იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ის არასფერს დაგვიშლიდა. აი, სწორეთ ამგვარი ქალი ამოვირჩიე.

შეუძლებელია, რომ ადამიანი ამაზე უფრო დაეცეს ზნეობრივად. თუ, ერთი მხრით, ავტორმა დაგვიხატა განათლებული, მაგრამ უზნეო ადამიანი, მეორე მხრით, მან წარმოგვიდგინა ისეთი პირნი, რომლებსაც არავითარი განათლება არ მიუღიათ, მაგრამ პატიოსნება და ზნეობა კი შეუნარჩუნებიათ. უზნეობა, რაშიც უნდა იხატებოდეს ის, დევნის ღირსია, მაგრამ ავტორი ცხადად გვიმტკიცებს, რომ სულ ხშირად განათლება უძლურია უზნეობის ასალაგმად; უზნეობას თვით საზოგადოება უნდა დევნიდეს; დღეს კი ამას ვერ ვხედავთ, სამწუხაროდ; თვით ცხოვრება უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ ადამიანს უზნეობისაკენ თავისუფალი გზა არ ჰქონდეს დათმო-

ბილი. დღეს კი ამის წინააღმდეგს ვხედავთ. საკუთარი ბუნება ვერ აამაღლებს ადამიანს, თუ თვით ცხოვრებამ არ აამაღლა ის. უმთავრესი საზრუნავი დღეს პიროვნება კი არ არის, თვით ცხოვრებაა, უზნეობის უმთავრესი მიზეზი თვით ცხოვრებაშია და არა პიროვნებაში. ამიტომაც საჭიროა ბრძოლა ცხოვრების არსებულ პირობებთან და არა პიროვნებასთან. აამაღლეთ ცხოვრება და მაშინ პიროვნებაც ამაღლდება.

წარსული წელი მდიდარი იყო სიტყვაკაზმული გამოცემებითაც: გამოვიდა ლექსები გრ. აბაშიძისა, ი. ევდოშვილისა და ს. ქვარიანისა, დაიბეჭდა ქ. აზიანის „ფული და ხარისხი", „ჭკუისა მჭირს" ცაგარლისა, „დედაკაცმა აგვრია" ნახუცრიშვილისა და სხვ. ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ უმთავრესი პოეზიაში აზრია, გარეგან ფორმას კი ხელშემწყობი მნიშვნელობა აქვს. თუ შეიძლება ასე ითქვას, ორ იმგვარ ნაწარმოებში, რომელთაგან პირველის იდეა სუსტია ან უმნიშვნელო, გარეგანი ფორმა კი საუცხოო, მეორეში კი იდეა ორიგინალურია და ძლიერი, გარეგანი ფორმა კი სუსტი, ამ უკანასკნელს ჩვენ ყოველთვის მაღლა დავაყენებთ, დავინახავთ, რომ პოეზია ფორმისა საუცხოოა, რაც შეეხება იდეას, ის არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს თანამედროვე მკითხველისათვის. ყოველი ხელოვანისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მისი გრძნობა მკითხველის გრძნობაც იყოს, მისი ფიქრი მკითხველის ფიქრიც. თუ პოეტი იმეორებს მას, რასაც საზოგადოებრივი გრძნობა და აზრი უკვე გაცილებია, რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს ის, სრულებით უმნიშვნელოთ ჩაივლის. ბუნებას ბ-ნი გრ. აბაშიძისათვის პოეტის ნიჭი ურგუნებია. მაგრამ თვით ცხოვრებას არ ჩაუყენებია ეს ნიჭი იმგვარ პირობებში, რომ ის განვითარებულიყო. იმის მაგივრად რომ პოეტი ცხოვრების სათავეში ჩამდგარიყო და მკითხველის გონება აემუშავებია, გრძნობანი აეშალა და ერთიც და მეორეც წინ, მომავლისაკენ მიემართა, პოეტს უყურადღებოდ დარჩა აწმყო; განვლილი დროის ფიქრსა და გრძნობებს დაუბრუნდა და დაიწყო იმის გამეორება, რაც ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და მამია გურიელის პოეზიაშია. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ბ-ნ ევდოშვილის პოეზია: გარეგანი ფორმა ალაგ-ალაგ სუსტია, მოუხეშავი, მაგრამ სამაგიეროდ, პოეტის ფიქრი და გრძნობანი აწმყოს ეკუთვნის და არა წარსულს, ის გამომხატველია მკითხველთა ერთი ნაწილის მაინც, ფიქრისა და გრძნობისა; ის ჰკიცხავს გულწრფელად ყოველივეს, რაც კი თანამედროვე ცხოვრებაში გაკიცხვის ღირსად მიაჩნია, უთითებს მკითხველს მელანქოლიურის ხმით დღევანდელ სოციალურ უსამართლობაზე. მუდამ მომავლისაკენ იხე-

დება, მისი იდეალი სიმპათიურია და ამიტომ იმ პოეტთა შორის, რომლებიც უკანასკნელ დროს გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, ბ-ნი ევდოშვილი საპატიო ადგილს დაიჭერს.

შესაძლებელია, პოეზიაში აზრიც კარგი იყოს და ფორმაც. მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ პოეზიას მაინც მნიშვნელობა არა ჰქონდეს; საქმე ისაა, რომ აზრი დროის შესაფერი იყოს, და არა გაცვეთილი. ის მკითხველის გულსა და გონებას რასმე ახალს აძლევდეს და არ იწვევდეს ისეთ ფიქრსა და გრძნობას, რაც ცხოვრებას დიდი ხანია ჭეშმარიტებად უღიარებია. ძმობა და სიყვარული რომ კარგი აზრია და უტყუარი ჭეშმარიტება, ამას არც ერთი ნორმალური ადამიანი არ უარყოფს, მაგრამ ვინმემ რომ მიყოს ხელი დღეს პათეტიკური ლექსების წერას ძმობასა და სიყვარულზე, ძნელად თუ ვისმეზე მოახდენს შთაბეჭდილებას. ბ-ნი ქვარიანის პოეზიის ერთი ნაწილი, ავტორის აზრები, მისი მისწრაფებანი სიმპათიურია, მაგრამ ამავე დროს იმდენად შესისხლხორცებული და ცხადი უმეტესობისათვის, რომ მათი ხელახლა გადაღეჭვა უქმად დროს დაკარგვაა. მეორე ნაწილში ავტორს აზრებიც დროის შესაფერისი აქვს, გრძნობანიც ყოველი თანამედროვე მკითხველისათვის სიმპათიური, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერც ეს ნაწილი ახდენს მკითხველზე ვერავითარ შთაბეჭდილებას. რა არის ამის მიზეზი?—ის, რომ ბ-ნი ქვარიანი პოეტი არ არის: მას აქვს მხოლოდ უნარი წაკითხული პოეზიის შთაბეჭდილებით იმავე თემაზე რითმიანი პროზა დაწეროს; ბ-ნი ქვარიანის ზოგიერთ ლექსს რომ კითხულობთ, იდეაც სიმპათიურია, ფორმაც რიგიანი, მაგრამ ისინი არათუ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ თქვენზე, ასე გგონიათ, თითქოს საყინულეში ჩამაგდესო. ავტორის გრძნობა თქვენს გულს სრულებით ვერა წვდება. მხოლოდ ის მწერალია პოეტი, რომლის გულწრფელად გამოხატულ ფიქრსა და გრძნობას შეუძლია იმგვარივე ძლიერებისა და თვისების გრძნობა და ფიქრი აღძრას მკითხველში, პოეტის ყოველი აზრი უპირველესად გულს უნდა ატოკებდეს, ბ-ნი ქვარიანის ნიჭი კი ამ თვისებებს მოკლებულია და ამიტომაც მისი პოეზია ჩვენ არ მიგვაჩნია პოეზიად. ზოგიერთ ლექსებში გატარებულ აზრებსა და მისწრაფებათ კი სულითა და გულით თანავუგრძნობთ.

ქ-ნი აზიანის, ბ-ნ ცაგარლისა და ნახუცრიშვილის პიესები ერთ წიგნად გამოვიდნენ „ცხოვრების სარკეს“ სათაურით. ბ-ნი ცაგარლის „ჭკუისა მჭირს“ საუცხოო ვოდევილია; თუმცა ცხოვრებაში ძვირად მოიპოვება ისეთი ბოქაული, როგორიც ავტორსა ყავს დახატული და შეუძლებლადაც მიგვაჩნია, რომ ტასოსთანა ქალმა ასე მორჩილად აიტანოს გრიქულას ლოშნა, მაგრამ ვოდევილს დიდი

ბუნებრიობა და ფაქტების ლოგიკა არ მოეთხოვება, რადგანაც მისი მიზანი უმთავრესად გულუბრყვილო სიცილია. „ჭკუისა მჭირს“ ამგვარ მიზანს უნაკლოდ შეეფერება და სასურველია, რომ ის საპატიო ადგილს დაიჭერდეს ჩვენი ვოდევილების რეპერტუარში. ბ-ნ ნახუცრიშვილის „დედაკაცმა აგვრია“ იმავე თემას შეეხება, როგორც ბ-ნ სიკოს „სოფელში“, რომელიც „მოამბეში“ დაიბეჭდა: ეს თემაა სოფლის მოხელეთა თვითნებობა და ძალმომრეობა, თუ „სოფელში“ სუსტ სახელოვნო ნაწარმოებს წარმოაჯგენს, სამაგიეროდ, ბ-ნ ნახუცრიშვილს ცოცხლად და სინამდვილით აქვს დახატული რამდენიმე ფაქტი სასოფლო სასამართლოსა და მამასახლისის მოქმედებიდან. უმთავრესი ნაკლი ამ სცენებისა ის არის, რომ ავტორს მეტად გაუჭიანურებია; ნახევრადაც რომ შეემოკლებინა, მაშინ თავიდან აიცდენდა იმ ერთფეროვნებას, რაც ასე ღლის მკითხველს ამ სცენების კითხვის დროს და ამით მათი სახელოვნო ღირსებაც მოიგებდა. კანონთა დებულებით სოფლის საქმეებს გარეშე მთავრობის გარდა განაგებს სოფლის ყრილობა, სოფლის სასამართლო და მამასახლისი. თუმცა ამგვარი თვითმმართველობა პრინციპიალურად ფრიად საჭიროა და სასარგებლოა, მაგრამ იმგვარ გონებრივ პირობებში, რომლებშიაც ჩვენი სოფელი იმყოფება, ხშირად მაზარალებელია; სულ ხშირად მამასახლისი და სოფლის მოსამართლე გლეხები ანუ „სუდიები“ წერა-კითხვის ცოდნას მოკლებული არიან, ამით სარგებლობს მწერალი და ათასგვარ უკანონობას ჩადის; სულ ხშირად სოფელში მდიდარ გლეხს, გინდ სხვა ვინმეს ისეთი გავლენა აქვს მამასახლისსა და მოსამართლეებზე, რომ როგორც უნდათ, ისე ამოქმედებენ მათ; ხშირად განათლებული მამასახლისი და მოსამართლენი ზნეობითაც იმდენად დაცემული არიან, რომ გამართლება-გამტყუნება, გინდ საქმის მოგება-წაგება ერთი აბაზის არაყზეა დამოკიდებული. ამიტომ ვერავითარი სასარგებლო დაწესებულება ვერ მოქმედებს იქ, სადაც უმეცრება და ზნეობრივი სიღატაკე მეფობს. თვითმმართველობა კი არ არის სოფლისათვის საზარალო, მაზარალებელია ის გონებრივი სიბნელე, რომელსაც ჩვენი სოფელი მოუცავს. იქ, სადაც უმეცრება გონიერებას ჭარბობს, ზნეობას უზნეობა, ვერავითარი სასარგებლო დაწესებულება თავისთავად ნაყოფს ვერ მოიტანს. გაავრცელეთ ხალხში განათლება, აამაღლეთ ის ზნეობრივად და გონებრივად იმდენად, რომ თვითონ დაინახოს და შეიგნოს საკუთარი ინტერესები, თვითონ გაარჩიოს კარგი ავისაგან და მაშინ ის თვითონ უპატრონებს თავის თავს. ღღნიშნული აზრის საუკეთესო დამტკიცებას წარმოადგენს ბ-ნ ნახუცრიშვილის სცენები და სიკოს „სოფელში“. თქვენ აქ ხედავთ უმეცარ მოსამართლეებს. უმე-

ცარსა და უზნეო მამასახლისს. რომლის სამართალიც იქით არის, საიდანაც ქრთამს მოელის ან კარგ სადილს; თქვენ აქ ხედავთ სოფლის ჩარჩს. რომელიც თავისი ჯიბით სამართალს ყიდულობს, თქვენ აქ ხედავთ მწერალს, რომელიც არათუ თვითონ იღებს ქრთამებს, მამასახლისსა და მოსამართლეებსაც აქეზებს ქრთამის ასაღებათ და დიდ უკანონობათ მიაჩნია, როცა მეტის აღება შეიძლება და ნაკლებს კი ჯერდებიან. მოსამართლეებისა და მამასახლისის მთელი გონებრივი და ზნეობრივი სიღატაკე საუცხოოდ არის დახატული „დედაკაცმა აგვრიაში", რომელიც აშკარად უთვალისწინებს მკითხველს. თუ რა შეადგენს ჩვენი სოფლისათვის ერთ უმთავრეს საჭიროებას. განათლება. განათლება და ისევ განათლება—აი, რა შეადგენს უმთავრეს პირობას, ურომლისოდაც სოფლის ცხოვრების რიგიანად წარმართვა ყოვლად შეუძლებელია.

გადავიდეთ ახლა „ფული და ხარისხზე", ქ-ნი აზიანი სულ ახალგაზრდა მწერალია; რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც ის მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა და მალე დაიმახსოვრა საზოგადოების ყურადღება. საზოგადოება იცნობს მის სამ კომედიას: „ინჯილერი და დოხტური", „ფული და ხარისხი" და „გაცრუებული იმედები". პირველი კომედიის შესახებ ჩვენ გამოთქმული გვქონდა აზრი ამ ორი წლის წინათ. რამდენიმე იმ ნაკლთაგანი, რომლებიც აუშნოებდა პირველ კომედიას, ავტორს უკვე მოუცილებია თავიდან. თუ სინამდვილის სისაძაგლით ამღვრეულმა გულმა ავტორს პირველ კომედიაში ალაგ-ალაგ სინამდვილე დაამახინჯებინა და ტიპების მაგიერ კარიკატურები დაახატვინა, სამაგიეროდ, ვერც სინამდვილის დამახინჯებასა და ვერც კარიკატურას ველარ ნახავთ შემდეგ კომედიებში. „ფული და ხარისხის" შინაარსი მარტივია; თ-დი დავით ლამბაძის შვილი ლევანი, რომელმაც ყველა საშუალო სასწავლებლები დაიარა და ბოლოს შინ დაბრუნდა, ირთავს მდიდარი შარბათოვის ქალს—მაშოს. მიჰყოფს ხელს ლოთობასა და გარყვნილ ცხოვრებას, მოაბეზრებს როგორც სიმამრს, ისე ცოლს თავს, ლოთობის დროს მოჰკლავს კაცს და ციმბირში ამოჰყოფს თავს. თემა, როგორც მკითხველი ჰხედავს, ახალი არ არის. გაღარიბებული თავადები რომ ცოლის შერთვით იმედოვნებენ ხსნას და, რადგანაც სიმდიდრე სომხებში იყო, ამიტომ სომხის ქალებს ეტანებოდნენ და უკანასკნელებიც კნეინობას ხარბდებოდნენ, ეს ჩვენმა ცხოვრებამ და ჩვენმა ლიტერატურამაც დიდი ხანია იცის. მაგრამ ავტორს არ უნდოდა, ახალი რამ ეთქვა. მან გადმოიღო ნამდვილი ცხოვრებიდან ის, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, მიუხედავად იმისა, რომ სურათი ახალი არ არის, ავტორმა ისე კარგად დახატა, რომ მაინც სა-

ყურადღებო გამოვიდა. „ფული და ხარისხი“ უტყუარი სახეა ჩვენი არისტოკრატიის დღევანდელი მდგომარეობისა. თავ. ლევან და კოწია ლამბაძეები ავტორს მეტად ხელოვნურად ყავს დახატული; ყოველი მათი სიტყვა, ყოველი მოქმედება, ყოველი მოძრაობა ბუნებრივია. ნამდვილი ცხოვრებიდან არის ამოღებული, რას წარმოადგენენ ეს ახალგაზრდა თავადები? სრულ არარაობას, როგორც გონებრივად და ზნეობრივად. ისე ქონებრივადაც. მომავალი ამათ აღარავითარი არა აქვთ აწმყოში მხოლოდ საუცხოო მაგალითის წარმოადგენენ გადაშენებისას. გონებრივად და ზნეობრივად ამაღლება აღარც ერთს არ ძალუძს, სწავლის ნიჭსაც და სურვილსაც ორივე მოკლებულია. ღვინო და ქალები—აი, ერთადერთი საფიქრელი ორივესი, ლოთობა და გარყვნილება, აი, ერთადერთი საქმე, რომელიც მათ შეუძლიათ. ჩვენი თავადაზნაურობის იმ ნაწილის გამობრუნება, რომელსაც კოწია და ლევანი ეკუთვნიან, ყოვლად შეუძლებელია,—ეს ნაწილი გადაშენების გზას ადგას და დღეს თუ ხვალ სრულებით უნდა აღიხოცოს ჩვენს ცხოვრებაში. დარჩა მეორე, სამწუხაროდ, უმცირესი ნაწილი. ჩვენი არისტოკრატიისა, რომელსაც აქვს მომავალი იმდენად, რამდენადაც ის ახალი დროის მოთხოვნილებისამებრ იცვლება. ჩვენი თავადობის ამ ნაწილს სიტყვაკაზმული მწერლობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

არტემ შარბათოვი. მისი მეუღლე სოფიო და ქალი—მაშო ავტორს კარგად აქვს დახასიათებული, ხოლო დავით ლამბაძე ბუნებრიობას მოკლებულია, ის თავისი რეზონიორობით უფრო ავტორის სენტენციაა, ვიდრე ცხოვრებიდან ამოღებული პირი. ის უფრო თავადის ტანისამოსში გამოწყობილ თანამედროვე განათლებულ დემოკრატს წააგავს, ვიდრე 60 წლის თავადს, რომელიც შინაურულად აღზრდილა და სხვა არავითარი განათლება არ მიუღია. ის, რასაც დავით ლამბაძე ქადაგებს, ავტორის აზრებია და არა ლამბაძის; შესაძლებელია, ლამბაძეს სწამდეს, რომ თავადობას დღეს ფასი აღარა აქვს, რომ გვარიშვილობას პირადი ღირსება ჯობია და სხვ., მაგრამ მის წლოვანებაში მყოფი ძველებური თავადი რომ ამდენად მოკლებული იყვეს თავადურ სიამაყეს და ბატონყმურ გემოვნებას, შეუძლებელია. ავტორმა ეს პირი უფრო თავის ფანტაზიით შეთხზა, ვიდრე ცხოვრებიდან ამოიღო და ამიტომ დავით ლამბაძე ცოცხალ ადამიანის შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. თუ პიესის ზოგიერთი პირი, როგორც ლევან და კოწია ლამბაძეები, სამაგალითო რეალიზმით არის დახატული. ამგვარისავე რეალიზმით არის შემუშავებული რამდენიმე სცენა პიესაში: მაგალითად, მეოთხე გამოსვლა პირველ მოქმედებაში, მეექვსე გამოსვლა, მეორე გამოსვლა მეორე მოქმე-

დებაში, მერვე გამოსვლა მესამე მოქმედებაში. გადავიდეთ ახლა პიესის ტექნიკურ მხარეზე. სამივე მოქმედებათა შორის ლოგიკური კავშირი არსებობს, მაგრამ უმთავრესი ნაკლი პიესის ტექნიკური მხარისა იმაში მდგომარეობს, რომ პირველი და მესამე მოქმედება მეტად გაჭიანურებულია. პირველი მოქმედების მეხუთე გამოსვლაში გლეხები ზედმეტი არიან. სრულებით მეტად მიგვაჩნია აგრეთვე მერვე გამოსვლა პირველ მოქმედებაში. აქ თუ ავტორმა გამოიყვანა ივანე მუშტაძე, მას მიზნად ჰქონდა ჩარჩი დაეხატა, მაგრამ ივანე ძალიან სუსტი და მკრთალი გამოვიდა. მოისმინეთ, როგორი სიტყვებით შეხვდება ივანე თავად დავითს:

დ ა ვ ი თ ი. ფულები უნდა მასესხო.
ი ვ ა ნ ე. სადღა მაქვს, ძმაო, ფულები!

ეს ერთადერთი სიტყვა „ძმაო“ სრულებით აფუჭებს მთელ მერვე გამოსვლას. ამ ერთი სიტყვით ავტორმა დაამტკიცა, რომ ქართველი ჩარჩის ბუნება, ფსიქოლოგია მას არა აქვს შესწავლილი: რა შეძლების პატრონიც უნდა იყოს ივანე, რა სიმაღლეზედაც უნდა იყანებდეს ის თავის თავს დავითთან შედარებით, დავითს ის „ძმაოს“ არასოდეს არ ეტყვის პირში. ივანეს დახატვაში ავტორი ძალას ატანს თავის ნიჭს და ამიტომ მთელი ეს გამოსვლა რომ გამოეტოვებინა ავტორს, პიესა არას წააგებდა. მეხუთე გამოსვლა მესამე მოქმედებაში სრულებით მეტია: ის რომ შეემოკლებინა ავტორს და მეოთხე გამოსვლასთან შეეერთებინა, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა.

„გაცრუებული იმედების“ ღირსება და ნაკლულევანება იმგვარია, როგორიც განხილული პიესის. შინაარსი აქაც მარტივია. სტეფანე ზარალოვი და მის მეუღლე ნინო დოქტორ შვილს მოელიან უნივერსიტეტიდან და მის დიპლომზე დიდ იმედებს ამყარებენ: ფულები, სახლები, კეთილი ცხოვრება—აი, რის გარშემო ტრიალებს მთელი მათი აზროვნება, მაგრამ შვილი ჩამოსვლისთანავე აქარწყლებს მათს იმედებს: მას არც ფული, არც სახლი არ იზიდავს, — მისი მიზანია სინდისიერად იცხოვროს და ყოველ გაჭირვებულს დაეხმაროს. პიესის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ შიგ არავითარი მოქმედება არ არის; მოქმედება სცენის გარეშე წარმოებს, თვით სცენაზე კი ცარიელი ენის ტრიალია: ორივე მოქმედება ცოტა გაჭიანურებულია, თუმცა მკითხველსა და მაყურებელს იმდენად არა ჰღლის, როგორც „ფული და ხარისხი“. სტეფანე ზარალოვი, ნინო და ლიზა პიესაში კარგად არიან დახატული. ზარალოვი საუცხოო ტიპია იმგვარი მამებისა, რომლების მსგავსსაც ბევრსა ნახავთ ჩვენს ცხოვრებაში. მისი ერთადერთი მიზანი საკუთარი ბედნიერებაა; მისი აზროვნების,

მის მისწრაფებათა ერთადერთი საგანი—ფული. ის ყველაფერში ფულს ეძებს, ყველაფერს ფულის საზომით ზომავს. სწავლა-განათლების იდეური მხარე მას არ ესმის, განათლება მის თვალში მხოლოდ იარაღია ფულის მოსახვეჭად. მას ვერ წარმოუდგენია, რომ სიმდიდრეზე მაღლა იდგეს რამე ცხოვრებაში; მის თვალში საშინელი სისულელეა, როდესაც ადამიანს თავის თავს გარდა სხვაც ახსოვს, სხვისთვისაც ზრუნავს. საკუთარი კეთილდღეობა—აი, რას უნდა ეტრფიალებოდეს ყოველი ადამიანი, მისი აზრით; ამ მიზნის მისაღწევად მისთვის ყოველგვარი საშუალება პატივსადებია. ამიტომ ზარალოვის ზნეობრივსა და უზნეო საქციელზე, პატიოსნებაზე და ადამიანურ ღირსებაზე სავსებით თავისებური წარმოდგენა აქვს. მის თვალში „კაცი ის არის, ვისაც ფული აქვს", როდესაც ადამიანი ყველას ეხმარება და თავის თავს კი ივიწყებს, ასეთი ადამიანი საბრალო და უღირსია. მისი შვილი ვანო კი სრულიად წინააღმდეგი ტიპია. ის უარყოფს ყოველივეს, რასაც მამამისი ეტრფის, მას ეზიზღება ყოველივე, რაც მამამისს მოსწონს. ის, რაც მამამისის თვალში პატიოსანი და სინდისიერია, მის თვალში უპატიოსნო და უსინდისოა; ის უარყოფს სიმდიდრეს, მაღალ საზოგადოებაში ტრიალს; მარტო თავის თავზე ზრუნავ, მარტო საკუთარი თავისათვის ცხოვრება დიდ უზნეობად მიაჩნია; ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სხვისთვის ცხოვრება, გაჭირვებულის შველა მის აზროვნებაში ერთად არიან შეერთებული; ამიტომ მამასა და შვილს ერთმანეთისა არაფერი ესმით, საერთო არაფერი აქვთ.

ლიზა ტიპიური წარმომადგენელია ქარაფშუტა ქალებისა. აოც თავში, არც გულში ფუქსავატობის მეტი არაფერი აბადია რა. საკუთარი რწმენა-შეხედულება მას არ გააჩნია, ის ცხოვრობს საზოგადოების გემოვნებით; მოქმედებს ისე, რომ საზოგადოებამ არ გაიცინოს: საკუთარი წარმოდგენა ზნეობაზე, პატიოსნებაზე და ადამიანის ღირსებაზე მას არ გააჩნია; მოსწონს ის, რაც საზოგადოებას მოსწონს, სწუნობს მას, რასაც საზოგადოება წუნობს, რასაკვირველია, ის საზოგადოება, რომელშიაც ის ტრიალებს. მისი ერთადერთი მიზანია საკუთარი ბედნიერება, სიმდიდრე, ფუფუნება და მდიდარი ქმარი, სიყვარულისათვის კი არა, არამედ ფულებისათვის. ნინა სრული მსგავსებაა თავისი ქმრის, სტეფანესი. ის აღზრდილია იმგვარსავე წრეში და აზრებში, როგორშიაც მისი ქმარი და ამიტომ მისი მიზანი და მისწრაფებანი იგივეა, რაც სტეფანესი, სტეფანეს ქალის სონას სახით ავტორს უნდოდა დაეხატა ლიზას წინააღმდეგი ახალგაზრდა ქალის ტიპი. სონას მიზანია თავისი შრომით ცხოვრება, სწავლა-განათლებით აღჭურვა და საზოგადოებისათვის ზრუნვა.

მარტო თავის თავზე ფიქრი, მარტო თავისი კუჭისათვის ზრუნვა მას ჭირივით ეჯავრება და ამიტომ სულითა და გულით მიისწრაფვის მშობლების ოჯახიდან გასვლას. გაბო, სონას საქმრო, იმგვარივე აზრებისა და იდეალების ყმაწვილი კაცია, როგორც ვანო, მხოლოდ უფრო მოძრავი და ცოცხალი ტემპერამენტის. ხასიათთა სხვადასხვა რწმენა-შეხედულების ადამიანები ყავს გამოყვანილი: ერთ მხარეზე დგანან სტეფანე, ნინო, ლიზა, გიგო და კეკელა—გაბოს მშობლები, მეორეზე ვანო, სონა და გაბო. პირველნი არიან წარმომადგენელნი მატერიალური მიმართულებისა; მათი აზროვნების ცენტრში მოთავსებულია საკუთარი „მე" და საკუთარი კუჭი. მეორენი კი არიან წარმომადგენელნი იდეალური მიმართულებისა: მათი აზროვნების შუაგულში მოთავსებულია „მე"-ს მაგივრად გაჭირვებული, კუჭის მაგივრად სული. პირველი მიმართულების წარმომადგენელნი ავტორს საუცხოოდ ჰყავს დახასიათებული: სტეფანე და ლიზა ნამდვილი ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი, უნაკლოდ და სრული სინამდვილით; სულ სხვაა ავტორის ნიჭი მეორე მიმართულების პირთა დახატვაში; რამდენადაც ძლიერია ავტორი სტეფანესა და ლიზას დახატვაში,იმდენად სუსტია ვანოსა და სონას დახატვაში. ვანო რეზონიორია; სონა ხომ სრულებით მკრთალი, უფერული და უსიცოცხლოა: ამ პირთა შორის უკეთესი გამოვიდა ისევ გაბოს სახე. ეს სცენები ავტორს ნამდვილი ცხოვრებიდან აქვს ამოღებული და ცოცხლად და სრული რეალიზმით დახატული. როგორც სახელოვნო ღირსებით, ისე ტექნიკის მხრით, ეს კომედია, ერთი მხრით, მაღლა დგას „ფულსა და ხარისხზე". მაგრამ, მეორე მხრით, უკანასკნელს მით ჩამოუვარდება, რომ მოქმედება აქ მეტია და უფრო ბუნებრივად და მეტის თანდათანობით მიმდინარეობს მაყურებლის წინაშე. ვიდრე „გაცრუებულ იმედებში", მაგრამ ავტორის ნიჭი ჯერ გამოუცდელი და გაუწვრთნელია. ავტორს ჯერ კიდევ დიდი შრომა და მეცადინეობა სჭირია; თუ უნდა, რომ მისმა ნიჭმა შესაფერი ნაყოფი მოიტანოს, მან საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს, ერთი მხრით, სცენა, მეორე მხრით, ევროპის საუკუთესო დრამატურგები, მესამე მხრით, უნდა ეცადოს აღჭურვოს ფილოსოფიური განვითარებით, რაც აუცილებელ პირობას შეადგენს ყოველი მწერლისათვის,რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს; ვანოსთანა ტიპები ავტორს უფრო რეალური და უფრო ცხოველი გამოუვიდოდა, რომ მის დაკვირვებითს ნიჭს შესაფერი განვითარებაც ხელს უწყობდეს. უკანასკნელი პიესა აშკარად ამტკიცებს, თუ რა თვისების არი ქ-ნი აზიანის ნიჭი, რაშია მისი ძალა და რაშია მისი სისუსტე. ავტორის ფანტაზია სუსტია, სამაგიეროდ დაკვირვების ნიჭი ძლიერი. ის საუცხოოდ ამჩნევს ცხოვ-

რებისა და ადამიანის ბუნების გასაიცხ მხარეებს და აქ მისი ენა მკვირცხლი. ცოცხალი და დამცინავია; სამაგიეროდ, ცხოვრებისა და ადამიანის ბუნების კარგი მხარეების ხატვა მის კალამს არ ეხერხება და ამიტომ ავტორის ასპარეზი კომედიაა. რადგანაც ავტორი თითქმის ყოველისფერს შიგ ცხოვრებიდან იღებს, ამიტომ მისი ტიპების მრავალფერობა დამოკიდებულია იმ ცხოვრების სიფართოვეზე. რომელშიაც ავტორი ტრიალებს. ვინც გაიცნობს ავტორის სამივე კომედიას, ის მალე შეამჩნევს, რომ ავტორს საფანელი ელეეა, ერთფერობა ეტყობა: ამის მიზეზი ის არის, რომ ავტორს პატარა წრე ჰყავს მხოლოდ შესწავლილი და მხოლოდ ამ პატარა წრიდან იღებს თავისი კომედიის მომქმედ პირებს. თუ ავტორის დაკვირვება ამ პატარა წრეს აღარ გასცილდება, წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალს ვეღარას მოგვცემს, ყოველი მისი კომედია ძველი ტიპების ახალ ტანისამოსში გამოყვანა იქნება. ამიტომ თუ ავტორს უნდა, რომ თავისი ნიჭი ერთ წერტილზე არ შეაჩეროს, ის ღრმად უნდა ჩაუკვიდრეს და ყოველის მხრით შეისწავლოს ჩვენი რთული საზოგადოებრივი ცხოვრება. ამისათვის თავისი დაკვირვება ავტორმა უფრო ვრცელ წრეში, მთელ საზოგადოებაში უნდა გადმოიტანოს და არა მის ერთ რომელიმე ნაწილში და დაკვირვების გარდა ავტორმა წინ უნდა წაიმძღვაროს გარკვეული მსოფლმხედველობა, გარკვეული იდეალები. მხოლოდ ამ პირობებში შესძლებს ავტორი ნამდვილი და შემუშავებული კომედიების შექმნას, დღეს კი მისი ნიჭი უფრო მზადების ხანაშია, ვიდრე შემოქმედებაში.

1902 წ.

რა არის კრიტიკა

(ბუნება და მშვენიერება — პოეზია და კრიტიკა)

არ გაგივლია, მკითხველო, ახალ გაზაფხულზე ბაღში? სხვადასხვა ფერად აყვავებული ხეხილი მაყურებლის თვალს იტაცებს; ერთი კოკორი მთლად გადაშლილია და მზისათვის მიუშვერია მკერდი, მეორეს ოდნავ გაუღია ნორჩი ფურცლები და ეკეკლუცება ფუტკარს. მესამე, ეს არის ახლა აპირობს ბუდიდან გამოძვრომას; ნორჩი ფურცლები მზის სხივებს სხვადასხვა ფერად აკრთობენ და გაცოცხლებულ, გაღვიძებულ ბუნებას სილამაზით ავსებენ. თუ გინახავს ასეთი სურათი, მხოლოდ სინამდვილეში უფრო ცხოველი, უფრო მიმზიდველი, ნუთუ ერთხელ მაინც არ გითქვამს: მშვენიერია სიცოცხლე, მშვენიერია ქვეყნიერება, მშვენივრად არის მასში ყოველივე გაწესრიგებულიო? ის თვისება, რომლის შემაერთებელ მცნებასაც ჩვენ მშვენიერებას ვუწოდებთ, უხვად არის გაბნეული ბუნებაში თვით უსულო საგანთა შორისაც. ის აერთებს, აკავშირებს ერთმანეთთან მაღალი კლდიდან გადმომჩქეფარე ნაკადულს, მაისის გაშლილ ვარდს, მოციმციმე ვარსკვლავს, ცისარტყელას და სხვ. მისთვის არც ალაგი, არც დრო არ არსებობს, ის ყველგან არის, ცასა და დედამიწას აერთიანებს.

დილით ადრე არ გინახავს ბალახზე აგორებული ცვარი? არ დაგიწყია მისთვის ცქერა, როგორ აკრთობს ის ახლად ჩამოშვებულ მზის სხივებს და ალმასივით ბრჭყვიალებს! ეს ერთი წვეთი წყალიც კი მშვენიერების მატარებელია: თოვლი რა არის, განა არ შეგიმჩნევია ხშირად, რა ლამაზი, რა სიმეტრიული სახე აქვს მის პატარა ფერფლს? აქაც კი არის მშვენიერება, ამ პატარა ფერფლში, რომელსაც მზის ერთი უბრალო სხივიც კი არსებობას უსპობს.

დაანებეთ თავი უსულო საგნებს. განა ბუნებას ცხოველთა შორის ნაკლები სიუხვით დაუთესია მშვენიერება? ბუნება და ბუნების საგნები რომ მოკლებული იყოს ყველა ამ თვისებას, რომელსაც ადა-

მიანის ენა მშვენიერებას უწოდებს. ყოველიფერი მკვდარი. უსიცოცხლო, მიუზიდველი იქნებოდა, — თვით ადამიანის ცხოვრებასაც კი არ ექნებოდა ფასი. რა სიცოცხლეა ის სიცოცხლე, რომელიც მშვენიერებას მოკლებულია? — „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“, უთქვამს უკვდავ რუსთაველს. მშვენიერების გამოხატულებას ბუნებაში ორგვარი სახე აქვს, ან. უკეთ რომ ვთქვათ, მშვენიერება ცოცხალ ქმნილების შემეცნებას მხოლოდ ორი გზით აღწევს: თვალის შემწეობით და ყურის შემწეობით. სმენელობითი შეგნება მშვენიერების უფრო მეტ ესთეტურ განვითარებას ითხოვს ცხოველისაგან, ვიდრე მხედველობითი შეგნება: ნახულის აწონა და დაფასება უფრო ადვილია, ვიდრე გაგონილისა. მიუხედავად ამისა, წყურვილი მშვენიერებისა იმდენად გავრცელებულია ცოცხალ არსებათა შორის, რომ ტკბილ ენას გველის გამოყვანაც კი შესძლებია ხვრელიდან. რომ აქ არავითარი გადაჭარბება არ არის. ამას ბევრი მაგალითი ამტკიცებს: ინდოეთში ადგილობრივი მცხოვრებნი ერთგვარის საკრავით იმდენად ათვინიერებენ და იმორჩილებენ შხამიან გველს, რომ მისი დაჭერაც კი უხიფათო ხდება. განა შენ თვითონ არ გინახავს. მკითხველო, გაზაფხულის პაპანაქება დღეში როგორ წამოწვება ხოლმე ქვაზე უშნო, ულაზათო ხვლიკი?! ის ამ დროს ბუნებისა და სიცოცხლის ნეტარებითა სტკბება და სრულ ბედნიერებად გრძნობს თავს. ფრინველებს რომ არ ესმოდეთ, თუ რა არის მშვენიერება, ეჭვსგარეშეა, ბუნებას აღარ ეყოლებოდა სხვადასხვა მგალობელი ფრინველი. რით ხიბლავს, რით იმონებს მამალი ბულბული თავის სატრფოს გულს? მხოლოდ ხმის სიმშვენიერით. ფრინველთა და ცხოველთა შორის დედლის მოსაპოვებლად უმეტეს ნაწილად ბრძოლაა; ზოგან ბრძოლაა ფიზიკური, — ვინც ყველას მოერევა, დედალიც მას რჩება. მაგრამ ხშირად და უფრო ფრინველთა შორის ბრძოლა ესთეტიურია: ვინც უფრო მოაწონებს თავს დედალს თავისი გარეგნობით, გამარჯვებულიც ის არის. ამგვარი მაგალითებით სავსეა ბუნების ისტორია. რას გვასწავლის ყოველივე ეს? აი, რას. ბუნებაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ცხოველს, რომელიც არ ეტანებოდეს მშვენიერებას, რომელსაც არ ხიბლავდეს მშვენიერება.

სწავლა იმისი, თუ როგორ ვითარდება და ფართოვდებოდა ისტორიის მსვლელობაში წარმოდგენა, არის ამავე დროს სულიერი და მატერიალური კულტურის ევოლუციის შესწავლა. თანამედროვე ადამიანს და თანამედროვე საზოგადოებას თუ მივმართავთ, დავრწმუნდებით, რომ ერთ უძლიერეს წყურვილს ადამიანისას წარმოადგენს მშვენიერება, ძვირფასად მორთული სახლი მდიდრისა, ტლან-

ქად შეღებილი კარი ღარიბის ქოხისა, რაფაელის ქამანჩა და ბეთ-ჰოვენის მუსიკა, რკინის ბეჭედი ღარიბის თითზე და ევროპელი მდიდარი ქალის სამკაული — ყველა ნაყოფია, გამოწვეულია მშვენიერების სიყვარულით, მშვენიერების მოთხოვნილებით. რა იაფადაც უნდა აფასებდეს ყოველი ჩვენგანი სხვის აზრს, მაინც ყოველი ჩვენგანი ცდილობს, რაც შეიძლება, კარგის მხრით ეჩვენოს სხვას. წყურვილი მშვენიერებისა იმდენად მძლავრად არის ჩვენს არსებობაში გამჯდარი, რომ არც ლაპარაკის დროს, არც მიხრა-მოხრაში, არც ჩაცმა-დახურვაში, არც ერთ ჩვენთაგანს არ ავიწყებდა, რომ უშნოდ, ტლანქად, სასაცილოდ არაფერი მოიმოქმედოს. მოკლედ რომ ვთქვათ: ყველას გვინდა, ერთი მხრით, ჩვენში მშვენიერება იყოს, რაც შეიძლება მეტი, მეორე მხრით, — რომ ჩვენში, ყველა რაც შეიძლება, მეტს მშვენიერებას ხედავდეს.

რატომ ეტანება ამდენად ადამიანი მშვენიერებას? სად არის ამის მიზეზი? ერთი მხრით, — ადამიანში, მეორე მხრით, — ისევ მშვენიერებაში. განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანს ყოველივე მშვენიერი იმიტომ მოსწონდა, რომ მისთვის ეს სასარგებლო იყო, — ამბობს ბევრი. თავდაპირველად სასარგებლო და მშვენიერი ერთი და იგივე იყო, — ამბობს გუიო თავის ესთეტიკაში. ამგვარად, ზოგიერთი მეცნიერის აზრით მშვენიერებისადმი სიყვარულისა და მისწრაფების საიდუმლოება ადამიანის ეგოიზმში იმარხება — ადამიანს მოსწონს ყოველიფერი, რაც მისთვის სასარგებლოა, და რადგანაც ყოველგვარი მშვენიერი იმავე დროს მისთვის სასარგებლოც იყო, აქედან ადამიანის ბუნებაში თანდათან ჩაისახა და გაძლიერდა სიყვარული მშვენიერებისადმი.

ამგვარი აზრი შეცდომად უნდა ჩაითვალოს. როდესაც ვუკვირდებით ადამიანის მისწრაფებას მშვენიერებისადმი, ვრწმუნდებით, რომ ეს მისწრაფება მხოლოდ მოთხოვნილებაზეა დამყარებული — მშვენიერება ადამიანის ბუნების მოთხოვნილებაა, ესთეტიკურ მოთხოვნილებას კი იწვევს და ანვითარებს მხოლოდ სიამოვნება და სარგებლობა. თუ ინდოელის სალამურს გველი ხვრელიდან ამოჰყავს მხოლოდ იმ მიზეზის წყალობით, რომ გველს სალამურის ხმა სიამოვნებას ჰგვრის; თუ ზოგიერთი ფრინველი მხოლოდ ერთ მამალს ნებდება და არა მეორეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გალობა ან მისი სილამაზე ყველაზე მეტად სიამოვნებს, თუ ჩვენ მოგვწონს მშვენიერი ქანდაკება, გამოჩენილი მხატვრობა, გაზაფხულის ლამაზი დილა, აყვავებული ველი, ბეთჰოვენის სონეტა, მესხიშვილის თამაში, გოეთეს ვერტერი და სხვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ეს სიამოვნებას იწვევს ჩვენში. რად იწვევს ჩემში, შენში და მასში მშვენიე-

რება სიამოვნებას? ამის პასუხს ვერავინ მოგცემთ, — ამგვარია, საზოგადოდ, ადამიანის ნერვები, რომელთა ერთ უმთავრეს მოთხოვნილებას სიამოვნება შეადგენს.

თუმცა საძირკველი მშვენიერებისა სიამოვნებაა, მაგრამ მკითხველისათვის ცხადია, რომ საზოგადოება არ წარმოადგენს მშვენიერების კრიტერიუმს, მშვენიერების სასწორს: სულ ხშირად მას, რაც სასიამოვნოა, მშვენიერებასთან, შეიძლება შორეული ნათესაობაც არ ჰქონდეს. ამის მიზეზი სიამოვნების სხვადასხვაობაში მდგომარეობს. მშიერ კუჭზე მადლიანი ლუკმა დიდ სიამოვნებასა ჰგვრის ადამიანს. მაგრამ ლუკმის პირში ჩადება, რა მშვენიერიც უნდა იყოს ეს პირი და მისი ღეჭვა, არავითარ მშვენიერებას არ წარმოადგენს. სიამოვნება ორგვარია: ხორციელი და სულიერი. ყოველ და ყოველგვარ მშვენიერების უმთავრეს და უპირველეს პირობას ის შეადგენს, რომ უნდა იწვევდეს ადამიანში მხოლოდ სულიერ სიამოვნებას.

მეორე მიზეზი მშვენიერისადმი მისწრაფებისა, როგორც უკვე ვთქვით, თვით მშვენიერებაშივეა. ამის შესაგნებად საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა არის თვით მშვენიერება? რად ვუწოდებთ ერთ საგანს ან მოვლენას მშვენიერს, მეორეს კი არა?

რა არის მშვენიერება? არსებული, რეალური საგანი ან მოვლენაა ის თუ არა? მშვენიერება არის მხოლოდ განყენებული ცნება. — ის გამოხატავს მარტო სახელს სხვადასხვა თვისებისას. თუ ჩვენ ვამბობთ, ესა და ეს საგანი მშვენიერებას წარმოადგენსო, ამით ჩვენ, აი, რისი თქმა, ან რისი გამოხატვა გვინდოდა: ესა თუ ის საგანი შეიცავს ერთს, ორს, სამს ან მეტს თვისებას, რომლებიც ჩვენ სულიერ ანუ ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებენ. ამგვარად, მშვენიერება არის მხოლოდ განყენებული სახელი, განყენებული წარმოდგენა რომელისამე საგნისა ან მოვლენის იმგვარ თვისებათა, რომლებიც ადამიანის სულიერ სიამოვნებას იწვევენ.

აქედან ცხადია ისიც, თუ რად ვუწოდებთ ერთ საგანს მშვენიერს, მეორეს კი არა: ერთ საგანში მოიპოება ის თვისებანი, რომლებიც მშვენიერებას წარმოადგენენ და რომლებსაც მეორე მოკლებულია; ხოლო იმის ახსნა და გამორკვევა, თუ რას წარმოადგენენ ეს თვისებანი, რა ახასიათებს მშვენიერებას — ფრიად ძნელი და მასთან, ფრიად რთულია. აიღეთ სხვადასხვა ესთეტიკა, არისტოტელედან მოკიდებული. იმ კითხვაზე, თუ რა ახასიათებს მშვენიერებას, თქვენ ვერ მიიღებთ გადაჭრილ პასუხს, ყველა თავისებურად ხსნის ამ საკითხს, და ამიტომაც არის, რომ ესთეტიკა, მიუხედავად მთელის თავისი მეცადინეობისა, დღემდე მხოლოდ სუბიექტური აზრების

კრებულს წარმოადგენს და არა მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ მოძღვრებას. ინდუქციის შემწეობით ჩვენ შეგვიძლია გამოვარკვიოთ მხოლოდ რამდენიმე მხარე, ან რამდენიმე აუცილებელი პირობა მშვენიერებისა. ავიღოთ რომელიმე მოქმედება, თუნდა თამაში. თქვენ უყურებთ ორს მოთამაშეს; პირველის თამაშში თქვენ ხედავთ მშვენიერებას, მეორისაში კი არა. რა არის ამის მიზეზი? თუ კარგად ჩავუკვირდებით მოთამაშეთა მიხრა-მოხრას და იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ისინი თქვენში იწვევენ, შემდეგ ჰეშმარიტებას აღმოვაჩენთ: ყოველგვარ მოძრაობას პირველი მოთამაშე ასრულებს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, დაუღალავად და მწყობრად; მეორეს კი, როგორც ტანის რხევაში, ისე ფეხის აყოლებაში სიმძიმე, მოუხეშაობა, უსწორ-მასწორობა და ნაძალადეობა ემჩნევა. ამგვარად, ყოველგვარ მოქმედებაში მშვენიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბუნებრიობა, ძალდაუტანელობა და ადვილად აღსრულება თვითეული მიხრა-მოხრისა. აიღეთ ორი სხვადასხვა საგანი: პირველი განხორციელებაა მშვენიერებისა თქვენს თვალში, მეორე კი არა. თუ ჩაუკვირდებით ორივეს, მალე დარწმუნდებით, რომ პირველი საგნის სხვადასხვა ნაწილი ზომიერად და სისწორით არის ერთმანეთთან შეწყობილ-შეერთებული, მეორისა კი არა. ე. ი. პირველი საგნის ნაწილებში დაცულია სიმეტრია, მეორისაში კი არა. აუცილებელ დ. უპირველეს პიროვნებას მშვენიერებისას, რაშიაც უნდა იხატებოდეს იგი, წარმოადგენს სიმეტრია. აიღეთ სიმღერა, თუ ის მოკლებულია სიმეტრიას, — ანუ, მუსიკის ენაზე, რიტმს, უთუოდ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. აიღეთ ლექსი. თუ ის მოკლებულია სიმეტრიას, ანუ, პოეზიის ენაზე რითმასა და მარცვალთაწყობის ერთგვარობას, მაშინ ის საძაგელ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე.

რათ წარმოადგენს სიმეტრია, რიტმი, რითმა, ბუნებრიობა, ძალდაუტანლობა და სხვ., მშვენიერების პირობას? ამის პასუხს ფიზიოლოგები იძლევიან. იმ საგანს, მოვლენას და სხვ, სადაც ყველა ეს პირობა დაცულია, ჩვენი წარმოდგენა უფრო ადვილად ითვისებს, ჩვენი ნერვები უფრო ნაკლებად იღლებიანო, ამბობენ ისინი, და მშვენიერების სამთავროს მხოლოდ ის ეკუთვნის, რაც უფრო ნაკლებად ღლის ნერვებს და უფრო ადვილად შედის წარმოდგენაში.

ამაზე მეტს არც ერთი ესთეტიკა არ გვეუბნება. მართალია, ბევრი ტომი დაწერილა მშვენიერების დასახასიათებლად, მაგრამ ყველა მხოლოდ იმ პირობების გარშემო ტრიალებს, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ. თუ რამდენად გამოურკვეველია მშვენიერების კითხვა

დღეს და რამდენად ძნელია მშვენიერების გარკვევა და გამოცნობა ყოველ კერძო შემთხვევაში. ამის მაგალითს უხვად გვაძლევს კრიტიკის ისტორია. ლიტერატურის ისტორიამ არ იცის არც ერთი მწერალი. რომლის შესახებაც ორ სხვადასხვა კრიტიკას ერთი აზრი გამოეთქვას.

ამგვარად, ზემოთ აღძრულ კითხვებზე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი ვუპასუხოთ: მშვენიერებას, ერთი მხრით, იმიტომ ეტანება ადამიანი, რომ სულიერი სიამოვნება ადამიანის მოთხოვნილებას შეადგენს, მეორეს მხრით, მიტომ, რომ მშვენიერება გვაძლევს ძლიერ სულიერ სიამოვნებას და ამავე დროს ნაკლებად გვიღლის ნერვებს. იმ ფაქტს, რომ მშვენიერება იწვევს ადამიანში სულიერ სიამოვნებას, სულიერი სიამოვნება კი ადამიანის ერთ უძლიერეს მოთხოვნილებას შეადგენს, კაცობრიობის ისტორიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს მნიშვნელობა არსად არ ჩანს ისე ცხადად, ისე აშკარად, როგორც ხელოვნებაში, რა იქნებოდა ხელოვნება, რომ სულიერი სიამოვნება ადამიანის ძლიერ წყურვილს არ შეადგენდეს? — მოცლილი კაცის ვარჯიშობა, მეტი არაფერი. გაცილებით ნაკლებიც — ხელოვნება სრულებით არ იქმნებოდა... სულიერი სიამოვნების წყურვილი ყოველგვარი ხელოვნების არსებობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს და, თუ პირველს ადამიანი მოკლებული იქმნებოდა, ამით ხელოვნებასაც აღარ ექმნებოდა ცხოვრებაში აღარავითარი ალაგი. ცხოვრება, მშვენიერებას მოკლებული, ცხოვრება უიდეალო, ადამიანი მხოლოდ კუჭის მატარებელი — აი, რა იქმნებოდა. მაგრამ ჩვენ ხელოვნებაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა. ხელოვნება ბევრგვარია: მხატვრობა, მუსიკა, პლასტიკა, ხუროთმოძღვრება, პოეზია და სხვა რა იქმნებოდა რაფაელის მადონა, რომ ადამიანი მოკლებული იყოს გრძნობას მშვენიერებისას, რომ სულიერი სიამოვნება მის მოთხოვნილებას არ შეადგენდეს? — ნაყოფი უსარგებლო შრომისა! რა სახელს დაიმსახურებდა ბეთჰოვენი, რომ ქვეყნად სულიერი სიამოვნება არ არსებობდეს? — შეშლილისას. გამოჩენილ ფირდოუსის სახელი ხომ არც კი ეცოდინებოდა ისტორიას და ყველა გამოჩენილი მწერლები იხსენიებოდნენ მხოლოდ, როგორც ცოცხალი მაგალითი იმ საბრალო პირთა, რომლებიც იბადებიან იმისათვის, რომ მთელი თავისი სიცოცხლე წყლის ნაყვას შეალიონ!

საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ხელოვნება ერთ უძლიერეს სამკაულს შეადგენს ცხოვრებისას და მას ეტანება ყველა, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

სიტყვაკაზმული მწერლობა, ანუ საერთოდ პოეზია, ხელოვნების

ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს. მწერლობის არც ერთ ნაწილს აოა აქვს იმდენი მოთხოვნილება და გასავალი ცხოვრებაში. როგორც პოეზიას. არც ერთ მწერალს არა ჰყავს იმდენი თაყვანისმცემელი, რამდენიც პოეტს. აიღეთ გამოჩენილი მეცნიერი და გამოჩენილი პოეტი. განა პირველს ნაკლები სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე მეორეს? — არასოდეს; — სულ ხშირად მეტიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი მოკლებულია იმ საერთო თაყვანისცემას, რომელიც მეორეს ყველგან თან დასდევს. დავანებოთ მეცნიერთ თავი, ავიღოთ რომელიმე პრაქტიკული მოღვაწე, თუნდა უატტი. ათას შექსპირს არ შეუძლია იმდენი ცვლილების მოხდენა ცხოვრებაში და იმდენი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა კაცობრიობისათვის, რაც ერთმა უატტმა მოახდინა. მაგრამ სად შექსპირის სახელი და სად უატტისა! მერე აქ განა უსამართლობა და უმადურობაა საზოგადოების მიერ მოღვაწისადმი? სრულებითაც არა. უატტი იძლევა მშრალ სარგებლობას. შექსპირი კი, სარგებლობის გარდა, ძლიერ სულიერ სიამოვნებას, — აი, ამ სულიერ სიამოვნებაშია თავი და ძალა დამარხული. მიეცით საზოგადოებას სულიერი სიამოვნება და ის გაგაღმერთებთ. ამგვარად, პოეზიის raison d'etre წმუოიერი სიამოვნება შეადგენს, — უამისოდ პოეზიის არსებობა შეუძლებელი შეიქმნებოდა.

რით მოქმედებს მკითხველზე პოეზია, როგორც მშვენიერება, ე. ი. რა პირობები, რა თვისებანი ახასიათებს პოეზიას, როგორც მშვენიერებას? ამგვარი თვისება მრავალია. პოეზია ბევრგვარია: სალირიკო, საეპოსო, ბელეტრისტული, სასცენო და სხვ. ყველა მათგანს სპეციფიკური თვისებანი აქვს, მაგრამ ამავე დროს ყველა მათგანისათვის მრავალი საერთო თვისებაც სავალდებულოა.

ერთ მთავარ პირობას პოეზიისათვის წარმოადგენს მხატვრული ენა. თუ, საზოგადოდ, დღევანდელი კრიტიკა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მხარეს და, როდესაც შეეხება, ისიც რამდენსამე სიტყვით. ამის მიზეზი ის არის, რომ მხატვრული ენის საჭიროება პოეზიისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა და, თუ პოეზიაში ეს ჭეშმარიტება დაცული არ არის, ამის მიზეზი პოეტის გულმავიწყობა, თავისებურება და სალიტერატურო სკოლა კი არ არის, არამედ მხატვრული ენის უქონლობა და, საზოგადოდ, ენის უცოდინარობა: ლიტერატურაში ბევრგვარი სკოლა არსებობდა და დღესაც არსებობს, მათ შორის პრინციპიალური განსხვავებაა, ხოლო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის ორი სხვადასხვა სკოლა, რომელნიც მხატვრული ენის შესახებ ერთგვარი აზრისანი არ იყვნენ, მართალია, ხანდახან შეხვდებით.

რომ ერთი სკოლა უფრო ძველს ფორმებს და სტილს იცავს პოეზიაში, მეორე კი უფრო ახალს, ხოლო იმაში, რომ ენა მხატვრული უნდა იყოს, ყველა თანახმაა. მხატვრულ ენას ახასიათებს ენის სიმარტივე, სიადვილე, სიმდიდრე და სხვ.

მეორე მთავარ პირობას პოეზიისას წარმოადგენს მხატვრული აღწერილობა. გარეშე საგნები და მოვლენანი ისეთი სისწორით, სინამდვილითა და სიცხოველით უნდა იყოს დახატული, რომ მკითხველს ნათელი სურათი წარმოუდგეს...

მესამე მთავარ პირობას პოეზიისას წარმოადგენს მხატვრული გამოხატულება. თავის ფიქრებსა და გრძნობებს პოეტი ისეთი სიწრფელითა და სინამდვილით უნდა ხატავდეს. რომ მკითხველი ნათლად იხედებოდეს პოეტის სულსა და გულში.

მეოთხე მთავარ პირობას წარმოადგენს ზომიერება ანუ სიმეტრია; ყველა ნაწილები ისე უნდა იყოს ერთმანეთთან შეხამებული, რომ, ერთი მხრით, ერთმანეთს ამშვენებდნენ და, მეორე მხრით, არც ერთი მათგანის გამოკლება არ შეიძლებოდეს. აქვე შედის რითმის მნიშვნელობა, რიტმი, ხმოვანთაწყობის ერთგვარობა და სხვ. როდესაც კითხულობთ თანამედროვე პიესებს, ხშირად არათუ მთელი გამოსვლა, მთელი მოქმედება ისეა ჩაკერებული, რომ მის გამოკლებითაც არაფერი აკლდება პიესას.

ყველა აღნიშნული პირობა წარმოადგენს მხოლოდ გარეგან მხარეს პოეზიისას, არის შინაგანი მხარეც, რომელიც, მხოლოდ იმ შთაბეჭდილებაზეა დამყარებული, რასაც მკითხველში პოეზია იწვევს ან უნდა იწვევდეს. მაგალითად: პოეტი მართლა უნდა განიცდიდეს იმ ფიქრებსა და გრძნობებს, რომლებსაც ხატავს. — გულწრფელი უნდა იყოს, უნდა იწვევდეს მთლიან შთაბეჭდილებას, უნდა აღძრავდეს იმგვარის თვისებისა და ძლიერების ფიქრსა და გრძნობებს, როგორსაც თვითონ განიცდის შემოქმედების დროს. მაგრამ, რადგანაც ეს მხარე პოეზიისა ყველას თავისებურად ესმის და გამორკვეული და უტყუარად მიჩნეული აქ დღეს თითქმის არაფერია, ამიტომ ამის განხილვასაც არ გამოვუდგები, მით უმეტეს, რომ ეს მხარე პოეზიისა იმდენად მის მნიშვნელობას არ ახასიათებს, რამდენადაც ამ მნიშვნელობის პირობებს.

მისი მიზანი მარტო სულიერი სიამოვნებაა, — ამბობს ერთი; პოეზია დაშორებული უნდა იყოს პრაქტიკულ მიზანს, — ამბობს მეორე: პოეზია უნდა ავითარებდეს მხოლოდ გემოვნებას მშვენიერებისას, — ამტკიცებს მესამე; პოეზია უნდა ემსახურებოდეს ცხოვრების წინმსვლელობას, ქადაგებს მეოთხე, და ამგვარად, ათასნაირი პასუხი ისმის პოეზიის მნიშვნელობის შესახებ. აი, ამ აზრთა სხვადა-

სხვაობის გაკაფვას, გარკვევას ცდილობს მწერლობის ის დარგი, რომელსაც სალიტერატურო კრიტიკა ეწოდება.

რა არის სალიტერატურო კრიტიკა, როგორია მისი საზღვრები და რა არის მისი საგანი, არის თუ არა, საზოგადოდ, საჭირო სალიტერატურო კრიტიკა, აქვს მას რაიმე დამოუკიდებელი მნიშვნელობა, თუ ის მეტი ბარგია, მხოლოდ მაჩანჩალაა პოეზიისა? ამ უკანასკნელი საკითხის გადაწყვეტა მით უმეტეს საჭიროა, რომ ბევრი და მათ შორის შესანიშნავი პირნიც, იმ აზრისანი არიან, რომ კრიტიკა სრულიად ზედმეტია, მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. მაგალითად: რუსეთის გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი ტოლსტოი სალიტერატურო კრიტიკას სრულიად უარყოფს. თუ კრიტიკა ლაიწყებს ფათურს იქ, სადაც მისი ალაგი არ არის, მას არათუ არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება, სასაცილოდაც გაიხდის თავს. თუ კრიტიკა გამოირკვევს თავის საგანს, გამოიფარგლავს, გამოისაზღვრავს თავის სარბიელს, ამგვარ შემთხვევაში ის წარმოადგენს მთელ ფილოსოფიას პოეზიისას.

სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის: ყოველგვარი დომხალი, რაც კი პოეზიის შესახებ იკაზმება, კრიტიკის სახელით საღდება. საზოგადოდ მიღებულია, ვითომ კრიტიკის მიზანი იყოს პოეზიის დაფასება, მისი ღირსება-ნაკლულევანების გარკვევა მშვენიერების მხრით. ეს სრული შეცდომაა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს კითხვაზე, — რა არის მაგიდა, ვინმემ გიპასუხოთ: მაგიდა არის ავეჯი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვს. აქ შეცდომა ცხადია: ერთი, რომ ოთხი ფეხი ტახტსაც აქვს და სკამსაც და სხვ. მეორე — ოთხი ფეხი სრულებითაც არ არის მაგიდისათვის სავალდებულო და ნიშნობლივი თვისება: შესაძლებელია, მას ათი ფეხი ჰქონდეს, ან ერთი, და მაინც მაგიდა იყოს. აგრეთვე დაფასება პოეზიისა სრულებითაც არ შეადგენს კრიტიკის სპეციფიკურ თვისებას. — მას შეუძლია, სხვათა შორის, ამასაც მოჰკიდოს ხელი, ხოლო მისი საგანი, მისი მიზანი უფრო ფართოა. ყოველგვარი მოძღვრება იმას უნდა ცდილობდეს, რომ მეცნიერებად გახდეს: იქითკენ უნდა იწევდეს კრიტიკაც. რა ახასიათებს მეცნიერებას საზოგადოდ? თავის განვითარების დაბალ საფეხურზე იგი ხსნის მოვლენათა განსაზღვრულ ფარგალს, განვითარების საშუალო საფეხურზე იგი ადგენს უტყუარ ემპირიულ კანონებს და, როდესაც იგი საკმაოდ განვითარდება, მას საშუალება ეძლევა, გამოკვლეულ კანონების მიხედვით, მომავალიც იკვლიოს, მომავალზე უტყუარი მსჯავრი წარმოთქვას.

ამგვარ კვლევაში მას გზას უნათებს შესაფერი მეთოდი. როგორც მეცნიერება, კრიტიკა ჯერ განვითარების პირველ საფეხურ-

ზეც არ შემდგარა. მისი საგანია პოეზია; ის იკვლევს პოეზიას, მაგრამ როგორ და რანაირად? კრიტიკის საზღვარი იწყება იქ, სადაც პოეზიისა თავდება. კრიტიკისათვის პოეზია არის ფაქტი ისე, როგორც ბიოლოგიისათვის უჯრედი და ასტრონომიისათვის მზის სისტემა. კრიტიკამ უნდა ახსნას ეს ფაქტი—პოეზია, ე. ი. კრიტიკამ უნდა გამოიკვლიოს პროცესი ანუ შემოქმედება — ერთი; მეორე — მან უნდა ახსნას ის პირობები, რომლებიც ბადებენ ამა თუ იმ სახის პოეზიას. პირველი საკითხი არის საკითხი ფსიქოლოგიური. მეორე კი — საზოგადოებრივი. ამგვარად, კრიტიკას კავშირი აქვს ფსიქოლოგიასთან და ყველა იმ მეცნიერებასთან, რომლების საგანიც საზოგადოებრივი ცხოვრებაა, როგორც სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, უფლებათა მეცნიერება და სხვა.

შემოქმედებისა და პოეზიის ახსნის გარდა, კრიტიკას აქვს კიდევ ერთი დიდი მოვალეობა: მან უნდა გამოარკვიოს პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამრიგად, კრიტიკამ პასუხი უნდა მოგვცეს შემდეგ სამ კითხვაზე: რა არის შემოქმედება? რა ინდივიდუალურ-საზოგადოებრივ ფაქტორებს ემორჩილება პოეზია? რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. თუ ამგვარ ნიადაგზე დავაყენებთ კრიტიკას, მას უსათუოდ ეძლევა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ამ ნიადაგს გარეშე კრიტიკა საეჭვებით ზედმეტია და როგორც ყოველივე მეტი, — უსარგებლოც.

კრიტიკა წარსულში. რა არის პოეზია, შემოქმედება

გავეცნოთ მოკლედ კრიტიკის ისტორიას და თვალი გადავავლოთ, თუ როგორ უყურებდნენ მწერლობის ამ დარგს კრიტიკის საუკეთესო წარმომადგენლები.

როდესაც ცოდნის ან ხელოვნების რომელიმე დარგი განვითარების საკმაო საფეხურს მიაღწევს, თავისთავად მისი ახსნის სურვილი ებადება ადამიანს. იქ, სადაც პოეზია საკმაოდ განვითარდა, ადრე თუ გვიან ლიტერატურული კრიტიკაც უნდა განვითარებულიყო. ისტორიულის საზომით რომ ვიხელმძღვანელოთ, ძველი საბერძნეთის პოეზია დღევანდელი ევროპის პოეზიას არაფერში არ ჩამოუვარდება. ევროპამ ვერც ერთი დრამატურგი ვერ მოგვცა, რომელიც ძველი საბერძნეთის სოფოკლეზე მაღლა იდგეს.

იქ, სადაც ამდენად განვითარებული იყო პოეზიის საუკეთესო ნაწილი —ტრაგედია, —განვითარებული უნდა ყოფილიყო კრიტიკაც; და მართლაც, დემოკრიტე, პლატონი და არისტოტელე ძველი საბერძნეთის საუკეთესო კრიტიკოსები არიან. თუ პირველი არკვევდა ლექსთაწყობის კანონებს, პლატონი იკვლევდა მშვენიერების

ძირითად თვისებებს. არისტოტელე კი თანამედროვე პოეზიის ანალიზით ცდილობდა პოეზიის მეცნიერულ თეორიის დამყარებას, ოუ რა იყო არისტოტელეს პოეტიკის შინაარსი, ჩვენ არ ვიცით: ამ ნაწარმოების ერთი ნახევარი დაიკარგა. ჩვენს დრომდე მოატანა მხოლოდ იმ ნაწილმა, სადაც არისტოტელე არკვევს ტრაგედიის თეორიას. ძველ რომში საუკეთესო თეორეტიკოსი კრიტიკისა იყო გამოჩენილი სატირიკოსი ჰორაციუსი.

არისტოტელეს პოეტიკას და ჰორაციუსის „საპოეზიო ხელოვნებას" მეტად დიდი გავლენა ჰქონდა ევროპის ხელოვნებაზე მეჩვიდმეტე საუკუნემდე. მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოვიდა ბუალოს „საპოეზიო ხელოვნება". რომელსაც გულდასმით იზეპირებდნენ ევროპის პოეტები თითქმის XIX საუკუნის ნახევრამდის.

ბუალო საუკეთესო თეორეტიკოსია ცრუკლასიკური ხელოვნებისა. თუმცა ის ეხება ხელოვნების მნიშვნელობასაც. მაგრამ უმთავრესი საკითხი, რომელსაც ის ირკვევდა, შემდეგია: რა პირობა უნდა დაიცვას მწერალმა, რომ მისი ნაწარმოები მშვენიერებას წარმოადგენდეს. ბუალო მხოლოდ ამ მხრივ იკვლევს როგორც ხელოვნების კანონებს, ისე პოეტური ენის თვისებებს. ბუალოს თვალში სტილს პოეზიაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს. ვიდრე აზრს. პოეტური სტილის შესწავლას დიდ ადგილს უთმობს. ხელოვნების ყოველი დარგისათვის ბუალომ შეჰქმნა რკინის კანონები, რომელიც სულს უხუთავს ევროპის ხელოვნებას; პოეზია იგივე აზრია, მხოლოდ თავისებურად გამოხატული. ყოველგვარი აზრი ხაყოფია მარტო ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა კი არა, არამედ იმ საზოგადოებრივი პირობებისაც, რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს. ამიტომ, პოეზიის ასახსნელად საჭიროა, ერთი მხრით, პოეტის ბუნების, მეორე მხრით —სოციალური პირობების შესწავლა.

მეთვრამეტე საუკუნემდე ამ გზას კრიტიკა არ ადგა; მისი უმთავრესი საკვლევი —მშვენიერების პრინციპები იყო. მეთვრამეტე საუკუნეში პოპი, მონტესკიე და ჰერდერი ცდილობდნენ პოეზიისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შუა კავშირის გარკვევას. მაგრამ ამ გზას მტკიცედ და შეგნებულად ქ-ნი სტალი დაადგა. თავის თხზულებაში „ლიტერატურის შესახებ" ის იკვლევს, თუ რა გავლენა აქვს საზოგადოებრივ წყობილებას, პოლიტიკურ ორგანიზაციას და სხ. ლიტერატურაზე. სტალის გზას გაჰყვა ვილმენი. სტალთან ერთ დროს ბარანტი ჰბეჭდავს წიგნს საფრანგეთის XVIII საუკ. ლიტერატურის შესახებ, სადაც გარკვევით არის ის აზრი გამოთქმული, რომ ლიტერატურა მხოლოდ სარკეა ცხოვრებისა. საზოგადოებრივი წყობილება ლიტერატურასაც თავისებურ სახეს

აძლევს და არა ლიტერატურა საზოგადო წყობილებასაო. ამგვარად, ლიტერატურის ახსნის საჭიროება შეგნებულად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში იბადება, მაგრამ ლიტერატურის მკვლევარნი უმთავრეს ყურადღებას საზოგადოებრივ ცხოვრებას აქცევენ. შეიძლება ამის მიზეზი საფრანგეთის რევოლუცია იყოს. თანამედროვეთა აზროვნება ამ დიადმა ისტორიულმა მოვლენამ ძირიანად შეარყია თუ ზოგი ამ აზრისა იყო: ეს ამბობება სულ ენციკლოპედისტთა ქადაგების ბრალიაო. სხვები დარწმუნებით ქადაგებდნენ: საზოგადოებრივი წყობილება ფუყე და დაობლებული იყო. ამიტომ უსათუოდ უნდა დანგრეულიყო. ლიტერატურა აქ არაფერ შუაშია. რევოლუციამ შთანთქა ადამიანის აზროვნება. ყველა საზოგადოებრივი წყობილების კვლევამ გაიტაცა; აქ ეძებდნენ ყველაფრის მიზეზს, ეძებდნენ ლიტერატურის ახსნასაც. ფაქტი, რომ ხელოვნების ახსნის ერთი ნასკვი თვით პოეტის ბუნებაშია, ყველას გადავიწყდა. გარდა სენ-ბევისა, რომელმაც იკისრა ამ ფაქტის ახსნა და დასაბუთება. სენ-ბევის კრიტიკა იგივე ბიოგრაფიაა; ის დაწვრილებით იკვლევდა პოეტის ფსიქოლოგიას, რომ ამით აეხსნა მისი ნაწარმოები. სენ-ბევის მეთოდი არის ბიოგრაფიული. ის იკვლევს პოეტის ბიოგრაფიას, რომ ამით გაიგოს მისი ფსიქოლოგია; ფსიქოლოგია კი, სენ-ბევის აზრით, ნათელსა ჰფენს მის პოეზიას.

ლიტერატურას უფრო ფართოდ ტენი უყურებდა. ეს ერთადერთი კრიტიკოსია, რომელიც კრიტიკისათვის ფართო მეცნიერულ ნიადაგს იკვლევდა. ხელოვნების ასახსნელად საჭიროა მწერლის მოდგმის, წრისა და ისტორიული მომენტის გამორკვევა. ამისათვის საჭიროა მემკვიდრეობის შესწავლა. სოციალურის, პოლიტიკურის წყობილებისა და სხვ. გამოკვლევა. ისტორიული მომენტის შესასწავლად ტენი ცდილობდა იმის გამორკვევას, თუ როგორი იყო პოეტის სულიერი მდგომარეობა იმ დროს, როდესაც ის ამა თუ იმ ნაწარმოებსა ქმნიდა.

თანამედროვე კრიტიკოსთა შორის საუკეთესო ადგილი ბრანდესა უჭირავს. როგორც ნიჭით, ისე ერუდიციით და ევროპის ლიტერატურის ცოდნით. ბრანდესი მოწაფეა როგორც სენ-ბევის, ისე ტენისა. პირველთან მას აერთებს ბიოგრაფიული მეთოდი, მეორესთან — წრისა და ისტორიული მომენტის შესწავლა.

ამგვარად, ერთი წამით გაიხედავ წარსულისაკენ შემდეგ გარეგნობაზე მიგვითითებს. კრიტიკული აზროვნება, ძველი ღროიდან მოკიდებული მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე, მხოლოდ პოეზიის დაფასებას მიმდევდა. აქაც ის იმდენად ზნეობრივის ან სხვა რაიმე საზომით არ ხელმძღვანელობდა რამდენადაც ნშინდ

მშვენიერებით. XVIII საუკუნის ბოლოდან დღემდე კრიტიკა ცდილობს მხოლოდ პოეზიის ახსნას.

დღევანდელი იმპრესიონისტული კრიტიკა, რომლის თეორეტიკოსადაც გენე-კენი უნდა ჩაითვალოს, ისევ ძველს გზას დაუბრუნდა: ის ცდილობს პოეზიის დაფასებას, ხოლო მშვენიერების ანალიზით კი არა, არამედ იმ შთაბეჭდილების აწონ-დაწონით, რომელსაც პოეზია ახდენს მკითხველზე საზოგადოდ, ან მხოლოდ კრიტიკაზე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა არის მიზანი კრიტიკისა. ერთი მხრით, ის ცდილობს ახსნას შემოქმედება და პოეზია, მეორე მხრით. ცდილობს გამოარკვიოს ხელოვნების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. რამდენადაც კრიტიკა ასრულებს პირველ დანიშნულებას, ის არის მეცნიერება; რამდენადაც მეორეს —ის არის პუბლიცისტიკა. ამრიგად კრიტიკის მიზანს ორი სახე აქვს: ერთი მეცნიერული, მეორე პუბლიცისტური.

რა არის პოეზია? პოეზია არის მხოლოდ სურათში ან სურათებში ჩამოსხმული აზრი, აქედან შემდეგი ორი დასკვნა: 1) უმთავრესი ნაწილი პოეზიისა არის აზრი, 2) იქ, სადაც არ არის აზრი, არ არის არავითარი პოეზია, ხოლო მარტო აზრი საკმაო არ არის პოეზიისათვის: აზრის გარდა, პოეზიას განუყრელად თან უნდა ახლდეს ისიც. რასაც საერთოდ მშვენიერება ეწოდება. თუ რისთვის არის ეს მშვენიერება საჭირო, ამას ქვემოთ დავინახავთ. დღემდე არ არსებობს არც ერთი თეორია, რომელიც საკმაო დასაბუთებულ პასუხს იძლეოდეს, თუ რა არის შემოქმედება. დღეს ყველაზე უფრო გავრცელებულია სპენსერის თეორია. სპენსერი შემოქმედებასა და საზოგადოდ, ხელოვნებას, უყურებს როგორც უმიზნო თამაშს, ვარჯიშს. არსებობისათვის ბრძოლაში იხარჯება ცხოველის ენერგია, ყოველ ცხოველს ენერგია ზედმეტი აქვს. ვიდრე რჩენისათვის საჭიროა. ზედმეტ ენერგიას ის ხარჯავს უმიზნო ვარჯიშობაში. ხელოვნებაც იგივე ვარჯიშობაა, მიზანს მოკლებული.

როგორც სიტყვა არ არის მარტო ადამიანის კუთვნილება, და მერცხლის ჭიკჭიკსა. ხბოს ბღავილში და სხვ. უკვე არის ჩასაბული სიტყვა. არც შემოქმედებაა მარტო პოეტის კუთვნილება, ის ყოველ ადამიანს გააჩნია; როდესაც ბავშვი ცდილობს უსწორმასწორო ხაზებით ადამიანის თავის, ფრინველის და სხვ. დახატვას, როდესაც პატარა მოსწავლე აღტაცებით უამბობს დედას, თუ როგორ კარგად მიუგო მან გაკვეთილი მასწავლებელს, აი, ამ მარტივ ფაქტებშიაც კი არის საკმაოდ შემოქმედება.

რა არის შემოქმედება? ის გამოხატვაა სურათისა, გრძნობისა და ფიქრის, —ჩაშოთვლილ მაგალითებში კი ყველა ეს ელემენტებია! რაც უნდა ნიჭიერი იყოს ბავშვი, დიდ ადამიანთან მისი შედარება შეუძლებელია, — მაშ შემოქმედება ყოველ ნორმალურს გონიერების ადამიანს სჩვევია; მაგრამ ამგვარ შემოქმედებას არავითარი ხელოვნების შექმნა არ ძალუძს, ხელოვნება ნაყოფია მხოლოდ უმწვერვალესად განვითარებულის შემოქმედებისა. აიღეთ ორი ორატორი. ორივე ერთისა და იმავე საგნის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ როდესაც ერთი სრულსა და გარკვეულს წარმოდგენას აძლევს მსმენელს, მეორე მხოლოდ ბუნდოვან წარმოდგენას სტოვებს. აიღეთ ორი აღწერა რომელისამე ბუნებრივი მოვლენისა: მაშინ, როდესაც პირველი აღწერა მკაფიო სურათს სტოვებს თქვენზე, მეორე მხოლოდ დაჩრდილულ, უკონტურო სურათს გაძლევთ. რა არის ასეთ განსხვავების მიზეზი? მიზეზი შემდეგია: ნათელი წარმოდგენა რომ იქონიოთ საგანზე, უნდა იცოდეთ, ერთი მხრით, ის თუ რა ძირითადი მსგავსება აქვს მას სხვა საგნებთან, მეორე მხრით —თუ რა ძირითადი განსხვავებაა მასა და სხვა საგნებს შორის, მესამეც ის, თუ როგორია მისი ნიშნობლივი დამახასიათებელი თვისებანი. ხშირად შეხვდებით სიტყვაკაზმულ მწერლობაში შემდეგ ფაქტს: ერთი მწერალი რამდენსამე ფურცელს ანდომებს თავისი გმირის დახასიათებას, მაგრამ ბოლოს გმირი რაღაც უსახო, გაურკვეველი გამოდის, მეორე კი რამდენიმე სიტყვით სრულყოფილად და უნაკლოდ ახასიათებს თავის გმირს; აქ მიზეზი ცხადია, ერთი ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მთავარი თვისება გმირის ხასიათისა მისთვისაც შეუმჩნეველი რჩება, ამიტომ ვერც მკითხველს აძლევს ნათელ წარმოდგენას; მეორე კი მხოლოდ გმირის ხასიათის ნიშანდობლივ, სპეციფიკურ თვისებაზე მიგითითებთ და ამით ერთის დაკვრით გაგაცნობთ მას; მაშასადამე, შემოქმედების ერთი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო ადვილად ამჩნევს ყოველს მოვლენასა და საგანში ნიშანდობლივსა და არანიშანდობლივ თვისებებს, ვიდრე ჩვეულებრივი დაკვირვება.

ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიდის, ის მუდამ ცვალებადია, ხოლო ამ ყოველდღიურ ცვლილებას ჩვეულებრივი ადამიანი ვერ ამჩნევს. ბაზაროვები მხოლოდ მაშინ დაინახა რუსეთის საზოგადოებამ გარკვევით, როდესაც ტურგენევის რომანი წაიკითხა. განა ტურგენევის რომანმა დაჰბადა ისინი? რა თქმა უნდა არა. თვით ბაზაროვმა დაჰბადა ტურგენევის რომანი, მაგრამ ტურგენევმა დაინახა და დახატა ის, რაც ცხოვრებაში უკვე გაჩენილი იყო და რასაც უმრავლესობა ჯერ ვერ ხედავდა. საზოგადოდ,

შემჩნეულია შემდეგი: როდესაც ადამიანის ყურს მრავალი დღის განმავლობაში სულ მაღალი ტონის ხმა ესმის, დაბალი ტონის ხმა ბოლოს აღარ ეყურება. იგივე ემართება საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანსაც: მისი თვალი, მისი ფიქრი, აზროვნება მიჩვეულია ცხოვრების ერთგვარ სახეს, ერთგვარ მიმდინარეობას, და ცვლილებას ცხოვრების სახეში, მის მიმდინარეობაში მხოლოდ გვიან ამჩნევს. ავიღოთ დიდებული შექსპირი, ჰამლეტი ჩვენის დროის დიდებული ლიტერატურული განძია, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომელშიაც ეს პიესა დაიბადა, ავტორის ნიჭი კიდევ უფრო მიუწვდომელი ხდება: მართლაც, დახატვა იმისა, რაც უკვე არსებობს და რამდენსამე ნიშნის მიხედვით აღდგენა იმისა, რაც მომავალში უნდა იქნეს, ერთი და იგივე არ არის. — მეორესთან შედარებით პირველი სულ ადვილი საქმეა. შექსპირის თანამედროვეებმა ჰამლეტი ვერ იცნეს, — ვერ იცნეს იმიტომ, რომ ჰამლეტი შექსპირის დროს არ ყოფილა; ის ღვიძლი შვილია მეცხრამეტე საუკუნისა. საზოგადოება კარგად იცნობდა მაკბეტებს, რიჩარდებს, ჰენრიხებს, ხოლო ჰამლეტი მას არ ენახა. შექსპირის დროს მხოლოდ იშვიათი ნიშნები იყო საზოგადოებაში ჰამლეტისა, პოეტმა კი ამ ნიშნების წყალობით შექმნა უკვდავი ტიპი, რომელმაც საუცხოოდ დაახასიათა ევროპის ყველა შემდეგი თაობა, დღემდე მოკიდებული.

ამგვარად, შემოქმედების მეორე თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ის ამჩნევს და ხედავს ცხოვრებაში იმას, რაც ჩვეულებრივ დაკვირვებას შეუმჩნეველი რჩება. ჰამლეტში რომ პოეტს მხოლოდ ის შეეერთებინა, რაც მან ცხოვრებაში დაინახა, მისი ჰამლეტი სრულებით სხვა გამოვიდოდა, და თუ ეს ასე არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტი მარტო ცხოვრების სინამდვილეს არ დაეენდო და თავის ფანტაზიასაც დაუჯერა. ფანტაზია ერთი უძლიერესი თვისებაა შემოქმედებისა: შემოქმედება უფანტაზიოდ იგივეა, რაც ფრინველი უფრთოდ, ადამიანი — უხელოდ. ფანტაზია — ეს სამსონის თმაა შემოქმედებისათვის: როგორც სამსონი უძლურია უთმოდ, ისე შემოქმედება სუსტია უფანტაზიოდ. ქართული პოეზიის სიტუაციის ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის პოეტების ფანტაზია, საერთოდ, მეტად სუსტია. ამ უკანასკნელ მოვლენის მიზეზი ქართველ ადამიანის ბუნებაში კი არ მდგომარეობს, არამედ ცხოვრების პირობებში. ფანტაზია — იმ ერისა, რომელიც ნოკლებულია პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და თვითმოქმედებას. სუსტია. მაშასადამე, სუსტი უნდა იყოს თვით ლიტერატურაც.

თავისუფლება და თვითმოქმედება საუკეთესო საშუალებაა. როგორც კერძო ადამიანისა, ისე მთელს ერსა განსაკუთარებლად.

მკითხველისათვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ტიპები ცხოვრებაში ან სრულებით არ არიან, ან ერთობ იშვიათად. მაშ, საიდან აღსრულობს მას მწერალი? ის უკვირდება მრავალ სხვადასხვა პირს, აჩჩნევს და კრებს მათში ტიპიურ თვისებებს. შემდეგ ყველა ამათ ერთ პიროვნებაში მოუყრის თავს და მისცემს მას ინდივიდუალურ, თვისებურ სახეს. ამგვარად, შემოქმედების მეოთხე თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთებს, ერთად ჰკრებს მას, რაც ცხოვრებაში გაფანტულია, გაბნეულია. წაიკითხეთ „ოთარაანთ ქვრივი" და „მოლიპულ გზაზე": პირველს ვერ გამოაკლებთ ვერც ერთ სიტყვას ისე, რომ მთლიანობა არ დაირღვეს. აქ ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის, ყოველი სიტყვა საჭიროა. სამაგიეროდ, მეორეში არათუ სიტყვის, მთელი თავის გამოკლება შეიძლება ისე, რომ რომანის ღირსებას არათუ არაფერი არ დააკლდება, შეემატება კიდეც. მაშინ, როდესაც პირველი მკითხველს ხიბლავს თავის სიტყვამოჭრილობით, მეორე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, ღლის მკითხველს სიტყვაზვიადობით. ამგვარი ანალიზი სხვადასხვა ნაწარმოებისა ცხადად ამტკიცებს, რომ მეხუთე და ერთ უსაჭიროეს თვისებას შემოქმედებისას ზომიერების, სიმეტრიის დაცვა შეადგენს.

ყველა ჩამოთვლილის თვისებით საკმაოდ რომ იყო დაჯილდოებული პოეტი, მისი შემოქმედება ფრიად სუსტი იქნება, თუ მას თან არ ახლავს ერთი თვისებაც, რომელსაც პოეზიაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირად შეხვდებით მწერლობაში, რომ ერთს ადვილად ეხერხება ყოველგვარი გრძნობის, აზრისა და თვისების გამოხატვა, მეორეს კი მეტად ეძნელება. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთს საკმაოდ აქვს გამომხატველობის ნიჭი, მეორეს კი არა. სწორედ ეს გამომხატველობის საკმაო განვითარება შემოქმედების უცილებელ თვისებას შეადგენს. გამომხატველობითი ნიჭი რთული თვისებაა შემოქმედების, —ის, ერთი მხრით, ბუნებრივი განძია, მეორე მხრით, შეძენილი ცოდნა: მაგალითად, მწერალმა რომ ადვილად და სიმსწორით გამოხატოს თავისი ფიქრი და გრძნობები, გამომხატველობის ნიჭთან ერთად მას უნდა ჰქონდეს მდიდარი ენა, უამისოდ მისი გამომხატველობითი ნიჭი შებორკილია.

ყველა ჩამოთვლილი თვისება შეადგენს შემოქმედების ობიექტურ მხარეს. მაშასადამე, შემოქმედებას სუბიექტური მხარეც ჰქონია. ასეთ მხარეს შეადგენს შთაბეჭდილების მთლიანობა, გრძნობათა სიღრმე და სიწრფელე და სხვ. მკითხველისათვის ცხადია, რომ

თვით შემოქმედება არის ფსიქიური აქტი, იმდენადვე აუცილებელი, როგორც სუნთქვა და სხვა. მის საძირკველს, როგორც ყოველის ფსიქიურ აქტისას, იდეათა ასოციაცია შეადგენს. ამგვარი შემოქმედებითი ასოციაციის მიზეზი არის: ან 1) გარეშე ბუნება, ან 2) პოეტის შინაგანი მხარე, ანუ „მე", ან 3) ორივე ერთად. ყოველგვარის შემოქმედების დამახასიათებელ მხარეს ის შეადგენს, რომ იგი არის მოთხოვნილება. ადამიანის სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება ორ დიდ ჯგუფად განიყოფება; ერთ ჯგუფს შეადგენს ის მოთხოვნილებანი, რომელთა მიზანიც სასიცოცხლო საჭიროებათა დაკმაყოფილებაა, მაგალითად, საზრდოობა, სუნთქვა და სხვა; მეორე ჯგუფს შეადგენს ის მოთხოვნილებანი, რომელიც ხორციელ დაკმაყოფილებას, სიცოცხლის განგრძობას სრულებით არ ემსახურება; პირველს უწოდებენ, საზოგადოდ, ფიზიკურ მოთხოვნილებას, მეორეს სულიერს. შემოქმედება წარმოადგენს სულიერ მოთხოვნილებას. გავიგოთ, რა განსხვავებაა ამ ორ სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათა შორის.

ავიღოთ ორი ფიზიკური მოთხოვნილება: სმა-ჭამა და სუნთქვა. ადამიანი თავისი ფიზიკური აგებულობით წარმოადგენს ცოცხალ მანქანას; როგორც ყოველგვარ მანქანას, მას შეუძლია მუშაობა; მუშაობისათვის კი საჭიროა მასალა ანუ საზრდო; როგორც ყოველგვარი მანქანის ნაწილები, ისე ადამიანის სხვადასხვა ქსოვილებიც ცვდებიან მუშაობის დროს; მათ შესავსებად საჭიროა იგივე საზრდო; ამგვარად, საზრდო საერთოდ იცავს იმ პირობებს, რომელთა გარეშე ჩვენს აგებულებას სიცოცხლე და მოქმედება არ შეუძლია. თვითონ საზრდოობა ხშირად სიამოვნებას გვძენს, მაგრამ ამ სიამოვნებას არავითარი კავშირი არა აქვს თვით საზრდოობის დანიშნულებასთან; იგივე უნდა ვთქვათ სუნთქვაზეც. ჩვენს ქსოვილებში ძისი მოქმედების შედეგად რჩება უვარგისი ნივთიერება — ნახშირის სიმჟავე; მოქმედება კი ქსოვილებს არ შეუძლია უჟანგბადოდ; სუნთქვის შემწეობით ჩვენი აგებულება იშორებს თავიდან აირველს და იძენს ჰაერიდან მეორეს. ამგვარად, სუნთქვის ერთადერთი მიზანია დაცვა იმ პირობებისა, რომელიც ჩვენი ქსოვილების სიცოცხლისა და მოქმედებისათვის არის საჭირო.

ავიღოთ ახლა რომელიმე სულიერი მოთხოვნილება, მაგალითად, მუსიკა. ჩვენ ეს მაგალითი იმისათვის ავიღეთ, რომ ამგვარი მოთხოვნილება ყველა ხალხის კუთვნილებას შეადგენს, როგორ კულტურულ სიმაღლეზედაც უნდა იდგეს იგი. ყველასათვის ცხადია, რომ მუსიკის დაკვრას ან მის მოსმენას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ პირობებთან, რომელშიაც ჩვენი ქსოვილები

ცოცხლობენ და მოქმედებენ. რა სულიერი მოთხოვნილებანიც უნდა ავიღოთ, ყველგან ამ თვისებას აღმოაჩენთ. ამგვარად ძირითადად განსხვავება ფიზიკურსა და სულიერ მოთხოვნილებათა შორის ის არის, რომ პირველი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სიცოცხლისათვის, მეორე კი არა. როგორ გაჩნდა ფიზიკური მოთხოვნილებანი? ისინი, ერთი მხრით, თან დაჰყვა სიცოცხლეს, მეორე მხრით, წარმოიშვა და განვითარდა არსებობისათვის ბრძოლაში. მაგალითად, საზრდოობა თანდაყოლილი მოთხოვნილებაა სიცოცხლისა. ქვეყნად არ მოიპოვება არც ერთი მიკრობი, არც ერთი უმნიშვნელო უჯრედი, რომელიც არ საზრდოობდეს ამა თუ იმ სახით. სქესობრივი მოთხოვნილება წარმოიშვა და განვითარდა მხოლოდ შემდეგ, როდესაც ქვეყნად ორგანიული, სიცოცხლე დიდი ხანია არსებობდა.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს სულიერ მოთხოვნილებათა წარმოშობა და განვითარება. როგორც დავინახეთ, სასიცოცხლო პროცესებთან სულიერ მოთხოვნილებათ არავითარი კავშირი არა აქვთ: აქედან ცხადია, რომ სულიერი მოთხოვნილებანი ხანგრძლივის განვითარების ნაყოფი უნდა იყოს.

თავისუფალმა დრომ და თავისუფალმა ენერგიამ წარმოშვა და განავითარა ცხოველ არსებაში სხვადასხვა სულიერი მოთხოვნილება. სულიერი მოთხოვნილებანი იქ, სადაც ნერვები საკმაოდ არ არის განვითარებული, წარმოუდგენელია. ავიღოთ, მაგალითად, ძაღლი: არსებობისათვის ბრძოლა მას დიდს დროსა და ენერგიას არ აცლის: დანიშნულ დროზე პატრონი აწვდის მას ლუკმას. იმ ენერგიას, რომელიც მასში დღიური ლუკმის ძებნაში დაუხარჯავი რჩება, იგი ანდომებს თამაშს. ამგვარადვე ირჯება კატა: არ გიყურებიათ, როგორის გატაცებით და მბიარულებით ათამაშებს ხოლმე იგი ბურთს ან ქაღალდის სორსოლს? მან კარგად იცის, რომ არც პირველი და არც მეორე თაგვი არ არის. მაგრამ მას აქვს ზედმეტი ძალა, რომელიც დახარჯვას ლამობს და თამაშში ხარჯავს მას. ამგვარად თამაში წარმოადგენს უმთავრეს სულიერ მოთხოვნილებას არა მარტო კატისა და ძაღლისას, არამედ თითქმის ყველა პირუტყვისას. ადამიანი არის მანქანა, მისი ყოველი ორგანო მუშაობს. მუშაობის დროს ის ხარჯავს ენერგიას, რომელსაც ჩვენი სხეული იჩენს. რომელი ორგანოც უნდა აიღოთ, ყოველ მათგანს აქვს გაცილებით ძეტი ენერგია, ვიდრე მისთვის საჭიროა ჩვეულებრივის მუშაობის დროს. აიღეთ, მაგალითად, ადამიანის გული. ჩვეულებრივ მუშაობის დროს, შუათანა რიცხვი, ის ოთხმოცჯერ ჰფეთქავს ერთ წუთში. არაჩვეულებრივის მუშაობის დროს კი (ავადმყოფობის დროს) —

ის ორასამდე ჰფეთქავს წუთში, ე. ი. ორჯერ და მეტჯერაც უმატებს მუშაობას. ეს ზედმეტი ენერგია შეადგენს აუცილებელ პირობას, ეროვნულადაც შეუძლებელია სულიერი მოთხოვნილება გაჩნდეა.

მივუახლოვდეთ ფიქრით იმ ხანას, როდესაც ადამიანი მხეცურ ბდგომარეობაში იყო. სანამ ის მთელს თავის ძალ-ღონეს თავის რჩენას ანდომებდა, შეუძლებელი იყო მას რაიმე სულიერი მოთხოვნილება გასჩენოდა. როდესაც ის გონებრივად იმდენად განვითარდა, რომ უფრო ნაკლები შრომით უკეთ მოიპოვა საზრდო და ამგვარად ენერგიის ერთი ნაწილი დაუხარჯავი დარჩა, ამ დაჩენილმა ძალამ პირველად აატოკა, ააჟრჟოლა მისი ტანი, აათამაშა მისი გული და ნერვები. ეს აჟრჟოლება იყო პირველი ნასახი სულიერის მოთხოვნილებისა.

,რამდენადაც უმჯობესდებოდა ცხოვრების პირობები, იმდენად უფრო ვითარდებოდა ადამიანიც. თავდაპირველად მის სულიერ მოთხოვნილებას უთუოდ თამაში წარმოადგენდა, თამაშის შემდეგ და შემდეგ მიემატა ესთეტური სიამოვნება, მხედველობითი, შემდეგ კი სმენითი — მუსიკა, ეს სამი დასახელებული წყარო წარმოადგენს უმთავრეს სათავეს სულიერის .მოთხოვნილებისას. მას შემდეგ მიემატა და თანდათან უფრო ძლიერდება სააზროვნო სულიერი მოთხოვნილება. პოეზია წარმოადგენს უკანასკნელ დარგს სულიერი მოთხოვნილებისას.

ამგვარად, როგორც შემოქმედება, ისე პოეზია, ორივე სააზროვნო სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენს: მწერალი შემოქმედებაში ჰპოვებს ესთეტურ სიამოვნებას, თავისსავე შემოქმედებით იკმაყოფილებს სულიერ მოთხოვნილებას. მკითხველი კი პოეზიაში ჰპოვებს ესთეტურ სიამოვნებას, პოეზიის შემწეობით იკმაყოფილებს თავის სულიერ მოთხოვნილებას. რატომ ჰპოვებს ერთი სულიერ სიტკბოებას შემოქმედებაში, მეორე კი პოეზიაში? რატომ იბადება ერთი პოეტად, მეორე კი უბრალო მკითხველად? — რატომ არის თოვლი თეთრი და არა შავი? რატომ არის ყინული ცივი და არა ცხელი? ყველა ამგვარ „რატომ“-ზე ერთადერთი პასუხი მხოლოდ „მიტომ“ არის. ტვინის ის თვისებანი, რომლებიც შემოქმედებას ახასიათებენ, ყოველ ადამიანს აქვს, როგორც უკვე მოვიხსენეთ ზემოთ, ხოლო მათ რომ შემოქმედება წარმოშობონ, საჭიროა მათი საკმაოდ ჰარმონიული განვითარება, — ამას კი უმეტესობა მოკლებულია. შემოქმედება მეტად რთული აქტია; ის მეცნიერებას ჯერ ვერ შეუსწავლია და ვერც გამოუკვლევია.

1905 წ.

ხელოვნურ ნაწარმოების კრიტიკა

თუ გვინდა ვიცოდეთ, როგორ ხსნის კრიტიკა პოეზიას ან საზოგადოდ, ხელოვნურ ნაწარმოებებს, ჯერ უნდა გავარკვიოთ: 1) თუ როგორ უნდა ახსნას კრიტიკოსმა მთელი ხანის პოეზია. 2) როგორ უნდა ახსნას კრიტიკოსმა ერთი პოეტის მთელი ხელოვნება; 3) როგორ უნდა ახსნას კრიტიკოსმა რომელიმე პოეტის ნაწარმოები. როდესაც ადამიანი ახასიათებს საერთოდ საგნების გროვას, მაშინ ის მხედველობის სხვა საზომით ხელმძღვანელობს, ვიდრე იმ შემთხვევაში. როცა ის ერთ რომელსამე საგანს ახასიათებს. უკანასკნელ შემთხვევაში ის ყურადღებას აქცევს საგნის ყოველგვარ თვისებას, რა წვრილმანიც უნდა იყოს ის. მკაფიო, გარკვეული სურათის დასახატად საჭიროა ერთნაირი სისწორით აღნუსხვა, ერთი მხრით. იმ თვისებებისა, რომლებითაც აღნიშნული საგანი სხვებს წააგავს, მეორე მხრით იმ თვისებებისა, რომლებითაც სხვებისაგან განირჩევა. სულ სხვანაირად იქცევა ის პირველ შემთხვევაში: აქ მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საერთო თვისებები, ე. ი. თვისებები, რომლებითაც საგნები ერთიმეორეს წააგვანან. რატომ? იმიტომ რომ საერთო, ზოგად წარმოდგენას რამდენისამე საგნისას მხოლოდ მათი საერთო თვისებანი იძლევიან და არა ინდივიდუალური. სწორედ იგივე უნდა ითქვას პოეზიაზედაც. სულ სხვაა, ერთი მხრით, მთელი რომელიმე ხანის პოეზიის დახასიათება, მეორე მხრით, ერთი რომელისამე პოეტისა.

პირველ შემთხვევაში კრიტიკოსმა სახეში უნდა მიიღოს მხოლოდ ზოგადი, საერთო თვისებანი ყველა იმ პოეტისა, რომლებიც აღნიშნულ ხანას ეკუთვნოდნენ; მეორე შემთხვევაში კი ის განსაკუთრებულ ყურადღებას პოეტის ინდივიდუალურ თვისებებს აქცევს. გავიგოთ. რა უდევს სარჩულად საერთო თვისებებს პოეზიისას და რა ინდივიდუალურ თვისებებს.

ყოველგვარი პოეზია, როგორიც და ვისიც უნდა იყოს, ან მხოლოდ აზრია ცხოვრების შესახებ, ან თვით ცხოვრებაა, ან ორივე ერთად. როდესაც პოეზია ცხოვრებას ხატავს, ცხადია, ეს ნახატი იმ-

გვარი იქმნება, როგორიც თვით ცხოვრებაა, ან პოეტის წარმოდგენაა ამ ცხოვრებაზე; ორივე შემთხვევაში ამგვარი პოეზიის ამა თუ იმ სახის მიზეზი ცხოვრების საზოგადოებრივი პირობანი არიან. რა არის პოეზიის მიზეზი მაშინ, როდესაც ის მხოლოდ ინდივიდუალური აზრია, პოეტის შეხედულებაა?

ყოველი აზრისათვის ორი ძირითადი მიზეზია საჭირო — ერთი ერთი მხრით, — გარეშე, მეორე მხრით — შინაგანი, გარეშე მიზეზს წარმოადგენს ცხოვრება, შინაგანს — ადამიანის პიროვნება. ადამიანი რომ აღიზარდოს საზოგადოების გარეშე, მას არათუ არავითარი აზრი არ დაებადება თავში ათასი წელიც რომ იცოცხლოს, ერთი სიტყვაც არ ეცოდინება და უსიტყვოდ რა აზროვნება შეიძლება! ის წრე, სადაც ბავშვი იზრდება, სურათები, რომელსაც ბავშვი ხედავს, წელ-ნელა აღვიძებენ მასში აზროვნებას, და უკვე დადინჯებული ადამიანის აზროვნებას ყოველთვის უტყუარი ბეჭედი აზის ცხოვრებისა. თუ ნიცშე ქმნის ზეკაცის სამეფოს, ტოლსტოი უარყოფს თანამედროვე კულტურას, სპენსერს კი იდეალად მიაჩნია თანამედროვე ინგლისის საზოგადოებრივი წყობილება, ამის მიზეზია, ერთი მხრით, მათი პიროვნება, მეორე მხრით, ის ცხოვრება, რომელშიაც თვითეული მათგანი იმყოფებოდა.

თუ ცხოვრების ერთი და იგივე პირობანი სხვადასხვაგვარ აზრებს იწვევენ სხვადასხვა პირებში, მიზეზი ის არის, რომ ყოველ ადამიანს თავისებური ბუნება აქვს და მასში ერთი და იგივე ცხოვრება სხვადასხვა რეაქციას იწვევს; ყოველი აზრი ამონაკვნესია ცხოვრებისა, ხოლო პიროვნების გულში გატარებული. ამგვარად, რა სახისა და რა მიმართულებისაც უნდა იყოს პოეზია, ცხოვრება წარმოადგენს მის საერთო ობიექტურ მიზეზს. პიროვნება პოეტისა კი მის ინდივიდუალურ მიზეზს. ამიტომ, როდესაც კრიტიკოსი ახასიათებს რომელიმე ეპოქის პოეზიას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ის საერთო მიზეზი, ე. ი. აღნიშნულ ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციალური პირობები.

მხოლოდ ამ პირობების გარკვევითა და გათვალისწინებით ის შეიგნებს და ახსნის ამ დროის პოეზიის საერთო საზოგადო ხასიათსა და მიმართულებას. მარტო სოციალური პირობების გათვალისწინება საკმარისი არ არის მაშინ, როდესაც კრიტიკოსი ხსნის ერთი რომელიმე პოეტის მთელ ხელოვნებას. რატომ? აი, რატომ: როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, პოეზიას ორი ძირითადი ფაქტორი აქვს: ცხოვრების პირობები და პოეტის პიროვნება. პოეზია მხოლოდ აზრია; ყოველი ადამიანის აზრი წარმოადგენს ცხოვრების ზემოქმედების ნაყოფს, ხოლო ცხოვრების ზემოქმედების გავლენას თან ერთვის

პიროვნების ინდივიდუალური ბუნების გავლენაც. თუ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საზოგადოებაში ერთი პოეტი ვარსკვლავებს შეგალობს, მეორე კი დედამიწას დასტირის, ამის მიზეზი მათსავე პიროვნებაშია.

პიროვნება რთული მცნებაა. მას ორი მხარე აქვს — ფიზიკური და საზოგადოებრივი. პიროვნება — ფიზიკური ერთიანად ნაყოფია შემკვიდრეობისა; პიროვნება საზოგადოებრივი კი ნაყოფია აღზრდის, განათლების და წრის ზეგავლენისა. თუ კრიტიკოსმა არ იცის პოეტის მემკვიდრეობა დაწვრილებით, მას აუხსნელი დარჩება მისი პოეზიის ზოგიერთი მხარე; აგრეთვე, თუ ის არ იცნობს იმ წრეს, რომელშიაც პოეტი აღიზარდა, მისთვის გაუგებარი იქმნება მის პოეზიაში ბევრი რამ. ამგვარად, როდესაც კრიტიკოსი ხსნის რომელიმე პოეტის პოეზიას, ცხოვრების პირობებს გარდა, მან უნდა გაითვალისწინოს ჯერ მემკვიდრეობა, მისი აღზრდა, განათლება და ის წრე, რომელშიაც ტრიალებდა პოეტი, როგორც ბავშვობაში, ისე შემოქმედების ხანაში.

ამგვარად, ცხოვრების საზოგადოებრივი პირობანი, პოეტის მემკვიდრეობა, მისი აღზრდა-განათლება, წრე და პოეტის სულიერი მდგომარეობა, — აი, ის ნიადაგი, ურომლისოდაც კრიტიკა უნაყოფოა. ამგვარი გზა ფრიად რთულია, ბევრში განუხორციელებელიც. მაგრამ ეს ერთადერთი გზაა კრიტიკისა.

ჩვენ განვიხილეთ პირველი ნაწილი კრიტიკისა, მის მეორე ნაწილს წარმოადგენს პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამორკვევა. რა მნიშვნელობა აქვს პოეზიას? ემსახურება ან უნდა ემსახურებოდეს ის პრაქტიკულ მიზანს თუ არა? ამ კითხვის შესახებ უძველეს დროიდან აზრთა სხვადასხვაობა სუფევს. არისტოტელე, მაგალითად, უარყოფდა პოეზიას იქ, სადაც პრაქტიკული მიზანი გამოსჭვივოდა და. ამის მიხედვითაც, არქიტექტურას ის ხელოვნებად არ თვლიდა მხოლოდ იმიტომ, რომ არქიტექტურას პრაქტიკული მიზანი აქვს. კანტი, რენუვიე, ტრინტალენი, სპენსერი — ყველა იმ აზრისანი არიან, რომ პოეზია და სარგებლობა ძირითადად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ე. ი., იქ, სადაც სარგებლობაა, პოეზია არ არის და იქ, სადაც პოეზიაა, სარგებლობა არ არის. რატომ, რა დააკლდა პოეზიას მით, რომ ის სარგებლობას ემსახურებოდეს? ამის შესახებ არც ერთი არაფერს ამბობს. ისინი ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ ესთეტიკური სიამოვნება თამაშია, თამაში კი — სარგებლობის მიზანს მოკლებულია. აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ესთეტური სიამოვნება უსარგებლოა პრაქტიკულად, და არა ის, რომ პოეზიაც უსარგებლოა ცხოვ-

რებაში. მართალია. პოეზია იძლევა ესთეტურ სიამოვნებას, მაგრამ გარდა ამ სიამოვნებისა, ის იძლევა სხვასაც და, აი, სწორედ ამ „სხვას“ აქვს უმთავრესი მნიშვნელობა.

რა არის ეს „სხვა“? იქნება ის იყოს გემოვნება მშვენიერებისა და ამ გემოვნების განვითარებაში მდგომარეობდეს პოეზიის მნიშვნელობა, როგორც ამას ბევრი ფიქრობს?! პოეზია, რომელიც მხოლოდ ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებს და რომელიც მხოლოდ მშვენიერების გემოვნებას ავითარებს, ფრიად დაბალი ხარისხის პოეზიაა. ვთქვათ, განუვითარა მკითხველს პოეზიამ გემოვნება მშვენიერებისა. მერე? მერე არაფერი! ექნება მას განვითარებული გემოვნება, მორჩა და გათავდა! ვთქვათ, შესძინა პოეზიამ მკითხველს მხოლოდ ესთეტიური სიამოვნება, მერე? მერე არაფერი. დარჩება ის ნასიამოვნები, მორჩა და მოსვენება! მე არ უარვყოფ, რომ ერთიცა და მეორეც პოეზიას შეუძლია. მაგრამ ერთიცა და მეორეც პოეზიის მდაბალ მიზნად მიმაჩნია. რა საბუთი მაქვს? მხოლოდ ერთი და, აი, ისიც. როდესაც საზოგადოებაში უმეტესი ნაწილი მოკლებულია ნორმალურ საზრდოს როგორც გონებისათვის, ისე კუჭისათვის; როდესაც საზოგადოებაში უმეტესობა მოკლებულია ნორმალურ თავისუფლებასა და ნორმალურ ადამიანურ უფლებებს, როდესაც საზოგადოებაში, ნაცვლად სიმართლისა და სამართლიანობისა, ძალმომრეობა და უსამართლობა პარპაშობს, — ადამიანის ყოველ მისწრაფებას და ხელოვნებასაც სხვა მიზანი უნდა ჰქონდეს, ვიდრე მარტოოდენ — სიამოვნება ან მშვენიერებისადმი გემოვნების განვითარება. ეს სხვა მიზანია — რაც შეიძლება, მეტი ბედნიერება უმეტესობისათვის. ვიდრე ადამიანთა უმეტესობა უბედურია, ხელოვნებაც სხვასთან ერთად უნდა ემსახურებოდეს მათს გაბედნიერებას და, თუ ოდესმე ის ამ დიად მიზანს მიაღწევს, მაშინ მისი მისიაც აღსრულებული იქნება.

ამგვარად, როდესაც კრიტიკოსი არკვევს პოეზიის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მის რკვევას გზას უნდა უნათებდეს ზემოთ აღნიშნული მიზანი პოეზიისა.

ამ წერილის თავში ჩვენ გამოვთქვით ის გადაჭრილი აზრი, რომ პოეზია სულიერ სიამოვნებაზეა დამყარებული. აქ კი ჩვენ პოეზიის დანიშნულებას პრაქტიკულ მიზანში ვხედავთ, როგორ უნდა მოვათავსოთ ერთად ეს ორი შეხედულება? აზრთა წინააღმდეგობაა აქ თუ არა? სულიერი სიამოვნება წარმოადგენს იმ უმთავრეს პირობას, ურომლისოდაც პოეზია ვერ განახორციელებს თავის უმაღლეს მიზანს; სულიერი სიამოვნება მხოლოდ საშუალებაა მიზნის განსახორციელებლად და არა თვით მიზანი, — მის გარეშეა; სულიერი სია-

მოვხება ის მძლავრი იარაღია, რომლითაც პოეზია მწერლობის ყველა დარგს სჯობია. თუ პოეტი აღწევს მიზანს მხოლოდ ამ იარაღის წყალობით, იმ სარგებლობისათვის, რომელიც პოეტს მოაქვს, საუკეთესო საზომი სულიერი სიამოვნებაა. ხშირად ორ ხელოვნურ ნაწარმოებში ერთი და იგივე აზრია გატარებული. მაგრამ მაშინ, როდესაც ერთ მათგანს გაფაციცებით კითხულობენ და არჩევენ, მეორე შეუმჩნევლად რჩება. ამის ერთად-ერთი მიზეზი ის არის, რომ პირველი აძლევს მკითხველს ძლიერ სულიერ სიამოვნებას, მეორე კი არა.

ყოველი მწერლის ღირსება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სარგებლობა და სიამოვნება ერთმანეთს შეუწონოს და სულიერ სიამოვნებასთან ერთად მკითხველს სასარგებლო აზრი, გრძნობა ან განზრახვა მიაწოდოს, რადგანაც პოეზიის პრაქტიკული მნიშვნელობის ტონი დამოკიდებულია სულიერი სიამოვნების ტონზე. სულიერი სიამოვნება კი შედეგია მშვენიერებისა, თავისთავად ცხადია, რომ მშვენიერებას ანუ ხელოვნურ ღირსებებს მოკლებული პოეზია უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ რჩება. ამიტომ ხელოვნურ ღირსების გარკვევა და დაფასება ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამორკვევას.

1905 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

როდესაც რომელსამე საზოგადო მოღვაწეზე გამოითქმება ხოლმე ბევრგვარი, ხშირად ერთიმეორის სრულიად საწინააღმდეგო აზრი, ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ამგვარი მოღვაწე თავისი ნიჭითა და მნიშვნელობით საკმაო სიმაღლეზე დგას. ჩვეულებრივი ნიჭის, პატარა ტალანტის დაფასება არ არის ძნელი, — სულ სხვაა არაჩვეულებრივი ნიჭი, დიადი ტალანტი; ჩვეულებრივი არშინით მისი ღირსების გაზომვა არ შეიძლება.

ერთ-ერთ დიად ნიჭს ჩვენს მწერლობაში წარმოადგენს ნ. ბარათაშვილი. XIX საუკუნეში ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი მწერალი. რომლის შესახებაც იმდენი დაწერილიყოს და იმდენი სხვადასხვა აზრი გამოთქმულიყოს, როგორც ბარათაშვილის შესახებ. მარტო ეს გარემოება რომ მივიღოთ მხედველობაში, და აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბარათაშვილის ლექსები იმგვარად მოქმედებენ ჩვენს სულსა და გონებაზე, თითქო ავტორი ჩვენთან ერთად ცხოვრობდეს და მოქმედებდეს, — აქედანაც ცხადი იქნება, რომ ბარათაშვილი დიდებული ნიჭია.

ყოველი ადამიანი, რა დიადი ნიჭითაც უნდა იყოს ბუნებისგან დაჯილდოებული, შვილია თავისი დროის და თავისი წრისა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ნიჭიერი ადამიანი ბევრით გაუსწრებს თავის დროს აზროვნებით და მისწრაფებით, მაგრამ დრო და წრე თვალსაჩინო დაღს ასვამს ამისთანა ნიჭსაც. ბარათაშვილი ადრე დაიბადა, ძალიან ადრე: თავისი ნიჭით, მიმართულებით, ზნეობრივი ფიზიონომიით და მოქმედების წყურვილით ის სრულებით არ შეეფერებოდა თავის დროს, თავის საზოგადოებას; ამ საზოგადოებაში ის სულით ობოლი იყო და სწორედ ამგვარ პირობებში დაიბადა და გაიშალა ბარათაშვილის პოეზია. სწორედ ამგვარმა დრომ და საზოგადოებამ დააჩნია მას ერთგვარი ბეჭედი.

ბარათაშვილს ხშირად ადარებენ ბაირონს. მსგავსება ამ ორ პოეტს შორის დიდია, მაგრამ განსხვავებაც დიდია: მაშინ. როდესაც

ბარათაშვილის პოეზია მსოფლიო გოდებაა ობოლი სულისა, ბაი
რონის პოეზია, მსოფლიო გოდებას გარდა, ბასრი მახვილია. თავისი
ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედების წყურვილით ბარათაშვილი იმ-
გვარსავე ტიპს წარმოადგენს, როგორსაც ბაირონი. მაგრამ ბაირო-
ნის გარშემო ცხოვრება დუღდა, საზოგადოება მოქმედებდა; ბარა-
თაშვილის გარშემო კი ცხოვრება სდუმდა, საზოგადოება ფრიად
უფერული, ფრიად მძინარი იყო. ბაირონს თვით დრო და ცხოვრება
უწყობდა ხელს, რომ მას თავისი პოეზია ბასრ მახვილად გადაექ-
ცია; დრო და ცხოვრება კი ბარათაშვილის მთოლოდ სულიერ ობ-
ლობას უწყობდა ხელს და, რაც უფრო უკვირდებოდა პოეტი ცხოვ-
რებას, მით უფრო ეძლეოდა თავის საკუთარ თავს და მსოფლიო
პესიმიზმს...

ჩვენი ცხოვრება სრულებით მდორე იყო დამდგარი ჭაობივით და.
თუ ერთ კაცს არა ჰქონდა იმდენი ძალ-ღონე, რომ მთელი ეპოქა შე-
ექნა ჩვენს კულტურულს ცხოვრებაში, ეს სრულებით გასაკვირი
არაა. — პირიქით, ჩვეულებრივი მოვლენაა: ერთი კაცი ისტორიას
ვერ შექმნის, გენიოსი მხოლოდ საუკეთესო გამომხატველია თავისი
დროის იდეალების და მისწრაფებისა და. თუ თვით ცხოვრება იყო
უსიცოცხლო და უიდეალო, ერთი ბარათაშვილი რას გააწყობდა?
ადამიანის ყოველგვარ მოღვაწეობისათვის შესაფერი ნიადაგია სა-
ჭირო, ყოველგვარი მოღვაწეობის ნაყოფი დამოკიდებულია ამ სა-
ზოგადოებრივ ნიადაგის ღირსებაზე. რადგანაც ბარათაშვილს საზო-
გადოებრივი ნიადაგი სრულებით უვარგისი და შეუფერებელი დახვ-
და, მან იგრძნო საშინელი სულიერი ობლობა და მისი ნიჭიც ვერ
განვითარდა სრულიად, როგორც ბაირონის ნიჭი, მისმა ნიჭმაც ვერ
გამოიღო ის ნაყოფი, რის გამოღებაც შეეძლო.

ამიტომ, სანამ გავითვალისწინებდეთ ბარათაშვილის პოეზიის უმ-
თავრეს თვისებებს, საჭიროა მოკლედ თვალი გადავავლოთ ბარათა-
შვილის დროს, წრეს და საზოგადოებას, რომელშიაც ის ცხოვრობდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სანამ რუსეთის მმართველო-
ბა ფეხს მოიმაგრებდა ჩვენში, ჩვენი ცხოვრება დამყარებული იყო
ნატურალურ მეურნეობაზე; ყმის შრომა საფუძვლად ედვა მთელს
ჩვენს კულტურულ მსვლელობას. ევროპის კულტურას, გარეგან მხა-
რეს ევროპულ ცხოვრებისას და არც შინაგანს ჩვენში ადგილი არ
ჰქონდა და ამიტომ ჩვენი არისტოკრატია მთელ თავის სულიერსა
და გონებრივ კმაყოფილებას სოფელშივე ჰპოებდა. ყმების შრომით
სასმელ-საჭმელი მას უხვად შემოსდიოდა, ფული კი მისთვის სრუ-
ლებით არ იყო საჭირო. თუ ფულის უმთავრესი თვისება ის არის,
რომ მან გაძღომა არ იცის, არ ფუჭდება და, რაც მეტი გექნება, ისა

ჯობია, — სასმელ-საჭმელის საჭიროება განსაზღვრულია, მისი დიდ-ხანს შენახვა შეუძლებელია და ამგვარ შენახვას არცა ჰქონდა აზრი აღნიშნულ დროს. ამიტომ ჩვენი არისტოკრატია პურ-მარილით იყო განთქმული, მაგ ბატუმარი უყვარდა, ქეიფი, დროსტარება და ამგვარი ცხოვრებისათვის მას საღსარიცა ჰქონდა და კმაყოფილიც იყო თავისი ხვედრით.

მაგრამ, აი, შემოდგა ჩვენს ცხოვრებაში ფეხი ევროპის კულტურამ რუსეთიდან. არისტოკრატიის საუკეთესო პირები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში შეუდგნენ ჩვენში ევროპის გონებრივ კულტურის გადმონერგვას. მათი გატაცება ამ მხრით ისეთი ძლიერი იყო, რომ ბატონიშვილმა იოანემ მთელი პროექტი შეადგინა, თუ როგორ ღნდა მოწყობილიყო საქართველოს მართვა-გამგეობა ევროპულს გეგმაზე. ყაბახი და ჯამბაზობა. — აი, რით ტკბებოდა ქართველი საზოგადოება თითქმის XVIII საუკუნის გასვლამდე. არისტოკრატიის საუკეთესო წევრებმა მოინდომეს ამ აზიური გასართობების მაგიერ ევროპიულ თეატრის გადმონერგვა და ერეკლე II დროს კიდეც დაიწყო ტფილისში წარმოდგენები. ერთი სიტყვით, ჩვენი არისტოკრატია ცდილობდა დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ევროპის კულტურის გადმონერგვას ჩვენში, ქართველების გაევროპიელებას გონებრივად და ცხოვრებით.

რუსეთის მმართველობა იმ დროს, როცა ის ჩვენში შემოვიდა, თვითონ იყო მოკლებული ევროპის კულტურას და ამიტომ ჩვენ რას მოგვიტანდა, რაც თვითონ არა გააჩნდა რა?! პეტრე დიდმა რომ რუსებს წვერ-ულვაში გაპარსა და ევროპის პარიკებში და ტანისამოსში გამოაწყო, რუსეთის არისტოკრატიას ეს პირველად. მართალია, ვერაფრად ეჭაშნიკა, მაგრამ შემდეგში ისე გაიტაცა ამ გარემოებამ, რომ მთელი თავისი ყურადღება ევროპის კულტურული ცხოვრების გარეგან მხარეს მიაქცია. ამიტომ რუსებმაც ჩვენში ის შემოიტანეს, რაც მათ გააჩნდათ, — ევროპის ცხოვრების გარეგნობა. ახალი გასართობები, ახალი დროსტარება ჩვენს არისტოკრატიას ძალიან მოეწონა, ევროპული დროსტარებისათვის კი პური და ღვინო აღარ იყო საკმარისი, — ფული გახდა საჭირო. თავადაზნაურობა მოაწვა ქალაქ ადგილებს. გაიგო ფულის გემო და, აი, სწორედ აქედან იწყება არისტოკრატიის დავალიანება და სწრაფი გაღატაკება, რადგანაც იმ დროს, გარეგნობით გატაცების ხანაში, სამხედრო მუნდირი უფრო სატრფიალო იყო ყველასთვის და საპატიო, ამიტომ ჩვენი არისტოკრატია სამხედრო სამსახურს მიაწვა. თუ ჩვენს დროშიც თავმომწონე თავადიშვილი არ უკადრისობს სხვადასხვა გზით პრაპორშჩიკის ეპოლე-

ტების მოპოებას. მაშინდელს დროში ეს ეპოლეტები იდეალი იყო ჩვენი არისტოკრატიისათვის.

სოფელში ცხოვრება უფერული იყო და მდორე. ქალაქშიც იგივე უშინაარსობა და უსიცოცხლობა სუფევდა. გლეხობა შრომის შძიმე უღელში იყო შებმული, თავადაზნაურობის ერთი ნაწილი სოფელში სავსე მარნების დაცლას ალევდა თავის სიცოცხლეს, მეორე ნაწილი ქალაქში კოტრდებოდა და მესამე ნაწილი მხოლოდ სამხედრო სამსახურზე ოცნებობდა.

ამგვარს ცხოვრებაში და წრეში აღიზარდა ბარათაშვილი ისიც გაიტაცა ცხოვრების გარეგანმა მხარემ, მანაც სამხედრო სამსახური დაისახა მიზნად. ერთ წერილში იგი წერს თავის ბიძას. გრ. ორბელიანს: „სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური. ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა. იგი მზრდიდა მე აქამომდე და ახლაც ხანდახან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა. თუ ჩემი სურვილი იყო?". საყურადღებოა ამ მხრით მეორე წერილი. აქ პოეტი სიტყვას გადუკრავს თავის ბიძას: მომამზადე შენს მოადგილედ, გზა მომეცი სოფელშიო, და შემდეგ დასძენს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს. მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ. რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რეენკამფთან დამანიშვნინო".

აი, რა იყო პოეტის „მხურვალე განსჯა", როგორც თვითონვე ამბობს ამავე წერილში. შინაგანი ხმა იწვევდა პოეტს საუკეთესო ხვედრისაკენ, მაგრამ პოეტს მაშინდელ დროისა და საზოგადოების ზეგავლენის წყალობით, ეს საუკეთესო ხვედრი სამხედრო სამსახურად ჰქონდა წარმოდგენილი. ეს ნატვრა რომ ასრულებოდა პოეტს, ის მალე დარწმუნდებოდა თავის შეცდომაში, მალე დაინახავდა, რომ შინაგანი ხმა აქეთ არ იწვევდა მას, კმაყოფილებას მას ვერც სამხედრო სამსახური მისცემდა; მაგრამ საგულისხმო აქ ის გარემოება არის, რომ პოეტს თავისმა წრემ და დრომ დაღი დაასვა. პოეტს რომ ეს წყურვილი ასრულებოდა, ეჭვს გარეშეა, ის მაინც ვერ მოიპოებდა სრულ სულიერ სიმშვიდეს, ხოლო ისიც ეჭვს გარეშეა, რომ პოეტი უფრო კმაყოფილი იქნებოდა თავისი ხვედრით ვიდრე ნამდვილად იყო, უფრო ნაკლებად იგრძნობდა სულიერ ობლობას, ამ ობლობის სიმწვავეს და მაშინ მის პოეზიასაც ცოტათი მაინც მოაკლდებოდა ის მომხიბლავი და წარმტაცი გრძნობა. რომელიც ერთ უმ-

თავრეს ღირსებას შეადგენს მისი ნაწერებისაკ. ცალკე აღებულ ამ ფაქტს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ სხვა ფაქტებთან ერთად ამ გარემოებამაც იმოქმედა პოეტის სულიერ განწყობილებაზე.

მაშ, რაღამ დაუშალა პოეტს სამხედრო სამსახურში შესვლა? ოჯახის გაჭირვებულმა მდგომარეობამ. პოეტის მამა მდიდარი თავადიშვილი იყო, მაგრამ გაღატაკდა და მთელი ოჯახი პოეტს დააწვა სარჩენად კისერზე. კურსის გათავებისთანავე, ის იძულებული გახდა, რაც შეიძლება, მალე ეშოვნა ისეთი ალაგი, რომ ოჯახს მატერიალურად დახმარებოდა. ახალგაზრდა, გატაცებულ ყმაწვილს, რომელსაც ოცნება ითასგვარ გზას უხატავს წინ ცხოვრებაში, სულ ია და ვარდით მოფენილს, გაღარიბებული მამა ცივ წყალს ასხამს გულზე: ოჯახს უპატრონეო. უმეტესი ნაწილი ახალგაზრდობისა ამგვარის ხვედრით სრულებით კმაყოფილდება. ბევრი, ძალიან ბევრი ახალგაზრდა იმ აზრით ოცნებობს, როდის დავეხმარები ჩემს ოჯახსო, და როცა ეს აზრი განუხორციელდება, სრულს კმაყოფილებას გრძნობს. ჰეტს აღარას ეძებს. ვინ ამბობს, ოჯახის დახმარება ფრიად კარგი საქმეა, მაგრამ ბარათაშვილი არ იყო იმგვარი მიმართულებისა და ბუნების კაცი, რომ მას თავისი ცხოვრების მიზანი ოჯახის საზღვრებით შემოეფარგლა. „გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“-ო, ეუბნება ის ცას, და აი დაადგა იგი თუ არა ცხოვრების გზას, ხელფები შეუკრეს, კანცელარიის მაგიდას მოუსვეს და უთხრეს: იშრომე და არჩინე ოჯახიო. მაგრამ გონებას ხომ ვერავინ შეუკრავდა მას! გონება სივრცეს ეძებდა, ვიწრო ფარგალში არ ეტეოდა, ცის იქით ეძიებდა სადგურს, მის ცხოვრებას კი თავიდანვე დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობა წინ.

განა შეიძლებოდა, ამგვარს პირობებში ნიკოლოზ ბარათაშვილს, ბარათაშვილს და არა სხვას ვისმე, გული არ გასტეხოდა, სევდა არ დაპატრონებოდა? არ შეიძლებოდა და, აკი, გაუტყდა და დაუსევდიანდა კიდეც პოეტს გული. პოეტი დროებით შეურიგდა თავის ხვედრს იმ იმედით, რომ მალე დავამარცხებ მას და ჩემს სურვილს, ჩემს მისწრაფებას ავისრულებო. მას იმედი ჰქონდა ნათესავებისა, ეხვეწებოდა თავის ბიძას — გრ. ორბელიანს — დამეხმარეო, უსაყვედურებდა, ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო, მაგრამ ბიძამისი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში მისთანა მეორე აღარავინ იყო, თავისი თავით სტკებებოდა და არა თუ პოეტს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მისი მდგომარეობისათვის არა ზრუნავდა, არამედ მის ნიჭსაც ვერ აფასებდა, ის თავისი ნიჭით

იყო გატაცებული და სრულებით ვერ ამჩნევდა თავის დისწულში დიად ტალანტს.

იქნება საზოგადოებაში ჰპოვა პოეტმა დახმარება და თანაგრძნობა? თვითონ პოეტს დავუგდოთ ყური: „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ენახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არათუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა. თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა. სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი“?. პოეტი თანდათან დარწმუნდა, რომ „ქართველობაში არ არის მეგობრული და ნათესაობრივი გრძნობა“. შეუძლებელი იყო, ამგვარ რწმენას არ გაეტეხა გული პოეტისათვის, რომლის მთელი არსებაც ყველასადმი სიყვარულით, ყველასადმი თანაგრძნობით და ნათესაობით იყო გამსჭვალული. ადამიანი — და, მით უმეტეს, ენერგიითა და საზოგადოებრივის ინსტიქტით ძლიერი ადამიანი, — დასთმობს ოჯახსაც. მეგობარსაც, ნათესავსაც, თუ თვით საზოგადოებრივი ცხოვრება აკმაყოფილებს მას, გზას აძლევს მასში დაგროვილ ენერგიას და მოქმედების, მოღვაწეობის წყურვილს. მერე ამგვარ საზოგადოებაში ცხოვრობდა ბარათაშვილი?

არა და არა. საზოგადოება სრულებით მოკლებული იყო გონებრივ ინტერესებს, მხოლოდ აქა-იქ თითო-ოროლა პირნი იყურებოდნენ ევროპისაკენ და ეცნობოდნენ ევროპის ლიტერატურას. გარშემო სრული უმეცრება, უიდეალობა სუფევდა. ქეიფი, ჭორები და სამხედრო სამსახური, — აი, რას ეტანებოდნენ საუკეთესო წევრნი არისტოკრატიისა. თავის წერილებში ბარათაშვილი ყველგან საზოგადოებას ემდურის. ტფილისსა და მის საზოგადოებას სთვლის „უსარგებლოდ გულისა და გონებისათვის“. ხშირად შეხვდებით დიდი ნიჭის მქონე ადამიანს, რომელიც შავ მუშაობას, წვრილმან საქმეებს მოჰკიდებს ხოლმე ხელს, როდესაც საზოგადოება არ იძლევა მისი ნიჭის, მისი მისწრაფების შესაფერ ნიადაგს. სამაგიეროდ არიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ ფართოდ შეუძლიათ ფრთების გაშლა, მხოლოდ მძლავრად შეუძლიანთ გულის აძგერება, მხოლოდ ადუღებული ცხოვრების ტალღებზე შეუძლიანთ მოქმედება. თუ ცხოვრება ამგვარ პირებს ფრთებს არ აშლევინებს, ხელებს უბორკავს, ისინი უმოქმედოდ, თავისსავე გულს ასკდებიან, რადგანაც წვრილმანი საქმეებისათვის, შავი მუშაობისათვის სრულიად გამოუსადეგარნი არიან.

ამგვარი იყო ბარათაშვილიც. მისი ნიჭისა და წყურვილის შესაფერ ასპარეზს ცხოვრება არ იძლეოდა, წვრილმანი საქმეებისათვის კი ის არ იყო დაბადებული. მის ლიტერატურულ ნიჭსაც არავითარი საზოგადოებრივი აუდიტორია არ გააჩნდა, რაც ასე საჭიროა ყოველი ლიტერატორისათვის. გაზეთი არ არსებობდა. მისი ნაწარმოების მკითხველი და დამფასებელი საზოგადოების ფრიად ვიწრო წრე იყო. ამგვარი საზოგადოება განა დააკმაყოფილებდა პოეტს? არა და არა! პოეტის გულსა და გონებას ერთი მთვარიანი ღამე გაცილებით მეტს საზრდოსა და ნუგეშს აძლევდა, ვიდრე მთელი მაშინდელი საზოგადოება, — საზოგადოებაში ის სრულიად ობოლი იყო. „სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით: შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი, და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში“ — აი, რას სწერს ის ერთ-ერთ წერილში. დიახ, სოფელი სავსე იყო და ვრცელი, საზოგადოება რიცხვით დიდი, მაგრამ არაფერში არ შეეფერებოდა პოეტის ბუნებას. პოეტი ხედავდა ამას და გრძნობდა, რომ ხსნა არსით იყო.

პატარაობისას პოეტი იყო ცელქი, ოხუნჯი, მოუსვენარი; დიდობისას საზოგადოებაში ის იყო მეტად მხიარული, ენამახვილი, მოსწრებული და ოხუნჯი. მისი მხიარულება არ იყო ნაძალადევი. მაშრა მიზეზი იყო, რომ საზოგადოებაში მხიარული და ოხუნჯი ბარათაშვილი, დარჩებოდა თუ არა მარტო, სევდას მიეცემოდა, თავის გულს ასკდებოდა და ნატრობდა: ნეტავი მომცა პატარა და დამოუკიდებელი ქონება. მყისვე დავტოვებდი საზოგადოებას და ბუნების კალთებზე გავატარებდი წყნარად ჩემს ცხოვრებასო? მიზეზი ცხადია: სხვები ოხუნჯობდნენ და მხიარულობდნენ და ამით სრული კმაყოფილი იყვნენ. — მეტს ისინი ცხოვრებას არაფერსა სთხოვდნენ, სხვა რასმე ისინი საზოგადოებაში არაფერს ეძებდნენ; ბარათაშვილს კი სწყუროდა საქმე, მოქმედება, მას ვრცელი ასპარეზი უნდოდა თავის ნიჭისა და ენერგიის გასაშლელად. ეს ასპარეზი კი არსად იყო და ამიტომ ნაღვლობდა. ამიტომ ევსებოდა სევდით გული: ბუნებით მხიარული პოეტი, ცხოვრებამ გახადა მგლოვიარედ. როგორც ზნეობის მხრით, ისე გონების მხრით პოეტს უფლება ჰქონდა თავისი დიდების სიმაღლიდან ამაყად გადმოეხედა პატარა კაცუნებისათვის, რომლებიც მაშინდელ საზოგადოებაში დაფუსფუსებდნენ; მათთან შედარებით პოეტი ბედნიერი იყო. მაგრამ ეს პატარა კაცუნები ერთი გარემოებით პოეტზე ბევრით ბედნიერნი იყ-

ვნენ: თავისი ხნეობრივი და გონებრივი სიღატაკით ისინი სრულიად შეეფერებოდნენ მაშინდელს დროს და ამიტომ კმაყოფილნი იყვნენ ბედისა და ცხოვრებისა; პოეტი კი ძალიან ადრე, ერთობ უდროო დროს დაიბადა და ამით იყო უბედური. იმ შავბნელ ეპოქაში ეს დიადი ადამიანი თითქოს განგებ მოავლინა ბუნებამ, რომ ქვეყნისათვის ეუწყებინა: ქართველთა სული და გული არ ჩამკვდარა, არ გახრწნილა. ქართველთა გონებაში ანთებული ლამპარი არ ჩამქრალა, სული ისევ გამოიღვიძებს, გული ისევ აძგერდება, გონება ისევ გამოაშუქებს და ქართველი ერი ისევ აღსდგებაო.

უმთავრესი კანვა, რომელზედაც მოქარგა ოქროს ასოებით ბარათაშვილმა თავისი პოეზია, არის ღრმა და უსაზღვრო მსოფლიო პესიმიზმი. ამგვარი ნიადაგი ბარათაშვილის პოეზიას თვით ცხოვრებამ მოუმზადა, როდესაც პოეტმა საზოგადოებაში ვერაფერი ვერა ჰპოვა, ის შეუდგა ფილოსოფიურ კითხვების გარკვევას: ის უკვირდებოდა მსოფლიოს მიზანსა და დანიშნულებას, ცხოვრების მიზანს, ადამიანის ბუნებას და ერთხელვე დასევდიანებული პოეტი ყოველგან და ყველაფერში ამაოებას ხედავდა. ქვეყნიერი ამაოებით გულდახურული პოეტი ცის იქით ეძიებს სადგურს, მაგრამ უსაზღვრო წყურვილებს ადამიანისას, განსაზღვრული გონება ვერ აძლევს ვერავითარ პასუხს და პოეტი სასომიხდილი ჩაილაპარაკებს: ყოველივე ან ამაოება, ან საიდუმლოებით არის მოცული და ჩვენთვის მიუწვდომელი. ყველა ის ფილოსოფიური კითხვები, რომლებსაც პოეტი ეხება თავის პოეზიაში, შეადგენენ ყველა დროისა და ყოველ კულტურულ ხალხის კითხვებს; ყველა ამ კითხვების გადაწყვეტა, სამყაროსა და ბუნების საიდუმლოების ახსნა და შეგნება, ადამიანის დანიშნულების გამორკვევა, სიცოცხლის ობიექტურ მიზნის პოვნა— შეადგენდა და შეადგენს ყოველ კულტურულ ხალხის წყურვილს.

ამიტომ ბარათაშვილი მსოფლიო პოეტია. ეს კითხვები ყოველთვის საინტერესონი იყვნენ და იქნებიან და ამიტომ ბარათაშვილიც უკვდავია და უკვდავი იქნება. თუკი ყოველივე ამაოებაა, რა აზრი აქვს მაშინ ჩვენს მისწრაფებას, მოქმედებას? ეს გორდიის კვანძია, რომელსაც ბარათაშვილი ერთის დაკვრით გადაჭრის: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“, — სწერს ის, ე. ი. დეე, იყოს ცხოვრება ფუჭი და ამაოება, — ჩვენ კაცნი გვქვიან და, სანამ ცოცხალი ვართ, ადამიანურად უნდა ვიცხოვროთო. და მართლაც, რა აზრისა უნდა ვიყოთ ცხოვრების შესახებ, რა ამაოებადაც უნდა მიგვაჩნდეს ის, მაინც

შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ პოეტს იმ აზრში, რომ ადამიანმა ადამიანურად უნდა იცხოვროს. რას ნიშნავს ადამიანურად ცხოვრება პოეტის თვალში? ადამიანურად ცხოვრობს მხოლოდ ის, ვინც სოფელს. ე. ი. საზოგადოებას, ანუ ხალხს ემსახურება. სოფელს უნდა არგო რამეო, აი, რას ითხოვს ბარათაშვილი ადამიანისაგან.

თუ ამას ითხოვდა პოეტი სხვისაგან, მით უმეტეს მოსთხოვდა საზოგადოებისათვის შრომასა და მოქმედებას საკუთარ თავს. და პოეტის პესიმიზმის უმთავრესი მიზეზიც სწორედ აქ არის: ცხოვრება ფრიად მდორე იყო, პოეტის ბუნება კი მეტად ფართო, პოეტის წყურვილი მეტად ძლიერი. პოეტს იდუმალი ხმა დასდევს ყოველგან და მოსვენებას არ აძლევს: „ეძიე ყმაო, შენ ხვედრი შენი, ვინძლო იპოვნო შენი საშვენი". პოეტი დაეძებდა თავის ხვედრს, სასოწარკვეთილი ბევრჯერ წამოიძახებდა ხოლმე: როს მხვდეს ამქვეყნად ჩემი წილობაო! პოეტი გატაცებულია საზოგადო აზრებით. მას სწყურია რთული ცხოვრება, განვითარებული საზოგადოება, გონებრივი და ზნეობრივი კითხვებით დაინტერესებული წრე, — ერთი სიტყვით, მას სწყურია ფართო საზოგადოებრივი ასპარეზი მოქმედებისათვის. „მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ ღღეთ გარსა მოვავლო, საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო; მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედიო". — გვიცხადებს ის. აი, სად მიაქანებს პოეტს ოცნება, აი, როგორია მისი ძლიერი წყურვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. ნაცვლად ამისა, პოეტს გარშემო აკრავს ფუჭი და სამარის კარს მიმდგარი საზოგადოება, საზოგადოება მოკლებული ყოველგვარ იდეასა და პროგრესიულ მოქმედების წყურვილს; წინ უდგას კანცელარიის მაგიდა, ზედ აწყვია „дело", „дело", „дело"... ერთი მიბრძანეთ, სად უნდა ჰპოვოს აქ ბარათაშვილმა თავისი ხვედრი, ან როგორ და რა გზით უნდა ჰპოვოს ის, რის პოვნაც შეუძლებელია? ამიტომაც ამბობს გულდამწვარი პოეტი: „მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაეშანს ვერღა ვიშორებო".

მტკიცე ნაბიჯით, სავსე გულითა და დიადი აზრებით შედგა ფეხი პოეტმა ცხოვრებაში. მისი „წრფელი ზრახვანი" წარმოადგენენ იმ ტაძარს, სადაც ენთო ჩაუქრობელი წმინდა ლამპარი. ცხოვრებამ პოეტის ზრახვანი არ გაამართლა, განქრა ტაძარი; აღფრთოვანებული იმედებისა და გატაცების ნაცვლად პოეტის გულში დაისადგურა სევდამ და წყვდიადმა და უტაძროდ დარჩენილი პოეტი დადის ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი. სევდიანი პოეტი ბუნებას მიმართავს. ბუნება მას გაგიჟებით უყვარს, ბუნება მას ანუგეშებს, ბუნებაში

პოეტი ჰპოებს თვისთ ფიქრთ შვებას, ბუნება ამორებს მის გულს ვა-ებას. პესიმიზმი, გამოწვეული საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ მო-ტივებით, დიდი თაყვანისმცემელია ბუნებისა. თაყვანსა სცემს ბუნე ბას ბარათაშვილიც.

მეორე უმთავრესი მოტივი ბარათაშვილის პოეზიისა არის ზნე-ობრივი სიმტკიცე-სიფაქიზე. ყველგან და ყველაფერში ბარათა-შვილი ზნეობრივ მხარეს, ზნეობრივ საკითხს აყენებს წინ. აიღეთ სიყვარული. აღმოსავლეთის პოეზია უგალობს ხორციელ სიყვა-რულს, ზნეობრივი გრძნობის ალაგას ის აყენებს ხორციელ გრძნო-ბას და ამიტომ უმთავრეს ყურადღებას აქცევს ამ გრძნობის გაღვი-ძება-გაძლიერებას: აქ ალაგი აქვს და ფრიად საპატიო ალაგიც, თვალების, წარბების, ლოყების, ტუჩების აღწერას. ხვევნას, კოცნას, ეშხით აკრეფოლებას და სხვ. სულ სხვაა ბარათაშვილი. მის თვალში თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეს და მხოლოდ კავ-შირი ესრეთთ სულთა, ჰშობს სიყვარულსა; მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესრეთ სანუკველი, რომ მის უტკბილეს არცათუ არის სასუფეველი.... თუ ხანდახან ბარათაშვილსაც გაიტაცებს თვალები და წარბები, — მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გარეგანი სილამაზე სულიერი მშვენიერების გამომხატველია.

ამ კითხვაში ჩვენი პოეზია ბარათაშვილის დროს და მას შემ-დეგაც — ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ეგრეთ წოდებული არის-ტოკრატიული პოეზია — სრული მონაა ან მიმბაძველი აღმოსავ-ლეთის პოეზიისა, რომელსაც სქესობრივი მისწრაფება და სიყვა-რული ერთი და იგივე ჰგონია. მით უფრო მეტის დიდების ღირსია ბარათაშვილი, რომელმაც ჩვენი პოეზია ერთბაშად დააყენა ზნეობ-რივ სიმაღლეზე.

მესამე უმთავრესი თვისება ბარათაშვილის პოეზიისა არის ნაცი-ონალური იდეა. უმთავრეს პირობად ერის კეთილდღეობისათვის ბარათაშვილს მიაჩნია ეროვნული დამოუკიდებლობა. თავისუფლება თავისთავად არავითარ ბედნიერებას არ მოასწავებს ბარათაშვილის თვალში, — თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც მის შინაარსს შეადგენს ერის კულტურული ცხოვრება. ამიტომ, თუ ბარათაშვილი იგლოვს საქართველოს დამოუკიდებლობის მოს-პობას, სამაგიეროდ, ის მეფე ერეკლეს ემადლიერება: „აჰა, აღს-სრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი. ყამთვითარებით გარდახვეწილი შენთ შვილო მიდამო მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო; საუაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ საშვიდობო მოქალა-

ქის მართავს აწ ხელიო". და ბოლოს დასძენს: „აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა და თაყვანსა სცემს შენს საფლავსაო".

აქედან თავისთავად ცხადია, რომ მოქალაქეობრივი ცხოვრების და განათლების განვითარებას ბარათაშვილი გაცილებით მეტ მნიშვნელობას აძლევს ერის კეთილდღეობისთვის, ვიდრე მარტოდენ თავისუფლებას და მაშინ, როდესაც ორივე ერთად — ე. ი. თავისუფლება და კულტურული განვითარება — შეუძლებელია, ბარათაშვილი ამჯობინებს პირველის დათმობას, ვიდრე მეორისას. ასე რომ არ იყოს ერეკლეს საფლავის წინაშე ის არ იტყოდა, შენი აზრის და ქველი ანდერძ-ნამაგის ნაყოფს ვიმკითო. ბარათაშვილის პატრიოტიზმი ითხოვს, რომ ყოველი ერი თავისუფალი იყოს, ხოლო თავისუფლება მას უნდა, როგორც პირობა კულტურული განვითარებისათვის; პოეტი უარყოფს იმგვარ თავისუფლებას, რომელიც ხელს არ უწყობს ერის მოქალაქეობრივ განვითარებას, ე. ი. გონებრივსა და ქონებრივს წარმატებას.

ამ კითხვაშიაც პოეტმა წინ გაუსწრო ჩვენს არისტოკრატიულ მწერლებს. მაშინ, როდესაც ჩვენი არისტოკრატიული პოეზია კლასობრივი გოდებით არის სავსე საქართველოს დამოუკიდებლობის გამო, პოეტიც გულმხიარული არ ეგებება საქართველოს თავისუფლების დაკარგვას, მაგრამ იმავე დროს სულ სხვა თვალით უყურებს და სხვა საზომით ზომავს ამ კითხვას.

დიადი აზრი, დიადი გრძნობა —აი, ბარათაშვილის პოეზია. როგორც უკვე ვთქვით, მისი პოეზიის აზრი და გრძნობანი ძვირფასია ყოველი ადამიანისათვის, ამაშია ძალა ბარათაშვილის ნიჭისა, ამით არის ის უკვდავი, ამით არის ის მსოფლიო პოეტი. მისი ტკბილხმოვანი, მოკლედ მოჭრილი, ზოგჯერ ნაზი და მოალერსე, ზოგჯერ კი მკვიდრი და ენერგიული ლექსი, გარეგანი ფორმით ზედშეწყობილი არის პოეზიის დედააზრთან და ეს გარემოება უფრო აძლიერებს და აღრმავებს ბარათაშვილის პოეზიის შთაბეჭდილებას.

როდის გამოვიდა ბარათაშვილი სამწერლო ასპარეზზე? მაშინ. როცა ჩვენს პოეტებს ოლიმპად ქართული სუფრა წარმოედგინათ და პოეზიის საგნად ქალის სალამაზე და ღვინო. ამ უაზრობისა და უიდეალობის დროს ბარათაშვილი ცალკე გადგა, მან სრულებით განკერძოებული ალაგი დაიკავა, აღმოსავლეთის და თანამედროვე ქართული პოეზიის გავლენას სრულებით ასცდა და ჩვენი პოეზია განაახლა როგორც ცხოვრებაში, ისე პოეზიაშიც, ბარათაშვილი ობოლი იყო. მან შეჰქმნა ჩვენს მწერლობაში სრულიად ახალი მიმართულება. უარჰყო პოეზიის ძველი მოტივები და პოეზიას დაუკავშირა

ცხოვრება: პოეზიის საგნად აირჩია საზოგადოებრივი და საკაცობრიო მსოფლიო კითხვები. ბარათაშვილით თავდება ჩვენს პოეზიაში აზიური ხანა და იწყება ევროპული. აქაც ბარათაშვილი დიდხანს დარჩა ობლად. აზიური გაელენა იმდენად ძლიერი იყო, რომ არისტოკრატიულმა პოეზიამ ჩვენს დრომდე შეირჩინა თავისი ელფერი. ეს გარემოება, ერთი მხრით, ცხადად ამტკიცებს პოეტის დიდ ნიჭსა და, მეორე მხრით, კიდევ უფრო აძლიერებს ბარათაშვილის მნიშვნელობას ჩვენს პოეზიაში: ის მარტო თავის აზრებითა და გრძნობებით კი არ არის დიდი, ის დიდია აგრეთვე, როგორც განმაახლებელი ქართულ პოეზიისა.

საერთოდ, ბარათაშვილი დიდ საუნჯეს შეადგენს ჩვენი პოეზიისათვის, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებამ ვერ იცნო იგი... არავინ იცის, რა გამოვა რისგანო, გაუბედავად სწერდა პოეტი თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, როცა თავის ლექსებს უგზავნიდა, მაგრამ საზოგადოება ბრბო იყო. უბედური იყო პოეტი, ამგვარ საზოგადოებაში რომ დაიბადა და ბედნიერი მით იყო, რომ მალე მოკვდა. ნართლა რომ არსებობდეს ყოველი ერის მფარველი ანგელოზი, ქართველ ხალხს უფლება ჰქონდა, მიემართა მისთვის საყვედურით: უმადური ხარო! ბარათაშვილს ჩვენს დროში უნდა ეცხოვრა, ჩვენი დროა და ჩვენი დღევანდელი ცხოვრება მისი შესაფერი და ის კიდევ ჩვენი დროის შესაფერი.

1905 წ.

ილია ჭავჭავაძის პოეზიის ერთი მხარე

რა არის პოეზია? ფიქრის, გრძნობისა და აზრის მწყობრად შედუღება და მშვენიერების სახით მათი გამოხატვა. ამ საზომით თუ მივუდგებით ილ. ჭავჭავაძის პოეზიას, დავრწმუნდებით, რომ ილ. ჭავჭავაძე უდიდესი პოეტია საკაცობრიო აზრებით, საკაცობრიო გრძნობისა და იდეალებით გამსჭვალული.

მისი პოეზია დაუშრეტელი წყაროა ღრმა აზრისა, ღრმა გრძნობისა და დიადი მისწრაფებისა... ი. ჭავჭავაძე დიდებული პოეტი იყო და დიდებულ პოეტადვე დარჩება მარად, როგორც პოეტი, ილ. ჭავჭავაძე უკვდავია.

„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, — ქვეყნისა არის, ჯერ ქვეყანა“-ო, სწერს ილია ერთ ალაგას და ეს აზრი მას იმთავითვე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ ხანებში ილ. ჭავჭავაძე მცირეოდენად ბაძავს ძველ მწერლებს. სევდა, უკმაყოფილება და ღრმა სიყვარული მამულისა, — აი, რასა ვხედავთ პოეტის პირველ ლექსებში. პოეტი თუმცა ამაყობს ჩვენი წარსულით, მაგრამ იდეალს ეძიებს მომავალში და არა წარსულში; პოეტი უკან კი არ იხედება, ის წინ მიისწრაფვის.

> მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
> რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
> მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
> ჩვენ უნდა ვსდგოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
> ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
> ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ახალგაზრდა პოეტის ძლიერი სურვილია — წინ წარუძღვეს თავის ერს, მასთან იყოს ჭმუნვასა და სიხარულში, მისი წყლული საკუთარ წყლულად მიიჩნიოს, მისი ტანჯვით სული დაეტანჯოს და შესძლოს მოსწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლი.

დიადი საკაცობრიო გრძნობები, ბედისაგან დაჩაგრულთა სიყვარული, მათი ტვირთის შემსუბუქებისათვის ზრუნვა და მათი ცხოვ-

რების გაუმჯობესების წყურვილი, — აი, რა ახასიათებს პირველი სტრიქონიდანვე ილ. ჭავჭავაძის პოეზიას. ერის დაჩაგრულ ნაწილს ჩვენს პოეზიაში არა ჰყოლია უკეთესი ჭირისუფალი; ერის დაჩაგრული ნაწილისადმი ჩვენს პოეზიაში ილიაზე ღრმად, ილიაზე მძლავრად არავის გამოუთქვამს თავისი თანაგრძნობა და სიყვარული.

ყაცი — გიყვარდეს! —
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს.
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა...

და მართლაც, პოეტის ნაწერებში უხვად არის გაბნეული სიყვარული დაჩაგრულთადმი და ღრმა რწმენა, რომ მომავალი მათია.

იმ დროს, როცა ახალგაზრდა პოეტი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ყველაზე უფრო დაჩაგრული ჩვენში ყმა იყო, ერის უპირველეს წყლულს ბატონყმობა წარმოადგენდა; ერის ტანჯვის სათავე ბატონყმობიდან იწყებოდა და პოეტმაც ძლიერი იერიში მიიტანა ბატონყმობაზე. „მესმის, მესმის“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი?!“ სრული უარყოფა და გმობაა ბატონყმობისა. პოეტს ბატონყმობა მიაჩნია უსამართლოდ, მონობად და მისი ბორკილის მტვრევის ხმა მისთვის სანატრელი ხმაა.

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

პოეტი მტერია ყოველგვარი უსამართლობისა და ძალმომრეობის, ის შენატრის ძმობას, ერთობას, სიყვარულსა და თავისუფლებას, კაკო ყაჩაღის პიროვნება მთელ პროპაგანდას წარმოადგენს ბატონყმობის წინააღმდეგ, — პროპაგანდას სასტიკს, ძლიერს, შეუბრალებელს, უკომპრომისოს. ახალგაზრდა პოეტის სული და გული ყმისაკენ არის მხოლოდ. პოეტის „უძლიერესი ნდობა — ოცნებად გადაქცეული“ ბატონყმობის დამხობა და შრომის განთავისუფლება.

პოეტი მტერია მარტო ბატონყმობისა კი არა, წოდებრივი წყობილებისაც, მისი იდეალია ისეთი ცხოვრება, საცა არავითარი წოდებები არ არსებობენ, არამედ ყველა ტოლი და თანასწორია. პოეტი დარწმუნებულია, რომ წოდებრივი წყობილება საზოგადოებრივი ცხოვრების სამარადისო, გარდუვალი სახე კი არ არის, არამედ ერთ-ერთი საფეხურია ისტორიული განვითარებისა და ადრე თუ გვიან უნდა მოისპოს. პოეტის შეხედულებით, მომავალი წყობილება და საზოგადოებრივი ურთიერთობა ერთიანად შრომაზე იქნება დამყა-

რებული და ამიტომ, ღრმად დარწმუნებული ამხნევებს შრომის შვილს: მყოობადი მარტო შენიაო.

ასეთ მყოობადში, პოეტის წარმოდგენით, არც უფროსი იქნება, არც უმცროსი, არც ბატონი, არც მონა. არამედ გამეფდება სრული თანასწორობა. კეთილდღეობა და ბედნიერება. ასეთ ხანას სრული თანასწორობისა და თავისუფლებისას პოეტი უწოდებს „შრომის სუფევას". პოეტის შეხედულებით, სამართლიანობა და სიმართლე, კაცთმოყვარეობა და სათნოება მხოლოდ მაშინ აღარ ივლიან ეკლის გვირგვინით. როდესაც საზოგადოებაში ყოველისფერი შრომაზე იქნება დამყარებული.

პოეტმა პირველი ნაბიჯითვე გვამცნო, რომ მთელი მისი სიყვარული და თანაგრძნობა, მთელი მისი სული და გული, მთელი მისი არსება შრომის შვილებისაკენ იყო. მას გულწრფელად და მძლავრად უყვარდა ეს შრომის შვილები და სწამდა კიდეც, რომ მომავალი მათ ეკუთვნოდა. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ის, ვისაც ისე ესმოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, როგორც ილია ჭავჭავაძეს.

გადაიკითხეთ პოეტის „მგზავრის წერილები" და ჰკითხეთ თქვენს თავს თუ რად უყვარს პოეტს მყინვარზე უფრო თერგი. იმიტომ, რომ მყინვარი განზე გამდგარა, მიუკარებელია, თერგი კი მუდამ მოძრავია, მუდამ იბრძვის და აგონებს ავტორს ადამიანის ცხოვრებას. პოეტის შეხედულებით, ცხოვრებაც იგივე ბრძოლაა. პოეტს სწამს, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი". ვინ არის ეს მოძრავი ელემენტი საზოგადოებაში? იქნება გაბატონებული ნაწილი? აი, რას სწერდა პოეტი ამ ნაწილის შესახებ:

> რად შეებრძვის ის ბოროტებასა,
> როს მეოხებით მისით თვით რჩება?

მაშინ, ვინ იბრძვის, პოეტის აზრით, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის? „ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არ დაწყებულა", — წერს პოეტი მგზავრის წერილებში. ეს სიტყვები ფილოსოფიაა ისტორიული განვითარებისა. პოეტის მთელი სიმპათია იყო ეგრეთწოდებული დაბალი ანუ მშრომელი ხალხისაკენ, შრომის შვილისაკენ, ერთი მხრით, იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი დაჩაგრულია და პოეტი კი ყველა დაჩაგრულის მოსარჩლეა, — მეორე მხრით, იმიტომ, რომ პოეტის შეხედულებით, წინმსვლელობის გზაზე ცხოვრება მხოლოდ მშრომელ ხალხს მიჰყავს, მხოლოდ ძირიდამ შენდება ცხოვრება და არა მაღლიდამ.

პოეტის მისწრაფებანი. პოეტის იდეალები, მისი მსოფლიო შეხედულება უკიდურესად დემოკრატიული იყო და მაშინ, როდესაც ჩვენში ბატონყმობა პარპაშობდა; პოეტმა მაღლა ააფრიალა დემოკრატული დროშა და მედგრად შესძახა: ძირს ბატონყმობა, ძირს მონობა, გაუმარჯოს თავისუფლებასო. მაშინ, როდესაც წოდებრივი წყობილება მტკიცედ იყო დაცული, პოეტმა გამოაცხადა: წოდებრივი წყობილება უნდა მოისპოს და უნდა მოვიდეს „შრომის სუფევაო". პოეტი უარყოფს ბრწყინვალე წოდებას და მიმართავს შრომის შვილთ: იბრძოლეთ, მომავალი თქვენია, თქვენის კეთილდღეობის ქვაკუთხედის აშენება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათო.

გადაიკითხეთ „კაკო ყაჩაღი" და „კაცია ადამიანი?!",.. მოიგონეთ პოეტის გესლიანი სიტყვები: თავადიშვილი კარგი არ არის, ავარა იყოსო, და მაშინ დარწმუნდებით, რომ ჩვენს მწერლობაში არავის არ მიუტანია ისეთი იერიში ბრწყინვალე წოდებაზე, როგორც ილ. ჭავჭავაძემ მიიტანა თავის პოეტურ ნაწერებში. პოეტის ძლიერება გამოიხატება ზომიერებაში, ღრმა გრძნობაში, დიად აზრებში და ფსიქოლოგიურ ანალიზში. მისი ყოველი თხზულება საუცხოო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სიტყვაკაზმული ნაწარმოები. ამდენად შემუშავებულ ნიმუშებს ქართულ ენაზე ძალიან ცოტას ნახავთ. ილ. ჭავჭავაძის პოეზიაში ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის: არც გამოკლება შეიძლება, არც ჩამატება. ავტორს საუცხოოდ ეხერხება იმის გამოხატვა, რასაცა ხედავს, გრძნობს და ფიქრობს, ამიტომ ყოველი მისი აზრი გულის სიღრმეში სწვდება მკითხველს.

სამწერლო ასპარეზზე პოეტი გამოვიდა მესამოცე წლებში, როცა ჩვენს ცხოვრებაში მონობისა და ღრმა ძილის მეტი არაფერი არსებობდა. გულწრფელი სურვილებითა და მისწრაფებით გატაცებული, ღრმა გრძნობით, დიადი აზრებითა და ჭეშმარიტი მსოფლიო შეხედულებით აღჭურვილი პოეტი შეუდგა ცხოვრების გამოღვიძებასა და გარდაქმნას. მას არ დაუტოვებია ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი ცუდი მხარე, რომელიც არ გაეკიცხოს შეუბრალებელის სატირით და სასტიკის იუმორით. სამაგიეროდ რაც იყო კარგი და დროის შესაფერისი, იქითკენ მიაქანებდა პოეტი ცხოვრებას მთელი თავისი ძალღონით. სდევნიდა ყოველგვარ ბოროტებას, თესდა სიკეთეს, სამართლიანობას, კაცთმოყვარეობას და სათნოებას. გულწრფელი, თავგამოდებული, შეგნებული მოსარჩლე იყო „ბედისაგან დაჩაგრულთა" და მტკიცედ იცავდა მათს ინტერესებს. მიუხედავად წარსულის ღრმა სიყვარულისა, პოეტი არ მისტიროდა მას, „რაც დამარხულა"; მისი იდეალი მომავალში იყო და ამწყოს გაუმჯობესებით ის ხალხის ამ მომავლის აშენებაში მხურვალედ მონაწილეობდა.

ილ. ჭავჭავაძე საუკეთესო მებრძოლი იყო უკეთესი ძმამავლისათვის, ის თავგამოდებული ქომაგი იყო ბედისაგან დაჩაგრულისა, ის იყო მშრომელი ხალხის უდიდესი პოეტი-ფილოსოფოსი და ქართული ხელოვნების პირველხარისხოვანი ვარსკვლავი.

1908 წ.

სალიტერატურო შენიშვნები

I

ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია. —

ტკბილად გვიგალობს აკაკი.

წამერთო ყველა, და ნუგეშად დღეს
მარტოღა ცრემლნი მე დამშთენიეს. —

ბანს აძლევს აკაკის ილია.

ოჰ, რად არ ძალმიძს, მთლად ცრემლად ვიქცე,
გავხდე მდინარე აღქაფებული! —

კვნესის დუტუ მეგრელი.

ერთით ვნუგეშობ, ეროითა:
მივენდე ცრემლის დენასა;
ესაა ჩემი ნუგეში:
ტირილში ვპოვებ შვებასა.
ცრემლებო, თქვენი შვილი ვარ,
თქვენა ხართ ჩემი ფონია;
იდინეთ უხვად, ვიდრემდე
შემწევს ტირილის ღონია!
თქვენა ხართ ჩემი ნუგეში,
სხვა მე ვერ მომიგონია. —

გოდებს ვაჟა-ფშაველას ფანდური. ცრემლი, ცრემლი და ისევ ცრემლი! აი, რა გაისმის ჩვენს პოეზიაში.

ცრემლი სდის ბარათაშვილს, მაგრამ ის ამაყია — თავის ცრემლს თვითონვე ჰყლაპავს და სხვას არ უჩვენებს, მტირალ სახეს სხვას არ დაანახვებს. ცრემლებს ვერ მალავს ილია, აკაკი, დუტუ მეგრელი. ვაჟა-ფშაველა.

თუ წინათ ეს ცრემლები იშვიათად გაისმოდა ჩვენს პოეზიაში, დღეს ცრემლები ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის უმთავრესი თვისებაა.

აიღეთ ჩვენი ახალგაზრდა პოეტები: რუხაძე, ევდოშვილი, ზომლეთელი, იასამანი, თურდოსპირელი, მალაქიაშვილი, ქუჩიშვილი, ლეჩხუმელი, ტუქსიშვილი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი, მჭედლიშვილი და სხვ. თუმცა უმეტეს მათგანს ჯერ თავისი ხვედრიც ვერ უპოვნია, მაგრამ ცოტათ თუ ბევრად მათი პოეზიაც ცრემლებით არ არის განა შეზავებული?

ჩვენი პოეზიის ასპარეზზე ვაჟა-ფშაველა ხმალამოღებული გადმოხტა — უშიშარი, შეუპოვარი, საბრძოლველად გამზადებული მთის შვილი.

ველი — სადა და როდისა
თქრიალს მოიღებს ჯარიო,
რომ მეც მოვახტე შავრასა,
პირს დავისახო ჯვარიო.

დღეს კი ერთადერთს ნუგეშს ისიც ცრემლში ჰპოვებს და ცრემლს მიმართავს:

იდინეთ უხვად, ვიდრემდე
შემწევს ტირილის ღონია!

ტირილის დედა სევდაა. ჩვენი პოეზიის ცრემლებიც სწორედ ამ სევდის ნაყოფია.

ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა,
როგორაც არწივს გნოლია.

მთელი ჩვენი პოეზია, ბარათაშვილიდან მოყოლებული დღემდე, ბრჭყალით უპყრია სევდასა.

განა ბაირონი კი არ იყო სევდით შეპყრობილი?

მაგრამ ბაირონის სევდა ცრემლად არ დამდნარა, არამედ ის იქცა ბრძოლის წყურვილად, ბრძოლის ცეცხლად და პოეტი აანთო, აამხედრა, გაასალკლდევა და ისეთი ძალა აგრძნობინა, რომ ბაირონმა თვით ღმერთს გამოუცხადა ომი.

ჩვენი პოეტების ხვედრი კი სულ სხვა არის. აიღეთ ბარათაშვილი, — ეს ძლიერი სული, დიადი გრძნობა. სევდით სავსე, ის ცის იქით ეძიებს სადგურს, რომ დაშთოს აქ ამაოება; ის ოცნების მერანს ჰკაზმავს, რომ ნიავს მისცეს ფიქრნი თვისნი, შავად მღელვარნი, ბრძოლით კი არავის არ ებრძვის.

სევდით შეპყრობილი ბაირონი ბრძოლაში ეძებს შვებას და თვით ღმერთთანაც რომ დასჭირდეს შერკინება, ის არ შედრკება, უკან არ დაიხევს. ამაზე მეტი სიმამაცე, ამაზე მეტი გრძნობა თავისი ძლიერებისა, შეუძლებელია.

ჩვენი პოეტები კი, სევდით შეპყრობილნი, ცრემლში ჰპოვებენ შვებას.

ბრძოლა მას შეუძლია, ვისაც ხელ-ფეხი თავისუფალი აქვს, ვინც თავისუფლებას ჰგრძნობს მთელი თავისი არსებით, ვინც თავისუფლებით სუნთქავს, თავისუფლებას ჰყნოსავს.

ხელ-ფეხშებორკილს, რომელიც თავისუფლებას არა გრძნობს, რომელიც თავისუფლებით არა სუნთქავს, — ამასაც კი შეუძლია ბრძოლა, მხოლოდ ერთის პირობით: იმის ბრძოლას უნდა აცისკროვნებდეს სხვისი გამარჯვებისა, მის ბრძოლას წინ უნდა მიუძღოდეს იმედი გამარჯვებისა. როცა ხელფეხშებორკილია და იმედიც არსად არის, რადგანაც საიმედო გარეშემო არაფერია, როცა ადამიანი სრულ თავის უძლურებას გრძნობს და ხედავს, მას ცრემლის მეტი აღარა დარჩენია რა, თუ ის პოეტია; ხოლო თუ ის ფილოსოფოსია, მისტიციზმს მიმართავს, ბუნების ცხოვრების გარეშე რწმენის სამეფოში მონახავს ის სულის მოსასვენებელ სადგურს.

ბაირონი თავისუფალი ბრიტანეთის შვილი იყო. ის ხედავდა, ის გრძნობდა თავისუფლებას, ის სუნთქავდა თავისუფლებით. ამიტომ სევდა მასში მხოლოდ ბრძოლის წყურვილს აძლიერებდა.

ჩვენ კი... ჩვენ ბედმა გვარგუნა სულ სხვა ცხოვრება, სულ სხვა ხვედრი. ცხოვრების პირობები ჩვენ მძიმე ლოდივით გვაწევს, სულს გვიხუთავს, გულს გვიწამლავს; გამოსავალი გზა არსად არის, არც არავითარი იმედია გამოსვლისა: ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს მონდომებას, ჩვენს უძლურებას და ცრემლების მეტი აღარა დაგვრჩენია რა:

უბედო ბედმა გამრიყა,
მიმაკლა ლოდსა კლდისასა;
ვერც არა თავსა ვუშველე,
ვერც გაჭირვებას ძმისასა.
დამეხშე, სმენავ, დამეხშე,
ნუღარც რამ გამიგონია!
ცრემლებო, თქვენი შვილი ვარ,
თქვენა ხართ ჩემი ფონია,
იდინეთ უხვად, ვიდრემდე
შემწევს ტირილის ღონია!

უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი პოეტი ბრძოლის სიმღერით გამოდის სამწერლო ასპარეზზე. გაივლის დრო და ბრძოლის სიმღერა ოხვრად გადაიქცევა. სული სასოწარკვეთილებას ეძლევა, გული ტყდება, სიმები წყდებიან, იმედი ქრება, გრძნობა ძალისა ალაგს უთმობს საშინელს გრძნობას უძლურებისას, ცრემლებიღა რჩება, მხოლოდ ცრემლები.

ამგვარია სინამდვილე ჩვენში, იმიტომ, რომ ამგვარივეა სინამდვილე, საერთოდ, მთელს რუსეთში...

პოეტი იმით განირჩევა არა პოეტისაგან, რომ ის უფრო ჰხედავს და უფრო გრძნობს. თუ სინამდვილე მწარეა, გრძნობაც მწარეა. ამიტომ პოეტი სხვაზე უფრო იტანჯება, როცა სინამდვილე მტანჯველია...

II

ბერძენთა მითოლოგიაში ერთი საუკეთესო გადმოცემაა. ახალგაზრდა იკაროსმა ფრთა შეისხა და აფრინდა მაღლა, ჰაერში. ის გაიტაცა ოცნებამ შორს, შორს, მოჰხიბლა მშვენიერებამ და მიუახლოვდა მზეს, რომ ახლოს ეხილა ეს წყარო სითბოსი და სინათლისა, მომნიჭებელი სიცოცხლის და ნეტარებისა.

იკაროსმა მოინდომა სინათლის ცნობა, ჭეშმარიტების პოვნა, სიცოცხლის საიდუმლოების ამოკითხვა, მაგრამ მზემ ფრთები გაუდნო და იკაროსი დედამიწას დააკვდა.

განა ყველა ქართველი პოეტი იკაროსი არ არის? ყველა ქართველი პოეტი იკაროსის ბედს გაბიცდის, მხოლოდ ერთის დიდის განსხვავებით. იკაროსს უნდოდა მზეს ჩაჰკვროდა გულში და გატაცებამ სრულებით დაავიწყა, რომ მისი ფრთები მზის სიცხოველეს ვერ გაუძლებდა.

ქართველი პოეტიც მზისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მარტოკა კი არა. მას თან მიაქვს სინათლისაკენ, სითბოსაკენ, სიცოცხლისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ თავისი მრავალტანჯული სამშობლოს შავი ბედი. ხოლო ნათელი სხივების სიცხოველით ფრთებდამწვარი კი არ ვარდება ძირს, არამედ ბნელეთისა და წყვდიადის სისქეს ვერ აპობს და ნათელი სხივი სამუდამოდ ეკარგება თვალთაგან.

ვაჟა-ფშაველა თავის პირველ ნაწერებში იგივე იკაროსია. მხნე, მამაცი, შეუპოვარი, სახეგაბრწყინებული ის მიისწრაფვის სინათლისაკენ, სიმართლისაკენ.

ის შეუპოვარია, ქედმოუხრელი.

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში — მთა, ბარად — ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას— ვარსკვლავების ჯარია,
დილით — მზე მანათობელი,
ღამით — გუშაგი მთვარია.

წარსულთა გმირთა ნამოქმედარით და მაგალითით გამხნევებული, ის მომავალში ეძებს საგმირო საქმეებს.

ვაჟა-ფშაველა დიდი ნიჭია, დიდი ხელოვანი. მის ოცნებას საზ-

ღვარი არა აქვს, ის სივრცით არ გაიზომება, დროში არ გამოიხატება. მაგრამ მისი პოეტური აღმაფრენა მაინც ფრთაშეკვეცილია; ბუნებას მისთვის ყოველისფერი უხვად მიუცია, რომ თავისი ნიჭი მსოფლიო კითხვების რკვევაში ავარჯიშოს; მიუხედავად ამისა, პოეტი თავის სალ კლდეებს „ზავთით მზარავთა და კაცის ფეხდაუკარებთა“ შეჰხორცებია მთელის თავისი არსებით და მისი ოცნება, მისი ფიქრი, მისი გრძნობა, მთელი მისი აზროვნება. მთელი მისი ნება, მთელი მისი სურვილი ამ კლდეებს დასტრიალებს გარშემო.

რატომ? რა არის მიზეზი?

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! —
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

აი, რატომ. აი, რა არის მიზეზი.

თუ რომ პოეტი, მძინარე, სამშობლოზე ფიქრობს, ცხადია, ფხიზელის მთელი მოფიქრება მხოლოდ სამშობლოს გარშემო დაიწყებს ტრიალს.

მსოფლიო კითხვებისათვის რანაირად მოიცლის პოეტი, რა დიდი ნიჭის პატრონიც უნდა იყოს ის, როცა სამშობლოს კითხვას შეზოჭილი ჰყავს მთელი მისი არსება, მთელი მისი გრძნობა, მთელი მისი მოფიქრება!

ვერც ერთი ქართველი, რომელიც კი თავით ფიქრობს და გულით გრძნობს, სამშობლოს კითხვას გვერდს ვერ აუქცევს.

ბედმა ყოველისფერი მოგვცა, რომ ჩვენი ცხოვრება დიდებული იყოს და ჩვენი ხალხი ბედნიერი, მაგრამ მათმა სიბეცემ და შორსმჭვრეტელობის უქონლობამ, ვინც ისტორიამ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების სათავეში წამოასკუპა, ხელიდან გამოაცალა ის, ურომლისოდაც შეუძლებელია დიდებული ცხოვრებაც და ბედნიერებაც. ეს არის ეროვნული თავისუფლება.

ფართო, განვითარებული პოლიტიკური ცხოვრება შეუძლებელია იქ, საცა ეროვნული დამოუკიდებლობა არ არსებობს. ლიტერატურის განვითარება კი — როგორც, საერთოდ, კულტურული ცხოვრების ყოველი დარგის განვითარება — შეუძლებელია იქ, საცა თვით ცხოვრება არ არის რთული და განვითარებული...

არავინ არ იცის, რად იბადება პეტრე პეტრედ, ივანე ივანედ და სხვა; ხოლო ის კი ცნობილია, რომ პეტრეს, ივანეს და სხვათა გრძნობა, აზროვნება შეკავშირებულია ცხოვრების გარეშე პირობებთან, გარემოებასთან და ღარიბ ცხოვრებაში ისახება ღარიბი გრძნობა. იბადება ღარიბი ფიქრი, რთული, მდიდარი ცხოვრების პირობებში კი რთული და მდიდარი გრძნობა-ფიქრები.

ბუნებამ მდიდარი გრძნობითა და ფიქრებით რომ დააჯილდო-

ვოს ვინმე, ცხოვრების ღარიბ პირობებში ის ვერ გამო

მაგრამ ამგვარი ნუგეში რომ სრული უნუგეშობის მოძასწავებელია, თვითონ პოეტივე გვიმტკიცებს, როდესაც ის „თვალთაგან ცრემლმოთოვიარე“ გაჰყურებს განვლილ ცხოვრებას.

სევდა, სევდა და სევდა! აი რით არია სავსე პოეტის უკანასკნელი ნუგეში. მაშინაც კი, როდესაც პოეტი სევდას ივიწყებს და უნდა სამხიარულო რამ დაამღეროს, თითები აღარ ემორჩილება, გული სხვას ამბობს:

ხელში ავიღებ ჩანგურსა,
მინდა დავმღერო ლაღადა, —
თითები აღარ მომყვება —
გული არ არის საღადა.
გადაქცეულა ნაოხარ,
გაბეჩხერებულ ბაღადა.

პოეტს უნდა, დედამიწა დაივიწყოს მისი ჭირ-ვარამით, მისი ტანჯვით, მისი ცოდვებით, მისი ცრემლებით; მას უნდა ოცნებით ცის სივრცეში გაფრინდეს, რადგანაც მას უყვარს ციური აზრი, ღვთიური გრძნობა, ფიქრი, მაგრამ „ფრთებს მიკვეცს, აღმაფრენასა, ამბავი ყოველდღიური“.

ტრაგიზმი პოეტისა იმაში მდგომარეობს, რომ მას უნდა მოსწყდეს ცხოვრებას, დაივიწყოს ის და ციურ ფიქრს, ციურ გრძნობას გაჰყვეს, მაგრამ ცხოვრება მას არ უშვებს, ბრჭყალებში ჰყავს ჩაჭედილი და ეუბნება: ჩემის ტანჯვით დაიტანჯე, ჩემის სევდით დასევდიანდი, ჩემის უბედურებით გაუბედურდი, ჩემთან ერთად იტირე და შენს აღმაფრენას ფრთები შეჰკვეცეო.

პოეტიც სევდით დატანჯული ნაღვლის ზღვაში დასცურავს და თუმცა წინ ცრემლი გუბედ უდგას, მაინც ტირის. ტირილიც არას შველის, მაგრამ ტირილის მეტი აღარაფერი დარჩენია, რადგანაც იმედი მთლად დაკარგული აქვს.

როდესაც პოეტი ივიწყებს ყოველდღიურ ცხოვრებას, მისი ოცნება, ფრთებგაშლილი, ცაში დანავარდობს, ვარსკვლავებს ეთამაშება, მთვარეს ეალერსება, რომ ზეციური ჰანგები შეჰკრიბოს, მაშინ პოეტის ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა, განხორციელებული მშვენიერებაა, ნამდვილი შედევრია, უკვდავი მარგალიტია.

მაგრამ სადაც უნდა გასტყორცნოს პოეტი ოცნებამ, დედამიწის ვოდება მაინც ყველგან სწვდება იმის სმენას, იმის გულს.

საწყალი საწყლადვე რჩება,
ისევ სდის ცრემლის ღვარია,
მგლები, აფთრები მრავლდება,
ხარობს იმათი გვარია.

და პოეტის ოცნება ისევ ძირს ეშვება; პოეტის გული ისევ სევდით ივსება, მისი ფანდური ისევ ბედგანამწარი იწყებს გოდებას:

მტრისამც გულია ასეთი
როგორიც გული ჩემია:
უნდა დავლიო სიმწარით
ჩემი სიცოცხლის დღენია.

პოეტი რწმუნდება, რომ მის ჩონგურს, ჩონგურს, რომელიც ციურ ჰანგებს დამღერდა, სიმები დააწყდა. „დამიწყდა ჩონგურის სიმები, აღარ აესხმის, აღარა".

გული დადუმდა, გონება დაჩლუნგდა და ერთადერთ ნუგეშს პოეტი ცრემლშიღა ჰპოულობს, კაეშანს იმსუბუქებს „ცხელის ცრემლისა დენითა".

რა არის ან სად არის მიზეზი პოეტის სულიერი ტანჯვისა?

ვაჟა-ფშაველას სევდას სამი სათავე აქვს: ეროვნული, სოციალური და ფილოსოფიური.

პოეტს უყვარს თავისი ბედშავი სამშობლო და, რადგანაც ის უბედურია, ხელ-ფეხშებორკილი, მონადქცეული, თავისუფლების მოტრფიალე. პოეტის გული სევდით, ნაღველითა და ბოღმით არის სავსე. ეს სევდა, ეს სასოწარკვეთილება პოეტისა მით უფრო უსაზღვროა, რომ პოეტს აღარავითარი იმედი არა აქვს თავისი სანატრელი მამულის მკვდრეთით აღდგომისა, ამიტომ პოეტის გული სევდით ივსება და ცრემლში ეძებს ნუგეშს.

პოეტი უკვირდება ცხოვრებას და ყოველგან უსამართლობასა და ძალმომრეობას ჰხედავს; საწყალს ცრემლის ღვარი სდის, მგლები, აფთრები მრავლდება, ხარობს იმათი გვარია.

პოეტი ნატრობს რომ, —

სიმართლის გამარჯვებისა
მთაზე არწივი ყიოდეს.
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდნენ.

მაგრამ ამავე დროს დარწმუნებულია, რომ მისი ნატვრა ნატვრადვე რჩება და ვინ იცის, როდემდის.

ამიტომ სევდა სევდას ემატება და პოეტი ცრემლებშიღა ეძებს შვებას. ვაჟა-ფშაველა თავისი მსოფლიო შეხედულებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავია.

ნ. ბარათაშვილის თვალში აწმყო მხოლოდ ფუჭი და ამაოებაა, წარსულთა დროთა მოგონება კი იმის სულს აფიქრებს.

ვაჟა-ფშაველასათვის აწმყოში არაფერი არაა და წარსულზე ფიქრი მას სულს უწუხებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის მსოფლიო შეხედულებით მსოფლიო სევდის მატარებელია, ცხოვრება, ადამიანის არსებობა მას არ აკმაყოფილებს, მას აფიქრებს და თან აღონებს სიცოცხლის მიზანი. საიდუმლოება სიკვდილისა, ამაოება და წარმავლობა ყოველივე არსისა, თვით საწუთროსიც.

ამგვარივე კითხვები აღონებს, აფიქრებს ვაჟა-ფშაველასაც. ნიკოლოზ ბარათაშვილი ხედავდა, რომ ყოველივე წარმავალია, მაგრამ მისი გულისთქმა ცის იქით ეძიებდა სადგურს, ზენაართ სამყოფს; მას სწამდა, რომ არსებობდა სამარადისო, უკვდავი, წარუვალი ანუ აბსოლუტი და ის ეძებდა ამ სამარადისოს, ამ აბსოლუტს, მაგრამ ვერ ჰპოვებდა და ეს კიდევ უფრო აათკეცებდა იმის სევდას.

ვაჟა-ფშაველაც ხედავს, რომ ყოველივე წარმავალია. ყოველივეს დასასრული აქვს:

> განგების სათამაშოდა,
> გასართობად ვართ გამხდრები;
> ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ
> და თუნდა მინდვრის თაგვები,
> გავერანდება ერთხელაც
> ტურფად შემკული ბაღები,
> ჩამოინგრევა დარბაზი
> და სასახლისა თაღები.

ბარათაშვილსა და ვაჟა-ფშაველას შორის ერთი დიდი განსხვავებაა, ბარათაშვილი — მშვიდი, წყნარი სევდაა. ვაჟა-ფშაველა კი სევდით შეპყრობილი მიჯაჭვული ამირანია, რომელიც თავის ხმალს ვერ მისწვდომია.

მიეცით ბარათაშვილს ამირანის ხმალი, ის ხელს არ მოჰკიდებს, რადგანაც ის არავის არაფერში არ ამტყუნებს და არავის ებრძვის, ის სევდიანი ფილოსოფოსია.

მიეცით ვაჟა-ფშაველას ამირანის ხმალი, ის მაშინვე გაკვეთავს თავის შემბორკველ ჯაჭვებს და თავქვე საომრად დაეშვება.

III

როდესაც ჭაბუკის გულში სიყვარულის გრძნობა აღიძვრის ნათლად, მკაფიოდ ან ბუნებრივად, ეს გრძნობა სტიქიურად მოითხოვს თავის გამოსახვას, გამოაშკარავებას, განსახოვნებას პოეზიაში, თუ სიყვარულით შეპყრობილი ერთხელ მაინც არა სცდის თავისი გრძნობა პოეზიაში ჩამოასხას, მას ან არ განუცდია ღრმა, მწვავე, ძლიერი გრძნობა სიყვარულისა, ან იმ წლოვანებაშია, როცა მშრალი გონება ყოველ გრძნობას იმორჩილებს და მას თავის სილამაზეს, გიჟურ გატაცებას და სიძლიერეს აცლის.

პოეზია ნაყოფია სიყვარულისა. იქ, საცა სიყვარული არ არის, პოეზიაც არ არის. ხოლო იქ, საცა სიყვარულია, პოეზია ყოველთვის არის.

პოეტი შეყვარებული ადამიანია. ყოველი თავისი შემოქმედების დროს ის უსათუოდ განიცდის ამ გრძნობის სიცხოველეს

რაც უფრო ძლიერია პოეტი, მით უფრო ძლიერია და ცხოველი მისი სიყვარული, და რაც უფრო ძლიერია მისი სიყვარული, მით უფრო მშვენერი, წარმტაცი და მომჯადოებელია მისი პოეზია.

ვაჟა-ფშაველაც შეყვარებული პოეტია. პოეტის სიყვარულის საგანი მისი სამშობლოა. აიღეთ მისი პოემები, მისი წვრილი ლექსები— ყველგან აშკარად. ნათლად ან მალულად გატარებულია სიყვარული სამშობლოისა. ძლიერია პოეტის სიყვარული სამშობლოსადმი; ძლიერია სამშობლოს უბედურება; ამიტომ ძლიერია ვაჟა-ფშაველას სევდაც. ეს სევდა არ არის წყნარი, ვით საღამო, მშვიდი, ვით მარადისობა, მეოცნებე, ვით ზღვის ნიავი, — ის მებრძოლია, მაგრამ, რადგან ხელ-ფეხი შეკრული აქვს და ხსნა არსაით არის, შინაგანი ძალა და ბრაზი მას ცრემლებად ადნობს.

თუ სამშობლოს აწმყო მდგომარეობა პოეტს სიცოცხლეს უწამლავს, დაბადების დღეს აწყევლინებს და თვალთაგან ცრემლთა ზღვას ადენინებს, სამაგიეროდ, სამშობლოს მთები პოეტს ნეტარებითა და სიხარულით ავსებს, ავიწყებინებს მწარე აწმყოს და მაშინ მისი ფანდური ისევ ლაღად ჰგალობს ციურ ხმებს, ისევ უსაზღვრო იმედებით იჟღინთება.

ვაჟა-ფშაველას ისე უყვარს მთა, როგორც ბულბულს ვარდი, იას მზის შუქი, შეყვარებულს თავისი სატრფო. ვაჟა-ფშაველას სატრფო მთა არის:

> შენგნით იხარონ ვერხვებმა
> დეკა, ურძანთა, ღვიათა,
> კლდეთა — უენო ჩემ სატრფოდ.

აი, როგორის სიტყვებით მიმართავს პოეტი მზეს:

> კლდეზე ვარ დაფუძნებული,
> უშრეტს მაწოვებს ნექტარსა.

და მართლაც, პოეტის ნიჭის სიღრმე-სიძლიერე, მთელი წარმტაცი, მომხიბლავი სინაზე, სიმშვენიერე იმის პოეზიისა მაშინ აშკარავდება როდესაც პოეტი მთებს და კლდეებს დასტრიალებს, მთა-კლდეებს აგვიწერს.

ვაჟა-ფშაველა ბუნების საუცხოო მხატვარია და მთის აღწერაში მას ტოლი არ ჰყავს.

ვაჟა-ფშაველას მთელი მსოფლიო მთაშია მოქცეული; თუ მთა აქვს პოეტს, სხვა მას არა უნდა რა. პოეტი ყველაფერს დათმობს, მთას კი, ამ უენო სატრფოს, ის ვერ დათმობს, ვერ შეელევა.

ვაჟა-ფშაველა მთის პოეტია. მთა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში უსულო, უგრძნობელი, მკვდარი ნაწილი კი არ არის ბუნებისა — ის ცოცხალია, ჰფიქრობს, გრძნობს, თავისი საკუთარის ცხოვრებითა სცხოვრობს, ვაჟა-ფშაველამ მთას სული ჩაბერა, გული ჩაუდგა, გრძნობით შემოსა, ფიქრით შეპბურა.

ნისლი პოეტის წარმოდგენაში უბრალო ანაორთქლი კი არ არის მიწის — ნისლი ფიქრია მთებისა.

მთელი თავისი უსაზღვრო სიყვარული მთებისადმი, მთელი სიმშვენიერე, მთელი ცხოვრება, მთელი პოეზია მთებისა ვაჟა-ფშაველამ გამოპხატა, გამოჰკვეთა „დაუსრულებელ კვნესაში“ ალის სახით.

საზარელია ეს მხარე,
ზავთით მზარავი კაცისა...
როცა კი შემობინდდება,
კისკისი ისმის ალისა, —
ამ მომხიბლავის, ცბიერის,
ტურფა, ‘ომახშირის ქალისა,
კლდიდამ რომ დაბლა სიპებზე
ჩხრიალი ისმის წყალისა,
თავს უპყრობს კლდისა ნაეურსა,
მატყვეპებელი თვალისა;
გადაივარცხნის ქოჩორსა,
ჩამოპოხილსა ნამისა,
და შეუბურავს საროს ტანს
ჯანღი ნაწნავთა ჯარისა.
შესტრფის ამ კლდიჯნ მხარესა,
უჩვენებს ელვის კბილებსა
ცაზე გადმოსულს მთვარესა.
მთვარე რომ ჩავა, ვარსკვლავნიც
თითოობითა ქრებიან,
ცაში ზარს დაჰკვრენ ცისკრისას,
ცოდვილთ სულები ჰკრთებიან,
და მკვდარნიც საფლავებიდან
სასეირნოდა დგებიან.
მაშინ კლდის ქალი, ეს ტურფა,
წავა ნაბიჯით სწრაფითა;
შეივლის შავსა ქანჩახებს,
გალიპულს წყალთა ქაფითა,
ბნელს ღვიმეს მოეფარება
შუალამემდე აქა ზის,

ტკბილად დამღერის არესა.
მკვდაოთ სულთ ამლამდის ლხინშია
სიპის კარების ჩქაფითა...
ცა გაიბურვის ნისლებით,
როგორც მურით და ლაფითა.

ამ ნაწყვეტში ყოველი სიტყვა მარმარილოდან არის გამოჭრილი, გამოსკვნილი მშვენიერებაა და მთელი ლექსი ისეთი ღრმა, წარმტაცი და საოცნებო პოეზიაა, რომ ავტორი მსოფლიო პოეტებს ეტოლება, უთანასწორდება. გარეგანი ფორმა, ენის მხატვრობა, ლექსთაწყობა, მუსიკალობა და აზრი ისე შეწყობილი, შეზომილი და შეთანხმებულია ერთმანეთში, როგორც მარმარილოს უკვდავ ქანდაკებაში. ეს მახინჯი, ჯუჯა ტანის, ფეხებდაორკვილი და თმაგაბურძგვნილი ნაყოფი ხალხის შეშინებული წარმოდგენისა, პოეტმა გადააქცია ისეთ მშვენიერ, მომხიბლავ, ტურფა და თმახშირ კლდის ქალად, რომელსაც უმზერ სულიერის ნეტარებით აღტაცებული და თვალი ვერ მოგიშორებია.

ამ ლექსში იხატება პოეტის ნიჭის ერთი თვისება—სიმბოლიზმი.

სიმბოლიზმი წარმოადგენს მთელ განსაზღვრულ მიმართულებას ევროპის ლიტერატურაში. ის დაიწყო პირველად საფრანგეთში და შემდეგ გავრცელდა ევროპაში.

სიმბოლიზმი მწერლობაში მეტად რთული მიმდინარეობაა და მასში მრავალი სხვადასხვა მცნება იყრის თავს.

სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც სრულებით უარჰყოფს ცხოვრებას და მხოლოდ თავისი ოცნებიდან იღებს სახეს თავისი პოეზიისათვის. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც პოეზიის ფორმას, სტილს აქცევს მთელ ყურადღებას და არა აზრს. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც ყოველივე ჩვეულებრივს უარყოფს და თავისი პოეზიის საგნად არაჩვეულებრივს იღებს. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც მკაფიო, გამოკვეთილ, ყველასათვის ადვილად გასაგებ აზრს უარყოფს და პოეზიაში გამოსთქვამს ბუნდოვან აზრს, რომელიც ყოველ მკითხველს თავისებურად ესმის. სიმბოლისტი ეწოდება მასაც, ვინც რაიმე განყენებულ აზრს, ან მოვლენას განსაზღვრულ სახეში ჩამოასხამს, გამოჰხატავს.

ალი, კლდის ქალი, ნამდვილად არ არსებობს, კლდის ქალში ვაჟა-ფშაველამ გამოხატა, გადმოგვცა მთელი ცხოვრება, მთელი ბუნება მთებისა: წყლის ჩხრიალი მთებში, მთვარიანი ღამე, თოვლით დახურული მწვერვალების ელვარება შუქზე, ხევების ხმაური, სიო მთებში, ხეების რხევა, ფოთოლთ შრიალი, მთის მწვერვალთ ნისლი და ქედებზე დაფენილი ღრუბელი, ელვა და გრუხუნი, — ერთი

სიტყვით, მთელი ცხოვრება, მთელი ბუნება, მთელი სურათი მთებისა, ყველა მოვლენა ბუნებისა მთაში, მთელი პოეზია მთებისა ვაჟა-ფშაველამ გამოჰხატა ერთ სახეში — კლდის ქალში ანუ ალში.

IV

ბრძენი იყო და მდიდარი ეკლეზიასტე. ყოველივე მას მორჩილებდა. ყველაფერი მის ხელთ იყო. მას არ გააჩნდა ისეთი სურვილი, რომლის განხორციელებაც არ შესძლებოდა. ქვეყნიური ბედნიერების, მსიარულებისა და სიამოვნების კარი მისთვის ფართოდ იყო გაღებული და ქვეყნიური ნეტარებისა და სიტკბოების ზღვაში გულმსიარული დანავარდობდა. ყოველივე აუსრულდა, ყველაფერს მიაღწია. ყოველივე გამოსცადა, ყველაფერი იგემა და, როდესაც, ბოლოს, დაეკითხა თავის თავს: რა არის ქვეყანა, რა არის ადამიანის ცხოვრებაო? — ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაოაო. აი, მოკლედ, პასუხი მთელი მისი განვლილი ცხოვრებისა, მისი განცდილი ნეტარებისა.

სამყარო, ბუნება, მეტად რთული საიდუმლოებაა, სიცოცხლე კი ერთობ წუთიერი. დროს დასასრული არა აქვს, სივრცეს საზღვარი. სამყაროს თავი და ბოლო, ჩვენი სიცოცხლე კი ელვასა ჰგავს,—გამოაშუქებს ერთს წამს და, სანამ ბუნების საიდუმლოებას ოდნავადაც მაინც მივუახლოვდებოდეთ, ჩაქრება კიდეც.

ჩვენი დაბადება ჩვენ არ გვეკითხება, ჩვენი ნების, ჩვენი სურვილის გარეშე ვღებულობთ სახეს; ვცხოვრობთ, ვმხიარულოთ, ვიტანჯებით და ვკვდებით, ვქრებით, ვისპობით სამუდამოდ, როგორც საკურათი „მე"-ს მატარებელი პიროვნება და აღარასოდეს აღარ გავმეორდებით. დრო ივლის შეუჩერებლად, დაუსრულებლად; უსაზღვრო სივრცეში დაუსაბამო და უბოლოო ბუნება მრავალ ცვალებადობას განიცდის, ჩვენი შეგნება, ჩვენი „მე" კი აღარასოდეს აღარ იქნება.

ფუი! რა სისულელეა სიცოცხლეო, ძალაუნებურად აღმოჰხდება ადამიანს, როცა ის ბუნების დაუსრულებლობას თავისი არსებობის წუთიერობას შეუდარებს.

სიკვდილის საშინელება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ „მე" ისპობა სამუდამოდ, არამედ უფრო და განსაკუთრებით იმაში, რომ „მე" ისე ისპობა, ბუნების საიდუმლოებას ვერ იგნებს. ვიბადებით. მაგრამ რისთვის, არ ვიცით: ვცოცხლობთ, მაგრამ რისთვის, არ ვიცით: რა არის სიცოცხლე, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ, არაფერი ეს ჩვენ არ ვიცით და სიცოცხლე ისე მოკლეა, რომ ვერასოდეს ამას ვერ გავიგებთ.

დროთა შეუწყვეტელ და დაუსრულებელ დიხებაში ჩვენ ძხოლოდ ერთ წამს ვაბელთ თვალებს, რომ ჩვენი სრული არარაობა, ჩვენი ცხოვრების მისწრაფების, სურვილების, განზრახვების სიფუჭე დავინახეთ და შემდეგ სამუდამოდ დავხუჭოთ თვალები.

ფუი! რა სისულელეა სიცოცხლე, ძალაუნებურად აღმოხდება ადამიანს, როდესაც ყოველივე ამას გაითვალისწინებს.

სასოწარკვეთილებაში მყოფ ადამიანს სარწმუნოება ეკლინება მანუგეშებლად.

— ნუ გეშინია, ბუნების გარეშე ღმერთია დაუსაბამო და უბოლოო, მას ემორჩილება ყველაფერი.

— სიცოცხლე წუთიერი სრულებითაც არ არის, ეს მხოლოდ ასე გვეჩვენება. მართალია, შენ თვალებითა ჰხედავ, მაგრამ თვალები რომ დაგილპება, აბა მაშინ გექნება საუკეთესო მხედველობა! მართალია. შენ ყურადღებით ისმენ, მაგრამ ყურები რომ დაგილპება, აბა მაშინ გექნება საუკეთესო სმენა! მართალია, შენ გულითა გრძნობ, მაგრამ გული რომ მოგიკვდება და დაგილპება, აბა მაშინ უნდა უყურო შენი გრძნობების გაცხოველებას!

დაახლოებით ამგვარად ანუგეშებს სარწმუნოება ადამიანს. ადამიანსაც სჯერა დაუჯერებელი, სწამს უწამებელი.

სხვადასხვა სარწმუნოებრივ მოძღვრებათა უმეტესი ნაწილის ჰიზანს შეადგენს გამართლება, ახსნა და აზრისა და შეგნებული ნების შეტანა იმ სისულელეში, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე ეწოდება.

სარწმუნოებას არ შეუძლია სიცოცხლის ახსნა ღვთაებრიობის იდეის გარეშე.

მოსპეთ ის აზრი, ის იდეა, რომ ღმერთი არსებობს და მაშინ სარწმუნოება სრულიად უძლურია, სარწმუნოება უღვთოთ შეუძლებელია. ღვთაებრიობის იდეის წარმოდგენაში სხვადასხვა სარწმუნოებრივი შეხედულებანი შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად. ერთი ღმერთს აყენებს ბუნების გარეშე, როგორც უნივერსალურ გონიერ ნებას და მას უმორჩილებს სამყაროს.

მეორე კი თვით ბუნებაში ხედავს ღვთის განსახოვნებას.

ნაკლი ორივეში დიდია, მაგრამ პირველი შეხედულება თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ ადამიანს სრულებით ვერ დააკმაყოფილებს. ჩვენ არ ვიცით, რა არის ბუნება, და გვინდა მისი ახსნა ბუნების გარეშე, თვით არსი ღმერთით. გვავიწყდება, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის. ვინ არის თვით ღმერთი და არც შეგვიძლია ამის ცოდნა; ის უფრო გაუგებარია, ვიდრე ბუნება, რადგანაც ბუნების შესწავლა

კიდევ შეიძლება, ღვთისა კი სრულებით არა, — ღვთისა მხოლოდ რწმენა შეიძლება.

ამგვარად, გაუგებარი ბუნების ასახსნელად ჩვენ ვქმნით იდეას გაუგებარივე ღვთაებრიობისა და საქმეს გაადვილების მაგიერ კიდევ უფრო ვაძნელებთ, რადგანაც ერთი გაუგებრობის ალაგას ხელთა გვრჩება ორი გაუგებრობა.

სულ სხვაა მეორეგვარი შეხედულება. ის უარყოფს ღმერთს ბუნების გარეშე და ხედავს მას თვით ბუნებაში, ბუნების ყოველ საგანში, ბუნების ყოველ სხეულში, ბუნების ყოველ ნაწილში. ბუნების ყოველ მოვლენაში, ყოველ სახეში. მთელი ბუნება. ამ მოძღვრებით, თვით ღმერთია. ამიტომ ეწოდება ამ მოძღვრებას პანთეიზმი („პან" — ბერძნულად ნიშნავს ყველაფერს, „თეოს" კი ღმერთს). რისთვის დასჭირდა პანთეიზმს ბუნების გაღმერთება? ამით პანთეიზმს იმის თქმა უნდა, რომ ბუნება მკვდარი, უაზრო უნებო არსი კი არ არის, არამედ ცოცხალი, სულიანი, აზრიანი და ნებიანი. თუ დავეთანხმეთ ამგვარ აზრს, მაშინ მთელი ბუნება, მთელი სამყარო ახსნილია თქვენთვის. ახსნილია სიცოცხლის საიდუმლოებაც. მთელი ბუნება ცხოვრობს საკუთარი სიცოცხლით, ყოველი კერძო სიცოცხლე ნაწილია მსოფლიო სიცოცხლისა, ყოველი კერძო ნება ნაწილია მსოფლიო ნებისა, ყოველი კერძო აზროვნება ნაწილია მსოფლიო აზროვნებისა, ყოველი კერძო გონება ნაწილია მსოფლიო გონებისა. ბუნება უკვდავია, უკვდავია მსოფლიო აზროვნება, ამიტომ უკვდავია ყოველი კერძო აზროვნებაც. ყოველი პიროვნება, ყოველი „მე" საკუთარ ხორციელ სახეს იცვლის სიკვდილის პროცესით, ხოლო ყოველი კერძო აზროვნება. როგორც არა ხორციელი ყოფა უკვდავია.

ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი, წმინდა წყლის პანთეისტია. სამყარო მის პოეზიაში სულიერი არსებაა, ის უკვდავია, ჰფიქრობს, გრძნობს და აზროვნებს.

სამყაროს ყოველი ნაწილი, ბალახი, ქვა სულიერი ქმნილებაა.

> რაც კი რამ დაუბადია
> უფალს სულიერ-უსულო,
> ყველასაც თურმე ენა აქვს,
> არა ყოფილა ურჯულო.

ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი".

მთელი სამყარო „გველის მჭამელში" უნივერსალური. უკვდავი სამარადისო სულის განსახიერებაა. მკვდარი, უსულო არაფერი არ

არსებობს. ხე, ბალახი, ქვა, კლდე, წყალი ყველა ცოცხალი ქმნილებაა ყველა აზროვნებს, ყველა ფიქრობს. მინდიას ყვავილები, ბალახი ემუსაიფება, მინდიას ესმის ხის ტირილი, მისი გულისტკივილი, მინდიას ეყურება ჩიტების ენა.

ყოველი არსება მხოლოდ სხვადასხვა სახეა ზოგადი სულისა და ამგვარად, ყველა ქმნილებანი, ყველა სხვადასხვა არსებანი მჭიდროდ არიან ერთმანეთში შეკავშირებული და მსოფლიო სულში ერთიანდებიან.

სანამ მინდია გრძნობდა თავის თავს მსოფლიო სულში სულის ნაწილად. მისი ცოდნა, მისი გონიერება, მისი ძალა უსაზღვრო იყო.

მაგრამ მინდიამ უღალატა თავის რწმენას, შესწყვიტა კავშირი მსოფლიო სულთან და ერთბაშად დაკარგა ცოდნაც, ძალაც.

„გველის მჭამელში" ვაჟა-ფშაველა მარტო პოეტი კი არ არის, ის არის პოეტი-ფილოსოფოსი და თავისი ფილოსოფიური ხელოვნებით უახლოვდება შილერს. ვაჟა-ფშაველა სწორედ იმგვარივე პანთეისტია პოეზიაში, როგორც შილერი.

1909 წ.

სარწმუნოება სამშობლოს სიყვარულისა

(ვ. ორბელიანი)

მე რომ ზღაპრის მთხზველი ვიყო, ჩემს სიტყვას ასე დავიწყებდი: დედამიწის ერთ ტურფა, კეკლუც კუთხეს მზედედოფალი აცისკროვნებდა. მშვენიერება სულისა და ხორცისა მასში ერთიმეორეს შეტოლებოდნენ, შეწონებოდნენ, გონებით ის იყო ბრძენი, გარეგნობით ვით თვალწარმტაცი ქანდაკება. დიდებული მოქანდაკის მიერ მზის შუქიდან გამოკვეთილი. შეფე დაძაბუნდა, დასნეულდა. ჟამი სიკვდილისა მოუახლოვდა. დედოფალი საგონებელში ჩავარდა. მწუხარებაში მყოფმა მიიხედ-მოიხედა გარშემო და მხოლოდ მტრების გამოწვდილი ხელები დაინახა. საუკუნოობით ის ებრძოდა უსჯულოთ და აი, ახლა მათ უნდა ჩავარდნოდა ხელში — შეუძლებელია! მოვკვდები, ვამჯობინებ! — იფიქრა დედოფალმა და ამ დროს თვალი მოჰკრა მღიმარე სახეს, მას მიეპყრო სევდით სავსე თვალები, — მე შენი მეგობარი ვარ, მოესმა დედოფალს ტკბილი სიტყვები. საერთო რწმენამ, საერთო მისწრაფებამ, სერთო მოწოდებამ დიდი ხანია შეგვაერთა, მომეცი ხელი.

დედოფლის სახე სხივმა სიხარულისამ გაუბრწყინა, გული იმედმა აღაფრთოვანა. სამეგობროდ გამოწვდილ ხელს ხელი ჩაჰკიდა.

ჩემი რწმენა, ჩემი არსება წაბილწვას გადურჩაო, უთხრა მან თავის თავს, მაგრამ მალე დარწმუნდა, თუ როგორ მოსტყუვდა. ცრუ მეგობარმა ვერაგულად მოჰკლა მეფე. დედოფალს თავზე გვირგვინი წაგლიჯა და სამკაულებად გადააკეთა, მშვენიერ ხელებზე ბორკილები დაადვა და თავისუფალი და ამაყი — მონად აქცია.

დედოფალს მრავალი შვილები ჰყავდა, ზოგი მეომარი იყო, ზოგი მეცნიერი. ზოგი ხელოვანი.

ცრუმეგობარმა მოიხმო ერთი მათგანი, ზეგარდმო ნიჭით ცხე-

ბული. ტანთ შემოსა ოქრომკედით მოქარგული სამოსელით, გული დაუმშვენა ჯვრებით, მხრები ჯინჯილებით და უთხრა:

დიდსა პალატსა თვალთ წარმტაცსა მე შენ აგიგებ, ვერცხლით, ოქროთი. წალკოტით მას გავაბრწყინებ. მოგრთავ ძვირფასის ძოწეულით, ძვირფასის თვალებით. რომ შენნი ტოლნი შენ გიმზერდენ შურის თვალებით! ოღონდ გიყვარდე.

— ჩემი აკვანი სხვა ნანაზე დედამ ურწია. — მიუგო ყრმამ.

— აბა მითხარი. რანაირი იყო დედაშენის ნანა, ან რა ხმაზე გიმღეროდა მამაშენი? — დაეკითხა წარბშეჭმუხვნით ცრუმეგობარი.

— ის ითქმის კაცად ქველად და ნათლად, ვინც თავის სამშობლოს ემსახურება. — მიუგო ყრმამ.

— მე შენ მოგეცი ახალი სამშობლო, ემსახურე მას და სამსახური ერთი ასად დაგიფასდება, — უთხრა ცრუმეგობარმა.

— არაგვისა და მტკვრის კიდენო, სამშობლო, თაყვანსა გცემ დილით და მზის ჩასვლით თაყვანს გცემ კიდევ. მე ერთი მაქვს სამშობლო. მთელი ჩემი არსებით. მთელი ჩემი ნერვებით, მთელი ჩემი გულის ძაფებით მხოლოდ ის მიყვარს, მეყვარება და ამ სიყვარულს საფლავში ჩავიტან. — მიუგო ყრმამ.

— უმადურო ადამიანო, — ბრაზით წარმოთქვა ცრუმეგობარმა და პირი იბრუნა.

უმადურმა ყრმამ კი ჩანგური მომართა, სიმები ცრემლით დანამა და ზედ დაამღერა:

> დიდსა წარსულსა მომაეალიც დიდი ეკნება.
> ჩემი სამშობლო, დანგრეული კვლავ აყვაედება!

ვინ იყო ეს ტურფა და მშვენიერი დედოფალი! ვინ იყო ეს ცრუ მეგობარი?

ვინ იყო ეს უმადური ყრმა?

ტურფა დედოფალი, რომელსაც გვირგვინი ვერაგულად მოჰგლიჯეს თავზე. ჩვენი საქართველოა.

ცრუ მეგობარი? მიმართეთ აკაკის, ილიას, დიმიტრი ყიფიანს და ისინი უკეთ აგიხსნიან.

უმადური ყრმა? ეს იყო ვახტანგ ორბელიანი.

ცრუმეგობარმა ყოველი ღონე იხმარა. რომ მისი გული მოეგო, მისთვის დედის ნანინა და მამის სიმღერა დაევიწყებინა, გენერალმაიორად გაზარდა. მთელი თერგის მხარე მას ჩააბარა, ე. ი. პატარა მეფედ დასვა. მაგრამ ვერავითარმა წყალობამ. ვერავითარმა ჯილდომ. ვერავითარმა ჯინჯილებმა მისი გული ვერ შესცვალეს

და უმადური ქართველი გენერალ-მაიორის მუნდირშიაც უმადურ ქართველად დარჩა.

უსაშინელესი სისაძაგლე, უდიდესი ცოდვა, რომლის ჩადენაც კი ადამიანს შეუძლია, ეს თავისი ეროვნების უარყოფაა, თავისი დედაენის, თავისი ისტორიის დავიწყებაა. ეროვნება, სამშობლო ენა, სამშობლო ისტორია ვახტანგ ორბელიანისათვის წმიდათა წმიდა იყო, რომელსაც ის თაყვანს სცემდა, რომელზედაც ლოცულობდა და გენერალ-მაიორობა ათასჯერაც რომ მიეცათ, მისი გული დედინაცვლის ნანას ბანს ვერ მისცემდა, მშობელ საქართველოს ვერ უღალატებდა.

ჩვენ კი გენერალ-მაიორის მუნდირში კი არა, ბერის ანაფორასა და პრაპორშჩიკის ეპოლეტებში ვცვლით ჩვენს ეროვნებას, ჩვენს დედაენას, ჩვენს სამშობლოს, ჩვენს წმიდათა წმიდას!

ვინ იყო ვახტანგ ორბელიანი? შთამომავლობით წმინდაწყლის არისტოკრატი — მეფე ერეკლეს შვილიშვილი. აზრით, მისწრაფებით, იდეალით წმინდა წყლის დემოკრატი. ხორცით ის აღმოცენდა უსამართლობის, ძალმომრეობის, ბორკილების ნიადაგზე. მისმა სულმა კი გააღღვია უსამართლობის და ძალმომრეობის ზღუდე. მილეწმოლეწა ბორკილები, ცხოვრების ქარიშხალში უშიშრად გადასტყორცნა თავისი თავი, თამამად გაჩერდა იმ ნავსაყუდარში, რომლის შესავალსაც აწერია: ძმობა და ერთობა საზოგადოებრივს ცხოვრებაში, ხალხის ნების ბატონობა პოლიტიკურს წყობილებაში.

საზოგადოებრივი ცხოვრება ბრძოლაა სხვადასხვა კლასთა შორის. ბრძოლაში ყოველი კლასის სული მჭიდროდ არის დაკავშირებული იმის მდგომარეობასთან; სული ანუ მისწრაფება, იდეალი ერთი კლასისა ან წოდებისა ერთია, მეორისა მეორე, მესამისა მესამე და სხვ. შეუძლებელია, რომ თავადაზნაურობა, როგორც მთელი წოდება, გაიმსჭვალოს გლეხობის იდეალით, ისე, როგორც გლეხობა ვერ გაიმსჭვალება თავადაზნაურული იდეალით. მაგრამ ის, რაც მთელს კლასზე ან წოდებაზე ითქმის, კერძო პიროვნებაზე არა ვრცელდება. ხშირად ესა თუ ის პირი თავის სულით თავის კლასს კი არ ეკუთვნის, არამედ სულ სხვას.

ისეთი სოციალისტები, როგორიც სენ სიმონი, ფურიე, რობერტ ოუენი, ფერდინანდ. ლასალი — ბურჟუაზიის წრიდან გამოვიდნენ. თავის სულით კი ისინი სრულებით მოპირდაპირე კლასს ეკუთვნოდნენ. და ეს ასე რომ არ იყოს, კაცობრიობის პროგრესი გაცილებით უფრო ნელის ნაბიჯით წავიდოდა წინ. როდესაც დაჩაგრულთა წრიდან გამოდიან ისეთი პირები, რომლებიც სულით დამჩაგ-

ვრელებს უერთდებიან, საზიზღარი და შემზარავია. ხოლო როდესაც დამჩაგვრელთა წრიდან გამოდიან ისეთი შვილები, რომლებიც უარჰყოფენ თავისი წრის სულის სწრაფვას, დიდებული სანახაობაა, გრძნობის ამაღელვებელი, სულის დამატკბობელი სურათი. ასეთი სანახაობაა ვახტანგ ორბელიანი. ის გამოვიდა იმ წრიდან, რომლის, იდეალი იყო ბატონყმობა — წარმავალი სიმახინჯე და სულით შეუერთდა უკვდავებას, სამარადისო ჰეშმარიტებას ძმობისა და ერთობისას.

ქრისტეს მცნება მას ენაზე კი არ ჰქონდა დაკოსებული მხოლოდ, იმ პირებსავით, რომლებიც სიტყვით ქრისტეს ემსახურებიან და საქმით კი ჯალათს და ეშმაკს, ქრისტიანული მოძღვრება მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და ყოველი მისი ქადაგება ამ მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. სიყვარული და თანაგრძნობა ყველასადმი, ძმობა და ერთობა, თანასწორობა და სრული თავისუფლება. აი, იდეალი ვახტანგ ორბელიანისა.

ძმობა და ერთობა პოეტის თვალში ცის მცნებაა. და მას ღრმად სწამს, რომ ადრე თუ გვიან ეს მცნება ადამიანთა შორის უსათუოდ განხორციელდება.

ვახტანგ ორბელიანს ქვრივ-ოხერი და დავრდომილი ძმანი მუდამ თვალწინ უდგას და მისი შეხედულებით, კაცი მხოლოდ იმას ეთქმის, ვინც საქმით დავრდომილთ ეხმარება და ქვრივ-ოხერთ ცრემლებს შეუშრობს.

კაცი ის არის,
ვინც ოფლს მიწას ღვრის...
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს
და იმ ტკბილ ნაყოფს
ქვრივ-ოხერთ უყოფს
და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.
კაცი ის არის,
ვისაც გულს ესმის
ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა“
და სიყვარულით
აღვსილის გულით
დავრდომილ ძმათა მოეხმარება.

ერეკლე მეფის შვილიშვილი, თავადაზნაურთა წოდების წარჩინებული წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი და თერგის მხარის უფროსი უარყოფს თავისი წრის ნიადაგს და გლეხკაცის მდგომარეობაზე, იმის ჭირ-ვარამზე ფიქრობს. და არათუ ფიქრობს, პოეტს ავალებს:

შეგვიყვანე გლეხიანობის სახლში.
იმათ ბაღში და მათ ვენახშია;
დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი.

ვახტანგ ორბელიანი სულით უზენაესი სამართლიანობისაკენ, უკვდავი ჰეშმარიტებისაკენ მიისწრაფვის, ასეთი დიადი მიზნის განხორციელებად პოეტს საჭიროდ მიჩანია სრული თავისუფლება აზრისა.

წუ დაუტყვევებთ კაცსა აზრსა,
თუმც იყოს არა მცნებისა;
დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, —
მაშია ყოფა ნებისა.
ღვთის ქმნილს გალია არ შვენის,
რად იყოს ტყვეობაშია?
ბევრით ჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.

დეე, აზრი ყალბი იყოს, მას მაინც სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს დათმობილი, რადგანაც მასშია ყოფა ნებისა ე. ი. ცხოვრება საკუთარი ნების, საკუთარი სურვილის მიხედვით. ყოფა ნებისა სარჩულად დაედო პოეტის პოლიტიკურ რწმენასაც.

ვახტანგ ორბელიანს აქვს ერთი ლექსი, „დედოფალი", რომელშიაც გატარებულია პოეტის პოლიტიკური რწმენა.

სადედოფლო მიმართავს მეფეს შემდეგი სიტყვებით: მეფევ, არაფრად მიჩს მე ჯდომაც ვეფის ტახტზედა, თუ მის სიმაღლით არ გარდმოდის მადლი ერზედა, და თუ გსურს ვიყო დედოფალი შენის ერისა. მაშ, ჯერ მას მიეც, რაც მისია — ყოფა ნებისა!

ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ.

ამგვარად, მძლავრი მოხელე ითხოვს მძლავრ მოხელეთა გამგებლობის სრულ გაუქმებას. საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა თავისი ნების, თავისი სურვილის თანახმად— ეს არის ხალხის თანშობილი, განუყრელი იმანენტური უფლება, პოეტის შეხედულებით, და საზოგადო საქმეს უნდა განაგებდნენ ერთად თვითონ ერი და მეფე. ერი განაგებს თავის თავს მის მიერ ამორჩეული წარმომადგენლების საშუალებით. და რადგანაც პოეტს მძლავრ მოხელეთა მმართველობა არა სწამს, აქედან, ცხადია, რომ პოეტი მომხრეა სრული პარლამენტარული მონარქიისა და ქადაგებდა ასეთ აზრებს მეოთხმოცე წლებში, როდესაც რუსეთში რეაქცია ფაფარაყრილი მძვინვარებდა ისე, როგორც დღეს; როდესაც ასეთი რადიკალური აზრები გვესმის შილერისაგან — გაიხსენეთ მისი მარკიზ პოზა „დონ კარლოსში" — ჩვენ აღტაცებაში მოვდივართ, მაგრამ არ გვიკვირს. ში-

ლერი გამოვიდა დაბალი წრიდან და რა გასაკვირალია, რომ ის ამ წრის შესაფერის პოლიტიკურ წყობილებას ითხოვდეს. ხოლო როდესაც ჩვენ გვეუბნება მეფის შვილიშვილი, გენერალ-მაიორი და დიდი ბიუროკრატი: სიტყვასა და რწმენას სრული თავისუფლება უნდა დაეთმოს, ბიუროკრატიას უნდა ჩამოერთვას მართვა-გამგეობა და გადაეცეს ხალხს, რომელსაც სრული უფლება აქვს ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც სურსო, ჩვენ არათუ აღტაცებაში მოვდივართ, განცვიფრებასაც განვიცდით ისე, როგორც რაიმე სასწაულის წინაშე და როგორც პეტრე მოციქულმა შესძახა ქრისტეს, როცა მისი ფერისცვალება იხილა, ჩვენც ისე მზადა ვართ შევძახოთ პოეტს: ვახტანგ, ვახტანგ, რა ტკბილია შენი სიტყვა, რა სპეტაკი შენი რწმენა; რა იქნებოდა, რომ ყველა წარჩინებული, ყველა გენერალ-მაიორი, ყველა დიდი მოხელე შენს დიად სულს ცოტათი მაინც ზიარებოდა!

სიდიადე ადამიანის ბუნებისა, დასაბამიდან შენ იყავი ხვედრი მხოლოდ რჩეულთაო, — ამბობს მოორი, შილერის „ავაზაკებში". სწორედ დიადი იყო ვახტანგ ორბელიანის ბუნება, ამიტომაც ის იყო რჩეული რჩეულთა შორის.

ყოველივე, რაზედაც მე მიგითითეთ ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში, ეკუთვნის რწმენის, იდეის სფეროს. ვახტანგ ორბელიანის რწმენა სპეტაკია. მისი იდეები დიდებული. პოეტი ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელსაც ყოველისფერი წარსულში ჰქონდა, მაგრამ პოეტი თავისი რწმენით, თავისი იდეალებით წარსულს კი არ ეკუთვნის, ის ეკუთვნის მომავალს, ბრწყინვალე მომავალს, როცა ხალხი თვითონ იქნება თავისი ბატონ-პატრონი, როცა ხალხი თვითონ მოაწყობს თავის ნებისამებრ ცხოვრებას, და ძმობას, ერთობას და თანასწორობას ტახტს დაუდგამს. დიდებულია პოეტი იდეის სამყაროში, მაგრამ ძალა მისი პოეზიისა განა აქ არის. ის შეუდარებელია, აგზნებული, ვით ცეცხლი, შეუპოვარი, ვით ქარიშხალი, მქუხარე, ვით მეხი, ანკარა ვით კლდის ნაკადი, წმინდა ვით ბავშვის ლოცვა, ტკბილი და მომაჯადოვებელი. ვით ქალწულის კოცნა, ნაზათ მწველი, ვით სევდიანი მელოდია გრძნობის სფეროში.

ბუნებაში რომ გრძნობა არ არსებობდეს, სამარადისო სიცივის სუდარაში იქნებოდა ყოველივე გახვეული და მშვენიერება შეუძლებელი იქნებოდა. გრძნობა სულია მთელი ბუნებისა, ის თანჩაქსოვილია მსოფლიო ნივთიერებაში. ის ყველგან არის, ყველაფერში: ჰაერში, ღრუბელში, მზის შუქში, ბალახში, ყვავილში, წყალში ქვაში. გრძნობა შეადგენს ადამიანის ბუნების საუკეთესო, უმშვენიერს სამკაულს. მიეცით ადამიანს ბევრით უფრო ამაღლებული გონიერე-

ბა, ვიდრე დღესა აქვს და წაართვით გრძნობა. ის იქნებოდა მშრალი, ცივი, ვით ყინული, ვით ქვა, ერთფეროვანი, ვით უდაბნო. უსიხარულო, უდარდელი, ბუნება მას მობეზრდებოდა, ის კი ბუნებას. ყოველივე დიადი, ყოველივე მშვენიერი მოისპობოდა; მისწრაფება უკეთესისადმი ჩაქრებოდა. გონება მხოლოდ იკვლევს, ან უკეთეს შემთხვევაში, ხსნის, ფარდასა ხდის ცხოვრებას, გრძნობა კი ამშვენებს. ალამაზებს თვით ცხოვრებას.

მე შეურყევლად მწამს ადამიანისა და ცხოვრების შეუწყვეტელი გაუმჯობესება. სამოთხე, რომელსაც მორწმუნენი უსაზღვრო სივრცეში ეძებენ, როცა იქნება, აქ, ჩვენს დედამიწაზე დამყარდება. მაგრამ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი, მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება, წინმსვლელობა მარტო ბრძოლას კი არ ითხოვს, ითხოვს მსხვერპლსაც. ადამიანები თავის თავს მსხვერპლად სწირავენ, რომ უკეთესი მერმისი მოუპოვონ სხვებს. მათაც კი, ვისი „მეც" ჯერ არ განახსოვნებულა. სიცოცხლის განწირვა სხვების საკეთილდღეოდ! გონების თვალსაზრისით რომ შეხედოთ ამ მოვლენას, რა სისულელეა! მთელს მარადისობაში, საუკუნეთა დაუსრულებელ ცელაში ერთხელ, ერთის წამით მოგეცა სიცოცხლე და იმის მაგიერ, რომ შენ იყო ბედნიერი, სხვისი ბედნიერებისათვის უნდა მოისპო ეს სიცოცხლე! მშრალი გონების სასწორზე ეს მხოლოდ სიგიჟეა.

გრძნობის საზომით კი ეს არის დიდებული, წარმტაცი, მომაჯადოებელი მოვლენა. რომლის წინაშეც ყოველმა მოკვდავმა მუხლი უნდა მოიდრიკოს.

მარტო გონების ზეგავლენით ვერასოდეს ვერ შესწირავს ადამიანი თავს სხვათა კეთილდღეობას. გრძნობა კი ამგვარ მსხვერპლს ხშირად სიხარულით, სიამოვნებით გამოაღებინებს ხოლმე ადამიანს.

და თუ არ დავივიწყებთ, რომ უმსხვერპლოდ წინამსვლელობა შეუძლებელია, მაშინ, ცხადია, გრძნობა რომ არ ამშვენებდეს ადამიანსა და ცხოვრებას და არ ეწეოდეს მათ წინ, ადამიანი თავისი განვითარებული გონებით ერთსა და იმავე ადგილს დაუწყებდა ტკეპნას. საუკეთესო უმშვენიერეს თვალს გრძნობის სფეროში სიყვარული წარმოადგენს.

სიყვარული ისეთივე ზოგადი, უნივერსალური მოვლენაა მთელს მსოფლიოში, როგორც, მაგალითად, მოძრაობა. ის აძლევს სიცოცხლეს ყოველივე ხილულსა და უხილავს უბრალო ბალახიდან. უკანასკნელი მღილიდან მოყოლებული. სიყვარული აკავშირებს ერთ სისტემაში მზეს, დედამიწას და სხვა ციაგებსო, ამბობს შილერი.

უმაღლესი განსახიერება სიყვარულისა არის სიყვარული მამულისადმი. სიყვარული იგივე მსხვერპლია. რომელსაც ადამიანი სწი-

რავს, ყოველი მსხვერპლი ადამიანს აკეთილშობილებს, ამაღლებს.

არავითარ ძალას არ შეუძლია ადამიანის გაკეთილშობილება, გამშვენიერება იმდენად, რამდენადაც იმ მსხვერპლს, რომელიც მამულის სიყვარულში წარმოიშობა.

ყოველი ადამიანი თავის სამშობლოსთან, თანამემამულეებთან სისხლით, ხორცით არის შეერთებული, შეკავშირებული. შეკავშირებულია თავისი გონებით, რადგანაც მამულისა და ეროვნების ფარგლებში იფურჩქნება და ვითარდება ადამიანის გონება; შეკავშირებულია გრძნობით, რადგანაც მამულისა და ეროვნების ფარგლებში სწარმოებს სიყვარული, სიხარული, სევდა, მწუხარება. ადამიანი უმთავრესად იმით განირჩევა პირუტყვისაგან, რომ მას თავისი საკუთარი „მე" აქვს და ამ „მეს" შეგნება. ეს თვისება თანდაყოლილი კი არა აქვს ადამიანს, ის ნელ-ნელა ვითარდება ადამიანის გონებრივად განვითარებასთან ერთად. და ყოველი ჩვენგანის „მე" ვითარდება, ისკვნება სამშობლოსა და ცხოვრების სამზღვრებში. ერთი სიტყვით, ყოველი ადამიანი ფიზიკურად და სულიერად, მთელი თავისი აზროვნებით, თავისი გრძნობებით, თავისი „მე"-თი სამშობლოსა და ეროვნებასთან მტკიცედ არის შეკავშირებული და მამულის სიყვარული ბუნებრივი და აუცილებელია და თან სტიქიური გრძნობაა.

უნდა უყვარდეს თუ არა ადამიანს თავისი მამული, თავისი ეროვნება? ამგვარი კითხვა თვითონ თავის არსებაში შეცდომას შეიცავს. ეს იმას ემგვანება, ვინმემ რომ იკითხოს, უნდა სუნთქავდეს თუ არა ადამიანი ჰაერით. ადამიანს არ შეუძლია, არ უყვარდეს თავისი მამული, თავისი ეროვნება, და თუ მაინც მოიპოება ამგვარი, რომელსაც მამული არ უყვარს ან ამ სიყვარულს მთელი ერის დამღუპველ მიმართულებაში ჰხედავს, ის უნდა ჩაითვალოს მხოლოდ დამახინჯებულ ადამიანად.

სიმახინჯე, როგორც ფიზიკური, ისე სულიერიც, არსებობს.

თვითონ ეს გრძნობა, რაც უნდა განვითარდეს ის, საზარალოა თუ არა ეროვნებისათვის ან მთელი კაცობრიობისათვის?

ვიდრე ამ კითხვაზე მივუგებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, კეთილშობილი ადამიანი საზარალოა თუ არა ეროვნებისათვის?

თავისთავად ცხადია, რომ არა. ეროვნული გრძნობა ადამიანს მხოლოდ აკეთილშობილებს და ამიტომ ის ფრიად სასარგებლოა ეროვნებისათვის. კაცობრიობა ეროვნების გარეშე ფიქციაა, არ არსებობს. კაცობრიობა ეროვნებათა კრებულია და თუ ჭეშმარიტი სიყვარული მამულისადმი ეროვნების პროგრესს ხელს უწყობს, ის

ამით კაცობრიობის ინტერესებს ემსახურება. ვისაც თავისი ხალხი, თავისი ქვეყანა არ უყვარს, იმას კაცობრიობა საიდან ეყვარება!

ხოლო როდესაც ეროვნების ჩასაყლაპად მტერი არავითარ საშუალებას არ ზოგავს, მაშინ ამ გრძნობის გაღვიძება და გაძლიერება. ცეცხლად გადაქცევა უძლიერესი საშუალებაა ეროვნების გადასარჩენად. დეე, განვითარდეს და გაძლიერდეს ყოველ ჩვენგანში სიყვარული მამულისა, დეე, ყოველ ქართველ ოჯახს, ყოველ ქართველ მამას. ყოველ ქართველ დედას მამულის სიყვარული აუძგერებდეს გულს. დეე, ეს გრძნობა ცეცხლად იქცეს, მთელს ჩვენს მამულს მოედოს და ააგიზგიზოს, აანთოს ყოველი ჩვენგანის არსება, — მაშინ მტერიც ვერაფერს დაგვაკლებს და ყოველ განსაცდელს კაჟივით ავიტანთ.

თუ ამდენ ხანს შევჩერდი მამულის სიყვარულზე, იმიტომ, რომ ეს გრძნობა ვახტანგ ორბელიანში უმწვერვალესად იყო განვითარებული. ვახტანგ ორბელიანი ხორცშესხმული სიყვარულია მამულისა. ის იმდენად მჭიდროდ არის ჩასკვნილი. შეხორცებული მამულთან, რომ მხოლოდ მამულით ფიქრობს, მამულით აზროვნებს, მამულითა გრძნობს, მამულით სუნთქავს, მამულით იტანჯება, მამულით ხარობს. ერთი სიტყვით, ის მხოლოდ მამულით ცოცხლობს, კიდევ მეტი. — ის მამულით არის პოეტი. ძლიერ გრძნობას სიყვარულისას რომ ადამიანის გაპოეტება შეუძლია, ამის საუკეთესო მაგალითი ვახტანგ ორბელიანია. დაივიწყეთ ის ნაწილი მისი პოეზიისა, რომელიც მამულის სიყვარულზეა აშენებული. მაშინ ვახტანგ ორბელიანი წარსდგება თქვენს თვალწინ უბრალო მოლექსედ, რომელსაც ბევრი კარგი, დიადი აზრი აქვს, მაგრამ პოეზია კი სუსტი. ხოლო როდესაც ამ მოლექსეს ჩანგს მამულის სიყვარული დაჰქროლავს და ააჟღერებს, თქვენ გესმით მძლავრი, ფიქრთაამშლელი, გრძნობათა აღმძვრელი, სევდისმომგვრელი, ცეცხლივით მწველი მელოდია ნამდვილი ხელოვანისა, ჭეშმარიტი პარნასელისა.

მამულის სიყვარული ვახტანგ ორბელიანმა ზეცამდის აამაღლა. სარწმუნოებად გადააქცია, მისი პოეზია ლოცვაა, ვედრებაა, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი და ცრემლით, ნაღველითა და უზომო სევდით შეზავებული. როდესაც პოეტი მოგვითხრობს სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე, ის იმგვარისავე გრძნობით იმსჭვალება, როგორც ღრმადმორწმუნე ადამიანი ქრისტეს ვნებათა წარმოდგენით. ყოველისფერი, ცა, ვარსკვლავები, მთვარე, ყვავილი, სიმღერა — პოეტს მამულის წარსულს აგონებს.

რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს
და სულსა სტანჯავს.

წარსული პოეტის თვალში დიდებული ზღაპარია. მდიდარი ფანტაზია.

> დღეს ყოველივე ეს განქრა და...
> ჩვენი ივერი, მშვენიერი, არს სისხლის ჯალო,
> გმირთა აკლდამი, გულსაკლავი და სავალალო.

საქართველო დაინგრა, დაეცა და პოეტის სევდის, პოეტის დაუშრეტელი ცეცხლისა და გოდების მიზეზიც აქ არის.

> რა ვქნა, ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
> რა საქართველო დანგრეული მომელანდება.

საქართველოს ნანგრევებზე პოეტმა ააშენა სარწმუნოება მამულის სიყვარულისა, ტაძრად მას თავისი გული დაუდვა და თვითონ სამშობლოს ჭირისუფლად აღიკვეცა.

მისი პოეზია გლოვაა, მოთქმაა, გოდებაა მამულისა.

პოეტის ახალმა სარწმუნოებამ სძლია ძველს, ძველის საძირკველი შეარყია. ამდენად ძლიერია პოეტში სიყვარული მამულისადმი. მამულის სიყვარულით გატაცებული ის უარყოფს და გმობს ღმერთს:

> გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
> სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა.
> მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ, გკითხოთ, მითხარით ერთი:
> ნეთუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?
> თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება,
> და თუ ეს აზრი არ არს შტერთა და ცრუ ზმანება,
> თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათა, მთათა და ველებს
> თავის შუქითა, სიუხვითა ის აცხოველებს;
> თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა,
> თუ მან ეს ტყენი, ეს მდელონი აღმოაცენა;
> თუ თვის ქმნილებას საზღვარი და კანონი მისცა,
> და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცა;
> თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
> თუ ნათელი არს და ნათელი ჰეშმარიტების, —
> მაშ, საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პოეტი ღრმად მორწმუნე ადამიანია, ამაზე მძლავრი სიყვარული მამულისა, ამაზე ძლიერი მსხვერპლი წარმოუდგენელია. როდესაც ადამიანი გმირულის თავგანწირვით შეეწირება მამულს, ეს დიდებული სურათია, მაგრამ ამ მსხვერპლის სახით ხორცია, იღუპება ხორცი, დროებითი, წარმავალი. ხოლო როდესაც ადამიანი თავის წმიდათა წმიდას, თავის სარწმუნოებას, თავის სულს სწირავს მამულს, ეს სათაყვანებელი სურათია. რადგანაც სულის უკვდავების განწირვაა მამულისადმი სიყვარულის საკურთხეველზე.

ყველაფერი, რაც კი პოეტს დიდებულ წარსულს აგონებს, მას ხტანჯავს და პოეტი მთელი თავისი ოცნებით, თავისი გრძნობებით, მთელი თავისი სულით წარსულში გადადის, წარსულს დასტრიალებს თავს, ის ერთგვარი პანთეისტია. სამშობლო მან ღმერთად აქცია და ეს მისი ღვთაება — სამშობლო თავისი წარსულით ყოველგან არის, ყოველისფერშია; წყალთა დუდუნი, ციხის კოშკის ნანგრევი, მთა, ველი, ხევი, ქვა, წარწერა ყოვლისფერი წარსულის დიდებას უამბობს პოეტს:

ჩვენს გულს უხმონიც ბევრს უამბობენ,
რაც რომ ყოფილან,
მაზედ უბნობენ.

აწყმოს, გულსაკლავსა და სავალალოს, პოეტი შორდება ისე, როგორც ილიას განდეგილი. თუ განდეგილი ღვთისმშობლის ხატს არ აშორებს თვალს, პოეტის ხატიც. ღვთისმშობელიც, მისი ღვთაება, მისი წმიდათა წმიდა სამშობლოა და ის სამშობლოს დიდებულ წარსულს არ აშორებს თვალს.

თუ განდეგილში ხორციელმა გრძნობამ ზეციური სძლია, პოეტში მამულის სიყვარული თვით ზეციურ გრძნობასა სძლევს და ამ გრძნობას პოეტი ზეცას ააცილებს, ზეცაზე მაღლა აყენებს. თუ განდეგილს ხატის დასაყრდნობად შუქის სვეტი აქვს, პოეტის დასაყრდნობ სვეტს იმედი შეადგენს, რომელიც მას ტურფა ასულის სახედ მოეელინება და ეუბნება:

გწამდესო, ღვაწლნი მამაპაპათ არ განჰქრეპიან,
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღდგებიან..
თქვენი სამშობლო, დანგრეული, კვლავ აყვავდება.

და მართლაც, ნუთუ ჩვენი დანგრეული სამშობლო აღარასოდეს აყვავდება? ნუთუ ქართველი ერი წელში ვეღარასოდეს გაიმართება? ნუთუ მერცხალი აღარასოდეს აღარ გადმოსძახებს მას, — გაზაფხული, გაზაფხულიო? არა, დანგრეულ სამშობლოს ჩვენივე სიყვარული ააყვავებს; მონად მოხრილს ქართველ ერს ჩვენი გული გამართავს წელში; გაზაფხულის მახარობელ მერცხალს ჩვენი გრძნობანი მოაფრენენ, მხოლოდ საჭირო, რომ მამულის სიყვარული ჩვენს პოეტსავით სარწმუნოებად გავიხადოთ.

დეე, ყვავ-ყორანნი თავს დასტრიალებდნენ მას; დეე, შავი ღრუბელი შემოერტყას მას გარშემო, დეე, ბნელი ძალები მის განადგურებას ცდილობდნენ, დეე, ვერაგობამ და მტარვალობამ ყველა უფლება წაგართვას, ვერავითარი ძალა ვერ წაგართმევს ერთ უფლებას, სამშობლოს სიყვარულს, ვერ წაგართმევს იმიტომ, რომ ეს

უფლება ჩვენს გულშია ჩაქსოვილი. დეე, თავდაცვის ყველა საშუალება მოგვისპონ, — ვერავითარი ძალა ვერ მოგვისპობს ერთს საშუალებას: ზიზღს სამშობლოს მტერთადმი. მამულის სიყვარულით აღგზნებულნი და მის ორგულთადმი ზიზღით აღჭურვილნი კიდევ ბევრ შავ დღეს ავიტანთ, გავუძლებთ და ბოლოსაც არის, მაინც დაგვიდგება ის დრო დიდებისა, როდესაც მამულის ვნებით წამებულ პოეტს აღტაცებულნი ჩავძახებთ საფლავში: პატარა კახის შვილიშვილო, შენი სამშობლო დანგრეული, კვლავ აყვავდა.

1909 წ.

ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელსაც მოწიწებით, თაყვანისცემით უნდა იხსენიებდეს ყოველი ქართველი, თუკი მას ქართველობისა შერჩენია რამე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ის პირია, რომლითაც უნდა ამაყობდეს ყოველი ქართველი. ვისაც კი ესმის, თუ რა არის ეროვნული სიამაყე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელიც ძლიერის სისპეტაკის სხივივით ანათებს ჩვენს შავბნელ ცხოვრებას და ყოველ ქართველს, რომელსაც კი თავისი სამშობლოს სვებედი აფიქრებს, აღონებს, უკიდურესი სასოწარკვეთილების დროსაც კი ამხნევებს და გულს იმედით უვსებს. — და მართლაც, უგულო, უსულო, უკულტურო ერი ნიკოლოზ ბარათაშვილს ვერ წარმოშობს, ამისთანა შვილები მხოლოდ დიდბუნებოვან, დიდსულოვან და მაღალი კულტურის ერებსა ჰყავთ.

ბიოგრაფია პოეტისა მარტივია.

ის დაიბადა 1816 წელს, 22 გიორგობისთვეს, შეძლებული თავადის ოჯახში. მამამისმა, მელიტონ ბარათაშვილმა, მთელი საცხოვრებელი ხელგაშლილობით და ბედოვლათობით გაფლანგა და სიბერის ჟამს სიღარიბეს ეწია. პოეტის დედა ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და იყო. რამდენადაც პოეტის მამა იყო მკაცრი, ფიცხელი, ჯიუტი და გაუტეხელი ხასიათისა, იმდენად დედა იყო გულკეთილი, მშვიდი და წყნარი. პოეტი ხასიათით ძალიან ბევრით წააგავდა თავის დედას.

წერა-კითხვა პატარა ნიკოს დედამ ასწავლა. შემდეგ ის მიაბარეს კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში; აქიდან ის გადავიდა კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადააკეთეს.

პატარა ნიკო მეტად მხიარული, ნიჭიერი და მასთან ცელქი იყო. რამდენადაც მას სწავლაში ემადლიერებოდნენ მასწავლებლები, იმ-

დენად ყოფაქცევისათვის ემდურიოდნენ. ერთხელ ნიკო კიბიდან დაგორდა და ორივე ფეხი მოიტეხა. თუმც ფეხები მოურჩა, მაგრამ სიკოჭლე მაინც ემჩნეოდა. უმთავრესად ამან შეუშალა პოეტს ხელი და სამხედრო სამსახურში ვეღარ შევიდა.

ლექსების წერა პოეტმა სასწავლებელშივე დაიწყო; ის მონაწილეობდა რუსულ ხელნაწერ ჟურნალში, რომელიც მოსწავლეებს ეკუთვნოდა.

გიმნაზიის კურსი ნიკომ დაასრულა 1835 წელს.

ერთადერთი ასპარეზი, რომელიც მაშინდელს ახალგაზრდობას იზიდავდა — უმთავრესად იმიტომ, რომ დროც იმგვარი იყო და სხვა ასპარეზიც არ არსებობდა — სამხედრო სამსახური იყო. ბარათაშვილსაც სამხედრო სამსახურში უნდოდა შესვლა, მაგრამ მამა წინააღმდეგი გაუხდა, უმთავრესად იმიტომ, რომ ფეხი არ უვარგოდა. თუმცა ნიკო თავისას არ იშლიდა, ამბობდა: ფეხები კარგი მაქვს, რადგანაც ჩემებურად კიდეც დავხტი, კიდეც ვთამაშობო.

მაშინ ბარათაშვილმა დააპირა უნივერსიტეტში წასვლა, რადგანაც, თუ „სტატსკი ვიყო, ბარემ ვიყოვო“, მაგრამ აქ მშობლების უსახსრობამ შეუშალა ხელი. პოეტი იძულებული გახდა, სამსახურში შესულიყო, რომ თავი ერჩინა და მშობლებსაც დახმარებოდა.

სამსახურში პოეტი მეტად მხნე და შრომისმოყვარე იყო. ამისათვის საუკეთესო მოხელედ ითვლებოდა.

1845 წელს ის დანიშნეს მაზრის უფროსის თანაშემწედ განჯაში, სადაც ის 9 ღვინობისთვეს გარდაიცვალა. პოეტი დაასაფლავეს განჯაში საყდრის გალავანში და ამგვარად აღსრულდა მისი წინასწარმეტყველება:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის!

1893 წელს 25 აპრილს პოეტის ნეშთი გადმოასვენეს თბილისში და მიწას მიაბარეს დიდუბის ეკლესიის ეზოში.

საზოგადოებაში ბარათაშვილი მხიარული კაცი იყო. ქეიფი, ლხინი, დროსტარება, ცეკვა-თამაში, მითქმა-მოთქმა, არშიყობა და ხანდახან ჰორიკანობაც მას ძალიან უყვარდა. სკა-ბაასში ის მეტად ოხუნჯი იყო, სიტყვამოსწრებული და ენაგესლიანი; მისი გესლიანი ენა განსაკუთრებით ქალებს ხვდებოდა ხოლმე.

აი, ერთი მაგალითი.

„დიახ, ნურავის მოვაგონდები! — სწერს ის მაიკოს ერთ წერილში. — იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძანებია: რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო! ეგეც ეგრე იყოს, მაგრამ მე ეს ვიცი

რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი სუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდარვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!“

პოეტის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თვისებას იუმორი შეადგენს. ძლიერი სულიერი ტანჯვის, მარტოობისა და სევდის დროსაც კი იუმორი პოეტს არ შორდებოდა.

„ჩვენს დიდ პლატონს, — სწერს ის ერთ წერილში, — ძილში კატა დაჰწოლოდა ბაკენბარდზე და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით კერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ისე გათელილი დარჩა: ეურჩიეთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა მის ფილოსოფიურ სახეს“.

ხასიათით პოეტი წმინდა წყლის რომანტიკოსია. საზოგადოება მას იმდენად უყვარს, რამდენადაც მას თავდავიწყება, გამხიარულება შეუძლია. სხვა დროს მისი საუკეთესო მეგობრები მთვარე, საღამო, მტკვრის დუდუნი და სასაფლაოა.

«Дай мне маленькое, независимое состояние, — სწერს ის ერთ მეგობარს რუსულად, — я бы сейчас оставил и света людей с их ненасытностью и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве».

გულით პოეტი მეტად კეთილი და პატიოსანი იყო. ბტრობა და სიძულვილი მის გულში დიდხანს ვერ იკიდებდა ფეხს. მეგობრისათვის არაფერს ის არ დაიშურებს. მაშინ, როდესაც მის გარშემო ქეიფისა, არშიყობისა და ჭორიკანობის მეტი არაფერი იყო, ბარათაშვილის გონება ისეთ კითხვებს არკვევდა, როგორც მიზანი ადამიანის ცხოვრებისა, ადამიანის დანიშნულება, მსოფლიოს დასაბამი და დასასრული და სხვ.

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება...
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს! —

ეუბნება პოეტი ცას!

პოეტი მეტად გულჩათხრობილი იყო. ის მხოლოდ ერთადერთ მეგობარს მაიკოს ჩაახედებდა ხოლმე თავის გულში ხანდახან.

პოეტი მეტად შრომისმოყვარე იყო და სიზარმაცე ძალიან სძულდა. თუმცა სამსახური მას არ იზიდავდა, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდა, საქმის სინდისიერად და ერთგულად ასრულებას თავის მოვალეობად სთვლიდა.

ზნეობრივ ცხოვრებას პოეტი მაღლა აყენებდა და ზნეობის აღზრდას, შემუშავებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

ბარათაშვილი მორწმუნე კაცი იყო და უზენაესი შემოქმედის

არსებობა მას შეურყევლად სწამდა, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა, სწერს ის ერთ წერილში. პოლიტიკური სფეროს პოეტი განუსაზღვრელი, თვითმპყრობელი მონარქის მომხრე არ იყო. მისი შეხედულებით, „მარადის ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის“.

როდესაც წაიკითხავთ ბარათაშვილის წერილებს, თვალწინ დაგესახებათ მხიარული, ხუმარა, მოქეიფე, მოარშიყე, ოხუნჯი ახალგაზრდა. თუ ამ ახალგაზრდას დროდადრო სევდა ეწვევა ხოლმე, რა ვუყოთ! ვინ არის ისეთი გულის პატრონი, ან იმგვარ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, რომ იმის გულს ხანდახან სევდა არ შემოაწვეს ხოლმე!

ხოლო როდესაც კითხულობთ მის ლექსებს, სულისკვეთება, სევდა, მწუხარება, სულის ობლობა, კვნესა გულისა, მარტოობა, განუშორებელი კაშანი, დაკოდილი, მოკლული გული, უდაბნო, წყვდიადი, ამაოება, — აი, რა გესმით როდესაც თქვენ ჩაუკვირდებით ნიკ. ბარათაშვილის პოეზიას. თქვენს თვალწინ იშლება საშინელი სულიერი ტანჯვა მიუსაფარი მწირის, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მსახვრალი ადამიანისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში, რომელსაც სიცოცხლე მოსძულებია ამდენის მარტოობითა და ტანჯვით.

სადაც უნდა იყოს პოეტი, რასაც უნდა აკეთებდეს, ვარდს შეჰხარის ის, ცას, საღამოს, ბუნებას, ჩონგურს უსმენს, თუ სიყვარულს ითვალისწინებს, ყოველგან ფიქრი ამაოებისა თან დასდევს მას შავი ყორანივით და მისი ვარდი გაფურჩქვნისთანავე სჭკნება, მისი მხიარულება განსახვისთანავე სევდად იცვლება, მისი ღიმილი ტუჩებზედვე ხმება.

ერთი მხრით, მხიარულება, დროსტარება, ცეკვა, თამაში, არშიყობა, ქეიფი, ოხუნჯობა, ჭორიკანობა; მეორე მხრით, სევდა, ტანჯვა, მარტოობა, ობლობა, საშინელება ამაოებისა, სიცოცხლისადმი სიძულვილი და ყველა ეს წინააღმდეგობა, ყველა ეს ერთიმეორის უარყოფა ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ადამიანში!

ერთი მხრით, მხიარული, ოხუნჯი, მოქეიფე, მოარშიყე ახალგაზრდა, მეორე მხრით, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მსახვრალი, მიუსაფარი მწირი, რომლის გულსაც ნეტარება არ ასადარებს, მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს. და ორივე ეს სრულიად სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავე პიროვნებაში!

რით აიხსნება ასეთი გასაოცარი მოვლენა? რამ გაჰყო, რამ გააპო პოეტის პიროვნება ორ სხვადასხვა არსებად? შეიძლება პოეტის

ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც მას სამუდამოდ დაუკოდა, დაუსევდიანა გული?

პოეტი იყო ერთ ხანს უიმედო სიყვარულით შეპყრობილი, მაგრამ ამ მხრით მან სძლია თავის გულს. პოეტს არ აუსრულდა თავისი საწადელი: ვერც სამხედრო სამსახურში შევიდა, ვერც უნივერსიტეტში წავიდა, მაგრამ ამ გარემოებამ პოეტი პირველ ხანებში დააღონა მხოლოდ, შემდეგ ის დაუმორჩილა ბედს, როგორც თვითონვე სწერს ერთ წერილში, თავი თავისი ხელმწიფეობას და საზოგადოებას შესძღვნა და გულმოდგინედ შეუდგა სამსახურს.

ეპვი არ არის, საპირადო უსათუოდ ურევია პოეტის სევდაში, მაგრამ განა შეიძლება ბარათაშვილის უნივერსალური სევდის ახსნა საპირადო მოტივებით? უიმედო სიყვარული, პატარ-პატარა უსიამოვნება ცხოვრებაში, უიღბლობა სამსახურში — ეს ხომ წვეთია იმ ზღვაში, რომელსაც ბარათაშვილის სულიერი დრამა ეწოდება! ბარათაშვილი არ ყოფილა იმგვარი ბუნების ადამიანი, რომ საკუთარი კეთილდღეობა მთავარ მიზნად დაესახა და საკუთარ უიღბლობას დაენთო მასში ის ჯოჯოხეთი სულიერი ტანჯვისა და წამებისა, რომელსაც ის თავის გულში ატარებდა.

მაშ, რით აიხსნება ასეთი გასაოცარი მოვლენა? შეიძლება, პოეტმა ისეთი რამ ჩაიდინა, რისთვისაც მას სინდისი სტანჯავდა! ამის პასუხს თვით პოეტივე გვაძლევს. „ნუთუ ხმა ესე არის ხმა დევნისა შეუწყალისა სინდისისა?.. მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა, მის საშფოთველოს და საქენჯნავსა!“ მაშ, რით აიხსნება ასეთი გასაოცარი მოვლენა! რამ გააპო ბარათაშვილის პიროვნება ორ სრულებით სხვადასხვა ადამიანად?

„თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა“. — სწერს პოეტი თავის დას მაიკოს.

«Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлинного наполнили душу ужасной пустотой».
წერს პოეტი მეორე წერილში.

მიწიერი პოეტის თვალში ყველაფერი მხოლოდ ამაოებაა.

აქედან ცხადია, რომ პოეტი თავისი ფილოსოფიური შეხედულებით პესიმისტი — გულგატეხილი იყო. ცხადია, ამგვარი შეხედულების ადამიანი უფრო მეტს ითხოვს ცხოვრებისაგან, ვიდრე სხვა; მას არ დააკმაყოფილებს ის, რაც სხვისთვის სრულებით საკმარისია.

პოეტის გარშემო ცხოვრება რომ ასეთი ყოფილიყო, რომ მას სულიერი კმაყოფილება მცირეოდენად მაინც მოეპოებია, მისი პოე-

ზიაც შეიძლება არ ყოფილიყო იმდენად გამსჭვალული უსაზღვრო, უნუგეშო სევდით, მაგრამ პოეტის გარშემო ისტორიული საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ პოეტის ფილოსოფიური პესიმიზმი გაიფურჩქნა და მისი გული ააკვნესა, სული სევდით შემოსა.

ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ ლევან მელიქიშვილი წერდა გრიგოლ ორბელიანს: „საქართველომ დაჰკარგა მასში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა". თუ ერთი საიდუმლოება ბარათაშვილის სევდისა თვით მისსავე ფილოსოფიურ მიდრეკილებაშია, მეორე საიდუმლოებაც აი, ამ სიყვარულში უნდა ვეძიოთ.

უსაზღვრო და მასთან უნუგეშო იყო პოეტის სიყვარული მამულისადმი; უსაზღვრო, უნუგეშო იყო ამიტომ მისი სევდაც.

განა სხვებს კი არ უყვარდა იმ დროს საქართველო?

დიახ, უყვარდა, მაგრამ ბარათაშვილი ზეგარდმო ნიჭით იყო ცხებული, მას უყვარდა საქართველო მთელის თავისი პოეტურის გულით, მთელი თავის პოეტურის ნერვებით, მთელის თავის პოეტურის ოცნებით, მთელი თავის პოეტური გატაცებით, მთელი თავისი პოეტური ცეცხლით.

ბარათაშვილივით ღრმად, მძლავრად, მთელი არსებით, მთელი ნერვებით სიყვარული მამულისა ჩვეულებრივ ადამიანებს არ შეეძლოთ. ბარათაშვილივით ღრმად ვერავინ ჩაიხედავდა სამშობლოს ცხოვრებაში, მასავით სრულად ვერავინ გაითვალისწინებდა მის აწმყო ცხოვრებასა და ვერავინ წარმოიდგენდა მის მომავალს. ამიტომ ვერც ვერავინ დაიტანჯებოდა მასავით მძლავრად სამშობლოს ტანჯვით. განა მამულის სიყვარული ისეთი რამ არის, რაც ადამიანის ბუნებას სევდითა და მწუხარებით ავსებს?

დიახ! გაუბედურებული, მოტყუებით შებორკილი და, როგორც მეორე პოეტი ამბობს, ჩაბალახახდილი მამულის სიყვარული მხოლოდ სევდას იწვევს ამ მამულიშვილის გულში და ეს სევდა იმდენად უფრო უსაზღვროა, რამდენადაც უფრო ღრმად გრძნობს ადამიანი, რამდენადაც უფრო ძლიერია მისი სული. გრძნობათა სიღრმესიუხვე და სულის სიძლიერე ბარათაშვილს არ აკლდა, ჭარბობით კი სჭარბობდა.

საქართველომ მრავალ და საშინელ ქარცეცხლში გამოიარა და თავისი არსებობა, თავისი პიროვნება მაინც დაიცვა.

> მრავალ ყმაწვილ კაცთ იმედთა ქართლისა,
> დასდვეს აქ თავი მამულისათვის.

და მამული მტერს არ დაანებეს, სხვას არ ჩაუგდეს ხელში ჩვენს წარსულში, როგორც ყოველი კულტურული ერის ცხოვრებაში, ბევრი რამ იყო ისეთი, რაც თანამედროვე შეხედულებით, თანამედროვე საზომით გასაკიცხია, დასაგმობია, მაგრამ ვის, რომელი ერის წარსულში იყო მარტო ია და ვარდი! რომელი ერის ისტორიამ განახორციელა სრული ერთობა, ძმობა და თანასწორობა! სამაგიეროდ, ჩვენს წარსულში ბევრი რამ დიდებული იყო და საერთოდ, იგი დიდებული ტრაგიზმით არის სავსე.

სამაჰმადიანოსთან შეუწყვეტელი ბრძოლით მოქანცული ქართველი ერი მიენდო, თავის ნებით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს და ის კი დაივიწყა, რომ, —

სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა არა რას არგებს,
ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.

როდესაც ჩვენ გვეუბნებიან: ქართველი ხალხი ზეიმითა და დაფ-ნაღარით მიეგება რუსის ჯარს თფილისში შემოსვლის დროსო, დიახ, სრული ჭეშმარიტებაა. მხოლოდ ეს ჭეშმარიტება მარტოოდენ იმას ჰლაღადებს, თუ რა იმედებით იყო ამ დროს აღტურვილი ქართველი ერი, როგორის გულით უხვდებოდა ის რუსის ჯარს ან რას მოელოდა მისგან.

მაგრამ ის კი ჭეშმარიტება არ არის, რომ არ გასულა ამის შემდეგ დიდი დრო და ჟამი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აჯანყებამ, ამბოხებამ და შეთქმულებამ იჩინა თავი!

ახლა თქვენ თვითონ გაითვალისწინეთ სულიერი ტანჯვა, იმედების დამსხვრევა, სასოწარკვეთილება და სევდა იმ ერისა, რომელმაც იარაღი გვერდზე მიაყუდა იმ იმედით, რომ დავისვენებო, და მეორე დღესვე იძულებული გახდა, იარაღისათვის ხელი ეტაცნა, რომ თავისი პიროვნება, თავისი ადამიანობა, თავისი უფლებანი დაეცვა: ასეთი რეაქცია გამოიწვია მეფის იმპერიის ზედაფენების კოლონიურმა პოლიტიკამ.

თავისი იმედების დამსხვრევა, თავისი სასოწარკვეთილება, თადა ყოფილიყო განწირულის სულისკვეთება, კვნესა გულისა, სასოწარკვეთილება, შავი ფიქრები და სევდა იმ ერისა, რომელმაც დაინახა, რომ ის მოატყუეს, მოატყუეს ვერაგულად, რომელიც დარწმუნდა, რომ საკუთარის ხელით საკუთარი ყელი გამოიჭრა?!

თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა უზომო, რა უსაზღვრო უნვისი სულისკვეთება, თავისი სევდა, თავისი ნაღველი, თავისი კვნესა გულისა ქართველმა ხალხმა აჯანყებასა და შეთქმულებაში გამოხატა.

იგივე სევდა მამულისა, იგივე შავი ფიქრები, იგივე კვნესა გუ-

ლისა, იგივე განწირული სულისკვეთება მთელი ქართველი ერისა, საქართველოს საუკეთესო პოეტმა თავის გრძნობათა სიმებზე ასახა, საკუთარს გულში გაათბო, საკუთარის ცრემლით დაალბო, საკუთარის სისხლით შეღება, საკუთარ ნაღველში ამოავლო და მით მოჰქარგა თავისი პოეზია, — პოეზია ყოვლისფრის წარმავლობის, პოეზია მსოფლიოს ამაოებისა, პოეზია ობოლის სულისა.

საქართველოს პოლიტიკურად სიკვდილმა პოეტს თვალწინ დაუყენა კითხვა მამულის ყოფნა-არყოფნისა. ეს კითხვა მთელის თავისი სიძნელე-საშინელებით პოეტის წინ იყო ამართული და რამდენადაც უფრო ძნელი იყო ამ კითხვის გადაწყვეტა, იმდენად უფრო ღრმა იყო ბარათაშვილის სევდა და სულიერი ტანჯვა.

როდესაც ქველი სოლომონი ეუბნება ირაკლის — რომე ქართველებს არად მიაჩნისთ უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერქვეშ თავისუფლებაო, ეს სიტყვები ნიკ. ბარათაშვილის სიტყვებია, ეს აზრი პოეტის აზრია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ბარათაშვილის რწმენით, უმთავრეს პირობას შეადგენს ერის კეთილდღეობისა და დიდებისათვის.

ამიტომ იხედება პოეტი წარსულისაკენ.

ყოველისფერი — მთვარე, საღამო, მთაწმინდა, მტკვრის დუდუნი, ჩონგურის ხმა, პოეტს თვალწინ უყურებს სამშობლოს წარსულს.

> წარსულთა დროთა მოგონებით
> სულს აფიქრებენ.

წარსული დიდებული იყო. ვითომ როდის და რაში არ ვყოფილვართ კარგიო, თავმომწონედ წერს ერთ ალაგს პოეტი. პოეტს უყვარს ეს წარსული. წარსული პოეტის წმიდათა წმიდაა, მისი სამლოცველო, წარსული ის ტაძარია, რომლის შესახებაც პოეტი ამბობს:

> მუნ გუნდრუკის წილ შეესწირავდი წმიდას სიყვარულს,
> რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს.

არ გეგონოთ, რომ პოეტის იდეალი წარსული იყოს. არა პოეტი უპირატესობას აძლევს მშვიდ, მოქალაქეობრივ ცხოვრებას და სწავლა-განათლებას, მაგრამ წარსულში არის ის, ურომლისოდაც სამშობლოს დიდება და ბედნიერება პოეტს ვერ წარმოუდგენია, — ეს არის პოლიტიკური თავისუფლება.

> მაგრამ წარსული განქრა, განქრა ტაძარიც.

პოეტს არ შეუძლია უტაძროდ ცხოვრება, მას აწყმოშიაც იგივე ტაძარი უნდა, მაგრამ ამაოდ.

ვეღარ აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთობილი მისი ლამპარი! —

ჩივის პოეტი.

რამდენი სევდა, რამდენი ტანჯვა, რამდენი კვნესა, რამდენი ნაღველი, რამდენი ცრემლი და უიმედობა, რამდენი სასოწარკვეთილება და უნუგეშობაა ამ სიტყვებში!

რატომ ვეღარსად ააგო პოეტმა ტაძარი?

რატომ ვერსად დაანთო მისი ლამპარი?

ამის პასუხს პოეტის „ფიქრნი მტკვრის პირად" გვაძლევს.

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება!

პოეტის თვალში აწმყო მხოლოდ ფუჭია და ამაოება. ამ გვარს ნიადაგზე კი რა ტაძარი აიგება?

რატომ არის აწმყო ფუჭი და ამაოება?

ერთი მხრით, იმიტომ, რომ საქართველომ დაჰკარგა თავისუფლება.

მეორე მხრით, იმიტომ, რომ თავისუფლების დაკარგვას თან მოჰყვა ქართველი ხალხის ზნეობრივად დაცემა, სულიერი დაქვეითება. „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავური გრძნობა? — სწერს პოეტი მაიკოს ერთ წერილში, — ვინც მაღალი გრძნობების მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიც ცრემლი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა". — წერს ის მეორე წერილში. ამას ამბობს პოეტი, რომელიც წარსულზედ გვეუბნება: „ვითომ როდის და რაში არ ვყოფილვართ კარგნიო".

მოიგონეთ პოეტის სიტყვები:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გამოუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,

ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს!
რის ქართველობა, რა ქართველობა!
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?

საქართველომ მარტო თავისუფლება კი არ დაჰკარგა, მისი შვილები ზნეობრივად დაეცნენ, სულიერად დაქვეითდნენ.

და, აი სწორედ აქ იბადება პოეტის რომანტიზმი, მისი სევდა. მას უნდა განშორდეს ქალაქს. საზოგადოებას, სრულებით დაივიწყოს აწმყო, შეუერთდეს ოცნებით წარსულს, ბუნებას, მაგრამ ამაოდ, სევდა განუშორებლად თან დასდევს მას და პოეტის სული ჰყუდროებას ვერსად ჰპოულობს.

სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი! — სასოწარკვეთილებით გაიძახის პოეტი.

სამშობლოს უბედურებით გამოწვეული, პოეტის ფილოსოფიური პესიმიზმით განაყოფიერებული და იმის მგრძნობიარე გულში გაღვივებული სევდა თანდათან გადაიქცევა მსოფლიო მწუხარებად და ბარათაშვილის ნიჭის სიდიადეც სწორედ აქ აშკარავდება: ეროვნულს ნიადაგზე მან შექმნა მსოფლიო სევდით, საკაცობრიო გრძნობებით გამსჭვალული პოეზია.

ბარათაშვილის სიყვარული მამულისადმი იმის წერილებშიაც მკაფიოდ იხატება, პოეტს უყვარს, როდესაც სხვისგან ქართველების ქება ესმის. ამგვარი ქება იმის ეროვნულ გრძნობას ხიბლავს; თავმოყვარეობას ქართველისას უკმაყოფილებს.

მაგრამ ბარათაშვილი არ არის ბრმა თაყვანისმცემელი თავისი ერისა, ის უკვირდება ქართველ ხალხის სულიერ თვისებებს და არ-კვევს მასში პირუთვნელად სხვადასხვა ნაკლს.

შორსმხედველობის უქონლობა, ხასიათის სისუტე, დაუდევრობა, სიზარმაცე, ერთმანეთის გაუტანლობა, აი ქართველების ნაკლი. პოეტის აზრით.

ამგვარია პიროვნება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

მისი ტანჯვა მთელი საქართველოს ტანჯვაა. პოეტის გულის კვნესა მთელი საქართველოს გულის კვნესაა. ბარათაშვილის სევდა მთელი საქართველოს სევდაა, პოეტის ობლობა და მარტოობა მთელი საქართველოს ობლობა და მარტოობაა. პოეტის შავი ფიქრები მთელის ქართველობის შავი ფიქრებია. ბარათაშვილის სულიერი დრამა — მთელი ჩვენი მამულის სულიერი დრამაა.

ბარათაშვილი გულია საქართველოსი. საქართველოს უნუგეშობამ, ქართველი ხალხის სულისკვეთებამ, გულის კვნესამ და სევდამ ბარათაშვილში ჰპოვეს თავისი ნამდვილი გამოხატულება.

და დღეს საქართველოს განყენებულ იდეას რომ შეეძლოს ჩვე-

ულებრივის ადამიანურის ენით დალაპარაკება, იმავე სევდას, იმავე ამაოებას, იმავე ობლობას, იმავე განწირულ სულისკვეთებას, იმავე გულის კვნესას მოგვითხრობდა, რითაც გამსჭვალულია ბარათაშვილის პოეზია.

ბარათაშვილის სევდა დღესაც შავი ზეწარივით გადაჰფარებია ჩვენს ბედკრულ სამშობლოს. ნუთუ არასოდეს არ გაიფანტება ის? ნუთუ არასოდეს არ შეიცვლება ის ბედნიერი ქართველი ერის მხიარულ სიმღერად?!

1910 წ.

მაყვალას გასამართლება

დამცველის, ივ. გომართელის სიტყვა

ბატონო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! ერთხელ უზენაესმა ზევსმა მოიხმო ჰერმესი და უბრძანა: წადი დედამიწაზე და გაიგე, როგორ ცხოვრობენ ჩემ მიერ გაჩენილი ადამიანები.

ჰერმესმა აასრულა უზენაესის ბრძანება, გასწია დედამიწისაკენ, მიიარ-მოიარა ყოველი მხარე, დაათვალიერა ყოველი კუთხე, ნახა ყველაფერი, დაბრუნდა ზენაართ საყოფს დანაღვლიანებული, წარსდგა ზევსის წინაშე და სევდით სავსემ მოახსენა:

— ყოვლის შემძლებელო! რისთვის გააჩინე ადამიანი ამგვარი? ყოვლისფრისათვის, რაც ცხოვრებაში უკვდავია, მშვენიერი, რაც ადამიანს მხოლოდ ბედნიერებისაკენ ეზიდება, მას ფრთები შეუკვეცავს, საკუთარი გრძნობისათვის, აზრის და გონებისათვის მას ბორკილები დაუდევს და თავისი თავი მონად გაუხდია.

ზევსი ჩაფიქრდა და შემდეგ დინჯად წარმოთქვა.

— მე გავაჩინე ადამიანი თავისუფალ არსებად და არა ჩემს მონად, მე ჩავუნერგე მას მისწრაფება უზენაესი, უკვდავი, ჭეშმარიტებისაკენ. დეე, ბორკილები უჭედოს მან ყოველისფერს, ისევე ადამიანი დაამსხვრევს ამ ბორკილებს და უკვდავ ჭეშმარიტებას ქვეყნად გაამეფებს!

მართლაც, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, როდესაც მე თვალს გადავავლებ განვლილ ისტორიულ გზას და ვხედავ, რომ ის მთლად სისხლით არის მორწყული და მსხვერპლით დაფარული, გულის სიღრმიდან მწარე ოხვრა აღმომხდება ხოლმე; რად გაჩნდა, რად ადამიანი ამგვარი? მან ყოველისფერი შებორკა,—ყოველისფერს კლიტე დაადვა. თავისუფალი გრძნობა, თავისუფალი აზრი, თავისუფალი ცხოვრება მუხრუჭებში მოაქცია და, მაშინ, როდესაც მას შეეძლო სამოთხის დამყარება, ჯოჯოხეთი დაამკვიდრა.

მაგრამ მე როდესაც ვითვალისწინებ, რომ ისევე ადამიანი ამ-

სხვრევს ამ ბორკილებს, რომელსაც მე ვხედავ, რომ ისევ ადამიანი ათავისუფლებს თავის გრძნობას, თავის აზრს, მთელ თავის ცხოვრებას და ამგვარად, თუმცა ნელის, მაგრამ შეუჩერებელი ნაბიჯით მიისწრაფვის უკვდავი ჭეშმარიტებისაკენ, გული იმედით მევსება და თავს ვეუბნები: დეე, ცხოვრება მძიმე ბრძოლა იყოს, მწარე ბრძოლა, პატიოსანი მებრძოლნი ნუ გამოილევიან და უკვდავი ჭეშმარიტება, ბოლოსაც არის, გაიმარჯვებს, მწარე სინამდვილის ნანგრევებზე ის ტახტს დაიდგამს და საიმედო კეთილდღეობის დროშას აფრიალებს.

თქვენს წინაშე, მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, ერთი ამგვარი მებრძოლთაგანია...

მაყვალა ებრძოდა მთელი თავისი არსებით ადამიანთა მიერ შექმნილ უსამართლობას; თავისი ნაზი ხელებით ის ამსხვრევდა იმ ბორკილებს, რომლებიც ადამიანს თავისი გრძნობისათვის, თავისი გულისათვის დაუდვია.

არის ისეთი რამ ცხოვრებაში და ადამიანის გუნებაში, რასაც ბორკილები ვერას ავნებს, ზიანს ვერ აყენებს, მაგრამ არის ისეთიც, რაც ბორკილებისათვის მეტად ნაზი, მეტად ფაქიზია და ყოველგვარ შებორკვას, დაბრკოლებას მსხვერპლით აძლევს პასუხს.

ამგვარი მსხვერპლი ყოველთვის და ყველგან სიბრალულს იწვევს. რა დანაშაულობაც უნდა მიუძღოდეს მას, მიტევების ღირსია, რადგანაც ქვეყნად არ არის ისეთი ცოდვა, ისეთი დანაშაულობა, რაც მსხვერპლით არ გამოისყიდებოდეს.

ადამიანის გრძნობათა შორის სიყვარულია, რომელიც ბორკილებს არ ემორჩილება, რომელიც ყოველგვარ ბორკილებშიც კი მაინც თავისუფალი რჩებოდა. როდესაც საზოგადოება ან ადამიანი ცდილობს ამ გრძნობის მონად ქცევას, სიყვარული მსხვერპლით თავდება.

აი, სწორედ ამგვარი მსხვერპლია მაყვალა, მსხვერპლი უწმინდესი, უმაღლესი გრძნობის — სიყვარულისა.

თქვენს წინაშე, ნაფიცნო მსაჯულნო და მოსამართლენო, დგას ახალგაზრდა ქალი, რომლის მთელი ცხოვრება, თხუთმეტი წლიდან მოკიდებული, მხოლოდ დაუსრულებელი ტანჯვა-წვალება იყო. თუ ნაგის ბნელს შხამითა და ნაღვლით სავსე ცხოვრებაში მხოლოდ ერთი წუთით შემოუშუქებია სხივს ბედნიერებისა და ნეტარებისას, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ეს ბედისაგან განწირული არსება, წლობით დატანჯულიყო, წლობით წამებულიყო.

თქვენს წინაშე დგას ქალი, რომელსაც ბუნებამ ყველაფერი მისცა, რათა ბედნიერი ყოფილიყო: გარეგანი სიმშვენიერე, მტკიცე

ხასიათი, პატიოსნებითა და სიკეთით აღვსილი გული და წრფელი წმინდა. ანკარა, ძლიერი გრძნობა სიყვარულისა.

თავისუფალი კლდეების თავისუფალი ქალი თითქოს დაბადებული იყო იმისათვის, რომ ცხოვრების ბაღში მარტო ვარდები ეკრიფა. ცხოვრების მეჯლისში მარტო ნექტარი ესვა. ბედმა კი, ანუ უფრო, კაცთა ვერაგობამ, ისე მოაწყო მისი ცხოვრება, რომ ეგ მხოლოდ ეკალსა კრეფდა, ნექტარის მაგიერ შხამსა და ძიმწარეს სვამდა და ბედნიერების ნაცვლად დაუსრულებელ ტანჯვას მოიმკიდა. ჩაუკვირდით ნაფიცნო მსაჯულნო, მის თვალებს. განა რაში, რაში უნდა დამდოთ ბრალი, წაიკითხავთ შიგ, ნუთუ იმაში, რომ მე ძალით გამათხოვეს თხუთმეტი წლისა?

განა რისთვის უნდა გამკიცხოთ? ნუთუ იმისათვის, რომ ვერ შევიყვარე კაცი, რომელთანაც წრფელმა გრძნობამ კი არ შემაერთა, არამედ — კაცთა ძალადობამ?

რაში მდებთ ბრალს? ნუთუ იმაში, რომ ჩემს გულში გრძნობამ წრფელი სიყვარულის ტახტი დაიდგა?

ან იქნებ იმაში, რომ ეს გრძნობა სიყვარულისა ვერ ამოვირეცხე, ვერ ამოვიშალე ჩემი გულიდანო?

აი, რას გვეუბნება, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, — მრავალტანჯული მაყვალას თვალები, და მართლაც ამ მხრივ არათუ არაფერია საბრალმდებელო, პირიქით, მაყვალა სრული თანაგრძნობის ღირსია.

ქალი გაათხოვეს ძალით, მხედველობაში არ მიიღეს მისი გულისთქმა, ფეხქვეშ გათელეს მისი წრფელი გრძნობა, — თანაგრძნობის მეტი რა გვმართებს, ვინ იქნება ჩვენში ასეთი გულქვა?

მას უყვარდა მთელი თავისი ახალგაზრდა გულით, მთელი თავისი უმანკოებით, მთელი თავისი ახალგაზრდული სასოებით. თანაგრძნობის მეტი ვის რა გვმართებს, განა ვინ იქნება ასეთი გულქვა?

მან ვერ სძლია სიყვარული, ვერ ამოიგლიჯა გულიდან ეს გრძნობა. განა აქ რომელი თქვენგანი დასდებს მას ბრალს?

ან კი რად უნდა ამოეგლიჯა გულიდან ეს გრძნობა? ნუთუ სიყვარული ღირსი არ არის იმისა, რომ მას სრული თავისუფლება ჰქონდეს დათმობილი ადამიანის გულში? ადამიანთა საზოგადოებაში არ არის არაფერი, რისთვისაც სიყვარული, ეს უწმინდესი, უმშვენიერესი გრძნობა ადამიანისა, საზიანო იყოს, სიყვარული თავისუფალი უნდა იყოს და ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც მას წინ ეღობება, მარტო პიროვნებისათვის კი არ არის საზარალო, არამედ — მთელი საზოგადოებისათვის. მაყვალას სიყვარული შებორკეს, შეზღუდეს, აწამეს, ჯვარს აცვეს.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენ უნდა გვითხრათ: სამართლიანად მოექცნენ მას, თუ უსამართლოდ. თქვენ უნდა გვითხრათ: ვის მხარეზეა ჭეშმარიტება, — მაყვალას მხარეზე, თუ იმათ მხარეზე, ვინც მაყვალას სიყვარული ფეხქვეშ გათელა. რა დანაშაულიც უნდა მიუძღოდეს მაყვალას თქვენს თვალში, ნაფიცნო მსაჯულნო, მაინც თანაგრძნობის ღირსია, რადგან მას ამოქმედებდა წმინდა გრძნობა სიყვარულისა, სიყვარულს კი ყველაფრის გამოსყიდვა შეუძლია, რა დანაშაულიც უნდა მიუძღოდეს ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენს თვალში მაყვალას, მას თქვენ ვერ გაჰკიცხავთ, — მთელი თავისი ახალგაზრდობა, მთელი თავისი ბედნიერება, მთელი თავისი გრძნობანი მან მსხვერპლად შესწირა და თქვენ დამისახელეთ ისეთი დანაშაული მაყვალას მოქმედებაში, რის გამოსყიდვაც ამისთანა მსხვერპლს არ შეეძლოს.

რატომ ყოველი ღონე არ იღონა მაყვალამ, რომ არ მისთხოვებოდა იმ კაცს, რომელიც მას არ უყვარდაო, ამბობს ერთი მუხლი ბრალდებისა. ნუ დაგავიწყდებათ, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, რომ მაყვალა თხუთმეტი წლისა გაათხოვეს. მთაში ქალი უფრო მალე ვითარდებაო, გეუბნებათ ბრალმდებელი, მაგრამ რა განვითარებულიც უნდა იყოს თხუთმეტი წლის ქალი, მას მაინც ვერ მოსთხოვთ იმდენ გამჭრიახობას და სიმტკიცეს, რაც ხასიათდადინჯებულ, გონებადამჯდარ ადამიანს მოეთხოვება. თხუთმეტი წლის მაყვალამ გაბედა და უთხრა გელას: მე შენ არ მიყვარხარ, სხვა მიყვარს, ნუ გინდა ჩემი შერთვაო, მაგრამ მას ძალა დაატანეს, მას მოერივნენ. ონისე რომ მთაში არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, რომ მასთან გაიქცეოდა. ქალთან ვინც იყო, მას ყველა ძალას ატანდა. რა უნდა ექნა? არა, თქვენ ამისათვის ვერ გაკიცხავთ მაყვალას, მით უმეტეს ვერ გაკიცხავთ, რომ მაყვალა პირველ ხანებში შეურიგდა ბედს, მას სულითა და გულით უნდოდა ჭეშმარიტი ცოლი ყოფილიყო გელასი, შეეყვარებია გელა, მაგრამ გელამ ყოველი ღონე იღონა, რომ მათ შორის ცოლ-ქმრული ანგარიში არ შეკრულიყო.

თუ მაყვალა გელას გაშორდა, ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მაყვალამ საკმაო საშუალება არ იხმარა, რათა გელას არ გაყოლოდა, არამედ გელას მოქმედება, გელას ხასიათი, გელას გარყვნილი ბუნება.

მაყვალას ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მომენტია, როდესაც მან, პირველი შეხედვით, ვერ გამოიჩინა საკმაო სისპეტაკე ზნეობისა. ეს გახლავთ მომენტი, რომელზედაც მიგითითათ ბრალმდებელმა. მაყვა-

ლა ქმრის ოჯახში ცხოვრობდა და ამავე დროს მთელი თავისი არსებით, მთელი სულითა და ხორცით იმ დღიდან, რა დღესაც მაყვალა ონისეს ცოლად შეუერთდა, უნდა გაშორებოდა ქმრის სახლს, ამას მოითხოვდა ზნეობა, ამას მოითხოვდა სიყვარულის სიწმინდე. მაგრამ, ნაფიცნო მსაჯულნო და მოსამართლენო! გაითვალისწინეთ მაყვალას მთელი ცხოვრება. მისი ცხოვრება მარტო ტანჯვა კი არ იყო, წამება იყო, მისი ადამიანობის, მისი ყმაწვილქალობის ფეხქვეშ საზიზღრად გათელვა. მოიგონეთ მისი ქმარი გელა, ეს ვნებით, სქესობრივი ჟინით სავსე ადამიანი, რომელიც მაყვალაში მხოლოდ სქესს ხედავდა, მეტს არაფერს და თავისი კოცნითაც კი შეურაცყოფას აყენებდა. ყმაწვილი ქალის გული წმინდა სიყვარულისაკენ მიისწრაფვოდა, ქმრის ვნებით ამღვრეული თვალები კი ყოველთვის ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ: მე შენში ვხედავ მხოლოდ ჩემი ჟინის მოსაკლავ სქესობრივ მანქანას და სხვას არაფერსო, და მაშინ თქვენთვის ცხადი იქნება მაყვალას უკანასკნელი თავდავიწყებაც.

მაყვალას ბნელ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შემოაშუქა ნეტარების სხივმა და მაყვალა გაჰყვა ამ სხივს, გაენდო გულისთქმას. ნუთუ ეს სრულებით ბუნებრივი არ არის, იმდენადვე ბუნებრივი, როგორც ძილი ძლიერი დაქანცულობის შემდეგ?

ეს ერთადერთი მომენტი მაყვალას ცხოვრებაში სიზმარი იყო. შშვენიერი, მომხიბვლელი სიზმარი. ნუთუ თქვენ გაკიცხავთ მაყვალას მხოლოდ იმისათვის, რომ მას სიზმარში აღარ გაახსენდა სინამდვილე და მერე რა სინამდვილე? რომელიც მას მხოლოდ ძირმწარესა და შხამს ასმევდა, რომელიც მის ადამიანობას ფეხქვეშ სთელავდა? თქვენ ასწონით ყველა გარემოებას. ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, და მიუტევებთ მაყვალას ამ აუცილებელ თავდავიწყებას.

მაყვალამ მიღალატაო, გარწმუნებთ გელა.

მაყვალას ამგვარ მოქმედებას შედეგად მოჰყვა გელას ოჯახის დაღუპვაო. გეუბნებათ საბრალმდებლო ოქმი.

მე კი გეტყვით, რომ მაყვალას ქმრისათვის არ უღალატნია, რადგანაც მას ქმარი არ ჰყოლია; მაყვალას ოჯახი არ დაუღუპავს, რადგანაც მას ოჯახი არ აქონია.

მაშ, ვინ იყო გელა? ყველაფერი, რაც გინდათ და ვინც გინდათ, ხოლო გელა ქმარი არა ყოფილა, და თუ თქვენ მაინც ქმარს უწოდებთ გელას, ისიც მიბრძანეთ, რომელ თქვენთაგანს არ შერცხვება ამის შემდეგ ქმრის სახელის ტარებისა?

რა არის ქმარი? ის არის ამხანაგი, ის არის მეუღლე, ის არის ტოლი. რით, როდის, რაში დაამტკიცა, რით გამოხატა გელამ, რომ

ის მაყვალას ამხანაგი, მაყვალას ტოლი იყო? იქნება იმით, რომ ძალადობით შეირთო მაყვალა? იქნებ იმით, რომ მაყვალა გაშორდა გელას და გელამ მაინც ძალით მოიყვანა? ან იქნებ იმით, რომ ამხანაგური მოპყრობის ნაცვლად გელა ბატონად გაუხდა ცოლს და აწვალებდა, ატირებდა? რა არის ღალატი ცოლ-ქმარს შორის? ჭეშმარიტი ცოლ-ქმრობა ნებაყოფლობითი, ძალდაუტანებელი კავშირია. ამგვარი კავშირი გულისხმობს საურთიერთო პირობას ერთგულებისას. როდესაც ეს პირობა ირღვევა, იშლება კავშირიც. აი, ეს არის ღალატი. იქ, საცა კავშირი არ ყოფილა ნებაყოფლობით შეკრული და პირობა შეთანხმებით დადებული, არავითარ ღალატზე არ შეიძლება ლაპარაკი.

რა ნებაყოფლობითმა კავშირმა შეაერთა მაყვალა და გელა? როდის ან რომელ ერთგულებაზე შეჰფიცეს მათ ერთიმეორეს?

გელამ იცოდა. რომ მაყვალას ის არ უყვარდა: გელამ იცოდა, რომ მაყვალას გული სხვას ეკუთვნოდა და მაინც შეირთო მაყვალა; ეს არის ცოლქმრული კავშირი? არა, არა და არა! მაშასადამე, ვერც მაყვალას მოქმედებას ვუწოდებთ ღალატს!

მიუხედავად იმისა, რომ მაყვალა ძალით მისცეს გელას, მაყვალა მაინც არ გადადგამდა იმ ნაბიჯს, რა ნაბიჯიც გადადგა, რომ გელა მოქცეოდა მას ადამიანურად, მაგრამ გელამ თავისი სახლი საროსკიპოდ გადააქცია. გელა ისე ეპყრობოდა მაყვალას, როგორც როსკიპს და თუ ამგვარ კაცს მაყვალა გაშორდა, ეს ღალატია?

გელამ უღალატა ადამიანობას, გელამ ჩირქი მოსცხო ყველა ქმარს, გელამ შეარცხვინა ყველა მამაკაცი — აი, ის უნდა გააკრათ სამარცხვინო ბოძზე, რომ ხედავდეს ყველა, თუ როგორი არ უნდა იყოს ქმარი და მაყვალა კი... მაყვალა ღირსია, ათასჯერ ღირსია, რომ ვუთხრათ: ვაშა შენს სულგრძელობას, ვაშა შენს მოთმენასო!

მაყვალამ თურმე ოჯახი დაღუპა, დაარღვია! მაგრამ მიჩვენეთ, სად იყო ეს ოჯახი? როცა კითხვა შეეხება ცოლქმრობას, მაშინ ოჯახი არის საძირკველი, ორი თანასწორი, ტოლი ადამიანის კავშირით გასკვნილი და სიყვარულზე დამყარებული. გელას ოჯახი განა ამგვარი ოჯახი იყო? არა, ის იყო აშენებული ძალმომრეობაზე, უსამართლობაზე, ქალის დამონებაზე, პიროვნების ფეხქვეშ გათელვაზე, წმინდა სიყვარულის აბუჩად აგდებაზე, საროსკიპო ზნე-ჩვეულებაზე! და თუ მაყვალამ დაანგრია ამგვარი ოჯახი, მართლაც რომ ვაშა მის ქალობას! ოო, როგორ გავიწმინდებოდით, როგორ ავმაღლდებოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ამგვარი ოჯახი დაინგრეოდეს! ამგვარები კი ჯერ ბევრია!

ნუ გამრისხავთ, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო,

და დღეს, როცა ქალი ყოველგვარ უფლებებს მოკლებულია, განა ყოველი ოჯახი სულ ცოტათი მაინც, სულ მცირე პატარა საროსკიპოს არ წააგავს?

და მანამ, სანამ ქალი სრულუფლებიანი ადამიანი არ გახდება, არც ერთ ჩვენგანს უფლება არა აქვს, თქვას: ოჯახი მაქვსო, მაშ, გელას, იმ გელას, რომელიც ქალს მხოლოდ მამლის თვალით უყურებს. რომელსაც საროსკიპოს ზნე-ჩვეულებები შინ შემოჰქონდა, ამ გელას რა უფლება აქვს თქვას, ოჯახი მქონდა და ეს ოჯახი მაყვალამ დამიქციაო? არა. მას არ ჰქონია ოჯახი! მან არც კი იცის, თუ რა არის, რას ეწოდება ოჯახი. მას ოჯახი სახლი ჰგონია, საცა ცოლ-ქმარი საჭმელსა სჭამს, საცა ცოლ-ქმარს სძინავს! მაყვალას თავგადასავალში, ნაფიცნო მსაჯულნო და მოსამართლენო, ფარდა ეხდება მთელი ისტორიის საშინელ უსამართლობას, კაცობრიობის საშინელ იარას.

რა არის ეს იარა? რაში მდგომარეობს ეს უსამართლობა? — ქალის უფლებათა უარყოფაში.

მთელი ისტორიული ცხოვრების გზაზე ქალი გაჰკივის: მე იმგვარივე ადამიანი ვარ, როგორც მამაკაცი, მეც მეკუთვნის ცხოვრებაში ყველა ის უფლება, რაც მამაკაცსო და ჩვენ კი ეს ხმა ან არ გვესმის, და თუ გვესმის, მაინცადამაინც არ ვცდილობთ, რომ ქალის კანონიერმა გულისკვნესამ დაკმაყოფილება მოიპოვოს.

გელამ ფეხქვეშ გათელა მაყვალას ყველა ადამიანური უფლებანი და გამოაცხადა: ქალის ერთადერთი მოვალეობა მხოლოდ მორჩილებაა, მისი ერთადერთი უფლება მონობაა.

და როდესაც თემი გელას წინ აღუდგა, გელამ კანონს მიმართა, კანონით განამტკიცა მთელი თავისი მოქმედება მაყვალას მიმართ. ამიტომ მაყვალას საქმე მარტო მაყვალასი კი არ არის, არამედ ყველა ქალებისა. თქვენს წინაშე დგას, ერთი მხრით, გელა და მისი კანონი, მეორე მხრით, მაყვალა და მისი ტანჯული გული. პირველნი გეუბნებიან: ქალი მამაკაცის სწორი არ არის და არც იქნება, ის მონაა მამაკაცისაო და მონადვე უნდა დარჩესო.

მეორე კი გეუბნებათ: ქალი იმგვარივე ადამიანია, როგორც მამაკაცი და არ არის არც ერთი უფლება, რაც მამაკაცს უნდა ეკუთვნოდეს და ქალს კი არაო.

პირველნი გვეუბნებიან: თავისუფალი სიყვარული შეუძლებელია, ჩვენ არ გვინდა, არ გვსურსო. მეორე კი გვეუბნება: სიყვარული მხოლოდ თავისუფალი შეიძლება, — ბორკილები მას არ დაედებისო.

თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, უნდა გა-

დაწყვიტოთ ეს საკითხი, თქვენ უნდა აგვიხსნათ, საით არის ჭეშმარიტება: გელასა და მისი კანონებისაკენ, თუ მაყვალასაკენ.

თქვენ უნდა გვითხრათ: მართლა მონაა ქალი, თუ ის თავისუფალი ადამიანია: თქვენ უნდა გვითხრათ: ქალი უფლებრივად გათვალისწინებული უნდა იყოს მამაკაცთან თუ არა? ბორკილებში უნდა იყოს ჩაჭედილი სიყვარული, თუ მას თავისუფალი გზა უნდა ჰქონდეს დათმობილი. და თუ საზოგადოების აზრი თქვენი გადაწყვეტილებით ერთხელ კიდევ გაახარხარებს გელასა და მის კანონს, „დედამიწა მაინც ბრუნავს“, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, და შორს აღარ არის ის დრო, როცა ჰაერს გაარღვევს შემდეგი ხმა: „გაუმარჯოს თავისუფალ ქალს — ადამიანს და მის თავისუფალ სიყვარულსო“.

1910 წ.

გიორგი სააკაძე

(სიტყვა, წარმოთქმული სახალხო სახლში, გიორგი სააკაძის გასამართლებაზე)

ბ. მოსამართლენო და მსაჯულნო!

თქვენ დღეს წილად გხვდათ მეტად მძიმე და რთული საკითხის გადაჭრა. თქვენს წინაშე დგას ადამიანი, რომელსაც ჩვენი მრავალტანჯული ერის ისტორიამ დიდი მოურავის სახელი უწოდა. და აი თქვენ უნდა გვითხრათ დღეს გადაჭრით: მთელი მოღვაწეობა იმ ადამიანისა სამშობლო ქვეყნის ასპარეზზე ჭეშმარიტება იყო თუ სიყალბე, კეთილი თუ ბოროტი, ქვეყნის საკეთილდღეოდ თუ დასაღუპავად მიმართული. გაიხსენეთ, ბატონებო, პილატეს კითხვა: რა არის ჭეშმარიტებაო.

ორი ათასმა წელმა განვლო მას აქეთ; შეგნებული ადამიანი წინათაც და ამ ხნის განმავლობაში მუდამ ეკითხებოდა თავის თავს: რა არის ჭეშმარიტებაო, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ჯერ არავის არა სმენია.

და მართლაც, ბ. მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! რა არის ჭეშმარიტება, რა არის სიყალბე? რა არის კეთილი და ბოროტი? რა არის წასაბაძი ან რაა დასაგმობი, გასაკიცხი?

თუ ყველა ამ ცნებებს გამოჰყოფთ, გამოაცალკევებთ ცხოვრებიდან, მიიღებთ მხოლოდ უშინაარსო სიტყვებს.

რატომ? იმიტომ, რომ აზრს, შინაარსს ყველა ამგვარ ცნებებს თვით ცხოვრება აძლევს.

ცხოვრების გარეშე ჭეშმარიტება და სიყალბე, კეთილი და ბოროტი, კარგი და ავი არ არსებობენ, — ყოველივე ეს თვით ცხოვრების პირობებში ისახება და ვითარდება.

ამიტომ, როდესაც გვინდა ადამიანის მოქმედებას ფასი დავდოთ, უნდა ვიცოდეთ პირობები ამ მოქმედებისა, ე. ი. უნდა გავიცნოთ, ერთი მხრით, თვით ისტორიული გარემო, რომელშიაც ის მოღვაწეობდა.

არავითარი მოქმედება ადამიანისა თავისთავად, ცხოვრების პირობების გარეშე, არც კარგია, არც ცუდი, არც კეთილი, არც ბოროტი. ყოველ მოქმედებას. ყოველ ნაბიჯს ადამიანისას თვით ცხოვრება ასვამს ბეჭედს. მივმართოთ სულ უბრალო მაგალითს: როსკიპობა საზიზღარი, საძაგელი რამ არის, მაგრამ რომელი თქვენგანი აიღებს ქვას იმ დედის ჩასაქოლად, რომელიც თავის სხეულსა ჰყიდის, რათა უსუსური ბავშვები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს, როდესაც მას სხვა გზა აღარ დარჩენია რა?

მკვლელობაზე უსაშინელესი დანაშაული მე ვერ წარმომიდგენია. ვისა აქვს უფლება, თავის მსგავს არსებას სიცოცხლე მოუსპოს? არავის. მკვლელი ღირსია ზიზღისა, ჩაქოლვისა. მაგრამ განა თქვენ არ იცით ისეთი მაგალითები, როცა ხალხი მკვლელს ამართლებს? და არათუ ამართლებს, ადიდებს კიდეც, ქებას ასხამს?

ბატონებო! საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის დასაფასებლად ზოგადი, ერთხელ და სამუდამოდ გამოჭრილი საზომი არ არსებობს, — ის, რაც ერთ პირობებში გასაკიცხია, მეორეში შეიძლება სანაქებოც გახდეს.

მე მინდა, მე გთხოვთ, ბ. მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, ყოველივე ეს გაითვალისწინოთ, როცა თათბირი გექნებათ გიორგი სააკაძის მთელი მოღვაწეობის შესახებ.

ბ. მოსამართლენო, თქვენს წინაშე რომ იდგეს ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის მთელი მოღვაწეობაც ჩვეულებრივ პირობებში გაშლილიყოს, მაშინ მე პირველი დავეთანხმები ბ. ბრალმდებლებს. მოგახსენებდით: დიახ, გიორგი სააკაძე დამნაშავეა-მეთქი.

მაგრამ, ბ. მოსამართლენო, თქვენ წინაშე არის ადამიანი არაჩვეულებრივი, მთელი მაგისი მოღვაწეობა სწარმოებდა არა ჩვეულებრივს პირობებში.

ამგვარ შემთხვევაში მეტი სიფრთხილე, ასჯერ გაზომვა უალაგო არ არის.

თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, ბ. მოსამართლენო, რომ არაჩვეულებრივ შემთხვევაში ზოგჯერ სათაყვანებელია ისეთი მოქმედება, რომლის სახელიც ჩვეულებრივ დროს მხოლოდ დანაშაულია. არაჩვეულებრივ შემთხვევაში ზოგჯერ ადამიანი არათუ იძულებული, ვალდებულია დაადგეს ისეთ გზას, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში უარსაყოფია.

საქმე მხოლოდ ისაა, თუ ვინ რისთვის, რა მიზნისათვის ირჩევს ასეთ გზას.

— ეჰე! მიზანი შენს თვალში ყოველგვარ საშუალებას ამართლებს? — შეიძლება გამკიცხოთ, მაგრამ არა, ბატონებო, მიზანი არ

ამართლებს ყოველგვარ საშუალებას. ხოლო როდესაც ყველა „რიგიანი“ საშუალება უქმია და უნაყოფო, უკიდურესი საშუალების ხმარებაც ეპატიება მაშინ იმ ადამიანს, ვინც უმაღლეს მიზანს ახორციელებს.

რომ ჩაუკვირდეთ, ბ. მოსამართლენო, საზოგადოებას, ორგვარი ბუნების პირებს შენიშნავთ.

ერთის მთელი მსოფლიო, მთელი მარადისობა მისი საკუთარი ოჯახია.

თუ ის და მისი ოჯახი კარგა იქმნენ, სხვა მას არაფერი ადარდებს. არაფერი აფიქრებს. ქვეყნის ვარამი, ქვეყნის მხიარულება იმის გულს არა სწვდება; მისი ოცნება საკუთარ კერას არ გასცილდება. მისი სურვილები საკუთარ კეთილდღეობას. დეე, მთელი ქვეყანა უბედური იყოს, რას დაეძებ, ოღონდ მე ვიყო ბედნიერიო, — აი. მისი სულთასწრაფვა.

ბედნიერიო. გაიგონებთ ამგვარი ადამიანის შესახებ, მაგრამ, ბ. მოსამართლენო, ეს არის პირუტყვული, ზოოლოგიური ბედნიერება და მთელი კაცობრიობა რომ ასეთ ბედნიერთაგან შედგებოდეს. ცხოვრება ჩირად არ ეღირებოდა და ადამიანი დამპალ პანტად.

მეორე ადამიანის მთელი ოცნება მთელი საზოგადოების, მთელი ერის, მთელი კაცობრიობის გარშემო ტრიალებს; მთელი ერის ბედნიერება მისი საკუთარი ბედნიერებაა. მისი პირადი ბედნიერება გათქვეფილა საზოგადო ბედნიერებაში; პირადი ბედნიერება და პირადი უბედურება მისთვის არ არსებობს.

შეუძლებელია ბედნიერი ვიყო იქ, საცა ჩემს გარშემო უმრავლესობა უბედურიაო, ფიქრობს ის მუდამ. უბედური, სულელი, გაიგონებთ ამგვარი პირების შესახებ. მაგრამ არა, ბ. მოსამართლენო. უმაღლეს, უზენაეს ბედნიერებას მხოლოდ ესენი ეწაფებიან. პირად ცხოვრებაში ისინი უბედურნი არიან, იმათ სდევნიან, აწამებენ, სტანჯავენ, ხოცავენ. მაგრამ მარილს კაცობრიობისას მხოლოდ ესენი შეადგენენ. და ამგვარი პირები რომ არ ევლინებოდეს დროდადრო კაცობრიობას. ცხოვრება ერთ ფურთხად არ ეღირებოდა.

ამგვარ პირებს ჩვენ ვაღმერთებთ და როცა გულში უიმედობა დაისადგურებს. ამგვარი პირების სურათი და მოგონება ხელახალი იმედებით გვავსებს, გვაფრთოვანებს და წინ, უკეთესი მერმისისაკენ გვეზიდება.

და თვით ცხოვრება განა რა არის, თუარ მისწრაფება უკეთესისადმი! ამ უკანასკნელ პირთა გუნდს ეკუთვნის დიდი მოურავიც.

მაგისთვის არათუ ბედნიერება, პირადი სიცოცხლეც არ არსებობს.

უმაღლესი ბედნიერება ეს სიცოცხლეა; როდესაც გრძნობ, რომ შენ შეგნებული წევრი ხარ მსოფლიოსი, ეს უმაღლესი ნეტარებაა; მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არსებობს დიდი მოურავისათვის.

მაგისათვის არსებობს მხოლოდ სამშობლო, მთელი ქართველი ერი.

არათუ პირად ბედნიერებას. პირად სიცოცხლეს გასწირავს ეგ მთელი ერის კეთილდღეობისათვის.

პირად ცხოვრებაში მამას შვილზე — პაატაზე უძვირფასესი არავინ გააჩნია. მთელი იმედები პაატაზე აქვს დამყარებული, მაგრამ როცა მთელი ერის კეთილდღეობა ითხოვს პაატას სიკვდილს, ეგ ჰკლავს თავის საყვარელს, თავის უძვირფასესს.

როგორც მამა, ეგ სტირის, ლოყებს იხოკავს, ხოლო როგორც ღირსეული ადამიანი, როგორც სათაყვანებელი შვილი ერისა, ამაყად ამბობს:

პაატა მთელს ერს ვერა ჰშობავს, მთელი ერი კი ბევრ პაატას ჰშობავსო.

თქვენ გეცოდინებათ ბევრი დიდებული აფორიზმები, მაგრამ ამაზე დიდებული, კი არა, ბ. მოსამართლენო.

არათუ პაატას, ცოლს, მეგობრებს, ნათესავებს, საკუთარს თავს გასწირავს დიდი მოურავი. თუკი ეს საჭიროა მამულის კეთილდღეობისათვის.

ვერ წარმოიდგენთ ვერავითარ მსხვერპლს, რის წინაშეც დიდი მოურავი გაჩერდეს, თუკი სხვა გზა არ ექნება სამშობლოს გადასარჩენად.

ნურავინ მეტყვის, ნურავინ გამაგონებს, რომ ეს გაუგებარია.

ვისაც თავისი ერი, ერი ბედნიერი კი არა, ტანჯული, მრავალტანჯული შეჰყვარებია, ვისაც სიყვარული, აი, აქ, გულში უგრძვნია, მისთვის გიორგის სულიერი განწყობილება ცხადია, ვითარცა ნათელი მზისა.

ცხოვრება გრძნობას მოკლებული, სიცოცხლე უსიყვარულოდ აუტანელი სამარეა, სიმახინჯეა.

და სამშობლოს სიყვარული განა უმაღლესი გრძნობა არ არის?

განა სამშობლო ღირსი არ არის სიყვარულისა? განა ადამიანი ვალდებული არ არის, სამშობლოს სიყვარულით ყოვლისფერი დაიკიწყოს, ყოვლისფერი სძლიოს და გადალახოს?

თქვენ მეტყვით, ეს გრძნობა გარყვნესო, თქვენ გამაჩუმებთ: ყოველ დაბალ ადამიანს სამშობლო აკერია ენაზეო.

თქვენ პირში ჩამჩრით: ყოველი უპატიოსნო სამშობლოს სიყვარულის სამოსელში ახვევს საკუთარ, პირად ინტერესებსო.

მეც გეტყვით: განა ამგვარი პირია დიდი მოურავი? განა ამგვარია ამისი სიყვარული სამშობლოისა?

ამან ხომ თავისი იმედი — პაატა საკუთარი ხელით ზვარაკად შესწირა საშობლოს საკუთრხეველზე?

განა ამაზე წმიდა, ამაზე უანგარო, ამაზე ღრმა, ამაზე ძლიერი სიყვარული არათუ სინამდვილეს, დიდებულის პოეტის უსაზღვრო ფანტაზიას კი შეუქმნია?

ჰო, წარსულიდან თქვენ იცით ერთი მაგალითი, როდესაც აბრამი ისააკს სწირავდა ღმერთს მსხვერპლად, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აბრამს ამოქმედებდა შიში ღვთისა, გიორგის კი სიყვარული სამშობლოსი.

ბ. მოსამართლენო, ასეთ ძლიერ სიყვარულს დაუპირდაპირეთ სამშობლოს მდგომარეობა, მისი მაშინდელი ბედ-იღბალი.

ჩვენი ფეოდალები სამშობლოს იდეის შეგნებას სრულებით მოკლებული იყვნენ. სამშობლო — ეს მე ვარ! — აი, რას ფიქრობდა და გრძნობდა ყოველი მათგანი.

ათასად დაქუცმაცებულ საქართველოს ისინი წურბელასავით სასიცოცხლო სისხლსა სწუწნიდნენ და სამარეს უმზადებდნენ. აკი კიდეც გაუთხარეს სამარე!

მეფე სათამაშო ბურთად ჰყავდათ ფეოდალებს გადაქცეული. საქართველოში მეფობდნენ შადიმანის მსგავსი ფეოდალები და არა მეფე.

ერთადერთი გიორგი სააკაძე იყო, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა სამშობლოს აწმყო და მომავალი, რომელიც სამშობლოს, ე. ი. მთელი ერის ინტერესს ყველაფერზე მაღლა აყენებდა.

თუ ათასად დაქსაქსული საქართველო არ გაერთიანდებოდა, მისი დაღუპვა აუცილებელი იყო. ამაში ღრმად დარწმუნებული იყო გიორგი სააკაძე და ამიტომ მისი უძლიერესი სურვილი იყო ამ დაქსაქსული საქართველოს გაერთიანება.

როგორ, რა გზით, რა საშუალებით?

ფეოდალები საქართველოს გაერთიანების მოსისხლე მტერნი იყვნენ, რადგანაც საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება ფეოდალების ალაგმვასა და მოსპობას მოასწავებდა. გლეხობა შიშით იყო დამონებული და შებოჭილი. ერთი სიტყვით, თვით ერში არ იყო ისეთი ძალა, რომელსაც შესძლებოდა დიდი მოურავის ზრახვათა განხორციელება. საშინელი ტრაგიზმი დიდი მოურავისა სწორედ აქ მდგომარეობს.

ერთი კაცი ლამობს საქართველოს გაერთიანებას მაშინ, როცა ყველა ძალის მქონე იმის წინააღმდეგ არის ამხედრებული; ერთ კაცს უნდა ბრძოლა ყველას წინააღმდეგ მაშინ, როცა ხუთ კაცს არც კი ესმის მისი სულისკვეთება, მისი დიდებული ზრახვანი.

ტიტანური მიზნის განსორციელებას ერთი კაცი კიდებს ხელს და ბ. ბრალმდებელი კიდევ კიცხავს: საშუალებათა არჩევაში სიფაქიზე აკლდაო.

დიდ მოურავს ან გულზე ხელები უნდა დაეკრიფა და ცალიერის სიტყვებით ენუგეშებია ქართველი ერი: ნუ გეშინია, მომავალი შენია და გულს ნუ გაიტეხო, როგორც ამას ურჩევს ერთი ბრალმდებელი, ან არადა საქმისათვის მიემართა.

მოურავმა სიტყვას საქმე არჩია და მიმართა სპარსეთს. რათა. რისთვის? საქართველოს ასაკლებად, როგორც ამას ბრალმდებელნი ამტკიცებენ? არა და ათასჯერ არა. იმათ ვერ იცვნეს დიდი მოურავი. სპარსელები საქართველოს დასარბევად კი არ წამოიყვანა გიორგი სააკაძემ, არამედ ქართველის მეფის წინააღმდეგ. ქართლის მეფე გიორგის აზრით საქართველოს დაღუპვას უქადდა და აი მას უნდოდა სპარსეთის დახმარებით ქართლის მეფე ტახტიდან გადაეგდო. რომ ქართლ-კახეთი გაეერთიანებინა.

გიორგი სააკაძეს მტერი ბევრი ჰყავდა და მათს ცილისწამებას თურმე დღესაც აქვს გასავალი.

შაჰ-აბასი სამჯერ შემოესია საქართველოს. პირველი შემოსევის დროს მართლაც თან ახლდა მას გიორგი სააკაძე, მაგრამ სწორედ გიორგი სააკაძემ გადაარჩინა საქართველო დარბევას. მეორედ კი შაჰ-აბასი აღარ ენდო გიორგის, მარტო შემოესია საქართველოს და ააოხრა კიდეც.

გიორგი თუ საქართველოს მტერი იყო, უნდა გახარებოდა კიდეც საქართველოს აკლება. მაგრამ მან შეკრიბა ქართველნი, ჩაჰბერა მათ ძლიერი სული თავგანწირულებისა და როცა სპარსელები მესამედ შემოესიენ საქართველოს, ისეთი დღე დააყენა მათ, რომლის მსგავსიც ისტორიამ ორი-სამი თუ იცის — მოსპო, მოსრისა სპარსეთის ჯარი.

ამას უძახით მოღალატეს, მამულის გამყიდველს?

ქართლ-კახეთი შეაერთა დიდმა მოურავმა. საჭირო იყო იმერეთის შემოერთება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის დიდმა მოურავმა ქართლელებსა და იმერლებს ერთმანეთის სისხლი დაალვრევინა.

სამოქალაქო ომი ფრიად სამწუხარო რამ არის, მაგრამ თუ სხვა

გზა არ იყო, ვაშა, დიდო მოურავო, რომ უკიდურეს ზომასაც არ დაერიდე მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

თუ ამ სამოქალაქო ომისაგან მოყენებულ ზარალს გვერდს დაუყენებთ იმ სარგებლობას, რაც შედეგად მოჰყვებოდა მთელი ქართველი ერისათვის ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანებას, დამეთანხმებით, რომ ქართლელებისა და იმერლებისაგან ერთმანეთის სისხლის დაღვრა სახსენებელი არ არის იქ, საცა საქმე მთელი ქართველი ერის ბედ-იღბალს, მთელი საქართველოს არსებობის საკითხს შეეხება.

ერთ თავის სიტყვაში რობესპიერმა სთქვა: ღმერთი რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოეგონებიათო.

ბატონებო! ამ სიტყვებში ღრმა ჭეშმარიტებაა დამარხული, დიდი ცოდნაა ხალხის ფსიქოლოგიისა.

სიცოცხლე ფუჭია და წარმავალი, ადამიანი სუსტი, უძლური. ბუნება კი უსაზღვრო და ძლიერი, ჩვენი ოცნება ფრთაგაშლილია. ჩვენი ძალ-ღონე კი მას ვერ სწვდება და როდესაც ადამიანი თავის არსებაში სანუგეშოს ვერასა ხედავს, სისრულეს, სიდიადეს თავის გარშემო ეძიებს და ჰპოებს ღმერთში, გმირებში.

განა ამირანი, ყარამანი არსებობდნენ როდისმე? არა. ესენი ხალხის სურვილმა, ხალხის ოცნებამ შექმნა.

განა შვეიცარიელებს მართლა ჰყავდათ ვილჰელმ ტელი? არა. ის მხოლოდ ხალხის ოცნებამ წარმოშობა.

ხალხს გმირები უნდა, ის გმირებს ეძებს და როცა ცხოვრებაში მათ ვერა ჰპოვებს, იგონებს, თვითონვე ჰქმნის მათ.

ჩვენ კი... ჭეშმარიტად ჩვენისთანა უბედური ერი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ჩვენ თვით ცხოვრებამ მოგვცა დიდებული გმირი გიორგი საკაძის სახით და ლამის ეგეც კი წუმპეში ამოვსვაროთ, თავს ლაფი დავასხათ.

ბატონებო! ორიოდე გმირი გაგვაჩნია და გავუფრთხილდეთ მათ. რომ ხალხმა სრულებით არ დაჰკარგოს იმედი უკეთესი მომავლისა.

დიდი მოურავი, ბატონო მოსამართლენო, გაკიცხვის ღირსი კი არ არის, სათაყვანებელია და მისი სახელი ნეტარ სახსენებელი.

ეგ ღირსია იმისა, რომ მისი სურათი ყოველი ქართველის ოჯახში ეკიდოს, რათა დედა შვილს მიუთითებდეს და ეუბნებოდეს: აი, ეს არის ის გიორგი საკაძე, რომელმაც თავისი ოჯახი, თავისი ქონება, თავისი კეთილდღეობა, თავისი სიცოცხლე და თავისი შვილი საქართველოს კეთილდღეობას ანაცვალაო.

მე კი ლოცვა რომ შემეძლოს, ყოველდღე ხელაპყრობილი შევევედრი ზეცას, გიორგი საკაძისთანა პირები ბლომად მოუვლინე ბედკრულ საქართველოს-მეთქი.

1912 წ.

შთაგეჰდილეგანი

ცხოვრებას და ისტორიას რომ ჩაუკვირდეთ, ერთ გარემოებას შენიშნავთ.

საზოგადოება დიდის პატივისცემით ეპყრობა იმ პირებს, ვისაც რაიმე თვალსაჩინო ტექნიკური აღმოჩენა ეკუთვნის, ხოლო აღმერთებს, თაყვანსა სცემს იმ პირებს, ვისაც პოეზიის დარგში შესანიშნავი ნაწარმოები შეუქმნია. აღმოჩენა საკაცობრიოდ რჩება, ხოლო აღმომჩენელის სახელი ხშირად დავიწყებას ეძლევა. გამოჩენილი პოეტის სახელი კი ყოველი ხალხის ყოველ შეგნებულ წევრს ახსოვს მარად.

უმეტესობას არ ახსოვს მათი სახელი, ვინც მოიგონა ორთქლის ქვაბი, გემი, მატარებელი, ტელეფონი და სხვ. ხოლო ჰომერისის, დანტეს, შექსპირისა, გოეთესი, შილერისა და სხვათა სახელი მათაც კი ახსოვთ, ვისაც უმეტესი ნაწილი მათი ნაწერისა არც წაუკითხავს.

ეს მოვლენა თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ მასში ღრმა აზრია ჩამარხული, ყველა დიდი ტექნიკური აღმოჩენა თავდაპირველად აუმჯობესებს ადამიანის ნივთიერ ცხოვრებას — კუჭს ემსახურება. საუკეთესო ნიმუში პოეზიისა კი აკეთილშობილებს ადამიანის ბუნებას — მის სულს ემსახურება.

რა არის აზრი არამცთუ ადამიანის ცხოვრებისა, მთელი მსოფლიოს არსებობისა?

სულის განვითარება — ადამიანის სულიერი ამაღლება.

სიცოცხლის მიზანი უმაღლესი შეგნების წარმოშობაა.

თვალი გადაავლეთ დედამიწის ისტორიას: უაზრო, შეუგნებელი ნივთიერებაში ისახება გრძნობა; გრძნობა ვითარდება სხვადასხვა ცხოველის სახით და შეგნებულად იქცევა ადამიანში. ადამიანის შეგნების განვითარებას კი საზღვარი არა აქვს.

საიდან წარმოიშვა დასაბამითვე სამყარო, არ ვიცი და არც ერთმა თქვენგანმა არ იცის. ხოლო საით მიდის მსოფლიოს განვითარება — ეს ჩემთვის ცხადია — უმაღლესი შეგნების წარმოშობისაკენ.

უმეტესი დრო ადამიანს ეხარჯება ფიზიკური არსებობის დაცვაში; უმეტეს დროს ის ხორციელ ზრუნვას ანდომებს; მაგრამ ის სტიქიურად, მთელი თავისი არსებით მიისწრაფვის სულიერი ამაღლებისკენ. ამიტომაც არ ივიწყებს და აღმერთებს იმ პირებს, რომლებიც მას სულიერად აღამაღლებენ. იმ პირებს კი, ვინც მის ნივთიერ ცხოვრებას აუმჯობესებს, პატივს სცემს, მაგრამ ხშირად ივიწყებს.

თქვენ ხომ ჰომიროსის სახელი არასოდეს არ დაგავიწყდებათ და განა იცით ვინმემ იმ ჰელინის სახელი, რომელმაც წყალში უქროობი ცეცხლი გამოიგონეს?!

სიცოცხლის მიზანი რომ სმა და ჭამა იყოს, განა ცხოვრება დაშპალ პანტად ეღირებოდა?

სიტკბოება სიცოცხლისა, მისი მიზანი, მისი უმაღლესი მოწოდება სულიერ ამაღლებაშია.

ჩვენ მიჯაჭვული ვართ დედამიწაზე, მაგრამ მაინც ვარსკვლავებს მივჩერებივართ, ვარსკვლავებისკენ მივისწრაფვით და ვაღმერთებთ იმ პირებს, ვინც ამ მისწრაფებას აღვივებს და აცხოველებს ჩვენში.

ადამიანის სულს ავითარებს, აკეთილშობილებს მშვენიერება — ამ სიტყვის ყოველმხრივი მნიშვნელობით.

თვითონ მთელი სამყარო გამოხატულებაა მშვენიერებისა. სული ადამიანისა მშვენიერებიდან არის ნაშობი.

პოეზია ნაწილია მშვენიერებისა და ადამიანის სულისათვის ის იმდენადვე არის საჭირო, რამდენადაც სხეულისათვის ჰაერი.

არათუ კერძო ადამიანის ცხოვრებაში, მთელი ერის ცხოვრებაშიაც პოეზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პოეზია აძლიერებს, ამაღლებს მთელი ერის სულს. მომავალი კი ძლიერი სულის მატარებელ ერს ეკუთვნის და არა ლაჩრებს, მონებს, სულით დაცემულებს.

რამდენჯერმე გულდასმით გადაიკითხეთ „ვეფხისტყაოსანი“ და დარწმუნდებით, რომ პოეზია წყაროა უმაღლესი სულიერი ნეტარებისა. სულიერი ნეტარების ხშირ განცდას კი შედეგად სულის ამაღლება მოსდევს.

ერი, რომელიც მდიდარია პოეზიით, ძლიერია სულითაც, ის მკვდარიც კი ცოცხლობს.

ერი — ღარიბი პოეზიით, სულიერადაც სუსტია. ამგვარი ერი ცოცხლადვე მკვდარია.

ბერძნები და რომაელები მოკვდნენ, მაგრამ ისინი ცოცხლობენ. ძლიერმა პოეზიამ განავითარა მათი ძლიერი სული, რომელიც დღეს მთელს განათლებულ კაცობრიობას თავს დასტრიალებს...

მეცხრამეტე საუკუნემ ჩვენს არსებობას საშინელი საფრთხე შეუქმნა, მაგრამ მანვე მოგვცა დიდებული პოეტები, რომლებმაც ჩვენი ერის სულიერი ამაღლება და გამაგრება მტკიცე ნიადაგზე დაამყარეს.

რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არ გვყავდეს ნ. ბარათაშვილი. ვახ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი!

დღეს კი ამ პირების წყალობით გაბედულად და თამამად შეგვიძლია ფეხი შევდგათ კულტურულ ერთა წრეში.

როდესაც გულს შავი ღრუბელი გადაეფარება და უიმედობა მოიცავს, გაიხსენეთ ეს პირობა და დარწმუნდებით: ის ერი, რომელსაც ეროვნული მაჯისცემის ვერაგულად, ავაზაკურად შეწყვეტის დროს, ასეთი შვილების წარმოშობა შეუძლია, არ მოკვდება.

დიდებულ მნათობს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის პოეზიისას ილ. ჭავჭავაძე წარმოადგენს.

ჭეშმარიტი სიდიადე ნამდვილი პოეტისა სიკვდილის შემდეგ აშკარავდება, როცა ის დაშორებულია.

არ შეგინიშნავთ განა? სიცოცხლეში რომელიმე პოეტი ბრწყინავს, დიდებული სახელი თან ახლავს მას, მოკვდება, განშორდება საზოგადოებას და ოდნავღა ბჟუტავს. სანამ ცოცხალი იყო, ბევრად მეტი ჩანდა, ვიდრე მის ნამდვილ ღირსებას შეეფერებოდა.

სულ სხვაა ილია.

ის სიცოცხლეშიაც დიდი იყო, სიკვდილის შემდეგ უდიდესი გახდა.

ის ცოცხალი დიდებული იყო.

სიკვდილის შემდეგ მისმა შუქმა ყოველივე დაჩრდილა. ასეთია ძალა დიდი ხელოვანისა.

ილია ჭავჭავაძე ნამდვილი ეროვნული პოეტია. ის არათუ „ყველგან, ყოველთვის, ფხიზლად თუ ძილში" თავის ბედკრულ საქართველოს დასტრიალებს. მისი ლუარსაბი, დარეჯანი, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, ჭრიაშვილი ტიპიური ქართველები არიან...

ამავე დროს ილია საკაცობრიო პოეტია, რადგანაც ის შეეხო ისეთ კითხვებს, ისეთ სამოქალაქო იდეალს, რომლებიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის.

ვისი იდეალია სრული თანასწორობა და შრომის სუფევა, რასაც ქადაგებს პოეტი?

ყველასი, მთელი კაცობრიობისა.

ილია ჭავჭავაძე მარტო პოეტი კი არ არის, ის პოეტი-ფილოსოფია. მასავით არავის არ ეხერხება ცხოვრებისა და ადამიანის გულის სიღრმეში ჩახედვა, დახახულისა და ნაგრძნობის ფილოსოფიუ-

რი განჭვრეტა. ის დიდებული მცოდნეა ცხოვრებისა და ადამიანის სულისა.

ზოგ-ზოგან ლექსთაწყობა ილიასი არც კი მოგეწონებათ, მაგრამ ყოველი მისი სიტყვა ჩაქუჩივით გვხვდება და გულის სიღრმემდე ატანს.

რატომ?

იმიტომ, რომ პოეტი სიტყვის ჭეშმარიტი მოქანდაკეა. მისი ყოველი სიტყვა თითქოს სალი კლდიდან არის გამოკვეთილი.

განა ჩვენი ცხოვრება დრამა არ არის? მაგრამ ქართველებს დრამის წერა არ გვეხერხება. კომედიები, ვოდევილები, ფარსები კი ჩვენი საქმეა.

ეს ადვილი ასახსნელია. დრამაში დიდი ზომიერებაა საჭირო, კომედიებში, ვოდოვილებში და ფარსებში გადაჭარბებაც უადგილო არ არის. ქართველი ადამიანი კი ბუნებით ზომიერებას მოკლებულია, მას ყველგან და ყველაფერში გადაჭარბება უყვარს.

ტიპიური ქართველი მწერალი ყაზბეგია. გადაჭარბება მას იმდენად უყვარს, ოომ მისგან აწერილი სურათი ბუნებისა სინამდვილეზე ბევრად უფრო მშვენიერია.

ილ. ჭავჭავაძე ამ მხრივ შეუდარებელია. სიდინჯე და ზომიერება ჭეშმარიტი ხელოვანისა აქვს.

აიღეთ მისი „განდეგილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“. აბა ამოშალეთ, ან გადასვით რომელიმე სიტყვა, ან სინონიმით შეცვალეთ, შეუძლებელია.

„ოთარაანთ ქვრივი“ დიდებული ნიმუშია სახელოვნო ზომიერებისა და სიდინჯისა.

ჭეშმარიტებაა, დიდებული პირები ისტორიას არა ქმნიან, მაგრამ ისტორიაც არ მიედინება დიდებული პირების დაუხმარებლად. ვარსკვლავი გზას არ ანათებს, მაგრამ ბნელს ღამეში კი გზას გააკვლევინებს ადამიანს, და გზადაბნეული მგზავრისათვის ხომ ერთი ვარსკვლავიც ხსნა არის.

განა მთელი ჩვენი ერი გზადაბნეული არ არის?

გარეშო საშინელ სიბნელეს მოუცავს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გაბურულ ცაზე ილია ანათებს.

საით გვინათებს ის გზას?

ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ჩვენ ყველანი პატარა ადამიანები ვართ, სულით უძლურნი, უიმედოხი, პატარა რამ გვახარებს, პატარა რამ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდებს.

ილია კი სულით ძლიერი იყო, შტკიცე, ვით სალი კლდე.

როგორც შვილს აწმყოისას თვალზე ცრემლი მოსდიოდა. რო-
გორც წინასწარმეტყველი მომავლისა, ამბობდა:

ჩემო ტურფა ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია!

ილიას, აკაკის და შოთას ნაწარმოებნი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იყოს და მათზე უნდა იზრდებოდეს ახალი თაობა. სამწუხაროდ, დღევანდლამდე ხეირიანი გამოცემაც კი არ მოგვეპოვებოდა ილიასი. დღეიდან კი ქართულ მწიგნობრობას ერთი საუცხოო გამოცემა შეემატება, — ილიას თხზულებათა პირველი ტომი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთშიაც არ იქნება უკეთესი გამოცემა.

ვის უნდა ვუმადლოდეთ?

ექიმ მიხ. გედევანიშვილს.

სად ექიმი, სად გამომცემლობა, არა მკითხველო?!

წარმოიდგინეთ, მეც ასე ვფიქრობდი.

როდესაც გავიგე, ექიმი მიხეილ გედევანიშვილი ილიას თხზულებათა გამოცემას აპირებსო, არ მწამდა, თუ ეს განზრახვა რიგიანად დაბოლავდებოდა:

სად ექიმი, სად ილიას თხზულებათა საუცხოო გამოცემა-მეთქი, ვფიქრობდი.

სინამდვილემ ყოვლისფერს გადააჭარბა და ჩემი ეჭვი სრულიად გააქარწყლა,- გაჰფანტა.

მართალია, ჯერ წიგნი გამოცემული არ არის და ამ ცოტა ხანში შეუდგებიან უკვე გამოცემას, მაგრამ, რაც დამზადებულია: ქაღალდი, შრიფტი, და განსაკუთრებით, სურათები, საკმარისია იმის აღსანიშნავად, თუ რა მშვენიერი წიგნი გამოვა.

ექიმმა მიხ. გედევანიშვილმა სწორედ სასწაული მოახდინა.

მან დაამტკიცა, რომ შრომასა და სიყვარულს ყოველისფერი შეუძლიან.

პოეტის სული იმის ნაწერებშია. ილიას სულიც იმის პოეზიაშია ჩაქსოვილი.

და როდესაც ქართველი საზოგადოება მიიღებს ილიას თხზულებათა პირველი ტომის საუცხოო გამოცემას, ეს დღე იქნება ჩვენი მწერლობისა და მწიგნობრობის ნამდვილი დღესასწაული.

1913 წ.

ჭალადიდელის პოეზია

ყოველი სახელოვნო ნაწარმოები ნაწილია პოეტის სულისა. მასში გამოკვეთილია ყოველივე, რასაც პოეტი იმ დროს ფიქრობდა და გრძნობდა. რაც მას აღელვებდა. ახარებდა და სევდასა ჰგვრიდა.

და რაც უფრო ძლიერია, თან მშვენიერი, ეს სული, მით უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს სახელოვნო ნაწარმოები.

ზოგჯერ მოხდება: პოეტის სული ლამაზია, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ნიჭი არ ახლავს თან, რომ შესაფერი ფერადები და სურათები გამონახოს. მაშინ პირველი შთაბეჭდილება ნაწარმოებისა სუსტია, მაგრამ რაც უფრო ჩავუკვირდებით მას, მით უფრო იშლება თქვენს თვალწინ და ცხადი ხდება პოეტის სულის სილამაზე, მისი პირადი ღირსებანი.

ჩვენი პოეზიის ცაზე ჭალადიდელის შემოქმედება მეტად მკრთალად ბჟუტავს. მაგრამ მასში ნათლად ისახება პოეტის სული და ამ მხრით არის ის საყურადღებო. ყოველი ლექსის მთხზველი პოეტად არ ითქმის.

პოეტია თუ არა ჭალადიდელი?

უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა ვერ გაგაკვირვებთ ენის სიმდიდრით და სილამაზით, მხატვრული სახეებისა და ფერადების შეწყობითა და მრავალგვარობით, აზრის ორიგინალობა-თავისებურობით, ან ფანტაზიის სიუხვით, მაგრამ არის შიგ ისეთი მარგალიტებიც, რომელთა შექმნა მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია. აიღეთ. მაგალითად. „მოგონება“ და „სიმღერა გარდახვეწილისა“. ამ ლექსების დაწერა შეუძლებელია, თუ ღვთიური ცეცხლი გულში არ ღვივის.

ჭალადიდელი აღიზარდა მესამოცე და მესამოცდაათე წლების მოწინავე აზროვნებაზე. მან შეისისხლხორცა ეს აზროვნება და თავის ნაწერებში გვეხატება მოწინავე რწმენა-აზრის პიროვნებად.

ძმობა, ერთობა, თანასწორობა, სიყვარული, — აი, რას ქადაგებს ის თავის პოეზიაში.

რა არის, პოეტის შეხედულებით, „ამსოფლიური დანიშნულება?“ — მოძმის დახმარება, — გვეუბნება თვითონ პოეტი ერთ-ერთ ლექსში.

ვინ არის მოძმე?

ყოველი ადამიანი, რომელსაც უჭირს. რომელიც ბედს გაუსწირავს და ადამიანს დაუჩაგრავს.

> და როცა შეგხვდეს კაცი ეძღერი,
> იცოდე, რომ ის შენი ძმა არის.

ვიც უნდა შეგხვდეს, — გინდ მტერი, გინდა მოყვარე, — ყველას სიყვარული უნდა მიუზღო მხოლოდ, ქადაგებს პოეტი. ამ კითხვაში პოეტი უკიდურესი იდეალისტია და ჭეშმარიტი ქრისტიანი.

> ნეტარ არს კაცი, რომელიც სოფელს
> და მის ტალღას არ შეპპუებია:
> თავისსა მტერსა და დაუნდობელს
> მეგობრულადა მიჰგებებია.

არც ერთ ადამიანს და მოღვაწეს, რა გენიოსიც უნდა იყოს ის, სამარადისო მნიშვნელობა არა აქვს, ბოლოს ყოველივე ქრება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ ყოველივე ამაო და ფუჭი იყოს; აწმყო წარსულის ნაყოფია და ამავე დროს ხიდია მომავლისა. ყოველი ადამიანი განსაზღვრულ დროსა და პირობებში მოქმედებს და ამიტომ მისი შრომაც ამ დროისა და პირობების მიხედვით უნდა ფასდებოდეს.

ჭალადიდელი ეკუთვნოდა სამხედრო წოდებას, რომლის ცხოვრება და მისწრაფება ძირიანად ეწინააღმდეგებოდა პოეტის რწმენას, მან დაიწყო წერა მესამოცე წლების გასულს, როცა ბატონების აზროვნება გამეფებული იყო ჩვენს ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, მან შეუერთა თავისი ხმა ძმობა-ერთობისა და თანასწორობის გუგუნს, მუშის შრომას ქება უძღვნა, აამაღლა ის და თამამად გამოაცხადა:

> აფერუმ ყოველ შრომას,
> ქება ყოველს ოფლის წვეთს,
> ქება მუშის მუშურ ხმას
> და მისს მარტოხელა ბედს.

ყოველ პოეტს ჰყავს თავისი მერანი; რა მრავალფეროვანიც უნდა იყოს მისი შემოქმედება, მას მაინც ერთი ყავს სატრფო, რომელსაც დასტრიალებს პოეტის გრძნობა და ოცნება, ფიქრი და მისწრაფება. ამგვარად, ჩნდება მთავარი მოტივი ანუ ლეიტმოტივი პოეტის შემოქმედებისა.

ვინ არის სატრფო ჭალადიდელისა?

სამშობლო.

აქედან წარმოსდგება უმთავრესი მოტივი ჭალადიდელის შემოქმედებისა — სამშობლოს სიყვარული. პოეტის საუკეთესო ლექსები ამ გრძნობის ნაყოფია.

სამშობლოს მოგონება პოეტს ფრთებს ასხამს. მის ნიჭს ასპეტაკებს, აძლიერებს, პოეტი იცვლება, ის თავის თავს აღარა ჰგავს. სამშობლოს სიყვარულს გარეშე ჭალადიდელი ჩვეულებრივი მოლექსეა, ამ გრძნობით გამსჭვალული კი, ის ჭეშმარიტი პოეზიის წმინდა ნაკადს ეზიარება და აშკარად გვიმტკიცებს, რომ ძლიერი სიყვარული დედაა პოეზიისა.

პოეტი ადამიანს იმდენად აფასებს, რამდენადაც მას სამშობლო უყვარს. პოეტი მარტოოდენ გრძნობით კი არ კმაყოფილდება, — ის ითხოვს საქმეს: ყოველი ადამიანი თავის მოქმედებასა და მისწრაფებაში სამშობლოს კეთილდღეობით უნდა ხელმძღვანელობდეს.

ადამიანს, რომელსაც სამშობლო არ ახსოვს, პოეტი პირუტყვზე დაბლა აყენებს.

პოეტი შეჰყურებს მერცხალს, რომელსაც თავისი მხარე არ ავიწყდება, ამავე დროს იგონებს ადამიანს, რომელსაც სამშობლო დავიწყებია და ამბობს:

> ოომელს პირუტყვის გრძნობა ბევრით სჯობს
> მით, რომ სამშობლო არ აგონდება.

ვინ არის ჭეშმარიტი ადამიანი, პოეტის შეხედულებით?

ნამდვილი ადამიანია მხოლოდ ის, ვინც მოძმეს ეხმარება, გაჭირვებულს ხელს უწვდის და სამშობლოს აყვავებას ხელს უწყობს.

სადაც უნდა იყოს პოეტი, ის მუდამ სამშობლოს იგონებს, მუდამ მისი ნახვა ენატრება.

> ჩემ სამშობლოს ვიგონებ,
> ნახვას ვეღირსებოდე. —

ნატრობს პოეტი.

სამშობლოს მოგონება პოეტის გულს სიყვარულით ავსებს, სულს ამაღლებს, გუნებას ოცნების სფეროსაკენ იტაცებს, ყველაზე უძვირფასესი სიტყვა პოეტისათვის სამშობლოა; ყველაზე უძლიერესი ნატვრა სამშობლოს აყვავებაა.

> მაცოცხლე და მანატრე,
> თუნდ საფლავში ვდნებოდე,
> აყვავებულ სამშობლოს
> თუკი მოვესწრებოდე!

ჭალადიდელის გრძნობა სამშობლოსადმი თავის გულწრფელობით ხიბლავს მკითხველს და იწვევს მასში შესაფერ გამოხმაურებას.

ჭალადიდელის ნიჭის ერთ დამახასიათებელ მხარეს სატირა და იუმორი შეადგენს.

ჭალადიდელის სატირა საკმაოდ მკრელია, მაგრამ მწველი აო არის და გესლიანი, როგორც აკაკის სატირა.

საუცხოოა ამ მხრივ ჭალადიდელის „სიზმარი", მოხელეს რომ სიზმარში ორდენი ელანდება.

> არ ვიცი, ვის მოეტანა,
> ანუ ვის გამოეგზავნა,
> ოღონდ ვნახე, ყელზე ჯილდოთ
> დაეკიდნათ ჩემთვის „ანა".

რამდენიმე სტრიქონში სამაგალითოდ არის დახასიათებული მოხელე, მთელის მისის სულიერი ავლა-დიდებითა და მისწრაფებით.

ჭალადიდელის იუმორი მსუბუქია, უწყინარი, სიტყვამოსწრებული და მკვირცხლი. ჭალადიდელის მთელ პოეზიაში ეროვნულ-დემოკრატიული ჰანგია აყღერებული.

> ამიტომაც მიყვარს ფაცხა
> ღარიბული, არმდიდრული. —

გვიცხადებს ავტორი ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში.

მთელი მისი პოეზია იწვევს მკითხველში სიყვარულს მოძმისადმი, დაჩაგრულთადმი, შრომისა და მამულისადმი; აღვიძებს მისწრაფებას ერთობასა და თანასწორობისადმი. ავტორის მთელი სიმპათია „შრომის შვილისაკენ" არის; ის მტერია მუქთახორობისა, ზოდებრივი უთანასწორობისა და მთელს იმედს საქართველოს აღორძინებისას ამყარებს ღარიბული ფაცხიდან გამოსულ ხალხზე.

1913

აკაკი[1]

ცხოვრების გზაჯვარედინზე, იქ, სადაც საზოგადო და საპირადო ერთიმეორეს შორდება, პირქუში დედაბერი იჯდა და ცხოვრების ძაფს რკინის თითისტარზე ართავდა.

ურიცხვი ხალხი ზღვასავით ღელავდა.

საპირადოსაკენ მიმავალ გზაზე ტევა არ იყო. ერთი მეორეს ეცილებოდა გასწრებას.

მეორეზე კი აქა-იქ მოჩანდნენ მიმავალნი.

ყრმა ვინმე უცხო შედგა დედაბრის წინაშე და გადაშლილ მანძილს გაუსწორა თვალი.

— მითხარი. საით წავიდე, რომ მიზანი ჩემი ვიპოვო? — ეკითხება ის დედაბერს.

დედაბერი ხმას არ იღებს და შეუჩერებლად ართავს ცხოვრების ძაფს.

პასუხის მომლოდინე ყრმას გულმა უკარნახა:

> რადგან არ დასდევ არცა პატივსა,
> არც დიდებასა ამა სოფლადა,
> ბრმად რომ ჰმონებენ საზოგადო აზოს
> და შეუპოვრად დახეულ ობლადა, —

ამიტომ გასწი იმ გზით, საითაც ცოტაა მიმავალიო.

ყრმა გაუდგა გზას. დიდხანს იარა შეუსვენებლად. მის წინაშე უდაბნო გადიშალა. დაქანცული შედგა, კლდის ძირს ჩამოჯდა ქვაზე და თვალები დახუჭა, რომ უფრო სრულად ჩაძირულიყო ფიქრთა მორევში. მას მოაგონდა დედ-მამა, დები, ძმები, ნათესავები, ოჯახი... ყურში თითქოს ვიღაცამ ჩასძახა: დაბრუნდი, დაბრუნდიო.

— არასოდეს. — წარმოთქვა მან:

> არ დავაგდებ მე ამ გზასა,
> რა გინდ იყოს ეკლიანი,

---

[1] წაკითხულია 1915 წ. 25 მარტს, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ აკაკის სახსენებლად გამართულ დილაზე.

ვიცი, სსვებიც მომყვებიან,
ჩემებრ შავბედ-ეტლიანი.

წამოდგა ზეზე, რომ განეგრძო გზა, მის წინაშე შავით შებურვილი ქალწული იდგა; სახე მისი უსაზღვრო, აუწერელ, გამოუთქმელ სევდას შეეპყრო.

— მითხარი, ვინ ხარ ან საიდან მოსული? — ეკითხება ყრმა.

— აი დალიე და გაიგებ. — უპასუხა ქალწულმა და ყრმას სურა მიაწოდა.

ყრმა მოწყურებული იყო, ის დაეწაფა სურას.

ყვავილთა სურნელება, ფრინველთა გალობა, ცისარტყელას ფერადები, მზის სიცხოველე და სინათლე, ვარსკვლავთა ციალი, მთვარის საიდუმლოება — ცისა და ქვეყნის სილამაზე ძაგ სურაძია, შენი ერის ოხვრასა და ცრემლებში გალესილი. — წარმოთქვა ქალწულმა. — ვინც ერთხელ დალევს ამ სასმელს, იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის.

— მაშ ვის? — დაეკითხა ყრმა.

— უკან გამომყევი და გაიგებ.

დიდი მანძილი გადაიარეს... ერთს უცხო წალკოტს მიადგნენ.

რასაც კი თვალი ისურვებს,
ან გული მოინატრებსო,
სულ აქ ყოფილა, ღვთის მადლით
სრულად ვერავინ აჰკრებსო.

წალკოტის მცხოვრებნი საღათას ძილით იყვნენ შეპყრობილნი. არ ეძინა მზეთუნახავს, მაგრამ წალკოტს გველეშაპი დაჰპატრონებოდა და მზეთუნახავის დღე დათვლილი იყო.

საუცხოო სანახავი იყო მზეთუნახავი, — ის იტანჯებოდა და ტანჯვაში კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა.

— აი, ვის ეკუთვნი შენ, — მიუთითა ქალწულმა ყრმას მზეთუნახავზე. — შენ უნდა იხსნა ის განსაცდელისაგან.

— მაგდენი ღონე მე სად შემწევს! — ოხვრით მიუგო ყრმამ და თვალი მზეთუნახავს მიაპყრო.

— შენ უნდა გააღვიძო საღათას ძილით შეპყრობილნი. მათი საერთო ძალა იხსნის მზეთუნახავს.

— რით, რა საშუალებით?

— აი, ჩონგური. ჩამოჰკარი თითები და გამოაღებინე ციური ხმები, რომლებიც მკვდარსაც კი ააყენებს საფლავიდან. — მიუგო ქალწულმა, გადასცა ჩონგური და გაქრა, ვითარცა მოჩვენება.

ყრმამ ახედ-დახედა ჩონგურს, გადასინჯა სიმები, ჩამოჰკრა თითები და გაისმა უცხო სიმღერა:

გავკაჟებივარ შავ ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
პირზედა პირის მთოვარი!
არ ვუღალატებ სინიდისს,
თავს შევინახავ წმინდადა,
და ჩემს სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემის სამშობლოს წინდაღა.
ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა.
რომ შეეყარო პირნათლად
იქ, ჩვენს წინაპრებს, ქებულსა!
და აქ კი შესანდობარსა
ჩავარაკრაკებ კულითა
და შემოვძახებ თამამად,
გრძნობით აღვსილის გულითა;
ჩონგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ, კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!
ნუ გამომილევ ძალ-ღონეს
საბრალო მუშას — მთესველსა,
მებრძოლსა გულგაუტეხელს,
ბნელში იმედით მკვესელსა...

ამ დღიდან ყრმას ჩონგური ხელიდან აღარ გაუგდია, სანამ მისი გული ჩონგურის სიმებს არ დაადნა, სულიც არ დაიცალა...

ვინ არის მზეთუნახავი?

ცხრაკლიტულში მჯდომარე, ცაფირუზ, ხმელეთზურმუხტიანი, მრავალტანჯული, მაგრამ ტანჯვაში კიდევ უფრო მშვენიერი ჩვენი ტურფა სამშობლო.

შავით შებურვილი და უსაზღვრო სევდით შეპყრობილი ქალწული?

ჩვენი სამშობლოს ბედი.

ვინღაა ეს უცხო ვინმე ყრმა, მებრძოლი გულგაუტეხელი, რომელიც გაჭირვებასა და შავ ბედს ჩონგურით და სიმღერით უხვდება?

ჩვენი ტკბილი აკაკი.

ჯადოსანი, რომელიც თავის სევდას მხიარულად მოგაჩვენებთ და გოდებას სიმღერად;

ჯადოსანი, რომელიც თავის ჭმუნვას ღიმილად დაგანახვებთ და ცრემლებს სიცილად.

— აი, აკაკი.

თუ ილია ფიქრია საქართველოსი, მისი გონიერება. — აკაკი

გრძნობაა ქართველი ერისა, ქართველი ერის გული, ქართველი ერის სულთა-სწრაფვის, მის უწმინდეს გრძნობათა მეტად ძლიერი, მეტად ლამაზი ტალღა.

ქართველი ერის სიხარული და მწუხარება, ქართველი ერის სიცილი და გოდება, ქართველი ერის ღიმილი და სევდა, ქართველი ერის ზრახვანი, ოცნება და იმედი, შეურყეველი იმედი, რომ მომავალი მაინც მისია. აი, მთელი შინაარსი ამ ტალღისა.

თეთრი ქაფი, ამ ტალღაზე მოლივლივე — ეს ხომ აკაკის სიცილია. სიცილი, რომელიც იმედის სხივად ჩაქსოვილა მთელს მის პოეზიაში.

სიტყვის ღმერთი, რომელიც სიტყვას კიდეც ათამაშებს, კიდეც ამღერებს, კიდეც ატირებს, კიდეც აცინებს — აი, აკაკი.

არავის სიტყვა ისე არ უყვარს, როგორც აკაკის.

. სამაგიეროდ, სიტყვასაც ისე არავინ არ უყვარს, არავის ისე არ ემორჩილება, როგორც აკაკის.

რუსთველმა სიტყვა მარმარილოდან გამოჭკვეთა — სიტყვა მშვენიერი, სიტყვა დიდებული, სიტყვა მზიური, სიტყვა უნაკლოდ შემოხაზული.

აკაკიმ სიტყვა ქართველი ერის დაკოდილი გულიდან ამოსჭრა, საკუთარ ცრემლსა და ნაღველში ამოავლო, შიგ ჩააწნა, ჩააქსოვა სიმღერა, სევდა, ცრემლები, შხამი, იმედი და გარეშემო სიცილის ნაზი სამოსელი შემოავლო.

აკაკის სიტყვა მთელი ქართველი ერის სიხარული და სევდაა, ჭმუნვა და სიცილი, — მთელი ქართველი ერის რწმენა, სასოება და იმედი.

აკაკის სიტყვა — დაუდგრომელი, მუდამ მოძრავი. ცელქი, ცქრიალა, კოხტა, ლამაზი, მოსხლეტილი, მალი და ბასრი — ერთსა და იმავე დროს კიდეც მღერის, კიდეც იცინის, სევდით იწურება, იმედით ივსება და შხამსა და გესლში დაფერილ ისრებს აფრქვევს.

სიმღერით ის აღვიძებს და სულიერად ამაღლებს აკაკის სამშობლოს, რომლის აწმყო სურათი მას სევდით ავსებს.

შხამიანი ისრებით ის გულს უგმირავს სამშობლოს მოღალატეს, მტერსა და ორგულს.

სიცილითა და იმედით ამხნევებს ყველა გულგატეხილს:

> რაგინდ ბედი ვიყო კრული,
> საშინელიც მჭონდეს ბოლო,
> არ შედრკება ჩემი გული,
> გინდა ქვითაც ჩაეჭოლო.

მუდამ მხიარულს, მუდამ ხალისიანს, მუდამ სიცოცხლით აღ-

სავსეს, მას ყველგან სიცოცხლე. ყველგან სიხალისე, ყველგან იმედი და მხიარულება შეაქვს.

ის მარად ჯოჯოხეთს ატარებს გულით, მუდამ ქვეყნის ჯირით არის დატვირთული, მაგრამ მაინც მხიარულია, მაინც იცინის და სხვასაც ამხიარულებს, სხვასაც აცინებს:

არ მშორდება მწუხარება და ჯირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი!

ხოლო თუ ჩავუკვირდებით აკაკის სიცილს, შიგ ბლომად დავინახავთ ცრემლსაც, სევდასაც.

მაშ, სად არის სათავე, მიზეზი ამ „ბნელში იმედით მკვესელის“ სევდისა?

დაბადებული მზის მგოსნად, სიკვდილს რისთვისა ნატრობს; დაბადებული სრული ბედნიერებისათვის ცრემლს რატომ აფრქვევს?

სანამ ჩემი საყვარელი
ქაჯებსა ჰყავთ ცხრაკლიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფეველს, —
ჯოჯოხეთი მიძევს გულში.

ვინ არის ეს შეუბრალებელი საყვარელი, რომელიც მგოსანს არსად არ შორდება, მოსვენებას უკარგავს, სტანჯავს და აწამებს?

ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი თავზე ლეჩაქმოხდილი, —
უგრძნობლად ჰხდის, საწყალს, საღათას ძილი!
თავს ვადგივარ მისი ჯირისუფალი.

აი, ვინ ყოფილა. აკაკის სატრფო, აკაკის საყვარელი!

ჩვენ ვიცოდით, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანის მოვალეობაა.

ჩვენი პოეტების უმრავლესობა ამ სიყვარულს გონებას უმორჩილებს.

აიღეთ რაფიელის უკვდავი ლექსი: „სამშობლო ხევსურისა“.

საღაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი!

დიდებული სიტყვებია, უკვდავი; მაგრამ ყოველი სიტყვა აქ გონების ნაკარნახევია, ნაფიქრია.

აკაკიმ მამულის სიყვარული მშრალ გონებას ხელიდან გაუსხლტა და გულში მოათავსა. მამულის სიყვარული მისთვის მოვალეო-

ბა კი არ არის, გრძნობაა, ძლიერი, წარმტაცი, დამათრობელი გრძნობა.

სხვებმა შეგვაგნებინეს ეს სიყვარული.

აკაკიმ კი გვაგრძნობინა — გულით, მთელის ნერვებით გვაგრძნობინა და ამ გრძნობის სინაზე, სიწმინდე, ძლევამოსილება და მომხიბლავი, დამათრობელი სიტკბოება მთელს არსებაში გაგვატარა.

სამშობლოს სიყვარულში აკაკიმ იმდენი გრძნობა, იმდენი ალერსი ისეთი ნაზი, მომხიბლავი, დამატყვევებელი სევდა შეიტანა, რომ ჩვენ ყველას აგვინთო ცეცხლი ამ სიყვარულისა და თავისი სევდა ეროვნულ სევდათ გადააქციაა, — მთელს ერს აგრძნობინა ეს სევდა.

სამშობლო მან დაგვიყენა თვალწინ მშვენიერ ქალწულად, ნესტან-დარეჯნად. რომლის მარტო ხილვა ადამიანს სიყვარულით ათრობს, აჯადოებს.

მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა, ერთგული,
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული!
მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე..
შეთვისებას გიპირებს გაიძვერა მოყვარე...
გაუფრთხილდი, ნუ გჯერა
მაგის ტკბილი ნანინა.
შენზე წინათ სხვაც ბევრი
მოხიბლა, შეაცდინა.
გაუმაგრდი განსაცდელს,
ითანე ტყვეობა!
შვენის ნესტან-დარეჯანს
მაგალითი... მზეობა.

რომელ შეყვარებულს გამოუთქვამს ასე უბრალოდ და თან ასე ძლიერად თავისი გრძნობა?

აქ სამშობლოს სიყვარულის მშრალი მოვალეობა არ არის, აქ თვითონ სიყვარულია, აქ ანკარა ნაკადულია სპეტაკი, ძლიერი, თავის დამავიწყებელი სევდითა და იმედით სავსე გრძნობისა.

ამის შემდეგ მზად ხართ დაეკონოთ სამშობლოს მიწას, ეამბოროთ მას და პოეტთან ერთად შესძახოთ:

ცა-ფირუზ, ხმელეთზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

სამშობლოზე მგლოვიარე, სამშობლოს ჭირისუფალი — აი, აკაკი. განა ყველა ჩვენი დიდი პოეტი სამშობლოს ჭირისუფალი არ არის, სამშობლოზე მგლოვიარენი?

კი, მაგრამ აკაკის სევდა და გლოვა მაინც უფრო ნუგეშიანია, იმედით სავსე, გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი, ადამიანის გმირად გადამქცევი...

აკაკიმ იმთავითვე გამოაცხადა თავისი რწმენა:

> რაც ძალადობით წაიღეს,
> ვინ დაიბრუნებს ნებითა?
> ვინ ნახა თავისუფლება
> ტანჯვით და მოთმინებითა?

ანდა —

> სხვისი იმედი რას არგებს
> თავისუფლების მძებნელსა?

ერთადერთი იმედი აკაკის ხალხისა აქვს.

ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, წელში გამაგრდეს, გონებრივად და ქონებრივად მოღონიერდეს და თვითონ გახდეს თავისი თავის ბატონ-პატრონი — აი, აკაკის შეხედულება.

და მართლაც მან მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის გამოფხიზლებას მოანდომა.

მან მოსტაცა მზეს ცეცხლი, დაინთო გულში, აენთო სამშობლოს სამსხვერპლოზე. დაიწვა, დაიფერფლა, და თავის მიზანს კი მიაღწია.

მისი სიტყვები:

> მაშინ იქუხებს, იელვებს
> ხალხთ ძალი მიძინებული. —

წინასწარმეტყველებასავით აღსრულდა: ხალხის მიძინებულმა ძალამ მართლაც იქუხა, იელვა.

ჩვენ ვიხილეთ ბრწყინვალე მზე ამ ქუხილისა და ელვისა. მან ცოტა ხნით გააშუქა ჩვენი ბნელი ცხოვრება და ღრუბელს ამოეფარა...

აკაკი მაშინ იმ ხანში იყო, როდესაც ადამიანი ასეთ მოვლენას თუ მტრულად არა, გულგრილად მაინც უყურებს.

როგორღა უყურებდა აკაკი?

„დღევანდელს ამბებს ისე შევხარით, — სწერს ის, — როგორც დედა შეჰხარის შვილის პირველი ბიჯის ადგმას. ახალი ფეხადგმული ბარბაცებს, აქეთ-იქით ეხლება უსწორმასწოროდ, ეცემა, მაგრამ დედა გაორკეცებულის სიფრთხილით ადევნებს თვალყურს, რომ არსად გადაიჩეხოს. სიხარულით უხარია კი, რადგანაც დარწმუნებუ-

ლია, რომ მისი შვილი კუტი არ არის და რომ წამოიზრდება. მაშინ უდედოთაც სწორად გაივლის. ჩვენც ველით იმ დროს და სიხარულით შევყურებთ დღევანდელ დღეს".

აიღეთ შესანიშნავი ლექსი, რომელიც მან უძღვნა ამ ხანას:

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი.
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ ოდესმე მეც მოველოდი.
მადლობა უფალს; რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებასა,
და ვით ბულბული დაბერებული
მეც დროს ეუგალობ „ქებათ-ქებასა".
ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას! —

ამას წერს სამოცდაათი წლის აკაკი!

ჭეშმარიტად ვაშა, ათასჯერ ვაშა მარტო დიდ მგოსანს კი არა დიდ მოქალაქეს, რომლის გულსაც თვით ყოვლადშემძლებელი დროც კი ვერავითარ დაღს ვერ აჩენს.

ასეთ ადამიანზე სხვაგან ლოცულობენ, მის ყოველ სიტყვას წმინდად ასრულებენ, ჩვენ კი მის ანდერძსაც კი ფეხქვეშა ვთელავთ! მე მოგახსენებთ იმ ანდერძზე, რომელიც მის ნაწარმოებშია.

რა სწერია ამ ანდერძში?

ნუ დაჰკარგავთ ეროვნებას და გაუფრთხილდით სამშობლო მიწა-წყალსო. აი, რა გვიანდერძა ჩვენი მამულის უდიდესმა მოამაგემ.

დაე, კრულ იყოს, შეჩვენებული მისი სახელი, ვინც დღეის შემდეგ ეს ანდერძი აკაკისა გასტეხოს.

კრულ იყოს, შეჩვენებული მისი სახელი, ვინც საქართველოს მიწა-წყლის თუნდაც ერთი მტკაველი, ერთი ხელისდადება ქართველ ხალხს დაუკარგოს.

1915 წ.

პოეზიის წლისთავზე

სამყარო მიუწვდომელი მშვენიერებაა ყოველმხრივ. ადამიანთა ცხოვრება კი სხვადასხვა სიმახინჯით სავსე.

ყოველგვარი სიმახინჯის დაძლევა და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა — აი, მიზანი ადამიანისა.

სიმახინჯე არსებობდა, არსებობს და ალბათ დიდხანს იარსებებს კიდეც ცხოვრებაში, მაგრამ მას არა აქვს არავითარი უფლება არსებობისა.

და მე ღრმად მწამს, რომ ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, დასძლევს მას სამუდამოდ და ცხოვრება იქნება მშვენიერი, უნაკლო, ისე, როგორც თვით სამყარო.

აი, ამ ბრძოლაში მშვენიერების საბოლოოდ და სამუდამოდ გასამარჯვებლად პოეზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

პოეზია ყველგან და ყოველთვის ქმნიდა და ქმნის ახალ სინამდვილეს. რომ ძახინჯ სინამდვილეს ცხოვრებისას მისცეს ახალი სახე.

ამ მიზანს აღწევს პოეზია როგორც შინაარსით, ისე სახით.

შაირობა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი.

ქართულ პოეზიას მუდამ ახასიათებდა როგორც აზრი, ისე ფორმა. ამ გზას მისდევს დღესაც ქართული პოეზია.

ყოველ დროს თავისი აზრი აქვს და თავისი გრძნობა.

პოეზია სათავეში უნდა ედგეს თავის დროს, უნდა ჰქონდეს შეგრძნობა. წინაცნობა მომავლისა. ამავე დროს ყოველივე ვითარდება და ამ განვითარებას ყველგან და ყველაფერში შეაქვს ცვლილება... პოეზია ამ საერთო განვითარების გზაზე წინ უნდა უსწრებდეს არსებულ სინამდვილეს, უამისოდ მას აზრი ეკარგება.

თანამედროვე ქართული პოეზია ამ მხრივ მეტად საყურადღებოა: ის ჩქარისა და მტკიცე ტემპით ყალიბდება როგორც ახალ რაზმში, ისე ახალ ფორმებში.

თითქოს გუშინ იყო: ჩვენს პოეზიას გარკვეული დედააზრი ჰქონდა, ჩამოყალიბებული ფორმა და პოეზიის ასპარეზზე იდეური ბძოლა არ იყო გამძაფრებული.

ახალი ფორმების და შინაარსის ძიების გზაზე თანამედროვე ქართული პოეზია ლირიკის რკალში მოექცა და არც კი ცდილობს ამ რკალის გარღვევას.

ლირიკა საუცხოო ყვავილია პოეზიის ბაღში. რა ტკბილად აძგერებს ჩვენს გულს თანამედროვე ქართული ლირიკა, რა საამოდ ატოკებს ჩვენს ნერვებს, რა ლამაზად არხევს ჩვენს კუნთებს და ნეტარებით ავსებს ჩვენს სულს!

მაგრამ პოეზიის დიდ სისტემაში ლირიკა მეტად პატარა ცთომილია, ქართულ პოეზიას კი მზე უნდა. მზისაკენ გაქანება, მზის დაპყრობა.

რუსთველმა იხსნა საქართველო დაღუპვისაგან საუკუნეთა განმავლობაში.

თანამედროვე ქართულმა პოეზიამ უნდა აზიდოს საქართველო ჯერ არნახულ სიმაღლემდე.

ჩვენი პოეზიის გასული წელი მდიდარი იყო ლირიზმით. უკვე ცნობილ სახელებს ემატებიან ახლები. მაგრამ წარსულმა წელმა ლირიკის რკალში უკვე შეიტანა ერთგვარი დეკადანსი: გამეორება, რითმებისა და მეტრის ტაციობა.

ლირიკის რკალი უკვე მომწიფდა გასარღვევად.

პოეზიის ახალმა წელმა უნდა იკისროს ეს:

მოშაირე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

1923 წ.

ეგნატე ნინოშვილი

(მისი ძეგლის გახსნის გამო)

დღეს ჩვენ ვხსნით ეგნატე ნინოშვილის ძეგლს.

ეს არის ადამიანის ხელით გაკეთებული, ეგნატეს მარადი ხსოვნის შესანახად დადგმული ძეგლი.

ის ქვითა და კირით არის შედუღებული.

ქალაქის შუაგულ ალაგას დადგმული, ის ჩაფიქრებული და თითქოს ოდნავ დაღონებული გასცქერის მუდამ ხალხით სავსე ქუჩას.

გაივლის დრო და, ვინ იცის, იქნებ ეს ძეგლი კიდეც წაიქცეს. მაგრამ ეგნატეს ხსოვნა მაინც იცოცხლებს მშრომელი ხალხის გულში.

მოდგმა მოდგმას გადასცემს ეგნატეს უკვდავ სახელს. გულის სიღრმეში ჩამარხავს ეგნატეს ხსოვნას მომავალ თაობათა მთელი წყება და ისე, როგორც დღემდე არ დავიწყებულა მისი სახელი, მას არც შემდეგში წაეფარება დავიწყების ხავსი.

ვინ იყო ეგნატე?

რატომ უყვარს ის მშრომელ ხალხს?

რატომ აფასებს მას?

ეგნატე ნინოშვილი ღარიბი გლეხკაცის შვილი იყო.

ის მოესწრო იმ დროს, როდესაც ბატონყმობის უღლიდან განთავისუფლებულ გლეხკაცს კიდევ უფრო მძიმე და მწარე უღელი დააწვა კისერზე.

უმიწაწყლო გლეხს ძველი ბატონის გარდა ახალიც გაუჩნდა. წარჩინებულ წოდებას გვერდში ამოუდგა „ფულიანი ხალხი“, მარდად დაიწყო მან ობობას ქსელის ხლართვა და როცა სოფლის სიმწარით გაბოროტებული გლეხი ქალაქს მიადგა, აქ მას ეს ფულით გათავადიშვილებული ბატონი დახვდა.

სოფლად ვაის გაყრილი გლეხი, ქალაქად ვუის შეეყარა.

ეგნატე მოესწრო იმ დროს, როდესაც ცხოვრების ჩარხმა ჩვენი ბრწყინვალე წოდებისათვის უკუღმა იწყო ტრიალი.

თავადაზნაურობას ახალმა ხალხმა, გუშინდელმა ვიგინდარებმა, მოუნდომეს დაჩრდილვა.

შიშველა წოდებას ფასი ეკარგებოდა, პირველობა ახლადჩასახულ ვაჭრულ-მრეწველობის თაოსანთა „პირადი ღირსებისაკენ" გადაქანდა.

იმდროინდელი საზოგადოების სურათი დაახლოებით ასეთი იყო:

ნიადაგშერყეული თავადაზნაურობა, ახლადჩასახული ბურჟუაზია და, მათ შორის, როგორც გრდემლსა და ურუს შუა მომწყვდეული, სოფლად გლეხი და ქალაქად სოფლიდან სიღარიბისაგან თავდასაღწევად გამოქცეული იგივე გლეხი, ქალაქში უკვე მუშად გადაქცეული.

ეგნატე თვით გლეხის შვილი იყო. გაჭირვება და სიღარიბე არ მოსცილებია მას აკვნიდან საფლავამდე.

ის მთელი არსებით გრძნობდა ქვეყნის უსამართლობას და რითაც შეეძლო, იბრძოდა მის წინააღმდეგ.

მაგრამ ან კი რით შეეძლო ეგნატეს ბრძოლა?

ერთადერთი საშუალება მაშინ ის იყო, რასაც მან მოჰკიდა ხელი.

ახალგაზრდობაში შეგნების შეტანა და მათში ბრძოლის წყურვილის აგზნება: ეგნატემ პირველმა გააჩაღა ჩვენში ამნაირი მუშაობა.

ის თავს უყრიდა ახალგაზრდობას. აცნობდა მას არსებულ უკუღმართ ცხოვრებას და ასწავლიდა ამ ცხოვრების საშუალებას.

მაგრამ მარტო ეს მუშაობა ვერ დააკმაყოფილებდა ეგნატეს.

მას სწყუროდა ფართო ასპარეზი, მისთვის ოცნებად იყო გადაქცეული ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა შორის ყოფნა, მათ შორის საქმიანი ტრიალი, მათთვის გზის ჩვენება და წინ წაძღოლა.

საამისო პირობები იმ დროს არ იყო.

ეს უკლავდა ეგნატეს გულს, ეს უმოკლებდა მას დღეს და ჩქარის ნაბიჯით მიაქანებდა საფლავისაკენ.

მაგრამ ამ პირობებშიაც მან მოახერხა წარუშლელი კვალის დატოვება.

მან მოჰკიდა ხელი მხატვრულ მწერლობას, რომ თავის მოთხრობებში გამოეყვანა „ჩვენი დროის რაინდები", დაენახვებინა მკითხველისათვის ტარიელ მკლავაძეების საზიზღარი სახე, დაეპირდაპირებია მათთვის წმინდა და სპეტაკი სპირიდონ მცირიშვილები იმ სახით, რომ მკითხველს არჩევანი არ შეშლოდა, რომ ნაკლებად გაგებულიც ადვილად მიხვედრილიყო, ვინ იყო ამ ორ, ერთიმეორისათვის დაპირდაპირებულ პიროვნებათა შორის მტყუანი და მართალი.

ეგნატეს სხვა დანარჩენ მოთხრობებშიაც სწორედ ამავე სახითა ჰყავს დაპირისპირებული ერთმანეთთან დაჩაგრული და დაჯაბნებული გლეხი, ერთი მხრით, მეორე მხრით კი, ძალადობაზე დამდგარი მკლავაძეები. მათი ქომაგი მთავრობის პოლიციელები, სამღვდელოება და მოსე მწერლები.

ეგნატე არაფრით და არაფერში ჰგავდა იმ მწერლებს, რომლებიც გატაცებული აღფრთოვანებით ხიბლავდნენ მკითხველებს ბუნების სიმშვენიერეთა დახატვით, ის არ უმღეროდა „ეუჟუნა თვალებს“, „წითელ ღვინოს“.

მის ხელში კალამი იყო იარაღი ბოროტების დასათრგუნად, ქვეყნად არსებული უკეთესმართლების ძირის ამოსაგდებად.

ამიტომაა, რომ როდესაც ეგნატეს მხატვრულ ნაწარმოების გარჩევაზე მიდგება საქმე, ხშირად გვესმის, ნინოშვილის ნაწერებში შინაარსი ძალისძალათი არის ჩამწყვდეული ხელოვნურად დაუმუშავებელ ფორმაშიო.

ეს სიმართლესთან დაშორებული არ არის.

მოთხრობის სახე ეგნატეს ნაწერებს ჰქონდა მხოლოდ იმიტომ, რომ იმდროინდელ პირობებში სხვანაირად წერა არ შეიძლებოდა. ვინ იცის, ჩვენ დროს რომ მოსწრებოდა, ეგნატეს იქნებ არც ერთი მოთხრობა არ დაეწერა.

უფრო მოსალოდნელია, რომ ის, ხელოვანი, ფაქიზი იგავ-არაკებით მოსაუბრე კალამს ბრძოლის მკვეთრ ლახვარს ამჯობინებდა და ქვეყნად არსებული ბოროტების წინააღმდეგ გოგია უიშვილებს კი არ აალაპარაკებდა, არამედ თვითონ იტყოდა.

ჩვენს დრომდე მიღწევა ეგნატეს არ ეღირსა.

გაჭირვებამ, შიმშილმა, სნეულებამ და უფრო მეტად კი იმ დროის საშინელმა პირობებმა ჩქარა მოუღეს მას ბოლო.

დღეიდან მისი ძეგლი ჩვენ მუდამ თვალწინ გვექნება.

ეგნატე ნინოშვილი კუდიანი ვარსკვლავივით შემოიჭრა ჩვენი ცხოვრების და მწერლობის ცაზე, გაანათა ისეთი გზები ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც ვერავინ ვერ ამჩნევდა და უცბად დაიწვა საკუთარი გულის ცეცხლში, რომ უკვდავების გვირგვინი დაედგა, დაუვიწყარი ხსოვნა დაეტოვებია და უკვდავების სახელი მოეხვეჭა.

ეგნატე ნინოშვილი!

რა მოკლე იყო მისი სიცოცხლე, მის ახლომახლო გამვლელს ყოველთვის გაახსენებს ეს ძეგლი, რომ სწორედ ეგნატე იყო ის „პირველი მერცხალი“, რომელმაც ახარა მუშებს და გლეხებს გაზაფხულის მოახლოება.

ამაში პირველობას მას ვერავინ შეეცილება.

მან პირველმა „ჩაუსახა გულს იმედი“ დაჩაგრულს და დაბეჩავებულს გლეხსა და მუშას.

მან ანიშნა და გააგებინა თავისი მოთხრობებით ყველას, რომ უკეღმართ ძალმომრეობაზე დამყარებული ქვეყანა უნდა დაინგრეს და რომ ეს ქვეყანა დაინგრევა კიდეც.

მწერლობაში, რამდენადაც ეს მაშინ შესაძლებელი იყო, სხვისი პირით ეუბნებოდა თავის მკითხველს, რომ მონობის ბორკილების დასამტვრევად საჭიროა ერთი პირი და თავგამოდებული ბრძოლა.

ფარულ კრებებზე და ყრილობებზე ის თავს უყრიდა და აკავშირებდა ახალგაზრდობას და ასწავლიდა მას ბრძოლის გზას.

ასეთი იყო ეგნატეს ხანმოკლე ცხოვრების თავგადასავალი.

ეგნატეს დღეს საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობა ძეგლს უდგამს.

პირველ ენადგმულ, პირველ შეგნებულსა და რევოლუციური ჟინით გატაცებულ გლეხს, რომელმაც თავის არსებაში შეაერთა და შეათავსა ქალაქის მუშის ზნე და მისწრაფება, ეგნატე ნინოშვილს, დღეს საქართველოს მუშები და გლეხები დამსახურებული პატივისცემის ნიშნით უგებენ ძეგლს.

თვითეულ მუშას, თვითეულ გლეხს ამ ძეგლმა ერთი რამ უნდა გაახსენოს.

აი, დამწყები იმ დიადი საქმის, რომელიც დღეს გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ერთი იყო ის.

მის გარშემო უკუნი სიბნელე სუფევდა.

ის ერთი იყო, მაგრამ ამ სუსტმა და უღონო ადამიანმა პირველად გადაისროლა ბრძოლის ალის დამნთებელი ჟინაღლი.

დიდება და პატივი მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის პირველად ბრძოლის ველზე გამოსულ ეგნატე ნინოშვილს.

რა ხანმოკლეა მისი სამწერლო წვა, სულ რამდენიმე წლით შემოფარგლული, მაგრამ რა ნაყოფიერი?!

ჩუმი, მაგრამ მრავლისმეტყველი.

თავმდაბალი, მაგრამ უკვდავების შარავანდედით შემოსილი.

უწყინარი, მაგრამ ბრძოლის ცეცხლით აგიზგიზებული.

სიყვარულით აღსავსე, მაგრამ ბოროტების შეუბრალებლად მამხილებელი.

დაჩაგრულთა მოსარჩლე და დამჩაგვრელთა სასტიკი მდევნელი.

მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლე და მისი წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი.

რევოლუციის მედროშე და მისი წინამორბედი.

ახალი დროის წინასწარმეტყველია — ჟი, ვინ იყო ეგნატე ნინოშვილი.

„მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი“, — ამბობდა სულის უზენაეს სიმთა მპყრობელი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ბედმა მას არგუნა ასეთი ხვედრი.

ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, ეგნატე ნინოშვილია.

ნინოშვილი ქართველი ხალხის ახალი ისტორიის შესავალია.

ახალი ხანა ჩვენი ისტორიისა, ხანა ტანჯვისა, ხანა თავდავიწყებული სასტიკი ბრძოლისა, ხანა უთვალავი მსხვერპლისა და გამარჯვებისა ნინოშვილით იწყება.

ნინოშვილი მშრომელი ხალხის მემატიანეა.

ნინოშვილი მებრძოლი თაობის წინამძღოლია.

ხან სოფლის მწერალი, ხან სოფლის მასწავლებელი, ხან ასოთამწყობი, ხან მუშა, ნინოშვილი მუდამ ერთი აზრით, ერთი ფიქრით, ერთი სურვილით იყო გატაცებული.

თანამედროვეთა შორის ცხოვრობდა, როგორც ყოველი ხორციელი, მაგრამ თანამედროვეობას არ ეკუთვნოდა. ტარიელზე ნათქვამი სიტყვები ნინოშვილზედ გამოჭრილია:

„სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“.

ნინოშვილის გონება მუდამ სხვაგან ჰქროდა — მშრომელი ხალხის მომავლისაკენ.

მისი სხეული ყოველდღიურ ცხოვრებაში ტრიალებდა, ის წყნარი იყო, ჩუმი, უჩინარი, მორიდებული, მოკრძალებული, შეუმჩნეველი; მისი გული კი მშრომელი ხალხის ბედის ქურაში იწვოდა და მისი ოცნება მშრომელი ხალხის მომავალს დასტრიალებდა თავს.

სხეულით სუსტი, მაგრამ რწმენით ძლიერი, დაუძლეველი, ის მალე დამიწდა იმისათვის, რომ მშრომელი ხალხის გამარჯვების გზაზე მუდამ ნათელ შუქად ყოფილიყო ამართული.

ნინოშვილი — მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლე.

ნინოშვილი — მშრომელი ხალხის მედროშე.

ნინოშვილი — მშრომელი ხალხის მემატიანე.

ნინოშვილი — მშრომელი ხალხისათვის ტანჯული.

ნინოშვილი — მშრომელი ხალხის მომავლის წინასწარმეტყველი.

უწინარეს ყოვლისა, ხელოვანია, ხელოვნება კი ჰუმარიტების ძიებაა.

საზოგადოების ცხოვრებას არა აქვს ერთი ჰეშმარიტება, აქ

ჭეშმარიტება იმდენია, რამდენიც არის წოდება, რამდენიც არის კლასი.

სხვა არის ჭეშმარიტება ბატონისა, სხვა — ჭეშმარიტება ყმისა

სხვაა ჭეშმარიტება თავადისა, სხვა არის ჭეშმარიტება გლეხისა.

სხვა არის ჭეშმარიტება ბურჟუაზიისა, სხვაა ჭეშმარიტება მუშისა.

ნინოშვილი დაიბადა გლეხის ოჯახში, აღიზარდა გლეხობაში. შემდეგ ტრიალებდა მუშებში; თვითონ იყო მასწავლებელიც, მუშაც და ამიტომ მან შეიყვარა მთელი თავისი არსებით მშრომელი ხალხი, ცხოვრების მიზნად დაისახა მუშურ-გლეხური ჭეშმარიტების ძიება.

ხელოვნების საშუალებით ასეთი ჭეშმარიტების პოვნა მხოლოდ ერთადერთი გზით შეიძლება, ცხოვრების გადაშლით და იქიდან უტყუარი დასკვნის გამოტანით.

ეს გზა ხელოვანისათვის მეტად სახიფათოა და აქ აშკარავდება, როგორც დიდი, ფართო გაქანების მხატვარი, ისე პატარა, ბეცი მემატიანე ცხოვრების წვრილმანებისა.

ცხოვრება არ არის დამდგარი ტბა, ის მდინარეა, რომელიც მაშინაც კი ჩქარა მიდის, როდესაც გაჩერებული გეჩვენებათ. ცხოვრების გზაზე ზოგიერთი მოვლენა უკვე წარსულს ეკუთვნის, უკანუკან მიდის, ზოგში კი მომავალი ისახება, ბევრჯერ მხოლოდ ოდნავად ხელოვანის ნიჭიც იმაში მდგომარეობს, რომ ეს უბრალოებისათვის ჯერ შეუმჩნეველი, მაგრამ მომავლის მატარებელი მოვლენანი გამოიცნოს, გააშუქოს და სხვებს დაანახოს.

სწორედ ასეთი ნიჭით იყო დაჯილდოებული ეგნატე ნინოშვილი.

როგორც მხატვარი წვრილმანებისა, ის სუსტია. წვრილმანი, დეტალები მას არ იზიდავს, მისი ზოგიერთი მოთხრობა სრულებით არ არის დამუშავებული მხატვრულად. აჩქარება ეტყობა. აიღეთ „ქრისტინე“, ეს ერთი საუკეთესო მოთხრობა ნინოშვილისა. აქ თქვენა გაქვთ მოცემული მხოლოდ ჩონჩხი მოთხრობისა, მას აკლია დამუშავება, გაშლა-განვითარება. სამაგიეროდ, ნინოშვილს არ გამოეპარება არც ერთი სურათი, სადაც მოიპოება ჩანასახი ცხოვრების მომავალი სახისა.

ნინოშვილი არ არის მემატიანე ყოველდღიური ყოფაცხოვრებისა.

მას აინტერესებს ზოგადი სურათი, საერთო სახე, დასკვნა მთელი ცხოვრებისა.

ნინოშვილს არ იზიდავს ცხოვრების პირწავარდნილი სინამდვილე, მას უყვარს დამახასიათებელი, დამაფიქრებელი, ტიპიური სა-

ხე, რადგანაც მხოლოდ ასეთი სახეები გვაძლევენ საშუალებას, მომავალს ავხადოთ ფარდა.

განჭვრეტა მომავლისა, დანახვა ჯერ არდანახულისა, აი, ნინოშვილის იშვიათი თვისება.

ნინოშვილმა გადაგვიშალა თვალწინ ჩვენი სოფლის მთელი ცხოვრება მის დამახასიათებელ მდინარებაში.

ცხოვრების სათავეში წარჩინებული წოდებაა იასონ უქმაძე, მანუჩარ არწივაძე, განსაკუთრებით კი ტარიელ მკლავაძე — აი, ამ წოდების წარმომადგენლები.

ყოველ წოდებას, ყოველ კლასს აქვს სხვადასხვა ხანა, როგორც კერძო პიროვნებას, ახალგაზრდობა, მომწიფება და ვაჟკაცობა, შემდეგ სიბერე და დაძაბუნება; ახალგაზრდობისას ის ძალ-ღონეს იკრებს საბრძოლველად, დავაჟკაცების ხანაში მას გარკვეული მიზანი აქვს და ის იბრძვის ამ მიზნისათვის. შეიძლება დამარცხდეს არა ერთხელ და ორჯერ, მაგრამ ბოლოს გამარჯვება აუცილებელია, გამარჯვებისთანავე ის ჩაუდგება ცხოვრებას სათავეში და ფრთებს შლის მისი შემოქმედება ყოველ დარგში: პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და სხვ. ამ ხანაში ყოველი წოდება, ყოველი კლასი ამოსწურავს საკუთარ ძალ-ღონეს და შემდეგ ბერდება, ძაბუნდება, უნარი შემოქმედებისა ეკარგება. ზნეობრივად იხრწნება და მხოლოდ იმას სცდილობს, რომ მდგომარეობა შეინარჩუნოს. ამ დროს უსწრებს მას ახალი და უფრო ძლიერი კლასი. ფეხსა ჰკრავს და გადააგდებს თავის გზიდან.

წარჩინებული, გაბატონებული წოდების დაძაბუნება ზნეობრივი გახრწნილება და მისი მოსპობის აუცილებლობა ისე მკვეთრად არავის დაუხატავს, როგორც ეს დაასურათა ნინოშვილმა.

ტარიელ მკლავაძე უკვდავი სახეა. შეხედეთ მას: ახოვანი ვაჟკაცი, მაგრამ ის ამოსულია დამპალ ნიადაგზე და იმიტომ მთელი მისი ძალ-ღონე იხარჯება ლოთობასა, გარყვნილებასა და სხვადასხვა ბოროტებაში. ის ყველგან და ყველაფერში დაუსჯელი რჩება, მისი ბოროტება გლეხის სიკეთეზე იმარჯვებს, მისი სიმტყუვნე გლეხის სიმართლეზე.

რატომ?

იმიტომ, რომ ის ეკუთვნის წარჩინებულ წოდებას, რომელიც ცხოვრების სათავეშია, ნინოშვილი გვახედვებს ამ ცხოვრებაში და ჩვენ ვხედავთ საშინელ ტანჯვას, უსამართლობას. უუფლებობას და ძალმომრეობას, რომელთა ქსელშიაც გახვეულია მშრომელი ხალხი.

უუფლებობისა და უსამართლო წყობილების ნიადაგზე ჩნდებიან თვით ხალხში მოსე მწერლები, რომლებიც ტარიელ მკლავა-

ძეებთან ერთად წურბელასავით სისხლსა სწოვენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს.

— ასე ცხოვრება შეუძლებელია, ნუთუ საშველი არსაით არ არის? — ჰყვირით თქვენ.

— საშველი არის, — დინჯად და იმედიანად გეუბნებათ ნინოშვილი. — ერთობა და ბრძოლა.

ნინოშვილის დროს მშრომელი ხალხის აზროვნებაში ეს შეხედულება არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი გონება რომ ამ გზით მუშაობს, ეს აშკარად ჩანს ნინოშვილის მოთხრობებში.

„პალიასტომის ტბაში“ ივანე დარწმუნებულია: „ყაზახებმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა. მაშინ...“

რა, მაშინ? — ივანე აღარ ამბობს, თითქოს ეშინია თავისი აზრის დაბოლოების და ხამამაღლა არ ამბობს, გულში კი კარგად იცის, რაც მოხდება მაშინ: „ყაზახები გაიმარჯვებენ“.

მშრომელი ხალხის წრიდან არის გამოსული სპირიდონ მცირიშვილი, რომელიც განზრახ დააჯილდოვა ნინოშვილმა სნეული აგებულებით, რომ უფრო ცხოველი ყოფილიყო ძლიერება, მისი მიზანია ხალხს შესწიროს თავისი სიცოცხლე, ~~ხალხს აუხილოს~~ თვალები და შეაგნებინოს, რომ მისი განთავისუფლებისათვის ერთადერთი ასპარეზი ბრძოლის ველია. სპირიდონმა კარგად იცის, რომ მისი „ცხოვრების გზა მეტად ეკლიანია და ძნელი სავალი იქნება“, მაგრამ მას ვერ გასტეხს ვერავითარი დაბრკოლება.

ნინოშვილის მოთხრობები საშინელი ფურცლებია მშრომელი ხალხის ტანჯვისა და აუტანელი მდგომარეობისა, მაგრამ ეს ფურცლები სასოწარკვეთილების ნალექს კი არ სტოვებენ მკითხველის არსებაში, არამედ იმედს უღვიძებენ.

არის გამოსავალი, არის ხსნა მშრომელი ხალხის გაერთიანებულ ბრძოლაშიო, გვეუბნება ნინოშვილის მთელი შემოქმედება.

ნინოშვილის სამწერლო მოღვაწეობა ქადაგებაა მშრომელი ხალხის ერთობისა და ბრძოლისა.

ნინოშვილი ამ ერთობისა და ბრძოლის წინამორბედია.

ასეთია ნინოშვილი, როგორც მწერალი, ხელოვანი.

როგორია ის, როგორც პოლიტიკური მოღვაწე?

როდესაც ნინოშვილი გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, ჩვენში არც მუშათა საკითხი არსებობდა, არც მუშური გაგება და დაფასება ცხოვრებისა. სხვებთან ერთად ნინოშვილმა გაუკაფა გზა კლასთა ბრძოლას და მეცნიერული სოციალიზმის შეგნებას ჩვენში.

მშრომელი ხალხის საკითხი მტკიცედ დააყენა და მუშათა საქმეს რკინის საფუძველი ჩაუყარა.

ეს სხეულით სუსტი, სიცოცხლით მოსწრაფებული ადამიანი დაჯილდოებული იყო ძლიერი ნებიდ და შეუდრეკელი რწმენით, რომ მშრომელი ხალხი ერთობითა და ბრძოლით თავისას გაიტანდა.

როგორც პირად ცხოვრებაში, ისე სამწერლო და პოლიტიკურ ასპარეზზე, ის იყო მთლიანი პიროვნება, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა ხალხის ბედი, მიზანი და მომავალი.

მისი მოღვაწეობა მეტად ხანმოკლე იყო, იმიტომ, რომ ის იწვოდა.

ეს, ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო: მის დროს მშრომელი ხალხის საკითხი ჩვენში, მისი ბედი და მომავალი წყვდიადით იყო მოცული, უნდა დამწვარიყო დიდი, ძლიერი ნიჭი, რომ თავისი ალით გაერღვია ეს წყვდიადი. ნინოშვილიც დაიწვა მშრომელი ხალხის ბედის დახშულ კარებთან; სამაგიეროდ, შეაღო ის.

რა გასაკვირალია ამის შემდეგ, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი მუდამ ნეტარებით იგონებდეს თავის საყვარელ ეგნატეს.

ხელთუქმნელი ძეგლი დიდი ხანია დაიდგა მან მშრომელთა გულში და დღეს ჩვენ მუხლს მოვიდრეკთ ხელთქმნილი ძეგლის წინაშე.

დიდება ეგნატეს ხსოვნას.

1923 წ.

ალ. ყაზბეგი და მისი ძიება

მიყვარს საგმირო ჰანგები
სიტყვა და აზრი ცივური...
ფრთებს მიკვეცს, აღმაფრენასა,
ამბავი ყოველდღიური.

მთელი მოღვაწეობა ყაზბეგისა ვაჟას განცხადების დადასტურებაა. ვახ. კოტეტიშვილმა შეიცნო ბუნება ყაზბეგისა, როდესაც მისი ერთი ბეჭი ზეცისაკენ აზიდა, მეორე კი მიწისაკენ დახარა.

მთელი შემოქმედება ამ ბელეტრისტისა ძლიერი გაქანება იყო ზეცისაკენ, გარდაუვალი, მარადიული კეთილისა, სამართლიანობისა და სიყვარულისაკენ, მაგრამ მიწამ, მიწის უსამართლობამ, ბოროტებამ ჩასჭიდა მაგრად ხელი და მოუღო ბოლო. წარმოიდგინეთ ტილოზე საშინელი გველეშაპი, რომლის წინააღმდეგაც გამოდის ნაზი მეომარი; მეომრის ერთადერთი იარაღი მისი გულია და ამ უთანასწორო ბრძოლაში ის იღუპება.

ნაზი მეომარი არის ალექსანდრე ყაზბეგი და გველეშაპი კი ცხოვრება, ყველა მისი საშინელი მხარით..

ყაზბეგი რომ არ შეშლილიყო, უსათუოდ თავს მოიკლავდა. მე ვერ წარმომიდგენია სხვაგვარი დაბოლოება ამ იშვიათი ადამიანისა.

რატომ?

იმიტომ, რომ ყაზბეგი გაორებულია, ყაზბეგში ორი პიროვნებაა და ერთი ყაზბეგი მეორე ყაზბეგის წინააღმდეგობა არის, ერთს სძულს მეორე, ერთი მეორეს ებრძვის.

ამ ბრძოლაში ხორციელი სახე ყაზბეგისა უნდა დაღუპულიყო და აკი დაიღუპა კიდეც.

ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში ყაზბეგი არ არის ახსნილი, გამოცნობილი.

არ არის იმიტომ, რომ მასში ორი ადამიანია, ერთი მეორის უარმყოფელი. ზოგი ერთს ამჩნევს, ზოგიც — მეორეს; მთლიანი ბუნება კი შეუმჩნეველი რჩება. აიღეთ „ელგუჯა“, „მოძღვარი“, „მამის

მკვლელი", „ხევისბერი გოჩა", — მე არ ვიცი კაზმულ მწერლობაში მეორე ნაწარმოები, რომელიც ამდენ ფიქრთა ამშლელი იყოს, სადაც ამდენი პრობლემა იყოს გამოკვეთილი, როგორც ყაზბეგის თვითეულ მოთხრობაში...

როგორც ხელოვანს, მას ბევრი და დიდი ნაკლი აქვს. ფრიალონი და ნაპრალები ვერ სპობენ დედამიწის სიმრგვალეს. ვერც ყაზბეგის ბევრი ნაკლი ჰფარავს მისი ხელოვნების სიდიადეს. ყაზბეგი დიდი ხელოვანია და მისი შემოქმედების სიმრგვალეს ორი პოლუსი აქვს. ზოგი მარტო ერთს მიჩერებია, სხვები — მეორეს.

არათუ შემოქმედება, თვით ცხოვრება ყაზბეგისა ბავშვობიდან სიკვდილამდე მძლავრი გაქანებაა ერთი პოლუსიდან მეორისაკენ.

ფუფუნებაში აღზრდილი, რომელსაც ჩიტის რძეც კი არ აკლდა, განებივრებული, სიმდიდრით გალაღებული ბავშვობისას; დავაჟკაცების შემდეგ კი ღატაკი, რომელიც მთელი სიცოცხლე სიღარიბეს ებრძოდა...

ყაზბეგი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა.

ტრაგიკულია ამის გამო მთელი მისი შემოქმედება: რაღაც საშინელი ბედისწერა თან სდევს მის გმირებს და ისეთს პირობებში **მოექცევიან**, რომ მათი დაღუპვა გარდაუვალია.

როგორც მთელი ცხოვრება, ისე მისი თვითეული მხარე, ყოველი მოვლენა ყაზბეგს ეჩვენება საკუთარ ღირსება-ნაკლოვანებათა პრიზმაში.

ყოველგვარ მოვლენას ის ითვისებს საკუთარი გაორების თვალთახედვით.

ამიტომაც არის, რომ ყაზბეგის შემოქმედება კონტრასტების, ორეულთა კალეიდოსკოპია.

აიღეთ კერძო ადამიანი, მთელი ერი. ერთში — ყოველგვარი სიკეთე. მეორეში — ყოველგვარი სისაძაგლე. ერთი მხრით, გაგი, რომელიც არ დაერიდება არავითარ საზიზღრობას; მეორე მხრით, ელგუჯა, რომელშიაც განხორციელებულია კეთილშობილური ადამიანი, ყველა თავისი მაღალი მისწრაფებით. აიღეთ თვითონ საზოგადოება და საზოგადოებრივი წყობილება, — აქაც იგივე კონტრასტებია და გაორება. ერთი მხრით, თემი, აღსავსე ყოველგვარი ღირსებით; მეორე მხრით, თვითმპყრობელობა, აღსავსე ყოველგვარი სისაძაგლით.

თავისი გვარტომობით, ჩამომავლობით ყაზბეგი ეკუთვნის დიდკაცობის წრეს: მამა — ხევის მოურავის შვილი და გენერალ-მაიორი, დედა — თავად თარხნიშვილის ასული. იმ დროს ჩვენს დიდკაცო-

ბას უკვე მოკმული ჰქონდა თავისი დრო როგორც ისტორიულად, ისე სოციალურად. დრომოკმული ჯგუფი, წრე, წოდება, კლასი, შესაძლებელია, ერთგვარ ძალას კიდეც გრძნობდეს და კიდეც წარმოადგენდეს. მაგრამ მასში უკვე დაწყებულია დაშლა, გადაგვარება... ეს თვისებები შეინიშნება მის შემოქმედებაშიც.

ერთმანეთის დანახვაზე შეყვარებულნი თრთიან, ცახცახებენ; ხელის შეხება ხომ სისხლს უმღვრევს და აშლილი ვნების ცეცხლს აუნთებს მათ სხეულში, ფითრდებიან, ოფლი ასკდებათ.

მათი კოცნა არ არის შეყვარებულთა ჩვეულებრივი კოცნა, არამედ გაშმაგებული კოცნაა.

ამ აზრის გასაშუქებლად საყურადღებოა „მოძღვარში" ის ადგილი, სადაც ბეჟია ონისეს მოუყვება მაყვალას ამბავს. მაყვალას ხსენებაზე ონისე აენთება, გაფითრდება და ცახცახს დააწყებინებს ისე მძლავრად, რომ ბეჟიაც კი შენიშნავს და გაკვირვებული ეკითხება:

— მაგრამ რაი გაცახცახებს?

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ეს ჩვეულებრივი აღელვება არის შეყვარებულიყაო, მაგრამ ასეთი ახსნა ეწინააღმდეგება მოხევის ბუნებას და თემის ზნე-ჩვეულებაში გაჭედილ ხასიათს.

აიღეთ ის ადგილი „ხევისბერში" — სადაც მოხუცი ქალს ჩააბარებს „ხელის მომკიდეს" ონისეს.

„— ონისეე! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად.— ამ სიტყვებზედ იმან გადასცა ონისეს ქალის მთრთოლვარე და გახურებული ხელი.

„ონისემ რა წამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეკრთა, დაიბნა და თვითონაც გაერყოლდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

— აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეის ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არავინ ეყოლების, შენ უნდა გაუწიო ძმობა.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუების, რომ თავს დავდებ მაგისთვის.

მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც ონისე ამბობდა:

— ეგ და, მე— ძმა.

მაგრამ სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა, მთლად გათრთოლდა და მთვრალსავით წაბარბაცდა, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— რაი მოგივიდა? — მიეშველა მოხუცი.

— არც-რა, არც-რა, დამცხა, თავს ბრუ რასმე დამეხვა, — ძლივსღა წარმოსთქვა ონისემ.

— ბევრი თუ არა სვი?... მაიტა-ღა წყალი! — მიუბრუნდა მოხუცი იქ მყოფებს.

— არ მინდა, შენაი ჭირაბიმე, — უპასუხა კაცმა, რომელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ეს ხელი სწვავდა, სდაგავდა მას, უღელვებდა სისხლს და გონებას აფანტვინებდა".

ამონაწერი განმარტებას არ საჭიროებს, ის საკმაოდ აშუქებს ჩემს შეხედულებას.

მსგავსი ადგილი ბლომად მოიპოვება ყაზბეგის მოთხრობებში.

ყოველივე ეს არის სნეული ნაწილი ყაზბეგის შემოქმედებისა, ჩამოაცალეთ ყოველივე ეს და თქვენ დაგრჩებათ დიდი მხატვარი, დიდი ხელოვანი, ღრმა განცდით და ღრმა აზრით დატვირთული.

მთელი შემოქმედება ყაზბეგისა გამოსახვაა, მხატვრული განსახიერებაა მისი ფილოსოფიური აზროვნებისა.

ჩვენს თვალწინ იშლება იშვიათი ხელოვნებით დახატული სურათი თემისა, მისი ზნე-ჩვეულებებისა; თემის დაჯახება უბეში, გარეშე ძალასთან, რუსული თვითმპყრობელობის სახით; თემის ბრძოლა თავისუფლებისათვის და სხვ., მაგრამ სიმძიმის ცქიტი აქ არ არის მოთავსებული.

ყოველ მწერალს ესაჭიროება სახეები, არე თავისი შემოქმედებისა. თავიდათავია ის ფილოსოფიური დებულება, რომელიც შეადგენს ცხოველმყოფელ ძარღვს ყაზბეგის მთელ შემოქმედებაში.

ყაზბეგის შეცნობა მსოფლიოსი ენათესაობა ძველი ირანის შეხედულებას. გაიხსენეთ ირანელთა მოძღვრება: მსოფლიოში ორი დასაბამია — ორმუზდი და არიმანი; პირველია დასაბამი კეთილისა; მეორე — დასაბამი ბოროტისა. ამ ძალთა შორის სასტიკი და შეუწყვეტელი ბრძოლა არსებობს, მაგრამ ყოველთვის და ყოველგვან საბოლოოდ პირველი იმარჯვებს — დასაბამი კეთილისა.

ამ მოძღვრების ზეგავლენა უსათუოდ ატყვია შოთას „ვეფხისტყაოსანს", რომელიც ამ გზით ვითარდება და ბოლოვდება;

„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი". აქ არის მოცემული სრული ოპტიმიზმი — დათრგუნვა ბოროტისა და კეთილის მარადიულობა.

ყაზბეგის ფილოსოფიური აზროვნებითაც მსოფლიოს ორი დასაბამი აქვს, ორი ძალის გარშემოა ის შემორკალული: ერთია დასაბამი კეთილისა, მეორე — დასაბამი ბოროტისა. ამ ორ ძალთა შორის საშინელი, გამანადგურებელი ბრძოლა მიმდინარეობს და ამ ბრძო-

ლაში ყოველთვის და ყოველგან მეორე ძალა იმარჯვებს — დასაბამი ბოროტისა. კეთილი მუდამ ძლეული და დამარცხებული რჩება.

ვცან სიმოკლე კეთილისა, ბოროტია შენი გრძელი, — აი, რა გზით ვითარდება და ბოლოვდება ყაზბეგის შემოქმედება.

აქ არის მოცემული საშინელი პესიმიზმი — დათრგუნვა კეთილისა და ბოროტის მარადიულობა.

თავისი ფილოსოფიური დებულება ყაზბეგმა გადაშალა მხატვრულ სახეებში, განავითარა თემური ცხოვრებისა და გარეშე ძალის თემთან ბრძოლის პირობებში.

ყაზბეგის ნიჭი სწორედ აქ ბრწყინავს, კაშკაშებს, ნაპერწკლებს ისვრის, ცეცხლს აფრქვევს; ხან ამაყია, როგორც მთის არწივი. ხან მრისხანე, როგორც გახელებული ლომი; ხან წყნარი და ნაზი, ვით ქალწული; ხან აღელვებული, ვით ზღვა; ხან გალაღებული, გულმხიარული, ხან კი ნაზი, სევდის მფრქვეველი; ხან საქორწილოდ გამოწყობილი, ხან ძაძით შემოსილი, მგლოვიარე, ხევზე შეყვარებული, თემის ჭირისუფალი — ყოველთვის კი თვალის მომჭრელი, გულის ამათრთოლებელი, ფიქრთა ამშლელი და ოცნების წარმტაცებელი.

ბევრს ყაზბეგი ერთფეროვანი ჰგონია, — აქ ერთგვარი გაუგებრობაა.

ის ერთფეროვანია იმდენად, რამდენადაც ყველგან და ყველაფერში დაეძებს ერთსა და იმავეს: სამართალს, ჭეშმარიტებას, კეთილის ძლევამოსილებას.

ზოგჯერ ის ჩქარია ასეთი ძიების დროს; ხანდახან საკმაოდ დამუშავებული არ არის თემა, დახვეწა, დაწმენდა აკლია აქა-იქ ენას, მაგრამ ფანტაზია მას ყოველთვის მოჭარბებული აქვს.

ამას მისი ავადმყოფობაც მოწმობს: ყაზბეგმა დაასრულა თავისი მოღვაწეობა ისეთი სნეულებით, რომელიც ფანტაზიის აფერადებასა და აჩქარებულ დუღილს იწვევს.

ყაზბეგი ჯადოსანი მხატვარია მთის ბუნებისა, — მოხევის ბულთამხილავი.

აიღეთ „მოძღვარში“ გუდამაყრის ხეობის აღწერა და ბურსაჭირის ღელე.

აქ თქვენ თვალწინ, ტილოზე ასახული სურათია, საუცხოოდ შეხამებული საღებავებით.

მხატვარი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საკუთარის თვალით ვხედავდეთ იშვიათ სურათს დიადი ბუნებისას.

აიღეთ „მამის მკვლელში“ სურათი ამაყი ხარირემისა. ექვე ხდის ხეობის სურათი და აღწერა ჯიხვების ჭიდილისა. აიღეთ „მოძღვარ-

ში" ონისეს გულის გადაშლა, როდესაც ის ცხვრის ფარას ეთხოვება, ჭირჭროლა შიშაქი, ქეჩი, ბოქა, ყოჩი, — რომელი ერთი ჩამოვთვალო! ასეთი სურათებით სავსეა ყაზბეგის შემოქმედება. ამ სურათებში ყოველი სიტყვა ნაირ-ნაირ ფერადებად იშლება და არავითარი სიძნელე ავტორისათვის არ არსებობს. აქ ნათლად ვხედავთ, თუ რაოდენი საიდუმლოებაა სიტყვაში და რის გამოხატვა შეუძლია მას.

მთის ბუნება ყაზბეგის შემოქმედებაში ამოწურულია, ყაზბეგის დაძლევა ამ დარგში შეუძლებელია. საჭირო იყო კიდევ მთის ამეტყველება და ეს ღირსეულად შეასრულა ვაჟამ.

მისი სიტყვებია:

უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.

სრული ჭეშმარიტებაა. როდესაც გადახვალთ თვითონ თემის ცხოვრებაზე, იგივე სისრულე, იმგვარივე ხელოვნებით შესრულებული სურათები.

ავტორს არ დაუტოვებია თემის ცხოვრების არც ერთი მხარე. ჩვენს წინაშე გადაშლილია დიდებული სურათი თემისა, მისი ზნეჩვეულება, მისი ადათი, მისი დამოკიდებულება ყოველ წევრთან, მტერთან, მოყვარესთან, სტუმართან, მისი სამართალი, შეგნება, მსოფლმხედველობა, სარწმუნოებრივი, საზოგადოებრივი და ზნეობრივი შეხედულებანი.

ერთი სიტყვით, სრული სახე თემისა, უნაკლოდ დასურათებული — აი, რას ვხედავთ ყაზბეგის შემოქმედებაში.

ადამიანის გრძნობათა რთულ ხლართებში, მისი გონებრივი ცხოვრების მრავალგვარ ხვეულებში ავტორი თავისუფლად და გაუჭირვებლად მიიკვლევს გზას.

ყაზბეგი თემის დიდი პატრიოტია, მისი ტარიელი, მასზე მგლოვიარე. მის მხატვრულ ასახვაში არის იდეალიზაცია თემისა და ამ გზაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ მას ბოლომდე ვერ გავყვებით, ბოლომდე მასთან ვერ დავრჩებით, აქ ჩვენ მის შეხედულებას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია.

გასარკვევი ეს კი არ არის, არამედ შემდეგი: გამართლებულია თუ არა მხატვრულად ყაზბეგის ფილოსოფიური დებულება?

ყაზბეგის შემოქმედებაში ამაზრზენი სიძლიერითა და სიმძაფრით არის დაპირისპირებული თემი და ახალი გარეშე ძალა.

აქ სწარმოებს საშინელი, სასტიკი, მკაცრი და შეუბრალებელი ბრძოლა. თემის მხარეზეა სიმართლე, სამართლიანობა, კეთილშობილება, რაინდობა — ერთი სიტყვით, კეთილი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

რა არის მეორე მხარეზე? მოგაგონებთ „მამის მკვლელიდან“ სულ უბრალო ალაგს:

„გასაკვირველი იყო ეს მდგომარეობა! მოწყობილს მმართველობის დროს, როდესაც ნაჩალნიკები, დიამბეგები, სუდი, ნაცვლები და სხვა ათასი მოხელე ხალხი ჭიანჭველებსავით ირეოდნენ და მართლმსაჯულებდნენ, — ალალმართალი დედაკაცი კაცისმკვლელა ეხვეწებოდა, რომ დაეფარა უსამართლობისაგან“.

უბრალო სურათია, უბრალოდ დაწერილი. მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით, რა შემზარავია, რა საშინელებაა!

აიღებთ ალალმართალი იაგო საპყრობილეში.

„თუმცა ის იწვა დახუჭული თვალებით, მაგრამ ძილი მაინც გაუფრთხა და ამის მაგივრად ფიქრი ფიქრზედ ებადებოდა.

იმას ცხოვლად წარმოუდგა თავისი მდგომარეობა, ის უსამართლობა, რომელიც იმისთვის მიეყენებიათ და ის კი ვერ გაეგო, თუ რა უნდოდათ იმისგან, ან ასე უწყალოდ რა დანაშაულისათვის ექცევიან!

ის არ იყო ქურდი, და ქურდობას სწამებდნენ!

ის არ იყო ავაზაკი, და ავაზაკობას აბრალებდნენ!

იმას უყვარდა, და საყვარელს საგანს. აშორებდნენ!

სცემდნენ, აწვალებდნენ, ამტყუნებდნენ და გამართლების ნებასაც კი არ აძლევდნენ!

რისთვის? რად? ვის რა შეემატებოდა მის წვალებით? რად ხდებოდა ეს ასე?.. — ეს კითხვები გაურკვევლად ტრიალებდა იმის თავში და დაბოლოება კი არ სჩანდა“.

იაგოს ტანჯვა მთელი თემის ტანჯვაა; იაგოს მწარე ფიქრები მთელი თემის გულის ვარამია. მთელი თემი გმინავს იაგოსავით საშინელი უსამართლობის ფეხქვეშ და ამაოდ კითხულობს:

— რისთვის? რად?

სამართლის ფეხით გათელვა, ბინძური გული, მდაბალი ბუნება. უპატიოსნობა, უნამუსობა. ძალმომრეობა. ყოველგვარი სისაძაგლის შესაძლებლობა — აი. როგორია ახალი ძალა თვითმპყრობელობის სახით, ყაზბეგის შემოქმედებაში.

არის სამართალი თემის სახით, მაგრამ მას თელავს უსამართლობა ახალი ძალის სახით.

არის კეთილშობილება, მაგრამ მას ამარცხებს უპატიოსნობა.

არის უმანკოება, მაგრამ ის მსხვერპლად ეწირება აღვირახსნილ გარყვნილებას.

არის რაინდობა, მაგრამ მას გათახსირება ამარცხებს.

თუ თემი, ავტორის წარმოდგენაში, არის განხორციელება კეთილისა და სამართლიანობისა, გარედან შემოჭრილი ახალი ძალა არის განხორციელება ბოროტისა და უსამართლობისა.

ყაზბეგმა დაგვიხატა სურათი საშინელი ბრძოლისა: ერთი მხრით — თემი, მეორე მხრით — თვითმპყრობელობა.

ამ ბრძოლაში პირველი მარცხდება და უხეში, უსამართლო, ბოროტი ძალა იმარჯვებს.

აიღეთ მოძღვარი ონოფრე — ფეხის ფრჩხილებამდე წმიდა და უმწიკვლო ადამიანი. „მისი სახელი გონიერობითა და გულკეთილობით, სიწმინდითა და თავგანწირულებით მთაში შორს გავარდნილიყო“.

ონოფრეს ცხოვრება არის ლოცვა, მარხულობა და ქვეყნის სამსახური. „არასოდეს მამა ონოფრეს არ უნახავს განსაცდელში მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავზე ზრუნვა არ გადაჰვიწყებოდა, პირველადვე სხვისი შველის გულისთქმა არ გაჰღვიძებოდა“.

იშვიათი სისპეტაკისა და სიწმიდის პიროვნებაა ონოფრე, რომელიც ბალახის მოგლეჯასაც კი ცოდვად სთვლის.

და აი, ბოროტება, უსამართლობასთან ხელიხელ ჩაკიდებული, ასეთ ადამიანსაც კი არ ინდობს და ღუპავს.

ცხადია, — საშველი, გამოსავალი არსად არის, „კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილი“. როგორც განმარტავს ხევისბერი გოჩა, და ამ სატანჯველს არსაიდან არ შემოევლება.

— ჩვენ კი აღარ გვეცხოვრება! — აღმოჰხდება კობას „მამის მკვლელში“ და მართლაც, ცხოვრება საშინელებაა, სიცოცხლე — აუტანელი.

მაგრამ არა! არის ცხოვრებაში ერთი რამ, რაც იმის საშინელებას ანელებს, აქარწყლებს და სიცოცხლეს ატკბობს, ალამაზებს. ეს არის სიყვარული. აი, ეს აზრი გაიელვებს ყაზბეგის შემოქმედებაში. ან უკეთ რომ ვთქვათ, ეს აზრი ამოტივტივდება სინამდვილის საშინელების მორევიდან, რომელშიც ყაზბეგი იბრძვის და ამაოდ ცდილობს თავის განთავისუფლებას.

ყაზბეგი მთელი თავისი გატაცებით, მთელი ოცნებით. მთელი თავის გრძნობათა სიწმინდითა და ძლიერებით, მთელი თავისი გულწრფელობით და თავდავიწყებით გაჰყვება ამ აზრს და. სიყვარულში ეძებს ხსნას.

მისი სიყვარული, ამიტომაც, არაჩვეულებრივია, უშიშარი, შეუპოვარი, დაურიდებელი, ყოვლისშემძლებელი, ყოველგვარი დაბრკოლების გადამლახველი.

ყაზბეგის შეყვარებული სამშობლოს ტოვებს, თავის სახლ-კარს, ნათესავებს, ქონებას, ღალატობს ერს, თემს, ძმას, არღვევს და ანადგურებს ყოველისფერს, რაც კი სწამს, რაც წმიდათა წმიდად მიაჩნია:

გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას, მაგრამ სიყვარულის დაძლევა არ შეუძლია.

გაიხსენეთ ფოლადივით მაგარი და მტკიცე ონისე „მოძღვარში“.

„— ქალაუ! ორნივ ვიტანჯებით, ვეწვალებით და ვერ დავიწყეთ ერთურთი... ერთურთი ვნახეთ და შეგვიყვარდა ერთმანეთი... ჩვენის ნებით არ მომხდარა ესა და ვერც ჩვენი ნებით გავიყრებით. ვეცადე, ქალაუ! ვეცადე, ღვთის მადლმა, რომ გულიდამ ამომეღო, შენი სიყვარული ფესვიანად ამომეგლიჯა, შენი სახე ცხელი რკინით ამომებუგა გულიდამ, მაგრამ დავდნი, დავილიე და აჰა, მაინც შენთან მხედავ“.

ამ სიტყვებში მხატვრული სიცხოველითა და სიცხადით არის აელვარებული სიყვარულის ცეცხლი, მისი ძლიერება და ადამიანისაგან მისი დაძლევის სრული შეუძლებლობა.

ჩაუკვირდით ყაზბეგის საუკეთესო გმირებს — ქალებსაც. მამაკაცებსაც. ელგუჯა, მათია, მზაღო, იაგო, ნუნუ, ონისე, მაყვალა, „ხევისბერის“ ონისე, ძიძია — ყველა მაგარი, შეუპოვარი, გაუდრეკელი პიროვნებაა, უმაგრესი რვალისა, როგორც ტარიელი იტყვის თავის თავზედ.

მიუხედავად ამისა, სიყვარულის წინაშე ისინი უძლურნი არიან. სიყვარული ჰღუნავს მათ და, რაც უნდა, იმას ჩაადენიებს.

ყაზბეგმა განზრახ დაგვანახვა ასეთი პირები, რომ სიყვარულის ძლევამოსილება უფრო აშკარა და ნათელი ყოფილიყო.

და აი, ამ ყოვლადშემძლებელ სიყვარულს მხოლოდ ბოროტება, სძლევს.

ვის არ გახსოვთ ტორვალდსენის სიყვარული — ამური! ცელქი, მალხაზი, პუნტულა, უმანკო და მხიარული ბავშვი, თმახუჭუჭა ყვავილების გვირგვინით დადაფნული. მას ყველგან სიცილი, მხიარულება და სიამოვნება მიაქვს.

რა დიდი განსხვავებაა ყაზბეგის სიყვარულთან! არის ერთი ზღაპარი. საარაკო სილამაზის მზეთუნახავი სიყვარულის ცეცხლში დაგვაჯა ერთიმეორეზე უკეთეს, ვარსკვლავივით რაინდებს.

მზეთუნახავს ერთი პირობა აქვს: ვინც მასთან ღამეს გაათევს, გათენებისას თავს წააგდებინებენ.

მრავალი რაინდი სწირავს თავს, ოღონდ კი რამდენიმე საათი დასტკბეს მშვენიერ და საშინელ მზეთუნახავთან.

ამდენადვე მშვენიერია, მაგრამ გაცილებით უფრო საშინელი ყაზბეგის სიყვარული. ის მოგაგონებთ გოეთეს სიყვარულს „ფაუსტში". ფაუსტისა და გრეტხენის სიყვარული სიცოცხლეს უსპობს გრეტხენს, მის დედას, ძმას და უმანკო შვილს.

ამგვარივე თვისების არის ყაზბეგის სიყვარული. ის უაღრესად ტრაგიკულია, გაუმაძღარი მსხვერპლით და ვინც ხელში ჩაუვარდება, უკვე განწირულია.

ყაზბეგის სიყვარული მარტო თავისი შედეგით კი არ არის საშინელი, ის თვითონ თავის ბუნებით საკუთარ არსებაში ბოროტებას ატარებს: ზოგს ღუპავს შეუბრალებლად, დაუზოგავად, სხვები ბოროტებამდე მიჰყავს და თავის გარშემო ბოროტებას თესავს. აიღეთ ელგუჯა, მზაღო, მათია — ყველა მსხვერპლია სიყვარულისა. მარტო გაგი რამდენ ხალხს ღუპავს სიყვარულის გულისათვის. აიღეთ „ხევისბერი გოჩა". იქ ონისე უნებლიეთ ხდება მოძმეთა მოღალატედ და დაღუპავს მათ მხოლოდ სიყვარულის გამო. იმავე სიყვარულის ბრალია, რომ გოჩა თავის საყვარელ შვილს კლავს.

დასკვნა, რომელსაც იძლევა ანალიზი ყაზბეგის სიყვარულისა, შემდეგია: სიყვარული ბოროტთან ბრძოლაში უძლურია; ზოგჯერ კი თვითონ ატარებს თავის არსებაში ბოროტებას.

ამგვარად თავის ორეულთან ბრძოლაში ღონემიხდილი, მოქანცული, დატანჯული და წამებული ყაზბეგი სიყვარულის კუნძულზე ცდილობს მოსვენებას და დამშვიდებას, აქ უნდა ჰპოვოს გამართლება ადამიანის მთელი ტანჯვისა და მწუხარებისა. ის ფარდას აჰხდის სიყვარულის საიდუმლოებას, რომ ბოროტება გასრისოს, გაანადგუროს.

ნაცვლად ამისა, ჩვენ ვხედავთ მსხვერპლთა ჩონჩხებს, შვილის სისხლში შეღებილ ხელებს ხევისბერისას და გვესმის გულშემზარავი ღრიალი გოჩასი.

„— შვილი, შვილი! რა იქნა ჩემი შვილი!"

ძირს დანარცხებულ სიყვარულზე ბოროტება ფეხით შემდგარა და ხარხარებს.

სიყვარული იყო ერთადერთი ტაძარი, სადაც ყაზბეგის „გულსა და მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით" განსვენება სწყუროდა

ვანქრა ტაძარი და მხატვრის გულში დამკვიდრდა უდაბნო თავისი მდუმარებით და საშინელებით.

ის დიდხანს იბრძოდა, მედგრად, თავგამეტებით იბრძოდა, მთელი თავისი არსებით, შემოქმედებითი ნიჭის მთელი ხიძლიერით. ნერვებდაჭიმული, ოცნებაგახურებული იტანჯებოდა, მაგრამ მისი ფილოსოფიური დებულება მაინც გამართლდა და ბოროტმა საბოლოოდ გაიმარჯვა.

წინ — გარდაუვალი უფსკრული, უკან — იმედების, ოცნების ნამტვრევები, შიგნით — დამსხვრეული გული.

დარჩა ორში ერთი: ან თავის მოკვლა, ან სიგიჟე.

ბედმა უკანასკნელი არგუნა და ეს იყო აუცილებელი დასასრული ამ იშვიათი ნიჭისა.

მას სწყუროდა, ის მიისწრაფვოდა მთელი არსებით, მთელი თავისი გიჟური გატაცებით, კეთილისათვის მარადიული ტახტი აეგო და ცხოვრება სამუდამოდ გაეწმინდა, სიცოცხლე გაემრავლებინა და ადამიანი დაეხსნა ბოროტისაგან.

მან თავს იდვა მეტად მძიმე ტვირთი, იტანჯებოდა ქვეყნისათვის, ადამიანისათვის, ტანჯვით იკვლევდა გზას კაცობრიობის ბედნიერებისაკენ.

ტანჯვამ და საშინელმა ბრძოლამ ის მიიყვანა საგიჟეთის კართან და უდროოდ მოუსპო დღე. ბოროტება შემდგარა მის საფლავზე და გაჰკივის: შენ კი არ იტანჯე, შენ კი არ ატარე შენს გულში კაცობრიობის ვარამი, სხვამ ატარა, სხვა იტანჯა და შენ კი სხვისი ტახჯვა მოიპარეო.

ტანჯვის მპარავი! — აი, როგორ გაუსწორდა ბოროტება მას, ვინც მას ნიღაბი ჩამოჰგლიჯა.

1924 წ.

გიორგი წერეთელი

ოცდახუთი წელიწადი შესრულდა, რაც გიორგი წერეთელი გარდაიცვალა.

როგორც ჩვენი მწერლობის, ისე ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გიორგი წერეთელი მეტად თვალსაჩინო პიროვნებაა და დიდი ღვაწლიც მიუძღვის. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, მაგრამ მკითხველი საზოგადოება მას იცნობს უფრო როგორც ბელეტრისტს და, მართლაც, ამ დარგში არის ის ძლიერი და ორიგინალური.

ყოველი ბელეტრისტი, ისე, როგორც ყოველი მწერალი, შემოქმედების დროს იმყოფება თავისი მსოფლმხედველობის ზეგავლენის ქვეშ: როგორიც არის, საერთოდ, მისი მსოფლმხედველობა, იმგვარიკეა შემოქმედებაც.

თუ იცნობთ მწერალს ამ მხრივ, წინდაწინვე შეგიძლიათ თქვათ, თუ როგორი იქნება დედააზრი მისი შემოქმედებისა.

როდესაც გიორგი წერეთელის ბელეტრისტული ნიჭი გაიშალა, ჩვენი მოწინავე საზოგადოების აზროვნების ფოკუსს ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა.

მწერლობის ასპარეზზე ილია გამოვიდა ბრძოლის საყვირით. წარჩინებული წოდება გამოაცხადა ქართველი ერის მეტხორცად და „ღარიბთ ერთობა“ დააწერა თავის დროშაზე.

ბრძოლა წარჩინებული წოდების წინააღმდეგ და „ღარიბთ ერთობის“ დაცვა, აი, რა გამოაცხადა მან ახალთაობის მიზნად გრიგოლ ორბელიანთან კამათის დროს.

ჩვენში ყველაზე უდიდესი საქმე არის ერის დაცემული ვინაობის აღდგენა. ყველა ამ საქმეს უნდა ვემსახუროთ და ერთმანეთს ძმურად მივცეთ ხელი. დაახლოებით ასეთი ღერძის გარეშემო ტრიალებდა ილია ჭავჭავაძის მთელი მსჯელობა.

არა ბრძოლა, არამედ მორიგება და თანხმობა დაცემული ერისა-

ხული ვინაობის აღსადგენად. მერე, წარჩინებულ წოდებასა და გლეხობას შორის რომ ხიდია ჩატეხილი? ეს ხიდი უნდა აღადგინოს წარჩინებული წოდების შეგნებამ და სინდისმა, რასაც ილია მხატვრულად უწოდებს ცრემლიან ცოდნას „ოთარაანთ ქვრივში“.

ილია სასტიკად ებრძოდა ყველას, ვინც კი წინააღმდეგი იყო „ჩვენი დაცემული ვინაობის“ ასეთი გზითა და საშუალებით აღდგენისა...

სწორედ ამ ხანებში გაიფურჩქნა გიორგი წერეთლის ბელეტრისტული ნიჭი და მისი შეხედულება ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ილია ჭავჭავაძის მოძღვრებას.

გიორგი წერეთელი იყო რეალისტი ბელეტრისტიკაში. ის გაჰქცვა იმავე გზას, რომელზედაც მოღვაწეობდნენ ჭონქაძე და არდაზიანი და ღრმად ჩაიხედა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

რა ამოიკითხა ბელეტრისტმა ამ ცხოვრებაში? წოდებრივი ურთიერთობა ირღვევა და ჩნდებიან კლასები, რომლებიც იკავებენ ცხოვრებაში წოდებით ადგილს. მაშასადამე, ცხოვრება ერთ დონეზე არ არის გაჩერებული, არამედ ის მოძრავია, იცვლება, და წინ მიდის. ასეთი ცვლილებისა და წინმსვლელობის დროს ერთი კლასი ეცემა და გზას უთმობს მეორეს. წარჩინებული წოდება დეკადანსს განიცდის, გადაგვარებისა და წოდებრივად გადაშენების გზაზე დაექანება. ეს გადაგვარება წარჩინებული წოდებისა გიორგი წერეთელს საუცხოოდ აქვს დახატული.

ვინ იჭერს წარჩინებული წოდების ადგილს? ამის პასუხს ჩვენ ვხედავთ „პირველ ნაბიჯში“. ერის ცხოვრებაში შემოჭრილია ახალი კლასი, ბურჟუაზია, რომელიც გაბედულად, მტკიცედ და დაუზოგავად მიისწრაფვის წინ, თავისი მიზნების განსახორციელებლად. თუ თავადაზნაურული წოდება ანადგურებდა გლეხობის კეთილდღეობას, უფრო სასტიკი და ულმობელი მტერია მშრომელი ხალხისა ახლად მოვლინებული ბურჟუაზია.

აქედან თავისთავად ცხადია დასკვნა: მშრომელმა ხალხმა ხსნა უნდა ეძიოს სხვაგან, სხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებაში.

ეს დასკვნა გიორგი წერეთელს არ ეკუთვნის, აღარ დასცალდა, მაგრამ ეს თავისთავად გამომდინარეობს მთელი მისი ბელეტრისტიკიდან.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მან საკმაოდ მოიკეთა და უკვე ოცნებობდა მომავალი მუშაობის შესახებ, რაზედაც პირადად ჩემთვის გაუზიარებია თავისი შეხედულება. მას დაწყებული ჰქონდა დიდი რომანი, რომლის პირველ ნაწილში თავად ბაკურაძის სახით დახატული ჰქონდა თავადაზნაურული წყობილება და ბატონყ-

მური ურთიერთობა. მეორე ნაწილში უნდა გაეშალა ბურჟუაზიის ცხოვრება.

— მესამე ნაწილში მუშა ხალხს გამოვიყვან. ის მოსპობს ბაკურაძეებსაც. ბურჟუაზიასაც და დაამყარებს სრულიად ახალ ცხოვრებას, — თვალებგაბრწყინებული მესაუბრებოდა გხრდაცვალებამდე ორი კვირით ადრე. — მართალია, დღევანდელ პირობებში ცენზორი მესამე ნაწილს არ გაუშვებს, მაგრამ მე დავწერ და იმას დაუდგება ალბათ თავისი დროო. — თანვე დასძინა.

თავისი განზრახვის განხორციელება აღარ დასცალდა: ერთბაშად გაუარესდა მისი მდგომარეობა, ისევ ჩავარდა ლოგინად და მალეც გათავდა.

ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში გიორგი წერეთელი სამ ხანას ანუ სამ დასს ჰხედავდა. პირველი იყო ძველი თავადაზნაურული ინტელიგენცია, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ახასიათებდა; მეორე — უფრო მოწინავე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა; მესამე — სულ ახალი, რევოლუციურად განწყობილი და სოციალისტურად მოაზროვნე.

„კვალი“ გადაიქცა სოციალ-დემოკრატების ორგანოდ და თავის დროზე ქართველ პროლეტარიატს მან დიდი სამსახური გაუწია. საქართველოს მუშა ხალხის ისტორიკოსი „კვალს“ გვერდს ვერ აუსვევს.

ამგვარად, გიორგი წერეთელმა ძალიან ადრე აუღო ჩვენს ცხოვრებას ალღო და ჩვენი მშრომელი ხალხის სარევოლუციო მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანა.

გიორგი წერეთელი მეტად საინტერესო პიროვნებაა და ისეთი კვალი დასტოვა, რომელიც არასოდეს წაიშლება. ქართველი მშრომელი ხალხის ისტორიაში მას უსათუოდ ექნება საპატიო ადგილი.

1925 წ.

შინაარსი

ივ. გომართელი — (წინასიტყვაობა გ. ნატროშვილისა) 5
თხზულებანი მამია გურიელისა 11
კრიტიკული შენიშვნები 46
ოცნება და ცხოვრება . 50
ხალხის გულის მესაიდუმლე (თხზულებანი ეგნატე ნინოშვილისა) 56
კრიტიკული შენიშვნები („ამოდის, ნათდება" და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. 1898 წ.) 128
შარშანდელი „ჯეჯილის" კრიტიკოსი . 132
ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1898 წელს 144
ხელოვნება და მისი მიზანი 168
გიორგი წერეთელი. როგორც ბელეტრისტი 196
ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1899 წელს 201
ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში 213
ქართული საერო პოეზია 1. რაფიელ ერისთავი 230
რაფიელ ერისთავი, როგორც საერო პოეტი 244
ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს 248
1900 წლის სიტყვაკაზმული მწერლობა 258
სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წ. . 273
რა არის კრიტიკა (ბუნება და მშვენიერება — პოეზია და კრიტიკა) 302
ხელოვნურ ნაწარმოების კრიტიკა 321
ნიკოლოზ ბარათაშვილი . . 326
ილია ჭავჭავაძის პოეზიის ერთი მხარე 338
სალიტერატურო შენიშვნები 343
სარწმუნოება სამშობლოს სიყვარულისა (ვ. ორბელიანი) 359
ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია . . . 371
მაყვალას გასამართლება — (დამცველის, ივ. გომართელის სიტყვა) 382
გიორგი საკაძე (სიტყვა, წარმოთქმული სახალხო სახლში. გიორგი საკაძის გასამართლებაზე) 390
შთაბეჭდილებანი 397
ჭალადიდელის პოეზია 402
აკაკი 406
პოეზიის წლისთავზე 414
ეგნატე ნინოშვილი (მისი ძეგლის გახსნის გამო) 415
ალ. ყაზბეგი და მისი ძიება 425
გიორგი წერეთელი 436

8Г1
899.962.1—09
Г 661

Иван Гедеонович Гомартели
Избранные статьи
В двух томах
Письма о литературе и искусстве
том I
(На грузинском языке)
Издательство «Литература да хеловнеба»
Плеханова 179
19 Тбилиси 66

რედაქტორი გ. ნატროშვილი
გამომც. რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი შ. კუპრაშვილი
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ც. ქაროსანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VIII-66 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 27,75 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,74
УЕ 00367. ტირაჟი 8.000. შეკვ. № 626.

ფასი 1 მან. 96 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“
პლეხანოვის 179, თბილისი 1966

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

7—2—2